

321(09)(042.4)
წ-15

გიორგი ნადარეიშვილი

სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია




თბილისი

321(09)(042.4)+34(09)(042.4)

5-15

გიორგი ნადარეიშვილი

სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია



თბილისი 2008

წინამდებარე წიგნში ლექციების კურსის სახით წარმოდგენილია საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკითხები, რომელსაც ავტორი წლების მანძილზე კითხულობს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

ლექციების ამ კურსში ავტორი დაინტერესებულ მკითხველს ტრადიციულად აწვდის უამრავ, მანამდე უცნობ ინფორმაციას სახელმწიფოსა და სამართლის საჭირობორტო საკითხებზე.

გათვალისწინებულია იურიდიული და ისტორიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის. შეიძლება ფართო წრისათვის.

© გ. ნადარეიშვილი

© "ბონა კაუზა"

ISBN 99928-844-3-6

შინაარსი

სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საგანი და მეთოდი	5
ძველი ეგვიპტის სახელმწიფო და სამართალი	13
ძველი ჩინეთის სახელმწიფო და სამართალი	30
ძველი ბაბილონის სახელმწიფო და სამართალი	45
ძველი საბერძნეთის სახელმწიფო და სამართალი	87
ძველი სპარტის სახელმწიფო და სამართალი	100
ძველი ათენის სახელმწიფო და სამართალი	107
ძველი ბერძნული სამართალი	115
ადრეფეოდალური მონარქია ფრანკებში. სალიკური სამართალი	136
ფეოდალური სახელმწიფო და სამართალი საფრანგეთში XI-XV საუკუნეებში	154
საფრანგეთის სახელმწიფო და სამართალი	180
ინგლისის სახელმწიფო და სამართალი	197
გერმანიის სახელმწიფო და სამართალი	239
ბიზანტიის სახელმწიფო და სამართალი	255
არაბების სახალიფო და მუსლიმანური სამართალი	285
ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო და სამართალი	307
ავტორისაგან	325

სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საბანი და მეთოდი

სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის ერთ ნაკადად, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში განხილვა არ არის საფუძველს მოკლებული. თუმცა, ზოგი მკვლევარი იმასაც ფიქრობს, რომ სამართალი უფრო ადრე წარმოიშვა, ვიდრე სახელმწიფო, მაგრამ მათ შორის მჭიდრო კავშირს იშვიათად რომ ვინმე უარყოფდეს. სახელმწიფო და სამართალი წარმოიშვა მეტ-ნაკლებად ანალოგიური და სხვა ისტორიული პროცესების განვითარების შედეგად.

პირველი სახელმწიფოებისა და სამართლებრივი სისტემების შესწავლა დიდი ხანია მეცნიერთა ყურადღებას იმსახურებს, მაგრამ ცხადია, ყურადღება ერთია, ხოლო სოციალური ინსტიტუტის შესწავლა სხვა საქმეა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის იურიდიული ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტებზე ისწავლებოდა საბანი - "სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია", რომელიც სწავლობდა და იკვლევდა სახელმწიფოსა და სამართლის განვითარებას უძველესი ეპოქებიდან დღემდე, ე.ი. ადამიანთა საზოგადოებას, მთელი ისტორიის მანძილზე.

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა შემთხვევითი მოვლენა კი არ იყო, არამედ საზოგადოების განვითარების აუცილებელ და ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა, ე.ი. ისტორიული აუცილებლობის პროდუქტი იყო და რაც ისტორიულად აუცილებელია, ის პროგრესულიცაა. სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ მსოფლიო სარბიელზე ჩნდება ისეთი ფაქტორები, რომლებიც ქვეყნების, ხალხების და ცალკეული ადამიანების ცხოვრებაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენენ, არა ნაკლებს, ვიდრე ძველი ბერძნული მითოლოგიით ბედი და ოლიმპის ღმერთები.

სახელმწიფოსა და სამართალს თავისი დამოუკიდებელი და, ამდენად, შესწავლის ღირსი ისტორია გააჩნია. ამიტომ მიუღებელია კ. მარქსის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ სამართალს, ისევე, როგორც რელიგიას, თავისი დამოუკიდებელი ისტორია არ გააჩნია. ამ უკანასკნელი მოსაზრების ავტორს მიაჩნდა, რომ საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის ისტორია მოიცავდა სამართლისა და რელიგიის ისტორიას, რაც მართებული არ არის.

სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის შესწავლისას სტუდენტები ეცნობიან პირველ სახელმწიფოთა და სამართლის უძველეს სისტემათა წარმოშობა-განვითარების პროცესებს და იმ არსებით ცვლილებებს, რაც ხდებოდა ე.წ. წინარესახელმწიფოებში და წინარესამართლებრივ სისტემებში, როგორ თანდათან გარდაიქმნებოდა წინარესახელმწიფო სახელმწიფოდ, ხოლო წინარესამართალი – სამართლად.

მაშასადამე, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კურსის მთავარ შინაარსს შეადგენს სახელმწიფოსა და სამართლის სხვადასხვა ტიპის და ფორმის შესწავლა მათ ისტორიულ განვითარებაში.

ინგლისელმა ენათმეცნიერმა მაქს მიულერმა (1823-1900) შენიშნა, რომ ყოველი მეცნიერების განვითარება გაივლის სამ საფეხურს: ემპირიულს, კლასიფიკაციურს და თეორიულს. თავის განვითარების პირველ საფეხურზე მეცნიერება შექმნივარგდება სათანადო ფაქტების შეგროვებით და აღწერით, მეორე საფეხურზე შეგროვილი მასალა დალაგდება მწყობრ სისტემად ან სისტემებად იმ ზოგადი ნიშნების მიხედვით, რაც ამ მასალებში იქნა გამოვლენილი და მხოლოდ მესამე საფეხურზე გამოვლენილი იქნება ამ მოვლენათა განვითარების კანონები.

სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიამაც გაიარა განვითარების ხსენებული საფეხურები. საფიქრებელია, რომ ჩვენ უკვე ვიმყოფებით, ყოველ შემთხვევაში XX სუკუნის მეორე ნახევრიდან მაინც, მესამე საფეხურზე. ასევე, უნდა შევნიშნათ, რომ მკვლევართა გარკვეული ნაწილი ფიქრობდა, რომ მყოფე საუკუნის დასაწყისში სამართლის მეცნიერებანი სწორედ კლასიფიკაციურ განვითარების დონეზე იმყოფებოდა.

სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია ერთსა და იმავე დროს არის ისტორიული მეცნიერებაც და იურიდიულიც. მისთვის, როგორც ისტორიული მეცნიერებისთვის, მიუღებელია მარქსისტების პრეტენზია იმის შესახებ, რომ ვითომც და კარლ მარქსმა აღმოაჩინა ისტორიული განვითარების კანონი. ხსენებული კანონის აღმოჩენა შეუძლებელი იყო XIX საუკუნის 60-70-იან წლებში, როდესაც მსოფლიო ისტორიის შესწავლისათვის აუცილებელი მასალების მოპოვება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია მეტად ფასეული მასალებით შეივსო მიმდინარე – ოცდამეერთე საუკუნეში.

თუ სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია არის დასაბუთებული ცოდნის სისტემა, რომელიც ისტორიულ პროცესს ობიექტურად ასახავს, მაშინ გასაგები მიზეზების გამო, ყოველი ახალი და მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების, შემოწმებული და სანდო მასალების გამოვლენას შეუძლია ჩვენი წარმოდგენა შეცვალოს ისტორიული კანონზომიერების ამა თუ იმ ასპექტის შესახებ.

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის საკითხებთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანი მასალები იქნა მოპოვებული დღემდე. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა აფრიკის, აზიის და ამერიკის კონტინენტზე, აგრეთვე ოკეანიაში შეგროვილი მასალები. ამასთან დაკავშირებით გამდიდრდა ჩვენი ცოდნა პირველყოფილი და ადრეკლასობრივი საზოგადოებების შესახებ. დადასტურდა, რომ სახელმწიფო და სამართალი ისტორიული კატეგორიაა და წარმოიშვა საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ ისტორიულ საფეხურზე სოციალურ-ეკონომიკური, იდეოლოგიური და რიგ სხვა მიზეზთა რთული კომპლექსის ზეგავლენით. გაირკვა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ სახელმწიფოს და სამართლის წარმოშობას წინ უძღოდა პროტოსახელმწიფოს (წინარე-სახელმწიფოს) და წინარესამართლის აღმოცენება.

1940 წელს ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა კრებული "აფრიკული პოლიტიკური სისტემები" - ნიჭიერი მკვლევარების ე. ვეანს-პრიჩარდის და გ. ფორსტერის რედაქციით. კრებულში მოთავსებული მასალებიდან კარგად ჩანდა, რომ აფრიკაში არსებობდნენ ისეთი ეთნიკური ერთობები, რომელთაც არ გააჩნდათ სახელმწიფო სტრუქტურები, მაგრამ მათ წიაღში ჩანასახის სახით უკვე მოცემული იყო პოლიტიკური სტრუქტურების წარმოშობის აუცილებლობა.

წინარესახელმწიფოებრივი წარმონაქმნების კვლევის პროცესში სამეცნიერო ლიტერატურაში თანდათან შემოდის "სემინტური სახელმწიფოს" ცნება. ამავე დროს მკვიდრდება ბელადობის - "იიფლომ"-ის და "ადრეული სახელმწიფოს" ცნებები. თანდათან გამოირკვა, რომ საკუთრება პროტოსახელმწიფოებში წარმოიდგინებოდა როგორც გვარის, თემის, კოლექტივის ურთიერთობა მფლობელობის ობიექტთან. გამოირკვა, რომ არსებობდნენ ისეთი პრიმიტიული სახელმწიფოებიც, სადაც ჯერ კიდევ არ არსებობდა დამწერლობა... ამ სახელმწიფოებში არ იყენებდნენ არც სხვა ქვეყნის დამწერლობას.

1
თუ სად წამოიშვა პირველად სახელმწიფო და სამართალი, პირველი ცივილიზაცია, "სად იწყება ისტორია", უადრესად საინტერესო საკითხებია მსოფლიო ისტორიისათვის.

ერთ დროს ბაბილონისა და ეგვიპტის ისტორიის სპეციალისტებს შორის გაცხარებული კამათი წარმოებდა იმასთან დაკავშირებით, თუ სად დაიწვა პირველად ცივილიზაციის აკვანი - ეგვიპტესა თუ ბაბილონში. ამჟამად, ცოდნის დღევანდელ დონეზე, ეს საკითხი შუმერების სახარგებლოდ წყდება. გავიხსენოთ ცნობილი მკვლევარის ს. ნ. კრამერის წიგნი - "ისტორია იწყება შუმერიდან". ეს წიგნი ინგლისური ენიდან რუსულადაც კი ითარგმნა და დაიბეჭდა 1965 წელს. შუმერი უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ უძველეს სახელმწიფო სამსრკოტ შუამდინარეთში (ახლანდელი ერაყის ტერიტორია). შუმერები შუამდინარეთში დამკვიდრდნენ დაახლოებით ექვსი ათასი წლის წინათ. ისინი სპარსეთის ყურის მიდამოებიდან მოხულებად ითვლებიან. შუმერებს შუამდინარეთში დახვდათ მწარმოებლური მეურნეობის მქონე ტომები. შუმერებმა აითვისეს და არსებითად წინ წასწიეს შუამდინარეთელთა კულტურა. მათ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს პროტოლურსმული დამწერლობის შექმნაც. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პირველმა საერთაშორისო სამართლის აქტებმა ჩვენამდე შუმერებიდან მოაღწია, განსაგები გახდება მათი დიდი როლი სამართლის ისტორიაში. ძვ.წ. 31-ე საუკუნეში ორმა შუმერულმა ქალაქ-სახელმწიფომ - უმამ და ლაგაშმა დადეს ხელშეკრულება, რაც წერილობით გაფორმდა. ჯერჯერობით დაუდგენელია შუმერული ენის სხვა ენებთან ნათესაობის საკითხი. ერთი თეორიის მიხედვით, რომელსაც მ. წერეთელი იცავდა, შუმერული და ძველი ქართული ენა მონათესავე ენები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ არსებობს საწინააღმდეგო შეხედულებაც. ქრისტეს შობამდე ოცდამეათე საუკუნეში თარიღდება დაახლოებით ათასი შუმერული თიხის ფირფიტა-დოკუმენტი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის კურსი მოწოდებულია შეძლებისამებრ გამოიკვლიოს სახელმწიფოსა და სამართლის განვითარება უძველესი ხანიდან დღემდე, ე.ი. თითქმის ადამიანთა საზოგადოების მთელი ისტორიის მანძილზე. სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორიის კურსის ამოცანაა გვიჩვენოს პირველ სახელმწიფოთა და სამართლის სისტემათა წარმოშობის პროცესი და ასახოს

ყველა ის უშირთადესი და არსებითი ცვლილება, რაც ხდებოდა პოლიტიკურ დაწესებულებებსა და სამართლებრივ სისტემებში სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის მომენტიდან ჩვენს დრომდე.¹

ჩვენ უნდა შევისწავლოთ სახელმწიფოსა და სამართლის სხვადასხვა სისტემა როგორც მათი ქრონოლოგიური, ისე ისტერიულ-სტადიალური თანმიმდევრობით.

რომელიმე საკანონმდებლო ძეგლის ისტორიული სიმაღლე ანუ დონე ყოველთვის არ შეესაბამება ქრონოლოგიურს. ხამურაბის კოდექსი შეიქმნა ძველ ბაბილონში ქრისტეს შობამდე, ე.ი. ძველი წელთაღრიცხვის მეთვრამეტე საუკუნეში. დიდია მისი ქრონოლოგიური ხილრმე. მაგრამ თავისი ისტორიული დონით, თავისი სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების განვითარებულობით ის უფრო მაღლა დგას, ვიდრე ახალი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნეში შედგენილი სალიკური სამართალი ან XI საუკუნეში შედგენილი "რუსსკაია პრავდა".

მოეხედავად ზემოთ თქმულისა, ცხადია, უარს ვერ ვიტყვით სამართლებრივი ინსტიტუტებისა და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისტორიული ამბების ისტორიულ-ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოცემაზე.

არ გამართლდა მარქსის შეხედულება იმის შესახებ, რომ თითქოს "რევოლუციები" ისტორიის მამოძრავებელი ფოკომოტივები არიან. "რევოლუციების" გაფეტიშებამ დიდი ზიანი მოუტანა სოციალურ პრაქტიკასაც და ისტორიულ მეცნიერებასაც. რაგი "რევოლუციებისა", რომლებიც მყვირალა ღოზუნგებით ამცნობენ ქვეყანას, რომ ისტორიული პროგრესის მედროშენი იყვენ, სინამდვილეში სოციალურ პრაქტიკაში სულ სხვა სახით წარმოჩნდნენ. მათ ხელი შეუშალეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას. "პროლეტარიატის დიქტატურა" ემყარებოდა უხემ ძალას და არა კანონს. თეორიულად მარქსიზმ-ლენინიზმი აღიარებდა სახელმწიფოსა და სამართლის კვდომის ისტორიულ კანონ-ზომიერებას, რაც ხელს არ უშლიდათ იმაში, რომ დაემყარებინათ ერთი პარტიის

¹ იხ. ს.ფ. კენეკიანი. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია. ნაწილი პირველი. ძველი სამყარო. ნაკვეთი პირველი. 1946. თსუ-ს გამიცემა.

ცენტრალური კომიტეტის დიქტატურით გაშუალებული პარტ-სახელმწიფო. საბჭოთა კავშირში სამართალმა და მართლ-მსაჯულებამ სავსებით დაკარგა თავის პატივი და ღირსება. "მომაკვდავი" სამართალი შეცვალა გაბატონებული პარტიის ლიდერთა შესასრულებლად სავალდებულო მითითებებმა. თვით სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის ძველ მონაკვეთს "არააქტუალურ მეცნიერებად" აცხადებდნენ. მხოლოდ "დიდი ოქტომბრის რევოლუციით" იწყებოდა სახელმწიფოსა და სამართლის "ნამდვილი" ისტორია.

საბჭოთა კავშირში სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის სახელმძღვანელოთა ავტორები თვით უ.წ. "გარდაქმნის" ხანაშიც ამტკიცებდნენ, მაგ. 1988 წელს, რომ სასფვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია "პარტიული მეცნიერებაა," რომ წარსულისა და აწმყო სახელმწიფო-სამართლებრივ მოვლენებს ის განიხილავს ნათელი სოციალურ-კლასობრივი კრიტერიუმებით. ამავე დროს ავტორები მეთხვედებს არწმუნებდნენ, რომ მეცნიერების პარტიულობა არ გამოარჯხალდა მის ობიექტურობას. რა თქმა უნდა, ეს სინამდვილეს არ შეეფერებოდა.

1905 წელს რუსეთის "პირველი რევოლუციის" დღეებში მსოფლიოში სახელგანთქმულმა მეცნიერმა ისტორიკოსმა, მედიევისტმა პავლე ვინოგრადოვმა (1854-1925), რომლის ნაშრომებიც სამართლის ისტორიის საკითხებზე დღესაც ხელახელ საგოგმანებ მარგალიტებადაა მიჩნეული, "რუსისკე ეელომოსტში" გამოაქვეყნა სამეცნიერო-პუბლიცისტური ხასიათის სტატია, სადაც აღნიშნავდა, რომ რუსეთს გაუგონარი საშიშროება მოეღის, თუ ის იმ გზას აირჩევს, რა გზაც საფრანგეთმა 1789 წლის შფოთიან ხანაში აირჩია. პ. ვინოგრადოვისათვის - ეერობის ისტორიის ამ დიდებული მკვლევარისათვის, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის მიერ არჩეული ტერორისტული გზა და მეთოდები მიუღებელი იყო. მას სჯეროდა, რომ ფრანგებს შეეძლოთ გონივრული ან ცივილიზებული, ჰუმანური პრინციპების მომარჯვებითა და გამოყენებით უფრო შთამბეჭდავი შედეგებისათვის მიეღწიათ, ვიდრე მიაღწიეს 1789-1793 წლებში. პავლე გაბრიელის ძე ვინოგრადოვი, პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიისა და უცხოეთის მრავალი აკადემიის წევრი, კარგად იცნობდა ფეოდალიზმის წარმოშობის გერმანულ და რომანულ ვარიანტებს, ასევე XVII-XIX საუკუნეების საფრანგეთის

ისტორიასაც და დარწმუნებული იყო, რომ რუსეთისათვის დამლუკველი იქნებოდა საფრანგეთის 1793 წლის რევოლუციის რუსული ვარიანტი.

პ.გ. ვინოგრადოვის შემოხსენებულ წერილს მაშინვე გამოეხმაურნენ მარქსისტები. მაგ. ვ.ი. ულიანოვ-ლენინი საგანგებო სტატიით “რა სურთ და რისი ეშინიათ ჩვენს ლიბერალურ ბურჟუებს?” (თსხ. სრული კრებული, ტ. II გვ. 289-296).

ხსენებულ სტატიაში 35 წლის “რევოლუციონერი” თავს ნებას აძლევდა მთავრად ელანდლა ორმოცდაათ წელს გადაცილებული მსოფლიო სამეცნიერო წრეებში უაღრესად პატივცემული მეცნიერი და ეწოდებინა მისთვის ბურჟუაზიის სწავლული ლაქია – “მუჟ ალტინსოი ნაუკი” და ა.შ., მაშინ, როდესაც პროფ. პ.გ. ვინოგრადოვი გამოირჩეოდა მოწინააღმდეგეებისადმი პატივისცემით და მეცნიერული ეთიკის ნორმების დაცვით

მაგრამ კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ პროფ. ზ. მ. ჩერნილოვსკიმ თავის “სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის” 1973 წლის გამოცემაში, მხარი დაუჭირა ვ.ი. ლენინის ამ უმართებულ გამოხედომას ვინოგრადოვის წინააღმდეგ და შენიშნა: “პ. გ. ვინოგრადოვის ლენინისეულ დახასიათებას აქვს, როგორც ეს ადვილად შეიძლება შევამჩნიოთ, ზოგადი მნიშვნელობა: ის ეხება მთლიანად სამართლის ისტორიას და ისტორიის ბურჟუაზიულ მეცნიერებას”.

ზ. მ. ჩერნილოვსკისათვის ისტორიული მეცნიერება იდეოლოგიური ბრძოლის არენა და სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიაც პარტიული მეცნიერებაა. დღეს ყველასათვის ნათელია, ვისაც სინდისის ნასახი მაინც შერჩენია, ვინ იყო მართალი – ვ. ი. ლენინი თუ პ. გ. ვინოგრადოვი.

არაა მოსალოდნელი, რომ დღეს თვით ზ. მ. ჩერნილოვსკიც იმავე პოზიციაზე იდგეს და მეცნიერების პარტიულობას იცავდეს, როგორც ამას აკეთებდა 1973 წელს.

რა თქმა უნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტი ზღუდავდა მეცნიერებას, მაგრამ ამ ვითარებაშიც ზოგიერთი “მეცნიერი” არც თუ უანგაროდ ცდილობდა უფრო მეტი დოზით წარმოეჩინა თავისი ლენინელობა, ვიდრე მისგან ამას მოითხოვდნენ სათანადო ორგანოები და პიროვნებები.

საბჭოთა პერიოდის ლექციებსა და გამოკვლევებში სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესახებ გადა-

ჭარბებულად იყო შეფასებული სამართლის, როგორც “ზედნა-შენის” წარმოშობაში ეკონომიკური ფაქტორის – წარმოებით ურთიერთობათა როლი და თითქმის უყურადღებოდ იყო მიტოვებული მნიშვნელოვანწილად სულიერი კულტურით განპირობებულობა სამართალგანვითარებისა.

კ. მარქსისა და ვ. ლენინის მიხედვით სახელმწიფო და სამართალი თავის წარმოშობა-განვითარებით განპირობებულნი არიან საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების დონით. საწარმოო ძალები განსაზღვრავენ იმ ურთიერთობებს, რომლებშიაც ადამიანები შედიან ერთმანეთთან საკუთარი მოთხოვნილებისათვის საჭირო საგნების დაშლადების დროს და ამ ურთიერთობებით, საწარმოო ურთიერთობებით, ენდა აიხსნას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენა, ადამიანის მისწრაფებები, იდეები და კანონები. საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა მარქსისტების აზრით არის ის ბაზისი, რომელზედაც აუცილებლობით აღიმართება პოლიტიკური და იურიდიული ზედნაშენები და მათ რიცხვში სახელმწიფო და სამართალიც. თუმცა მარქსიზმი არ უარყოფდა ზედნაშენური კატეგორიების შედარებით დამოუკიდებლობას ბაზისისაგან, მაგრამ ეს საქმეს ვერ შეელოდა... საბჭოთა ხელისუფლების წლებში სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, როგორც მეცნიერება, ჩაყენებული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტიბუროს კონიუნქტურული ინტერესების სამსახურში. იშვიათად თუ ვინმეს ახსოვდა ფრ. ენგელსის აზრი იმის შესახებ, რომ “პატრიარქალური ოჯახის განხილვით ჩვენ შევდივართ წერილობითი ისტორიის სფეროში, სადაც შედარებით სამართლისმცოდნეობას ჩვენთვის მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლია”.

შედარებით სამართლისმცოდნეობას დღესაც შეუძლია სამართლის მსოფლიო ისტორიის მკვლევარისათვის დახმარების გაწევა. ამასთან ერთად მკვლევარმა კომპლექსურად უნდა შეისწავლოს დროში მოქმედი ყველა ფაქტორი და ამ ფაქტორთა კომპლექსში მონახოს მოცემულ მომენტში მთავარი ფაქტორები ან ფაქტორები. ფაქტორთა ამ კომპლექსში ეკონომიკური სტრუქტურა ზოგჯერ რაიმე მოვლენის მიზეზად გვევლინება, ზოგჯერაც – მის შედეგად. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ადამიანურ ფაქტორს, მოსახლეობის ფსიქოლოგიას, ნიჭიერებას და ა.შ. ზოგჯერ ლიტერატურაში შეხვედებით მითითებას ანგლო-საქსების

იურიდიული გენიის ან სემიტების იურიდიული გენიის შესახებ მაგრამ “გენიის” შესახებ საუბარი გადაჭარბებულად მიგეანია. ისე კი ისტორიულ ფაქტებს ვერ უარყოფთ. ძველმა ბაბილონელებმა, რომაელებმა, ებრაელებმა, გერმანელებმა თუ ინგლისელებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მსოფლიო სამართალგანვითარების პროცესში.

ძველი ეგვიპტის სახელმწიფო და სამართალი

ისტორიული ცნობები და წყაროები ძველი ეგვიპტის შესახებ საკმაოდ მრავალფეროვანია. მათგან განსაკუთრებით უნდა შევხვრდეთ იმ ცნობებს, რომლებსაც გვაწვდიან ძველი ბერძენი მწერლები და ისტორიკოსები: პეროდოტე (ძვ.წ. V ს.), დიოდორე სიცილიელი (ძვ.წ. II ს.), პლტე (ძვ.წ. IV-III ს.), სტრაბონი (II ს.) და სხვები საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას გადმოგვცემენ ძველი ეგვიპტის შესახებ, მაგრამ ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ძვ.წ. IV ს. ეგვიპტეში ქერუმ მანეთონის მიერ ძველ ბერძნულ ენაზე დაწერილი ეგვიპტის ისტორია. მანეთონისაგან ვეგულობთ, რომ ძვ.წ. მეოთხე საუკუნემდე ძველ ეგვიპტეში ოცდაათი სხედასხვა დინასტია მეფობდა თურმე. მანეთონსავე ეკუთვნის ძველი ეგვიპტის ისტორიის დაყოფა ძველ, საშუალო და ახალ სამეფო ხანად.

სახელმწიფო ძველ ეგვიპტეში უნდა წარმოშობილიყო დაახლოებით ძვ.წ. მეოთხე ათასწლეულის შუა ხანებში, ე.ი. ძვ.წ. 35-ე საუკუნეში მაშასადამე, ძველ ეგვიპტეში სახელმწიფოდ არგანიზებული საზოგადოება ამ ხუთი ათას ხუთასი წლის წინათ გაჩნდა.

ძველი ეგვიპტის სახელმწიფოს შესახებ საინტერესო და ფასეულ ცნობებს გვაწვდის ბიბლიაც.

ადრინდელი სამეფოს ხანად ითვლება ძვ.წ. 3000-2800 წლები, ხოლო ძველი სამეფოს არსებობა გულისხმობს ძვ.წ. 2800-2500 წლებს. საშუალო სამეფოს ხანად მიაჩნიათ 2250-1700 წლები, ახალი სამეფოს ხანა ძველ ეგვიპტეში მოდის ძვ.წ. 1580-1070 წლებზე.

ძვ.წ. 1085-712 წლები ითვლება უმეფობის ხანად, ხოლო ძვ.წ. 712-332 წლები გვიანდელ პერიოდად. ეგვიპტის ისტორიის პერძნული-რისაულ ეტაპად უნდა ჩაითვალოს ძვ.წ. 332- ახ. წ. 395 წლები.

ძველი ეგვიპტელების ოფიციალური იდეოლოგია ფარაონს ღვთიური წარმოშობისად თვლიდა. ეგვიპტის მეფე ღვთაება პორის

წარმომადგენელია და ამიტომაც ფარაონის სახელს, როგორც წესი, წინ წარუშმდგარებდნენ ამ ღვთაების სახელს. ზემო და ქვემო ეგვიპტის გაერთიანების შემდეგ ეგვიპტის ფარაონი ატარებდა ორივე სამეფოს გვირგვინს – წითელსა და თეთრს. ამასთან ერთად ის ქვემო სამეფოს მფარველი ღვთაების გამოსახულებით – გველით იმკობდა შუბლს.

სახელწოდებაც ეგვიპტე წარმომადგენს ძველევგიპტური სიტყვის “აიკაპტა” ბერძნულ ტრანსკრიპციას “აიკაპტა” ნიშნავდა ღმერთ პტას სასახლეს. პტა თავის მხრივ ძველევგიპტური ღვთაება იყო.

სამართლის უძველეს წყაროს ეგვიპტეში ხალხური ჩვეულებები წარმომადგენდა. დაწერილი “ხჯელი” ანუ სახელმწიფოს მიერ დაწესებული სამართალი შედარებით გვიან არის წარმოსობილი. ძველების წარმომადგენაში ეგვიპტე იყო სანიმუშო წესრიგის და სანიმუშო კანონმდებლობის ქვეყანა.

ღღეს ეგვიპტური სამართლის შესახებ მნიშვნელოვან სამეცნიერო ნაშრომებია დაწერილი. ხსენებული გამოკვლევების ავტორებია გასტონ მასპერო, ბორის ტურაევი, მ.ა. კოროსტოვცევი, მ.ე. მატიე, ი.მ. პერეპელინი, ვ.ვ. სტრუვე, ზელინი, რ. ტაუბენშლაგი და ა.შ.

აქედან ცალკე უნდა გამოვყოთ ი. ღურიეს მიერ რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომი – “ძველი ეგვიპტური სამართლის ისტორიის ნარკვევები”, სადაც გათვალისწინებულია ეგვიპტოლოგიის მიღწევები. გვიანდელი ეგვიპტური სამართლის ისტორიის შესახებ კაპიტალური ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული რ. ტაუბენშლაგს (ინგლისურ ენაზე), ხოლო ზელინის რუსულ ენაზე.

ეგვიპტური სამართლის ძეგლების უმრავლესობამ ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ ჩვენს განკარგულებაში არსებული იურიდიული ხასიათის მასალები საშუალებას იძლევიან გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ძველი ეგვიპტური სამართლის შესახებ.

ახალი სამეფოს ხანაში გარდაიქმნა ეგვიპტის ადმინისტრაციული აპარატი, თუ მანამდე მთავრობას სათავეში ერთი ვეზირი ედგა, ამიერიდან მას მეორეც მიემატა. ერთი ვეზირი ჩრდილოეთ ეგვიპტეს განაგებდა და ჰელიოპოლისში იჯდა, ხოლო მეორე – სამხრეთს და თებეში მოღვაწეობდა. ყველა ადგილობრივი მოხელე ვადდებული იყო საფინანსო ანგარიში წარუდგინა ზემდგომი ორგანოსათვის. ყოველ ორ წელიწადში ერთხელ წარმოებდა

ქვეყნის აღწერა. ქვეყნის შემოსავალ-გასავალს მუდმივად აკონტროლებდნენ სათანადო მოხელეები. ადგილებზე – ოლქებში ადგილობრივ მოხელეთა კოლეგიები უძღვებოდნენ მართვა-გამგებლობას. ამ კოლეგიებს “საბჭოებს” უწოდებდნენ.

ძვ. წ. 1314 წლიდან მოყოლებული ახალი – XIX დინასტიის დამაარსებელმა პირემხაბმა მოაწესრიგა საგადასახადო სისტემა და გამოსცა კანონები, რომელთა მიხედვითაც სასტიკად ისჯებოდნენ მექრთამე და მოძალადე მოხელეები. ამასთან, მექრთამეობის ადმოფხვრის მიზნით სახელმწიფო მოხელეებს გაუფიქრებლად ჯამაგირები და პრავილეგიები.

მასმა მემკვიდრემ რამზეს მეორემ (ძვ. წ. XIII ს.) რიგი სამსჯდრო გამარჯვების შემდეგ ხეობის მეფე ხათუსილ მესამესთან ხაზავო ხელშეკრულება დადო. სირია-პალესტინა ეგვიპტისა და ხეობის გავლენის სფეროებად დაიყო. ეს ხელშეკრულება მნიშვნელოვანი წყაროა ძველი ეგვიპტური სამართლის შესახებ. ხვენამდე მოაღწია აგრეთვე კერძო სამართლებრივი ურთიერთობების ამსახველმა საბუთებმა ძველი ეგვიპტიდან.

რამზეს მეორე (1301-1235 წლები ქრისტეს დაბადებამდე) მეტად მნიშვნელოვანი მოღვაწე იყო ძველი ეგვიპტის ისტორიაში. მის სახელთანაა დაკავშირებული ეგვიპტის იმპერიის როლის გაზრდა მასლობელ აღმოსავლეთში, სახელმწიფოში ეკონომიკური და სამსჯდრო ძლიერების ზრდა, ქვეყნის კულტურული პროგრესი. მან თითქმის 67 წელი იმეფა. გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული, ჰყავდა 74 ცოლი. ეგვიპტოლოგთა ცნობით რამზეს მეორეს გასწვნია III ვაქიშვილი და 68 ქალიშვილი.

ბერძენ ისტორიკოსთან დიოდორე სიცილიელთან შემონახულია ცნობა, რომ ლეგენდარული პირველი მეფე – მენესი იყო პირველი კანონმდებელი ეგვიპტის სახელმწიფოში. მენესის (იგივე მნეფისი) კანონებმა, თუ ისინი ნამდვილად არსებობდნენ, ხვენამდე ვერ მოაღწია. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ძველი ბერძენების წარმოდგენით ეგვიპტე იყო სანიმუშო კანონმდებლობის ქვეყანა. ცხადია, ასეთ შეხედულებას რაღაც საფუძველიც ექნებოდა. თვით ეგვიპტის მოსახლეობა წარმოშობით საკმოდ ჭრელი იყო. ის იყო შედარებით განვითარებული აფრიკული წარმოშობის – ლიბიელი ხამიტების, აზიელი სემიტების და ძველი ნუბიელების ნარევი. არ არის გამორიცხული, რომ სემიტებმა აქ მთიტიანეს საკუთარი სამართლებრივი იდეებიც. ასეთი ნარევი

მოსახლეობის სამართავად აუცილებლად საჭირო იქმნებოდა დაწერილი კანონები, რომლებიც უუჭველად არსებობდნენ. ყოველ შემთხვევაში ნორმატიულ წყაროებში იხსენიება მეორე კანონმდებელი მეფე საზიხისიცი. პეროდოტე და დიოდორე სიცილიელი გადმოგვცემდნენ, რომ ხსენებულმა მეფემ გამოსცა სპეციალური კანონი წინდის ანუ გირაოს შესახებ. ამ კანონმდებლობის მიხედვით იკრძალებოდა სესხის აღება ისე, თუ დებიტორი კრედიტის საწინდრად თავისი მამის მუმიას არ მისცემდა. დასაშვები იყო აგრეთვე სესხის უზრუნველყოფის საშუალებად საკუთარი მუმიის მომავალში მიცემის შესახებ ხელშეკრულება. ცხადია, დაგირავებული მუმიის დაკრძალვა მანამ არ შეიძლებოდა, სანამ დებიტორის დავალიანება კრედიტორის წინაშე არ დაიფარებოდა.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ძვ. წ. XII საუკუნეში ეგვიპტეში გაჩაღებული იყო დიდი საკანონმდებლო საქმიანობა. მეფე რამზეს მეორის კანონებმა მთელი ეტაპი შექმნა ეგვიპტური სამართლის ისტორიაში. რამზეს მეორის კანონმდებლობა მიხნაფ ისახავდა სახელმწიფოს გაძლიერებას, არმიის რეორგანიზაციას, საზოგადოების წოდებრივ-კლასობრივი ორგანიზაციის განმტკიცებას, სახელმწიფო აპარატის მუშაობის მოწესრიგებას.

ბერძნული წყაროები ფარაონ რამზეს მეორეს სეზოსტრისის სახელით იხსენიებენ. პეროდოტეს, რომელიც ძვ.წ. V ს-ში (485-424) ცხოვრობდა, თავის "ისტორიაში" დაცული აქვს ცნობა, რომ სწორედ სეზოსტრისის დროს ილაშქრეს ეგვიპტელებმა კოლხეთში და მისი ღაშქრის გარკვეული ნაწილი საერთოდ დარჩა კოლხეთში საცხოვრებლად. აქედან გამოყავდა მას კოლხებისა და ეგვიპტელების ნათესაობა. რამზეს მეორე კარგად ორგანიზებული არმიით ებრძოდა ხეთებს სირიაში, 14 წლის ომის შემდეგ მან შესძლო სირიის ქალაქების დაპყრობა. საბოლოოდ, ჩრდილოეთ სირია დარჩათ ხეთებს, ხოლო სამხრეთი ეგვიპტელებს. პეროდოტე დარწმუნებული იყო, რომ შავეგრემანი და ხუჭუტომიანი კოლხები წარმოშობით ეგვიპტელები იყვნენ. მისი აზრით ამის მაჩვენებელია კოლხების ენა, ცხოვრების წესი, სელის დაშუშავების ხერხი (II, 103—105). ამასთან, კოლხური სელი მაღალი ხარისხისად ითვლებოდა.

ძნელად ასახსნელია, რატომ თვლიდა პეროდოტე, რომ კოლხების ენა ეგვიპტურს ენათესავებოდა. ხოლო იმ ფაქტში, რომ პეროდოტე (პეროდოტოს) კოლხთა ცხოვრების წესს და

ხელის დამუშავების ხერხს ეგვიპტურის შესადარად თვლის, მოჩანს ბერძენთა მაღალი შეხედულება კოლხური კულტურის შესახებ. ჰეროდოტე საკმაოდ ობიექტურად აფასებდა არაბერძნული სამყაროს კულტურას და ამიტომაც მას ბერძენები ბარბაროსთა მოყვარულსაც კი ეძახდნენ.

განსაკუთრებული ყურადღებით განიხილავდა ჰეროდოტე თავის თხზულებაში ეგვიპტური კულტურის მიღწევებს.

ანტიკური ეპოქის ბერძენებისათვის ძველი ეგვიპტური კანონმდებლობა სანიმუშოდ ითვლებოდა. მაგრამ დღეს ჩვენ ხელთ ამ კანონების მცირეოდენი ფრაგმენტები თუ გავგაზიანია. მათი უმრავლესობა სამუდამოდ დაიღუპა. ნაწილის შესახებ ინფორმაცია შენახულია მხოლოდ მითხრობითი ხასიათის წყაროებში. ამ რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნდა ცნობა, რომ აღმოჩნდა ძველი ეგვიპტური სამართლის ძველი თუ მისი ფრაგმენტი. მაგრამ უკერძოობით ეს უკანასკნელი მეცნიერულ მიმოქცევაში არ შექმნილა.


62106

დანამდვილებით ვიცით, რომ ძვ.წ. VIII საუკუნეში არსებობდა ბოქსოროსის (ბაკერენფის) საკმაოდ დიდი მოცულობის კოდექსი, რომელიც რვა წიგნისაგან - ორმოცი გრაგნილისაგან შედგებოდა. სწავლა ბერძენულმა წყარომ შეგვინახა ცნობა, რომ ამ კანონების მიხედვით აიკრძალა მოვალეების (დებიტორების) მონებად გაყიდვა.

საგაღლო მონობა პირველ-ყოველისა ზიანს აყენებდა სახელმწიფოს იმ მხრივ, რომ ამცირდება გადასახადის გადამხდელი თავისუფალი ქვეშევრდომების რაოდენობას, ამცირებდა იმ პირთა წრეს, რომელთა გაწვევაც შეიძლებოდა არმიაში. სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის ფსიქოლოგიური ანარეკლი იყო ის გარემოებაც, რომ ეგვიპტის გლეხობას არ სურდა იმ სახელმწიფოს ინტერესებისათვის ბრძოლა და იმ სახელმწიფოს დაცვა, რომელიც გლეხობას არ იცავდა მონობის უღლისაგან. უკიდუგანო მევახშეობა იწვევდა წარმოების არქაული ფორმების კონსერვაციას, საზოგადოების განვითარების შეფერხებას. აიკრძალა საკუთარი თავის მონად გაყიდვის პრაქტიკა.

ბოქსოროსის კოდექსმა გლეხობას ნება დართო საკარმიდამო ნაკვეთების გაყიდვისა და დაგირავებისა.

სამართლის ისტორიკოსებს გამოთქმული აქვთ საფუძვლიანი მოსახრება, რომ შესაძლოა ბოქსოროსის კოდექსის ნაწილები გარკვეული ნიშნის როლი შეასრულებს სხვადასხვა მდებარეობის ჩამოყალიბებაში. თვით ეგვიპტურ



როგორც ჩანს, მოხდა გარდატეხა და შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ სამართალწარმოებაში ქურუმთა როლი შეიზღუდა. სამართალი უკვე საღმრთო, რელიგიური ფორმულების ენით აღარ იწერებოდა.

ძველ ეგვიპტეში უძველესი დროიდან, პირველი დინასტიის ხანიდან ცნობილი იყო მოსახლეობისა და ქონების აღწერა, "ადამიანების, პირუტყვისა და ოქროს" აღრიცხვა. ეს აღწერა საფუძველი იყო შემდგომში საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისა. რთული საირიგაციო სისტემის მართვა, სახელმწიფო მიწების გამგებლობა და ა.შ. ძველი ეგვიპტელი მოხელეებისაგან მოითხოვდა არა მარტო ტექნიკური, არამედ სოციალური ნორმების ცოდნასაც. ზოგჯერ ეს მოხელეობა იმის აუცილებლობის წინაშე დგებოდა, რომ სამართალ შემოქმედებითი საქმიანობაც ეწარმოებინა. ამიტომ, გასაკვირი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ეგვიპტეში სამართლის წყაროდ ჩაითვლებოდა ადმინისტრაციული განკარგულებები, ისევე როგორც სასამართლო პრაქტიკა, ისინი ავსებდნენ კანონებს. ძველი ეგვიპტური სამართალშეგნებისათვის ადმინისტრაციული განკარგულება სამართლის წყარო იყო.

ძველი ეგვიპტური სამართლის შესასწავლად ძვირფას წყაროდ უნდა ჩაითვალოს კერძო-სამართლებრივი შინაარსის საბუთები, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს, მათი მნიშვნელობა მსოფლიო სამართლის ისტორიის შესასწავლად იმდენად დიდია, რომ ისინი თარგმნილია მრავალ ენაზე.

განსაკუთრებით მდიდარია ძველი ეგვიპტის სამართლის ისტორიის მასალების თარგმანის თვალსაზრისით გერმანია და საფრანგეთი.

ძველი ეგვიპტის სამართლის შედარებით მაღალი დონე იმაში გამოიხატა, რომ იქ საჯარო, სახელმწიფო საწყისი მკვეთრად იყო გამოხატული სისხლის სამართალში.

სისხლის სამართლის განვითარება პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოებრიობის განვითარების დონესთან. ძველ ეგვიპტეში ძე.წ. მესამე ათასწლეულში უფრო ნაკლებ როლს თამაშობდა კერძო სასჯელები, ვიდრე ფეოდალურ ევროპაში V-XI საუკუნეებში ახალი წელთაღრიცხვით. საჯარო საწყისების და სასჯელების როლი სავსებით გამოკვეთილად ჩანს.

სისხლისსამართლებრივი ხასიათის ნორმებში, ცხადია, აისახებოდა სამართალგანვითარების ისტორიული სიმაღლე.

სისხლის აღება, როგორც ასეთი, ძველ ეგვიპტეში გაუქმებული იყო. თუკი ოდესმე არსებობდა სისხლის საფასურის გადახდა, ისტორიულ ხანაში ის უკვე გამქრალი იყო. სახელმწიფოში საჯარო სასჯელები იყო გაბატონებული და სიკვდილით დასჯასაც ხშირად მიმართავდნენ. საკვდილით დასჯის სახეები იყო მახვილით დასჯა ან ცეცხლზე დაწვა. წარსინებული წარმოშობის დამნაშავეს, თუ მას სიკვდილით დასჯა ელოდა, საშუალება ეძლეოდა თვითონ მოეკლა თავი. ერთი ცნობის მიხედვით, რომელიც პლუტარქეს თხზულებაშია შემონახული, სახელმწიფოს წინაშე ღალატის ჩამდენი, აჯანყებისა და შეთქმულების შემთხვევაში, სასტიკად ისჯებოდა არა მხოლოდ თვითონ, არამედ მისი ახლო ნათესავებიც. შვილის დანაშაულისათვის სჯიდნენ დამნაშავის დედას, და-ძმებს და ოჯახის სხვა წევრებს. ყოფილა ასეთი ჩვეულებაც: მუამბოზეს არ შარხავდნენ, მის გვამს წყალში გადააგდებდნენ.

ძვ. წ. VIII საუკუნეში ხდება სასჯელთა სისტემის პუმანიზაცია. ფარონ ბოკსორისის ბრძანებულების მიხედვით დაშვებულ იქნა სიკვდილით დასჯის შეცვლა მონად გაყიდვით, მონად გადაქცევით.

სამართლის ნორმები ეგვიპტეში რელიგიური ცნობიერების დაღის მაკარებელი იყო. მართლშეგნებაშიც რელიგიური საწყისი ხაკმაოდ ძლიერი იყო. რელიგიური წეს-ჩვეულებების სხვადასხვა სახის დარღვევა იწვევდა სიკვდილით დასჯას და სავსებით ბუნებრივი იყო ეგვიპტელის მართლშეგნებისათვის, რომ კანონი "ჯადოქრობას" სასტიკად სჯიდა. შელოცვა და "სიყვარულის წამლის" მიმზადება, რომლის მიზანიც ადამიანის მოჯადოება იყო, მძიმე დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნებოდა. ღმერთისადმი შეწირული ცხოველების განზრახ მოკვლა, აკრძალული საგნების საჭმელად ხმარება, სიბინძურის გადაყრა ნილოსში, აბისი-ხარის დაკრძალვის ადგილის გამოაშკარავება - ყველა ეს დანაშაული სასტიკად ისჯებოდა. ეგვიპტური სამართლის და ეგვიპტური ოფიციალური საზოგადოების წარსულზე ორიენტირება ჩანს იმ ფაქტშიც, რომ მძიმე დანაშაულად ითვლებოდა სამკურნალო ხელოვნების დადგენილი წესების გადახვევა. დადგენილ წესში კი იგულისხმებოდა ტოტ-ღმერთის ხაღმართო წიგნში გადმოცემული მკურნალობის ტრადიციული ხერხები. უჯერო საქმედ ითვლებოდა ახალი ცეკვის გამოგონება, ახალი სიმღერის შეთხზვა.

მაგრამ ცხადია, ეგვიპტური სამართალი მთლიანად არ იყო მოწყვეტილი პატრიარქალურ და ბარბაროსულ პრინციპებს; იგი იცნობდა სიმბოლურ ტალონს და ა. შ.

ძველი ეგვიპტური სამართლის მიხედვით ცილისწამებელი იმავე სასჯელით ისჯებოდა, რაც ცილდაწამებულს მოელოდა იმ შემთხვევაში, თუ მის ცილისწამებას სინამდვილედ ჩათვლიდნენ. სხვათა შორის ანალოგიური ნორმა ცნობილი იყო ქართული სამართლისათვისაც.

როგორც ცნობილმა ეგვიპტოლოგმა ი. ა. ლურიემ გამოარკვია, ეგვიპტეში ცრუმოფიცარი, ე. ი. კაცი, რომელიც სასამართლო პროცესზე ტყუილი ფიცით ცდილობდა თავის მართლებას ან სხვისათვის ბრალის დადებას, იმავე სასჯელით ისჯებოდა, რა სასჯელიც ფიცის ფორმულის თვითწყველით ნაწილში იყო გათვალისწინებული.

საერთშორისო ურთიერთობის ერთ-ერთ უძველეს დოკუმენტში ფარაონ რამზეს მეორის ხელშეკრულებაში ხეთებთან (ძვ. წ. 1296) მხარეები ფიცულობდნენ მამრობითი და მდედრობითი სქესის ათასი ღმერთით, როგორც ხეთების, ისე ეგვიპტელების პანთეონიდან. ეს ღმერთები წარმოადგენდნენ არა მარტო ხელშეკრულებაში ფიქსირებულ პირობათა უბრალო მოწმეებს, არამედ აგრეთვე და უმთავრესად კი, მათ დაცველებს. ვინც ხელშეკრულებაში აღნიშნულ და დადგენილ პირობებს დაარღვევდა, მას ხსენებული ღმერთები (ათასი ღმერთი ეგვიპტელთა ქვეყნისა და ათასი ხეთების ქვეყნისა) დაუნგრევდნენ სახლს, გაუნადგურებდნენ ყანასა და მსახურთ. როგორც ეგვიპტელებს, ისე ხეთებს სწამდათ თავ-თავიანთი ათასი ღმერთისა.

ძველი ეგვიპტელის შეხედულებით, მეფე თუ ღმერთი, რომლის სახელიც წარმოითქმებოდა ფიცის ჩვეულებრივი ფორმულით, ისარგებლებდა რა თავისი ზებუნებრივი ძალით, დასჯიდა ფიცის გამტეხებს. ძველ ეგვიპტეში ფიცის სიტყვებს მაგიური ძალა მიეწერებოდა. ეგვიპტური სამართლის ყველა მკვლევარი მართებულად აღიარებს, რომ სამართალში ფიცი ძალიან დიდ როლს თამაშობდა. ფიცი იხსენიებოდა თითქმის ყველა ძველ ეგვიპტურ დოკუმენტში. ზოგიერთი სასამართლო საქმის შესახებ ორაკულს ეკითხებოდნენ. ორაკულის მეშვეობით მიღებულ გადაწყვეტილებას იურიდიული ძალა ჰქონდა. ჩვენამდე მოაღწია თხუთმეტამდე საქმემ, რომელიც "ღმერთებს" აქვთ

გადაწყვეტილი ორაკულების მეშვეობით – აქედან ცამეტი ეხება ქონებრივ დავას, დანარჩენი – სახელმწიფო ღალატს და თანამდებობრივ დავას. ორაკულების (“ღმერთები”) გადაწყვეტილებას სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე ასრულებდნენ უკვე მიწიერი სასამართლო ორგანოები. საინტერესოა აღინიშნოს, რომ “ღვთაებრივი გადაწყვეტილების” მიმართ შედაგებაც ყოფილა შესაძლებელი. თაზის დახელიდან მოღწეულ სტელაზე გაკეთებული წარწერიდან ვგებულობთ, რომ თოთხმეტი წლის შემდეგ, ალბათ, უკმაყოფილო მხარის შუამდგომლობით “ღმერთმა გამოცვალა თავისი წინანდელი ორაკული”, როგორც უკვე ვთქვით, ი. ლურიეს დაკვირვებით, ძველი ეგვიპტური ფიცი, რომელიც იურიდიულ დოკუმენტებში იყო ფიქსირებული, ჩვეულებრივ ითვალისწინებდა იმ სასჯელსაც, რომლითაც უნდა დასჯილიყო ეჭვიმიტანილი პირი, თუ მისი ჩვენება ცრუ აღმოჩნდებოდა. ძველ ეგვიპტურ სასამართლო-იურიდიულ დოკუმენტებში მხოლოდ ზოგადად არის აღნიშნული “გამართლდა ესა და ეს პირი. გამტყუნდა ესა ესა და ეს”. აქ სასჯელის შესახებ არაფერია ნათქვამი. სამაგიეროდ ფიცის ფორმულა, რომელიც უეჭველია, დანაშაულის სიმძიმის ხარისხის მიხედვით ბრალდებულისათვის ნებისმიერი არ იყო, მოფიცრის გამტყუნების შემთხვევაში თვით შეიცავდა სანქციას. ცნობილია, რომ ეგვიპტეში ნეკროპოლის გამძარცველი სარზე ჩამოცმით ისჯებოდა. ამიტომაც ბრალდებული, რომელსაც ნეკროპოლის გამძარცვა ბრალდებოდა, ასე ფიცულობდა: “თუ ჭეშმარიტი არ არის ყველაფერი ის, რაც მე ვთქვი, დაე, მაშინ მე ჩამომაცვან სარზე”. ტყუილი ფიცის შემთხვევაში ამ ბრალდებულს მართლაც სარზე ჩამოცმა ელოდა სასჯელად. ეს გარემოება ეგვიპტურ იურიდიულ დოკუმენტებში შემონახულ ფიცის ფორმულას ეგვიპტური სამართლის ისტორიისათვის ძვირფას წყაროდ ხდის.

ეგვიპტური სამართლის ზოგიერთ მკვლევარს (მაგ. შპილბერგს) არ სჯეროდა, რომ ფიცის ფორმულაში მოხსენებული სასჯელის სახეობა მართლაც შეეფარდებოდა ცრუ ჩვენების მიმცემს. მაგრამ ი. ლურიემ საბოლოოდ და გადაჭრით დაამტკიცა, რომ ეს ასე იყო. ეს არის მიზეზი იმისა, რომ ძველ ეგვიპტურ სახელმწიფოში სასამართლო-იურიდიული ხასიათის დოკუმენტებში განაჩენი ან გადაწყვეტილება სავსებით არ არის ფიქსირებული. ფიცის ფორმულა თავისთავად შეიცავდა მას. აქედან გამომდინარეობს ის დიდი როლი, რასაც ფიცი თამაშობდა

ეგვიპტურ სასამართლო პროცესში. როგორც ჩანს, იყო პერიოდი, როდესაც ფიცი უნივერსალურ მტკიცებულებად ითვლებოდა ეგვიპტურ სამართალში. ამ ხანებში ფიცის მეშვეობით შეიძლებოდა რომელიც გნებავთ საქმის გადაწყვეტა. ფიცის დასაშვებობა უნივერსალურ ხასიათს ატარებდა.

მოწმე ან მოფიცარი, რომელიც სადავო საქმის შესახებ იძლეოდა ჩვენებას, საქმის გარემოთა მიხედვით ფიცულობდა, რომ ცრუ ჩვენების მიცემის შემთხვევაში დაე, იგი სარზე იქნას ჩამოცმული, ასჯერ დაარტყან ჯოხი, მიაყენონ ხუთი ჭრილობა, დაე, მას მოჭრან ხელი ან გაგზავნონ ნუბიაში საკატორღო სამუშაოზე ან ნიანგს მიუგდონ შესაჭმელად და ა.შ.

ერთი სიტყვით, ცხადია, რომ იმ სასჯელით ხჯიდრენ დამნაშავეებს, რომელსაც ისინი ფიცის დროს ასახელებდნენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეგვიპტური სამართლის ისტორიაში იყო ისეთი დრო, როდესაც ფიცის მეშვეობით შეიძლებოდა ნებისმიერი საქმის მოგება. ფიცი იყო დამამტკიცებელ საბუთთა მეფე. მაგრამ თანდათანობით ფიცის გვერდით ავტორიტეტი მოიპოვეს სხვა მტკიცებულებებმაც.

გერმანელი ეგვიპტოლოგი ზეიდლი 1939 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში — “ეგვიპტური სამართლის ისტორიის შესავალი” — წერდა: ფიცის წარმოქმნა, როგორც ჩანს ეგვიპტის ისტორიის ადრეულ ხანებში, მოფიცარ მხარეს დმერთების მფარველობის ქვეშ აყენებდა და ადამიანთა მართლმსაჯულება უკან იხედა და შესაძლო ცრუმოფიცრის დასჯას დმერთებს ანდობდა.

ეგვიპტეში, ჰეროდოტეს ცნობით, ადამიანს შეეძლო ფიცით გაენთავისუფლებინა თავი ქურდობაში ბრალდებისაგან (II-174). ეს გარემოება დადასტურებული აქვს დიოდორე სიცილიელსაც (I, 70) ჩვენამდე მოაღწია მეთვრამეტე დინასტიის ეპოქის ძვ. წ. (1552-1314) ერთმა საბუთმა, რომელშიაც ნათქვამია, რომ მამა ბრალს სდებდა შვილს საოჯახო ნივთების მოპარვაში, მაგრამ შვილმა დაიფიცა, რომ მას ისინი არ მოუპარავს. ამის შემდეგ მამა იძულებული გახდა ხელი აეღო შვილის მიმართ ბრალდებისაგან. აქედან ჩანს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებას ან სარჩელს მტკიცე საბუთები არ გააჩნია თავის სასარგებლოდ, ფიცი ახალი სამეფოს ეპოქაშიაც ბრალდებისაგან ათავისუფლებდა პირს. ეს იყო განსაწმენდელი ფიცი. ეგვიპტური სამართლის ისტორიაში ნათლად არის ასახული ფიცის განვითარების ორი

სხვადასხვა საფეხური. ძველი სამეფოს ეპოქაში ფიცი უნივერსალურ და ეჭვმიუტანელ საბუთად ითვლებოდა. ახალი სამეფოს ხანაში კი, მიუხედავად ფიცის დიდი მნიშვნელობისა სასამართლო პროცესში, იგი მაინც არ მოჩანს ეჭვმიუტანელ და ყოელისშემძლე მტკიცებულებად. ამ დროს ფიცის როგორც მტკიცებულების მიმართ დაიშვება ეჭვი და მის გვერდით უფრო ხელშესახებ და სანდო საბუთებსაც ითხოვენ, ან მსგავსად ხაზურაბის კანონების დანაწესისა, ფიცს მიმართავენ მაშინ, როდესაც ეჭვი არსებობს მოფიცვის პატიოსნების მიმართ და როდესაც სხვა მტკიცებულების გამოყენების საშუალება არ არის.

ფიცის და რელიგიური წარმოდგენების ზეგააღენა იგრძნობოდა ეგვიპტურ ვალდებულებით სამართალშიც. თვით ხელშეკრულებებსაც კი ეგვიპტის სამოქალაქო სამართალში მიცემული ჰქონდა ფიცის საზეიმო ფორმა. ამ ფიცს ქურუმებისა და თანამდებობის პირების წინაშე წარმოთქვამდნენ. ასეთი რელიგიური სამოსისაგან ხელშეკრულებები ძვ. წ. VIII საუკუნეში გაუთავისუფლებია ფარაონ ბოკჰორისს. ძველი ეგვიპტელის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა რელიგია. მისი რწმენით გარდაცვალებულს თავი უნდა ემართლებინა ღმერთ ოსირისისა და მისი ორმოცდაათი მსაჯულის წინაშე. მიცვალებული წარმოთქვამდა დაცვით სიტყვას, ღმერთი ტოტი-ი ადგენდა სასამართლო სხდომის ოქმს.

თუ სიცოცხლეში არ ჩაგედენია ორმოცდაათი სასიკვდილო ცოდვა და იყავი მართლის მთქმელი, არაფრის უნდა გეშინოდეს. მიცვალებულის გულს მოათავსებდნენ სასწორის ერთ ფიალაზე, მეორეზე — კალამს — სიმართლის სიმბოლოს (ჭეშმარიტების ქალღმერთს ეგვიპტურად ერქვა “მაატ”, რომელიც ერთსა და იმავე დროს ფრთის კალამსაც ნიშნავდა და სიმართლესაც). მართალ კაცს გულს დაუბრუნებდნენ და შემდგომ ის განაგრძობდა ცხოვრებას ღვთაების სახით.

უმაღლესი მსაჯული და “ჯატი” (ვეზირი) მაატის ქურუმად ითვლებოდა. ძველ ეგვიპტეში მართლმსაჯულებისა და გარიგებათა დადების ადგილად ითვლებოდა ქალაქის მთავარი ჭიშკრის წინ მდებარე მოედანი (ან სასახლის წინ მდებარე მოედანი). ძველ ეგვიპტურად “პერ”-ი ერქვა “დიდ სახლს” და გადატანით — უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობას ძველ ებრაულად “ფარაო”. აქედან არის მიღებული ფარაონი.

იქ სადაც ფარაონი ცხოვრობდა, იქ სადაც ფარაონის მოხელეები საქმიანობდნენ, ქალაქის მთავარი ჭიშკრის მახლო-

ბლად ფორმდებოდა გარიგებები უძრავი ქონების გასხვისების შესახებ.

ძველი ეგვიპტელები უძრავი ქონების ნასყიდობის (ყიდვა-გაყიდვის) ხელშეკრულებებს დებდნენ გარკვეულ ფორმალობათა დაცვით. სამართლის ისტორიკოსები ეგვიპტურ სამართალში ყურადღებას აქცევდნენ სამი აქტის თანმიმდევრობას. პირველი აქტი შეეხებოდა ნასყიდობის ფასს. მიიღწეოდა შეთანხმება მყიდველსა და გამყიდველს შორის იმის თაობაზე, რომ ნასყიდობის საფასური მთლიანად გადახდილია. ამასთან, როგორც წესი, ხელშეკრულებაში გადახდილი თანხის ოდენობა არ იყო მითითებული. ამასთან ერთად, გამყიდველი ვალდებულია კისრულობდა მყიდველი დაეცვა მესამე პირთა მხრივ პრეტენზიებისაგან. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეორე აქტი, რომელიც აშკარად რელიგიურ ხასიათს ატარებდა. ხელშეკრულება უნდა დადასტურებულიყო ფიცით, რომელსაც გამყიდველი დებდა. მესამე აქტი წარმოადგენდა მყიდველის მიწის საკუთრებაში შეყვანას. ეს უკანასკნელი უნდა გაფორმებულიყო სასამართლოს წინაშე. ამ აქტის დაბოლოება იყო საადგილმამულო წიგნში გამყიდველის სახელის ნაცვლად მყიდველის სახელის დაფიქსირება. თანდათანობით მეორე აქტი ხმარებიდან გავიდა. სოციალურმა პრაქტიკამ ის მითოლოგიურ ღმერთს – დავიწყების მდინარეს გაატანა. მაგრამ მეორე აქტის არსებობის ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამართლის ისტორიისათვის.

ის ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ ემიჯნებოდა სამოქალაქო სამართლის წილში ერთიმეორეს რელიგია და სამართალი.

არსებობს ერთი შტრიხი, რომლითაც ეგვიპტური და ქართული ნასყიდობის საბუთები ემსგავსებიან ერთიმეორეს. ესაა ის გარემოება, რომ ნასყიდობის დოკუმენტებში, განსაკუთრებით უძრავი ქონების გასხვისების “წიგნებში”, ნასყიდობის ფასი არ იყო მითითებული, მხოლოდ გაკვრით იყო ნახსენები, რომ გამყიდველის გული დაკმაყოფილებულია, შეჯერებულია. მოვიგონოთ, რომ ფეოდალური ხანის ქართული ნასყიდობის “წიგნებში”, ყოველ შემთხვევაში მათ დიდ უმრავლესობაში, უბრალოდ მითითებული იყო გამყიდველის პირით “ავიღეთ ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩვენი გული შეჯერდებოდაო”.

სესხის უზრუნველყოფის საშუალებად ძველ ეგვიპტეში უძველესი ხანებიდან ითვლებოდა მოვალის – დებიტორის ან მისი უახლოესი ნათესავების პიროვნება. ასე გაგრძელდა ძვ. წ.

მერვე საუკუნემდე, მეფე ბოკპორისის ცნობილ რეფორმამდე.

ძველ ეგვიპტეში თუ დებიტორები ვალს დროზე არ გადაიხდიდნენ, კრედიტორს შეეძლო მოვალის ან მისი ოჯახის რომელიმე წევრის დამონება. როგორც უკვე ერთხელ აღვნიშნეთ, ძველი ეგვიპტური სამართლის მიხედვით ვალის უზრუნველყოფის "ორიგინალური" საშუალება იყო მოვალის მამის ან სხვა უახლოესი ნათესავის მუშია და ა.შ.

ძვ. წ. მერვე საუკუნეში მეფე ბოკპორისის დროს წლიურ სახესხო განაკვეთად დაწესებული იყო 30 პროცენტი (ფულადი სესხისათვის) და 33 პროცენტი წლიურად მარცვლეულობის სესხისათვის. ეს საკმაოდ მაღალი წლიური საპროცენტო განაკვეთი იყო, რამდენადაც მოგვიანებით ბიზანტიურ სამართალში (ასევე ქართულშიც) წლიურად 12 პროცენტი ნორმალურ საპროცენტო განაკვეთად იყო მიღებული.

ძველი ეგვიპტური სამართლის ნორმების მიხედვით სახესხო პროცენტის საერთო ჯამური თანხა ვალის დაფარვამდე გასული დროის მანძილზე, თავნის საერთო თანხას არ უნდა აღმატებოდა. უმართებვლოდ ითვლებოდა პროცენტზე პროცენტის დარიცხვა, მაგრამ ამ წესიდან გამონაკლისის დაშვების პრაქტიკაც იყო ცნობილი. თუ კრედიტორის როლში სახელმწიფო ან ტაძრები გვევლინებოდნენ, ასეთ შემთხვევაში დაიშვებოდა პროცენტის საერთო თანხის აყვანა ვალის ოთხმაგ ოდენობამდე. საოჯახო სამართლის ნორმებს ძველ ეგვიპტურ სამართალში აშკარად ეტყობოდა მატრიარქატის – დედისეული გვარის ნიშნები. ძველი ეგვიპტური საოჯახო სამართლის საკითხებზე დაწერილი ნაშრომებიდან ჩვენს მსმენელებს ყველაზე უფრო ადვილად შეუძლიათ ე. მატიეს ნაშრომის შოვნა, რომელიც დაიბეჭდა რუსულად უურნაღში "ვესტნიკ დრევენი ისტორიი" (3, 1954).

მატრიარქატის მნიშვნელოვანი გადმონაშთების შენარჩუნება წარმოადგენს ძველი ეგვიპტური სამართლის მნიშვნელოვან თავისებურებას. ამას ს. ფ. კენეკიანი იმით ხსნიდა, რომ ეგვიპტეში კლასობრივი საზოგადოება ადრე აღმოცენდა. მაგრამ ეს ახსნა არ ჩანს ბოლომდე დამაკმაყოფილებელი.

ისტორიულ წყაროთა მონაცემებით დასტურდება, რომ ძველ ეგვიპტეში ფართოდ იყო გავრცელებული ახლო ნათესავეთა შორის ქორწინება.

დღევანდელი საზოგადოებრივი აზრისათვის ძნელად აღსაქმელია ის საოჯახო ხნობრივი ნორმები, რომელიც ძველ

ეგვიპტეში თავისთავად იგულისხმებოდა. მოეუსმინოთ ამასთან დაკავშირებით ერთ ავტორიტეტულ ავტორს:

“ასე ეგვიპტეში ფართოდ იყო გავრცელებული და-ძმათა დაქორწინება ერთმანეთთან. მეფის ოჯახში ისეთი შემთხვევებიც კი იყო, რომ ფარაონები ქორწინდებოდნენ საკუთარ ქალიშვილებზე (რამზეს II) და თავიანთი მამების ქვრივებზე. შვილები ეგვიპტეში იწოდებოდნენ არა იმდენად მამობით, რამდენადაც დედობით” (ამის და ამის შვილი). ძველი სამეფოს დროის აკლდამებში მიცვალებულს ჩვეულებრივ გამოსახავდნენ არა თავის მამასთან, არამედ თავის დედასთან ერთად. ნათესავთა შორის დედის მამა და დედის ძმა ყველაზე მეტი პატივით სარგებლობდნენ”. ასე რომ, ძველი ეგვიპტელების საოჯახო ზნეობრივი მორალი არ იყო იდეალური და მისაბაძი. პირიქით, ახლო ნათესავთა შორის ქორწინება უთუოდ დასაგმობი იყო იმ ეპოქის დონეზეც.

შეეცხოთ ქალების უფლებრივ მდგომარეობას ძველ ეგვიპტეში. სამართალი ქალის ღირსებასა და პატივს სათუთად ეპყრობა. ზოგიერთ ეგვიპტურ წყაროში ქალს “სახლის მბრძანებელს” ეწოდება, მაგრამ თანდათანობით, V დინასტიიდან მოყოლებული, იგრძნობა პატრიარქალური იდეებისა და პრინციპების მოძალეობა. ცოლს თანდათან ხელიდან ეცლებოდა ქმართან თანასწორობა, თუმცა ქალი ეგვიპტეში სხვა ქვეყნებთან შედარებით მაინც მაღალ მდგომარეობას ინარჩუნებდა. ეგვიპტელ მამაკაცებს, ქერუმების გარდა, უფლება ჰქონდათ შინვე ჰყოლოდათ მეორე ცოლი. არის ცნობები იმის შესახებაც, რომ მდიდარ ეგვიპტელებს ჰარამხანებაც კი ჰქონდათ მოწყობილი. ქალი ჰარამხანიდან ცოლად ვერ ჩაითვლებოდა და მისგან გაჩენილი შვილები ოჯახის წევრებად არ მიაჩნდათ.

არ გაგვაჩნია ცნობები, რომ ძველ ეგვიპტეში ქორწინების ცერემონიალი რელიგიური აქტი ყოფილიყო. ქორწინება სამოქალაქო, საერო საქმედ ითვლებოდა. იწერებოდა ან ზეპირად იდებოდა სამოქალაქო ხელშეკრულება, სადაც ქალი დამოუკიდებელი ხელშემკერეელი მხარე იყო. საქორწინო ხელშეკრულების თანახმად, ქალი თავის საკუთარ ქონებაზე უფლებას მთლიანად ინარჩუნებდა, და ამასთან ერთად ქმრისაგან დებულობდა გარკვეულ სახარჯო თანხას, როგორც სათანადო მასალებიდან ირკვევა, ზოგჯერ ქმარი ცოლს გადასცემდა ოჯახის ქონებას, მაგრამ ასეთის შესახებ წერილობითი აქტი ჯატს (ვეზირს) უნდა დაედასტურებინა.

როგორც ჩანს, ძველ ეგვიპტეში განქორწინება არ იყო ძნელი. განქორწინება ცოლის მოთხოვნითაც შეიძლებოდა. თუ ქმარი იქნებოდა განქორწინების ინიციატორი, მთელი ქონება უფროს შვილზე გადადიოდა, რომელსაც ის უნდა დაენაწილებინა დაძმებისათვის.

ოჯახში შვილებს თავისი საკუთარი ქონება გააჩნდათ. ყველა შვილი – როგორც ქალიშვილი, ასევე ვაჟიშვილი, თანაბრად ღებულობდა მემკვიდრეობას. მცირეოდენი უპირატესობა ეძლეოდა უფროს ვაჟიშვილს. ძველი ეგვიპტური სამართალი იცნობდა ანდერძის ცნებასაც. ანდერძში მოცემული იყო საანდერძო ქონების აღწერილობა და მათი განაწილების შესახებ განკარგულება. ანდერძს ერქვა “იმიტ პერ”, რაც ნიშნავდა ინვენტარს.

ანდერძის დატოვების უფლება გააჩნდა ქალსაც. მაგრამ ასეთი ვითარება ყოფილა მეხუთე დინასტიამდე (ძვ. წ. 2563), ხოლო შემდეგ ვითარება შეიცვალა – თუ ერთ დროს ქალი ქმარს არც შეეკითხებოდა თავისი ქონების გაანდერძების, ანდერძის სხვისთვის დატოვების შესახებ, მოგვიანებით ქალის უფლებები შეიზღუდა.

ძველი ეგვიპტური სამართლის მიხედვით შვილები დედის მემკვიდრეებიც იყვნენ და დედის უახლოესი ნათესავებისაც. ცხადია, შვილები ამასთან ერთად მამის მემკვიდრეობასაც ეუფლებოდნენ.

ეგვიპტურმა სამართლმა, სანამ ის ერთიან სისტემად ჩამოყალიბდებოდა, გაიარა განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი გზა. ცნობილია, რომ ეგვიპტეში თავდაპირველად ორმოცამდე ნომი თუ ნახევარსახელმწიფო იყო. ყოველ მათგანში მოქმედებდა მეტ-ნაკლებად განსხვავებული სამართლებრივი ნორმები. ეგვიპტის გაერთიანებას თან სდევდა მოქმედი ჩვეულებითი და წერილობითი სამართლის ნორმების ერთმანეთთან დაახლოება და უნიფიკაციაც კი.

ეგვიპტოლოგები ჯერ კიდევ დაეობენ საკითხზე, არსებობდა თუ არა ძველ ეგვიპტეში კასტები. ასეა თუ ისე, დანამდვილებით არის ცნობილი, რომ ჯერ კიდევ მეთე დინასტიის დროს ზოგიერთი პროფესია მამიდან შვილზე გადადიოდა მემკვიდრეობით. მაგალითად, ქურუმობა, ხოლო მოგვიანებით (ძვ. წ. XVI-XIV სს.) მეთვრამეტე დინასტიის დროს შეიმჩნევა მოსახლეობის დაყოფა საქმიანობის მიხედვით და ხდება, როგორც ერთი ავტორი წერდა, პრივილეგიებისა და ადგილ-მამულების

მიმაგრება ზოგიერთებზე და ღაღის გადახდის და ფიზიკურ სამუშაოთა შესრულება სხვა ჯგუფებზე.

ეგვიპტეში გაბატონებული იყო კოლექტიური მონობა. მონები მეფის, ე.ი. სახელმწიფო საკუთრებად ითვლებოდნენ. მონობის მთავარი წყარო სამხედრო ტყვეობა იყო. სამხედრო ტყვეს ძველ ეგვიპტურ ენაზე “სეკერანხი” ერქვა, რაც მოკლულ ცოცხალს ნიშნავდა. ეგვიპტელები ცდილობდნენ მეზობელ ქვეყნებზე გაეგრძელებინათ თავიანთი ბატონობა. მეზობლების ძარცვა მათ ნორმალურ სახელმწიფოებრივ საქმიანობად მიაჩნდათ. ეგვიპტელები ამ მიზნით ლაშქრობდნენ ნუბიაში, ნილოსის ჭორომების სამხრეთით და სინაის ნახევარკუნძულზე.

ნილოსის დელტის აღმოსავლეთით ლაშქრობის შესახებ მოგვითხრობს ერთი ეგვიპტელი მხედართმთავარი: “ჯარი მშვიდობით დაბრუნდა, ააოხრა მეზობელი ქვეყანა, გაჩეხა მისი ბაღები და ვენახები. ცეცხლს მისცა მისი სოფელი, ამოხოცა იქ მრავალი ათეული ათასი კაცი, მოიტაცა მრავალი ათასი ტყვე-ამისათვის მეფემ არაჩვეულებრივად შემაქო ”

მონას ეგვიპტეში შეიძლებოდა ჰქონოდა მცირე ქონება და ოჯახის ყოლის უფლებაც გააჩნდა. თუ მონა რაიმე დანაშაულს ჩაიდნდა, მას სახელმწიფო სასამართლოს მეშვეობით დასჯიდნენ. მონებს სახელმწიფო საპატიმროებში ამწყვდეუდნენ.

თუ მონას სასტიკად ექცეოდნენ, მას უფლება ჰქონდა ტაძრისათვის შეეფარებია თავი და თავისი ბატონისათვის ეჩივლა. ხშირ შემთხვევაში ასეთი მონები ტაძრის მსახურებად, ღმერთებისათვის შეწირულებად ითვლებოდნენ. გათავისუფლებული მონა ყველაფერში თავისუფალ ადამიანს უთანაბრდებოდა.

იურიდიულად მიწა ძველ ეგვიპტეში სახელმწიფო საკუთრებად ითვლებოდა. ფორმალურად მეფე იყო ქვეყნის მთელი ადგილ-მამულის მესაკუთრე, მაგრამ ფაქტობრივად სხვა ვითარება იყო. მიწის მფლობელთა მრავალი კატეგორია იხსენიება წყაროებში. ფარაონი მიწებს “ღროებით სარგებლობაში” გადასცემდა ტაძრებს, ქურუმებს, მხედრებს, წარჩინებულებს. მიწების ასეთ რეჟიმს არც თუ უსაფუძვლოდ ფრანგი ეგვიპტოლოგი რევილიუ “კვაზი საკუთრებას” უწოდებს.

ტაძრებისათვის გადაცემულ მიწებზე მეურნეობას, რა თქმა უნდა, გლეხები ეწეოდნენ, გლეხები სახელმწიფოსა და ტაძრებს უხდიდნენ გადასახადს.

მეცხრამეტე-მეოცე დინასტიიდან სატაძრო მიწებზე ქურუმების უფლება მტკიცდება. ისინი უკვე მიწებს განაგებდნენ სახელმწიფო ორგანოებისაგან ჩაურევლად, ფარაონის დიდი მოხელეები ჯამაგირის ნაცვლად ღებულობდნენ მიწას, ინვენტარსა და მონებს. სახელმწიფო მოხელეებისათვის საერთოდ, და განსაკუთრებით მაღალი რანგის მოხელეებისათვის სახელმწიფო ზრუნავდა: ისინი უზრუნველყოფილნი იყვნენ ბინით, აგარაკით, ტრანსპორტით, დაცვით, პროდუქტებით და ა.შ. ამ მხრივ ძველი აღმოსავლური დესპოტიები ერთმანეთს ჰგავდნენ. და ეს, რა თქმა უნდა, საგანთა ღირებულების ფარგლებში ეტეოდა. ასეა დღესაც, XXI საუკუნეშიც იმ ქვეყნებში, სადაც ტოტალიტარული რეჟიმებია. ასე იყო საბჭოთა კავშირშიც.

ადგილ-მამულები, რომლებიც არასახნავე მიწათა კატეგორიას განეკუთვნებოდნენ და განაშენიანებული იყვნენ მრავალწლიანი ნარგავებით, მიწათა ისეთ კატეგორიას განეკუთვნებოდნენ, რომელთა გაყიდვაც სრულიად თავისუფლად შეიძლებოდა. მკვლევარები მათ წმინდა კერძო საკუთრებად თვლიან.

მიწაზე სახელმწიფო საკუთრების ინსტიტუტი, როგორც უზარმაზარი, თვალუწყვენელი ყინულის ლოდი, თანდათან დნებოდა. მეოთხრამეტე დინასტიიდან მოყოლებული ფარაონები სოფლურ სახნავე-ხათესი მიწით ისე ასახუქრებდნენ ვეტერან მეომრებს, რომ ამ განუქებულ ადგილ-მამულებს არავითარი ბეგარა არ ეღოთ. სხენებული ადგილ-მამული უკვე აღარ იყო სამსახურის ეკვივალენტი. მეფის მიერ ნაბოძები ცოცხალი თუ უსულო ინვენტარი მისი მიმღების – დასახუქრებულის კერძო საკუთრებად ითვლებოდა.

დიოდორე სიცილიელის (I, 80) ცნობით ძველ ეგვიპტეში არსებულია ქურდების კასტა. ქალაქში მცხოვრები ეგვიპტელები ვაღდებულნი იყვნენ გაეველოთ განსაკუთრებული აღრიცხვა. სახელმწიფო მოხელე ყველას ეკითხებოდა, თუ რა წყარო გაგანიათ ცხოვრებისაო. ქურდები თურმე არ მაღავედნენ, რომ ქურდობით ცხოვრობდნენ. ქურდების უფროსს აღრიცხვაზე უნდა პყოლოდა ქურდები. ეს უკანასკნელნი ნაქურდალს აბარებდნენ ქურდების უფროსს და მიუთითებდნენ ქურდობის დღეს, საათსა და ადგილს.

დაზარალებულები მიდიოდნენ ქურდების უფროსთან. გადაიხდიდნენ ქურდის მიერ მოპარული ნივთის ან ნივთების ღირებულების ერთ მეოთხედს და იბრუნებდნენ თავიანთ ქონებას. ქურდები ცხოვრობდნენ ამ შემოსავლით... ზოგიერთი ცნობით ასეთი წესი გვიანაც არსებულა არაბულ აღმოსავლეთში.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ იოანე ბატონიშვილის კანონპროექტების წიგნში "სჯულდება", რაღაც ამის მსგავსი იყო გათვალისწინებული.¹

ძველი ჩინეთის სახელმწიფო და სამართალი

სამართალი ქვეყნის კულტურის ორგანული ნაწილია. სამართალგანვითარების დონე აუცილებლად მიგვიჩვენებს ამა თუ იმ სახელმწიფოს კულტურის ისტორიული სიმაღლის შესახებ.

კლასიკური აღმოსავლეთის ქვეყნების წრეში სამართალგანვითარების უმაღლესი დონე აისახა ძველი ბაბილონის კანონმდებლობაში, განსაკუთრებით კი სახელგანთქმული ხამურაბის (და არა ჰამურაბის) კოდექსში (ძვ. წ. XVIII ს.). შეიძლება ითქვას, რომ შორეული აღმოსავლეთის და სამხრეთ აზიის ქვეყნების წრეში ჩინურმა სამართალმა შეასრულა დაახლოებით იგივე როლი, რაც ხამურაბის კანონებმა ბაბილონის მეზობელი ქვეყნების – ელამის, სპარსეთის და სხვათა მიმართ.

ჩინეთი იყო ის ქვეყანა, სადაც გამოიგონეს ქაღალდი, თოფის წამალი, კომპასი, სეისმოგრაფი, ბორბლის, ფაიფურის წარმოება; ჩინეთში დაიბეჭდა პირველი წიგნი და გაზეთი, წარმოიშვა და განვითარდა მეაბრეშუმეობა, სასამართლო მედიცინა და ა.შ.

არსებობს მათ ძობენის წიგნი – "ეს გამოგონებულია ჩინეთში", რომელიც რუსულ ენაზე გამოიცა მოსკოვში 1959 წელს, საიდანაც ვგებულობთ, რომ ახ.წ. VIII საუკუნეში ჩინეთში იწყება წიგნის ბეჭდვა, X-XIII საუკუნეებში ვითარდება ბეჭდვის ქსილოგრაფიული მეთოდები. ამავე ეპოქაში განხდა მოძრავი ლიტერებით ბეჭდვა, თავდაპირველად შრიფტი თიხისაგან მზადდებოდა, ხოლო XIV საუკუნიდან მეტალისაგან.

¹ იხ. გ. ნადარეიშვილი, დ. ფურცელაძე. იოანე ბატონიშვილის "სჯულდების" ერთი წინადადების თაობაზე. "მაცნე", ეკონომიკისა და სამართლის სერია – 1, 1981 წელი.

ჩინური ტრადიციის თანახმად ქვეყნის ისტორია იყოფა სამეფო დინასტიების ზეობის შესაბამისად. ამ პერიოდიზაციის მიხედვით შანის, იგივე ინის ხანად ითვლება ძვ. წ. XV – X სს., ხოლო ჯოუს ხანად – ძვ. წელთაღრიცხვის XVI-III ს. ს. თვით ჯოუს ხანას ყოფენ ორ ნაწილად. ჩუნციულ (ძვ. წ. VIII-V სს.) და ჯანგოდ (ძვ. წ. V – III სს.). ჯანგოს ეპოქას სხვანაირად “სამეფოთა შორის ომის” პერიოდად თვლიან. საბოლოოდ შეიქმნა ცენტრალიზებული ჩინეთის იმპერია (ძვ. წ. III, ახალი წელთაღრიცხვის III სს.), რომელსაც ჩინეთის ისტორიის “ცინ”-ის და “ხან”-ის ეპოქად თვლიან.

როგორც ჩანს, ე.წ. ჯოუს ხანაში ჩინეთში უამრავი სამეფო და სამთავრო იყო. ერთი ცნობით მათი რიცხვი 1800 აღწევდა ჯოუს დინასტიის დასაწყისში, ხოლო ჩუნციუს ხანაში მათი რიცხვი 140-მდე დავიდა. თანდათან მათი რიცხვი მცირდებოდა. ჩინეთის გაერთიანებას ერთ სამეფოდ თან სდევდა კულტურის და სახელმწიფოებრიობის დონის ამღლება.

რა თქმა უნდა, ჩინეთი თავისი კულტურის, სახელმწიფოსა და სამართლის სიძველით ვერ შეედრება ძველ შუმერს და ძველ ეგვიპტეს, მაგრამ ის მაინც ერთ-ერთი უძველესი კულტურის ჭკუანაა მოელ მსოფლიოში. ძვ. წ. XV-XIV საუკუნეებში ჩინეთში ჩამოყალიბდა ადრემონათმფლობელური ინის სახელმწიფო. პირველი იუროგლიფური წარწერები, რომლებიც შესრულებული იყო ცხოველთა ძეგლებზე და კუს ჯაეშნებზე, განეკუთვნება ძვ. წ. XVIII-XVII და მომდევნო საუკუნეებს. ამ წარწერების ამოკითხვას დიდი ენერგია შეაღიეს ჩინელმა მეცნიერებმა და საბოლოოდ მართებულად ამოკითხეს ისინი. მათი უმრავლესობა შელოცვები აღმოჩნდა. ითვლება, რომ მათი წაკითხვა, ისეთივე დიდი მეცნიერული გამირობაა, როგორც ფრანსუა შამპოლიონისა და სხვა მკვლევართა მიერ ძველი ეგვიპტური იუროგლიფური დამწერლობის გაშიფრვა. ასე რომ, წერილობითი ტრადიცია ჩინეთში 3500-ზე მეტ წელს ითვლის. ჩინური და მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს ძეგლად ითვლება უძველესი ხალხური სიმღერებისა და ჰიმნების კრებული “სიმღერების წიგნი” (ძვ. წ. XI – VI სს.).

ტანის დინასტიის ზეობის ხანაში (618 – 907) ჩინეთში ვითარდება ლიტერატურა, კულტურა, საბოლოოდ ყალიბდება სალიტერატურო ენა ვენიანი, შეიმჩნევა მნიშვნელოვანი პროგრესი სამართალგანვითარების სფეროში.

ჩინური კულტურის განვითარების სათავეებთან დგას ძვ. წ. პირველი ათასწლეულის მხატვრული პროზა. დიდი გავლენა მოახდინა ჩინური კულტურის განვითარებაზე კონფუციმ (551 – 479 წწ.).

ცნობილია ძველი ჩინური ფილოსოფიის განვითარების ოქროს ხანაში წარმოშობილი ექვსი კლასიკური სკოლა: კონფუციანელობის, დაოსიზმის, მოიზმის, ლეგიზმის, ნატურ-ფილოსოფოსებისა და ნომინალისტების.

კონფუცისა და მისი მოწაფეების მოძღვრებამ დიდი გავლენა მოახდინა ჩინური სამართლის განვითარებაზე, ისინი ქადაგებდნენ ძველი ტრადიციებისა და ჩვეულებითი სამართლის ნორმების უპირატესობას დაწერილ სამართალთან შედარებით. კონფუცი იმდენად ღრმად იყო დარწმუნებული ძველი წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების უპირატესობაში დაწერილ სამართალთან შედარებით, რომ ის კანონმდებლობის კოდიფიკაციის წინააღმდეგაც კი გამოდიოდა. ძვ. წ. 513 წელს ვინმე ფან სიუან-ძიმ სპეციალურად დამზადებულ სპილენძის დაფაზე ამოკვეთილი კანონების ტექსტი მიაართვა მეფეს, მაგრამ ფილოსოფოსმა კონფუციმ ასეთი საქციელი დაგმო იმ მოტივით, რომ ეს ეწინააღმდეგებოდა ძველ ტრადიციებს, ხოლო ტრადიციებზე ხელის აღება კარგს არაფერს გვიქადისო. კონფუცის აზრით, ახალი კანონების მიღებასა და პროპაგანდას ისა სჯობდა, რომ ცინის დინასტიის დამაარსებლის – ტან შუს კანონები ჯერ კარგად შეგვესწავლა და შემდეგ კი განუხრელად განგვეხორციელებინაო. კონფუცისა და მისი მიმდევრების აზრით, ძველს, მამაკაპაეულს და ტრადიციულს ყოველთვის უპირატესობა უნდა მინიჭებოდა ახალთან შედარებით. მისთვის ცხოვრების ახალი ფორმების ძიება მიუღებელი იყო. ძველმა ბრძენებმა ყველაფერი გაიაზრეს, ყველაფერი თქვეს. ისინი ყველაფერს ჩასწვდნენ. ბრძენი მასწავლებელი ასეულ თაობებს გამოადგება მასწავლებლად და ხელმძღვანელად. საჭიროა ძველი ტრადიციების ღრმად შესწავლა და შეთვისება.

კონფუცის წინარე ხანის კანონმდებლობიდან აღნიშვნის ღირსია ძვ. წ. X საუკუნეში შედგენილი მუს კოდექსი. ჩინური ისტორიული ტრადიციის მიხედვით მუს კოდექსის შედგენა, რომელიც ძირითადად სისხლის სამართლის დებულებას წარმოადგენდა, გამოწვეული იყო სამეფო ხელისუფლებისა და ხალხს შორის არსებული წინააღმდეგობით. ფიქრობენ, რომ

კანონმდებლობის ძირითადი მიზანი იყო კლასობრივი წინააღმდეგობების შერბილება და საზოგადოებრივ ურთიერთობათა, შესაძლებლობების ფარგლებში, ოპტიმალური მოწესრიგება.

უშუალოდ მუს კოდექსის ტექსტს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ისტორიული წყაროების მონაცემების მიხედვით, სამართლის წიგნი სამი ათასი მუხლისაგან შედგებოდა. კოდექსი აგებული ყოფილა კაზუისტური პრინციპის მიხედვით და ცხადია, შიციავდა სასჯელთა დეტალურად დამუშავებულ სისტემას. რამდენადაც მოღწეული ინფორმაციის მიხედვით შეიძლება მსჯელობა, ამ დროს წინეთში არსებული საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო, რომელიც სასჯელის მიზნად თვლიდა ქვეშევრდოსთა დაშინებას.

მუს კოდექსის მიერ გათვალისწინებული მძიმე სასჯელებიდან აღსანიშნავია სიკვდილით დასჯა, კასტრაცია, დადაღვა, ფეხების მოკვეთა, ცხვირის მოჭრა. კოდექსი მდიდრებისათვის ითვალისწინებდა აგრეთვე ფულადი გამოსყიდვის მეშვეობით სასჯელის აცდენის უფლებას.

მუს კოდექსი ჩინური სამართლის სპეციალისტებს ღირ-შესანიშნავ საკანონმდებლო ძეგლად მიაჩნიათ იმ მხრივაც, რომ კანონმდებელი იცნობდა დანაშაულის დამამძიმებელი და დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებების ცნებას და, რაც განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია, ერთმანეთისაგან განასხვავებდა წინასწარ განზრახულ და გაუფრთხილებელ დანაშაულებებს. კანონმდებლობა ითვალისწინებდა აგრეთვე შემთხვევით ქმედებასაც. სამართალგანვითარების თვალსაზრისით მუს კოდექსი თავისი დროის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ძეგლი უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ ის იყო წინეთის სინამდვილეში საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ჩვეულებითი სამართლის ნორმების ჩანაწერი, რომელსაც დაუმატეს აგრეთვე ჩვეულებებში არსებული ხარვეზების შემავსებელი სასამართლო გადაწყვეტილებები და განჩინებები. ახალი ნორმების შესაქმნელი სასამართლოს განჩინებებსა და სამართლის ახსნა-განმარტების მნიშვნელობა სამართალგანვითარების მაშინდელ საფეხურზე მეტად დიდი იყო.

ადრეკლასობრივი და ადრემონათმფლობელური საზოგადოების განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც მუს კოდექსი შეიქმნა, ჩვეულებითი სჯული და სასამართლო პრეცედენტი

წარმოადგენდა მთელ სამართალშემოქმედების ჩონჩხს. განვითარების გზაზე მდგომი ძველი ჩვეულებების წინააღმდეგობის დაძლევა სასამართლო პრეცედენტის საშუალებით შეიძლებოდა.

ჩინური სამართლის ისტორიაში გარდატეხის ხანა იყო ძვ. წ. VI – III საუკუნეები, როდესაც აშკარად გამოიკვეთა კონფუციის ფილოსოფიურ-ეთიკური მოძღვრების გავლენა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და სამართალზე, თვით სახელმწიფოზე.

კონფუციის მოძღვრებას, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნის მიჯნაზე წარმოიშვა, ღირსეული მოწინააღმდეგე გაუჩნდა ფაძიას ანუ ლეგისტების (მეკანონეები) სახით. ეს უკანასკნელი მიმდინარეობა დიდ აღმავლობას განიცდიდა ძვ. წ. მეოთხე-მესამე საუკუნეებში და ძირითადად ქონების მეშვეობით აღზევებულ იმ ახალი სოციალური ფენების ინტერესებს გამოხატავდა, რომელიც უპირისპირდებოდა ძველი საგვარეულო არისტოკრატის წარმომადგენლებს. ლეგისტებისათვის მამაკაპეული ჩვეულებითი სამართლის ნორმები სრულებით არ წარმოადგენენ რაღაც ხელშეუხებელი მოწიწების საგანს, ხელახელ საგოგმანებ მარგალიტს. ლეგისტებისათვის უფრო მისაღები იყო დრო და ჟამის შესაფერისი ახალი, დაწერილი კანონები. ლეგისტების აზრით, ახლად მიღებული დაწერილი კანონები უნდა გამხდარიყო სახელმწიფოს მართვისათვის მარჯვე და მოხერხებული ბერკეტი. თუ კონფუცი წარსულს, ადრეკლასობრივი ხანის ჩინეთს აიდეალებდა და გვაროვნული არისტოკრატის დაქვეითებას მისტიროდა, ფაძიას ანუ ლეგისტების სკოლა ცდილობდა ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობის ინტერესებისათვის მიეცა ფართო გასაქანი და მისთვის მსხვერპლად მიეტანა გვაროვნული არისტოკრატის ინტერესები. ლეგისტების აზრით ახალ იურიდიულ ნორმებს უნდა დაქვემდებარებოდა მთელი სამეფო, მათ შორის საგვარეული არისტოკრატიაც.

უეჭველია, რომ ფაძიას ანუ ლეგისტების სკოლის წარმომადგენლებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ძველი ჩინური კანონმდებლობის განვითარებაში და ძლიერი ცენტრალიზებული დესპოტური სახელმწიფოს შექმნაში, რომელმაც ჩინეთის ისტორიის გარკვეულ პერიოდში დადებითი როლიც კი შეასრულა. ლეგისტების მოძღვრებაში ახალი, ქვეყნის პროგრესისათვის აუცილებელი კანონმდებლობის მოთხოვნის მიღმა იმალებოდა

კანონით შეუზღუდველი მონარქიისა და ყოვლისშთანთქმელი სახელმწიფოს, ანუ დღევანდელი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ხესახელმწიფოს კულტი.

ჩინურ წყაროებში დაცული მონაცემების მიხედვით, ლეგისტების ერთ-ერთმა პირველმა და ცნობილმა წარმომადგენელმა ძი ჩანმა ძვ. წ. 536 წელს შეძლო მანამდე არსებული სამართლებრივი ნორმების დახვეწა და სისტემაში მოყვანა. შემდეგ კანონების ეს ტექსტი გადაიტანეს მეტალის სამფეხებზე, რომელიც საქვეყნოდ წასაკითხად იყო გათვალისწინებული. მაგრამ კანონის საქვეყნოდ გამოფენის იდეასაც ძლიერი მოწინააღმდეგეები აღმოაჩნდა. ძველი წესწიობილების მომხრეებს მიაჩნდათ, რომ ძი ჩანი ხელყოფს ძველ ტრადიციებს და ამით თავს ესხმის საზოგადოებრივ კეთილდღეობას. სამეფო კარის ერთ-ერთმა დიდებულმა მოხელემ შუ სიანმა წერილობით გააფრთხილა ძი ჩანი. რომ უარი ეთქვა კანონების გამოქვეყნების იდეაზე. შუ სიანის აზრით, “როდესაც კანონები ყველასათვის ცნობილი გახდება, ადამიანები მიხვდებიან, როგორ აიცდინონ სასჯელი და უფროსების პატივისცემას დაკარგავენ. თუ მართებულსა და არამართებულს მხოლოდ კანონთა კრებულის მიხედვით განსაზღვრავენ, მაშინ უფროსებმა და უფროსის უფროსებმა (უზენაესებმა) როგორ უნდა განახორციელონ მმართველობა?”

მაგრამ ლეგისტები ხსენებულ საკითხზე სულ სხვა მოსაზრებისანი იყვნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ სწორედ საქვეყნოდ გამოცხადებულმა საკანონმდებლო ნორმამ უნდა იხსნას საზოგადოება და რომ ამ ნორმას უნდა დაემორჩილოს მეფის ყველა მოხელე და ქვეშევრდომიც... ამიტომ ხალხმა კანონი უნდა იცოდეს...

ძი ჩანის კოდექსს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორი ასახვა პოვა სამეფო კანონებმა ფოლკლორში, ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მაშინდელი სამართლის არსი და სოციალური დანიშნულება.

ჩინური პოეზიის უკვდავ ძეგლში, რომელიც ძვ.წ. XII -VI საუკუნეებში ჩამოყალიბდა, აშკარად ჩანს უკმაყოფილება, გამოწვეული ქონებრივი უთანასწორობით - “ბლომად ჭამს ბრინჯსა და ფეტვს მდიდარი, ღარიბი კი ქატოს ბურდოს ჭამს. რით არის ღატაკი ცუდი ან მონა ბატონზე სულელი?”

ხალხური ლექსის უსახელო ავტორი კიცხავდა ბატონებს, რომელთაც თავისი ხელით პური არ დაუთესიათ, ოფლი არ

დაუღვრიათ, მოსაეღის ადებაში ჯაფა არ უნახავო, მაგრამ მილიონობით ძნა მიუთვისებიათ. ავტორი ხალხური გულწრფელობით მიმართავს მდიდარ წარჩინებულებს: “ნამდვილი ადამიანი არასოდეს არ ჭამს მუქთად ნაშონ პურს, როგორც თქვენ, ბატონებო”. “ში-ძინში” აისახა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ძველ ჩინეთში სათემო მიწების გვერდით კერძო მფლობელების მიწის ნაკვეთებიც არსებობდა. ჩინეთის უძველესი ხანის ისტორია დაკავშირებული იყო სათემო მიწათმფლობელობასთან. ამ უკანასკნელს წყაროებში ეწოდებოდა “ძიან-ტიან” (ჭების სისტემა). კონფუციის მიმდევარი მენ-ძი, რომელიც ძვ. წ. IV საუკუნეში ცხოვრობდა, მის შესახებ მოგვითხრობს: მიწა ნაკვეთებად დაიყოფოდა ჭის აღმნიშვნელი იეროგლიფის მსგავსად. მიწის თითოეული ნაკვეთის ფართობი შეადგენდა 900 მუხ (ერთი მუ შეადგენდა 600 კვადრატულ მეტრს. გ. ნ.) ე.ი. ერთი ადგილმამული შეადგენდა დაახლოებით 54 ჰექტარს. “ჭის” ცენტრში იყო განთავსებული ე.წ. “საზოგადოებრივი მიწა” ანუ “ბელადის მიწა” (“გუნ-ტიან”), რომლის ფართობიც შეადგენდა ას მუხ ანუ ექვს ჰექტარს. ეს უკანასკნელი ფაქტობრივად ეკუთვნოდა სამხედრო ბელადს ან არისტოკრატიული წარმოშობის წარჩინებულებს. ამ “ბელადის მიწას” რიგრიგობით ამუშავებდა რვა ოჯახი. გარდა ამისა, თითოეულ ოჯახს გააჩნდა საკარმიდამო მიწა თავისი პირადი სარგებლობისათვის ას-ასი მუხ მოცულობით. ამ პირად მფლობელობასა და სარგებლობაში მყოფ მიწებს ეწოდებოდა “სი ტიან”. ეს რვა ოჯახი ვაღდებული იყო პირველ ყოვლისა დაემუშავებინა ეს სათემო ანუ “ბელადის” მიწა და მხოლოდ ამის შემდეგ მიეხედა თავისი კარმიდამოსათვის.

ძვ. წ. პირველ ათასწლეულში ჩინეთში ხალხის შეგნებაში სათემო, საზოგადოებრივი საკუთრება დიდი სიყვარულით სარგებლობს: “დაე, წვიმამ ჯერ ჩვენი სათემო ყანები მორწყას და მერმე ჩვენი პირადი”, ამბობს ხალხური ლექსი. “ში-ძინის” ხსენებული ლექსის გვიანდელი კომენტატორი ქებით იხსენიებდა ძველ მეფეთა აგრარულ პოლიტიკას და წერდა: “ასე აჩვენდნენ შრომას მთელ ხალხს და ის (ხალხი) მოხარული იყო უპირველეს ყოვლისა თავისი საზოგადოებრივი საკუთრებით და მხოლოდ ამის შემდეგ საკუთარით, კერძოთი”.

ჩინური სამართლის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ლეგისტების ერთ-ერთი მამამთავრის ლი კუის მოღვაწეობას. ლი კუი (დაახლ. ძვ. წ. 450-390 წწ.) იყო ქვეყნის

ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის მომხრე. ის იყო კარის დიდი მოხელე, ეკონომისტი და იურისტი. მას შეუდგენია “კანონთა წიგნი”, რომელიც ექვსი თავისაგან შედგებოდა. საკანონმდებლო ძეგლის პირველი თავი ეძღვნებოდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებებს. აქ იგრძნობა, რომ სახელმწიფო თავის ერთ-ერთ ამოცანად საკუთრების დაცვას თვლიდა.

კანონთა წიგნის მეორე თავში ლაპარაკი იყო ისეთ დანაშაულებებზე, როგორცაა ქურდების დაფარვა, დოკუმენტების მოპარვა-მოტყუება, ყალბი დოკუმენტების დამზადება და ა.შ. აქაც აშკარად იგრძნობოდა სახელმწიფოს დაინტერესება კერძო მესაკუთრეთა ინტერესების დაცვით სოციალური ურთიერთობების ოპტიმალური მოწესრიგებით, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებით.

მესამე თავი ძირითადად განაჩენთა გამოტანის საკითხს ეძღვნებოდა. მეოთხე თავში ლაპარაკი იყო სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, სასამართლოში გამოძახების, დაპატიმრების წესების შესახებ.

სამართლის წიგნის მეხუთე თავს ერქვა “სხვადასხვა კანონები”. აქ ვხვდებით კანონებს დანაშაულის განუცხადებლობისათვის სასჯელის შესახებ. ცალკე იყო გამოყოფილი გამოძალვის, მექრთამეობის და გარყვნილების როგორც დანაშაულთა შემადგენლობები.

მექვსე თავში განხილული იყო სასჯელების განსაზღვრის და შეფარდების საკითხები.

ჩინური სამართლის ისტორიკოსები თვლიან, რომ ლი კუის “კანონთა წიგნი” იყო სანიმუშო პრეცედენტი და ამოსავალი წერტილი ჩინური სამართლის მომავალი კოდოფიკაციისათვის.

თუ კონფუციუს საზოგადოებრივი მორალის საფუძველად ხუთი ურთიერთობა – ჰუმანურობა, სამართლიანობა, რიტუალის შესრულება, გონივრულობა და ადამიანებისადმი ნდობა მიაჩნდა, ლევისტები ამ მოსაზრებას არ იზიარებდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ადამიანი თავისი ბუნებით ბოროტია და ამიტომ ხელმწიფემ ადამიანები უნდა მართოს მათი დაშინებისა და შემდეგ მათი ნატურალური დაინტერესების პრინციპებიდან გამომდინარე.

სახელგანთქმული ჩინელი ისტორიკოსის სიმა ციანის (ძვ. წ. 145 – 86) თხზულებიდან ყიგებთ, რომ ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისში ჩინეთის ერთ-ერთ სამეფოში (ჩუ) მჩქეფარე საკანონმ-

დებლო საქმიანობას ქჷონდა ადგილი გამოდიოდა კანონები და კანონთა კომენტარები.

ჩინეთის სახელმწიფოსა და ჩინური სამართლის ისტორიაში დიდი როლი შეასრულა ცინის სამეფოს მინისტრმა შან იანმა, იგივე გუნსუნ იანმა (390 -339). მან მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა, ფორმალურად ხელუხლებელი დატოვა ლი კუის კოდიფიკაცია, მაგრამ კოდექსში მაინც შეიტანა ასე თუ ისე ახალი ნორმებიც.

შან იანის ინიციატივით შექმნილ კანონებში აშკარად ჩანს ის შეხედულება, რომ პიროვნება არის მხოლოდ სახელმწიფო მანქანის ჭანჭიკი. ინდივიდს, ამ ცოცხალ ჭანჭიკს სახელმწიფოში იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენაც ის სახელმწიფო მანქანის ნორმალურ მუშაობას უწყობს ხელს. შან იანის ინიციატივით შემოღებულ იქნა კანონი, რომლის თანახმადაც სამეფოს ყველა ქვეშევრდომი ვალდებული იყო თვალყური ედევნებინა ერთმანეთისათვის.

შან-იანის წინადადებით, ცინის სამეფოში სასოფლო და სამოქალაქო თემის შიგნით ხუთ-ხუთი და ზოგან ათ-ათი ოჯახი ერთმანეთთან დააკავშირეს ურთიერთთავდებობით. ეს ოჯახები ერთმანეთს თვალყურს ადევნებდნენ, ვინმე ხომ არ ჩადიოდა სახელმწიფო დანაშაულს. სახელმწიფო წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დაფარვისათვის სიკვდილით სჯიდნენ, ხოლო დამსმენებს აჯილდოებდნენ ისევე, როგორც ჯარისკაცებს, რომელთაც მტერს მოკვებეს თავი. ურთიერთთავდებობის კანონი შემოღებულ იქნა არმიაშიც. თუ ერთი ჯარისკაცი უღალატებდა სახელმწიფოს, ურთიერთთავდებობით დაკავშირებული ხუთეულის ოთხი სხვა უდანაშაულო წევრიც სიკვდილით ისჯებოდა.

შან იანის დროინდელ ჩინურ სისხლის სამართალში იგრძნობა სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის მორჩილებითი ურთიერთობა, სახელმწიფოს სურვილი, სასტიკი სასჯელის მეშვეობით დააშინოს ქვეშევრდომები და მორჩილებაში იყოლიოს ისინი. თვით შან იანის აზრით, მეფემ მიიმე დანაშაულისათვის მკაცრად რომ დასაჯოს დამნაშავე, ხოლო მსუბუქისათვის – მსუბუქად, ამით ის დანაშაულობას ვერ აღმოფხვრის. სულ მცირე სახელმწიფო დანაშაულისათვისაც კი სასტიკად უნდა დაისაჯოს დამნაშავე, მხოლოდ სასტიკი სასჯელებით შეიძლება წესრიგის დამყარება სახელმწიფოში. რა თქმა უნდა, შან იანი მხოლოდ როზგებითა და ქვეშევრდომთა გაჯოხვით არ ცდილობდა ქვეყნის

მართვას. ის გრძნობდა, რომ საჭირო იყო მათი მატერიალური დაინტერესებაც, მაგრამ ის პირველ ადგილს მაინც სახელმწიფოში დამსჯელ ორგანოებს ანიჭებდა. შან იანის აზრით სახელმწიფოში დასჯილთა რიცხვი გაცილებით უნდა ჭარბობდეს დაჯილდოებულთა რიცხვს, და რამდენადაც დასჯილთა რიცხვი გადააჭარბებს დაჯილდოებულთა რიცხვს, სახელმწიფო მით უფრო ძლიერი იქნება. თვით სახელმწიფო მოხელეც კი, თუ ის თათბირზე დააგვიანებს, სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

ძვ. წ. IV საუკუნის ჩინეთში უკვე დაწყებული იყო ბრძოლა ე.წ. სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სამეცნიერო ლიტერატურის წინააღმდეგაც. შან იანის აზრით სახელმწიფომ უნდა მოსკოს თავისი მოწინააღმდეგეები – “ტილები”. იმპერატორმა ცინ შიხუანდიმ (ძვ. წ. 259 -210 წწ.) ბრძანება გასცა მოესპოთ ჩინური და მსოფლიო პოეზიის უმშვენიერესი ძეგლი “ში-ჰინ” (“სიმღერების წიგნი”). მისივე განკარგულებით 460 განათლებული ჩინელი, კონფუციის მოძღვრების მიმდევარი, ცოცხლად დამარხეს მიწაში. დაწესდა სახელმწიფოს მონოპოლია პურით ვაჭრობაზე, მარილისა და რკინის მოპოვებაზე. სურსათითა და იარაღით არმიის მომარაგებაზე.

ცინ ში-ხუანდიმ გააერთიანა ჩინეთი, შემოიერთა ექვსი სამეფო და ძვ. წ. 211 წელს გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც მანამდე მოქმედი კანონმდებლობა გააუქმა და მთელი იმპერიისათვის ერთიანი კანონმდებლობა შემოიღო.

მაგრამ სასტიკმა, ლეგისტების მოძღვრებაზე დამყარებულმა კანონმდებლობამ ჩინეთში საწინააღმდეგო რეაქციაც გამოიწვია. თანდათანობით კვლავ მომძლავრდნენ კონფუციის მოძღვრების მიმდევრები. ამასთან ერთად, მოხდა ლეგიზმის და კონფუციის მოძღვრების გარკვეული შერწყმა-შედნობა ერთმანეთთან.

ლეგიზმის და კონფუციის მიმდევართა ბრძოლა ასე თუ ისე ჩინეთში დღემდე გრძელდება. მათ ძედუნის მმართველობის წლებში აშკარად იგრძნობოდა ჩინელი კომუნისტების მხრივ ლეგიზტური იდეების აღიარება. 1975 წლის 1 აგვისტოს გაზეთი “უენმეიბაო” წერდა, რომ იძულებითი მეთოდებით ქვეყნის მართვა წარმოადგენს ისტორიულ აუცილებლობას. ხოლო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიდერი ამაყობდა იმით, რომ მას ცინ ში-ხუანდს აღარებდნენ.

იმპერატორ ჯან-დის ინიციატივით ახ. წ. 79 წელს მოეწყო

იდეოლოგიური საკითხებისადმი მიძღვნილი დისკუსია. ამ დისკუსიას კონფუციის მოძღვრების ისტორიაში იგივე ადგილი უჭირავს, როგორც 325 წელს მოწვეულ ნიკეის საეკლესიო კრებას ქრისტიანობის ისტორიაში. აქედან მოყოლებული კონფუციის მოძღვრება ოფიციალურად აღიარებულ ეთიკურ-პოლიტიკურ იდეოლოგიად იქცა. ეს იდეოლოგია კი წარსულზე იყო ორიენტირებული. “შე მიყვარს და მწამს ძველი” – აი, კონფუციის უმთავრესი ლოზუნგი.

ხანის დინასტიის ბატონობის პერიოდში (ძვ. წ. 206- ახ. წ. 220 წწ.) ჩინეთში წელი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროგრესი შეიმჩნეოდა. იმარჯვებდა ფეოდალური წესწყობილება. ახ. წ. 280 წელს სიმა იანის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად მიწები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. მიწების ხელახალი გადანაწილების შედეგად ადგილ-მამულის მფლობელებად იქცნენ ისეთებიც, რომელთაც წინათ უძრავი ქონება არ გააჩნდათ. ამის შედეგად გადასახადის გადამხდელთა რიცხვი 7,6 მილიონიდან 16,1 მილიონამდე გაიზარდა.

ახ. წ. 477-485 წლებში მიწა სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა ჩრდილოეთ ჩინეთშიც.

ახალი კანონები იქნა მიღებული სუის (581-618) და ტანის (618-907 წწ.) დინასტიების ხანაშიაც.

ტანის პერიოდის კანონმდებლობა მიწის ფაქტობრივი გაყიდვის შესაძლებლობას იძლეოდა. მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებისათვის იურიდიულადაც დაშვებული იყო პრივილეგია გაეყიდათ ადგილ-მამული. 755 წელს ჩინეთის სოფლებში ცხოვრობდა 53 მილიონი გადასახადის გადამხდელი გლეხკაცი, აქედან მხოლოდ 8,2 მილიონი იხდიდა გადასახადს სახელმწიფოს სასარგებლოდ. იმპერატორ ჯაო-სიუის (1067 - 1085 წწ.) დროს შემოღებულ იქნა ე.წ. “ახალი კანონები”.

XI საუკუნეში გატარებული რეფორმების მიზანი იყო ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება, სახელმწიფო შემოსავლის გადიდება, საგადასახადო სისტემის მოწესრიგება. სახელმწიფო გლეხებს აძლევდა კრედიტს წლიურად 40 პროცენტი სარგებლის გადახდის პირობით, მაშინ, როდესაც მევახშეები წლიურად ორას პროცენტსაც კი თხოულობდნენ დებიტორისგან.

მონღოლების ბატონობა ჩინეთში (1279-1368) აღინიშნა ეკონომიკური და კულტურული დონის დაქვეითებით.

მინის დინასტია (1368-1644 წწ.) არ გამოირჩეოდა ახალი

საკანონმდებლო იდეებით. ის ფართოდ იყენებდა ადრეულ საკანონმდებლო ძეგლებს, რომელთაც ზოგჯერ უმნიშვნელოდ ცვლიდა.

ასევე იქცეოდა მომდევნო – მანჯურთა დინასტიაც (1644 – 1911 წწ.).

ტიანის დინასტიის დროს მიღებული კანონები ხშირად განმეორების საგანი იყო როგორც ჩინეთში, ისე მის საზღვრებს გარეთაც. მაგალითად, ტიაროს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც იაპონიაში გამოიცა VIII საუკუნის დასაწყისში (702 – 718), თითქმის მთლიანად გადმოწერილია ტიანის დინასტიის სისხლის სამართლის კოდექსიდან.

653 წლის კოდექსს იმეორებდა 963 წლის კოდექსი. ჩინეთის სისხლის სამართალი თითქმის უცვლელად მოქმედებდა ჩინეთის მიერ დაპყრობილ ვიეტნამში.

ვიეტნამის 1815 წლის კოდექსი თითქმის მთლიანად იყო აღებული ჩინეთში მანჯურთა დინასტიის დროს მიღებული სამართლის წიგნებიდან. ვიეტნამელ წარჩინებულებს არაერთხელ აუღიათ ძველი ჩინური რეჟიმის არსენალიდან საშუალებები თავიანთი საკუთარი ხელისუფლების შესანარჩუნებლად.

მოკლედ შევჩერდეთ ჩინური სამართლის ძირითად ნიშნებზე. ჩინეთში რომ უძველეს ხანაში მიწებზე სათემო-სახო-გადიდობრივი საკუთრება იყო გაბატონებული, ამის შესახებ უკვე გვქონდა მსჯელობა ე.წ. “ჭების” სისტემასთან დაკავშირებით. ჭების სისტემა მოიშალა ძვ.წ. 594 წელს ღუს სახელმწიფოში თემის (ბელადის) მიწის დამუშავების ბეგარა შეიცვალა ნატურალური გადასახადით. ხოლო ძვ. წ. IV საუკუნისათვის მიწების ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

მიწის სამეფო (სახელმწიფო) საკუთრება ძალიან ადრე განვითარდა ჩინეთში. “სიმღერების წიგნში” იხსენიება სახელმწიფო ადგილ-მამული, რომელიც 30 ლის ე.ი. 17-18 კილომეტრის სიგრძეზე იყო გადაჭიმული და რომელსაც 20 ათასი კაცი ამუშავებდა.

ჩინეთის ისტორიისათვის დამახასიათებელია ხანგრძლივი საუკუნეობრივი ბრძოლა, ერთი მხრივ, სათემო სახელმწიფო საკუთრებასა და, მეორე მხრივ, კერძო საკუთრებას შორის. მიუხედავად იმისა, რომ ძველ ჩინეთში დროდადრო კულტურისა და ეკონომიკის განვითარება მაღალ დონეს აღწევდა, ჩინურ სამართალს მაინც არ გააჩნდა სპეციალური ტერმინი საკუთრების

უფლების გამოსახატავად. ჩინელები საკუთრების უფლებას გამოსატყვევებდნენ ზმნით "იუ", რომელიც ნიშნავდა ქონას და ყოლას. ზმნა "იუ" საკუთრების ქონის მნიშვნელობით ცნობილია ჯოუს ეპოქის ბოლო წლებიდან. ჩინური სამართლის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ნიდა ნობორუ სამართლიანად მიუთითებდა, რომ ჩინეთში უკვე ტანის ეპოქის სამართლისათვის ცნობილი იყო ნივთების საკმოდ განვითარებული კლასიფიკაცია.

ახალი წელთაღრიცხვის VII - XII საუკუნეების ჩინური სამართალი უკვე იცნობდა საკუთრების სამ ფორმას: 1) კერძოს ("სი"). ნიდა ნობორუ ცალკე გამოყოფს 2) სახელმწიფო-სახანძროს ("გუან") და 3) საზოგადოებრივ, ბუდისტებისა და სხვა რელიგიური ორგანიზაციების საკუთრებასაც. ზოგიერთ შემთხვევაში სამართალი აღიარებდა პირადი საკუთრების უფლებასაც ("ძი"). ჩინური სამართალი მკაცრად იცავდა საკუთრებას არა მარტო სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალებებით, არამედ სასჯელების გამოყენებითაც. თუ რომელიმე სახელმწიფო მოხელე სხვას, კერძო მესაკუთრეს, ერთი მუს ოდენობის (600კვ. მეტრი) მიწის ნაკვეთს წაართმევდა, დამნაშავეს მსხვილი ჯოხით სამოცჯერ გაჯახებდნენ.

ჩინური სამართალი ერთმანეთისაგან ანსხვავებდა ოჯახს და საგამოსაღებო კომლს. ოჯახს ერქვა "ძია", ხოლო საგამოსაღებო კომლს (საგადასახადო ერთეულს) "ხუ". შესაძლებელი იყო ოჯახი და საგამოსაღებო კომლი ერთმანეთს დამთხვეოდა.

როგორც ოჯახის, ასევე საგამოსაღებო კომლის წევრები ერთმანეთთან დაკავშირებულნი იყვნენ სისხლისმიერი ნათესაობით. მათ შორის განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ ოჯახის წევრები აღწერის დროს შეიძლებოდა შეეტანათ როგორც ერთ, ისე სხვადასხვა სიაშიც, ხოლო საგამოსაღებო კომლის წევრები ყოველთვის ერთ სიაში უნდა შეეტანათ.

ერთ სიაში შეტანილნი, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ ერთი რომელიმე მათგანის გარდაცვალების შემთხვევაში სამგლოვიარო ტანსაცმლით შემოსილიყვნენ, შეადგენდნენ ერთ ოჯახს. გლოვის ნათესავები, თუნდაც სხვადასხვა სიაში ყოფილიყვნენ შეტანილნი, შეადგენდნენ ერთ ოჯახს. ძველ ჩინეთში ოჯახის დამახასიათებელი ნიშანი იყო მისი წევრების ერთად ცხოვრება, ხოლო ერთად მცხოვრებლებად ითვლებოდნენ ის ნათესავები, რომელთაც საერთო ქონება გააჩნდათ, მიუხედავად იმისა, იყვნენ თუ არა ერთ სიაში შეტანილნი.

ამასთან, ერთად მცხოვრებლებად ითვლებოდნენ ის პირები, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ ერთმანეთისათვის ეტარებინათ სამგლოვიარო ტანსაცმელი. ერთი წლით სამგლოვიარო ტანსაცმელი უნდა ეტარებინათ შვილიშვილებს პაპის და დიდდის გარდაცვალების შემთხვევაში, ქმარს ცოლის გარდაცვალებისას, აგრეთვე და-ძმებს ერთმანეთის გარდაცვალების შემთხვევაში.

ასეთმა ჩვეულებამ გაურკვეველი გახადა ჩინეთში საოჯახო საკუთრების არსებობა-არარსებობის საკითხი. ნიიდა ნობორუს მიაჩნია, რომ ჩინეთში არსებობდა საერთო-საოჯახო საკუთრება, ხოლო სიგა სიუძო მის არსებობას უარყოფს. როგორც ჩანს, გარკვეული შესლუდეკებით, მაგრამ ოჯახის თავი მაინც ითვლებოდა ოჯახის ქონების მესაკუთრედ.

ჩინური ნასყიდობის საბუთებში, რომლებიც მიწის გასხვისებას ეხება. მითითებული იყო, რომ "მოწმებმა" საჩუქრის სახით მიიღეს ღვინო. მოწმე ამ შემთხვევაში იყო ადგილ-მამულის გამსხვისებელის, ახლო ნათესავი, გასახსვისებელი მიწის ნაკვეთის მიმართ ტრადიციულად გარკვეული პრეტენზიის მქონე პირი. ამიტომაც მათთვის საჩაღაურის მიცემა გარიგების აუცილებელი კომპონენტი იყო.

ჩინეთის სამართალი ორიგინალური სამართლებრივი სისტემა იყო, რომელზედაც სხვა ქვეყნების სამართალს არ მოუხდენია ზეგავლენა. ეს ჩანს ჩინეთის სამართალის ყველა დარგიდან. მათ შორის საოჯახო სამართლიდანაც. ძვ. წ. XII-V საუკუნეების ვითარება აისახა "სიმღერების წიგნში" ("ში-ძინ"). აქ დამაჯერებლადაა დადასტურებული ოჯახის, როგორც ხალხის ხნობის ციტადელის, დიდი როლი საზოგადოებაში. უძველეს ხანაში ჩინეთში არსებულან ქალაქ-სახელმწიფოები ("გო"), რომელთაგან უდიდესში მხოლოდ რამდენიმე ათასი კომლი ცხოვრობდა და სადაც თითქმის ყველანი ერთმანეთს იცნობდნენ. აქედან წარმოიშვა შეხედულება სახელმწიფოზე, როგორც ოჯახზე. ხალხის წარმოდგენით სახელმწიფო დიდი ოჯახია და მასში ისეთივე იდეალური წესრიგი უნდა სუფევდეს როგორც ოჯახში. ჩინურ საოჯახო სამართალში შეინიშნებოდა გვაროვნული წყობილებიდან მომდინარე ზოგიერთი რეალია. მემკვიდრეობა გადადიოდა არა მხოლოდ მამიდან ვაჟიშვილზე, არამედ უფროსი ძმიდან უმცროსზეც. ეს უნდა იყოს გადმონაშთი იმ დროისა, როდესაც მემკვიდრეობა გვარში უხუცესზე გადადიოდა.

ძვ.წ. XII-V საუკუნეებში ჩინეთში ქალის მდგომარეობა არ

უნდა ყოფილიყო დაბალი, მაგრამ მოგვიანებით ვითარება შეიცვალა. ქალი შებოჭეს პატრიარქალური ჩვეულებების ბორკილებით. ფეოდალურ ჩინეთში გავრცელებული იყო ანდაზა, რომ ქალიშვილი ეს ისეთი საქონელია, რომელსაც ზარალი მოაქვს.

კონფუციის მოძღვრების ბატონობის ხანაში, რომელიც თითქმის ორ ათას წელიწადს გრძელდებოდა, ჩინური ოჯახის საფუძველი ქორწინება კი არ იყო, არამედ ოჯახი იყო ქორწინების საძირკველი. ბედნიერებას მოწყურებული ახალგაზრდების შეერთებით კი არ იწყებოდა ოჯახი, არამედ ოჯახით და ოჯახის უფროსის ნებით, ოჯახის საჭიროებისათვის იღებოდა საქორწინო ხელშეკრულება დაინტერესებულ ოჯახთა შორის.

ქალის უმთავრეს მოვალეობად ითვლებოდა ვაჟიშვილის გაჩენა, ქალი ვალდებული იყო თავისი ქმრის მშობლები საკუთარ მშობლებზე ძლიერ ყვარებოდა. ქალი ვალდებული იყო ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მოეთმინა დედამთილისაგან. მეუღლისაგან ერთგულების მოთხოვნის უფლება გააჩნდა მხოლოდ მამაკაცს.

შინაბერა ქალების კატეგორია თითქმის უცნობი იყო ჩინეთისათვის, ყველა ქალი თხოვდებოდა, ანდა ვინმეს მხევალი მაინც ხდებოდა.

ქვირე ქალს ჩინეთში ხელახლა გათხოვების უფლება არ გააჩნდა. ეს უფლება მან მხოლოდ 1950 წელს მიიღო.

ჩინეთი და ჩინური კულტურა ცნობილი იყო ქართველებისათვის უძველესი ხანიდან, შოთა რუსთაველმა იცოდა ჩინური ტრადიციის შესახებ, რომლის თანახმადაც საუკეთესო ჩინური თხზულებები ქვებზე, ქვის სტელებზე იყო ამოკვეთილი. ჩინეთში ე.წ. “ქვის ბიბლიოთეკების” არსებობა ქართულ ფოლკლორშიც აისახა. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ქართველებს X-XII საუკუნეებში სპარსელი ვაჭრებისა და სპარსული ლიტერატურის მეშვეობით გარკვეული და სწორი წარმოდგენაც კი ჰქონდათ ჩინური სამყაროს შესახებ. არც ის გარემოება არის გამორიცხადი, რომ სპარსელ ვაჭრებთან ერთად ქართველებიც აღწევდნენ შორეული ჩინეთის ქალაქებს.

შოთა რუსთაველის თხზულებაში ერთგან ასეთი ლექსი იკითხება: “ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია: “ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია(854)”.

ჩვენი აზრით რუსთაველს აქ მხედველობაში აქვს ჩინური პოეზიის უძველეს ძეგლში “ში-ძინ“-ში მოთავსებული მცირე ოდა “მეგობრობის შესახებ”, სადაც გატარებულია ასეთი აზრი, თუ

ჩიტი ეძებს მეგობარს, მით უფრო ადამიანი ვალდებულია ეძებოს მეგობარი.

მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით ჩინეთის შესახებ ფახრედინ გორგანის თხზულების “ვის ო რამინის” ქართულ თარგმანში – “ვისრამიანში”, მათ შორის ქვაზე აღბეჭდილ შეგონებაზე იმის შესახებ, რომ მიჯნურებს ჯოჯოხეთი “სამოთხედ უჩანს; რა მოყვარესა ახლავს, მიჯნურსა, თუ პილწიცაა, მას ვტრფიალებს, მინდარი ვენახად უჩანს, თოვლი – წალკოტად, მიჯნური მთვრალსა ჰგავს, რომელ რა კაცსა ეთროს, ჭირი და ღზინი ეუელა სწორად უნს”

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჩინეთში ბრძნული აზრები იყო ამოკვეთილი, გორგანის და რუსთაველის თხზულებათა მეშვეობით და, შესაძლოა, სხვა წყაროებითაც ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში. ეს მოტივი გვხვდება ქართულ ფოლკლორშიც: “როსტომ თქვა: ერთი ქართული ჩინეთის ქვაზე სწერია, - ვისიც მე ვიყავ ერთგული, ის გახდა ჩემი მტერია”.

ტანის ეპოქის (618 -907) ჩინეთში მსხვილი სპარსელი ვაჭრები ხშირად იხსენიება წყაროებში, პოეტ ლი-შან-ინის (812-858) თქმით, საოცრება იქნებოდა “ღარიბი სპარსელის” ხილვა. როგორც ჩანს, მდიდარი სპარსელი ვაჭრები მრავლად ყოფილან ჩინეთში. იქ ისინი უპირატესად ძვირფასი თვლებით ვაჭრობდნენ თურმე და ძვირფასი ქვების მცოდნეებად ითვლებოდნენ. ასეთი ურთიერთობა ჩინეთსა და სპარსეთს შორის უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჩინეთის სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ გარკვეული ინფორმაცია გააჩნდათ სპარსეთში და საფიქრებელია, საქართველოშიც.

ძველი ბაბილონის სახელმწიფო და სამართალი

1. ძველბაბილონური სამართლის წყაროები და სისტემა

ძველი ეგვიპტური კულტურის მაღალი დონის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ძველი ეგვიპტიდან ისეთ სამართლებრივ ძეგლს, როგორიცაა ხამურაბის კანონები, ხეკნამდე არ მოუღწევია. მთელ ძველ სამყაროში, მოყოლებული ძველი ეგვიპტის სამეფოს პირველი დინასტიიდან ვიდრე აღექანდრე მაკედონელის მიერ ეგვიპტის დაპყრობამდე,

უძველესი შუმერული კანონებიდან (ძვ. წ. XXIV ს.) ვიდრე რომის სამართლის კლასიკური ხანის ძეგლებამდე, სამართლის ისტორიას არ მოეპოვება ხამურაბის კანონების შესადარი წყარო. ის იმდენად ძვირფასი ისტორიულ-იურიდიული ძეგლია, რომ ზოგიერთი მკვლევარი მას არა მხოლოდ ბაბილონის, არამედ მსოფლიო ისტორიის უძვირფასეს წყაროდ თვლის და სამართლიანადაც ხამურაბის კანონები შედგენილი ყოფილა ქრისტეს შობამდე მეთვრამეტე საუკუნეში (ძვ. წ. 1792 - 1750) ძველ ბაბილონში, ერაცის დედაქალაქის - ბაღდადის მახლობლად. იგი 1901 წელს აღმოაჩინეს ფრანგმა არქეოლოგებმა სპარსეთის ტერიტორიაზე სუზაში (ძველი შუშანი). ამ აღვილას ძველ აღმოსავლეთში ცნობილი სახელმწიფოს - ელამის დედაქალაქი იყო. ფიქრობენ, რომ ელამელების ენა ზაგროსის მთიანეთში მცხოვრებ სხვა ტომების ენებთან ერთად ენათა ცალკე ჯგუფს ეკუთვნოდა. თვით ელამური სამართლის შესახებ არსებობს პ. კოშაკერის, კლიმას, მეიერის ნაშრომები. როგორც უკვე ვთქვით, სუზაში იპოვნეს ბაზალტის შავ სვეტზე დაწერილი ერთ-ერთი უძველესი საკანონმდებლო ძეგლის ტექსტი. სვეტის სიმაღლე შეადგენდა ორ მთელ და ერთ მეოთხედ მეტრს, ხოლო სიგანე აღწევდა ერთ მეტრსა და .65 სანტიმეტრს, ზოგან ერთ მეტრსა და 90 სანტიმეტრსაც კი. სვეტებზე, რომელთა რიცხვიც ოთხ ათეულს აღწევს, წარწერა შესრულებული იყო ლურსმული მონუმენტური დამწერლობის ნიშნებით, რომელთაც ბაბილონურ ხანაში ოფიციალური დოკუმენტებისათვის იყენებდნენ.

ორიგინალის ტექსტი და მისი ფრანგული თარგმანი პირველად 1902 წელს გამოქვეყნდა. მთარგმნელი იყო ცნობილი ფრანგი ასირიოლოგი რ. პ. შეილი.

ამ ძეგლის მრავალი თარგმანი არსებობს ევროპულ ენებზე. ქართულად არსებობს სამი თარგმანი. აქედან ორი რუსულიდან არის შესრულებული, ხოლო ერთი - უშუალოდ დედნიდან, რომელიც გამოიცა 1988 წელს.¹

მომავალში კიდევ არის მოსალოდნელი ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონების ახალი თარგმანები და ახალი ნარკვევებისა თუ გამოკვლევების გამოქვეყნება მათ შესახებ. ძველი ბაბილონის

¹ იხ. ხამურაბის კანონები. აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკნაძემ, თბილისი, 1988, გვ. 3.

საკანონმდებლო ძეგლები კვლავ დიდხანს დარჩება ამოუწურავ თემად სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიკოსებისათვის საერთოდ და განსაკუთრებით ძველი სამყაროს ისტორიის მკვლევართათვის. საქმე არა მარტო იმაში მდგომარეობს, რომ ხაშურაბის კანონები მთელი ეტაპი იყო სამართალგანვითარების პროცესში და იურიდიული აზროვნების ისტორიაში, არამედ იმაშიც, რომ ძველი ბაბილონური კანონმდებლობა ასე თუ ისე მოქმედებას განაგრძობდა მოელი ათას ხუთასი წლის განმავლობაში. ამასთან, კლასიკური ხანის რომის სამართლის ნორმების ჩამოყალიბებამდე, ისინი ასახავდნენ სამართალგანვითარების უმადლეს დონეს მაშინდელი მსოფლიოს სოციალური სინამდვილისათვის, ის თავისი სოციალური იდეალებით თავისი დროის პროგრესული იდეების მატარებელი იყო. თუნდაც ის რად ღირს, რომ კანონმდებელი ცდილობს აღმოფხვრას შურისძიების მავნე წეს-ჩვეულება, შეზღუდოს თვითნებობა და შეიმუშაოს საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესული პრინციპები. ხაშურაბის კანონები შეიცავენ თავისი დროისათვის ისეთ მოწინავე იდეებს, რომელთაც მნიშვნელობა მათი საკანონმდებლო ძეგლში ფიქსირებიდან ოცდაჩვიდმეტი საუკუნის შემდეგაც არ დაუპარგავთ.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებაც, რომ ხაშურაბის კანონები მოქმედი სამართლის როლს ასრულებდა სპარსეთის იმპერიაში, ხოლო ამ უკანასკნელის შემადგენლობაში ერთ დროს საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილიც შედიოდა და საფიქრებელია ქართველებსაც ამის გამო ჰქონდათ შესაძლებლობა და საშუალება გასცნობოდნენ ძველადმოსავლური სამართლის ამ დიდმნიშვნელოვან ძეგლს. ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია შედიოდა აქამენიდების სახელმწიფოს მეთურამეტე სატრაპიაში. სავარაუდოა, რომ ირანელთა რელიგია და სამართალი გარკვეულ გავლენას მოახდენდა ქართველთა სამეფო სახელზე, წარჩინებულებზე. ფიქრობენ, რომ ხაშურაბის კანონების “მუშეკენუმ“-იდან მომდინარეობს სომხური მშაკ და ქართული მუშაკი.

ერთი მკვლევარი მართებულად წერდა: “ხაშურაბის ხელში შუამდინარეთს დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში მოექცა; შუამდინარეთი გაერთიანდა პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად. ამ ერთიანობის დაგვირგვინება იყო კანონების გამოქვეყნება. ქვეყანამ ერთიანი, სავალდებულო სამართალი მიიღო. შუამდინარული

კონცეფციით, სამართალი მეფობის პრინციპული ელემენტია: სამართლის დადგენა, ქვეყნის სამართლებრივი მოწესრიგებს შუამდინარელ მბრძანებელთა უპირველესი მოვალეობა იყო, თუმცა ყველას არ ხვდომია წილად კანონმდებელი ყოფილიყო”.

არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ ბაბილონის მეფის – ხამურაბის კანონები თავიდან ბოლომდე ხსენებული მეფის თავისუფალი შემოქმედების ნაყოფი იყო. მისი უპირველესი წყარო უნდა ვეძიოთ ხალხის ჩვეულებებში, ჩვეულებითი სამართლის ნორმებში, რომელშიც უნდა გადასულიყო და თანდათან გარდაქმნილიყო წინარესამართლებრივი ნორმები. ხდებოდა ისედაც, რომ წინარეკლასობრივი საზოგადოების ჩვეულებები გადადიოდა, წერილობითი სამართლის ნორმებში და ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ კვლავ გავლენას ახდენდა ჩვეულებებზე, ჩვეულებითი სამართლის ნორმებზე. ჩვეულებითი სამართლის ნორმებისათვის დამახასიათებელია გარკვეული ლოკალურობა, გვაროვნულ-თემობრიობა. ერთ თემში სხვა ჩვეულებებს იცავენ, ვიდრე მეორეში. სახელმწიფოს კი ხელს აძლევს სახელმწიფოსმიერი კანონების დაწესება. და როდესაც სახელმწიფო სარგებლობდა ჩვეულებითი სამართლის ნორმით, როგორც საშენი მასალით, ის ყოველთვის ცდილობდა, შესაძლებლობის ფარგლებში მაინც, ამ დაქსაქსული ჩვეულებითი სამართლის ნორმათა გროვაში მოეძებნა რაღაც მათთვის საერთო, გამაერთიანებელი იდეა და ისე აეყვანა კანონის ხარისხში.

ძველი სამყაროსა და საშუალო საუკუნეებისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო წერილობითი საკანონმდებლო ძეგლების ნაკლებობა და თუ აქა-იქ ასეთი ძეგლები არსებობდა, მეტისმეტი ეკონომიკურობით ხასიათდებოდნენ. ისინი საზოგადოებრივ ურთიერთობათა მეტად ვიწრო წრეს აწესრიგებდნენ. ურთიერთობათა უმრავლესობა კვლავ წეს-ჩვეულებებით წესრიგდებოდა.

ტიგროსისა და ეფრატის მიდამოებში – ორმდინარეთში ხამურაბის ეპოქის წინა ხანებშიც არსებულა დაწერილი კანონმდებლობა.¹ ჩვენამდე მოღწეულია უძველესი შუმერული კანონმდებლობის ძეგლები.

შუმერი იყო ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო სამხრეთ

¹ ხამურაბის კანონები. 1988. ზ. კიკნაძის გამოცემა: გვ. 92-93.

შუამდინარეთში, ახლანდელი ერაყის ტერიტორიაზე. სახელწოდება შუმერი აქადურ წყაროებში გვხვდება ძვ. წ. მეოთხე-მესამე ათასწლეულში. თვითონ შუმერები კი თავიანთ თავს, თავიანთ მიწა-წყალს ქალამს უწოდებენ. ქალამი “ქვეყანას” ნიშნავდა. საფიქრებელია, რომ შუმერები შუამდინარეთში ძვ. წ. მეოთხე ათასწლეულის დასაწყისში დამკვიდრდნენ. შუმერებმა შექმნეს პროტოლურსმული¹ დამწერლობა. ძველი წელთაღრიცხვის ოცდამეთერთმეტე-ოცდამეათე საუკუნის დროინდელ ურუქის არქეოლოგიურ ფენაში ამ დამწერლობით შესრულებული ათასამდე თიხის ფირფიტაა აღმოჩენილი.

ჩვენამდე მოღწეულია შუმერის ორ ქალაქ-სახელმწიფოს შორის დაღებული ხელშეკრულება, რომელიც თარიღდება ძვ. წ. ოცდამეთერთმეტე საუკუნით. ლაგაშსა და უმმას შორის დაღებული ეს ხელშეკრულება წარმოადგენს ძვირფას წყაროს საერთაშორისო სამართლის ისტორიისათვის.

ძვ. წ. 2132 – 2024 წლებში შუმერში ურის მესამე დინასტია მეფობდა. მათი ბატონობის დროს შუმერის საზღვრები ხმელთაშუა ზღვისპირეთამდეც კი აღწევდა. ამ პერიოდში შუმერი პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად ძალიან დაწინაურდა.² განვითარდა სოფლის მეურნეობა, შეიქმნა დიდი სახელმწიფო და სატაძრო მეურნეობები; ძირითად მწარმოებელ მასას თავისუფალი მუშა-ხელი შეადგენდა. იყენებდნენ მონების შრომასაც, მაგრამ შეზღუდულად. ხელოსნობაშიც თავისუფალი შრომა იყო წამყვანი. ისტორიის გარიჟრაჟზე სახელმწიფოებრიობის ისეთი დონე, სახელმწიფოსა და ქვეშევრდომთა შორის ურთიერთობის ის მოდელი, რაც ძველ შუმერში განხორციელდა, თავისი ეპოქისათვის უთუოდ პროგრესული და ისტორიული აუცილებლობის თანამთხვევი იყო. აღმოსავლეთმცოდნე მეცნიერების ნაწილი ფიქრობდა, რომ შუმერული ენა ენათესავებოდა ქართულს, მაგრამ დღემდე საბოლოოდ დაუდგენელია

¹ იხ. ჯ. შარაშენიძე. შუმერები და მათი კულტურა. თბ. 1983. ი. მ. დიაკონოვი ძველი წინააზიის ენები. მოსკოვი. 1976 (რუსულ ენაზე). იხ. აგრეთვე კრებული ძველი ისტორიის საკითხები (კავკასიურ-ძველადმოსავლური კრებული), ტ. 4. თბ. 1973. აქ მოთავსებულია ზ. კიკნაძის წერილი “შუმერულ-ქართული ენობრივი პარალელები”.

² ჯ. შარაშენიძე. “შუმერები”, ქსე ტ. XI. აგრეთვე ს.ნ. კრამერი. “ისტორია იწყება შუმერში”. მოსკოვი. 1965 (რუსულად).

შუმერული ენის სხვა ენებთან მიმართების საკითხი. ქართული და შუმერული ენების ნათესაობის შესწავლის პირველი ცდები ეკუთვნის ქართველ ასირიოლოგს მიხეილ წერეთელს (1878 - 1965). შუმერულ-ქართულ ენობრივ პარალელებს სწავლობს პროფ. ზ. კიკნაძე და ა.შ.¹

ყოველ შემთხვევაში, შუმერულში და ქართულში ზოგიერთი ორასამდე საერთო სიტყვას პოულობს, რასაც, ალბათ, სათანადო ახსნა ოდესმე მოეძებნება.

დღეს კი ჩვენ შეიძლება ის მაინც აღვნიშნოთ, რომ შუმეროა უძველესმა კულტურამ გარკვეული გავლენა მოახდინა ბაბილონურზე. არ შეიძლება გამოირიცხოს შუმერული კანონმდებლობის და შუმერული ჩვეულებითი სამართლის ნორმების გავლენა ბაბილონურზე. შუმერები თანდათან შეერწყნენ სემიტებს და გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან.

ვფიქრობთ, რომ ხამურაბის კოდექსის მაღალი სამოქალაქო-სამართლებრივი დონე სხვა ფაქტორებთან ერთად განაპირობა ძველი შუმერული სამოქალაქო სამართლის ტრადიციების შეთვისებამ. არ არის გამორიცხული, რომ ძველი ბაბილონური იჯარის ფესვები შუმერში იყო საძებნი. ხამურაბის ეპოქის ბაბილონური სამართლის ისტორიული სიმაღლე გამოვლინდა იმ გარემოებაშიაც, რომ მასში გათვალისწინებულია იჯარის (არენდის) სხვადასხვა სახეობა, მაშინ როდესაც ძველ ებრაულ კანონმდებლობაში საერთოდ არ იხსენიება იჯარა (არენდა). ბაბილონური კანონები, როგორც აღვნიშნეთ, კარგად ანსხვავებენ იჯარის შემდეგ სახეებს: სახნაუი მიწის იჯარით გაცემა მიღებული მოსავლიდან წილის აღების პირობით. “უკეთუ კაცმა დასამუშავებლად მიწა აიღო, მაგრამ მიწაზე ხორბალი არ მოიყვანა, მიწის სამუშაოს შეუსრულებლობაში უნდა ამხილონ და იგი მიწის პატრონს მომიჯნავე მიწის კვალობაზე ხორბალს გადაუხდის. უკეთუ მოიჯარე ვაღდებული იყო მიწის პატრონისათვის (მეიჯარისათვის) “მომიჯნავე მიწის კვალობაზე” გადაეხადა მარცვალი როგორც მოსავლის წილი. ამასთან ერთად მოიჯარე

¹ იხ. მ. წერეთელი “შუმერული და ქართული”, კრებული “გეირგვინი”, 1913. ი. მ. დიაკონოვი “ძველი წინააზიის ენები”, მოსკოვი. 1967 (რუსულ ენაზე) აგრეთვე კრებული “ძველი ისტორიის საკითხები” (კავკასიურ-ახლო-აღმოსავლური კრებული), ტ. 4, თბ. 1973. აქ მოთავსებულია ზ. კიკნაძის წერილი “შუმერულ-ქართული ენობრივი პარალელები”.

ვალდებული იყო მიგდებული მიწა მოეხნა, დაეფარცხა და ისე ჩაებარებინა მიწის პატრონისათვის. თითქოსდა ძველი ბაბილონის კანონმდებელი გრძნობდა, რომ იჯარა ეს ქონების მარტივი ქირავნობა არ არის. “უკეთუ კაცმა მიწათმოქმედს საღალოდ მიწა მისცა და მიწის ღალაც აიღო, ხოლო შემდეგ მიწა ადადმა დატბორა ან წყალდიდობამ წალეკა, ზარალი მიწათმოქმედისაა” (45-ე მუხლი).

ხამურაბის კანონების 64-ე მუხლის მიხედვით “უკეთუ კაცი თავის ბაღს დასამტვერავად მებაღეს მისცემს, მებაღემ, ვიდრე ბაღი მის ხელშია, ბაღის მოსავლის ორი მესამედი პატრონს უნდა აძლიოს, ერთი მესამედი თვითონ უნდა წაიღოს.”

ადგილ-მამული საიჯაროდ გაიცემოდა მოსავლის სანახევროდ, სამესამედოდ და ა.შ. (46-ე მუხლი). თუ გვალვა ან წყალდიდობა მოსავალს გააფუჭებდა, “მიწაზე ხორბალი” არ მოვიდოდა, ამ წლის საიჯარო ქირის გადახდას აპატიებდნენ მოიჯარეს.

ხამურაბის ეპოქაში შედარებით გავრცელებულია მიწის იჯარით გაცემა მოკლე ხნით – ერთი წლით, ხოლო ბაღებისა – ხუთი წლით. გეხედება ბინების, გემების, ჯორების, ვირების იჯარით გაცემა. შეიძლებოდა მონების გაქირავებაც.

1. სახხანავ-სათესი მიწა იჯარით გაიცემოდა წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის პროდუქტის გადახდის პირობით, მიუხედავად მიღებული მოსავლისა.

2. მებაღისათვის დასამუშავებლად მიწის გაცემა იჯარით მასზე ბაღის გაშენების პირობით.

3. მებაღისათვის გაშენებული ბაღის იჯარით მიცემა მისი მოვლა-პატრონობის პირობით.

ხამურაბის კანონების 47-ე მუხლის მიხედვით, უკეთუ იმის გამო, რომ მოიჯარემ პირველ წელს თავისი ნამუშევარი ვერ ამოიგო და მიწათმოქმედი იტყვის მიწას კვლავ დავამუშავებო, მიწის პატრონი (მეიჯარე) ვერ დაუშლის, მიწა ამ მიწათმოქმედმა უნდა დაამუშაოს. მოსავლის აღებისას მიწის პატრონმა ხორბალი ხელშეკრულების მიხედვით უნდა წაიღოს. იჯარით აღებული მიწისათვის მიწათმოქმედი იხდიდა ან წინასწარ გადაწყვეტილ თანხას (ვერცხლს), ან მოსავლის ნაწილს ნატურით.

რომის სამართალი ვერ ანსხვავებდა იჯარას ვიწრო გაგებით ქონების ქირავნობისა და პირადი ქირავნობისაგან. იჯარას, ქონების ქირავნობასა და პირად ქირავნობას რომის სამართალი ერთი

სახელწოდებით “ლოკაციო-კონდუქციოს” უფლების სახით განიხილავდა. ცხადია, თანამედროვე სამართალი ანსხვავებს იჯარასა და ქონების ქირავნობას. თანამედროვე მოწინავე ქვეყნების კანონმდებლობით, იჯარა არის ისეთი ორმხრივი ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე (მეიჯარე) უზრუნველ-ყოფს მეორე მხარეს (მოიჯარეს) იჯარით გაცემული საგნის გამოყენების უფლებითა და საგნის ნაყოფის ხელშეკრულებისმიერი სარგებლობის უფლებამოსილებით განსაზღვრული დროის განმავლობაში. ამასთან, მოიჯარე ვალდებულია გადაიხადოს საიჯარო თანხა (გერმანიის ფედ. რესპ. სამოქ. სამ. კოდექსის § 581), როგორც ვხედავთ, თანამედროვე სამართლის მიხედვით ქონების დამქირავებლისაგან განსხვავებით მოიჯარეს აქვს არა მხოლოდ იჯარით აღებული ნივთის გამოყენების უფლება, არამედ მისი ნაყოფის მიღების უფლებაც. მიწის მოიჯარეს, განსხვავებით ქონების დამქირავებლისაგან, აქვს საიჯარო ნივთის გაუმჯობესების უფლებაც (მაგ. სამეურნეო ნაგებობების ან ღობეების შეკეთება).

ახლა შეიძლება გავიხსენოთ, რომ ხამურაბის კანონების მიხედვით ზარმაცი მოიჯარე (არენდატორი) ქონებრივად აგებდა პასუხს – “უკეთუ კაცმა სამი წლით ყამირი მიწა გასატეხად აიღო, მაგრამ იზარმაცა და მიწა არ გატეხა, მეოთხე წელს მიწა უნდა მოხნას, დაბაროს, დაფარცხოს დ მიწის პატრონს ჩააბაროს, თან თითო ბურზე ათი გური ხორბალი უნდა მიუწონოს (44-ე მუხლი).

ხამურაბის კანონების 47-ე მუხლის მიხედვით, თუ მოიჯარემ საიჯარო ადგილ-მამულიდან პირველ წელს “თავისი ნამუშევარი ვერ ამოიგო”, მიწის მეპატრონეს (მეიჯარეს) უფლება არა აქვს მოიჯარე აიძულოს შეწყვიტოს ხელშეკრულება და წავიდეს, თუ მოიჯარე იტყვის “მიწას კვლავ დავამუშავებო”, მიწის პატრონი ვერ დაუშლის. სხვათა შორის, განსაზღვრული პირობების არსებობისას მოიჯარეს შეუძლია მოთხოვოს საიჯარო ურთიერთობათა ვადის გაგრძელება.

თანამედროვე სამართალი, რა თქმა უნდა, იჯარაში უფრო რთულ და თან სხვა შინაარსს დებს, ვიდრე ძველი. მაგალითად, გერმანული სამართლის მიხედვით იჯარა არის ორმხრივი ხელშეკრულებით განსაზღვრული ურთიერთობა, რომლითაც ერთი მხარე (მეიჯარე) ვალდებულია, მეორე მხარეს (მოიჯარეს) უზრუნველყოფს საგნის გამოყენება და საგნის ნაყოფის

ხელშეკრულებისმიერი სარგებლობა განსაზღვრული დროით და პირიქით, მეორე მხარე ვალდებულია გადაიხადოს საიჯარო თანხა (გერმანიის სამოქ. სამ. კოდექსის 584-ე მუხლი). ქირავნობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით საიჯარო ხელშეკრულება გულისხმობს არამარტო საგნის გამოყენების უფლებას. ქირავნობის საგანი ასევე შეიძლება იყოს უფლებაც.

მოიჯარის ინტერესების დაცვაში გარკვეული როლი უნდა ეთამაშა ძველ აღმოსავლურ ჩვეულებით სამართალს.

ცნობები ხალხური, ჩვეულებითი სამართლის შესახებ დაცულია ქალაქ ლაგაშის მთავრის (პატესის) ურუნიმგინას (ძველი წაკითხვით ურუკაგინა) კანონმდებლობაში. ურუნიმგინამ, რომელიც ცხოვრობდა ძვ. წ. ოცდამეოთხე საუკუნის მიწურულში, სცადა ძველი საოქმო, ადრეკლასობრივი ურთიერთობების აღდგენა. ამ მიზნით მან ძველი პატრიარქალურ-სათემო ურთიერთობების მოშლელი ახალი ჩვეულებები უარყო და სცადა კვლავ ძველის აღდგენა, სასოფლო თემის რიგითი წევრების ინტერესების დაცვა გამდიდრებული დიდკაცობისაგან. თუ ქონებით აღზევებულმა წარწინებულებმა ხომალდს მიუჩინეს ხომალდის ზედამხედველი, სახედრებს მიუჩინეს მწყემსების ზედამხედველი, ცხვრებს მიუჩინეს ფარეხის ზედამხედველი, ურუნიმგინამ დაიცვა ტრადიციული ადრეკლასობრივი ურთიერთობა, ძველი ჩვეულებითი სჯული და ხომალდს მოაშორა ხომალდის ზედამხედველი, სახედრებს და ცხვრებს მოაშორა მწყემსების ზედამხედველი, ბადეებს მოაშორა მებაღურთა ზედამხედველი და ა.შ.

ძველ შუმერში არსებული პოლიანდრიის ანუ მრავალქმრიანობის ჩვეულება, რომელიც შემდგომ მკაცრად იქნა უარყოფილი. ახალი კანონის მიხედვით მრავალქმრიანობაში შემწნეული ქალები სიკვდილით ისჯებოდნენ.

მაშასადამე, ცხოვრების პირობების შესატყვისად იცვლებოდა ჩვეულებებიც და ამ ცვლილებებში ვლინდება თვით საზოგადოების განვითარებისუნარიანობა და სამართალგანვითარებაც.

ურუნიმგინას მიერ გამოქვეყნებული განკარგულებების ტექსტი შეიცავს ყოველი ხალხისათვის და დროისათვის ისეთ მნიშვნელოვან ცნებას, როგორც არის “თავისუფლება” (ამარგი). ურუნიმგინა სიამაყით ამბობს, რომ მან “ლაგაშის შვილებს თავისუფლება მისცა”. სხვანაირად, კანონიერების აღდგენით გაათავისუფლა ისინი ხელისუფალთა თვითნებობისაგან.

თავისუფლება და კანონიერება ერთ ნაკადად გაცნობიერდა მართალ სამართალში. ამ უკანასკნელში სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ოპტიმალური სასურველი ურთერთობა იგულისხმება. თავისუფლებასა და აუცილებელ სამართლებრივ შეზღუდვებს შორის წინააღმდეგობა თითქოს დაძლეული ჩანს.

ძველ საქართველოში თავისუფლება გაიგებოდა როგორც ბოროტებისაგან გათავისუფლება: “ განჯესხსნნეთ თავნი ჩვენნი შეკრულებისგან ბოროტთასა, რამეთუ ხელმწიფედ თავისუფლება გუაქუს თავთა ჩუენთა ზედა”, ნათქვამია ერთ თხზულებაში (“მამათა ცხოვრება”).

ხამურაბის კანონების მაღალი ისტორიული დონე გამოვლინდა იმ გარემოებაშიც, რომ თითქმის არ ჩანს სისხლის აღების ჩვეულება. ძველი წელთაღრიცხვის მეთვრამეტე საუკუნეში დიდი ცივილიზაციის ამ ოაზისში უკვე დაძლეული ჩანს შურისძიების ინსტიტუტი, მაშინ როდესაც ხამურაბის კოდექსის შექმნიდან სამი ათასი წლის შემდეგ ევროპის და აზიის რიგი განვითარებული ქვეყნების კოდექსებსა და სხვა სახის საკანონმდებლო ძეგლების მიხედვით შურისძიება ჯერ კიდევ არ ჰქონდა მტკიცედ უკუგდებული კანონმდებელს. რიგ ქვეყნებში შურისძიებამ მეცხრამეტე-მეოცე საუკუნემდე გასძლო.

მაგრამ ხამურაბის კოდექსში გვხვდება, ალბათ, ჩვეულებითი სამართლის არსენალიდან გამოსული თვითგასამართლება. შეზღუდულ ფარგლებში ის გამოიყენებოდა სახელმწიფოს ნებართვით, ამიტომ ის უკვე სახელმწიფოსმიერია და ამდენად ვერ ჩაითვლება შურისძიების მოტივით თვითგასწორებად. ხამურაბის კანონების 21-ე მუხლის თანახმად “უკეთუ კაცმა სახლში შესაპარავად ხერელი გათხარა, ამ ხერელის წინ უნდა მოკლან და ჩამოკიდონ”.

ან კიდევ: “უკეთუ ვინმეს სახლში ცეცხლი გაჩნდა და ჩასაქრობად მისულმა კაცმა სახლის პატრონის ჭურჭელს თვალი დაადგა და სახლის პატრონის ჭურჭელი წაიღო, ეს კაცი ცეცხლში უნდა ჩააგდო ” (25-ე მუხლი).

ჩვეულებით სამართლის წიაღიდან უნდა იყოს ნასესხები ხამურაბის კანონში მოხვედრილი კოდექტიური პასუხისმგებლობის გადმონაშთები. მაგალითად, შვილების პასუხისმგებლობა მშობლების მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის და ა.შ. ტალიონისა და სისხლის დაურევების პრინციპებიც, ასე თუ ისე, კვლავ მოჩანს ხამურაბის კოდექსში.

ხამურაბის კოდექსის მორიგი წყარო უნდა ყოფილიყო ორმდინარეთის ქვეყნების ხამურაბამდელი ხანის კანონმდებლობა. მაგ., ჩანს გარკვეული გავლენა ორმდინარეთის შუმერული პერიოდის (ძვ. წ. XXIII – XXI საუკუნეები) კანონმდებლობისა. ამ კანონებიდან ზოგიერთები ქართულ ენაზეც მოგვეპოვება: ლიფით-იშტარის კანონები (ძვ. წ. 1934 – 1924), ბილალამის (ძვ. წ. XX ს.) კანონები და ა.შ.

ხამურაბის კანონები შედგენილია ძვ. წ. მეთვრამეტე საუკუნეში, როდესაც სამეფო ტახტი ბაბილონის პირველი დინასტიის მეფეების ხელში იყო. ისტორიკოსები ხამურაბის მეფობას ძვ. წ. 1792-1750 წლებით ათარიღებენ.

ხამურაბის ხელში ორმდინარეთი (და არა შუამდინარეთი!) გაერთიანდა. უმჯობესია ვთქვათ ორმდინარეთი, ვინაიდან ამ ცნებაში ტიგროსისა და ევფრატის არა მხოლოდ შიდა ნაწილი, არამედ მათი გარეთა სანაპიროების ზოლიც შედიოდა. ხამურაბი აერთიანებს ორმდინარეთის ქვეყნებს ეკონომიკურად, პოლიტიკურად, კულტურულად.

თითქმის ყველა მკვლევარი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ძველი ბაბილონური სამართლის წიგნი შედგენილია კაზუისტურად. კანონთა მუხლები და ნორმები აქ გადმოცემულია ცალკეული შემთხვევების (კაზუსების) მიხედვით.

მეცნიერთა დიდი უმრავლესობა უარყოფს რაიმე სისტემის არსებობას ძველ ბაბილონურ კანონმდებლობაში. მაგრამ, ზოგიერთი მკვლევარი (მაგ. პროფ. ი. ს. დოლიძე)¹ ფიქრობდა, რომ ასეთი უარყოფა საფუძველს მოკლებულია.

ცხადია, არც ერთი მკვლევარი არ უარყოფს იმ გარემოებებს, რომ ხამურაბის კანონებში სამართლებრივი ნორმები და მასალა გადმოცემული არ არის სამართლის ცალკეული დარგების თანამედროვე კლასიფიკაციის მიხედვით. მაგრამ ამასთან ერთად იმასაც აღნიშნავენ, რომ მასში შეიძლება მოვნახოთ რაღაც სისტემა.

მაგ. ი. დოლიძე გამოჰყოფდა კანონებში სამ ნაწილს: კანონთა პროლოგს, კანონთა ეპილოგსა და კანონთა ტექსტს (ავტორი, ალბათ კანონთა ტექსტში ძირითად ტექსტს გულისხმობდა).

კანონთა პროლოგი ღვთისმეტყველური ხასიათისაა, რომელ-

¹ ი. დოლიძე. ძველი აღმოსავლეთის სამართალი. 1960, გ. 136.

შიც გადმოცემულია მეფის ქებათა-ქება, პანეგირიკი, ხამურაბი აქ წარმოდგენილია, როგორც მეფე ძლიერი, მზე ბაბილონისა, შუმერისა და აქადისა”, ღმერთ მარდუქისაგან ქვეყნისათვის კეთილ ზნეთა სასწავლებლად წარმოგზავნილი და ა.შ.

კანონთა ეპილოგში ხამურაბის პოეტური ხოტბაა მოცემული: “აჰა, სამართალი მართალი, რომელიც ხამურაბიმ, მეფემ ძლიერმა, დაადგინა და ქვეყანას მტკიცე წესი და სასიკეთო მართვა-გამგეობა მიაღებინა”.

კანონმდებელი ხალხს პირდებოდა, რომ ძლიერს არ დააჩავგრინებდა სუსტს, ობოლს და ქერივს დაიცავდა, დაუძღურებულს სამართალს არ დაუკავებდა და ხელს გაუმართავდა.

ეპილოგში მითითებულია, რომ ვინც კანონებში ხამურაბის სახელს ამოფხეკს და თავის სახელს წააწერს, მას “დიდი ანუ” კვერთხს გაუტეხს და ბედს დაუწყევლის. სჯულმდებელ მეფეს სურდა ღვთიური ღოცვით უზრუნველყო თავისი კანონების მარადიულობა.

თვით ხამურაბის ტექსტი 282 მუხლისაგან შედგება. სამართლის ისტორიკოსთა ერთი ნაწილი, მაგ. ს.ფ. კეჩეკიანი, მასში ასეთ სისტემას ხედავს: 1. სასამართლო, 2. საკუთრება, 3. ქორწინება და ოჯახი, 4. პიროვნების დაცვა, 5. შრომა და შრომის იარაღები.

კოდექსის პირველი ხუთი მუხლი ეხება სასამართლო წარმოებას, საკუთრების დაცვას და საკუთრებას – სამართლის მე-6-126-ე მუხლები, ქორწინებასა და ოჯახს – 127-195-ე მუხლები, პიროვნების დაცვას – 106-214 მუხლები, შრომასა და შრომის იარაღებს – 215-282-ე მუხლები, ასე წარმოგვიდგება ხამურაბის კანონების გარეგნული სისტემა. გარდა ამისა, ძველბაბილონურ სამართალს ახასიათებს შინაგანი სისტემაც, რამდენადაც ის თავისი დროის სახელმწიფოებრიობას და სოციალურ ინსტიტუტებთან იყო შინაგანად შეთანხმებული და შეესატყვისებოდა ბაბილონის იმპერიის ხალხთა მნიშვნელოვანი ნაწილის მართლშეგნებას.

ხამურაბის კანონებმა თითქმის ათას ხუთასი წლის განმავლობაში შეასრულა ცივილიზებული კაცობრიობის უპირველესი სამართლის წიგნის როლი. ხამურაბის კოდექსმა გავლენა მოახდინა არა მარტო სპარსეთის მსოფლიო მონარქიაში შემავალი ქვეყნებისა და ხალხების კანონმდებლობაზე და ხსენებული ხალხების მართლშეგნებაზე. მან გარკვეული ზეგავლენა იქონია

დასავლეთის ქვეყნებზეც: კერძოდ, ბერძნულ-რომაულ სამართალშიც შეიმჩნევა ხამურაბის კანონმდებლობიდან მომდინარე იმპულსები.

ხამურაბის კანონების უდიდეს მნიშვნელობას აღნიშნავდა მისი პირველი გამომცემელი ასირიოლოგი შეილი, გამოჩენილი ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე აკადემიკოსი ბ. ა. ტურაევი, აკად. ვ. ვ. სტრუვე, გ. დრაივერი და ჯ. მაილზი... მრავალი სხვა მკვლევარიც. კლასიკური ხანის რომის სამართლის ჩამოყალიბებამდე სწორედ მეფე ხამურაბის კანონები იყო მსოფლიო სამართალგანვითარების დონის მაჩვენებელი ძეგლი.

აკად. ვ. ვ. სტრუვე ახასიათებდა რა ხამურაბის კოდექსს, წერდა: “ძველი აღმოსავლეთის ეს პირველი სამართლებრივი ძეგლი წარმოადგენს ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან წყაროს არა მარტო ძველადმოსავლური, არამედ საერთო მსოფლიო სამართლის ისტორიისას. არც ერთი შემდეგში აღმოჩენილი ძველადმოსავლური სამართლის წიგნი არც თავისი სისრულით, არც შენახულობით არ შეიძლება შეედაროს ამ ბაბილონური სამართლის წიგნს, რომელიც მოიცავს ცხოვრების ყველა მხარეს და ეხმაურება თავისი დროის ყველა უაღრესად არსებით უფლებრივ მოთხოვნილებათა-საჭიროებას”.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხსენებულ თარგმანში სიტყვა “უფლებრივი” ჩვენ შევცვალეთ “სამართლებრივით”, როგორც უფრო მართებული. რუსულ დედანშია – პრავაოი პაშიატნიკ – ე.ი. სამართლებრივი ძეგლი. ბ. ტურაევი სპეციალურად აღნიშნავდა ხამურაბის კანონების იმ ღირსებას, რომ ხსენებული საკანონმდებლო ძეგლი არ დგას თეოკრატიულ საფუძვლებზე და რომ ამ მხრივ ის განსხვავდება აღმოსავლეთის სხვა კოდექსებისაგან, რომლებიც ვერ ანსხვავებს სამართალს ჩვეულებებისა და ზნეობისაგან. კერძოდ, ხამურაბის კანონები მკვეთრად განსხვავდება მოსეს კანონმდებლობისაგან, რომელშიც მკაფიოდ არის გამოხატული რელიგიური გრძნობა.

ბ. ა. ტურაევის აზრით ბიბლიური და ბაბილონური კანონების ზოგიერთი დამთხვევა აიხსნება ბაბილონური სამართლის რეცეპციით პალესტინაში, რომელიც ხამურაბის იმპერიის გავლენის ზონაში შედიოდა. ებრაელთა პატრიარქების საოჯახო ურთიერთობანი ხამურაბის კანონების საუკეთესო კომენტარებია. ბაბილონის კანონმდებლობას ახასიათებს ისეთი ცხოვრების ნიშან-თვისებები, რომელიც არაჩვეულებრივად წინ წავიდა თავის განვითარებაში.

შეიძლება ითქვას, რომ ხამურაბის კანონები გაჟღერებულია სამართლისა და სამართლიანობის იდეით – “მართალი სამართლის” პრინციპებით. კანონმდებლობის შეგნებაში ერთმანეთს უკავშირდება სახელმწიფო და სამართალი, უფრო სწორად, მათში ცოცხლობდა იდეა სახელმწიფოსა და სამართლის საერთო გენეზისისა, რომ “მათი დასაბამი, სამყაროს დასაბამია”.

ღმერთებმა ბაბილონში “დაუსაბამო სამართლის გასატარებლად” დააწესეს მეფობა. მეფემ ბოროტება და ბოროტმოქმედება უნდა აღმოეხერხა ამ ქვეყნად, დაიცვას სამართლიანობა. მეფე უნდა დაემორჩილოს ღვთისაგან დადგენილ ზნეობრივ ნორმებს... აქ გამოსტევივის ეთიკური მონარქიზმის იდეა, რომელიც უცხო არ არის ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში.

მოგვიანებით, ძვ. წ. VIII საუკუნეში შედგენილ ერთ ბაბილონურ პოლიტიკურ ტრაქტატში გატარებული იყო მოსაზრება, რომ უსამართლო მეფეს ღმერთი კეთილ ბედს ცუდი ბელით შეუცვლის და მკაცრად დასჯის .

ინგისელი მეცნიერები გ. დრაივერი და ჯ. მაილზი წერენ: “თუ რაიმე ღირებულება აქვს ისტორიულ იურისპრუდენციას ან ცივილიზაციის ისტორიას, ხამურაბის კანონები წარმოადგენენ უნიკალურ ღირებულებისა და უადრესად სარწმუნო ხასიათის მქონე ორიგინალურ წყაროს” იუსტინიანეს დიგესტებამდე არ არსებობს ასე სრული კანონთა კრებული... მიუხედავად მათი სიძველისა, ეს კანონები პრიმიტიული არ არის. ისინი ემყარებიან საღ გონებას და კარგ ლოგიკას, მაგრამ მსგავსად ინგლისური ჩვეულებითი სამართალისა, ისინი ინარჩუნებენ პრიმიტიული ჩვეულებებისა და რწმენათა კვალს”.

ხამურაბის კანონებში “სასჯელები ზოგჯერ სასტიკია, მაგრამ არა უფრო სასტიკი, ვიდრე ინგლისის სისხლის სამართალი ამ 150 წლის წინათ”.

აკად. ბ. ა. ტურაევმა აღნიშნა ხამურაბის კანონების თავისებურება იმ მიმართულებით, რომ აქ იდეის მიხედვით სახელმწიფო – მსოფლიო სახელმწიფოა, ამიტომაც ყველა თავისუფალი თანასწორია კანონის წინაშე. არ არსებობს რაიმე პრივილეგია ეროვნული ნიშნის მიხედვით. ელამელის, ბაბილონელის, ქანანელის მიმართ კანონი ერთნაირად მოქმედებს. კანონმა არ იცის მოსულის და უცხო ტომელის ცნება.

ასე, რომ, ქრისტეს შობამდე მეთვრამეტე საუკუნეში შედგენილი ძველბაბილონური სახელმწიფოსა და საზოგადოების წიაღში შექმნილი საკანონმდებლო ძეგლი შეიცავდა ცივილიზებული კაცობრიობისათვის დღემდე ფასეულ იდეებს.

2. ბაბილონის საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა

ბაბილონის საზოგადოების შესახებ ჩვენთან კარგა ხანი იყო გაბატონებული ცალმხრივი შეხედულება, რომ ბაბილონის საზოგადოება ხამურაბის ეპოქაში ძირითადად ორი კლასისაგან – მონებისა და მონათმფლობელებისაგან შედგებოდა. რა თქმა უნდა, არავის არ ეპარება ეჭვი იმ დებულების სისწორეში, რომ ხამურაბის ეპოქის ბაბილონში მონები არსებობდნენ. მონა – “ვარდუმ”¹ სშირად იხსენიება კანონებში. “უკეთუ კაცმა გაპარული მონა, ანდა მონა ქალი ქალაქგარეთ დაიჭირა და პატრონს მიჰგვარა, მონის პატრონმა ორი შიკლი ვერცხლი უნდა მისცეს” (მე-17 მუხლი) “მონა” იხსენიება აგრეთვე მე-18, მე-19, მე-20, 118-ე, 175-ე, 176-ე და სხვა მუხლებშიც.

ბაბილონის საზოგადოება სხვადასხვა ფენისაგან შედგებოდა. აქ იყვნენ მონები, აგრეთვე “კაცები” (ძველბაბილონურად “ავილუმ” – კაცი) და “მუშქენ”-ები.

“ავილუმ” – კაცი ხშირად გვხვდება ხამურაბის კანონების ტექსტში. სიტყვა აქადური წარმოშობისაა. მას ძველბაბილონური სამართლის წიგნში ტერმინოლოგიური მნიშვნელობა აქვს და აღნიშნავს საზოგადოების სრულუფლებიან და თავისუფალი ფენის წარმომადგენელს. მართებული ჩანს პროფ. ზ. კიკნაძის მოსაზრება, რომ აქადური ენის დიალექტებში “ავილუმ” ნიშნავდა “აღამიანს” ღმერთისა და ცხოველური არსების საპირისპიროდ, მაგრამ ხამურაბის კოდექსის “იურიდიულ ენაში” ვიწრო ტერმინის მნიშვნელობას იძენს და უპირისპირდება, ერთი მხრივ, მუშქენს და, მეორე მხრივ, მონას. “კაცი” არის ძირითადი მოქმედი პირი ხამურაბის კანონთა კანონებისა. კაცთა კატეგორიაში ჩვენ შეგვიძლია გავაერთიანოთ ფართო წრე საზოგადოებისა, თუმცა ყველა კაცი თანასწორი არ უნდა ყოფილიყო.

¹ ხამურაბის კანონები, 1988, ზ. კიკნაძის კომენტარი, გვ. 95.

და ეს არც არის გასაკვირი. აბსოლუტურად ზუსტად ჩამოყალიბებული ტერმინები იშვიათად გვხვდება სამართლის წიგნებში. არ არის გამორიცხული, რომ კაცთა კატეგორიაში იგულისხმებოდნენ ქურდები, ვაჭრები და ზოგი სხვა ვინმეც. როგორც ჩანს, თვით “კაცის” მნიშვნელობაც იცვლებოდა, მაგრამ უმრავლეს შემთხვევებში მაინც “კაცი” გულისხმობდა სრულუფლებიან პირს, მეფის თავისუფალ ქვეშევრდომს, მაგრამ ცხადია, “კაცთა” შორისაც იქნებოდა უთანასწორობა.

ხამურაბის კანონებში კაცობის როგორც სოციალური ფენის განმსაზღვრელი ნიშნის წარმოდგენა უკავშირდება სახლის ქონას. საკუთარი სახლი აძლევს ადამიანს იმ თავისუფლებას, რომელიც აუცილებელია საზოგადოების სრულუფლებიანი წევრისათვის.

მკვლევარის მართებული მოსაზრებით სახლი ერთ-ერთი ფუნდამენტური ცნებაა ხამურაბის კანონებში. სახლი (“ბითუმ” საერთო სემიტური ძირი) ნიშნავს არა მხოლოდ ოჯახს ან შენობას, არამედ თავად პიროვნებას.

“სახლი” იყო ადამიანის თავისუფლების ფაქტორი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ოდესღაც ძველ ბაბილონში ერთი გვარი მეორეს, ერთი თემი მეორეს იქვემდებარებდა, ეკონომიკურად იმორჩილებდა, გასაგებია, რომ თემის გარეთ ადამიანი “სხვად”, უცხო თემის შვილად ითვლებოდა და ამდენად უფლებადამცირებულადაც. აქ შეიძლება გავიხსენოთ ქართული ტერმინი “სისხლმცირე”, აქვე შეიძლება მოვიგონოთ ძველი... საქართველოში გავრცელებული “სხვისშვილობის” ინსტიტუტი... “სხვისშვილი” მოჯამაგირეა. ის არ არის თემის სრულუფლებიანი წევრი. ცნობილია, რომ შემერული სიტყვა, რომელიც “თავისუფლებას” გამოხატავდა იყო “ამა-არგი”, რაც ნიშნავდა “დედასთან დაბრუნებას”. სხვისშვილი, როდესაც კვლავ თავის თემს უბრუნდებოდა, ამით ის “დედას უბრუნდებოდა” და ამიტომ თავისუფლებასაც ღებულობდა.

გამოთქმა “კაცნი” გვხვდება ძველ ქართულ იურიდიულ საბუთებშიც. არაიშვიათად ნასყიდობის დოკუმენტებში მოწმებად არიან დასახელებულნი “კაცნი”. გვხვდება ასეთი იურიდიული კლავზულაც “მოწმედ არიან კაცნი”. ცხადია “კაცი” ისეთი პირი იყო, რომლის მოწმობასაც იურიდიული მტკიცების ფასი ექნებოდა.

ძველი ბაბილონის საზოგადოების სოციალური სტრუქტურის გასათვალისწინებლად კარგ მასალას გვაწვდის თვით ხამურაბის კოდექსი. ხსენებული ძეგლის მეორასე მუხლის თანახმად, უკეთუ

კაცი თავის სწორ კაცს კბილებს ჩაუმტკრევდა, მასაც უნდა ჩაუმტკრიონ კბილები. მაგრამ კანონთა 202-ე მუხლის თანახმად “უკეთო კაცმა თავისზე აღმატებულ კაცს სახეში შემოჰკრა”, დამნაშავეს სასჯელის სახით არ აკმარებენ უბრალოდ სამაგიერო შემოკვრას, არამედ საჯაროდ ხარის კულისაგან დამზადებულ მათრახს სამოცჯერ შემოკრავენ. ამ შემთხვევაშიაც დამნაშავე და დაზარალებულიც “ავილუმ”-ია, იგივე “კაცია”, მაგრამ როგორც ჩანს, დაზარალებული უფრო მაღალი მდგომარეობის “კაცია” და ამიტომაც დამნაშავე სასტიკად ისჯება.

თუ მონა გაართყამდა “კაცს” სახეში, მონას ამისათვის ყურის შიჭრით სჯიდნენ.

ვინ იყო “მუშქენი”? სიტყვა “მუშქენუმს” მკვლევარები სემიტური წარმოშობისად თვლიან. ფიქრობენ, რომ ეს იყო ერთ-ერთი უძველესი სიტყვა. ის ნახსენებია ძვ. წ. მეორე ათასწლეულის ფირფიტებში, სადაც ის უნდა ნიშნავდეს “ძღვენის მიმტანს” ან “დამორჩილებულს”.

კანონებიდან ჩანს, რომ მუშქენი რაღაც დამოკიდებულ მდგომარეობაშია ტაძართან ან სასახლესთან და ერთგვარი პრივილეგიებითაც კი სარგებლობსო, აღნიშნავს ხამურაბის კანონების ქართულად მთარგმნელი და თან მიუთითებს ხსენებული საკანონმდებლო ძეგლის მე-15 და მე-16 მუხლებზე, საიდანაც ჩანს, რომ მუშქენს შეიძლება ჰყოლოდა მონა. აქედან შეიძლება დავასკვნათ თუ არა, რომ მუშქენი აუცილებლად პრივილეგირებული ფენის წარმომადგენელი იყო? ეს, რა თქმა უნდა გაძნელებდა. მაგრამ მუშქენი მაინც მესაკუთრედ უნდა მივიჩნიოთ, მას გააჩნია სახლი, ყანა, ხარი, ცხვარი, ვირი, ღორი ან სხვა ქონება. მუშქენი იხსენიება ეშნუნის მეფის ბილალამის კანონებშიც, რომელიც ძვ. წ. მეოცე საუკუნეს განეკუთვნება.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ სომხური მშაკ-ი და ქართული მუშაკ-ი შეიძლება უკავშირდებოდეს ბაბილონური სამართლის წიგნით ცნობილ, მუშქენუმს. ასე თუ ისე, მუშქენის სოციალური მდგომარეობა, გარკვეულად წინააღმდეგობრივი იყო. მკვლევარებს შემჩნეული აქვთ, რომ ზოგიერთი წერილობითი საბუთის თანახმად, მუშქენი ესწრაფოდა თავისუფლებას და კაცის სტატუსს. ერთ-ერთ ასეთ ძველ საბუთში ვკითხულობთ: “როგორც მამაჩემი შეიტყოდა მე მუშქენი გავხდი. იქნებ დამაბრუნოს მამაჩემმა თავისუფლებებში ისე, რომ საჩივარი არავინ აღძრას ჩემს წინააღმდეგ”

შესაძლებელია, საფუძველს არ იყოს მოკლებული აკად. ვ. ვ. სტრუვეს შეხედულება იმის შესახებ, რომ მუშქენი, მუშქენუმ ძველი შუმერის იმ მოსახლეობის შთამომავლობა იყო, რომელნიც ბაბილონელის მიერ მათი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ შეერივნენ სემიტებს და დაკარგეს დამოუკიდებელი ხალხის სახე.

ქურუმები ბაბილონის საზოგადოების გაველენიან ფენას შეადგენენ. სასულიერო პირები კანონმდებლის თვალში დიდი პატივით სარგებლობდნენ. კანონი ტაძრისა და სასახლის ქონებას თანაბარი ძალით იცავდა. ერთ დროს ქურუმები სასამართლო საქმეებსაც განაგებდნენ. მაგრამ ხამურაბის რეფორმების შემდეგ ქურუმთა სასამართლოს ქვემდებარეობიდან ამოღებულ იქნა უმნიშვნელოვანესი სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეები.

თამქარნი ივევნენ ვაჭართა ფენის წარმომადგენლები. თამქარი შეიძლებოდა ყოფილიყო მეფის სახელმწიფო სამსახურშიც, როგორც მისი სავაჭრო აგენტი. თამქარს შეიძლებოდა გადაცემული ჰქონოდა სამეფო მიწის ნაკვეთი, რისთვისაც იგი სამხედრო ბეგარას (ილკუმს) იხდიდა.

მართალია, მხედრებს მკვლევარები ბაბილონის საზოგადოების ცალკე კლასად არ თვლიან, მაგრამ ფაქტია, რომ განსაკუთრებული პრივილეგიები ჰქონდათ მინიჭებული. მხედრებს მიღებული ჰქონდათ მიწის ნაკვეთი სამხედრო ვალდებულების პირადად შესრულების პირობით.

რედუ (“რედუმ”) ბეგარავალდებული სამხედრო პირი იყო, რომელსაც მიღებული ჰქონდა სამეფო მიწის ნაკვეთი გარკვეული სამსახურის შესრულების პირობით. ასევე სამხედრო პირი იყო ბაირიც (ბაირუმ). ამ უკანასკნელსაც იგივე პირობით უნდა გაეწია სამსახური და მათ შორის განსხვავება თითქმის არ შეიმჩნევა. ხამურაბის კოდექსის მიხედვით “რედუს, ბაირის და მოხარკის მიწა, ბაღი და სახლი ვერცხლზე არ გაიყიდება” (38-ე მუხლი).¹

როგორც ვხედავთ, ძველბაბილონური კანონები ფეოდალური ხანის სამართლის წიგნების მსგავსად იმ ადგილ-მამულების გასხვისებას კრძალავენ, რომელთაც სამხედრო-სახელმწიფო სამსახური ვდოთ ბეგარად, სამხედრო პირს შეუძლია თავის ცოლს ან ასულს დაუმტკიცოს ან ვალი საფასურად გადასცეს რაიმე

¹ ხამურაბის კანონები, თბ. 1988, ზ. კიკნაძის კომენტარი, გვ. 99.

მხოლოდ იმ მიწიდან, ბალიდან, სახლიდან, რომელიც ნაყიდი აქეს და მის მფლობელობაშია (39-ე მუხლი).

ასეთ ანალოგიურ ნორმებს ჩვენ ვხვდებით ძველ ქართულ სამართალშიაც, მაგალითად გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნში (მე-16 მუხლი) “მამულს” ქართული სამართლის მიხედვით სამხედრო ბეგარა ედო, ხოლო “ნასყიდს” (ნაყიდ, კეთილშენადენ მიწა-აღაგს) კი არა. ამიტომ ნასყიდის გაყიდვა მესაკუთრეს თავისუფლად შეეძლო, ხოლო “მამულის” განკარგვა საჯარო ხელისუფლების კომპეტენციაში შედიოდა.

ხამურაბის კანონების მიხედვით, თუ სამხედრო პირი ტყვედ ჩავარდებოდა, სახლში კი სარჩო არ ექნებოდა, მის ცოლს შეეძლო მეორის სახლში შესვლა და ამისათვის “ბრალი არ ექნება” (134-ე მუხლი). თუ კაცი ტყვედ ჩავარდა, მის სახლში კი სარჩო არ მოიპოვება, მისი ცოლი ქმრის დაბრუნებამდე მეორის სახლში შევიდა და შვილები შვა, მერე მისი ქმარი დაბრუნდა და თავის თუმს მიაღწია, ეს ქალი პირველი ქმრის სახლში უნდა დაბრუნდეს, შვილები მამასთან დარჩებიან (135-ე მუხლი).

ტყვე უნდა გამოესყიდა ტაძარს ან სასახლეს. საერთოდ კი უნდა ითქვას, ტყვედ ჩავარდნილი მხედრის გამოსყიდვა წარმოადგენდა ტაძრის და სასახლის კანონიერ ვალდებულებას. აქ ვლინდება ძველი პროგრესული ჩვეულებების ზეგავლენა სამართალზე. თემში, როგორც კორპორაციულ ერთეულში, ერთი ყველასათვის ზრუნავდა და ყველა კი თავის მხრივ – ერთისათვის.

3. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი

საქორწინო ურთიერთობის მაღალი დონე ძველ ბაბილონში გამოიხატა იმ გარემოებაშიც, რომ, ჯერ ერთი, აქ ქორწინება მონოგამიურ ხასიათს ატარებდა, მეორეც, ქორწინებას სამართლებრივ საფუძვლად წერილობითი ხელშეკრულება ითვლებოდა. უკეთუ კაცმა ცოლი ითხოვა, მაგრამ ხელშეკრულება არ დაუდო, ეს ქალი არ არის ცოლი (128-ე მუხლი).

ჯერ კიდევ ძვ.წ. მესამე ათასწლეულის დასაწყისში ბაბილონი სოციალურ-კულტურული განვითარების ისეთ მაღალ საფეხურზე იდგა, რომ აქ “მცირე” ოჯახი, ინდივიდუალური საკუთრება და მონოგამიური ქორწინება უკვე არსებობდა. ქალაქ ლაგაშის პატესი ურუნიმგინა, რომელიც დაახლოებით ქრისტეს შობამდე 2400 წლის წინათ ცხოვრობდა, სიამაყით აღნიშნავდა, რომ “წინათ ქალები

დაუსჯელად ცხოვრობდნენ ორ მამაკაცთან, ახლა კი მათ წყალში გადააგდებენ”-ო. მაშასადამე, უკვე ძვ. წ. ოცდამესამე საუკუნეში ლაგაშიში პოლიანდრია სახელმწიფო დონეზე იქნა აკრძალული. ორქმრიანობის აკრძალვა ძველადმოსავლური ცივილიზაციის მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

აქვე შეიძლება მოვიგონოთ თამარის ეპოქის “ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანის” ავტორის ცნობა იმის შესახებ, რომ კავკასიის მთიელთა შორის ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ქორწინების წინარემონოგამიური ფორმა. კერძოდ, ისტორიკოსი დიდოელთა შესახებ აღნიშნავდა, რომ “დიდონი მრავალნი ძმანი ერთსა დედაკაცსა მოიყვანებენ ცოლადო” (ქ. ცხ. II, III).

ბაბილონის სამართალი იცნობდა მზითევის ინსტიტუტს. მზითევს ეძახდნენ შერიქთუმს, რაც ჩუქებას, “ძღვნას” ნიშნავდა. ამავე დროს ბაბილონელთა სამართლის წიგნი იცნობდა საქორწინო საჩუქარს – ბიბლუმს, ასევე სასძლოს გამოსასყიდ ფასსაც – თერხათუმს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლოა ძველბაბილონურ ძიტიუმ-თან იყოს ტერმინოლოგიურად დაკავშირებული ქართული მზითევი (კ. თოფურია). ხსენებულ ტერმინს კი ხამურაბის კოდექსში წილის მნიშვნელობა აქვს.

გამოსასყიდის – თერხათუმის გადახდა მხოლოდ ფულის სახით შეიძლებოდა. ეს კი იმის შესახებ მიგვანიშნებს, რომ ძველ ბაბილონში ფულადი მეურნეობა საკმაოდ განვითარებული იყო. საქორწინო საჩუქრის – ბიბლუმის გადახდა კი შეიძლებოდა როგორც ფულით, ასევე ნივთებითაც.

ხამურაბის კანონების 159-ე, 160-ე, 161-ე და 162-ე მუხლები აწესრიგებენ საქორწინო-საოჯახო ურთიერთობებს ნათლად, ლაპიდარულად და სათანადო სამართლებრივი ლოგიკით. ასე მაგალითად, კოდექსის 151-ე მუხლში ნათქვამია:

“უკეთუ კაცმა სიმამრის სახლში მისატანი გაგზავნა, ურვადიც გადაიხადა, ხოლო შემდეგ თვალში სხვა ქალი მოუვიდა და სიმამრს უთხრა: “შენი ასული არ მიმყავსო”, ქალის მამა ყველაფერს, რაც მიუტანეს, თავისთვის დაიტოვებს” მისატანი ანუ “ბიბლუმ” აქ ნიშნავს წინდს, ნიშანს, ბელგას, როგორც ეს მართებულად არის შენიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში. “ბიბლუმს” ჰქონდა აგრეთვე საჩუქრის მნიშვნელობაც, მაგრამ უპირატესად წინდს უნდა ნიშნავდეს.

კანონების 160-ე მუხლის თანახმად, “უკეთუ კაცმა სიმამრს სახლში მისატანი (წინდი) გაგზავნა, ურვადიც გადაიხადა, ხოლო

შემდეგ ქალის მამამ უთხრა “ჩემს ასულს არ მოგცემო”, ყველაფერი, რაც მას მიუტანეს, ერთიორად უნდა დააბრუნოს”.

საკანონმდებლო ძეგლის 161-ე მუხლის თანახმად: “უკეთუ კაცმა სიმამრის სახლში მისატანი გაგზავნა, ე.ი. “ბიბლუმი” იგივე ბე მიუტანა და ურვადიც გადაიხადა, მერე, მისმა მეგობარმა მას ცილი დასწამა და სიმამრმა “ცოლის პატრონს” უთხრა: “ჩემს ასულს ვერ წაიყვანო”, ყველაფერი, რაც მიუტანეს, ერთიორად უნდა დააბრუნოს” ამასთან, მისი მეგობარი მის საცოლეს ვერ წაიყვანს. “ცოლის პატრონი” აქ ქმარს ნიშნავს. ზ. კიკნაძის აზრით მოტიანილ მუხლში “მის მეგობარში” უნდა იგულისხმებოდეს “მაყარი”; საფიქრებელი კია, რომ “მის მეგობარში” მაყართან ერთად არამაყარი მეგობარი იგულისხმებოდეს. ამ კაზუსთან დაკავშირებით ავტორს ბიბლიიდან მოაკვს შესაფარებელი შემთხვევა, როდესაც სამსონის საცოლეს მამამისმა მის მაყარს მიათხოვა იმ საბაბით, რომ სამსონმა მოიძულა ქალი (მსაჯ. 15, 2).

ძველ ბაბილონში ოჯახში მამაკაცის პირველობას კანონი უჭერდა მხარს. ქმარს უფლება ჰქონდა სურვილის მიხედვით განქორწინებულიყო ცოლთან. ხოლო თვით ცოლს კი ანალოგიური უფლებები არ ჰქონდა მინიჭებული. ცოლ-ქმრული ერთგულების დარღვევისათვის ცოლი სასტიკად ისჯებოდა, ხოლო ქმარი კი არა. ოჯახში მამაკაცის უმადლესობა ძველბაბილონური სამართლის ერთ-ერთი ძირითადი იდეა იყო. ხამურაბის კანონების 117-ე მუხლის მიხედვით, თუ მამაკაცი ვალებში ჩავარდებოდა, მას უფლება ჰქონდა თავისი ცოლი, ვაჟი თუ ასული ვერცხლზე გაეყიდა ანდა საკაბალოდ მიეცა.

მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისას აშკარად წარმოჩნდება საზოგადოების როგორც კულტურული, ასევე სამართალგანვითარების დონეც. ბაბილონში ცოლი თავისი მზითვევის მესაკუთრე იყო და ამდენად მას პიროვნების, უფლების სუბიექტის მდგომარეობა ჰქონდა მოპოვებული. საერთოდ კი შემჩნეულია, რომ ძველი ბაბილონის კანონმდებლობა საოჯახო ურთიერთობების სფეროში მეტ პუმიანურობას ამჟღავნებდა, ვიდრე ასირიული.

ბაბილონის კანონმდებლობამ ცოლს ქმედობაუნარიანობის და მდგომარეობის საკითხში დაახლოებით ათასი წლით მაინც დაასწრო ზოგიერთი მეზობელი ცივილიზებული ქვეყნის კანონმდებლობას (ძველი ასირია, ისრაელი, იუდეა).

მშობლებსა და შვილებს შორის პირადი და ქონებრივი

ურთიერთობების სფეროშიც ხამურაბის კანონები მეტი ზომიერებით და ჰუმანურობით გამოირჩეოდა, ვიდრე ასირიელებისა და ძველი რომაელების კანონმდებლობა.

ხამურაბის კოდექსის 168-ე და 169-ე მუხლებში გათვალისწინებულია მამის მიერ ვაჟიშვილის "მოკვეთის" შემთხვევა. მხოლოდ მძიმე დანაშაულისათვის შეიძლებოდა ვაჟიშვილისათვის მემკვიდრეობის წართმევა. კანონმდებელი ამბობს: "უკეთუ კაცი ვაჟის მოკვეთას განიზრახავს და მოსამართლეებს ეტყვის: "ვაჟი უნდა მოვიკვეთო", მოსამართლენი მის საქმეს გაარჩევენ და თუკი ვაჟს მემკვიდრეობისაგან მოსაკვეთი მძიმე დანაშაული არ ჩაუდენია, მამა ვაჟს მემკვიდრეობისაგან ვერ მოიკვეთს".

კანონმდებელი ყურადღებით ეკიდება ოჯახს, როგორც ახალი თაობის აღზრდის უმნიშვნელოვანეს კერას და იცავს შვილებს მამის დესპოტური ხელისუფლებისაგან.

უკეთუ ვაჟიშვილს მამის წინაშე მემკვიდრეობისაგან მოსაკვეთი დანაშაული აქვს ჩადენილი, პირველად უნდა აპატიონ; თუკი მეორედ ჩაიდინა მძიმე დანაშაული, მამას შეუძლია თავისი შვილი მემკვიდრეობისაგან მოიკვეთოს.

ამრიგად, ვაჟიშვილისათვის მემკვიდრეობის წართმევა მამის სურვილზე არ იყო დამოკიდებული და ამისათვის სათანადო სამართლებრივი წანამძღვრების არსებობა იყო საჭირო. მოსამართლეს უნდა განესაზღვრა, ვაჟიშვილს მამის წინააღმდეგ ჩადენილი ჰქონდა თუ არა მძიმე დანაშაული.

ხამურაბის კოდექსი იცნობს შვილად აყვანის ცნებასაც. შვილად აყვანის მოტივი მრავალგვარი შეიძლებოდა ყოფილიყო. კოდექსის 185-191-ე მუხლებში მრავალი ასეთი შემთხვევაა გათვალისწინებული. თუ კაცმა უასაკო ბავშვი თავის სახელზე შვილად აიყვანა და გაზარდა, ეს მისი გაზრდილი უკან არ მოითხოვება.

კოდექსის 168-ე მუხლის მიხედვით, თუ კაცმა ბავშვი შვილად აიყვანა და ამის შემდეგ ბავშვმა დედ-მამა მოძებნა, გაზრდილს შეუძლია მამის სახლს დაუბრუნდეს.

საფიქრებელია, რომ ბაბილონში უასაკო ბავშვები კანონის გვერდის აყლით იყიდებოდა, შეიძლება ესეც იგულისხმებოდეს 185-ე მუხლში.

რაც შეეხება 186-ე მუხლს, აქ შესაძლოა, ასაკოვანი ბავშვის რაღაც არაღებგაღური გზით შეიღებავს შეეხებოდეს საქმე, ვინაიდან, თუ ისე მოხდებოდა, რომ ნაშვილები თავის ნამდვილ

დედ-მამას მოძებნიდა, მშვილღებელი მას (შვილღებულს) უკან ვერ მოითხოვდა. არ ჩანს, რომ მშვილღებელს ნაშვილღების აღზრდისათვის რაიმე ანაზღაურება ერგებოდა ასეთ შემთხვევაში.¹

დიდ ამაგად ითვლებოდა რაიმე ხელობის შესწავლა. ამიტომაც თუ ხელოსანი ბავშვს აიყვანდა გასაზრდელად და თავის ხელობას შეასწავლიდა, აღზრდილის ნამდვილი მშობლები მას უკან ვერ მოითხოვდნენ.

თუ კაცი ბავშვს შვილად აიყვანდა, გაზრდიდა, მერე საკუთარი ბავშვი გაუზრდებოდა და გაზრდილის (ნაშვილღების) მოკვეთას განიზრახავდა, ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შვილი შვილღებულს მოძრავი ქონების ერთ მესამედს გაატანდა. “მიწიდან, ბაღიდან და სახლიდან კი არაფერი ერგებოდა შვილღებულს”.

თუ შვილღებული უმადურობას გამოიჩენდა და თავის გამზრდელ დედას ან მამას განუცხადებდა: “შენ ჩემი დედა არ ხარ” ან “შენ ჩემი მამა არ ხარ”, ეს დიდ დანაშაულად ითვლებდა; დამნაშავეს ენას მოსტრიდნენ.

მართალია, ბაბილონში ასე თუ ისე პატრიარქალური ოჯახური და მორალური პრინციპები ირღვეოდა, მოღწეული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ შვილი წერილობით გარიგებას დებდა მამასთან. ცხადია, შვილს გააჩნდა საკუთარი, განკერძოებული ქონება.

ძველბაბილონური სამართლის მიხედვით თავდაპირველად ქალებს არ გააჩნდათ მემკვიდრეობის უფლება. თანდათან ქალები სამემკვიდრეო უფლებებში გაუთანაბრდნენ ვაჟიშვილებს. მემკვიდრეობის სამართლის ისეთი ისტორიული სიმაღლე, როდესაც ორივე სქესის ადამიანებს თანაბარ სამემკვიდრეო უფლებას ანიჭებს კანონმდებელი, უთუოდ პროგრესული მოვლენაა. ასეთივე დონე მიღწეული იყო რომში. ხოლო იმპერატორი იუსტინიანე ერთ-ერთ ნოველაში სიამაყით აცხადებდა, რომ ბარბაროსებისაგან განსხვავებით, რომაელები ქალებსა და მამაკაცებს თანაბარ სამემკვიდრეო უფლებებს ანიჭებენო.

ხამურაბის კანონების მიხედვით, თუ გარდაცვალების მომენტში მამკვიდრებელს მემკვიდრე ვაჟიშვილი ცოცხალი არ

¹ ხამურაბის კოდექსის ამ მუხლის შესახებ იხილე ვ. ე. სტრუვეს მოსაზრება, “პალესტინსკი სბორნიკ” (წიგნი 3 (66), 1958 წ. გვ. 8-19.

ჰყავდა, მემკვიდრეობას მისი შვილები ე.ი. მამკვიდრებლის შვილიშვილები მიიღებდნენ.

კანონის თანახმად, უკეთუ მამამ მონა ქალისგან ნაშობი შვილები თავის სიცოცხლეში არ აღიარა თავისად, მამის სიკვდილის შემდეგ მამის სახლის ქონებას მონა ქალისაგან ნაშობი შვილები ცოლის შვილებთან ვერ გაიყოფენ, მაგრამ მონა ქალი და მისი შვილები უნდა გააზატდნენ (171-ე მუხლი).

შედარებით ჰუმანურ და პროგრესულ ხასიათს ატარებდა ხამურაბის კოდექსის 170-ე მუხლიც, სადაც ჩაწერილი იყო: “უკეთუ კაცს პირველმა ცოლმა შვილები უშვა და მონა ქალმაც შვილები უშვა, მამამ თავის სიცოცხლეშივე უთხრა მონა ქალის შვილებს: ჩემი შვილები ხართ და ცოლის შვილებთან გაათანასწორა, მამის სიკვდილის შემდეგ მამისეული სახლის ქონება ცოლისა და მონა ქალის შვილებმა თანაბრად უნდა გაიყონ”. სულ მცირე უპირატესობით აღჭურვა კანონმდებელმა კანონიერი ცოლის შვილები მონა ქალის მიერ ნაშობ შვილებთან შედარებით: მას ეძლეოდა წილის არჩევის უფლება.

ძველ ბაბილონში იცოდნენ ტაძრისათვის ქალების შეწირვა. ერთ-ერთს ასეთი კატეგორიის ქალებიდან კადიშთებს ეძახდნენ. “კადიშთუმ” ნიშნავდა უბიწოს, წმინდას, უმწიკვლოს. კადიშთები ღვთისმსხვევალ იეროდეულებს მოგვაგონებდნენ. ზოგი მკვლევარი ფიქრობს კიდევაც, რომ ისინი ე.წ. რიტუალურ პროსტიტუციასთან იყვნენ დაკავშირებული.

კადიშთიც და ზერმაშთიც ღვთისმსახური ქალები იყვნენ.

ხამურაბის კანონების 181-ე მუხლის მიხედვით “უკეთუ მამამ ნადითი, კადიშთი გინა ზერმაშთი ღმერთს შესწირა და მზითვეი მიუცია, მამის სიკვდილის შემდეგ ამ ქალმა სახლის ქონებიდან ერთი მემკვიდრის წილის მესამედი უნდა ირგუნოს და ვიდრე ცოცხალია, ჭამოს”, სიკვდილის შემდეგ მისი მემკვიდრეობა მისსავე ძმებზე გადადიოდა. მაშასადამე, ქურუმი ქალები ღებულობდნენ არასრულ სამემკვიდრეო წილს.

ხამურაბის კანონებში იხსენიება ტერმინი “ნუდუნუმ” (171-ე და 172-ე მუხლები). ხსენებული ტერმინი მკვლევართა ნაწილს ესმის როგორც საქრივო წილი. ზოგი მას თარგმის როგორც “საჩუქარს”. კოდექსის 171-ე მუხლის თანახმად ქმრის გარდაცვალებისას მისი პირველი კანონიერი ცოლი ღებულობს თავის მზითვეს და “ნუდუნუმს”. ეს არის ქონება, რომელსაც ქმარი გადასცემს ცოლს

უზრუნველყოფისათვის (ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში). კოდექსი 172-ე მუხლის თანახმად, უკეთუ ქმარს ცოლისათვის “ნუდუნუნეშ” არ მიუცია, მაშინ მას მზითევი უნდა გაუმრთელონ და ამასთანავე, ქმრის სახლის ქონებიდან ერთი მემკვიდრის წილი უნდა აიღოს. თუ შვილები დედას აიძულებდნენ სახლიდან წასვლას, ეს ურიგო საქმედ ითვლებოდა. მოსამართლე ამისათვის შვილებს დასჯიდა. “თუ კი ქალმა თავად მოინდომა წასვლა, ქმრის საჩუქარი შვილებს უნდა დაუტოვოს, მამისეული სახლიდან წამოყოლილი მზითევი კი შეუძლია წაიღოს, ქალი მისი გულის ქმარმა წაიყვანოს”

ცხადია, ვერც ბაბილონური კანონმდებელი დააღწევდა თავს გარკვეულ შეზღუდულობას და ეს ასეც მოხდა. მაგრამ ძვ. წ. მეთვრამეტე საუკუნეში შედგენილი ხამურაბის კანონები პროგრესული ეტაპი იყო სამართალგანვითარების მსოფლიო პროცესში.

4. დანაშაული და სასჯელი

ძვ. წ. მეთვრამეტე საუკუნეში შედგენილი ბაბილონური კანონმდებლობის მაღალი დონე იმაშიაც გამოიხატა, რომ იქ საერთოდ არ იხსენიება სისხლის აღების ჩვეულება, შურისძიების უფლება და მოვალეობა, რაც სახელმწიფოებრიობისა და სამართალგანვითარების მხოლოდ მაღალ დონეზე იყო შესაძლებელი. ეს გარემოება საგანგებოდ უნდა აღინიშნოს. თავისი კლასიკური სახით შურისძიება სწორედ სემიტური წარმოშობის ხალხებისათვის იყო დამახასიათებელი. მაგალითად, ხამურაბის კანონების შედგენიდან სამი ათასი წლის შემდეგაც კი არაბებში შურისძიება იმდენად უფლება კი არ იყო, რამდენადაც მოვალეობა. სემიტური მოდემის ამ ხალხში ერთი მეცნიერის მოხდენილი სიტყვებით რომ ვთქვათ, შურისძიება ისევე ნაკლებად იყო დამოკიდებული შურისმაძიებლის ნებისაგან, როგორც ეპიკური პოემის სიტყვები და ფორმა – მისი გადმომცემი მომღერლისაგან. შუა საუკუნეების არაბ პოეტებს შურისძიება მართლზომიერ და მორალურად სათნო მოქმედებად მიაჩნდათ, კიდევ უფრო სავალალო ის იყო, რომ სისხლის აღების მისაღწევად ყველა საშუალება დაიშვებოდა: დალატი, მოტყუება და ცრუ ფიციც კი. შურისძიება უპირველეს მოვალეობად ითვლებოდა ძველ ებრაელებთანაც. ამის გამოხატულებას ვპოულობთ ძველ ებრაულ სამართალშიაც.

შურისძიების უფლებას იცნობდა “რუსესკაია პრავდაც”. რუსული სამართლის ყველაზე გამოჩენილი მკვლევარის მ. ფ. ვლადიმირსკი-ბუდანოვის აზრით ხსენებული სამართლის წიგნი არა მარტო აღიარებდა შურისძიების უფლებას, არამედ აწესებდა კიდევ მას. ჩერნიგორიაში მთავარ დანიელის სამართლის წიგნში (1855 წ.) მკვლელის მიმართ შურისძიება მართლზომიერ მოქმედებად იყო აღიარებული. შურისძიების უფლებას იცნობდა საქართველოს ზოგიერთი კუთხეც.

ძველი გერმანული სამართლის მიხედვით მოკლულის მემკვიდრეს მანამდე არ შეეძლო სამკვიდრო ქონების მიღება, ვიდრე ის სამკვიდროს დამტოვებლის (მამკვიდრებლის) მკვლელზე შურს არ იძიებდა.

აქედან კარგად ჩანს, თუ რა ძნელი და დიდი გზა უნდა გაეკვლო ბაბილონის სამართალს, ვიდრე ის ძვ. წ. მეთერთმეტე საუკუნეში საბოლოოდ უარს იტყოდა შურისძიების უფლების დაკანონებაზე.

ზოგიერთი მონაცემების მიხედვით ძვ. წ. მესამე ათასწლეულის დასასრულისათვის ბაბილონის რეგიონში შურისძიების ჩვეულება თითქმის გამქრალა. შურისძიების უფლება არ ჩანს არც ბილაღამის და არც ლიფიტი-მთარის კანონებში. სამართლის ისტორიის მკვლევარები აღიარებენ, რომ ბაბილონის სახელმწიფოში კერძო შურისძიება შეცვლილი იყო სახელმწიფოებრივი სასჯელებით. მაგრამ ეს, ცხადია, იმას როდი ნიშნავს, რომ ე. წ. “კერძო სასჯელები” სავსებით უცხო იყო ბაბილონური კანონმდებლობისათვის. ხამურაბის კოდექსიდან ჩანს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში დაიშვებოდა დანაშაულის გამოსყიდვა ვერცხლის ან სხვა ქონების გადახდით. დანაშაულებს დაზარალებული მხარისათვის უნდა გადაეხადა საზღაური. რა თქმა უნდა, კერძო სასჯელის სახით საზღაური გადახდისას მხედველობაში მიიღებოდა როგორც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ასევე დაზარალებულის სოციალური მდგომარეობაც, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ბაბილონურ სამართალში კერძო სასჯელებს დიდი არეალი არ გააჩნდათ. ისინი მხოლოდ შეზღუდულად გამოიყენებოდა.

ს. ფ. კუჩკიანი წერდა იმის შესახებ, რომ ძველი ბაბილონური სამართლის მიხედვით ფულადი ჯარიმა, რაც მთელ რიგ შემთხვევებში ეკუთვნოდა დანაშაულისაგან დაზარალებულ პირს, ამ უკანასკნელის ინიციატივით ახდენილებდნენ და როგორც ჩანს,

ეს ჯარიმა მთლიანად ან ნაწილობრივ მის სარგებლობაში გადადიოდა. მაგრამ შეიძლება შევედავოთ ავტორს, მას იმ გარემოებისათვის უნდა მიექცია ყურადღება, რომ ეს ხდებოდა სახელმწიფოს ნებართვით და სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში. თანაც არ არის მოსალოდნელი, რომ ისეთ ძლიერ სახელმწიფოს, როგორიც ბაბილონის სახელმწიფო იყო ძვ. წ. მეთვრამეტე საუკუნეში, რაიმე ფინანსური დაინტერესება არ გამოეჩინა და კერძო ქონებრივ სასჯელში რაიმე წილი არ დაედო, ფულადი ჯარიმის რაღაც პროცენტი არ გაეთავისუბინა. ისიც უნდა ითქვას, რომ ბაბილონის მეფის – ხამურაბის კანონებში ვერ აისახებოდა მთელი ცოცხალი სინამდვილე. კანონმდებლობის ზოგიერთი ხარვეზის შევსება სასამართლო პრაქტიკისა და წყველებითი სამართლის ნორმების მეშვეობით ხდებოდა.

დამაფიქრებელია ხსენებული ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ როგორც ეტყობა, თანაბარ საფუძველზე განიხილავდნენ როგორც მოთხოვნას, რომელიც შეეხებოდა მაგალითად, ბადის დაუღვევარი იჯარადარის ან ხარის იჯარადარის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, ისე მოთხოვნას, რომელიც შეეხებოდა ჯარიმას ქურდობისათვის ან ძვლის მოტეხვისათვის, გარტყმისათვის, ჯარიმას მარქენალი ხარის რქებით გამოწვეული სიკვდილისათვის.

მრჩოლელი ხარის შესახებ კაზუს ვხვდებით თითქმის ყველა ძველი სამართლის წიგნებში, მათ შორის ძველ ებრაულ სამართალშიაც (გამოსვლათა, 29, 29) და ხამურაბის კოდექსის შემდეგ სამი ათას ხუთასზე მეტი წლის შემდეგ შედგენილ ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში (196-ე მუხლი).

ბაბილონის სახელმწიფოებრიობისა და სამართალ-განვითარების მაღალი დონე იმაშიც გამოვლინდა, რომ ბაბილონის კანონების მიხედვით ქურდობა უკვე აღარ ითვლებოდა კერძო საქმედ, კერძო დარღვევად. ის სავსებით გარკვევით იდგენებოდა სახელმწიფოს სახელით. ქურდები ისჯებოდნენ სახელმწიფო ხასჯელებით. ხამურაბის კანონები სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა ოცდათერთმეტ შემთხვევაში და მათ შორის ქურდობაში თანამონაწილეობისათვის. უნდა ითქვას, რომ ხამურაბის კოდექსი მეტად მკაცრია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დარღვევებისადმი. იგრძნობა, რომ კანონი საკუთრების სრულყოფას განიხილავს როგორც მთელი საზოგადოებისა და სახელმწიფო ინტერესების დარღვევას. "უკეთუ კაცმა ღმერთის

ანდა სასახლის ქონება მოიპაროს, ეს კაცი უნდა მოკვდეს და ვინც ნაპარევი მისი ხელიდან მიიღოს, ისიც უნდა მოკვდეს” (მეექვსე მუხლი). როგორც ვხედავთ, კოდექსი სასულიერო ე.ი. სატაძრო ქონებისა და სახელმწიფო საკუთრების ხელყოფას იმდენად მკაცრად იცავდა, რომ სიკვდილით სჯიდა არა მარტო ხელმყოფელს, არამედ ხელმყოფელის ხელის დამცველსაც.

კოდექსის მეშვიდე მუხლის მიხედვით “უკეთუ კაცმა ანდა ვერცხლი, ანდა ოქრო, ანდა მონა ქალი, ანდა ხარი, ანდა ცხვარი, ანდა ვირი, ანდა სხვა რამ კაცის შვილისაგან ან კაცის მონისაგან მოწმეების ან საბუთის გარეშე იყიდა ან შესანახად მიიბარა, ეს კაცი ქურდია და სიკვდილით უნდა დაისაჯოს”.

კერძო საკუთრება იმდენად ხელშეუხებლად მიიჩნია კანონმდებელს, რომ კრძალავს სხვისი საკუთრების შეძენას მოწმეების დაუსწრებლად ან სათანადო საბუთის შედგენის გარეშე. როგორც ჩანს, არც ისე იშვიათი იყო ქურდობის შემთხვევები, და “კაცის შვილი” და “კაცის მონა” ნაქურდადღს, როგორც ჩანს, კანონის გვერის ავლით ყიდდენ. თვით ნაქურდალის შესანახად მიიბარებაც კი ქურდობას უთანაბრდებოდა და სიკვდილით ისჯებოდა.

ქურდობას მკაცრად დევნის კანონმდებელი და ქურდებსაც სასტიკად სჯის, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, თუ ქურდი მდიდარია, მაგრამ ნაქურდადღს ათწილად, ზოგჯერ ოცდაათმაგად გადახდა ვერ შეძლო, სიკვდილით დაისჯება. მაშასადამე, მდიდარი ქურდი ქონებრივი სასჯელით ისჯებოდა, ღარიბი კი – სიკვდილით. ეს, რა თქმა უნდა, კანონმდებლობის გარკვეული ნაკლია, კანონმდებლის მხრივ სისასტიკეა და სამართლიანობის სასწორის მდიდარი დამნაშავეს მხარეზე გადახრაა.

ეს ჩანს საკანონმდებლო ძეგლის მერვე მუხლიდანაც: “უკეთუ კაცმა ანდა ხარი, ანდა ცხვარი, ანდა ღორი, ანდა ნავი მოიპარა, თუ ეს საქონელი ტაძრის ან სასახლისაა, ოცდაათმაგად უნდა ზღოს, თუ მუშქენისაა, ერთიათად უნდა ზღოს. თუკი ქურდს გადასახდელი არაფერი აბადია, სიკვდილით უნდა დაისაჯოს”.

საკუთრებას, როგორც ასეთს, კანონმდებელი რომ იცავდა, ამაში გასაკვირი არაფერია. მაგრამ საყურადღებოა ის, რომ ტაძრის ქონების ქურდობა უფრო მკაცრად ისჯებოდა, ვიდრე მუშქენის ქონებისა. იდეა სხვადასხვა სახის ქონების სხვადასხვა დონეზე დაცვისა დამახასიათებელი იყო ფეოდალური ეპოქის კოდექსებისათვის, ასე იყო მაგალითად, შუა საუკუნეების ჩინურ

სამართალშიაც, სადაც სახელმწიფო ქონების ქურდობა უფრო სასტიკად ისჯებოდა, ვიდრე კერძო პირის საკუთრებისა, დასასრულ ასე იყო ყოფილ სსრ კავშირის რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებშიც, სადაც ე.წ. "სახელმწიფო სოციალისტური საკუთრება" უფრო მკაცრად, უფრო სასტიკად და პრივილეგირებულად იყო დაცული, ვიდრე ე.წ. "პირადი საკუთრება"

სახელმწიფოს იდეა და სახელმწიფო საკუთრების უპირატესად დაცვის იდეა მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. მეფე და სამეფო (სახელმწიფო) საკუთრების იდეა უპირატეს მფარველობას პოულობდა სამართალში.

ხამურაბის კანონების მიხედვით საკუთრება იმდენად სასტიკად იყო დაცული, რომ საკანონმდებლო მოწესრიგების სხვა სფეროებში შედარებით პუმანურ ამ კანონებს სასტიკ, თითქმის ბარბაროსულ კანონმდებლობის იერს აძლევს. ეს გარემოება შემთხვევითი არ უნდა იყოს. საკუთრებას ყველაზე მკაცრად და გულმოდგინედ ხამურაბის კანონები იცავენ, ხოლო მამის, ოჯახის უფროსის პატრიარქალურ ღირსებასა და სიცოცხლეს შედარებით უფრო დაბალი განვითარების დონეზე მდგარი ხალხების სამართლის წიგნები.

არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ კოდექსის სისტემაში საკუთრების დაცვის მუხლებს უკავიათ საპატიო ადგილი. ხამურაბის კოდექსში სასამართლოს შესახებ ექვსიოდე მუხლს უშუალოდ მოსდევს მთელი ასოცი მუხლი საკუთრების შესახებ. ყველა სხვა საკითხებთან შედარებით კანონმდებელი სწორედ საკუთრების სამართალს ეკიდება დიდი, მაქსიმალური ყურადღებით.

საკუთრების დაცვაზე ყურადღების გამახვილება ხამურაბის კოდექსში იმის შესახებ მიგვითითებს, რომ სახელმწიფოს მესვეურებს შეგნებული ჰქონდათ, რომ მესაკუთრეთა საერთო ინტერესების დაცვა საზოგადოებისა და სახელმწიფოს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა. ამასთანავე, როგორც ჩანს, ძველ ბაბილონში საკუთრების ხელყოფის საშიშროება რეალური იყო და ამიტომაც წესრიგის დასამყარებლად სასტიკი სასჯელების შემოღება აუცილებლობად იყო მიჩნეული. კანონმდებელს, როგორც ჩანს, განსაკუთრებულად აინტერესებდა სამეფო (სახელმწიფო) და სატაძრო საკუთრების დაცვა ხელყოფისაგან, ემინოდა ამ ხელყოფისა და მკაცრი სასჯელებით აშინებდა

პოტენციურ დამნაშავეებს. როგორც ჩანს, ძველ ბაბილონში საკმაოდ იყო შემთხვევები არამესაკუთრის მხრივ სხვისი საკუთრების გასხვისებისა. ხამურაბის კოდექსის მეათე მუხლში ვკითხულობთ: “უკეთუ მყიდველი გამყიდველსა და ყიდვა-გაყიდვის დამსწრე მოწმეებს ვერ მოიყვანს, მყიდველი ქურდია და სიკვდილით უნდა დაისაჯოს. დანაკარგის პატრონი თავის დანაკარგს დაიბრუნებს”.

ხოლო ხამურაბის საკანონმდებლო ძეგლის მეთერთმეტე მუხლის მიხედვით “უკეთუ დანაკარგის პატრონი დანაკარგის მცნობელ მოწმეებს ვერ მოიყვანს, ცრუ არის, ცილი დაუწამებია და სიკვდილით უნდა დაისაჯოს”.

ის საერთო ნორმაა თითქმის ყველა არქაულ სამართლებრივ სისტემაში: ცილისმწამებელი უნდა დაისაჯოს იმ სასჯელით, რაც ცილისმწამებელს ემუქრებოდა ასე იყო ძველ ეგვიპტეში, ძველ საქართველოში და ა.შ.

როგორც ვნახეთ, ძველ ბაბილონში ქურდობა სახელმწიფო, საჯარო ხასიათის დარღვევად ითვლებოდა და არა კერძო ხასიათის გადაცდომად, როგორც ეს ძველ რომში იყო. მაგალითად, ადრეული ხანის ბიზანტიაში, ვიდრე მეექვსე საუკუნემდე, ქურდობა სახელმწიფო სასჯელით არ ისჯებოდა. მეხუთე საუკუნის ბიზანტიაში საკმარისი იქნებოდა ნაქურდალის ორმაგად დაბრუნება ან მისი ორკაცი ფასის გადახდა, რომ ქურდობის საქმე გაქარწყლებულიყო და ქურდიც სხვა მხრივ დაუსჯელი დარჩენილიყო. შედარებით გვიან, ახ. წ. მერვე საუკუნეში “ეკლოგის” მიხედვით (740) ქურდობა იწვევდა არა მარტო სამოქალაქო, არამედ აგრეთვე სისხლის სამართლის სასჯელსაც.

ისმის კითხვა, რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული რომის სისხლის სამართლის ასეთი ჩამორჩენა ძველბაბილონურთან შედარებით? საფიქრებელია, რომ ამის მიზეზი არა მხოლოდ ძველი ბაბილონის სახელმწიფოს მაღალგანვითარებულობაშია საძებნი, არამედ საკუთრებით ურთიერთობათა სპეციფიკურობაშიც. ძველი ბაბილონის ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე რომში და ბაბილონის სახელმწიფომ უფრო ადრე იგრძნო, რომ ქურდობა სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების ხელყოფა იყო.

სამართლის ისტორიის მკვლევარებმა შეამჩნიეს, რომ ხამურაბის კანონებში თითქმის არააყურია ნათქვამი რელიგიურ და სახელმწიფო დანაშაულობებზე. შესაძლებელია, რომ მხოლოდ

საკანონმდებლო ძეგლის 109-ე მუხლი გულისხმობდეს სახელმწიფო დანაშაულს: “უკეთუ მიკიტანი ქალი, ვის ხელშიც ბოროტმოქმედნი შეითქვენენ, ამ ბოროტმოქმედთ არ შეიპყრობს და სასახლეში არ მიიყვანს, ეს სირაჯი ქალი სიკდილით უნდა დაისაჯოს”.

რადგანაც ბოროტმოქმედთა სასახლეში მიყვანაზე საუბარი, შეიძლება აქ მეფისა და სასახლის დიდკაცობის წინააღმდეგ შეთქმულებაზე იყოს საუბარი.

კანონმდებლობა ჩამოყალიბებული სოციალური სტრუქტურის და რელიგიურ-პოლიტიკური სისტემის დაცვის მიზნით მკაცრად სჯის ნადითს (ღვთისმხეველს) და ქალ-ქურუმს, რომელიც სამიკიტნოს გახსნის ან სასმელისათვის სამიკიტნოში შევა: “ეს დედაკაცი უნდა დაწვიან” – მკაცრად ბრძანებს კანონმდებელი.

სახელმწიფო სასტიკად უსწორდებოდა იმათ, ვინც სახელს უტეხდა რელიგიურ კულტმსახურებას, სარწმუნოების პატივსა და ღირსებას.

იმ მოსამართლეს, რომელიც მხილებული იქნებოდა კანონის დარღვევაში, სათანადოდ დასჯიდნენ და მომავალში მოსამართლეობას აუკრძალავდნენ. მაშასადამე, ხამურაბის კანონები იცნობდა თანამდებობის დაკავების აკრძალვას. ხამურაბის კოდექსის მეხუთე მუხლის მიხედვით “უკეთუ მოსამართლემ სამართალი განსაჯა, განაჩენი გამოიტანა, ბეჭედი დასვა, ხოლო შემდგომ ამისა სამართალი შეცვალა, ამ მოსამართლეს სამართლის შეცვლაში ამხელენ, ამ საქმის სასჯელს თორმეტმაგად გადაიხდის და საკრებულოში თავისი სამოსამართლეო სავარძლიდან გადააყენებენ. უკან ვეღარ დაბრუნდება და მოსამართლეებთან ერთად სასამართლოში ვეღარ დაჯდება”

აქ საქმე უნდა გვექონდეს მოსამართლის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებასთან, ალბათ ანგარებასთან. მაგრამ არაა საგულეებელი, რომ კანონმდებელს მხედველობაში ჰქონდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განაჩენში ან გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანა, როგორც უკვე ვთქვით, სახელმწიფო სასჯელების გაბატონების ვითარებაში ბაბილონში ნაწილობრივ შენარჩუნებულია კომპოზიციებიც, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპოზიციების რაოდენობა სახელმწიფოს მიერ იყო განსაზღვრული.

რადგანაც კანონი უცაბედი მკვლევლობის შემთხვევაში

დამნაშავეს მაინც სიკვდილით სჯიდა, უნდა ვიფიქროთ, რომ განზრახ მკვლელობის შემთხვევაშიც დამნაშავეს სიკვდილით სჯიდნენ. ზოგჯერ ხამურაბის კოდექსი ითვალისწინებს დამნაშავეს განწყობილებას (206-ე მუხლი). მაგრამ აქ სუბიექტური ბრალეულობის ჩანასახებმა შემდგომი განვითარება ვერ პოვა.

ს. ი. კლოჩკოვმა 1975 წელს გამოაქვეყნა საინტერესო ნაშრომი ძველ ბაბილონელთა ეთიკის შესახებ ("ვესტნიკ დრევენეი ისტორიი" №3). საფიქრებელია, რომ ეთიკას, როგორც სულიერი კულტურის სათანადო განკერძოებულ სფეროს, ძველი ბაბილონელები არც იცნობდნენ. ეთიკური შეხედულებები მჭიდროდ იყო გადაწნული დაკავშირებული რელიგიურ სამართლებრივ, მითოლოგიურ წარმოდგენებთან და გვევლინებოდნენ როგორც მთლიანი მსოფლმხედველობის ნაწილები. არ არის შემორჩენილი ბაბილონელების რაიმე მორალური კოდექსი, რომელიც რელიგიის ავტორიტეტით იქნებოდა ნაკურთხი და განმტკიცებული. ი. მორგენშტერნის აზრით, ბაბილონელთა რელიგიაში "ცოდვა" მხოლოდ რიტუალური სიწმინდის ხელყოფას ნიშნავდა და ამ ცოდვის გაქარწყლება შეიძლებოდა რელიგიური, რიტუალური ცერემონიის მართებული შესრულებით.

5. სასამართლო წყობილება და სასამართლო პროცესი

სანამ სასამართლო წყობილების შესახებ ვისაუბრებდეთ, მოკლედ შევეხოთ ძველი ბაბილონის სახელმწიფო წესწყობილებას.

ძველ, შუმერულ ხანაში სახელმწიფოს სათავეში პატესი იდგა. ის ითვლებოდა ღმერთის მოადგილედ დედამიწაზე ძვ. წ. მესამე ათასწლეულის პირველ ნახევარში შუმერული ქალაქ-სახელმწიფოების მთელი პლეადა არსებობდა: ური, ლარსა, ურუქი, ლაგაში, უმმა, შურუპაკი, ისსინი, ნიპური, კიში, რომელნიც წამყვან როლს თამაშობდნენ მესოპოტამიის ისტორიაში.

ძვ. წ. ოცდამერვე-ოცდამეშვიდე საუკუნეებში ქალაქ-სახელმწიფოს სათავეში იდგა "ენ"-ი ე.ი. უმაღლესი ქურუმი. მოგვიანებით ქალაქ-სახელმწიფოს სათავეში დგება "ენსი" ან "ლუგალ"-ი. ენსის ფუნქციებში შედიოდა სარწყავი სისტემებისა და ტაძრების მშენებლობა.

ძვ. წ. ოცდამეშვიდე-ოცდამეექვსე საუკუნეებში დაწინაურდება ურუქის სახელმწიფო. ურუქის მმართველთაგან ყველაზე სახელოვანი იყო გილგამეში, რომელიც შემდეგ გაღმერთებულ იქნა ძველადმოსავლურ ლიტერატურულ ძეგლებში.

თავდაპირველად შუმერში შენარჩუნებული იყო წინასახელმწიფოებრივი ეპოქის დემოკრატიული ინსტიტუტები. მაგრამ თანდათან იძალა დესპოტიზმის ელემენტებმა, სანამ შუმერულ-აქადური სახელმწიფოს სახით არ ჩამოყალიბდება აღმოსავლური დესპოტია მეფის განუსაზღვრელი ძალაუფლებითა და ტიტულით. "მეფე ურისა, - მეფე შუმერისა და აქადის". მეფის განუსაზღვრელი ძალაუფლების სიდიადე და აუცილებლობა რელიგიურად, იდეოლოგიურად საბუთდებოდა. ძვ. წ. ოცდამეხუთე საუკუნიდან მეფეს ღვთაებრივ პატივს მიაგებენ და წესდება მეფის კულტი. თვით ქურუმებიც კი უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ მეფეს, მეფესვე ემორჩილებოდა სახელმწიფო და სამხედრო მოხელეთა მთელი არმია. თანდათან ქალაქ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას ბოლო მოეღო. შეიზღუდა ან მოისპო ადგილობრივი მმართველობა. მთელი სახელმწიფო დაიყო სამეფისნაცვლოებად, რომელთაც მეფის მხრივ ნდობით აღჭურვილი მეფისნაცვლები მართავდნენ. ეს უკანასკნელნი მეფის ნება-სურვილის მიხედვით იცვლებოდნენ. მათი თანამდებობა მემკვიდრეობით არ გადადიოდა მათსავე ვაჟიშვილებზე.

სამეფო სასამართლოც ამ ბიუროკრატიული სახელმწიფო სტრუქტურის სისხლი-სისხლთაგანი და ხორცი-ხორცთაგანი იყო.

ძველ მესოპოტამიაში ერთ ხანს მხოლოდ სასულიერო პირებს - ქურუმებს მიუწვდებოდათ ხელი სასამართლოებზე. ქურუმები ითავსებდნენ მართლმსაჯულთა ფუნქციებს. არსებობდა ქურუმთა კოლეგია, რომელსაც რიგრიგობით უძღვებოდა თითო ქურუმი.

არსებობს ცნობა, რომ მესოპოტამიაში მეფე შულგის ზეობის წლებში (2093-2047) მოსამართლის ფუნქციებს ასრულებდნენ მეფისნაცვლები, სხვა სახელმწიფო მოხელეები და ქურუმები. სასოფლო თემებში მოქმედებდნენ ე.წ. მოთემე მოსამართლეები. სასამართლო უწყების საჭიროებისათვის იყო შექმნილი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი სამართლის წიგნი - შულგის კანონები. შულგის კანონების შესავალში შულგი დახასიათებული იყო, როგორც ღარიბებისა და ქვრივ-ობლების მფარველი და დამცველი. ის არასოდეს არ დააჩაგვრინებდა ერთი სიკლი ვერცხლის ფასად ღირებული ქონების მქონე კაცს ერთი მინა

ვერცხლის მქონეს. სიკლი-შიკლი დაახლოებით უდრიდა რვა გრამ ვერცხლს, ხოლო ერთი მინა 500 გრამ ვერცხლს.

ურის მესამე დინასტიის დროს დაახლოებით ძვ. წ. 2100-2000 წლებში მესოპოტამიაში არსებული საერო ხასიათის სასამართლოები ამ დინასტიის დაცემას თან გადაყვა და როგორც ჩანს, სამართალწარმოება მთლიანად ქურუმების ხელში მოექცა, ხოლო ხამურაბის ზეობის წლებში (1792-1750), როგორც ჩანს, ჩატარდა ადმინისტრაციული რეფორმა, რომელსაც თან ახლდა სასამართლო რეფორმაც და ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ადმინისტრაცია და სასამართლო მაშინ მკაცრად არ იყო გამიჯნული. თუ წინათ ხამურაბის ხანამდე ქურუმების სასამართლოს ხელში იყო მართლმსაჯულების სადავეები, ხამურაბის მეფობის დროს ვითარება იცვლება. თუმცა ქურუმების სასამართლო არ გაუქმებულა, მაგრამ ქურუმთა ქვემდებარეობიდან ამოღებულ იქნა ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეების განხილვის უფლება. ამიერიდან ყველაზე დიდ საქმეებს სამეფო-საერო სასამართლო განიხილავდა. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ბაბილონის სახელმწიფოში ადმინისტრაციული თანამდებობის პირები სოფლის, თემის მმართველიდან ვიდრე ქალაქის და მხარის მმართველებამდე რიგ საქმეებზე მსაჯულის ფუნქციებსაც ინარჩუნებდა. ასევე მეფეც არაიშვიათად კისრულობდა მოსამართლის ფუნქციებს.

მართებული ჩანს ი. ა. მაგაზინერის მოსაზრება: მართალია, ხამურაბის დროს შემოღებულ იქნა სპეციალური სასამართლო დაწესებულება მეფის სასამართლოს სახით, მაგრამ ადმინისტრაციულ ფუნქციებისაგან არც ეს სასამართლო იყო თავისუფალი.

ძველ ბაბილონში არსებობდა კოლეგიური სასამართლო. ამ სასამართლოს წევრები ჩვეულებრივ იყვნენ ადგილობრივი დიდკაცობის, ქურუმების, საპატიო უხუცესი ქალაქელების და ვაჭართა ფენის წარმომადგენლები.

საქალაქო თემების სასამართლო კოლეგიას თავმჯდომარეობდა ქალაქის მმართველი, რომელსაც რაბინუმს ეძახდნენ, რაც ნიშნავდა დიდს. რაბინუმი მეფის მიერ დანიშნული ხელისუფალი უნდა ყოფილიყო. არ არის გამორიცხული, რომ ის საქალაქო თემის მამასახლისიც კი იყო. ხამურაბის კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, უკეთუ მმართველი ვერ შეიპყრეს, გაძარცვულმა კაცმა თავისი დანაკარგი ღმერთის წინაშე უნდა გამოაცხადოს და თემი (აქადურად "ალ-ლუმ", შუმერული "ურუ")

და მისი უხუცესი – რაბინუმი, რომლის მიწაზეც ან საზღვრებშიც მოხდა მძარცველობა, დანაკარგს უზღავენ.

სასამართლო კოლეგიის რიცხვითი შემადგენლობის შესახებ ზუსტი ცნობები არ არსებობს. ვიცით მხოლოდ, რომ ის ხან ოთხი, ხან რვა კაცისაგან შედგებოდა.

დიდი ტერიტორიული ერთეულის – ოლქის მმართველი (შაქანაქემი) სასამართლო კოლეგიის სხდომებს უძღვებოდა. ის მეფის მიერ იყო დანიშნული და მეფის წინაშე აგებდა პასუხს თავისი საქმიანობისათვის. არსებობს ცნობები, რომ ამ დონის სასამართლო კოლეგია ექვსი ან ათი კაცისაგან შედგებოდა. ზოგიერთ საქმეზე სასამართლოები მომრიგებელი არბიტრის როლსაც კი თამაშობდნენ.

ძველი ბაბილონის სახელმწიფოში ყველაზე მაღალი კატეგორიის მსაჯულებს განეკუთვნებოდნენ მეფის მოსამართლეები. სამეფო სასამართლოც კოლეგიურ ხასიათს ატარებდა. როგორც ჩანს, აქაც საქმეებს იხილავდა ოთხი ან რვა კაცისაგან შემდგარი სასამართლო კოლეგია. საგულგებელია, რომ ასეთი სასამართლოს წევრები უმეტესად სახელმწიფო მოხელეები იყვნენ.

როგორც ჩანს, მეფის მოსამართლეთა მსჯავრი საბოლოო იყო და მისი გასაჩივრება არ დაიშვებოდა. ყველაზე ავტორიტეტული იყო ქალაქ ბაბილონის სასამართლო და საფიქრებელია, რომ ის სამეფო სასამართლოდაც კი ითვლებოდა.

როდესაც მოდავე მხარეებად სხვადასხვა ქალაქების მცხოვრებლები გამოდიოდნენ, საქმე უნდა გაერჩია შერეული ტიპის სასამართლოს, რომლის შემადგენლობაშიც სხვადასხვა ქალაქების მსაჯულები შედიოდნენ და ერთ კოლეგიას ქმნიდნენ.

ძველ ბაბილონში არსებობდა სატაძრო სასამართლოებიც. ხამურაბის ეპოქაში მათ შენარჩუნებული ჰქონდათ მოდავე მხარეების ტაძარში დაფიცების, მოწმეთა ფიცის ქვეშ დაკითხვის, მემკვიდრეთა შორის ქონების სამართლიანი განაწილებისა და ზოგი სხვა ფუნქციაც.

მეფე ითვლებოდა უმაღლეს მსაჯულად. მას ყველაფერი ეკითხებოდა და ყველა საქმეზე მიუწვედებოდა ხელი. სამეფო სასამართლო უმაღლეს სასამართლო ინსტანციასაც წარმოადგენდა და ამავე დროს ზოგჯერ პირველი ინსტანციის სასამართლოს ფუნქციებსაც ასრულებდა. ძველი მესოპოტამიური ტრადიციის თანახმად ადამიანის სიკვდილით დასჯა მხოლოდ მეფის დასტურით შეიძლებოდა.

ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის საქმე მეფეს ექვემდებარებოდა. “საქმე სიცოცხლის შესახებ ექვემდებარება მხოლოდ მეფეს” – ნათქვამი იყო უშნუნის მეფის ბილაღამის კანონებში.

მეფის სასამართლოში დებულობდნენ აპელაციებს ქვემდგომი სასამართლოების მიერ გამოტანილ მსჯავრზე, მაგრამ თვითონ მეფე იშვიათად თუ გამოვიდოდა მოსამართლის როლში და ისიც ძალიან მნიშვნელოვან საქმეზე.

ჩვენამდე მოღწეული საბუთებიდან ჩანს, რომ მოსამართლეებს ყოლიათ თანაშემწეები. სასამართლოს ემსახურებოდა პოლიციელიც – “სასამართლოს ჯარისკაცის” სახელწოდებით. სასამართლოს ჰყავდა მწერალი. ის უელიდა და ინახავდა სასამართლოს გადაწყვეტილებათა შემცველ თიხის ფირფიტებს. არსებობდა სასამართლოს გადაწყვეტილებათა ასლის გადაღების პრაქტიკაც. ცნობილი ფრანგი მეცნიერი კიუკი თავის ნაშრომში – “ეტიუდები ბაბილონური სამართლის ისტორიიდან” (პარიზი, 1929) მართებულად აღნიშნავს, რომ ბაბილონში არსებობდნენ სასამართლოს მდივნები, არქივარიუსები, სასამართლო კანცელარიის მოსამსახურეები და მდივანთა კორპორაციის წევრებიც.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით ძველ ბაბილონში სისხლის სამართლის პროცესს და სამოქალაქო სამართლის პროცესს ერთმანეთისაგან ვერ განასხვავებდნენ. ბრალდებას მხარს უჭერდა კერძო პირი, პროკურატურის მსგავსი რაიმე დაწესებულება არ ყოფილა ძველ ბაბილონში. არც საზოგადოებრივი ბრალდმდებელი ჩანს. უფრო მისაღებია იმ ავტორების აზრი, რომლებიც ფიქრობენ, რომ ძველ ბაბილონში სისხლის სამართლის საქმეების განხილვის წესი გარკვეულად განსხვავებული იყო სამოქალაქო და საოჯახო სამართლის საქმეების განხილვის წესისაგან, თუმცა მკაფიო ზღვარი მათ შორის არ არსებობდა და ზოგიერთ საქმეში განსხვავება სრულიად არ იგრძნობოდა.

ზემოთ მოტანილი თეზისისგან რომელიმეს საბოლოოდ დამტკიცებას ართულებს ის გარემოება, რომ ჩვენამდე ძალიან ცოტა რაოდენობით არის მოღწეული სისხლის სამართლის პროცესის ამსახველი პირველადი საბუთები.

ძველი სამყაროს საკანონმდებლო ძეგლებში უმნიშვნელოვანესი ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული იმ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც ეხებოდნენ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების მტკიცების სხვადასხვა წესს.

მტკიცებითი სამართლის ნორმებს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვთ. მოცემული ეპოქის სასამართლო დამამტკიცებელ საბუთთა სისტემაში, როგორც სარკეში, სწორედ აისახება ხოლმე საზოგადოების კულტურული დონე, სამართალგანვითარების ისტორიული სიმაღლე. მართებულად აღნიშნავდა პროფ. ვ. სპასოვიჩი, რომ ყოველი მოცემული ეპოქის სასამართლო მტკიცებულებათა სისტემა არის უეჭველი მასშტაბი ხალხის გონებრივი განვითარებისა მოცემულ მომენტში, მისი ბაღლოებისა და უძლურების ან მისი დაგაჟაკებისა და მოწიფულობისა სამართლის კვლევის საქმეში. სასამართლო მტკიცებულებათა ისტორია ესაა ხალხის გონებრივი განვითარების ისტორია.

უპირველეს ყოვლისა იმ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ხამურაბის ეპოქის ბაბილონში უპირველეს სასამართლო მტკიცებულებას წარმოადგენდა წერილობითი აქტი. ამ გარემოებაში აისახა ბაბილონის იმპერიის შედარებით მაღალი კულტურული დონე.

ცნობილია, რომ შუმერში ძვ. წ. მესამე ათასწლეულში ჩნდება ლერსმული დამწერლობა, რომელიც შემდეგ სხვა ქვეყნებშიაც ვრცელდება.

წერილობით აქტს, დაწერილ საბუთს იხსენიებს ხამურაბის კოდექსის თოთხმეტი სხვადასხვა მუხლი. წერილობითი საბუთის შედგენის მეშვეობით ყიდულობდნენ ოქროს, ვერცხლს, მონას, ხარს, ცხვარს, ვირს და ა.შ. (მეშვიდე მუხლი).

ხამურაბის კანონების 178-ე მუხლის თანახმად “უკეთუ ქალ ქურუმს მამამ მზითევი მისცა, საბუთი დაუწერა, მაგრამ საბუთში არ ჩაუწერია, რომ მას თავის ნებაზე შეუძლია თავისი მემკვიდრეობის გაცემა, ყოველი სურვილის აღსრულების ნება არ მისცა, მამის სიკვდილის შემდეგ მისი მიწა ან ბაღი მისმა ძმებმა უნდა წაიღონ, ხოლო მას მისი წილის კვალობაზე სარჩო, ზეთი ან სამოსელი უნდა აძლიონ და მისი გული შეაჯერონ”.

წერილობითი საბუთის როგორც მტკიცებულების მნიშვნელობა და არეალი იმდენად ვრცელი ყოფილა ძველ ბაბილონში, რომ ის საოჯახო ურთიერთობის სფეროშიაც დიდ როლს თამაშობდა.

ხამურაბის კანონების 150-ე მუხლის თანახმად “უკეთუ კაცმა თავის ცოლს მიწა, ბაღი ან სხვა რამ საქონელი აჩუქა და ბეჭდიანი საბუთიც მისცა, ქმრის შემდეგ შვილები მას ვერ შეეცილებიან”, ეს მუხლიც კარგად ადასტურებს წერილობითი მტკიცებულების

დიდ მნიშვნელობას ძველ ბაბილონში.

გარდა წერილობითი აქტებისა, კანონების მიხედვით მტკიცებულებებად გვევლინებიან: ფიცი, მოწმეთა ჩვენებანი და ორდალი (მაგალითად ეჭვიმიტანილის წყლით გამოცდა).

მაშასადამე, ხამურაბის კოდექსში განვითარებული სამართლებრივი სისტემებისათვის დამახასიათებელ მტკიცებულებებთან ერთად გვხვდება, ალბათ, გადმონაშთების სახით, პრიმიტიული მტკიცებულებებიც და თვით მტკიცებულებების სისტემაში გარკვეული წინააღმდეგობაც იგრძნობა.

თუ ვინმე ვინმეს ჯადოქრობას დააბრალებდა, ის ვისაც ჯადოქრობა დაბრალებდა, მდინარესთან უნდა მივიდეს, მდინარეში უნდა შევიდეს და თუ “იგი მდინარემ დაიჭირა”, მისი დამსმენელი მის სახლს წაიღებს. “და თუ ეს კაცი მდინარემ გაწმინდა და იგი გადარჩა, ვინც მდინარეში შევიდა, თავისი დამსმენელის სახლს წაიღებს” (მეორე მუხლი).

მთლად ნათელი არ არის, თუ რაში მდგომარეობდა წყლით გამოცდა. “ჯადოქრობას” აქადურ ტექსტში შეესატყვისება “კის(უმ)”. მთარგმნელი მას ადარებს ქართულ “ქიშხს”, საბა ორბელიანთან ქიში განმარტებულია, როგორც “ავის მდომი”. ცხადია, ჯადოქრობაში დამსმენი დასმენილის ავის მდომი იქნებოდა.

ეს კაზუსი მოიპოვება ურნამუს სამართალშიც ასეთი სახით: “უკეთუ კაცმა კაცს ჯადოქრობა დააბრალა, მდინარეში უნდა შევიდეს, მდინარე განწმენდს”.

კანონების ტექსტში გამომცდელად უნდა იგულისხმებოდეს მდინარის ღმერთი და არა საკუთრივ მდინარის წყალი, შენიშნავს ძველის ქართულად მთარგმნელ-კომენტატორი.

ყოველ შემთხვევაში, მთლად ნათლად არა აქვთ წარმოდგენილი მკვლევარებს, თუ რაში მდგომარეობდა წყლის ორდალი. ფიქრობენ, რომ ბრალდებული უნდა გადავარდნილიყო მდინარეში და თუ მდინარე მას ამოატივტივებდა მის ზედაპირზე, ის გამართლდებოდა. ასეთი მტკიცებულების არსებობა, რა თქმა უნდა, იმის შესახებ მიგვითითებს, რომ უძველესი, პრიმიტიული შეხედულებების გადმონაშთებისაგან არ იყო თავისუფალი ძველბაბილონური სამართალი.

მოწმის ჩვენებაც მნიშვნელოვანი მტკიცებულება იყო ძველბაბილონურ სამართალში. რიგი ხელშეკრულებების დადება მოწმეთა დასწრების გარეშე არ შეიძლებოდა. მოწმეთა მოვალეობა

იყო, რომ “ღვთის წინაშე” ეთქვათ ის, რაც მათ იცოდნენ.

ძველბაბილონურ მტკიცებულებათა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ფიცს. ეს მტკიცებულება ღმერთს უკავშირდებოდა. ფიცი კანონებში გამოიხატებოდა სიტყვებით “ნის ილიმ” – რაც ნიშნავდა “სიცოცხლეს ღვთისას” (შეადარე ქართული: ღმერთს გეფიცები, ღმერთმანი, მე და ჩემმა ღმერთმა და ა.შ.).

ხამურაბის კოდექსის 206-ე, 207-ე და 227-ე მუხლებიდან ჩანს ფიცის დიდი მტკიცებითი ძალა. უკეთუ კაცს ისეთი დანაშაული ბრალდება, როგორცაა ჩხუბის დროს კაცის შემოკვდომა ან კაცისათვის ჭრილობის მიყენება, კაცმა უნდა დაიფიცოს: “განზრახ არ შემომიკრავსო” და ის მძიმე სასჯელისაგან გათავისუფლდებოდა და მას მხოლოდ ქონებრივ სასჯელს მიუსჯიდნენ. დაფიცება ხდებოდა საზეიმო ვითარებაში, ტაძარში.

მრუშობაში ბრალდებული ქალი “ღმერთს თუ დაიფიცებდა” თავის უბრალოებას დაამტკიცებდა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდებოდა. როგორც ვხედავთ, ძველ ბაბილონში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ განსაწმენდელ ფიცს. ქართული სამართლის წიგნებში ასეთ ფიცს “ჯერი” ერქვა.

ხამურაბის კანონების მიხედვით, თუ მწყემსს დაუძლეველი ძალის გამოისობით ჯოგი გაუწყდებოდა, განსაწმენდელი ფიცის მიღების შემდეგ ის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებოდა. ხამურაბის კოდექსის 266-ე მუხლის მიხედვით “უკეთუ სადგომში ღმერთის შეხება გაჩნდა, ანდა პირუტყვი ღომმა დაგლიჯა, მწყემსი ღმერთის წინაშე უნდა განიწმინდოს და სადგომის ზარალი სადგომის პატრონს შეხედება”. მაშასადამე, თუ მეხი განგმირავდა პირუტყვს ან ღომი დაგლეჯდა მას, ამისთვის მწყემსი პასუხს არ აკებდა თავისი პატრონის წინაშე. მწყემსი მხოლოდ ღმერთის წინაშე განიწმინდებოდა. საფიქრებელია, რომ კოდექსში ნახმარი გამოთქმა “ლიპიტ ილიმ” (ღმერთის შეხება) შეიძლება გულისხმობდეს ეპიდემიურ სენს ან სტიქიურ უბედურებასაც კი. “ღვთის რისხვისათვის”, როგორც ადამიანისათვის დაუძლეველი ძალისათვის, ცხადია, კანონმდებელი პასუხისმგებლობას ვერ დააწესებდა.

როდესაც სასამართლო საქმე გაირჩეოდა და სასამართლოს ოქმი თიხის ფირფიტაზე დაიწერებოდა, იქ აღნიშნული უნდა ყოფილიყო სასამართლო განაჩენის არსი. ჩვეულებრივ, მხარეებს

უნდა ეკისრათ ვალდებულება ხელშეორედ არ აღეძრათ იგივე საქმე. ეს ვალდებულება წერილობით დგებოდა.

6. ვალდებულებითი სამართალი

ძველი ბაბილონური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი იყო კარგად განვითარებული სამოქალაქო ბრუნვა. მართალია, ძველ ბაბილონში თეორიულად მიწა სახელმწიფოს და თემის საკუთრებად ითვლებოდა, მაგრამ მიწის გაყიდვის ფაქტი ცნობილია ხამურაბამდე დიდი ხნით ადრე, კერძოდ, ძვ. წ. ოცდამეექვსე საუკუნიდან.

თვით ხამურაბის ეპოქიდან ჩვენამდე მოაღწია საბუთებმა სახლების, ადგილ-მამულის, ბაღების, მონების ყიდვა-გაყიდვის შესახებ. ვხვდებით ბავშვების ყიდვა-გაყიდვის აქტებსაც. ამ დოკუმენტების ნაწილი ინახება მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის მუზეუმებში.

ხამურაბის კანონებში ხელშეკრულებათა მრავალი სახეობა იხსენიება (იხ. მაგ. 47, 48, 52, 122, 123, 128 და 264-ე მუხლები).

ხელშეკრულებების დადებისას მათი წერილობითი გაფორმება სავალდებულო იყო არა ყოველთვის, მაგრამ საკმაოდ ხშირად. ძველ ბაბილონში ხელშეკრულებების დადება არ იყო გართულებული ზედმეტი ფორმულობებით.

ხამურაბის კანონების 122-ე მუხლის მიხედვით “უკეთუ კაცი ვერცხლს ანდა ოქროს, ანდა სხვა რამ საქონელს შესანახად ვინმეს აბარებს, ყველაფერს რასაც აბარებს, მოწმეებს უნდა აჩვენოს, ხელშეკრულება გაამზადოს და შესანახად ისე მიაბაროს”.

იურიდიული ფორმალიზმი ძველ ბაბილონში საკმაოდ იყო განვითარებული. კანონებში პირდაპირ იყო მითითებული, რომ უკეთუ ვინმემ მოწმეებისა ან ხელშეკრულების გარეშე მიაბარა ვინმეს ნივთი შესანახად და “სადაც მიაბარა, უარი უთხრეს, ამ საქმეს სარჩელი არ ექნება” (123-ე მუხლი).

იურიდიული ფორმის დაცვის მოთხოვნილება იქამდე მიდის, რომ თუ კაცმა ცოლი ითხოვა, მაგრამ ხელშეკრულება არ დაუდო, ეს ქალი არ არის ცოლი (128-ე მუხლი).

ხამურაბის კოდექსი იცნობდა ყიდვა-გაყიდვის შეზღუდვებსა და აკრძალვასაც კი. იკრძალებოდა მხედრებისა და სახელმწიფო მოხელეების მხრივ სახელმწიფო საკუთრების იმ მიწების გაყიდვა, რომელიც მათ სამსახურის პირობით მიიღეს. იკრძალებოდა იღკუ-

სახლების ე.ი. სამეფო, სახელმწიფო საკუთრების სახლების გაყიდვა.

ქვივე ქალს შეზღუდული ჰქონდა მზითვეისა და ქმრისაგან მიღებული საჩუქრის გასხვისების უფლება. მან “ქმრის საცხოვრებელში” უნდა იცხოვროს და, ვიდრე ცოცხალია, ამით ისაზრდოს: “ვერცხლზე მას ვერ მიუწვდება ხელი. ის მას ვერ გაყიდის, რადგან მისი მექვიდრეობა მის შეილებს ეკუთვნის”.

სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულად არის შენიშნული, რომ ძველ ბაბილონში ყიდვა-გაყიდვისა და გაცვლა-გამოცვლის აქტები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, უფრო ხშირად მხარეთა არავითარ ვალდებულებას არ აწესებს (როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხელშეკრულებებში), არამედ უბრალოდ აღნიშნავენ მხარეთა ნება-სურვილს ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ. ნივთის გასხვისებას ძველ ბაბილონში, როგორც ეტყობა, თან ახლდა ჯოხის სიმბოლური დადება ნივთზე, რაც ხელშეკრულებაშიაც მოიხსენიებოდა. ეს წესი მეტ-ნაკლებად ანალოგიურია იმ ჩვევებისა, რომლებსაც მოგვიანებით რომაელებთანაც ვხვდებით. ცნობილია, რომ რომაელების სადავო ნივთს სიმბოლურად დაადებდნენ ჯოხს ან ჩხირს – “ვინდიკტას”. რაღაც მსგავსი ჩვეულება არსებულა შუა საუკუნეების საქართველოში.

ძველი ბაბილონური ვალდებულებითი სამართლის განვითარების დონეზე მიგვითითებს ის გარემოებაც, რომ უკვე უძველეს ხანაში იყიდებოდა და იცვლებოდა უფლება სატაძრო შემოსავალზე ან მის გარკვეულ ნაწილზე. უკვე ქრისტეს დაბადებამდე ოცდამეორე საუკუნეში შედგენილი საბუთის მიხედვით იყიდება ორსართულიანი სახლის ნაწილი (ქვედა სართული), მეორე ნაწილი (ზედა სართული) მესაკუთრის ხელში რჩება.

ძველბაბილონურ დოკუმენტებში ვხვდებით უძრავი ქონების მესაკუთრეთა გადატაკების მოწმობას. ისინი იძულებულნი ხდებიან ვალის გასასტუმრებლად გაყიდონ თავიანთი სახლ-კარი. მევახშეები ხელთ იგდებენ მოვალეთა უძრავ ქონებას. ერთი მევახშე ქურუმი ქალი, რომელიც ძვ. წ. მეოთხრამეტე საუკუნეში ცხოვრობდა, თანდათან ხელთ იგდებს ცხრა ადგილ-მამულს. გვაქვს ცნობა იმის შესახებაც, რომ ძმებმა შილი იშტარმა და ავილ-ილიმ ოცი წლის განმავლობაში ოცდახუთი უძრავი ქონება შეიძინეს.

თავდაპირველად კრედიტორებს შეეძლოთ ვალაუვალი

დებიტორების დამონება. ბაბილონის პირველი დინასტიის ეპოქაში ჯერ კიდევ ასეთი წესი მოქმედებდა. ეს წესი თვით ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდა. რიგი სხვა ხელშეკრულებების შეუსრულებლობა იწვევდა მხოლოდ და მხოლოდ მძიმე ქონებრივ პასუხისმგებლობას.

ვალაუვალი კაცი თავისი ცოლ-შვილით კაბალურ ურთიერთობაში ექცეოდა მეფაელესთან (კრედიტორთან). კრედიტორის სახლში მათ უნდა ემუშავათ სამი წლის განმავლობაში.

ვხვდებით ნისიად ყიდვის საბუთებსაც, როდესაც მყიდველი ვაღდებული იყო დათქმულ ვადაზე გადაეხადა ნივთის საფასური. ვხვდებით ნივთის საფასურის გადახდის განაწილვადებას, მისი ნაწილ-ნაწილი გადახდის შესახებ შეთანხმებას.

როგორც ჩანს, ძველ ბაბილონში ძალიან ეშინოდათ ევიქციის, ე.ი. ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ნივთის მყიდველს მესამე პირები გამოსთხოვდნენ ნივთის მათთვის დაბრუნებას. ევიქციის შემთხვევაში მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ნივთის გამყიდველს. საქმიანი ურთიერთობა უნდა დამყარებოდა კეთილსინდისიერებას. გასაყიდი მონის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გამყიდველს მყიდველისთვის სწორი ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა. თუ გაყიდულ მონას ერთი თვის განმავლობაში ავადმყოფობა “ბენნუ” აღმოაჩნდებოდა, მონის ყიდვის შესახებ ხელშეკრულება ბათილად იქნებოდა აღიარებული. “ბენნუ” შეიძლება ბნედას ნიშნავდეს.

მონების ფასი, ცხადია, ერთნაირი არ იყო. მხედველობაში მიიღებოდა მონის პროფესიული მომზადება-სარგებლიანობა, მისი ჯანმრთელობა, ასაკი და ა.შ. მონების ფასი საბუთების მიხედვით 4 შიკლი ვერცხლიდან 57 შიკლ ვერცხლამდე მერყეობდა (1 შიკლი = 8,4 გრამს). ჩვენამდე მოაღწია ქრისტეს დაბადებამდე ოცდამეექვსე საუკუნეში შედგენილმა საბუთმა, საიდანაც ჩანს, რომ მოზრდილი მონის ფასი იყო 20 შიკლი ვერცხლი. დაახლოებით იგივე ფასი უნდა ჰქონოდა საშუალო მონას ხამურაბის ეპოქაშიც. როგორც ვხედავთ, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მონის ფასი ერთ დონეზე რჩებოდა. ხამურაბის კოდექსის 278-ე მუხლის თანახმად, “უკეთეს კაცი მონას ან მონა ქალს იყიდის და თვის გასვლამდე მონას ბნედა მოუვლის, შეუძლია გამყიდველს დაუბრუნოს, მყიდველი გადახდილ ვერცხლს უკანვე მიიღებს”. ამით ჩვენ ვამთავრებთ ძველი ბაბილონის სამართლის შესახებ მსჯელობას.

ჩვენ განვიხილეთ ძველი აღმოსავლეთის რიგი მაღალ-

განვითარებული ქვეყნების სამართალი. ცხადია, სხვა სახელმწიფოებიც, რომელთა სამართლის ცოდნაც უთუოდ საჭიროა (ძველი ინდოეთის, ხეთების და ა.შ.), მაგრამ სალექციო ხაათების შეზღუდული რაოდენობა ამის საშუალებას არ გვაძლევს. სამართლის ისტორიის საკითხების უფრო ღრმად შესწავლის მსურველები მათ გაცნობას მოახერხებენ სათანადო ლიტერატურისა და წყაროების მეშვეობით.

სტუდენტებს ვურჩევთ წაიკითხონ ვ. ა. იაკობსონის საინტერესო ნაშრომი – “ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოს და სამართლის კვლევის ზოგიერთი პრობლემა”, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში “ნაროდი აზიი ი აფრიკი”, 1984 წელს (№2).

ვ. ა. იაკობსონის მართებული მოსაზრებით, სამართლის ისტორიის მკვლევარი ერთსა და იმავე დროს უნდა იყოს იურისტიც, ისტორიკოსიც და ფილოლოგიც, რაც იშვიათობას წარმოადგენს.

სამართლის ნორმების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ საზოგადოების ისეთ მნიშვნელოვან მახასიათებლებზე, როგორიცაა მისი ეკონომიკა და იდეოლოგია და “რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ეკონომიკისა და იდეოლოგიის ურთიერთ-ზემოქმედება”. ყოველივე ამის შესახებ მონაცემები სამართალში მოცემულია “არც თუ მთლად ნათლად”. ვ. ა. იაკობსონის სიტყვით “სამართალი – ეს საზოგადოების ავტოპორტრეტი, მაგრამ ისეთი ავტოპორტრეტი, რომელზედაც საზოგადოება გამოსახულია არა მარტო ისეთად, როგორც ის არის, არამედ ისეთადაც, როგორადაც ყოფნა მას სურს”.

ძველი საბერძნეთის სახელმწიფო და სამართალი

ზოგადი შენიშვნები. ძველი საბერძნეთის ისტორიის პერიოდიზაცია

ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია კაცობრიობის ისტორიის პირველი და, ამდენად, მეტად მნიშვნელოვანი თავია. არა ერთი საკაცობრიო მნიშვნელობის ფასეულობანია შექმნილი ძველ აღმოსავლეთში. შემდეგი და, შეიძლება ითქვას, არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაბიჯი კაცობრიობამ გადადგა ანტიკური საბერძნეთის მეშვეობით, აქ შექმნილ კულტურულ ფასეულობათა გამოისობით.

ძველი ბერძნების როლი კაცობრიობის კულტურის ისტორიაში სამართლის იტორიკოსმა პენრი სომნერ მენმა ასე შეაფასა:

იყო ქვეყნად პატარა ხალხი - პროგრესის პრინციპის შემოქმედი და ეს ხალხი ბერძნებია. ყოველივე, რაც ამ ქვეყნად ვითარდება და მოძრაობს, ბუნების ბრმა ძალების გარდა, თავის სათავეს ძველ საბერძნეთში იღებს.

ძველი საბერძნეთის სახელმწიფო და სამართალი იყო მეტად მნიშვნელოვანი და პროგრესული ეტაპი სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ოპტიმალური ურთიერთობის ძიების თითქმის მარადიულ გზებზე.

ამბობენ, ისტორია კარგი მასწავლებელიაო. თუ ასეა, ეს პირველ ყოვლისა ძველი საბერძნეთის ისტორიის შესახებ შეიძლება ითქვას.

მეოცე საუკუნის ორმოციანი წლებიდან დღემდე ბევრი რამ გაირკვა ბერძნების ისტორიის უძველესი ხანის შესახებ.

როგორც ჩანს, ძველი საბერძნეთის ისტორია ძველი აღმოსავლეთის ხალხების ისტორიასთან ერთად, ერთ ქრონოლოგიურ ნაკადში ვითარდებოდა.

ცხადია, ბერძნები განიცდიდნენ ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ცივილიზაციის გავლენას, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ძველი ბერძნებიც ახდენდნენ უკუგავლენას მათზე. დღეისათვის ცნობილია, რომ ქრისტეს შობამდე მესამე ათასწლეულში ბალკანეთის ნახევარკუნძულის არეალში და მის ახლო მდებარე კუნძულებზე აქა-იქ აღმოცენდებოდა და ვითარდებოდა ცალკეული ადრეკლასობრივი სახელმწიფოებრივი კერები. ზოგიერთ მათგანს შეიძლება ნახევარსახელმწიფო ეწოდოთ იმ აზრით, რომ მათში წინაკლასობრივი სტრუქტურები გარკვეულად მდგრად წონას-წორობაში იყვნენ ახალ, მზარდ და განვითარებად კლასობრივ და სახელმწიფოებრივ წესწყობილებასთან.

კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის პროცესი ყველაზე ადრე და ინტენსიურად მიმდინარეობდა კუნძულ კრეტაზე, აგრეთვე ლემნოსზე. შედარებით გვიან ეს პროცესი ვითარდება მატერიკზეც.

ძველი საბერძნეთის ისტორიას ხუთ პერიოდად ყოფენ:

1. ეგეოსური ანუ კრეტა-მიკენის პერიოდი (ძვ. წ. მესამე-მეორე ათასწლეული). ესაა პირველყოფილი გვაროვნული წყობილების რღვევისა და ცალკეულ რეგიონებში ადრე-

მონათმფლობელური სახელმწიფოების წარმოშობის ხანა.

2. ძვ. წ. XI-IX საუკუნეები. ამ დროს საბერძნეთში დორიელების დაპყრობათა შედეგად ადგილი აქვს პირველყოფილი თემური ურთიერთობის დროებით აღდგენას.

3. არქაული პერიოდი (ძვ. წ. VIII-VI საუკუნეები). ამ ეტაპზე ყალიბდება ანტიკური მონათმფლობელური საზოგადოება.

4. ძველი საბერძნეთის ისტორიის კლასიკური ხანა (ძვ. წ. V-IV საუკუნეები). მონათმფლობელური ურთიერთობის უმაღლესი განვითარება ანტიკურ პოლისებში.

5. ელინისტიკური პერიოდი (ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევარი ძვ. წ. პირველი საუკუნის შუა წლები).

ცნობილია, მონათმფლობელურმა სახელმწიფომ ანტიკურ სამყაროში საერთოდ და განსაკუთრებით კი ბერძნულ რეგიონში "პოლისის" ფორმა მიიღო. ეს იყო ერთსა და იმავე დროს სახელმწიფოც და ქალაქიც. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ბერძნული პოლისი შედგებოდა რამდენიმე სოფლისაგან, რომლებიც ერთი საქალაქო ცენტრის ირგვლივ იყო გაერთიანებული. ბერძნების ქალაქ-სახელმწიფოების სიმცირეს ისტორიკოსები იმით ხსნიან, რომ ეს სახელმწიფოები ჩამოყალიბდა როგორც შედარებით პატარა კოლექტივების მომცველი გვაროვნულ-ტომობრივი თემების დაშლის უშუალო შედეგი. ძველ საბერძნეთში არ არსებობდა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლები თუ წინამძღვრები რამდენადმე მძლავრი და დესპოტიკური სახელმწიფოს წარმოქმნისათვის.¹

ცხადია, ძველ საბერძნეთში ხელოსნობა ქვეყნის ეკონომიკაში დიდ როლს ასრულებდა, მაგრამ ის დაფუძნებული იყო მონური შრომის ვიწრო ბაზისზე და როგორც ერთი ავტორიტეტული ავტორი წერდა, მას საკმაოდ მაღალი განვითარებისათვის არასოდეს მიუღწევია. ხ. ფ. კენეკიანის აზრით ძველ საბერძნეთში სანაპირო ქალაქების ვაჭრობა უმთავრესად საგარეო, ზღვის-იქითურ ხასიათს ატარებდა, ამიტომ, რაც უნდა განვითარებულიყო მონურ შრომაზე დამყარებული ხელოსნობა, დიდი შინაური ბაზრის შექმნის საჭიროება არ არსებობდა.

შესაძლებელია ავტორი გადაჭარბებულად აფასებს მონური შრომის როლს ძველ საბერძნეთში, მაგრამ ეს საერთო სურათს,

¹ ხ. ფ. კენეკიანი. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია. ნაწილი პირველი, ძველი სამყარო, ნაკვეთი პირველი, ძველი აღმოსავლეთი და ძველი საბერძნეთი. თბილისი. 1946, გვ. 181

საერთო ტენდენციას არსებითად ნაკლებად ცვლის.

თვით საბერძნეთის გეოგრაფიული მდებარეობა, მისი ბუნება, ხელს უმართავდა ქვეყნის ცალკეული ნაწილების ერთმანეთისაგან განცალკევებას. ქვეყნის ერთი ოლქი მეორისაგან ხეობებითა და მთაგრეხილებით იყო შემოზღუდული. ყოველივე ეს ხელსაყრელ ვითარებას ქმნიდა მიკროსახელმწიფოს – პოლისის წარმოშობისათვის.

ნაყოფიერი ადგილ-მამულებით და ბუნებრივი სიმდიდრეებით შედარებით ღარიბი ბერძნები იწყებენ ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის სანაპიროების კოლონიზაციას. ეს კოლონიები უმრავლეს შემთხვევაში დამოუკიდებელი პოლისის სახით არსებობდნენ.

სახელმწიფო წესწყობილება საბერძნეთის კოლონიურ ახალშენებში, ისევე როგორც მეტროპოლისის ქალაქებში, საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. ზოგან “ტირანია” არსებობდა და აქ მთელი ძალაუფლება ერთი პირის ხელში იყო თავმოყრილი. ზოგან კიდევ არსებობდა არისტოკრატიული რესპუბლიკა, როდესაც ძალაუფლება დიდკაცების ვიწრო წრის ხელში იყო. არსებობდნენ, რა თქმა უნდა, დემოკრატიული წყობილების მქონე ქალაქ-სახელმწიფოებიც.

ძველი საბერძნეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის, და არა მხოლოდ მისი, არამედ საერთოდ სახელმწიფოებრიობისა და სამართლის წარმოშობის პროცესის ღრმად გასაცნობად დიდი მნიშვნელობა აქვს ე.წ. “ჰომეროსის ეპოქის” მონაცემებს.

2. საზოგადოების გვაროვნულ-ტომობრივი სტრუქტურა და სისხლის აღების ჩვეულება ჰომეროსის დროის ბერძნებში

მკვლევარები ფიქრობენ, რომ ძველი მსოფლიოს ლიტერატურის უდიდესი ფიგურა – ჰომეროსი ცხოვრობდა დაახლოებით ძვ. წ. მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში ან მერვე საუკუნის დასაწყისში. გენიალური პოეტი ჰომეროსი “ილიადასა” და “ოდისეას” თხზავდა ძვ. წ. 750-720 წლებში. ამ ხანებში ძველი ბერძნები ანბანურ დამწერლობაზე უნდა ყოფილიყვნენ გადასულნი.

ძველი ბერძნული ლიტერატურის მკვლევართა ნაწილს, არც თუ უსაფუძვლოდ, მიაჩნია, რომ შესაძლოა “ილიადა” ჩაწერილი

იყო თვით ჰომეროსის სიცოცხლეში.

ჰომეროსის ხანაში გულისხმობდნენ არა მარტო იმ დროს, როდესაც ცხოვრობდა და თავის პოემებს ქმნიდა დიდი პოეტი, არამედ გაცილებით უფრო ვრცელ ქრონოლოგიურ ქარგას – ძვ. წ. XI-VIII საუკუნეებს.

ხსენებული ეპოქა კი ჯერ ხავესებით, ყველა ასპექტში გამოკვლეულად არ შეიძლება ჩაითვალოს. “ხდება მეცნიერებაში უკვე არაერთგზის დასმული პრობლემების გადააზრება ეოქისათვის დამახასიათებელ ახალ კრიტერიუმებსა და მეთოდებზე დაყრდნობით. ამ პროცესში განუწყვეტლივ წამოიჭრება ხოლმე ახალი, მანამდე შეუნიშნავი საკითხები”, აღნიშნავს ჰომეროსის ქართველი მკვლევარი რისმაგ გორდეზიანი.

ცნობილი მკვლევარის ა. ფ. ლოსევის თქმით, თუმცა ბევრია გაკეთებული ჰომეროსის პოემების გაშუქებისათვის, მაგრამ ეს საკითხი ჯერ კიდევ შორსაა საბოლოო გადაწყვეტიდან და მრავალრიცხოვან მეცნიერმუშაკთა კოლექტიურ ღონისძიებას მოითხოვს, რომელნიც მზად არიან ჰომეროსის შესწავლას კიდევ მრავალი წელი მიუძღვნან.

პროფ. ა. ფ. ლოსევი წერდა: “ჰომეროსი – ეს გვაროვნულ-თემური საზოგადოების მთელი ენციკლოპედია, დაწყებული მისი ყველაზე ველური ხანიდან, ძალზე მძლავრი, ძალზე მტკიცე შეფასებაა მომავალი ცივილიზაციის საუკუნის სოციალურ-ისტორიული საფუძვლებისა”...

ჰომეროსი იყო ძველი საბერძნეთის ტერიტორიაზე და საერთოდ გვიანბრინჯაოს ხანის ხმელთაშუა ზღვის აუზში შექმნილი უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ცივილიზაციისა და ბრწყინვალე კულტურის კანონზომიერი განვითარების პროდუქტი.

ჰომეროსმა გონებით მოიცვა მისი თანამედროვე სამყარო. დღეს ჩვენთვის ცხადია, რომ ჰომეროსი ისეთ დროს ცხოვრობდა, რომ მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, ერთი მხრივ, სახელმწიფოს ფენომენი და ადრეკლასობრივი საზოგადოება, ხოლო მეორე მხრივ, თემურ-გვაროვნული წყობილებაც, რომელიც, როგორც საზოგადოებრივი არსებობის ფორმა, მის სამშობლო მხარეში ცივილიზაციის, ე. ი. კლასობრივი საზოგადოების ზღურბლთან იდგა.

ასეთ ვითარებაში, როდესაც ძველ, წინასახელმწიფოებრივ თემურ-გვაროვნულ საზოგადოებას სანახევროდ და უფრო მეტადაც მოეჭამა თავისი თავი, ჰომეროსისათვის შეუძლებელი არ იყო იმ

საზოგადოების ან ეპოქის არსებობის ფორმების შინაგანი კავშირების შემეცნება, რომელსაც თვითონ ეკუთვნოდა.

ჰომეროსის პოემებში აღწერილი ამბები უნდა მომხდარიყო ძვ. წ. XIII-XII საუკუნეებში.

დღეს ჩვენ დაბეჯითებით ვიცით, რომ ძვ. წ. XV საუკუნეში კუნძულ კრეტაზე ერთიანი სახელმწიფო არსებობდა. ხსენებული სახელმწიფოს დაცემის შემდეგ აქაველები ეგეოსის ზღვის არქიპელაგის კუნძულებზე დასახლდნენ; ხოლო ძვ. წ. XIV-XII საუკუნეებში პელეპონესზე – მიკენსა და პილოსზე არსებობდნენ აქაველთა აყვავებული სამეფოები. საგულვებელია, რომ აქაველები ძვ. წ. XIII საუკუნის დასასრულს დაესხნენ ტროას (“ტროას ომი”).

ქრისტეს დაბადებამდე XII საუკუნის მეორე ნახევარსა და XI საუკუნის დასაწყისში შედარებით ჩამორჩენილმა დორიელებმა დაიპყრეს პელეპონესის, კრეტისა და მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთი სანაპიროები, რასაც თან სდევდა კულტურის დაცემა, სოციალურ-ეკონომიკური რეგრესი, გვაროვნული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტების აღორძინება.

ძველ ბერძნებს მიაჩნდათ, რომ დიდი პოეტი ჰომეროსი ბერძენ ტომთა ისტორიის სწორუპოვარი მცოდნე იყო. ასეთი დიდების შარავანდედი ჰომეროსს, როგორც ისტორიკოსსა და გეოგრაფოსს, დიდხანს შერჩა.

“ილიადასა” და “ოდისეაში” სანდო ცნობებს პოულობდნენ ცნობილი ისტორიკოსები (ჰეროდოტე, თუკიდიდე), ხოლო სტრაბონი, დიდი ნდობის ღირსი გეოგრაფი, ამბობდა: “ჰომეროსმა ძველი და ახალი დროის აღამიანებს არ მხოლოდ თავისი პოემების ღირსებით, არამედ ვფიქრობ, საზოგადოებრივი ცხოვრების ცოდნითაც გადააჭარბა”.

ჰომეროსის ეპოქაში¹ ჯერ კიდევ არ არსებობდა ქვეყნის მოსახლეობის ტერიტორიული, სახელმწიფოებრივი დაყოფის პრინციპი. მოსახლეობა იყოფოდა ტომებად და გვარებად. იმას, რასაც ჩვენ ტომს ვეძახით, ბერძნები ფილეს უწოდებდნენ; ხოლო ძველ ქართულში “სახლს” გვარს ეძახდნენ, ბერძნები კი მას ვენეს ან ფრატრიის სახელით მოიხსენიებდნენ.

ტომების გაერთიანების შედეგად იქმნებოდა უფრო მსხვილი

¹ ა. ფ. ლოსვეი. “ჰომეროსი”, მოსკოვი 1960წ. (რუს.). გვ. 80.

ერთულები ე. წ. მცირე ხალხები, რომელსაც რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში “ნებოლშიე ნაროდცის” ეძახიან. მოსახლეობის ნათესაური ნიშნით დაყოფამ გამოხატულება პოვა იმ გარემოებაში, რომ ბერძენთა ლაშქარი ტროასთან ტომებისა და ფრატრიების მიხედვით იყო დაყოფილი სხვადასხვა შენაერთებად. ასე რომ, გვარი და ფრატრია სამხედრო ერთეულიც იყო. გვარიდან და ტომიდან მოკვეთილი კაცი, უგვარტომო, მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებებსა და დაცვას. ეს იყო კაცი “უსახლკარო და უგვარო” (“ილიადა”, IX, 163). “ოდისეადან” კარგად ჩანს, რომ ძველი ბერძენებისათვის უცხო არ ყოფილა სისხლის აღების, შურისძიების ჩვეულება. ნათესავის მკვლელობისათვის სისხლის აღება ძველი ბერძენებისათვის საპატიო მოვალეობა იყო. ბერძენთა რწმენით, თუ მოკლული თანამეგვარისათვის შურს არ იძიებდნენ, თვით მოკლული უბედური იქნებოდა იმ ქვეყნად – ჰადესში. ოდისევის სიტყვით, “მოკლულს ერთი შურისმაძიებელიც რომ დარჩეს გვარში, მკვლელს მამაპაპეული მიწიდან გადახვეწა მართებს” (“ოდისეა”, XXIII). ოდისევის წინააღმდეგ შურის საძიებლად მოუწოდებს ანტიგონეს მამა, შვილის სიკვდილით გულმოკლული და გაბოროტებული ევაპითოსი. “სანამ პილოსში გაგვასწრებენ ან მზიურ ელადაში ეპეოსთან შეაფარებდეს თავს, შემოვეწყოთ მის სახლს და შური ვიძიოთ, რომ შთამომავალთა თვალში სამუდამოდ არ გაგვიტყდეს სახელი. თუ ჩვენ ძეთა და ძმათა მკვლელებს არ გაუეწორდებით, თავი ცოცხლად რაღად გვინდა! ჯობს დახოცილთა აჩრდილებს შევერიოთ შავეთში!” (ოდისეა, XXIV, 433-438).

მკვლელი თუ სხვაგან არ გადაიხვეწებოდა, ის შურისძიებას თავიდან ვერ აიცილენდა. ჰომეროსთან იმის შესახებაც გაგვანია ცნობა, რომ დანაშაულის სახლაურის “სისხლის” ფასის გადახდით შეიძლებოდა შურისძიების თავიდან აცილება.

შურისძიების უფლებაზე უარის თქმისათვის მოკლულის ნათესავები ღებულობდნენ მოკლულის სისხლის საფასურს. ჰომეროსის პოემებიდან ჩანს, რომ საზოგადოებრივი ხელი-სუფლების წარმომადგენლები მხოლოდ შუამავლობდნენ მხარეებს შორის მოლაპარაკებაში და მოუწოდებდნენ შურისგებისაკენ და ეხმარებოდნენ სისხლის აღების გამოსასყიდის – “სისხლის” გადახდისათვის განსაზღვრაში (XVIII, 497-500). ჰომეროსის “ილიადის” მთავარი გმირის – აქილევსის ფარზე გამოსახული

ყოფილა სისხლის გადახდის გამო ატეხილი დავა. მოკლულის ნათესავეებს არსებული ჩვეულების თანახმად უნდა მიეღოთ სათანადო საზღაური – საურავი – “სისხლის” საფასური და თავი შეეკავენინათ შურისძიებისაგან. დავას არჩევდნენ ტომის უხუცესები ბასილევსის მეთაურობით, იქვე იყო ხალხიც. მოედანზე ხალხის წინაშე ორი ვაჟაკი ერთმანეთს ედავებოდა მოკლული კაცის სისხლის საზღაურის აღების შესახებ, ერთი ეფიცებოდა, ყველაფერი გადაგიხადეო, ხოლო მეორე – არაფერი მიმიღიაო.

ჰომეროსის ხანაში სამართალი დღევანდელი გაგებით ჯერ კიდევ არ არსებობდა. ბერძნული სიტყვა “ნომოს” – კანონი ჰომეროსის პოემებში არ გვხვდება. ჰომეროსის თანამედროვე ბერძნები მიმართავდნენ სამართლიანობას – “დიკეს”.

ჰომეროსი, ჰესიოდე, ჰინდარე ხმარობენ სიტყვა – “დიკეს”.. თანდათან “დიკემ” ჩვეულების მნიშვნელობა მიიღო.

3. ჰომეროსის დროის ბერძენთა საზოგადოებრივი ორბანიზაცია

ჰომეროსის ეპოქის საბერძნეთში უკვე არსებობდა გვაროვნული დიდკაცობა და პატრიარქალურ-თემური ურთიერთობა. პირუტყვი, განსაკუთრებით კი ხარი, ღირებულების საზომია, მეურნეობა კი ძირითადად ნატურალურ ხასიათს ატარებდა.

მატრიარქატი, დედისეული გვარი, უკვე აღარ არსებობდა. მატრიარქატის დამარცხებამ გამოხატულება პოვა ესქილეს ტრაგედია “ორესტეაში”.

ოჯახის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ი. ბახოვენი ხსენებულ ტრაგედიას განმარტავდა როგორც დაღუპვისაკენ დაქანებულ მატრიარქატსა და აღმავალ და ძლევამოსილ პატრიარქატს შორის წარმოებული ბრძოლის ტრაგიკულ, მაგრამ ისტორიულად მართებულ გამოხატულებას.

ესქილეს თხზულების მიხედვით აგამემნონის მეუღლის – კლიტემნესტრასა და ეგისტოსის შეთქმულებამ იმსხვერპლა ტროას ომიდან დაბრუნებული აგამემნონი.

მაგრამ კლიტემნესტრასა და აგამემნონის ვაჟი ორესტე შერს იძიებს მამის მკვლელობისათვის და მოკლავს მშობელ დედასა და ეგისტოსს.

დედის მკვლელ ორესტეს დაუნდობლად დევნიან მატრი-
არქატის დემონური დამცველები, შურისმაძიებელი სულები,
რომელთა თვალშიაც დედის მკვლელობა უდიდესი და საზარელი,
გამოუსყიდავი დანაშაულია. მაგრამ უკვე არსებობს სხვა
შეხედულებაც. ღმერთი აპოლონი და ქალღმერთი ათენა უკვე
ახალი, მამაკაცების ბატონობაზე – პატრიარქატზე დამყარებული
საზოგადოების ფასეულობათა სისტემით ხელმძღვანელობდნენ
და იცავენ ორესტეს. საინტერესოა სასამართლოზე მხარეების
პაექრობა. ორესტე თავის საქციელს იმით ამართლებს, რომ
კლიტემნესტრამ ორმაგი ბოროტმოქმედება ჩაიდინა, როდესაც
თავის ქმარს და ამასთანავე ჩემს მამას მოუსპო სიცოცხლეო.
აქი დედამაც ჩაიდინა ბოროტმოქმედება.

რა მანკდამაინც მის დედას, ქმრის მკვლელს მოეპყრნენ
ერინიები ესოდენ ღმობიერად? “მიტომაო, უპასუხებენ ისინი,
რომ თქვენს დედას თავისი სისხლის ნათესავი არ მოუკლავს”-ო.
ამ სიტყვების შემდეგ ქალღმერთ ათენას თავმჯდომარეობით
წარმართულ არეოპაგზე ორესტეს დასაცავ სიტყვას წარმოსთქვამს
ღმერთი აპოლონი, რომელიც ორ დებულებას, ორ მოსაზრებას
აეთარებს. საიდანაც გამომდინარეობს, რომ კლიტემნესტრას
მკვლელობა სამართლიანი საქმეა, რადგან იგი უნდა დასჯილიყო
ორესტეს მამის მუხანათურად მოკვლისათვის. მეორე მხრივ კი
დამნაშავე დედის მოკვლა, ისეთივე მძიმე დანაშაული არ არის,
როგორც მამისა, ვინაიდან მამაა ჭეშმარიტი მშობელი, დედა კი
მხოლოდ ჩანასახს ასაზრდოებსო.

ამის შემდეგ ქალღმერთი ათენა, როგორც ნაფიც მსაჯულთა
თავმჯდომარე, კენჭს აყრევიანებს არეოპაგიტებს. ხმები შუაზე
იყოფა. თვითონ ქალღმერთი ათენა ხმას აძლევს ორესტეს
გამართლებას. სიბრძნის ქალღმერთი მხარს უჭერს აპოლონის
მოსაზრებას. მაშასადამე, მხოლოდ ათენას ხმის მეშვეობით
ორესტეს ამართლებენ ნაფიცი მსაჯულები. ამრიგად, პატრი-
არქატმა გაიმარჯვა მატრიარქატზე. შურისძიების დაუსრულებელი
ძაფიც აქ წყდება.

აპოლონი და ათენა უმცროსი თაობის ღმერთები არიან და
ბოლოს და ბოლოს ერინიებიც იძულებულნი ხდებიან ემსახურონ
პატრიარქალურ საწყისებზე მოწყობილ საზოგადოებას.

ამრიგად, ესქილეს (525-456) მიხედვით ორესტე მხოლოდ
ღმერთთა ჩარევის შედეგადაა გამართლებული, ღმერთებს
შეუბრალათ უბრალო ადამიანი, რომელსაც სისხლის აღების
წესის მიხედვით უნდა შური ეძია და ამავე დროს იძულებული

შეიქნა თავისი სურვილის წინააღმდეგ ბოროტმოქმედება ჩაედინა, საკუთარი დედა მოეკლა. შურისძიების წესი და სისხლის ხმა ერთმანეთს შეეჯახა.

და, ვინაიდან ჩვეულებრივი კანონი ამ შემთხვევაში საქმეს არ შეეღობა, რაც ხმების შუაზე გაყოფითაც დადასტურდა, ღვთაება დაეხმარა ამ უნებლიე ბოროტმოქმედს.

პროფ. გრ. წერეთელს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ესქილეს “პრომეთეოსსა” და “ევმენიდებში” გატარებულია მოსაზრება, რომ კონფლიქტი და დავა ახალ, შედარებით ჰუმანურ ღვთაება აპოლონსა და ძველ ღმერთებს – ერინიებს შორის ძნელი გადასაწყვეტია. ამ პრობლემის გადაწყვეტა ადამიანს არ ძალუძს. იგი ისევ ღვთაებამ, ამ შემთხვევაში ათენამ უნდა მოაგვაროს, რომელიც აერთიანებს ახალსა და ძველს. “ხოლო ადამიანებისათვის აქამდე უცნობი ჰემშიარიტების (პატრიარქალური პრინციპების) დამცველად გამოდის თვით ქალღმერთის მიერ დაარსებული სამსაჯავრო, სახელდობრ “არეოპაგი”. მართებულია, პროფ. გრ. წერეთელის¹ მოსაზრება იმის შესახებ, რომ ესქილემ “მხოლოდ ეჭვი გამოთქვა”, ყოველთვის დასაშვებია თუ არა სისხლის აღებაო”, მაგრამ საჭირობოროტო საკითხზე პასუხის გაცემა ვერ მოახერხა. საზოგადოების განვითარების ბუნებრივისტორიულ პროცესში ეს საკითხიც გადაწყდა. სისხლის აღების ჩვეულება უარყოფილ იქნა.

პატრიარქატის გამარჯვებამ, მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების განვითარებამ სხვა ფაქტებთან ერთად ხელი შეუწყო ბერძნების არაჩვეულებრივ წინსვლას. ასე თუ ისე, გადაწყდა კვების მუდმივი წყაროების პრობლემაც. უკვე გასულ საუკუნეში გამოითქვა მოსაზრება, რომ ევროპელ და აზიელ არიელებს შინაური პირუტყვისათვის ჯერ კიდევ საერთო სახელები აქვთ, კულტურული მცენარეებისათვის კი თითქმის სრულიად არა, – წერდა ერთი მკვლევარი. მცირეოდენი შესწორებებით ეს აზრი დღესაც მისაღებია. კულტურული მცენარეების მცირე ნაწილისათვის, როგორც ჩანს, მათ შეიძლებოდათ ჰქონოდათ კიდევ საერთო სახელი, მაგრამ ეს ზოგად სურათს მაინც არ ცვლის.

პომეოსის ხანის საბერძნეთში მეცხოველეობის განვი-

¹ გრ. წერეთელი. ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტომი მეორე, ტრაგედია. ტფილისი, 1935, გვ. 105-106.

თარების დონე მაღალი ჩანს. აქ გაცველა-გამოცველის საზომად მეტწილად მსხვილფეხა საქონელი გამოიყენებოდა. დიომიდემ გლაგოსს საომარი იარაღი გაუცვალა. ჰომეროსის სიტყვით გლაგოსის საჭურველი ოქროსი იყო და ას ხბოდ ფასობდა, დიომიდესი კი სპილენძისა ყოფილა და ცხრა ხბო თუ ეღირებოდა ("ილიადა", IV, 235-236). ითაკის ბასილევსის – ოდისევსის ოჯახის საუკეთესო და უერთგულესი მხევალი ვერძილეა ოც ხარად ყოფილა ნაყიდი. ღირებულების საზომის როლში მოგვიანებით შემოდის ბრინჯაო, რკინა, სპილენძი. ლითონის ნაჭრების გვერდით ღირებულების საზომად დიდხანს იხმარებოდა ხარის ტყავი და მონები.

ჰომეროსის ეპოქაში პატრიარქალურ გვარს გააჩნდა საერთო ადგილ-მამული, რომელსაც ანაწილებდნენ გვარის წევრთა შორის დასამუშავებლად, გარდა ამისა, გვარს გააჩნდა საერთო სასაფლაო, საერთო კულტი. მიწის იმ ნაკვეთს, რომელიც ოჯახის მფლობელობასა და სარგებლობაში გადადიოდა "კლეროსი" ერქვა, რაც სიტყვა-სიტყვით "წილის ყრას" ნიშნავდა. მაგრამ მიწათმფლობელობაში თანასწორობის პრინციპი დარღვეულია. სამხედრო ბელადები დამატებით ღებულობენ მიწის ნაკვეთებს – ტემენოსებს. "ოდისეადან" ისიც ჩანს, რომ საბერძნეთში არსებობდნენ "ეკლეროსო" და "მრავალკლეროსიანი" ადამიანებიც, მაგრამ ამავე დროს, ჰომეროსის თანამედროვე საბერძნეთში ფიზიკური შრომა, მწარმოებლური შრომა, დამაცირებლად არ ითვლებოდა. თვით გვარებისა და ტომების უხუცესებიც არ თაკილობდნენ მას. "მეფე" – ბასილევსი – ოდისევსი არ თაკილობს, რომ შეეჯიბროს ფეაკიელებს ხენასა და მკაში.

ბასილევს-ოდისევსსა და მის მონა ემეოსს შორის გული-თადი დამოკიდებულებაა.

ემეოსი ბატონის ოჯახის ერთგული და მისი საქმეების უახლოესი თანამონაწილეა. მართალია, ზოგადად მონების მდგომარეობა არაა სახარბიელო, მაგრამ გამონაკლისის სახით ზოგიერთ მონას საკუთარი ოჯახის შექმნის უფლებაც აქვს. არიან მონები, რომელთაც საკუთარი ოჯახიც რომ ჰყავთ. პენელოპა ერთ-ერთი მონის ქალიშვილს საკუთარი სურვილით ზრდის.

ჰომეროსის ნაწერებში ფულის არსებობა არ ჩანს. მართალია, ერთგან "ტალანტი" იხსენიება, მაგრამ ეს მხოლოდ აღმოსავლეთის გაელენით შეიძლება აიხსნას. ვაჭრობას გაცველთი ხასიათი ჰქონდა. ჰომეროსის დროინდელ საბერძნეთს ღირებულების

მუდმივი საზოგადოებრივი კიდევ არ ჰქონდა შემუშავებული.

ჰომეროსთან ვაჭარი და მეკობრე, განსაკუთრებით ფინიკელების სახით, ერთმანეთისაგან განუყოფელია.

ჰომეროსის ეპოქაში ხელისუფლების მუდმივი ორგანო იყო უხუცესთა საბჭო – ბულე. ერთ დროს “უხუცესთა საბჭო” მხოლოდ ხანდაზმული ადამიანებისაგან შედგებოდა, მაგრამ ჰომეროსის ხანაში გვაროვნული არისტოკრატის, პატრიარქალური გვარების, დიდკაცთა საბჭოდ არის გადაქცეული.

გვარ-ტომის წინამძღოლს ბერძნები ბასილევს (ბასილევსს) უწოდებდნენ. ის იყო ტომის სამხედრო ბელადი (მხედართმთავარი), უხენაესი მსაჯული და უხენაესი სასულიერო პირიც (ქურუმი). ეს მეფე-ბასილევსი, რომლის თანამდებობაც პრინციში არჩევითია, უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად სახალხო კრებას, აგორას იწვევდა. აქ განიხილავდნენ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს (ომისა და ზავის და ა.შ.). ბასილევსთან არსებობდა სათათბიროც, თათბირს ბასილევსი ღვინის ფორმით აწყობდა. “შენ დაიწყე აგამემნონ! უხუცესთათვის ღვინი გამართე” – კვითხულობთ ჰომეროსის “ილიადაში” (IX, 70).

სახალხო კრებებზე გვაროვნული არისტოკრატია ბატონობდა. ფორმალურად ყოველ სრულწლოვან მამაკაცს შეეძლო გამოეთქვა თავისი აზრი კრებაზე, მაგრამ ფაქტობრივად ეს გაძნელებული იყო, რადგან ხმის მიცემისას ხმების დათვლა არ ხდებოდა და გადაწყვეტილებას ყვირილითა და ხმაურით იღებდნენ.

ტროასთან შემდგარ სამხედრო კრებაზე, როდესაც ოდისევსი გვაროვნული არისტოკრატის წარმომადგენლებს შეხვდებოდა, პატივისცემით მოიკითხავდა, ხოლო თუ ხალხის წრიდან გამოსულ მდაბიოს შეხვდებოდა, მას მკაცრად ექცეოდა, აგინებდა: დაეგდე გაუნძრევლად, ბედუკუდმართო, და ყური უგდე, რას იტყვიან სხვები, ისინი ვინც შენზე ბრძენნი არიან (ილიადა, II, 188-189).

ბასილევსის ძალაუფლება ომიანობის დროს, საომარ ვითარებაში უფრო ძლიერი და მეკეთრია, ვიდრე მშვიდობიანობისას. ომის დროს მას ხელეწიფება დამნაშავეს სიკვდილით დასჯაც კი გადაუწყვეტოს. ბასილევსი მართლმსაჯულია. უხუცესებთან ერთად ის ასამართლებდა თემის წევრებს. არ არის გამორიცხვული, რომ ბასილევსი ერთპიროვნულად არჩევდა ზოგიერთი კატეგორიის საქმეებს. ბასილევსი ხელმძღვანელობდა რელიგიურ ცერემონიებს, ღმერთებს სწირავდა მსხვერპლს და ის ითვლებოდა ხალხის წარმომადგენლად ღმერთების წინაშე.

გვიანდელი მეფეების მსგავსად მეფე ბასილევსი ხალხს არ არის მთლიანად მოწყვეტილი. იგი გვირგვინსაც კი არ ატარებს. მისი ღირსების ერთ-ერთი განმასხვავებელი სიმბოლოა კვერთხი – მხატვრულად და მდიდრულად მორთული ჯოხი. მაგრამ კვერთხი სახალხო კრებაში ორატორებსაც უპყრიათ ხელში, ხოლო ტაძრებში – უბრალო ქურუმებს.

ბ. ფ. ჰეგელმა “სამართლის ფილოსოფიაში” მართებულად მიუთითა, რომ ჰომეროსის ეპოქაში მეფის ხელისუფლება ჯერ კიდევ არ არსებობს, რადგან მისი საჭიროება მხოლოდ საზოგადოების შემდგომი განვითარებით აშკარავდება. თუმცა ჰომეროსის ეპოქის ბერძნების საზოგადოებრივ წესწყობილებაში გვაროვნული ორგანიზაცია ჯერ კიდევ სავსებით დრომოჭმული არაა, მაგრამ მისი რღვევის აშკარა ნიშნები მეტ-ნაკლებად შესამჩნევია.

ჰომეროსი არ აიდეალებს “გმირული ეპოქის” საბერძნეთის ცხოვრების ყველა მხარეს. ის ხედავს მის ნაკლოვანებებსაც. აბა რა არსებობის უფლება უნდა ჰქონდეს იმ საზოგადოებას, სადაც, “ოდისეის” მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სასიძოვბის უხეში ძალა ასე დიდხანს თვითნებობდა და თარეშობდა და მათი ამლაგბავი კი არააინ იყო.

კუნძულ ითაკაზე სასიძოვბი ანადგურებდნენ ოდისევსის ქონებას, ჩაგრავენ რა ტელემახს. ძველ საბერძნეთში ბასილევსის ხელისუფლება ჯერ კიდევ არ არსებობს. “ოდისეაში” დაცული ცნობების მიხედვით პრიმიტიული სახელმწიფოებრიობის ყლორტები აქა-იქ შეინიშნება. მოსახლეობა ბასილევსს გამოსადებს და “საჩუქარს” უხდის, თითქოსდა მის მიერ გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად (XIII, 14-15; XIX, 1996). ომში გამარჯვებულ ბასილევსს ეკუთვნის ნადავლის დიდი ნაწილი, ბასილევსისთვის გამოყოფილია მიწის განსაკუთრებული ნაკვეთი, რომელსაც ტემენოსი ეწოდება.

ჰომეროსის საზოგადოებაში მონობაც არსებობს. პოეტი იმასაც ამჩნევს, რომ მონა გულგრილია ბატონის ინტერესებისადმი. “მონა საქმეს არ დაგიდევს, თუ ბატონი იმას მკაცრად არ უბრძანებს იმუშაოს, ის საქმეს ხელს არ მოჰკიდებს. ზევსმა მონის მწარე ხვედრი თუ არგუნა ადამიანს, მაშინ იგი გულადობას სანახევროდ მოსპობს მასში”.

როგორც ვხედავთ, ჰომეროსი ამჩნევს როგორც თემურ-გვაროვნული წყობილების, ასევე ქმნადობის პროცესში მყოფი

მონათმფლობელობის ნაკლოვანებასაც. ჰომეროსი დგას ჩამოყალიბების პროცესში მყოფ დიდ მომავალსა და ჯერ კიდევ ცოცხალ დიდ წარსულს შორის (ვ. შადეკეალტი). არ შეიძლება არ გავიზიაროთ ს. ლ. უტჩენკოსა და ი. მ. დიაკონოვის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ უმართებულო იქნება სტერეოტიპულად დაგვეპირისპირებინა ერთმანეთისათვის მონები და მონათმფლობელები, როგორც ერთიანი მოწინააღმდეგე კლასები. არა მარტო თავისუფალი ადამიანები, არამედ მონებიც, მონათა სხვადასხვა ფენაც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა.

ოდიხევის მონა ევმეოსი “ღვთაებრივია”, “ღმერთების სადარი მელორეა”. მას იმედიც კი აქვს, რომ ბატონი სახლ-კარს უბოძებს და მზითვიან ქალსაც შერთავს (ოდიხეა, XIV, 64) პოემის სხვა ადგილიდან ჩანს, რომ ევმეოსი ყიდულობს საკუთარ მონასაც კი (ოდიხეა, XIV, 450-453).

4. ძველი სპარტის სახელმწიფო და სამართალი

ერთი ტომის მიერ მეორის დაპყრობა რომ სახელმწიფოს წარმოშობის ხელშემწყობი ფაქტორია გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე, კარგად გამოჩნდა ძველი სპარტის მაგალითზე. სპარტაში სახელმწიფო ქრისტეს დაბადებამდე მეცხრე საუკუნეში წარმოიშვა. სპარტაში ჩრდილოეთიდან მოსულმა ტომებმა დაიპყრეს ევროტის ხეობის მცხოვრებნი და დაპყრობილები გადააქციეს სახელმწიფო მონებად – ილოტებად. სპარტაში ჩამოყალიბდა აგრარული სახელმწიფო და გასაგებია, რომ მიწათმოქმედება შეადგენდა მოსახლეობის ძირითად საქმიანობას. იმისათვის, რომ დამონებული მოსახლეობა მორჩილებაში ჰყოლოდა სახელმწიფოს, საჭირო იყო სამხედრო მზადყოფნაში ჰყოლოდა არმია და პოლიცია. სპარტაში ამის შედეგად ჩამოყალიბდა სამხედრო სამიწათმოქმედო სახელმწიფო. სპარტა იყო ლაკონიკის – პელოპონესის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის მთავარი ქალაქი. სპარტა მდებარეობდა მდინარე ევროტზე, საბერძნეთის ერთ-ერთ ნაყოფიერ და მოსავლიან ველზე. თვით ლაკონიკის ნაპირები საზღვაო ვაჭრობისათვის საკმაოდ მოუხერხებელი იყო და ზღვაოსნობა აქ ვერ განვითარდებოდა.

სპარტის სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში ზეპირი, ლეგენდარული გადმოცემების თანახმად დიდი როლი

ითამაშა ლიკურგოსმა, რომელსაც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ლიკურგად მოიხსენებენ. გადმოცემის თანახმად ის ცხოვრობდა ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებში. თუ პლუტარქეს დაუჯერებთ, ლეგენდარული სპარტელი კანონმდებელი იყო სპარტის მეფის ბიძა და აღმზრდელი. ბერძნული ტრადიციით, რომელიც აირეკლა ძვ. წ. V-IV საუკუნეების ავტორების თხზულებებში, ლიკურგოსს მიეწერებოდა სპარტის სახელმწიფო წყობილების ყველა ინსტიტუტის შექმნა. რა თქმა უნდა, ეს როლი და ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგები შეიძლება ასახა კიდევ მან თავის კანონებში. მას მიაწერენ რეტრის შედგენას, რაც სიტყვა-სიტყვით ხელშეკრულებას ნიშნავდა. ლიკურგეს (ლიკურგოსს) მიაწერდნენ სპარტელები უხუცესთა საბჭოს (გერუსიას) შექმნას. გერუსია ოცდარვა წევრისაგან შედგებოდა. მასში შედიოდნენ აგრეთვე მეფეებიც. სპარტას კი ორი მეფე ჰყავდა. ამრიგად, მეფეების ჩათვლით გერუსიაში 30 წევრი იყო.

გერუსიის წევრებს გერონტებს ეძახდნენ. წევრებად ითვლებოდნენ შედარებით ხნეირი წარჩინებული პირები, რომლებიც სამოცი წლის ან სამოც წელს გადაცილებულები და, ამდენად, სამხედრო სამსახურის გაწვევის მოვალეობისაგან თავისუფლები იყვნენ. არჩევნების წესი კი იმდენად პრიმიტიული იყო, რომ მისი ბოროტად გამოყენება ადვილად შეიძლებოდა. მათ მთელი სიცოცხლით, საშუადად ირჩევდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გერონტები არავის წინაშე არ იყვნენ ანგარიშვალდებულნი. ისინი სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ.

გერუსიას სასამართლოს ფუნქციებიც გააჩნდა. მის კომპეტენციაში შედიოდა სისხლის სამართლის საქმეების გარჩევა.

გერუსია და ეფორები უპირისპირდებოდნენ ერთიმეორეს. ეფორები თავდაპირველად მეფეების მოადგილეებად ითვლებოდნენ. ისინი მეფეების სახელით ახორციელებდნენ სამოქალაქო იურისდიქციას. თანდათან ეფორების ძალაუფლება იმდენად გაძლიერდა, რომ ჯერ მეფობის ძალაუფლებას დაუახლოვდა, ხოლო შემდეგ კი ისიც გადაფარა. სპარტის დიდკაცობა ხელს უწყობდა ეფორების ხელისუფლების გაძლიერებას და მათ უპირისპირებად მეფეებს. თავდაპირველად ეფორებს მეფეები ნიშნავდნენ. ეფორების არჩევითობამ ხელი შეუწყო მათი ძალაუფლების გაძლიერებას და მეფისადმი მათ დაპირისპირებას. ეფორები ხუთნი იყვნენ. მათ ყოველწლიურად ირჩევდნენ სახალხო

კრებებზე. ეფორებს ევალეობდათ გერუსიის და სახალხო კრების მოწვევა და მათი სათანადო ხელმძღვანელობა. არაიშვიათად ეფორები სახალხო კრებას ან გერუსიას მეფეების დაუკითხავად იწვევდნენ და მათ წინააღმდეგ წარმართავდნენ.

ქვეყნის საშინაო მართვაც მნიშვნელოვნად ეფორების ხელში იყო. ისინი თვალყურს ადევნებდნენ კეთილსინდისიერებას და სასტიკ მეთვალყურეობას უწევდნენ დისციპლინის დაცვას. მათი მეთვალყურეობა მეფეებზეც კი ვრცელდებოდა.

გადმოცემის თანახმად, თავისი თანამდებობის შესრულებას რომ იწყებდნენ, ეფორები მიმართავდნენ მოქალაქეებს მოთხოვნით, მოეპარსათ უღვაში და დამორჩილებოდნენ კანონს. ე.ი. ყველაფერში დაეცვათ სასტიკი საშინაო დისციპლინა, რომელიც დაწესებული იყო სპარტაში. ლეგენდარულ ლიკურგოსს მიუწერებოდა ახალგაზრდობის მკაცრი, ე.წ. სპარტანული აღზრდის მეთოდების შემუშავება.

სპარტანული აღზრდის მეთოდების დაცვა რელიგიური წესჩვეულებების დონემდე იყო აყვანილი. სპარტაში არსებობდა კიდევც ლიკურგოსის, როგორც სინათლის ღვთაების, განსაკუთრებული კულტი.

სპარტას მართავდა ორი მეფე, უხუცესთა საბჭო გერუსია, სახალხო კრება – აპელა და ეფორები.

სახალხო კრება სპარტის სახელმწიფოში, მის პოლიტიკურ ცხოვრებაში არა თუ გადამწყვეტ, არამედ რამდენადმე მნიშვნელოვან როლსაც კი, არ ასრულებდა. ამიტომაც ჩვეულებრივ სპარტას თვლიან მონათმფლობელური არისტოკრატიის ნიმუშად.

სპარტის სახელმწიფოს ის თავისებურება ახასიათებდა, რომ მას ორი მეფე მართავდა ერთდროულად. ფიქრობენ, რომ სპარტის მეფეთა ძალაუფლება წარმოშობილი იყო პომეროსის ეპოქის გვარტომების წინამძღოლთა ძალაუფლებიდან.

ძველი საბერძნეთის ისტორიის სპეციალისტებს მართებულად მიაჩნიათ, რომ ორი მეფის ძალაუფლების წარმოშობას საფუძვლად უნდა დადებოდა ორი ტომის გაერთიანება, რომელთაგან თითოეულმა თავისი წინამძღოლი შეინარჩუნა.

ორი მეფის ხელისუფლების შენარჩუნება დიდკაცობას საშუალებას აძლევდა არ დაეშვა ძლიერი ერთპიროვნული დესპოტური ხელისუფლების წარმოშობა და არისტოკრატიის უფლებების შეზღუდვა.

ორი სამეფო გვარის მეფეები ჩვეულებრივ ერთმანეთის

მტრობაში ათენებდნენ და აღამებდნენ. ამით ხელს უმართავდნენ საერთო სამეფო ხელიუფლების როლის დაკნინებას სპარტაში. მართალია, მეფე ლაშქრობის დროს არმიას სარდლობდა, მაგრამ მას მეთვალყურედ მიჩენილი ჰყავდა ორი ეფორი. მეფე ითვლებოდა აგრეთვე ქურუმადაც. მეფეს შენარჩუნებული ჰქონდა სასამართლო ძალაუფლებაც. სპარტის სახელმწიფოში ეფორებისა და მეფეების ურთიერთდამოკიდებულებაში კარგად ჩანს სპარტის სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის წინააღმდეგობრივი ხასიათი, წინარესახელმწიფოებრივი ხასიათი და სახელმწიფოებრივი საწყისების ფორმალური გარეგნული შეგუება ერთმანეთთან, რომელიც რიგ შემთხვევებში მათ შორის კონფლიქტსაც ვერ მაღავედა.

ერთი მხრივ, მეფეებს პატივით ეპყრობოდნენ, მათ მატერიალურადაც უზრუნველყოფდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, ეფორებს მეტი ძალაუფლება გააჩნდათ, ვიდრე მეფეებს. სიმპტომატურია ის გარემოებაც, რომ როდესაც მეფეები გამომჩნდებოდნენ საკრებულოში, მათ წინაშე ყველა ფეხზე უნდა წამომდგარიყო, მაგრამ ეფორებს გააჩნდათ უფლება მეფის დასწრებითაც თავიანთ სავარძელში ჯდომისა.

სპარტაში ერთმანეთს გადაეწნა გვაროვნულ-ტომობრივი და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები, თუმცა იგრძნობოდა კლასობრივ-სახელმწიფოებრივი პრინციპების უპირატესობა. სპარტაში გერუსიისა და სახალხო კრების როლი განუხრედად მცირდებოდა. სახალხო კრებაში მონაწილეობდა ყველა სრულუფლებიანი მოქალაქე, რომლებმაც 30 წლის ასაკს მიაღწიეს.

ილოტები და პერიეკები (მთიელები, რომლებიც უნაყოფო მიწებზე ცხოვრობდნენ) მოკლებული იყვნენ პოლიტიკურ უფლებებს.

მაშასადამე, სახალხო კრებაში ფაქტობრივად მონაწილეობდნენ მხოლოდ სპარტელები და თანაც ის სპარტელები, რომლებსაც გააჩნდათ მიწის ნაკვეთები, ე.ი. შედარებით შეძლებული ფენა. მაშასადამე, პოლიტიკური უფლებების ქონა დაუკავშირდა ქონებრივ ცენზს. ამრიგად, სპარტაშიაც ისევე, როგორც რიგ სხვა სახელმწიფოებში, მოქალაქეთათვის მინიჭებული პოლიტიკური უფლებები დაუკავშირდა მათსავე ქონებრივ მდგომარეობას და ამით პირდაპირ იქნა გამხელილი, რომ სახელმწიფოს მართვა და ამ მართვაზე ზემოქმედების მოხდენა პირველ ყოვლისა მქონებელთა საქმეა.

სახალხო კრებას იწვევდნენ დაახლოებით თვეში ერთხელ

და მის კომპეტენციას შეადგენდა თანამდებობის პირთა არჩევა. სახალხო კრებაზე ირჩევდნენ გერონტებს, ეფორებს და სხვა თანამდებობის პირებს. სახალხო კრება წყვეტდა ტახტის მემკვიდრეობის საკითხს, მონაწილეობდა კანონმდებლობაში და რიგ შემთხვევებში გამოდიოდა სასამართლოს როლშიაც.

5. სასამართლოს ძირითადი ნიშნები სპარტაში

ძველი სპარტის სამართალში, ცხადია, უნდა ასახულიყო და აისახა კიდევაც სპარტელთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, მათი პოლიტიკური კულტურის ისტორიული სიმაღლე, მათი ძირითადი სოციალური იდეალი და სოციალური სინამდვილეც.

სპარტაში არ არსებობდა მტკიცე მონოგამია. აქ ე. წ. წყვილადი ცოლ-ქმრობა იყო გაბატონებული. თუ ცოლი უშვილობის მიზეზი იყო, შეიძლებოდა მერე ცოლის შერთვა. არც ის ითვლებოდა სირცხვილად და სათაკილოდ, თუ რამდენიმე ძმას ერთი საერთო ცოლი ეყოლებოდა. ძველ სპარტაში შემონახული იყო მატრიარქატის გადმონაშთები, რამაც შესაძლოა ხელიც კი შეუწყო ქალის შედარებით საპატიო მდგომარეობას ოჯახსა და საზოგადოებაში.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, სპარტაში ქალის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ არსებობს სხვა შეხედულებებიც, რაც იმას ემყარება, რომ სპარტაში ქალს არ ამზითვებდნენ. მას საკუთარი ქონება არ გააჩნდა და არც მემკვიდრეობის უფლებით სარგებლობდა. ძველ ათენში კი ქალების გამზითვება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მაშასადამე, სპარტელი ქალის პირად და ქონებრივ უფლებებს შორის გარკვეული წინააღმდეგობა შეინიშნებოდა.

აღზრდა სპარტაში სახელმწიფო საქმედ ითვლებოდა. როგორც ვაჟები, ასევე ქალები აღზრდის მკაცრ სკოლას გადიოდნენ. აღზრდის მიზანი იყო სხეულის წრთობა და დისციპლინის გამომუშავება. სპარტელი უნდა გამოსულიყო სახელმწიფოს ერთგული, დისციპლინიანი და მამაცი მეომარი. მკაცრი, წინარეკლასობრივი საზოგადოებების ჩვეულების გადმონაშთები იგრძნობოდა სპარტელთა ყოფა-ცხოვრებაში. სუსტ და უადეურ ბავშვებს კლავდნენ. სუსტი ბავშვის მამას სპეციალური კომისიისათვის უნდა ეჩვენებინა შვილი. თუ კომისიის აზრით ბავშვი სიცოცხლის ღირსად არ ჩაითვლებოდა, განაჩენის აღსრულებას მამას აკისრებდნენ. შვიდი წლის ასაკიდან მშობლებს

ბავშვებს აცილებდნენ და განსაკუთრებულ სკოლა-გიმნაზიებში ზრდიდნენ სახელმწიფო მასწავლებელი-მწერთნელები. არსებობს ცნობები, რომ ბავშვებს სიმარჯვისა და მოხერხებულობის გამოსაჩენად ქურდობასაც ასწავლიდნენ. აღზრდის მიზანი იყო ისეთი ძლიერი, მოხერხებული, მარჯვე ჯარისკაცის აღზრდა, რომელიც მეთაურის მორჩილი იქნებოდა, ერთგული ქვეშევრდომი დადგებოდა.¹

პლუტარქე მოგვითხრობს ლიკურგოსის ცხოვრებისა და საკანონმდებლო მოღვაწეობის შესახებ. ბიოგრაფიის მეექვსე თავში პლუტარქეს მოცემული აქვს ე.წ. ლიკურგოსის რეტრა, ე.ი. ის პასუხი, რომელიც ლიკურგოსმა, თითქოს, მიიღო დელფოს მისნისაგან, როდესაც მას თავისი კანონები წარუდგინა. დელფოს მისანმა, ვითომდაც ასე დამოძღვრა ლიკურგოსი: “შენ მოაწყობ ოცდაათი კაცისგან შემდგარ გერუსიას არქაგეტების მირიციხვით, დროგამოშვებით ჯერ არს შეჰკრიბო სახალხო ყრილობა”.

“აქ საბჭო წარმოადგენს კანონებს კენჭის საყრელად. ხალხს დაე ეკუთვნოდეს უფლება და ძალა”.²

ისტორიკოსი ჰეროდოტეც ლიკურგოსს რეალურ პიროვნებად თვლიდა და აღნიშნავდა, რომ ლიკურგოსმა იმოგზაურა კუნძულ კრეტაზე, მოინახულა დელფოც და აქ შეკითხვით მიმართა პითიას, რომელმაც მოიწონა მისი კანონპროექტები. ხოლო როდესაც ის სპარტაში დაბრუნდა, მან ცხოვრებაში გაატარა თავისი კანონებით. ძვ. წ. V-IV საუკუნეებში სპარტაში შეიქმნა ოფიციალური იდეოლოგია, რომლის მიხედვითაც სპარტელთა სახელმწიფო და სამართალი ღვთაებრივი წარმოშობისად ითვლებოდა. ცნობილი ისტორიკოსი ედუარდ მეიერი ხსენებული ვერსიის გავრცელებას მეფე პავსანის უმცროსს მიაწერს. არა მარტო სპარტაში, არამედ ათენშიც საკმაოდ იყვნენ კონსერვატიულად განწყობილი მოაზროვნეები, რომელთა აზრითაც ლაკონიკა იდეალური სახელმწიფო იყო, ხოლო სპარტელთა სამართალი სანიმუშო (მაგ. ქსენოფონტე).

რაც შეეხება სპარტელთა საკუთრების სამართალს, ამასთან

¹ ძველი საბერძნეთის ისტორია. ვ. ი. ავდეიევის, ა. გ. ბოკშინინას და ნ. ნ. პიკუსის რედაქციით. მოსკოვი. 1972. გვ. 117. (რუს).

² პლუტარქე. რჩეული ბიოგრაფიები. თბ. 1957. აღ. წერეთელი. ძველი საბერძნეთი. ტ. I. თბ. 1958. გვ. 173.

დაკავშირებით მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ საკუთრებას მათთან ადრეკლასობრივ-თემური ხასიათი ჰქონდა. სპარტელი კანონმდებლები იმაზე ზრუნავდნენ, რომ თავიდან აეცილებინათ მკვეთრი ქონებრივი განსხვავება სპარტელებს შორის. სპარტაში სათემო ადგილ-მამული დაყოფილი იყო მოზომილ ნაკვეთებად, რომელთა გაყიდვაც არ შეიძლებოდა. ძველი სპარტული მიწათმფლობელობის შესახებ ვიგებთ არისტოტელეს თხზულებიდან, სადაც მოთხრობილია, რომ არსებობდა სხვა მიწებიც, რომელთა გასხვისებაც აკრძალული არ იყო, მაგრამ მათი გაყიდვა სირცხვილად ითვლებოდა. თანდათან სპარტის სახელმწიფოში საადგილმამულო უთანასწორობამ მაინც იჩინა თავი, დიდკაცობას განსაკუთრებული დამსახურებისათვის აჯილდოებდნენ მიწებით, რაც იწვევდა ქონებრივ უთანასწორობას. იმავე შედეგებს იწვევდა აგრეთვე საოჯახო ნაკვეთების განაწილება შეილებს შორის. გადმოგვცემენ, რომ სპარტაში ცუდ საქციელად ითვლებოდა მდიდარი საცოლის შერთვა. საზოგადოებრივი აზრი მიმართული იყო ქონების ერთ ხელში კონცენტრაციის წინააღმდეგ. დასაშვებად მიიჩნეოდა, რომ შედარებით ღარიბს ესარგებლა მდიდარი მეზობლის ცხენებით, სანადირო ძაღლებით, მონებით თუ სანოვაგით.

სპარტელთა საზოგადოებრივი აზრი მიმართული იყო აგრეთვე ფუფუნების წინააღმდეგაც. ლიკურგოსს მიეწერებოდა კანონი ვაჭრობის აკრძალვის შესახებ, სპარტელებს ოქროს და ვერცხლის მონეტები არ ჰქონიათ, ისინი რკინის მონეტებით სარგებლობდნენ, ქსენოფონტეს ცნობით რკინის მონეტები სპარტელებს ურმებით გადაჰქონდათ.

სპარტაში სახელმწიფოსა და სამართლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო “სპარტიატების სამხედრო მზადყოფნა და მათში ვაჟკაცობისა და თავგანწირვის გრძნობების გარღმავება”...

სპარტელთა სამართალი ჰილოტების სასტიკ ჩაგვრას სამართლიანად თვლიდა. ჰილოტებზე ბატონობას სპარტელები ტერიტორისტული და სხვა არასამართლებრივი მეთოდებითაც ახორციელებდნენ. დროდადრო ყველაზე გაბედულ და პოტენციურად საშიშ, ფიზიკურად და გონებრივად ძლიერ ჰილოტებს მასობრივად ხოცავდნენ.

ერთი ბერძენი მწერალი ახასიათებდა რა ჰილოტების სულიერ განწყობილებას, აღნიშნავდა რომ ისინი მზად იყვნენ დაუყოვნებლივ შეეჭამათ თავიანთი ბატონები კანიანად და თმიანადო.

როგორც ძველ საბერძნეთში, კერძოდ ათენში, ძვ. წ. V-IV საუკუნეებში, ასევე თანამედროვე მეცნიერებაში ადგილი ჰქონდა “ლაკონოფილობას”, ისტორიკოსები და სახელმწიფო მოღვაწეები სპარტელების სახელმწიფოსა და სამართალს სანიმუშოდ თვლიდნენ. ისეთი ცნობილი, მაღალი დონის ისტორიკოსი, როგორც თუკიდიდე იყო, წერდა, რომ “სპარტას ძველი დროიდანვე განაგებდა “კარგი კანონები” და ის არასოდეს ყოფილა ტირანების ხელისუფლების ქვეშ. ოთხასი წლის განმავლობაში ლაკედემონელებს ერთი და იგივე სახელმწიფო აქვთ. ამის წყალობით ისინი შეიქნენ ძლიერი და აწესრიგებენ საქმეებს დანარჩენ სახელმწიფოში”.

ისტორიკოს ქსენოფონტეს დაწერილი ჰქონდა ტრაქტატი “სპარტის სახელმწიფოებრივი წყობილება”, რომელშიაც სპარტელების სახელმწიფო და სამართალი გაიდგალებული იყო. ავტორი არ იყო ობიექტური თავის შეფასებაში. ის მიკერძოებით აფასებდა მათ დადებითად.

მკვლევარი უ. კაპრტედი თავის სახელგანთმულ ნაშრომში “ბერძნული სახელმწიფო სამართალი, I სპარტა და მისი სიმბახია”, რომელიც 1952 წელს გამოქვეყნდა, ცდილობდა მკითხველთა დარწმუნებას, რომ სპარტა თავისი სახელმწიფოებრივი წესწყობილებით აღვირახსნილი ათენური დემოკრატიის ზღუდე იყო და ამდენად პროგრესულიც. ინგლისელი მკვლევარი მიჩელიც (Michell) თავის ნაშრომში “სპარტა”, რომელიც კემბრიჯში გამოიცა, სპარტის სახელმწიფო წყობილებას ათენისაზე მაღლა აყენებდა.¹ ასეთი შეხედულება, რა თქმა უნდა არ არის მართებული. თუკი ძველი ბერძნები მეტნაკლებად პროგრესის პრინციპის შემოქმედნი იყვნენ, პირველყოვლისა, ეს ათენელი ბერძნების მიმართ ითქმის.

6. ძველი ათენის სახელმწიფო და სამართალი

ძველ საბერძნეთში ჰომეროსის ეპოქიდან მოყოლებული თანდათან გვაროვნულ-თემობრივი საზოგადოების წიაღში ვითარდებოდა მეცხოველეობა, მიწათმოქმედება, ხელოსნობა და

¹ აღ. წერეთელი. ძველი საბერძნეთი. I, 1958, გვ. 187-188, 507. უ. კაპრტედი. ბერძნული სახელმწიფო სამართალი, I სპარტა და მისი სიმბახია. გეტინგენი. 1972 (გერმ. ენაზე).

ვაჭრობა. ირღვეოდა გვარისა და ტომის ტერიტორიების ერთფეროვნება. საწარმოო ძალების ზრდა-განვითარებასთან ერთად გაჩნდნენ უცხო ტომებიც, რომლებიც გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაციის გარეთ იდგნენ და, ამდენად, უუფლებოებიც იქნებოდნენ.

ძველი გვაროვნული წყობილების პრინციპი საზოგადოების წევრთა ქონებრივი თანასწორობის შესახებ მკვეთრად ირღვეოდა. გაჩნდნენ მდიდრები და ღარიბები. მდიდრების ხელში აღმოჩნდა ძირითადი საშუალებები და პირველ რიგში მიწები. ვალაუვალი ღარიბები მიწებს ავირავებდნენ და შემდეგ თანდათან კარგავდნენ. მიწის მესაკუთრეებს გლეხობისაგან მიჰქონდათ საიჯარო მიწის მოსავლის ხუთი მეექვსედი. ღარიბობა კაბალურ მდგომარეობაში ვარდებოდა. ძვ. წ. VII საუკუნისათვის მდგომარეობა მეტისმეტად მწვავედებოდა. ღარიბები გამოდიან გვაროვნული არისტოკრატის წინააღმდეგ. გვაროვნულ დიდკაცობას დაუპირისპირდნენ ქონებით აღზუვებულები, ქალაქების მონათმფლობელური ელემენტები. ამ დროს ჩნდება გამოთქმა “ფული ქმნის ადამიანს”. დიდკაცობა წინააღმდეგი იყო წინარესახელმწიფოებრივი და წინარესამართლებრივი საზოგადოების წიაღიდან მომდინარე ნორმების ჩაწერა-კოდიფიკაციისა. როგორც ჩანს, ჩაუწერელი ჩვეულებითი სჯული იძლეოდა თვითნებობის უფრო მეტ საშუალებას, პროფ. ალ. წერეთლის მოსაზრებით “ვინაიდან სამართალს გაბატონებული გვაროვნული ოლიგარქია თავის შეხედულებით და ინტერესების მიხედვით აწარმოებდა. ფართო მასების ბრძოლის პირველი მიზანი ადათის ფიქსაცია და ჩაწერილი კანონების გამოქვეყნება იყო. მმართველი არისტოკრატია ამის წინააღმდეგი იყო. მაგრამ ბრძოლის შედეგად ძვ. წ. VII საუკუნეში იგი იძულებული გახდა ჯერ ახალშენში და მერე მეტროპოლიაშიც ადათის კოდიფიკაცია გაეტარებინა. ეს კოდიფიკაცია ტექნიკური მხრითაც არ იყო წესიერად შესრულებული და ჩაწერილი კანონებიც თავისი შინაარსით იყო ფრიალ მკაცრი, მაგრამ თვით ფაქტი ადათის ფიქსაციისა და გამოქვეყნებისა ოლიგარქიის თვითნებობას ერთგვარ საზღვარს უქმნიდა. ჩაწერილი კანონების შემოღება გვაროვნული წყობილების შემდგომ დაშლას წარმოადგენდა და მის ნაცვლად სახელმწიფო პრინციპისა და ქონებრივი ცენზის მნიშვნელობის განმტკიცებას გამოხატავდა”.

როდესაც ძველი საბერძნეთის სინამდვილე გვაქვს

¹ ალ. წერეთელი. დასახ. ნაშრომი, გვ. 161-162.

მხედველობაში, უმჯობესია ვილაპარაკოთ არა ადათებზე, არამედ ჩვეულებებზე (წეს-ჩვეულებებზე), ხოლო ადათობრივი სამართლის ნაცვლად ვისაუბროთ ჩვეულებით სამართალზე, ვინაიდან ადათი ასოცირდება მუსლიმანურ სამყაროსთან და ტერმინი “ადათიც” იქედან მომდინარეობს.

ძველ ათენში სახელმწიფო და სამართალი წარმოიშვა სწორედ საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების მაღალ საფეხურზე.

ხალხსა (დემოსსა) და არისტოკრატიას შორის მკვეთრი ქონებრივი უთანასწორობაა. გაჩნდნენ აგრეთვე ქონებით აღზევებული უცხოელებიც და მდაბიონიც.

ძველ ათენში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის პროცესის საფუძვლად რჩებოდა პროდუქტის წარმოება და მითვისება. გაბატონებული ფენების მიერ წარმოების საშუალებათა მონოპოლიზაცია. ძველ ათენში სახეზე იყო სახელმწიფოს წარმოშობისათვის საჭირო ყველა ფაქტორი, რომელთაც ზოგი მკვლევარი ექვსამდე ითვლის. ათენში სახელმწიფო წარმოიშვა წმინდა სახით, შინაგანი წინააღმდეგობისა და მაღალი სოციალურ-ეკონომიკური ბაზისის საფუძველზე.

ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში ათენში ხდება რევოლუცია, თუ ამ ცნების ქვეშ ახალ, უფრო მაღალ ისტორიულ დონეს, ახალ თვისობრივ სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურას ვიგულისხმებთ.

პლუტარქე (პლუტარქოსი) ამ ეპოქას ასე ახასიათებდა: “მკვეთრმა უთანასწორობამ მდიდრებსა და ღარიბებს შორის უმაღლეს წერტილს მიაღწია და სახელმწიფო (ქვეყანა) შერყეული იყო კრიზისით, მთელი ხალხი მდიდრების ვალში იმყოფებოდა. უბრალო ხალხი მდიდრების მიწას ამუშავებდა ან ფულს სესხულობდა მდიდრებისაგან და გირაოდ საკუთარ თავს აძლევდა. კრედიტორებს შეეძლოთ ამ ადამიანების დამონება. ისინი მათ ან მონად აქცევდნენ ან ყიდდნენ უცხოეთში. მრავალი ღარიბი იძულებული იყო თავისი შვილები გაეყიდა, კანონი ამას არ ეწინააღმდეგებოდა. ხალხი გარბოდა ქალაქიდან, ეშინოდა რა თავისი კრედიტორების სიმკაცრისა. უკმაყოფილოთა შორის ყველაზე ენერგიულებმა შეადგინეს მრავალრიცხოვანი კავშირი და პირობა დადეს გაეთავისუფლებინათ მოვალენი, დაეწყით სახელმწიფო გადატრიალება...”

ამ ბრძოლის შედეგად გაიმარჯვეს ქალაქის ვაჭრულმა წრეებმა, რის შედეგადაც პოლიტიკურ ასპარეზზე ჩნდება სოლონი,

რომელიც არქონტად აირჩიეს და თანაც საგანგებო უფლებათა მოსილებითაც აღჭურვეს.

სოლონმა ძვ. წ. 594 წელს გაატარა რეფორმები, რომელიც საეტაპო მოვლენა იყო ათენის ისტორიაში.

სოლონს თავისი რეფორმების შედეგად უნდა შეერიგებინა გაღარიბებულ-გალატაკებული ხალხი (დემოსი) და გამდიდრებული წარჩინებულები - არისტოკრატები.

თვითონ სოლონი წარმოშობით წარჩინებულთა წრეს ეკუთვნოდა, მაგრამ მისი მშობლები უკვე გაღარიბებულნი იყვნენ. ერთი ცნობის მიხედვით ის დიდი ვაჭარიც კი უნდა ყოფილიყო. სოლონს გააჩნდა ბრძენი სახელმწიფო მოღვაწის ყველა თვისება. იყო უთუოდ შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი. ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორც მამაცი მეომარი, ცნობილი პოეტი და კარგი ორატორი. როდესაც, როგორც არისტოტელე წერდა "დემოსი აღდგა დიდგვარიანთა წინააღმდეგ", მხოლოდ ხალხში პოპულარულ ისეთ პიროვნებას, როგორიც სოლონი იყო, შეეძლო ქვეყნის აწეწილ-დაწეწილი საქმეების მოწესრიგება. სოლონს, როგორც არქონტს, მინიჭებული ჰქონდა დიქტატორული უფლებები, იმისათვის, რომ კონსტიტუციის (პოლიტეა) და კანონების შეცვლით მოესპოთ სახელმწიფოში გაბატონებული მძიმე მდგომარეობა. სოლონი კი თავის მოღვაწეობაში საშუალო ხაზს ატარებდა. ეს ასეც იყო მოსალოდნელი, რადგანაც ის ორივე მოწინააღმდეგე მხარის თანხმობით იქნა არჩეული. ის, თუ რა გააკეთა სოლონმა, ამის შესახებ ისტორიულმა წყაროებმა წინააღმდეგობრივი ცნობები შემოინახეს, მაგრამ მისაღები ჩანს ის მოსაზრება, რომ სოლონმა, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება მიაქცია სასტიკ სავალო კანონებს და მონების მდგომარეობაში ჩავრდნილი ხალხის მასას და სამუდამოს აკრძალა სესხის აღება ადამიანის დაწინდვით. როგორც ჩანს, სოლონმა მოახდინა ვალების სრული გაუქმება.

ბერძნული წყაროების მიხედვით სოლონმა გაათავისუფლა ატიკაში კაბალურ პირობებში მყოფი პირები, ახსნა ადგილ-მამულების დაგირავების სამარცხვინო მაჩვენებლები - ქვები სათანადო წარწერებით. სოლონმა ათენში დააბრუნა უცხოეთში - საბერძნეთის გარეთ გაყიდული თუ გაქცეული ათენელები, რომელთაგან მრავალს უკვე დაეიწყებული ჰქონდა ბერძნული ენა. ძველმა ბერძნებმა სოლონის ასეთ მოქმედებას სეისახთეია - "ტვირთის მოხსნა" უწოდეს. სამწუხაროდ, ს. ფ. კერეკიანის

წიგნის “სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის” ქართული თარგმანის სათანადო ადგილას სოლონის ამ აქტს “სისაქფია” ეწოდება.

სოლონმა ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ მას არ დაუკმაყოფილება დარიბი და გადატაკებული გლეხობის ძირითადი მოთხოვნა – არ მოუხდენია მიწების ხელახალი გადანაწილება. დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცით, რომ სოლონს დაუწესებია მიწის ნაკვეთის ის მაქსიმუმი, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო კერძო საკუთრებაში. საინტერესოა, რომაელი იურისტის – გაიუსის მიერ მოწოდებული ცნობა (დაგესტები, I, 1, 13), საიდანაც ჩანს, რომ სოლონს უნდოდა ხელი შეეშალა მიწის საკუთრების რამდენიმე ადამიანის ხელში კონცენტრაციისათვის.

მაგრამ არ ვიცით, როგორი იყო მაქსიმუმი და როგორ მოიხმარეს ჩამორთმეული მიწები.

თვით სოლონის რეფორმების შემდეგაც მხოლოდ სახელმწიფო ინარჩუნებდა უფლებას გაეყიდა მონებად ის მოვალენი, რომლებიც ვალს ვერ გადაიხდიდნენ. ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად სოლონის რეფორმებს მაინც პროგრესული, დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

მადლიერმა ათენელებმა შთამომავლობას დაუტოვეს კეთილი ხსოვნა სოლონის შესახებ, რომლის განკარგულებითაც ადგილ-მამულებს მოაშორეს საგირავნო ყადაღის ქვა-ნიშნები.

სოლონმა ქვეყნის მოსახლეობა დაჰყო ოთხ ჯგუფად მათი ქონებრივი შესაძლებლობების მიხედვით. მაგრამ არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ სოლონმა ხელოვნურად დაჰყო მოსახლეობა ქონებრივი ცენზის მიხედვით. როგორც ჩანს, სოლონმა იურიდიულად გააფორმა და დახვეწა ის ვითარება, რაც ისედაც სტიქიურად ჩამოყალიბებული იყო, მაგრამ მას დაუკავშირა პოლიტიკური უფლებები.

სოლონმა მოსახლეობის პირველ კლასს მიაკუთვნა ის პირები, რომლებსაც ხუთასი მედიმნი პური ან ხუთასი საწყაი ზეთისხილი თუ ღვინო მოსდიოდა საკუთარ მამულში, მეორეს – ვისაც შესაბამისად სამასი მედიმნის შემოსავალი ჰქონდა წელიწადში. ესენი შეადგენდნენ მხედრებს. მოსახლეობის მესამე კატეგორიაში შედიოდნენ ისინი, ვინც წელიწადში ორას მედიმნზე არანაკლებ შემოსავალს იღებდა. მათ ძვეგიტებს ეძახდნენ (და არა ზევგიტებს, როგორც ზოგიერთ სახელმძღვანელოშია მითითებული). ატიკის მთელი დანარჩენი მოსახლეობა განე-

კუთვნილობა თეატრებს. ერთ დროს მიღებული იყო შეხედულება, რომ სოლონმა მოსახლეობის კლასებად დანაწილებას საფუძვლად დაუდო მიწის საკუთრება და შემოსავალი ადგილ-მამულიდან.

მაგრამ ვილკენმა დაამტკიცა, რომ სოლონის რეფორმების გატარებისას მხედველობაში იღებდნენ მოსახლეობის ყოველწლიურ შემოსავალს და მათ შორის ფულად შემოსავალსაც, რაც ასეთი შეფარდებით იყო გათვლილი 1 მედიმნი = 1 ცხვარს = 1 დრახმას.

ამგვარად, სოლონის რეფორმების შემდეგ არა რომელიმე ძველი, დიდებული საგვარეულოსადმი კუთვნილება, არამედ ამა თუ იმ ქონებრივი ჯგუფისადმი მიწერა განსაზღვრავდა მოქალაქის პოლიტიკურ უფლებებსა და მოვალეობებს.

ყველა ათენელი მოქალაქე ვალდებული იყო ემსახურა არმიაში ან ფლოტში ორი წლის განმავლობაში. ვაჟები სამხედრო საქმის საფუძვლებს ეუფლებოდნენ. ომის დროს კი ყველა მოქალაქე ვალდებული იყო თავისი აღჭურვილობით გამოცხადებულიყო შესაკრებ პუნქტში. შეძლებულთა პირველი და მეორე კლასი მხედრებად მსახურობდა, მესამე - ჰოპლიტებად, ხოლო მეოთხე კლასი - თეტების მსუბუქ საჭურველიან ქვეითებად მსახურობდნენ არმიაში ან მეზღვაურებად ფლოტში.

ათენის ყველა მოქალაქემ მიიღო სახალხო კრებებში - "ეკლესიებში" მონაწილეობის მიღების უფლება, მაგრამ სახელმწიფო მოხელის ადგილის დაკავება მხოლოდ პირველი სამი კლასის მოქალაქეს შეეძლო.

მეოთხე ჯგუფის (კლასის) მოქალაქეებს - თეტებს, მართალია მნიშვნელოვან თანამდებობებზე არ ირჩევდნენ, მაგრამ ისინი მთლიანად არ ყოფილან პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელებაში მონაწილეობას ჩამოცილებულნი. სახალხო კრებაში, სადაც ირჩევდნენ მოხელეებს, იქ, სადაც იქმნებოდა კანონები, თეტები უმრავლესობას წარმოადგენდნენ. სოლონმა დაარსა სახალხო სასამართლო - ჰელიეა, სადაც თეტებსაც შეეძლოთ მონაწილეობის მიღება.

ეს მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ ჰელიეაში (და არა გელიეაში, როგორც ეს ზოგიერთ სახელმძღვანელოშია) შეიძლებოდა მოხელეთა გადაწყვეტილებებზე აპელაციის შეტანა.

ჰელიეა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იყო. იგი შედგებოდა ხუთასი ნამდვილი და ათასი სათადარიგო წევრისაგან. "ასეთი მრავალრიცხოვანი სასამართლო ისტორიაში არც ერთ ხალხს არ ჰქონია" - მართებულად აღნიშნავდა მ. ალექსიშვილი.

მართლაც, შვიდ მოქალაქეზე ათენში ერთი ნაფიცო მსაჯული (პელიასტი) მოდიოდა. გარდა ამისა, ათენში სხვა სასამართლოებიც არსებულა. ეს იყო მართლმსაჯულებაში ხალხის მონაწილეობის გარკვეული გამოხატულება.

სოლონის რეფორმებმა საკმაოდ მძლავრად შეარყია არისტოკრატიის ბატონობა ათენში და დემოსს საშუალება მისცა ათენის სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობა მიეღო.

სოლონის რეფორმების ქონებრივი ცენზის შემოღებამ ათენში ტიმოკრატიული - მქონებელთა კლასის მმართველობა დაამკვიდრა, დამარცხდა გენეკრატია - წარმოშობის პრივილეგია.

წყაროებში სრული სიცხადე არ არის იმის შესახებ, სოლონმა შექმნა თუ სოლონამდე არსებობდა ე. წ. ოთხასთა საბჭო; ყოველ შემთხვევაში ამ საბჭოს ყოველწლიურად ირჩევდნენ პირველი სამი ჯგუფის მოქალაქეებისაგან, ას-ას კაცს თითოეული ტომისაგან. ამ საბჭოს ევალებოდა იმ საკითხების წინასწარი შემოადება და განხილვა, რომელიც “ეკლესიას” უნდა მოხსენებოდა. სოლონის რეფორმის სანახევრო ხასიათის მაჩვენებლად თვლიან არეოპაგის შენარჩუნებას. არეოპაგი ითვლებოდა ძველი გეაროვნული დიდკაცობის დასაყრდენად. არეოპაგს შეუნარჩუნეს კანონების დაცვისადმი ზედამხედველობის ფუნქცია და კონტროლის უფლება სახალხო კრების მუშაობზე.

ერთი მონაცემით სოლონმა თითქოს კიდევაც გააფართოვა არეოპაგის სასამართლო ფუნქციები. ოთხასთა საბჭოს და არეოპაგს სოლონი ადარებდა ორ ღუზას, რომლებიც სახელმწიფო ხომალდს ქარიშხლისაგან დაიცავდნენ. სოლონის მიერ დამყარებული წყობილება ოცდაათი წლის განმავლობაში უცვლელი დარჩა. მაგრამ როგორც სოლონიც აღიარებდა, მან შეძლო მოწინააღმდეგე ძალების შერიგება, მოპირდაპირე მხარეთა დაკმაყოფილება.

ძვ. წ. მერვე - მეექვსე საუკუნეებში ათენში წარმოიშვა და ჩამოყალიბდა მადალგანვითარებული პოლიტიკური სტრუქტურა - სახელმწიფო. ამ სახელმწიფოს წარმოშობა-განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს სოლონის რეფორმებმა. პიზისტრატესა (560-527) და პიზისტრატიდების ტირანიაში, აგრეთვე კლისთენეს რეფორმებმა. კლისთენე სახელმწიფო ხელისუფლებას დაუფლა ძვ. წ. 509 წელს. კლისთენეს დროს ხდება გეაროვნული წყობილების ჯერ კიდევ შემორჩენილი ნაშთების ლიკვიდაცია.

კლისთენემ ქვეყნის მოსახლეობა ტერიტორიული ნიშნის მიხედვით დაჰყო და უკვე მათი გეაროვნული ორგანიზაციებისადმი

კუთვნილებას სერიოზული მნიშვნელობა არ ჰქონდა. ოთხასთა საბჭოც გაუქმდა და შეიქმნა ხუთასთა საბჭო ათი ტერიტორიული ერთეულის (ფილის) წარმომადგენლებისაგან. ასე თანდათან ყალიბდებოდა ათენის მონათმფლობელური დემოკრატია როგორც უმრავლესობის მმართველობა. “დემოკრატია” სწორედ მაშინაა, როდესაც უმაღლესი ხელისუფლება თავმოყრილია უმრავლესობის ხელში”, – წერდა არისტოტელე.

დემოკრატია სახელმწიფოს მართვა-გამგეობას უკავშირდებოდა და ამ მართვა-გამგეობის წესწყობილებას ასახავდა. როგორც არისტოტელე აღნიშნავდა, “სახელმწიფო წყობილება მისი (სახელმწიფოს) სიცოცხლეა”

ძველ ბერძენ კანონმდებლებს ყოველთვის ეშინოდათ, რომ დემოკრატიას საფრთხეს შეუქმნიდნენ გავლენიანი მოქალაქეები. ამასთან დაკავშირებით კლისთენემ ოსტრაკისმო შემოიღო.

სახალხო კრება, რომელსაც არანაკლებ ექვსი ათასი მოქალაქე უნდა დასწრებოდა, გადაწყვეტდა საკითხს, თუ რომელი გავლენიანი პირი იყო საშიში დემოკრატიული წესწყობილებისათვის და ხმის მიცემით წყვეტდნენ, თუ ვინ უნდა გაეძევებინათ ათი წლით სახელმწიფოდან.

თანდათან ათენი გახდა არა მარტო ძველი საბერძნეთის, არამედ შეიძლება ითქვას, მსოფლიო მასშტაბითაც ეკონომიკურად, პოლიტიკურად და კულტურულად მოწინავე ქვეყანა. ცივილიზებულმა მსოფლიომ მოგვიანებით ათენელებში პროგრესის პრინციპის შემოქმედი დაინახა.

ძველი საბერძნეთის ეკონომიკური ისტორიის მკვლევარებისათვის საინტერესო იქნებოდა ათენელთა ეროვნული სიმდიდრის სტრუქტურა, მაგრამ წყაროები ეროვნული სიმდიდრის დეტალური, ზუსტი სურათის წარმოდგენის საშუალებას არ იძლევიან.

ვიცით მხოლოდ, რომ ათენელების ეკონომიკის ძირითადი დარგი იყო ხელოსნური წარმოება (ს. ლურიე).

ძვ. წ. IV საუკუნის ათენში წარჩინებული პირების ქონებაში ბინისა და სხვა შენობების წილი შეადგენდა ოჯახის მთელი სიმდიდრის დაახლოებით ერთ მეხუთედს, ამასთან, ადგილმამულების საფასური დაახლოებით ორ-სამჯერ ჭარბობდა სახლებისას. ძველი ბერძნების მეტყველებაში ქონების ქვეშ იგულისხმებოდა სახლ-კარი, ადგილ-მამული და სათანადო შენობები. ყველა სრულყოფილიან მოქალაქეს უნდა ჰქონოდა

სახლი და ადგილ-მამული.

ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობების შემდეგ ოქროსა და ვერცხლის მოძალემა შეიმჩნეოდა საბერძნეთში. ამის გამოისობით ათენში სიმდიდრის ფულადი ფორმის წილი გაიზარდა, რომელიც ისედაც საკმაოდ მაღალი იყო ატიკაში. ამასთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოსათვის არსებობა შეწყვიტა ლიტურგიების სისტემა. სიმდიდრეს არაეინ მაღავედა. მაგრამ ათენში ფულადი სიმდიდრის ზრდას ინფლაცია არ გამოუწვევია. ოქრო-ვერცხლის ფული წარმოების გაფართოებას არ ხმარდებოდა. როგორც ჩანს, ანტიკური ეკონომიკის განვითარება მხოლოდ ძალზე შეზღუდულ ფარგლებში განპირობებული იყო სასაქონლო-ფულადი ბრუნვის კანონებითა და კანონზომიერებით.

ძველი ბერძნული სამართალი

ძველი ბერძნული სამართლის შესახებ დღეს საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს.¹ ერთმა ფრანგმა სამართლის ისტორიკოსმა ათენის სამოქალაქო სამართლის საკითხებს უძღვნა ოთხი ტომი, რომელთაგან საოჯახო სამართალს ეძღვნება ორი ტომი, საკუთრების სამართალს, ერთი ტომი, ვალდებულებით სამართალს – ერთი ტომი.

გერმანელმა ო. მიულერმა ათენის სამოქალაქო და საქორწინო სამართალს უძღვნა სპეციალური ნაშრომი 1899 წელს (იხ. კლასიკური ფილოლოგიის წელიწადეული, XXV. ლეიპციგი, 1899. გვ. 661-866. რუსულად). ა. მ. პრიდიკმა ბერძენი ორატორის ისეოსის მეექვსე სიტყვას უძღვნა 352 გვერდიანი თხზულება (იურიევი, 1902 წელი). ნაშრომი ძირითადად ძველბერძნულ მემკვიდრეობით სამართალს ეძღვნება.

ამავე დროს, ისიც ცნობილია, რომ ძველი საბერძნეთიდან

¹ იხ. ძველი საბერძნეთის ისტორია. ვ. ი. ავეიევის, გ. ა. ბოკშანიანისა და ნ. პიკუს რედ. (რუს) მოსკოვი. 1972.

ალ. წერეთელი. ძველი საბერძნეთის ისტორიის წყაროთმცოდნეობა, ცოდნა, თბ. 1962.

ვ. პ. ბუზესკული, საბერძნეთის ისტორიის შესავალი, მესამე გამოც. პეტერბურგი, 1915 (რუს).

ჩვენამდე არ მოუღწევია ისეთ დიდმნიშვნელოვან კაპიტალურ ძეგლს, როგორც იმპერატორ იუსტინიანეს სჯულდება ან კიდევ, ცნობილი ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონები.

ძველი ათენის სამართლის შესასწავლად ძირითადად იყენებენ ეპიგრაფიკულ ძეგლებს, ბერძენი ორატორების ჩვენამდე მოღწეულ სიტყვებს, ბერძენი სქოლასტების შენიშვნებს, ბერძენი ლექსიკოგრაფებისა და გრამატიკოსების ნაწერებს, ბერძენ ისტორიკოსთა ცნობებს, კუნძულ კრეტაზე ქალაქ გორტინის კანონების აღმოჩენის შემდეგ სამართლის ისტორიის მკვლევარების ხელში აღმოჩნდა სამართლებრივი თვალსაზრისით “ხელიხელ საგომანები მარგალიტი”. ცხადია, ძველ ათენშიც სამართლის უძველესი წყარო იყო ძველისძველი ჩვეულებითი სამართლის ნორმები. წინარესახელმწიფოებრივ დონეზე, საფიქრებელია, რომ მოქმედებდა ე. წ. წინარესამართალი, ხოლო ადრეკლასობრივი საზოგადოების დონეზე, ამ საზოგადოების შესატყვისი სამართლებრივი ნორმები.

ცნობილია, რომ რიგი მკვლევარებისა სამართალში ხედავდა და დღესაც ხედავს სოციალური მოწესრიგების თავდაპირველ ფორმას. მათი აზრით სამართალი, როგორც ასეთი, არსებობდა სახელმწიფოს წარმოშობამდე. აქედან, წარმოიშობა ცნება პირველყოფილი სამართლის შესახებ. განვითარების რა დონის საზოგადოებასთან არ უნდა გვექონდეს საქმე, მის წევრთა შორის კონფლიქტის მოგვარება ხდება ან თვით მოდავე მხარეთა მიერ მესამე მხარეთა მონაწილეობის გარეშე, ან მესამე მხარის მონაწილეობით და მსჯავრით. ეს მესამე მხარე შეიძლება იყოს ყოფილიყო გვარის, თემის, საძმოს, ტომის მეთაური, ბასილევსი. თანდათან შექპონდათ ჩვეულებებში ცვლილებები. თანდათან ჩვეულებებს აძლევდნენ ახალი დროისათვის საჭირო ახსნა-განმარტებას. ტრადიციის ფარგლებში მიმდინარეობდა ტრადიციის დაძლევა. “ექსეგერის” – ახსნა-განმარტება იხსენიება პლატონთან, დიოდორე სიცილიელთან და ა.შ.

პლატონთან ის კანონის ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებით არის ნახმარი; თანაც ძველ ბერძნულში, როგორც ჩანს, მისი მნიშვნელობა იყო როგორც ახსნა-განმარტება, ისე მითითებაც. ის ნიშნავდა ძველი სამართლებრივი ნორმების ახლებურ განმარტებასაც და ნორმის დროის შესაფერისად გამოყენებასაც. ძველ ათენში ექსეგეტი ოფიციალური პირიც იყო, რომელიც რელიგიურ, საკულტო წესჩვეულებებს განაგებდა.

ერთდროულად ათენში სამი ექსეკუტი ყოფილა. უძველეს ხანაში ერთმანეთისაგან არ იყო განსხვავებული მორალური და რელიგიურ-სამართლებრივი ნორმები. თავდაპირველად არსებობდა ჩვეულება – “დიკე”, რომელიც პოლისემიური, მრავალცნებიანი სიტყვა იყო. ჩვეულებასთან ერთად ის ნიშნავდა შურისძიებას, სამართლიანობას, კანონიერებას, სამართალს, განაჩენს, სასჯელსაც. ახლა ძნელი გამოსარკვევია, თუ როგორ თანდათან ვითარდებოდა “დიკე” – ჩვეულება სამართლის მიმართულებით. ეს იქნებოდა რთული პროცესი. საქმე იმაშია, რომ ძველ საბერძნეთში ცივილიზაციისა და სახელმწიფოებრიობის წარმოშობა არა სწორხაზოვნად, არამედ მიხვეულ-მოხვეული გზით ხდებოდა. როგორც ჩანს, ზოგჯერ ცივილიზაციას კვლავ ბარბაროსობისაკენ უხდებოდა უკან დახევა, რომ შემდგომ ისევ ცივილიზებულ სახელმწიფოდ ორგანიზებულ საზოგადოებამდე ამაღლებულიყო.

ხშირად გაგვიკონია სამართლიანი მოსაზრება იმის შესახებ, რომ იმ საფუძვლის გარეშე, რომელიც საბერძნეთმა და რომმა ჩაყარა, არ იქნებოდა თანამედროვე ევროპა, თანამედროვე კულტურა. ასევე მართებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ, რაც ძველი საბერძნეთი იყო ევროპისათვის, იგივე იყო მიკენი საბერძნეთისათვის.¹

1939 წლიდან ცნობილი გახდა მიკენის სასახლის წარწერები (ე. წ. “ბე ხაზოვანი დამწერლობა”), რომელიც 1952 წელს მ. ვენტრისის მიერ იქნა გაშიფრული. აღმოჩნდა, რომ ძვ. წ. XIV ს. მიკენური ფირფიტები დაწერილი იყო ბერძნული ენის არქაულ დიალექტზე. ბერძენმა მინოსელებისაგან გადაიღეს დამწერლობის სისტემა. ეგიდაში ბერძნებს მინოსელები დახვდნენ. ფაქტია, საბერძნეთზე კრეტის დიდი გავლენა ჩანს. კონტინენტური საბერძნეთის ტერიტორიაზე ცივილიზაცია კრეტიდან შემოსულა. კრეტულმა ხელოვნებამ და ხელოსნობამ, სახელმწიფომ და სამართალმა გარკვეული გავლენა მოახდინა კონტინენტზე, საერთოდ ბერძნულ ტომებზე.

მართებული ჩანს მოსაზრება, რომ “ბერძნებმა გადაიღეს მინოსური დამწერლობის სისტემა, მიუსადაგეს თავიანთ ენას და სრულყოვეს ანგარიშსწორება” (ჯ. ჩედვიკი).

¹ ჯ. ჩედვიკი. მიკენური სამყარო, ი. აბაშიძის თარგმანი “მაცნე” 1989, გვ. 3,13.

მიკენურ პერიოდში სახელმწიფოს მართვის სისტემისათვის აუცილებელი იყო წერილობითი დოკუმენტების შედგენა. გაირკვა, რომ ტერმინი ბასილეუსი (ბასილეუს), რომელიც ჰომეროსთან და მომდევნო ხანაშიც მეფეს აღნიშნავდა, მიკენურ ხანაში ნაკლებ მნიშვნელოვანი სიტყვა ყოფილა. ამ ტერმინით გამოხატავდნენ ყველანაირ მეთაურს, თუნდაც იგი მჭედლების მეთაური ყოფილიყო.

ძველი მიკენური ხანის ტრადიციების გავლენით და თვით ათენის და სხვა რეგიონების შინაგანი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შედეგად ძველ საბერძნეთში აქა-იქ ჩნდებოდა დაწერილი კანონები, უკვე ანბანური დამწერლობის მეშვეობით ფიქსირებულნი.

სამწუხაროდ, ძველი ბერძნული კანონმდებლობის შესახებ ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით. მათმა უმრავლესობამ ჩვენამდე ვერ მოაღწია.

ბერძნული კანონმდებლობის უძველეს ძეგლად ითვლებოდა დრაკონის (დრაკონტის) კანონები, მისი ტექსტი დაკარგულად ითვლება. ჩვენ მხოლოდ მოთხრობითი, ნარატიული ხასიათის წყაროების მიხედვით შეგვიძლია მის შესახებ მსჯელობა.

ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების დონით ატიკა თავდაპირველად რამდენადმე ჩამორჩებოდა კიდევაც საბერძნეთის ზოგიერთ კუთხეებს, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ატიკაში სწრაფად განვითარდა საწარმოო ძალები, დაიწყო გლეხთა გადატაკება, რაც კიდევ უფრო გაძლიერდა ფულის მოჭრის და, საერთოდ, ფულადი მეურნეობის განვითარების შემდეგ. გლეხობის გადატაკებისა და, საერთოდ, ღარიბების გაჩენას და მომრავლებას მაშინდელი საზოგადოება ღვთის რისხვად თვლიდა. გაბატონდა მოსაზრება, რომ მდიდრებმა და საერთოდ გაბატონებულმა წრეებმა ღმერთების მიერ ბოძებული წმინდა მცნებები და კანონები შერყვნეს, ამიტომაც ხალხს დაატყდა უბედურება. შეიქმნა საზოგადოებრივი აზრი, რომ მხოლოდ მტკიცედ დადგენილი, მხოლოდ დაწერილი კანონები იხსნიდა ხალხს არისტოკრატიის მხრივ შევიწროებისაგან და უკანონო მოქმედებისაგან.

მდიდრები და არისტოკრატები იძულებულნი გახდნენ წასულიყვნენ დათმობაზე და დაახლოებით ძვ. წ. 621 წელს დრაკონს დაევალა სამართლის წიგნის შედგენა.

მკვლევართა ნაწილის აზრით დრაკონის კანონები, შესაძლოა ქალაქის წრეების როლის გაძლიერების შედეგი იყო. ეს წრეები

დაინტერესებულნი უნდა ყოფილიყვნენ იმით, რომ შექმნილიყო კანონთა წიგნი, რომელიც, ასე თუ ისე, მთელი ხალხის ინტერესებს გამოხატავდა და არა მხოლოდ ევპატრიდებისა და მდიდრების ინტერესებს. მანამდე ევპატრიდები სასამართლოს თავის მონოპოლიად რაცხდნენ.

რას წარმოადგენდა დრაკონის კანონები?

მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრისაკენ იხრება, რომ დრაკონმა ახალი კანონები კი არ შექმნა, არამედ მოქმედი ჩვეულებებიდან – ჩვეულებითი სამართლის ნორმებიდან შეარჩია სასაურველი ნორმები და მათი ფიქსაცია მოახდინა. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დრაკონს რაღაც ახალი ნორმებიც უნდა შემოეღო.

ასეა თუ ისე, დრაკონის კანონები იყო ძველი ათენური სამართლის პირველი კოდიფიკაცია და იგი დრაკონს ძვ. წ. 621 წელს უნდა შემოეღო სამოქმედოდ. დრაკონმა, როგორც ჩანს, შერჩეული ჩვეულებებიდან ზოგიერთი გადაამუშავა და გადაასხვაფერა.

დრაკონის დროს ბერძნებში სისხლის აღების ჩვეულებაც არსებობდა. მან ვერ შესძლო სისხლის აღების ჩვეულების აკრძალვა, მაგრამ იგი დიდად შეზღუდა. მკვლელსა და დაზარალებულს შორის ამიერიდან იდგა არა შუაკაცი, ნეიტრალური მომრიგებელი, არამედ საზოგადოებრივი წესრიგით აქტიურად დაინტერესებული სახელმწიფო, რომელსაც თავისი ავტორიტეტისა და ძალის მეშვეობით უნდა მოეწესრიგებინა მხარეთა გარიგებისა და კანონიერების დაცვის საკითხი. დანაშაული ამიერიდან კერძო დარღვევად არ აღიქმებოდა. დანაშაული სახელმწიფოს ინტერესების ხელყოფად მიიჩნეოდა.

დრაკონის კანონებმა პირველი ნაბიჯი გადადგა სამართლებრივი კულტურის დონის ასამაღლებლად. ბარბაროსული ხანისაგან განხსევებით სხვადასხვაგვარ პასუხისმგებლობას იწვევდა განზრახი და უნებლიე მკვლევლობა. ობიექტური შერაცხვის პრინციპი უარყოფილი იყო. არა მარტო დამდგარი შედეგი, არამედ დანაშაულებრივი ქმედების მოტივიც მიიღებოდა მხედველობაში. თუ ბარბაროსული დონის სამართალს არ აინტერესებდა მოქმედის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი, დრაკონის კანონმდებლობა დაინტერესდა ამით. კანონიერად ჩაითვალა აუცილებელი მოგერიება. სასჯელის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღებოდა დამნაშავის ფსიქიკური

მდგომარეობა, დანაშაულის ჩადენა ეჭვიანობის ნიადაგზე. მკვლელებს წინასწარ დადგენილ ადგილებზე ასამართლებდნენ. თუ მკვლელობას წინასწარი განზრახვის გარეშე ექნებოდა ადგილი, მკვლელს პალადიუმში ასამართლებდნენ, ხოლო განზრახვით მკვლელს – არეოპაგში. თუ გაძევებამისჯილი პირი ხელახლა ჩაიდენდა მკვლელობას, მას ატიკის მიწაზე ფეხის დადგმა ეკრძალებოდა. დამნაშავეს ნაეში ჩასვამდნენ და პირეუსის მახლობლად ზღვის ნაპირას გაასამართლებდნენ. გვაქვს ცნობები ადამიანის მკვლელობაში “დამნაშავე” პირუტყვისა და უსულო საგნების გასამართლების შესახებ. მას განსაკუთრებული შემადგენლობის სასამართლო აწარმოებდა და სიკვდილის გამოძწევე პირუტყვს ან საგანს ზღვაში გადააგდებდნენ, ან ქვეყნის საზღვრებს გარეთ “გააძევებდნენ”, “უნებლიე დანაშაული” უფრო მსუბუქად ისჯებოდა განზრახ ჩადენილთან შედარებით. პლუტარქემ შემოგვინახა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დრაკონის კანონები გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული სიმკაცრითა და სისასტიკით. ბოსტნეულისა და ხილის მოპარვისთვისაც კი დამნაშავეს უმაღლეს სასჯელს უფარდებდნენ – სიკვდილით სჯიდნენ.

დრაკონის კანონების შემონახული ფრაგმენტები, როგორც მოსალოდნელი იყო, გაუდენთილი იყო სისასტიკით.

ტრადიციის თანახმად დრაკონის კანონები იშვიათი სიმკაცრით გამოირჩეოდნენ. აქედან მომდინარეობს გამოთქმა – “დრაკონული კანონები”. თვით ბერძნები მათ ასე ახასიათებდნენ: ეს კანონები არა მეტონით, არამედ სისხლით არის დაწერილი. დრაკონის კანონების მიხედვით სიზარმაცისათვის, უქმად ყოფნისათვის ადამიანს სიკვდილით სჯიდნენ. განსაკუთრებით სასტიკად ისჯებოდა კერძო საკუთრების ხელყოფა, ქურდებს და ცეცხლის წამკიდებლებს სიცოცხლეს უსპობდნენ.

მაგრამ მიუხედავად ასეთი, სიმკაცრისა და ტექნიკური შესრულების მხრივ დიდი ნაკლისა, დრაკონის კანონებს მაინც ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდათ. ჯერ ერთი, ისაა საყურადღებო, რომ მისი ზოგიერთი მუხლი გარკვეულად სისხლის აღების წინააღმდეგ არის მიმართული. გარდა ამისა, მათი გამოქვეყნება მზარდი მონათმფლობელური პოლისის გვაროვნული წყობილების ელემენტებზე ერთგვარ გამარჯვებას მოასწავებდა.

ჩვენამდე მოღწეული ცნობების საფუძველზე საკმაოდ სრულია ზემოთ მოტანილი დრაკონის კანონების დახასიათება.

გარდა ზემოთ ხსენებულია, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დრაკონის საკანონმდებლო მოღვაწეობის შესახებ ზოგი ცნობაც მოგვეპოვება. არისტოტელეს “ათენის პოლიტიკის” მეოთხე თავში დრაკონი დახასიათებულია არა მხოლოდ როგორც დიდი კანონმდებელი, არამედ როგორც სახელმწიფო რეფორმატორიც. დრაკონმა გადადგა ნაბიჯი იმ მიმართულებით, რომ იმათ, ვისაც გარკვეული ოდენობის ქონება გააჩნდა, მინიჭებოდათ პოლიტიკური უფლებები, ყველა შეძლებული მამაკაცი, რომელსაც შეეძლო თავის საკუთარ ხარჯზე შეიარაღება, იძენდა პოლიტიკურ უფლებებს. არსებობს ცნობა, რომ სახალხო კრებაზე დაუსწრებლობისათვის დაწესებული იყო ფულადი ჯარიმა ერთიდან სამ დრახმამდე. არისტოტელე დრაკონს მიაწერს ყველაზე მნიშვნელოვანი თანამდებობის პირების – სტრატეგოსების, ჰიპარქოსების, არქონტებისა და ხაზინადრების თანამდებობების დასაკავებლად დიდი ფულადი ცენზის შემოღებას. ამ ცნობას არ ეთანხმება პლუტარქეს მონაცემები. მისთვის დრაკონი მხოლოდ კანონმდებელია და ისიც ძირითადად სისხლის სამართლის სფეროში. ხოლო რაც შეეხება მოქალაქეთა დაჯგუფება-დაყოფას ქონებრივი ცენზის მიხედვით, ეს პლუტარქეს აზრით სოლონის საქმეა.

ერთ-ერთ თავის მნიშვნელოვან ნაშრომში არისტოტელე წერდა იმის შესახებ, რომ კანონმდებელთა შორის ზოგიერთი მხოლოდ კანონების ავტორი იყო, სხვები კი, როგორც მაგალითად ლიკურგოსი და სოლონი, სახელმწიფოს მომწესრიგებელნი იყვნენ, რადგან მათ კანონები გამოსცეს და წესწყობილებაც მათთან შეფარდებით მოაგვარესო (პოლ., II, 9.1). არისტოტელე იმასაც აღნიშნავდა, რომ არსებობს დრაკონის კანონები, მაგრამ მან ისინი უკვე არსებული სახელმწიფო წესწყობილებისათვის გამოაქვეყნა და ორიგინალური, მოხსენიების ღირსი მათში არა არის რა, გარდა სასჯელის სიმძიმისაო (პოლ., II, 9.9). არისტოტელეს და პლუტარქეს ცნობები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ამ საკითხის გამო მეცნიერებაში ორი დაჯგუფება შეიქმნა. ერთნი არისტოტელეს ცნობებს ჭეშმარიტად თვლიან (ვილამოვიცი და სხვა), მეორენი არისტოტელეს თხზულებაში შენახული ცნობების ჭეშმარიტებას უარყოფენ და იმასაც ამტკიცებენ, რომ ისინი არისტოტელეს არც ეკუთვნის (ედ. მაიერი და სხვა).

ის დაწერილი სამართლებრივი ნორმები, რომლებიც დრაკონს მიეწერება, მეცნიერთა აზრით, სხვა არა იყო რა, თუ არა ძველი

ჩვეულებების ჩანაწერი, როგორც ეს სასამართლო პრაქტიკით გამოიხატა, რის გამოც დრაკონს წყაროებში თესმითეტი ეწოდება, სოლონისაგან განსხვავებით, რომელსაც კანონმდებელი (ნომოთოტეს) ეწოდება. ასეთ მოსაზრებას იზიარებდა პროფ. ს. თ. კენეკიანიც. ის წერდა იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ გვაროვნული წყობილების ძველ წეს-ჩვეულებებს ამახინჯებენ და გარდაქმნიან გაბატონებული კლასების ინტერესთა შესაბამისად. სასამართლო მესაკუთრეთა ინტერესების სადარაჯოზე იდგა და მათთვის სასურველ შინაარსს სდებდა გვაროვნული საზოგადოების ძველ ჩვეულებათა ადგილას აღმოცენებულ ახალ "ჩვეულებათა" სამართლის ნორმებში.

მიუხედავად მრავალი ნაკლისა, დრაკონის კანონებს ის მნიშვნელობა მაინც გააჩნდა, რომ ამიერიდან ევპატრიდების თვითნებობას არა დაუწერელი ჩვეულებითი სჯული, რომელსაც სხვადასხვანაირად, განსხვავებულად გადმოსცემდნენ უხუცესები, არამედ დაწერილი კანონები შეზღუდავდნენ, რომელთაც თვითნებურად ვერავინ შეცვლიდა. თანაც, როგორც ჩანს, პლუტარქე ატარებდა, როდესაც წერდა, რომ დრაკონის კანონებით თითქმის ყველა დამნაშავისათვის დანიშნული იყო ერთი სასაჯელი - სიკვდილი.

ცნობილია, რომ დრაკონის კანონებში გათვალისწინებული იყო ქონებრივი სასჯელიც, რომელიც ხარებით გამოიანგარიშებოდაო. გარდა ამისა, კანონები ითვალისწინებდა ისეთ სასჯელსაც, როგორცაა პატივის აყრა, თავისი დროისათვის უთუოდ ურიგო არ იყო ისიც, რომ დრაკონმა დაადგინა განესხვავებინათ სასჯელის შერჩევის დროს განუზრახველი მკვლელობა განზრახ მკვლელობისაგან. განუზრახველ მკვლელობაში დამნაშავე სიკვდილით არ დაისჯებოდა. მას აძლევდნენ საშუალებას საზღვარგარეთ გადახვეწილიყო ან მოკლულის ნათესავებისათვის გადაეხადა სისხლი (თავის გამოსასყიდი საზღაური). განზრახვით მკვლელობის საქმეები არეოპაგში უნდა გარჩეულიყო.

ჩვენ ვისაუბრეთ (ძვ. წ. 640-560 წწ.) რეფორმებსა და ამ რეფორმებთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების შესახებ. ახლა შეგვიძლია გავიხსენოთ სოლონის კანონმდებლობა სამოქალაქო სამართლის სფეროში.

სოლონის კანონმდებლობა აღბეჭდილი ყოფილა 16 სჯულის ფიცარზე. ეს კანონები დღეს დაკარგულად ითვლება, ჩვენამდე

მოდწია ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ სოლონი ხელს უწყობდა კერძო საკუთრების პრინციპების დამკვიდრებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოლონი ამკვიდრებს ათენში ანდერძით მემკვიდრეობის წესს. სოლონმა საბერძნეთის ისტორიაში პირველად ნება დართო მესაკუთრეს ანდერძის დაგდების მეშვეობით ქონება დაეტოვებინა სასურველი პირისათვის, თუ მას ვაჟიშვილი არ ჰყავდა. სოლონმა ნება დართო მესაკუთრეს ქონების გასხვისებისა გარკვეული პირობით და დათქმით: “უკეთუ არ მოქმედებდა ავადმყოფობის ზეგავლენით, არ ყოფილა სამსალათი მოჯადოებული, არ ყოფილა ბორკილებგაყრილი ან არ ყოფილა იძულებული, ანდა არ იმყოფებოდა ქალის გავლენაში”.

სოლონის დროს მართებულად ითვლებოდა ის კანონი, რომელიც ყველა მოქალაქეს უფლებას აძლევდა გამოქომაგებოდა მეორე მოქალაქეს, თუ მას უკანონოდ შეავიწროებდნენ ან შეურაცხყოფას მიადევნებდნენ. სოლონს შეგნებული ჰქონდა ხელობის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და ამიტომაც გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც შვილი არ იყო ვალდებული ერჩინა მამა, თუ იგი მას რაიმე ხელობას არ შეასწავლიდა (პლუტარქე, სოლონი XXII). ათენში მრავალი ისეთი ხელოსანი ცხოვრობდა, რომლებიც მოქალაქის უფლებებით არ სარგებლობდნენ. სოლონმა მრავალ მათგანს ათენის მოქალაქეობა მიანიჭა.

აღიარებულია, რომ სოლონის კანონებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ძველი საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოების სამართლებრივ ცხოვრებაზე.

საერთოდ ბერძენთა ქალაქ-სახელმწიფოების საკანონმდებლო აქტებზე, რომლებიც ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში მოქმედებდნენ, მიუხედავად კანონების უმრავლესობის დაღუპვისა, ჩვენ მაინც გაგვანჩნია ზოგადი ინფორმაცია და თანაც მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი ძველი ბერძნული სამართლის შესახებ. ესენია დოკუმენტური წყაროები (წარწერები ქვებზე, ლითონებზე, საბუთები, რომლებთაც იურიდიული შინაარსი აქვთ და ა.შ.).

ძველი ბერძნული სამართლის შესახებ ძვირფას ცნობებს შეიცავენ ბერძენი ორატორების დემოსთენეს, ისოკრატის, ლისიუსის, ესქინეს და სხვების სიტყვები და ნაწერები. ფასეულ ცნობებს ძველი ბერძნული სამართლის შესახებ ვხვდებით პლუტარქეს, ჰეროდოტეს, თუკიდიდეს, პოლიბიოსის, პლატონის, არისტოტელეს და სხვათა თხზულებებში.

მაგ. ფილოსოფოსი არისტოტელე თავის ნაშრომში “რიტორიკა” ძველ საბერძნეთში დამამტკიცებელ საბუთთა ხუთ სახეობას ჩამოთვლის. იგი წერს: “დამამტკიცებელი საბუთები რიცხვით ხუთია: კანონები, მოწმეები, ხელშეკრულებები, ჩვენება, მიცემული წამების ქვეშ, ფიცია”...

ძველ საბერძნეთში ფიცია ერთ-ერთი მტკიცებულება იყო, მაგრამ იქ ფიცია სასამართლოში ისეთ დიდ როლს არასოდეს არ ასრულებდა, როგორსაც, მაგალითად ძველ ეგვიპტეში. ძველ ათენში ფიცს, როგორც დამამტკიცებელ საბუთს, მხოლოდ განსაზღვრული კატეგორიის და ისიც მცირე მნიშვნელობის საქმეებზე თუ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. ფიცით შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო მხოლოდ უმნიშვნელო ხასიათის სამოქალაქო საქმეები. სხვა დანარჩენ საქმეებში ფიცით შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო მხოლოდ პროცესის შემდგომი მსვლელობის საკითხი. მაგალითად იმისათვის, რომ საქმე ჰელიკიაში გადასულიყო, მხარეებს ფიცით უნდა დაედასტურებინათ თავიანთი ჩვენებები.

დამახასიათებელია, რომ მოწმის ჩვენებას, ჩამორთმეულს წამების ქვეშ, უპირატესობა ეძლეოდა, როგორც მტკიცებულებას, ფიცის ქვეშ თავისუფალი ადამიანის მიერ მიცემული ჩვენების წინაშე. კუნძულ კრეტიდან ჩვენამდე მოაღწია გორტინის კანონებმა, ესაა უძველესი ბერძნული კანონმდებლობის შესანიშნავი და ამავე დროს მთლიანად შენახული ტექსტი. ის შედგენილია კუნძულ კრეტაზე, ქალაქ გორტინაში. ეს კანონები თარგმნილია ქართულ ენაზეც.¹

გორტინის კანონები დაწერილი იყო საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობის კედლებზე ბერძნული დამწერლობის უძველესი სახეობით.

ძველი თარიღდება ძვ. წ. მეხუთე საუკუნის ოთხმოციან-სამოციანი წლებით. მაგრამ მისი ერთი ნაწილი შედგენილი უნდა

¹ ლამარა იოსელიანი. “გორტინის კანონები”, ტექსტი, თარგმანი კომენტარებით და ლექსიკონით. თბ. უნივერსიტეტის გამომც. 1966, გვ. 206.

იყოს ძვ. წ. მეექვსე საუკუნეში. გორტინის კანონები აღმოაჩინა იტალიელმა არქეოლოგმა ჰალაპბერმა 1884 წელს. კანონები შეადგენდა თორმეტ სვეტს და შეიცავდა 17 ათას ასოს. 12 სვეტად განლაგებული ძეგლი შინაარსის მიხედვით იყოფა 11 ნაწილად ანუ განყოფილებად.¹

მკვლევარები მართებულად შენიშნავენ, რომ კედელზე “ამოჭრილ” კანონთა კრებულის შემდგენლებს მიზნად არ დაუსახავთ ჩაეთვალოთ იგი დასრულებულ სამოქალაქო სამართლის ნიმუშად და შესაძლებლად მიაჩნდათ მასში დამატებისა და ცვლილებების შეტანა.

განსხვავებით სპარტისაგან, სადაც ბავშვების სახელმწიფო აღზრდა შვიდი წლის ასაკიდან იწყებოდა, კრეტაზე, როგორც ჩანს, ბავშვები, როგორც წესი, მშობლების ხელში იზრდებოდნენ. როდესაც მათ შეუსრულდებოდათ 17 წელი, ისინი ჩაირიცხებოდნენ ჭაბუკთა თანამეგობრობის კავშირებში აგელებში (ბერძნული აგელაი) და გიმნაზიებში იწყებდნენ მეცადინეობას, სადაც მოსწავლეთა ფიზიკურ წერტას, მათში დისციპლინის გრძობის ჩანერგვას და მათში სამხედრო ნიჭის გამოვლენას დიდი ყურადღება ექცეოდა. კრეტაზე გულმოდგინედ ცდილობდნენ ახალგაზრდობის სამართლებრივ აღზრდას. “განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული ახალგაზრდობის მიერ ლექსად

¹ გორტინის კანონების პირველი ნაწილი ეხება თავისუფალთა და “მონის პიროვნების” ხელყოფას.

მეორე ნაწილი ეხება ძალადობას და მრუშობას.

გორტინის კანონების მესამე ნაწილი ეხება ქალის ქონებრივ მდგომარეობას განქორწინების ან ქმრის სიკვდილის შემთხვევაში.

ნაწილი მეოთხე ეხება განქორწინებული ან მარტოხელა ქალთა შვილების უფლებრივ მდგომარეობას.

ნაწილი მეხუთე აწესრიგებს სამემკვიდრეო ურთიერთობებს.

ნაწილი მეექვსე – მამისა და დედის პირადი ქონების გაყოფას.

გორტინის კანონების მეშვიდე ნაწილი ეხება ტყვეების გამოსყიდვასა და შერეული ქორწინების შედეგად წარმოშობილი ბავშვების უფლებებს.

ნაწილი მერვე – მემკვიდრე ქალიშვილის უფლებებს.

ნაწილი მეცხრე აწესრიგებს მემკვიდრეობის უფლებებსა და მოვალეობებს.

ნაწილი მათე ეხება შვილად აყვანას.

ნაწილი მეთერთმეტე შეიცავს საერთოდ დამატებებს ყველა კანონისათვის.

გადმოცემული კანონების შესწავლასა და მათი სიმღერით წარმოთქმას”.

და ეს კანონები ამოჭრილი საზოგადოებრივი შენობის კედლებზე, ითვლებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგების ავტორიტეტულ საშუალებად.

კუნძულ კრეტაზე, კერძოდ ქ. გორტინაშიც, როგორც ჩანს, კანონებს იცავდნენ და როგორც თავისუფალი, ასევე მონა მასში თავისი ცხოვრების საყრდენს ხედავდა.

გორტინის კანონების პირველ სვეტში გათვალისწინებული იყო შემთხვევა, როდესაც მხარეები დავობდნენ თავისუფლების ან მონის გამო. თუ სასამართლოში ერთი დავობდა, რომ ადამიანი თავისუფალია, მეორე კი ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ იგი მონაა, მეტი ძალა აქვს იმის ჩვენებებს, ვინც ამტკიცებს, რომ იგი თავისუფალია.

კანონების მეორე სვეტის დადგენილების თანახმად, თუ ვინმე ძალადობას ჩაიდენს თავისუფალი კაცის ან ქალის წინააღმდეგ, სასამართლოს დადგენილებით დაჯარიმდება ასი სტატერით.

სტატერი იყო ძველი მონეტა.

აღ. მაკედონელის ოქროს სტატერის საშუალო მასა იყო 8,6 გრამი.

გორტინის კანონებიდან ირკვევა, რომ მონებს საკუთარი ქონება გააჩნდათ კრეტაზე, როგორც ჩანს, ხშირად მონები თავისუფალი წოდების ქალებს ირთავდნენ ცოლად. მონებს არ ეკრძალებოდათ თავისუფალ ქალებთან შეუღლება. გორტინის კანონებში აღნიშნული იყო, რომ თუ მონა გადავა თავისუფალ ქალთან და მას ცოლად შეირთავს, ბავშვები თავისუფალნი უნდა იყვნენ.

თუ ცოლი და ქმარი გაიყარნენ, ცოლი ფლობს თავის სათავენოს, ე.ი. იმას, რაც მის პირად საკუთრებას წარმოადგენს, რომელიც მან ქმრის ოჯახში შემოიტანა. გარდა ამისა, ქალი მიიღებდა შემოსავლის ნახევარს, თუ ასეთი მოიპოვებოდა მის საკუთრებაში და იმის ნახევარს, რაც მოქსოვა და ხუთ სტატერს, თუ ქმარი არის დამნაშავე განქორწინებაში.

გორტინის კანონების მესამე სვეტზე ამოჭრილი ნორმის თანახმად, თუ ქალიშვილი უშვილოდ გარდაიცვლებოდა, სათავენოს ქალის ნათესავებს უბრუნებდნენ და აგრეთვე, რაც მოუქსოვია იმის ნახევარს და შემოსავლის ნახევარს, თუ ასეთი არის მის სათავენოში.

გორტინის კანონების შესახებ არსებობს საკმაოდ ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა მრავალ ენაზე. ცხადია, თითქმის ყველა მათგანი ეხება ბერძნული საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის საკითხებს, ვინაიდან ხსენებული საკანონმდებლო ძეგლის ნორმათა უმრავლესობა სწორედ ამ საკითხებს აწესრიგებდა.

გორტინის კანონების მიხედვით პირველი რიგის მემკვიდრეები იყვნენ ვაჟიშვილები, შვილიშვილები, შვილიშვილის შვილები.

მემკვიდრეთა მეორე ჯგუფს შეადგენდნენ ძმები, ძმისშვილები და მათი შვილები. მესამე რიგის მემკვიდრეები იყვნენ დები, დისშვილები და მათი შვილები. მეოთხე რიგის მემკვიდრეებად ითვლებოდნენ მამკვიდრებლის ბიძები მამის მხრიდან და ბიძაშვილები. მეხუთე რიგის მემკვიდრეებად ითვლებოდნენ მამიდები და მამიდაშვილები. მეექვსე რიგის მემკვიდრეებად ითვლებოდნენ ბიძები დედის მხრიდან და ბიძაშვილები. ხოლო მეშვიდე რიგის მემკვიდრეებად ითვლებოდნენ დეიდები და დეიდაშვილები.

როგორც მართებულია ადნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, მემკვიდრეთა პირველი სამი ჯგუფის შიგნით სამკვიდროს მიღების წესების მიხედვით ატიკური და გორტინის სამართალი აბსოლუტურად მსგავსია.

როგორც კუნძულ კრეტაზე – გორტინაში, ასევე ატიკაში მემკვიდრეობას პირველ რიგში ღებულობდნენ ყველაზე ახლობელი აგნატები. როგორც ატიკურ სამართალში, ასევე გორტინის კანონებითაც, თუ მამკვიდრებელს არ ეყოლებოდა ვაჟიშვილი ან ვაჟიშვილები, მემკვიდრეობას ეუფლებოდნენ ქალიშვილები, ეპიკლერები.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მეტ-ნაკლებად მისაღები მოსაზრება იმის შესახებ, რომ საგვარეულო საკუთრების პრინციპი შენარჩუნებული იყო კუნძულ კრეტაზე ძვ. წ. VI – V საუკუნეებშიც და ის ვრცელდებოდა არა მარტო უძრავ, არამედ მოძრავ ქონებაზეც. გვარი აქ ჯერ კიდევ ინარჩუნებდა მნიშვნელოვან ძალას. მემკვიდრეობის რიგი კრეტაზე უახლოვდება თორმეტი ტაბულის კანონების ანალოგიურ დანაწესებს (V, 4-5; გაიუსი; ინსტიტუციები, III, 17,24). განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ გორტინის კანონმდებლობის თანახმად ქონების მემკვიდრეებად დაიშვებოდა არა მხოლოდ მამრობითი ხაზის ნათესავები, არამედ მდედრობითიც – გარდაცვლილი დის შვილები, დის

შვილიშვილები... ეს შეიძლება აიხსნას კრეტელი ქალის შედარებით მაღალი უფლებრივი და მატერიალური მდგომარეობით (ლ. იოსელიანი).

კუნძული კრეტა ძვ. წ. VI-V საუკუნეში თავისი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონით ჩამორჩებოდა ათენის სახელმწიფოს, მაგრამ ფაქტია, რომ კრეტელი ქალი თავისი სამართლებრივი მდგომარეობით და თავისი მატერიალური უფლებებით მაღლა იდგა ათენელებთან შედარებით. განქორწინების დროს კრეტელ ქალს ეძლეოდა ქონების გარკვეული ნაწილი, მაგრამ თუ ის კუთვნილზე მეტს წაიღებდა, სასამართლო ადგენდა, ასეთმა ქალმა განსაწმენდელი ფიცით იმართლოს თავი ამიკლაოსის არტემიდე მოისარის წინაშე. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქალს ეძლეოდა ფიცის მეშვეობით თავის მართლების უფლება. მასთან, განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ქალს აძლევენ განსაწმენდელი ფიცის (ქართულად “ჯერის”) უფლებას. ქალი არ იყო დამოკიდებული ნათესავ ან ნაცნობ მამაკაცთა თანამოფიცრობისაგან. თავად ქალის ფიცით წყდებოდა მისი გამართლების საკითხი. გარკვეულ ვითარებაში თვით მონა ქალსაც ეძლეოდა ფიცის უფლება. გორტინის კანონების მეორე სვეტში გათვალისწინებულია, რომ თუ ვინმე ძალით ახდის ნაძუსს შინამოსამსახურე ქალს (ქალწულს), დამნაშავეს სასამართლოს გადაწვეტილებით უნდა გადაეხადა ორი სტატერი; თუ ძალადობა ჩადენილი იყო არა ქალწულის მიმართ და ისიც დღისით, დამნაშავეს გადაახდევინებდნენ ერთ ობოლს, თუ ღამით – ორ ობოლს. ამასთან, ფიცის მიღების უპირატესობა ეძლეოდა მონა ქალს, როგორც დაზარალებულ მხარეს. გორტინის კანონებში იხსენიება “ობოლთა მოსამართლეებიც”. აქ დაზარეული სოციალური ფენების ქალებისა და ობლების უფლებათა დაცვას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა.

კუნძულ კრეტაზე კანონმდებლობა ცდილობდა გვარის ფარგლებში დაეტოვებინა საკუთრება და არავისთვის არ მიეცა საშუალება მისი გვარის გარეთ გამოტანისა.

გორტინის კანონებში შეიმჩნევა ისეთი არქაული მოვლენების კვალი, როგორც იყო ლევირატი და სორორატი (მიცვალებული ცოლის დაზე დაქორწინების ჩვეულება).

საერთოდ ძველ კრეტაზე ქორწინება ადამიანის პირადი საქმე კი არ იყო, არამედ მისი საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი

მოვალეობა. ყველა ახალგაზრდა მამაკაცი ვალდებული იყო ოჯახი შეექმნა, ცოლი შეერთო. ქორწინება წმინდა რელიგიურ, საღვთო საქმედ ითვლებოდა.

გორტინის კანონებისადმი დართულ კომენტარში მისი ქართულ ენაზე მთარგმნელი ლ. იოსელიანი აღნიშნავს, რომ გორტინის სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენდა არა დოკუმენტაცია, მსგავსად ბაბილონური სამართლისა, ამა თუ იმ მოქმედების დამტკიცებისათვის, არამედ მოწმეების ჩვენება... მოწმედ შეიძლებოდა გამოსულიყო სრულწლოვანი მოქალაქე. ამა თუ იმ აქტის დამტკიცებას ესწრებოდა ორი ან სამი მოწმე. როგორც ჩანს, მოწმეთა რაოდენობა დამოკიდებული იყო დასამტკიცებელი აქტის მნიშვნელობაზე. მხოლოდ ერთ შემთხვევაში (XI, 53-55), საქმის გართულების გამო, დასახელებულია 15 უხუცესი მოწმე.

გორტინის კანონების მტკიცებულებათა სისტემის შესახებ თუ რისი თქმა სურს ავტორს, ზემოთ მოტანილიდან ასე თუ ისე ჩანს, მაგრამ შეიძლებოდა სათქმელის უფრო ნათლად და ზუსტად გამოთქმა. საქმე იმაშია, რომ ძველი ბაბილონის სამართალს ახასიათებს წერილობითი მტკიცებულების მეტი როლი და მნიშვნელობა იურიდიულ ყოფაში, საერთოდ სოციალურ პრაქტიკაში. ეს გარემოება მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული, მათ შორის წერილობითი დოკუმენტების მრავალსაუკუნოვანი გავრცელებულობით, საერთოდ კულტურის და მათ შორის სამართლებრივი კულტურის შედარებით მაღალი დონით. “დოკუმენტაცია” სამართლის უმთავრეს პრინციპად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში წერილობითი მტკიცებულებისათვის დიდი მნიშვნელობის მინიჭებას თვით სოციალური პრაქტიკა კარნახობს სამართალს. ამასთან ერთად, დოკუმენტების, ბეჭდიანი საბუთების როგორც ცივილიზებული მტკიცებულების გვერდით პრიმიტიული ორდალიც გვხვდება სამურაბის კანონებში. იქ, სადაც გვაროვნულ-პატრიარქალური სოციალური სტრუქტურები ბატონებენ ან დიდი მნიშვნელობისა მაინც არიან, მოწმის ჩვენებაზე მეტ წონას იძენენ მოფიცვრები. თვით გორტინის კანონებშიაც კი იქ, სადაც მოწმეებზეა საუბარი, ყოველთვის მოწმე არ უნდა იგულისხმებოდეს. გორტინის კანონებში ნახსენები “15 უხუცესი მოწმე” (პრეიგონოს) უფრო მოფიცვარს ან თანამოფიცვარს უნდა ნიშნავდეს, ვიდრე მოწმეს, მრავალ ქვეყანაში განვითარების წინა კაპიტალისტურ დონეზე ჩვენ ვხვდებით ასეთ

განურჩევლობას, ანუ აღრევას მოწმესა და მოფიცარს შორის. გორტინის კანონების ნორმებში მკვლევარებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმ გარემოებას, რომ “წაყვანას” აქ გარკვეული, სპეციფიკური მნიშვნელობა აქვს. რამდენადმე შერბილებული გამოთქმა “წაყვანა” შესაძლებელია გამოყენებული ყოფილიყო აგრეთვე სხვისი მონისათვის თავშესაფრის მიცემის, სხვისი მონის მიტაცების, გადაბირების მნიშვნელობით. ლ. იოსელიანის დაკვირვება მართებული ჩანს ჩამოთვლილი შემთხვევების გათვალისწინებით, მაგრამ ის ავტორს მართებულად არა აქვს გამოთქმული. აქ “სხვისი მონების საკუთრებაზე” თავდასხმასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ სხვის საკუთრებაში მყოფ მონებზე. მართებულია, ლ. იოსელიანის დაკვირვება, რომ გორტინის კანონების მიხედვით სასამართლო თავისუფალს “ათავისუფლებს”, ხოლო არათავისუფალს უბრუნებს მის კანონიერ მფლობელს.

ეხება რა გორტინის კანონების მიხედვით საპროცესო სამართლის თავისებურებებს, ლ. იოსელიანი აღნიშნავს, რომ ხსენებული კანონებით გათვალისწინებული იყო განაჩენის გამოტანის შემდეგი წესები: 1. განსახილველი საქმის ობიექტურად გადაწყვეტა (“დიკადდენ”) და 2. განსახილველი საქმის სუბიექტურად გადაწყვეტა.

პირველ შემთხვევაში მოსამართლეს გამოჰქონდა განაჩენი მოწმეთა ჩვენების საფუძველზე, ხოლო მეორე შემთხვევაში მოსამართლეს გამოჰქონდა განაჩენი საკუთარი ღმერთების წინაშე მასზედ, რომ იგი განსჯიდა ყოველივეს ცოდნისა და სინდისის მიხედვით. მოსამართლე დებულობდა სუბიექტურ გადაწყვეტილებას იმ შემთხვევაში, როდესაც არ იყვნენ მოწმეები (1, 13) ან იყვნენ მოწმეები ორივე მხრიდან, მაგრამ სასამართლო ვერ მიიღებდა მათ ჩვენებებს შექმნილ ძალთა თანასწორობის გამო (V, 23), აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოში ფიცით საქმის გადაწყვეტას მოითხოვდა ორივე მხარე.

პირველ ყოვლისა, უხერხულია და მარჯვე არაა გამოთქმა “საქმის ობიექტურად გადაწყვეტა” არსებულ კონტექსტში და მისთვის საქმის სუბიექტურად გადაწყვეტის დაპირისპირება. თვით გორტინის კანონებში კი საუბარია იმის შესახებ, რომ მოსამართლემ უნდა გამოიტანოს განაჩენი (გადაწყვეტილება) “მოწმეებთან შეთანხმებით” ე. ი. მოწმეთა ჩვენების საფუძველზე, როგორც დაწერილია კანონებში ან ბრალდებულთა ფიცის საფუძველზე.

მაშასადამე. გორტინის კანონებით მოსამართლეს სწორი მსჯავრის გამოტანა ევალებოდა ძირითადად მოწმეთა ჩვენების ან ბრალდებულთა ფიცის საფუძველზე.

გორტინის კანონების მეთერთმეტე სვეტში ნათქვამი იყო, რომ ქალს, რომელმაც მიატოვა ქმარი, თუ მოსამართლე გადაუწყვეტს ფიცის მიღებას, მან ოცი დღის განმავლობაში უნდა დაიფიცოს მოსამართლის დასწრებით იმის გამო, რაშიაც მას ბრალი ედება.

ძველი ბერძნული ტრადიციის მიხედვით, რაც პლუტარქესთანაც აისახა, კუძელი კრეტა იყო კანონმდებლობის სფეროში სპარტელების მასწავლებელი. ასეა თუ ისე, შეიმჩნევა, რომ კრეტისა და სპარტის სოციალური ყოფა-ცხოვრებითი ინსტიტუტები უთუოდ ემსგავსებიან ერთმეორეს, მაგრამ მსგავსება სახელმწიფოებრივი წესწყობილების სფეროში უფრო ნაკლებად შეიმჩნევა. რა თქმა უნდა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ როგორც სპარტაში, ისე კრეტაზე ძვ. წ. პირველ ათასწლეულში დორიელები იყვნენ გაბატონებულნი. კრეტელი და სპარტელი დორიელები ერთ ენობრივ ჯგუფს ეკუთვნოდნენ. კუნძულ კრეტის მოსახლეობა ორ ძირითად ჯგუფად იყოფოდა: თავისუფლებად და თავისუფლებას მოკლებულად.

კუნძულ კრეტის მოსახლეობის წიადში უნდა იყოს წარმომოხილელი მრავალფეროვანი თემები – ოიკიები, რომლის მეთაურსაც პასტასი ერქვა. ფიქრობენ, რომ გორტინაში გვაროვნული დიდკაცობის ოიკიები იმ მიწათმოქმედთა შრომის ექსპლოატაციას ეწეოდნენ, რომლებიც ოიკიის შემადგენლობაში შედიოდნენ. აქ შესაძლოა, შემონახული იყო გარკვეული გადმონაშთების სახით მონობის ის ფორმები, რომელიც ჯერ კიდევ მიკენის ეპოქაში უნდა არსებებოდა.

კრეტაზე სასოფლო-სამეურნეო მონებს მნიოტები ეწოდებოდათ. ისინი სახელმწიფო მიწებს ამუშავებდნენ, გარდა ამისა, იყვნენ კერძო სასოფლო-სამეურნეო მონები – კლაროტები, იყვნენ აგრეთვე საოჯახო მონები – ოიკეები, რომელთაც ნასყიდ მონებს ანუ “ოქროთი ნაყიდებს” (ქსიროგენებს) ეძახდნენ. როგორც ჩანს, ნამდვილი მონები იყვნენ ოიკეები, ხოლო მნიოტები და კლაროტები თავისუფლათა და მონების შუა ფენას წარმოადგენდნენ. გორტინის კანონების მიხედვით ოიკევის პიროვნება ორმოცჯერ უფრო ნაკლებად ფასობდა, ვიდრე თავისუფალისა (ელეუთეროსისა).

გორტინის კანონებში იხსენიება “დოლოსი” (მონა). ფიქრობენ,

რომ დოლოსში იგულისხმებოდა, გარდა ჩვეულებრივი მონისა, ვოიკევისებიც. ერთ, გორტინის კანონებზე უფრო ადრე შედგენილ წარწერაში (ძვ. წ. VI ს.) ნათქვამია: “ მაგრამ გაქცეული ვოიკევისი არ გაიყიდოს, არც ტაძარში თავშეფარებული” - ე. ი. არც მაშინ, როცა იგი იმყოფება ტაძარში, არც იმ წელს, როდესაც იგი გაიქცა. მკვლევარები ფიქრობენ, რომ გორტინაში თავშესაფრის უფლებით სარგებლობდნენ მონებიც. ეპიგრაფიკული ძეგლებიდან ჩანს, რომ დაგირავებულ კერძო მონას გააჩნდა ასეთი უფლება. გამოთქმულია მოსახრება, რომ თუ მონა ერთი წლის დამღვეამდე მატროვებდა ტაძარს, პატრონს შეეძლო ის შეეპყრო. მართებულად აღნიშნავს ლ. იოსელიანი, რომ თუ ტაძარში თავშეფარებული ვოიკევისი ან მონა შეინახავდნენ თავს და არ გამოვიდოდნენ ტაძრიდან, ერთი წლის შემდეგ მათ აღარ უბრუნებდნენ ძველ პატრონს... გაქცეულს გადასცემდნენ ან, უფრო სწორად, მიჰყიდნენ სხვა, ახალ პატრონს. მართებულია მოსახრება, რომ გორტინის კანონმდებლობა გონივრულად ემსახურებოდა არა მარტო საზოგადოების გაბატონებულ ფენებს ზოგიერთთა აზრით, სხენებული კანონები ორნაირ სამსახურს უწევდა გაბატონებულ კლასს. ერთი, რომ თავიდან ააცილებდა ამას მონათა უკმაყოფილების შემდეგომ გაღვივებას, მეორე ვოიკევისებისა და მონების ექსპლოატირებული მასა არ განიცდიდა რაოდენობრივ ცვლილებას. მათ ეძლეოდათ ტაძარში თავშესაფარის უფლება, რითაც მოხერხებულად ეჭრებოდათ სხვა სახელმწიფოში გადასვლის გზა.

ზოგი ისტორიკოსი ფიქრობს, რომ ასილიუსის ინსტიტუტის ამგვარი განვითარება არის კრეტის პოლისების საერთო ეკონომიკური ჩამორჩენის შედეგი. ვოიკევისს და მონას ეძლეოდათ იმის საშუალება, რომ მოსცილებოდნენ საძულველ პატრონს თუ საოჯახო თემს, რომელსაც ისინი ექვემდებარებოდნენ. საოჯახო თემის დამოუკიდებელი წევრი ვოიკევისი გაქცევის შემდეგ გადაიქცეოდა ნაყიდ მონად და მიუხედავად ამ თვისობრივი ცვლილებისა, გორტინის მონათმფლობელური საზოგადოება, საბოლოო ჯამში, არ განიცდიდა არაერთარ ზარალს, აღნიშნავს ლ. იოსელიანი.

როგორც ჩანს, ძვ. წ. VI-V საუკუნეების გორტინაში თავშესაფრის ინსტიტუტი იმდენად ყოფილა გავრცელებული, რომ ეს პრივილეგია თუ ყველა ტაძარს არა, ტაძართა უმრავლესობას მაინც უნდა ჰქონოდა. ვფიქრობთ, რომ ასილიუსის ინსტიტუტის

ამგვარი განვითარება იმდენად კრეტის პოლისების საერთო ეკონომიკური ჩამორჩენის შედეგი კი არ იყო, რამდენადაც მათი კანონმდებლობის უნარისა, სწორად გამოეხატა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული განვითარების პროგრესული, რეალური ტენდენციები და უკიდურესობანი თავიდან აეცილებინა. რის შედეგადაც მწვევე კლასობრივი ბრძოლის პერსპექტივის თავიდან აცილებას ცდილობდნენ.

ორიოდე სიტყვით შევჩერდეთ კრეტის პოლისების სახელმწიფო წყობილებაზე. კრეტის პოლისებს არა ცალკე პიროვნებანი, არამედ კოლეგები მართავდნენ. ძვ. წ. VI-V საუკუნეებში კუნძულ კრეტაზე უნდა ყოფილიყო დაახლოებით 46 ქალაქი. ამ ქალაქების მმართველ თანამდებობის პირთა კოლეგიას კოსმოსია ან კოსმების კოლეგია ერქვა. კოსმისთა კოლეგია ათი წევრისაგან შედგებოდა. ხსენებულ კოლეგიას სათავეში ედგა ერთ-ერთი ყველაზე საპატიო წევრთაგანი კოსმოს-ეპონომი. კოლეგიას ირჩევდნენ ერთი წლის ვადით. გორტინის კანონებიდან ირკვევა, რომ კოსმოსებს, ე. ი. უმაღლეს სახელმწიფო მოხელეებს, არ ჰქონდათ უფლება მიეღოთ მონაწილეობა სასამართლო პროცესში, სანამ არ გადადგებოდნენ სამსახურიდან.

კოსმოსთა კოლეგიაში ერთდროულად ყველა ფილე არ იყო წარმოდგენილი. ფილეები რიგ-რიგობით იყვნენ წარმოდგენილი კოსმოსთა კოლეგიაში. კოლეგია განაგებდა სამხედრო საქმეს. კოსმოსთა კოლეგიის ქვემდებარეობაში იყო უცხოელთა შორის წარმოშობილი დაეის მოწესრიგება, აგრეთვე უცხოელთა და მოქალაქეთა შორის შესაძლო დავების მოგვარება. კოსმოსთა კოლეგიას უნდა განეხილა მემკვიდრე ქალიშვილების უკანონოდ გათხოვების საქმეც.

არის ცნობები, რომ კოსმოსთა კოლეგიასთან ერთად ფუნქციონირებდა უხუცესთა საბჭოც და სახალხო კრებაც, მაგრამ სახალხო კრების როლი მეორეხარისხოვანი უნდა ყოფილიყო. უხუცესთა საბჭოში შედიოდა 28 თუ 30 კაცი, ყოფილი კოსმოსთა კოლეგიის წევრები. ისინი სამუდამოდ, ე. ი. მთელი სიცოცხლის მანძილზე იხდნენ საბჭოში და დემოს თითქოს თავისი შეხედულებით განაგებდნენ, როგორც გვაროვნული დიდკაცობის ლიდერები, გადააყენებდნენ რა მთავრობას, იწვევდნენ აკოსმიას (ანარქია).

ძველი კრეტის სახელმწიფო წესწყობილებას არისტოტელე

უარყოფითად აფასებდა (პოლიტიკა II, 7) და ასკენიდა, რომ კრეტის წყობილებას სახელმწიფო წყობილებასთან მხოლოდ ზოგიერთი მსგავსება თუ აქვსო.

დასასრულ, შეიძლება კვლავ შევჩერდეთ ძველი ბერძნული სამართლის ზოგიერთ ძირითად თვისებაზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, ყოფილ საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ძველი ბერძნული სამართლის შესწავლას ოფიციალურ, სახელმწიფოებრივ დონეზე დიდი მხარდაჭერა არ ჰქონია. მხოლოდ ცალკეული მკვლევარები ახერხებდნენ ძველი ბერძნული სამართლის ისტორიის საკითხებზე სერიოზულ მუშაობას, ქართველი მკვლევარებიდან, პირველ ყოვლისა, აღნიშვნის ღირსია აღ. წერეთლის, გ. ნათაძისა და განსაკუთრებით ლ. იოსელიანის დეაწლი. მოსკოვში ძველი თაობის იურისტი მკვლევარებიდან ბერძნული სამართლის ისტორიის საკითხებზე ნაყოფიერად მოღვაწეობდა პროფ. ს. თ. კეჩეკიანი.

ძველი ბერძნული სამართლის უძველესი და უპირველესი წყარო, ცხადია, ჩვეულებითი სჯული იყო, ე. ი. ხალხის ცხოვრების წიაღში შემუშავებული წესები ანუ წეს-ჩვეულებები. წინარე-სახელმწიფოებრივ და წინარესამართლებრივ დონეზე შემუშავებულ წეს-ჩვეულებებს არეოპაგი თავის ახსნა-განმარტებების მეშვეობით უსადაგებდა უკვე ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ან უკვე ჩამოყალიბებული კლასობრივი საზოგადოების მოთხოვნებს.

ძველი საბერძნეთისათვის პირველი დაწერილი კანონი უნდა ყოფილიყო ძვ. წ. 621 წელს არქონტ დრაკონის მიერ გამოცემული კანონები. ცხადია, იგი კაზუსების ჩანაწერს წარმოადგენდა. იმ ვითარებაში და იმ დროს, როცა დრაკონის კანონები იწერებოდა, თვით წერილობითი სამართლის ძეგლის შექმნაც კი პროგრესულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. მაშინდელი საბერძნეთის ყველა სოციალურ-პოლიტიკური მოწინავე ფენა წერილობითი კანონების მომხრე იყო და ისინი დაწერილ სამართლის წიგნში ხედავდნენ თვითნებობის აღკვეთის საშუალებას. სასამართლო უნდა გამოეგლიჯათ ევპატრიდებისა და, საერთოდ, მდიდრების, ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაძლიერებული ფენების ხელიდან.

ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისში ათენში სოლონის კანონები დაწერილი ყოფილა ე.წ. კვირბებზე, 16 მბრუნავ “სჯულის ფიცარზე”. სპეციალურად გასუფთავებულ-გათეთრებულ ფიცარებზე დაწერილმა ამ კანონებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

უკვე ძვ. წ. VI საუკუნეში ათენი და მისი მიდამოები სოციალურ-ეკონომიკურად მაღალ დონეზე იდგა. კერძო საკუთრება გამარჯვებას ზეიმობდა. თვით სოლონის რეფორმებმაც ხელი შეუწყო კერძო საკუთრების აღზევება-ამაღლებას.

ძვ. წ. V- VI საუკუნეების ათენში უკვე დაწერილი კანონები წარმოადგენენ სამართლის უმთავრეს წყაროს.

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, ათენის სამართალში თავისი დროისათვის ყველაზე მაღალგანვითარებული, კერძო საკუთრებაზე დამყარებული საზოგადოება აისახა, კერძო საკუთრებას მაინც ეტყობოდა მისი კოლექტიური, სათემო საკუთრებიდან წარმოშობის ნაკვაღევი. ათენელთა სამართალში არ არსებობდა ტერმინი, რომელიც გამოხატავდა კერძო საკუთრების უფლებას. "ოუსიას" (ოუსია) ცნება მხოლოდ ქონებას გულისხმობდა. ოუსია იყო იმ ნივთების და სხვა სიკეთეთა ერთობლიობა, რომელსაც ფლობდა მესაკუთრე, მაგრამ ის არ გამოხატავდა კერძო საკუთრების უფლებას. ერთი მკვლევარის მართებული შენიშვნით ძველ საბერძნეთში კერძო საკუთრება განიხილებოდა, როგორც პიროვნებისათვის სახელმწიფოს მიერ ნაბოძები ქონება. ამის გამოხატულება იყო ალბათ ის გარემოებაც, რომ ყოველწლიურად, როდესაც არქონტი თანამდებობაზე მტკიცდებოდა, პირობას იძლეოდა, რომ ყველა მოქალაქეს შეუნარჩუნებდა იმ ქონებას, რაც ეკუთვნოდათ.

ძველ საბერძნეთში საკუთრების უფლებას იცავდნენ რამდენიმე სარჩელით. პირველ ინსტანციაში წარადგენდნენ სარჩელს მიწის ნაკვეთიდან და სახლიდან შემოსავლის შესახებ და ამ შემოსავალს ითხოვდნენ მიწის ან სახლის მფლობელისაგან. მეორე საფეხურზე წარადგენდნენ სარჩელს საკუთრების შესახებ - "დიკე ოუსიას" (დიკე ოუსია). აქ კი მესაკუთრე ვდილობდა თავისი უფლების დამტკიცებას სადავო ქონებაზე, იმ ტიტულის ნათელიყოფას, რომელზეც იყო დამყარებული მისი მოთხოვნილება.

ბერძნული სამართლის ისტორიის სპეციალისტებს საბოლოოდ გარკვეული არა აქვთ საკითხი: იყო თუ არა აუცილებელი, რომ მესაკუთრეს თავისი სარჩელი შემოსავლის საკითხით დაეწყო და მხოლოდ ამის შემდეგ გადასულიყო ნივთის შესახებ უფლებაზე. უფრო საგულვებელია, რომ აუცილებელი იყო ორსაფეხურიანი სარჩელი, ბერძნულმა სამართალმა გაიარა განვითარების რთული და წინააღმდეგობრივი გზა და ეს გარემოება აისახა სასამართლო პროცესში.

ადრეფეოდალური მონარქია ფრანკებში. სალიკური სამართალი

დასავლეთ ევროპაში ადრინდელი ფეოდალური მონარქიის ხანად ითვლება მეხუთე-მეათე საუკუნეები. დაახლოებით ამ ხანებშია შედგენილი გერმანული წარმოშობის ბარბაროსული ტომების სამართლის წიგნები, რომლებშიც ასახულია ადრე-ფეოდალური ანუ ადრეული საშუალო საუკუნეების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების რეა-ლიები.

არსებობს გამოთქმა “ბარბაროსული სამართლის წიგნები”. ტერმინი ბარბაროსობა მეთვრამეტე საუკუნეში ფილოსოფოს ა. ფერგიუსონის მიერ იქნა შემოთავაზებული. შემდგომ მეცნიერთა ნაწილი მთელი კაცობრიობის ისტორიას სამ დიდ პერიოდად ჰყოფდა: ველურობად, ბარბაროსობად და ცივილიზაციად. ამდენად, “ბარბაროსობა” პირობითი ტერმინია. ღუის მორგანის მიხედვით ბარბაროსობა იწყება მეთუნეობის გამოგონების ხანიდან და მთავრდება დამწერლობის გაჩენით. ბარბაროსები ცხოვრობდნენ მწარმოებლური მეურნეობის პირობებში: ჰყავდათ მოშინაურებული ცხოველები და ფრინველები, იცნობდნენ კულტურულ მცენარეულობასაც და ამზადებდნენ ლითონის იარაღებსაც. ცხადია, კაცობრიობის ისტორია მორგანისეულ სქემაში ვერ თავსდება, მაგრამ გამოთქმას “ბარბაროსული სამართლის წიგნები” მაინც აქვს არსებობის უფლება.

ბარბაროსული სამართლის წიგნებში აისახა შუა საუკუნეების ევროპის ყოფა-ცხოვრება. ხსენებულ საკანონმდებლო ძეგლებში, როგორც სარკეში, კარგად ჩანს “ბარბაროსი ხალხების” ძირითადად თვითმყოფადი კულტურა, რომელზეც გარკვეული გავლენა მოუხდენია რომაელთა ცივილიზაციას. ბარბაროსული სამართლის წიგნთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ე. წ. “სალიკური სამართალი”, შედგენილი VI საუკუნის დასაწყისში. გარდა ამისა უნდა მოვისხენიოთ ბურგუნდთა სამართალი (“ლეგეს ბურგუნდორუმ”) შედგენილი დაახლოებით 516 წელს, ვესტგუთების სამართალი (672 წ.), ალემანთა სამართალი, შედგენილი უნდა იყოს მეექვსე საუკუნის ბოლოს. ღანგობარდების სამართალი მკვლევართა აზრით მეშვიდე საუკუნის ორმოციან წლებში უნდა იყოს დაწერილი. რაც შეეხება საქსების სამართალს, ის შედგენილი უნდა იყოს VIII – IX საუკუნეების მიჯნაზე. ფრიზთა

სამართალი და თიურინგთა სამართალი განეკუთვნება მეცხრე საუკუნის დასაწყისს.

სამართლებრივი ძეგლების ასეთი მოძალება, მათი შემქმნელი საზოგადოებების განვითარების უნარიანობასა და სიცოცხლის-უნარიანობაზე მიგვიჩვენებს. ადრეფეოდალური მონარქიის ხანა დასავლეთ ევროპაში შეცვალა ფეოდალური დაქუცმაცებულობის ხანამ (XI-XV საუკუნეები). ფეოდალური საზოგადოების დაშლისა და კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების პერიოდად ითვლება მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეები. ეს ზოგადად, თორემ ცალკეული ევროპული ქვეყნების ისტორია ყოველთვის არ ეტყვა ამ ქრონოლოგიურ სქემაში.

ყოველ პერიოდს შეესაბამება სათანადო სახელმწიფო-ებრიობა, სათანადო პოლიტიკური ფორმა. მაგალითად, მეხუთე-მეათე საუკუნეების დასავლეთ ევროპაში წარმოიშვა ან განვითარდა ადრინდელი ფეოდალური მონარქია, ხოლო მეთერთმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეებში – წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია. გვიანფეოდალური ხანის დამახასიათებელ პოლიტიკურ ფორმად ითვლება აბსოლუტური მონარქია.

იყო დრო, როდესაც ფეოდალიზმს, როგორც საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის გარკვეულ სახეობას, მხოლოდ დასავლეთ ევროპისათვის თვლიდნენ დამახასიათებელ მოვლენად და მის არსებობას უარყოფდნენ აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში. ისეთი ცნობილი ისტორიკოსები, როგორებიც იყვნენ მ. ფ. ვლადიმიროსკი-ბუდანოვი, ს. სოლოვიოვი, ვ. ო. კლიუჩევსკი და ზოგიც სხვა, უარყოფდა რუსეთში ფეოდალიზმის არსებობას. მაგრამ თანდათანობით, ახალ-ახალი მასალების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსვლისა და გააზრების შემდეგ ეს მოსაზრება უარყოფილ იქნა. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით ფეოდალიზმის ცნებაც კი საბოლოოდ არ არის ყოველმხრივ გააზრებული. ისტორიკოსების ნაწილს ფეოდალიზმი დღესაც ესმის, როგორც გარკვეული იურიდიული და პოლიტიკური ნიშნების ერთობლიობა, ხოლო სხვებს კი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობა და ა.შ.

სადავო იყო მეცნიერებაში თვით დასავლეთ-ევროპული ფეოდალიზმის წარმოშობის ფაქტორებიც. მეცნიერთა ნაწილს ფეოდალიზმის წარმოშობა ევროპაში გერმანელების წყალობად, ძველი გერმანელების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური

წესწყობილების ლოგიკურ-ისტორიულ შედეგად მიაჩნდა, გერმანელი ხალხის სულს, მათი ინდივიდუალიზმის და კორპორაციული წყობის პროდუქტად ჰქონდათ წარმოდგენილი (სავინი, გირკე, ბულენვიე, მონტესკიე და ა.შ.).

ისტორიკოსების მეორე წყებას, რომელთაც რომანისტების სახელი დაუმკვიდრდათ, ფეოდალიზმი მიაჩნდათ რომის იმპერიის უკანასკნელი საუკუნეების წესწყობილების ე.წ. ბარბაროსულ ხალხებზე რთული ზემოქმედების შედეგად წარმოშობილად (პოჯი, დიუბო, შამპონიერი, ფიუსტელ დე კელანჟი და სხვა).

ევროპელ მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ფეოდალიზმი თვისობრივად დიდად არც კი განსხვავდებოდა მონათმფლობელური საზოგადოებისაგან. ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დოკში და ფიუსტელ დე კულანჟი თუ არ უარყოფდნენ, საგრძნობლად ამცირებდნენ ძველ გერმანელებში სათემო საკუთრების არსებობის მნიშვნელობას. დასავლეთ ევროპის რიგი ქვეყნების ეკონომიკაში დოკში კაპიტალიზმის ყლორტებს, კაპიტალიზმის ნიშნებს ამჩნევს. ამასთან ერთად, ხსენებული ავტორი ფეოდალურ ურთიერთობაში ხედავს სხვადასხვა სოციალური ფენების ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას და ურთიერთდახმარებასაც კი. არსებობს, რა თქმა უნდა, ფეოდალიზმის წარმოშობის რომანიზებული და გერმანიზებული თეორიების მორიგების ცდებიც. ამ მიმართულების ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელია ლუდვიგ მიტტაისი, ბერძნულ-რომაული სამართლის გამოჩენილი მკვლევარი. ის ფიქრობდა, რომ ფეოდალიზმი ხალხის შემოქმედებაა და ფეოდალური სახელმწიფო იყო ხალხური მოვლენა, ხალხური პოლიტიკური ორგანიზაცია და მიზნადაც ხალხზე ზრუნვას, ხალხის პოლიტიკური იდეების განხორციელებას ისახავდა.

იმის ნათლად გასაგებად, თუ რას წარმოადგენდა ადრე-ფეოდალური მონარქია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და განსაკუთრებით კი ფრანკებში, ჩვენ უნდა მივმართოთ ე. წ. "სალიკურ სამართალს".

ახ. წ. მეხუთე საუკუნიდან დაწყებული, ვიდრე მეცხრე საუკუნემდე გერმანულ "ბარბაროსულ" ტომებში – ფრანკებში, ოსტგოთებში, ვესტგოთებში და სხვებში ვითარდება ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობები და, ამასთან ერთად, მკვიდრდება კლასობრივი საზოგადოებაც და სათანადო პოლიტიკური სტრუქტურებიც. ცხადია, რომ თითოეულ ამ ხალხში ფეოდალური

საზოგადოება თავის განსაკუთრებულ ელფერსაც კი იღებდა. ფეოდალიზმი ვესტგოთებში რალაცით განსხვავდებოდა ფეოდალიზმისაგან ფრანკებში და ა.შ., მაგრამ მათ შორის ბევრი რამ იყო საერთოც.

სახელმწიფო ფრანკებში წარმოიშვა პირველყოფილი-თემური წყობილების რღვევისა და მის წიაღში ფეოდალური წყობილების ჩასახვა-განვითარების პროცესში. ცხადია, ფრანკებში სოციალური პროგრესის ხელშემწყობ ფაქტორებს შორის უნდა მოვიხსენიოთ რომის განვითარებული სახელმწიფოებრიობიდან მომდინარე იმპულსებიც. ჯერ კიდევ ახ. წ. მეოთხე საუკუნეში რომის იმპერიის პროვინცია გალიაში გამოჩნდა ძლიერი სამხედრო ორგანიზაციის მქონე მებრძოლი ხალხი – ფრანკები. თავდაპირველად ფრანკები, როგორც ვიცით, მდინარე რაინის (რეინის) აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ. ისტორიკოსი ტაციტუსი ფრანკების წინაპრებს სხვადასხვა სახელწოდებით იხსენიებს. სახელწოდება “ფრანკი” მხოლოდ მესამე საუკუნის შუა წლებში გაჩნდა და აღნიშნავდა ქვემო და შუა რაინის სანაპიროზე მცხოვრებ სხვადასხვა ტომების კრებას და ფიქრობენ, რომ “ფრანკი” ნიშნავდა მამაცს და თავისუფალს.

რომის სახელმწიფომ სცადა მამაცი ფრანკების თავის სამხედრო სამსახურში ჩაყენება. ისინი მშვენიერ საჯარისკაცო მასალას წარმოადგენდნენ, თანდათან ფრანკები სახლდებოდნენ გალიაში, როგორც რომის იმპერიის ფედერატები. რომის სახელმწიფოს სამსახურში მყოფი მეომარი ფრანკები თავიანთი სამსახურის გასამრჯელოდ ღებულობდნენ სახნავ-სათესსა და საკარმიდამო მიწებს, აგრეთვე საძოვრებს. ფრანკებს უნდა დაეცვათ რომის იმპერიის საზღვრები და ამგვარად ხელი შეეწყოთ რომის იმპერიის განმტკიცებისათვის.

451 წელს კატალაუნის ბრძოლაში ფრანკები, როგორც ფედერატები, რომაელების მხარეზე იბრძოდნენ ჰუნების წინააღმდეგ.

უკვე მეხუთე საუკუნეში ფრანკების ორი დიდი დაჯგუფება არსებობდა: ზღვისპირა ფრანკებისა, რომლებიც მდ. რაინის (რეინის) ქვემო დინების მიდამოებში ცხოვრობდნენ და ფრანკებისა, რომლებიც მდ. რაინის შუა დინებაზე, მის ორივე ნაპირზე ცხოვრობდნენ. პირველებს “სალიელი” ფრანკები წარმოადგენდნენ, ხოლო მეორეს – რიპუარები. სალიელი ფრანკები თვით ფრანკებს შორის უფრო ძლიერებად და კარგად ორგანიზებულად ითვლე-

ბოდნენ. ცხადია, რომაელებს სურდათ ისინი თავისი სახელმწიფოს ინტერესებისათვის გამოეყენებინათ. მაგრამ “ისტორიის ღმერთის” გადაწყვეტილებით რომის იმპერიას დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა. ის დაეცა მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში და ფრანკებმაც იმპერიის ტერიტორიაზე თავისი სახელმწიფო შექმნეს.

სალიელი ფრანკების მეფე ხლოდვიგმა (481-511) თავის სამფლობელოდ აქცია მდინარეების სენისა და ლუარის დაბლობები და საბოლოოდ თავისი ხელისუფლების ქვეშ გააერთიანა ყველა ფრანკული წარმოშობის ტომი. ხლოდვიგმა შეძლო ბურგუნდთა ძლიერი ტომის დამორჩილებაც. თანდათანობით ფრანკთა გაძლიერებულმა სახელმწიფომ თავის ქვეშევრდომებად აქცია ბავარიელები, ტიურინგები, საქსები და ა.შ.

ფრანკთა სახელმწიფომ, სანამ ის ჩამოყალიბდებოდა როგორც დასრულებული პოლიტიკური სტრუქტურა, განვითარების საკმაოდ გრძელი გზა განვლო. ფრანკებისათვის უცხო იყო მონათმფლობელურ-სახელმწიფოებრივი და რაციონალური სტრუქტურები, თუმცა მონობა, როგორც ბატონობა-მორჩილების პირველი ფორმა, მათთვის ასე თუ ისე ცნობილი იყო. მაგრამ აქ მონობას არ უთამაშია რაიმე მნიშვნელოვანი როლი.

თავდაპირველად ფრანკებში სახელმწიფოებრიობა სუსტად იყო განვითარებული. პროფ. ი. დოლიძეს, რომელმაც 1950 წელს გამოაქვეყნა წიგნი “ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები”, მართებულად აქვს აღნიშნული, რომ ფრანკებში ახლად აღმოცენებულ სახელმწიფოს, რომელიც წარმოიშვა გვაროვნული წყობილების წარმოშობის შედეგად, ჯერ კიდევ არ გააჩნდა განვითარებული ბიუროკრატიული აპარატი და რომ ძველ გერმანიაში გვაროვნული წესწყობილება შეუმჩნეველად გადავიდა ტერიტორიულ წესწყობილებაში და შეინარჩუნა უნარი სახელმწიფოს შეგუებოდა. “გვაროვნული წესწყობილების ორგანოები სახელმწიფო წყობილების ორგანოებად უნდა გადაქცეულიყო. “რომის იმპერიის დაპყრობილი ტერიტორიების შენარჩუნება ხელისუფლების გაძლიერებას მოითხოვდა, დამპყრობელი ტომების მხედართმთავარი მალე მეფედ უნდა გამხდარიყო”. როგორც ერთი გერმანელი ისტორიკოსი წერდა, დაჰკრა ჟამმა და ეს ცვლილებაც მოხდა.

ფრანკების მეფე, რომელიც თავდაპირველად თავისუფალ მეომართა ლაშქრის უბრალო მთავარსარდალი იყო, თანდათან

ნამდვილ მონარქად და სახელმწიფოს მეთაურად იქცა. ფრანკების მეფემ თავისი მეომრების მეშვეობით დაპყრობილი რომის იმპერიის მდიდარი მიწები თავის ერთგულ მეომრებს და ამაღლის წევრებს გაუნაწილა. მართალია არიან ის ისტორიკოსები, რომელნიც აღნიშნავენ, რომ ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო ძველი გვაროვნული წესწყობილების საშუალებით მართვა-გამგეობა.

ძველმა გვაროვნულმა უხუცესთა საბჭომ და სახალხო კრებამ დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა. სამაგიეროდ გაძლიერდა მეფისა და სამეფო საბჭოს მნიშვნელობა.

ფრანკების სახელმწიფოს ისტორიის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს ახ. წ. მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში მცხოვრები ისტორიკოსის გრიგოლ ტურელის თხზულებას – “ფრანკების ისტორია”.

ქრისტიანობის როგორც რელიგიის აღიარება, რომელიც მწიგნობრობის განვითარებას და რომანიზაციას უკავშირდება, დიდი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი იყო. “მაგრამ ფრანკების ქრისტიანიზაციას ჰქონდა სხვა, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა. მაშინ, როდესაც ბარბაროსების უმრავლესობა (ოსტგოთები, ვესტგოთები, ვანდალები, ბურგუნდები, ლანგობარდები), ჩვეულებრივ, ქრისტიანობას იღებდნენ ე.წ. არიანელობის ფორმით, რომელიც კათოლიკურ ეკლესიასთან ურთიერთობაში სექტად ითვლებოდა, ფრანკებმა თავიდანვე ქრისტიანობა მიიღეს გაღურრომაული სამღვდელთაგან”. რასაც, როგორც მართებულად აღნიშნავენ ევროპული ფეოდალიზმის ისტორიკოსები, ფრანკების სამეფოს შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.¹

ამით ხლოდვიგს და მის მომხრეებს ძლიერი და კარგად ორგანიზებული კათოლიკური ეკლესიის მხარდაჭერა უზრუნველყოფილი ჰქონდათ.

არიანელობა იყო მიმდინარეობა IV-VI საუკუნეების ქრისტიანულ ეკლესიაში. მას საფუძველი ჩაუყარა ალექსანდრიელმა სასულიერო პირმა არიოზმა დაახლოებით 318 წელს. არიანელობის მიხედვით ქრისტეში, რომელიც ერთსა და იმავე დროს ღმერთიც არის და ადამიანიც, ჭარბობს ადამიანური მხარე.

¹ ე. სემიონოვი. შუა საუკუნეების ისტორია, 1975, მოსკოვი (რუს. ენაზე). გვ. 36.

იგი ასე თუ ისე ნახევარ ღმერთად ჰყავდათ წარმოდგენილი არიანელებს. იმ გერმანელმა ტომებმა, რომელთაც ქრისტიანობა მიიღეს აღმოსავლეთიდან (ვანდალები, გუთები, ლანგობარდები) არიანელობის ნაშთები დიდხანს შეინარჩუნეს. ლანგობარდებმა არიანელობა VII საუკუნემდე მოიტანეს.¹

მეფე ხლოდიგმა თანდათან მოსპო სხვა ფრანკი მეფეები და გახდა თვითმპყრობელი ხელმწიფე. ფრანკთა მეფეს შეეძლო კანონების გამოცემა, უმაღლესი მართლმსაჯულების როლში გამოსვლა, შეიარაღებული ძალების სარდლობა, ომის გამოცხადება და დაზავება.

სახელმწიფოს მთელი ადგილ-მამული, მიწების მთელი მასივები მეფის ხელში იყო. მონარქი კი ამ ადგილ-მამულებს მეფისა და სახელმწიფოს სამსახურის სანაცვლოდ გაცემდა თავის მსახურებზე და ახლობლებზე. მიწა-აღაგების ასეთმა განკარგვამ ბენეფიციუმების გაცემის სახელი დაიმკვიდრა. ლათინური “ბენეფიციუმ” ნიშნავდა ნაწყალობევს, ნაბოძვარს.

ბენეფიციუმების სახით ადგილ-მამულების გაცემამ ხელი შეუწყო მსხვილი მიწათმფლობელობისა და მასთან დაკავშირებული იმუნიტეტის, შეუვალობის ინსტიტუტის განვითარებას.

მეროვინგების ეპოქაში მეფეს ჯერ კიდევ არ გააჩნდა მუდმივი რეზიდენცია, მაგრამ თანდათანობით ვითარება იცვლებოდა. წარმოიშვა სამეფო კარი – პალაციუმი, რომელიც წარმოადგენდა მეფის სათათბირო საბჭოს. მასში შედიოდნენ სამეფო კარის უმაღლესი თანამდებობის პირები – კერცოგები, ეპისკოპოსები და ა.შ. მეროვინგების დინასტიის უკანასკნელ მეფეებს, რომელთაც თავიანთი ადგილ-მამულები დაურიგეს წარჩინებულებს და კარისკაცებს, უკვე ფაქტობრივად გააჩნდათ დიდი ძალუფლება. ისინი თითქმის არც მართავდნენ სახელმწიფოს, ამიტომაც ხალხმა მათ “ზარმაცი მეფეები” უწოდა.

ამ ხანებში სამეფო კარზე დიდი მნიშვნელობა შეიძინა “მაიოროდომუს”-ის თანამდებობამ. მაიოროდომუსი ნიშნავდა სასახლის უფროსს. მათ ექვემდებარებოდნენ, როგორც ეს წყაროებიდან ჩანს, ყველა ადგილობრივი მმართველი და მოხელე VI საუკუნიდან VIII საუკუნემდე იზრდებოდა მაიოროდომუსების

¹ ს. ყაუხჩიშვილი. ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან. წიგნი I, 1948.

როლი და მნიშვნელობა ფრანკთა სახელმწიფოში, რასაც მოჰყვა არისტოკრატიის გაბატონება სამეფო ხელისუფლებაზე.

VII საუკუნის პირველ ნახევარში გალიაში გამოჩნდნენ არაბი დამპყრობლები. ფრანკების არმიის ძირითად მასას მაშინ ქვეითები შეადგენდნენ. ომის დროს ცხადი გახდა, რომ ცხენოსან მეომრებს დამპყრობლების მოგერიება-დამარცხების მათთვის უფრო ეფექტური წინააღმდეგობის გაწევის უნარი გააჩნდათ, ვიდრე ქვეითებს. სამეფო ხელისუფლება იძულებული გახდა შეექმნა ცხენოსანი მეომრების სამხედრო შენაერთები. მაშინდელი პირობების შესაბამისად მხედარს ევალებოდა საომარი საჭურველი-იარაღების, ცხენის, აგრეთვე სარჩო-საბადებლის შექმნა. ამ მიზნის მისაღწევად კარლოს მარტელლი საეკლესიო და სამონასტრო მიწების ნაწილს გადასცემს ფრანკ წარჩინებულებს, რომელთაც ეს ადგილ-მამულები მხედრული სამსახურის პირობით მიეცათ. ფორმალურად ამ მიწებზე საკუთრების უფლებას ეკლესია ინარჩუნებდა, მაგრამ ფაქტობრივად ისინი სახელმწიფოს ხელში იყვნენ და სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურებოდნენ. ამ გზით შექმნილმა ცხენოსანთა არმიამ 732 წელს პუატიესთან მოიგერია არაბი დამპყრობლები. პუატიესთან გამარჯვებამ გააძლიერა კ. მარტელლის ძალაუფლება. 751 წელს კარლოს მარტელლის ვაჟიშვილმა პიპინ მოკლემ სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა და თავი მეფედ გამოაცხადა.

V-VIII საუკუნეებში ფრანკების სახელმწიფოსა და საზოგადოებაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ვითარების შესასწავლად დიდი მნიშვნელობა ეძლევა იურიდიულ ძეგლებს. მეფე ხლოდვიგის მეფობის ბოლო პერიოდში, დაახლოებით 500 წელს ჩაწერეს სასამართლო იურიდიული ჩვეულებები. შემდგომში ამ კრებულს “სალიკური სამართალი” ეწოდა. ლათინურად “ლექს სალიკა”.

სანამ სალიკური სამართლის ნორმებზე შეეჩერდებოდეთ დეტალურად, საჭიროა ვიცოდეთ, რომ, როდესაც გერმანელმა ტომებმა დაიპყრეს გალია, მათ დაამკვიდრეს სამართლის ნორმების გამოყენება-შეფარდების პიროვნული პრინციპი, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ გერმანელები დაპყრობილ ქვეყნებში თავისი საკუთარი ტომის ჩვეულებების და სამართლის ნორმების მიხედვით ცხოვრობდნენ, ხოლო დაპყრობილი ხალხების მიმართ მოქმედებდა რომის სამართალი.

“სალიკური სამართლის” თავდაპირველი ტექსტი ლათინურად

ნურადაა დაწერილი. მოგვიანებით ის გერმანულ ენაზე ითარგმნა.

“სალიკური სამართალი” მნიშვნელოვანი მოვლენაა სამართლის მსოფლიო ისტორიაში. ჯერ ერთი, ისაა აღსანიშნავი, რომ ის ლათინურ ენაზე იყო შედგენილი. მაშასადამე, მისი შემდგენლები, სავსებით შესაძლებელია, იცნობდნენ რომის სამართლის ნორმებს, რომაელი იურისტების ნაშრომებს. ამავე დროს, ის საკმაოდ ვრცელი სამართლის წიგნია, რაც ასე იშვიათი იყო არა რომაული კულტურის ხალხებისათვის. სალიკური სამართალი ბეჭდური სახით ასიოდე გვერდს შეიცავს და ის გაცილებით უფრო ვრცელი ძეგლია, ვიდრე, ვთქვათ, ივანე მესამის სამართლის წიგნი, რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს პირველი კოდექსი, შედგენილი 1497 წელს.

“სალიკური სამართლის” ძირითადი ტექსტი შედგება 65 ტიტულისაგან ანუ თავისაგან, ხოლო თითოეული ტიტული, თავის მხრივ, რამდენიმე მუხლისაგან.

გავისხსენოთ, რომ ბარბაროსული სახელმწიფოების არსებობის პირველ საუკუნეებშივე გალურ-რომაულ მოსახლეობაში საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად მეფეები გამოსცემდნენ სამართლის წიგნებს, რომლებიც რომაული სამართლის გარკვეულ კომპილაციას წარმოადგენს. ისინი ძირითადად რომაელი იურისტების თხზულებათა ფრაგმენტებისაგან, რომელ იმპერატორთა მიერ გამოცემული დადგენილებებისა და კანონებისაგან შედგებოდა. ვესტგოთებისა და ბურგუნდების მიერ დაპყრობილი ტერიტორიები ფრანკების სახელმწიფოს შემადგენლობაში ექცევა. ფრანკთა სახელმწიფოში მათი გაერთიანების შემდეგ მოქმედებას განაგრძობდა რომაული სამართლის ის კომპილაციები, რომლებიც მათთან ადრეც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. გალებსა და რომაელებში რომაული სამართლის ნორმებით წყდებოდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის დავები. ხოლო ეკლესია თავის ცხოვრებაში რომის სამართლის ნორმებით ხელმძღვანელობდა. როდესაც გალები და რომაელები დავობდნენ, მოსამართლეები ფრანკული სამართლის ნორმებით ხელმძღვანელობდნენ. იგივე პრინციპები მოქმედებდა სისხლის სამართლის სფეროშიც. თუ დაზარალებული ან ბრალდებული იყო გალი ან რომაელი და ერთ-ერთ მხარედ ფრანკიც გამოდიოდა, საქმე ფრანკული სამართლის ნორმების მიხედვით უნდა განხილულიყო.

ასეთ ვითარებაში გერმანელების წინაშე დადგა საკუთარი

სამართლებრივი ჩვეულებების ჩაწერისა და სისტემაში მოყვანის საკითხი. ამ მიმართულებით ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია ადრეფეოდალური ხანიდან, არის სალიკური სამართალი.

სალიკური სამართალი გარკვეულ სისტემას მოკლებულია. ის კაზუისტურ ხასიათს ატარებს და შემთხვევიდან შემთხვევამდე ჩანს ჩაწერილი. მისი პირველი ტიტული ეხება სასამართლო პროცესს, სასამართლოში დაბარებული პირის უფლება-მოვალეობებს. სამართლის წიგნის მეორე ტიტული ეხება ღორის მოპარვას და შედგება 16 მუხლისაგან. მესამე ტიტული აწესრიგებდა რქოსანი პირუტყვის მოპარვასთან დაკავშირებულ საკითხებს. “სალიკური სამართლის” მეოთხე ტიტულში ლაპარაკია ცხვრის მოპარვის შესახებ; მეხუთე – თხის მოპარვას, მეექვსე – ძაღლის მოპარვას, მეშვიდე – ფრინველის მოპარვას, მერვე – ფუტკრის მოპარვას, მეცხრე – ყანის ან რომელიმე შემოკაგებული ადგილისათვის ზიანის მიყენებას, მეათე მონის ან ნივთების მოპარვას ეხება. სალიკური სამართლის მეთერთმეტე ტიტული ეხება თავისუფალი ადამიანის მიერ ჩადენილ ქურდობას, მეთორმეტე – მონის მიერ ჩადენილ ქურდობას, მეცამეტე – თავისუფალი ადამიანის მოტაცებას, მეოთხმეტე – თავდასხმასა და გაძარცვას, მეთხუთმეტე – მკვლევლობას, მეთექვსმეტე – ცეცხლის წაკიდებას, მეჩვიდმეტე – ჭრილობათა მიყენებას, მეთერამეტე – ცილისწამებას, მეცხრამეტე – ჯადოქრობას და ა.შ.

თუ შევადარებთ გრ. ტურელის თხზულებას და “სალიკური სამართლის” მონაცემებს ცეზარისა და ტაციტუსის ცნობებთან, დაინახავთ, რომ ძვ. წ. I – ახ. წ. IV-V საუკუნეებში გერმანული წარმოშობის ბარბაროსულმა ტომებმა საერთოდ და პირველ ყოვლისა ფრანკებმა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების გზაზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ჩანს, რომ ამ დროს ფრანკების აგროკულტურა საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. მეორე მხრივ, ამ მაღალი დონის აგროკულტურის გვერდით არსებობდა და მასთან იყო შეთანაწყობილი ექსტენსიური მესაქონლეობა და განსაკუთრებით კი მეღორეობა. ფრანკთა სახელმწიფოს ტყეებში კაცი შეხვდებოდა მოხეტიალე გაგარეულებულ შინაურ ღორებს, რომლებზეც შემდეგ მონადირე ფრანკები წარმატებით ნადირობდნენ. სალიკური სამართალი იხსენიებს მონადირე ძაღლის მოპარვას. ქურდი სისხლის

სამართლის ჯარიმის სახით იხდის 15 სოლიდს. ჩანს, რომ ზოგან გადადიოდნენ კიდევაც ინტენსიურ მეცხოველეობაზე, ღორების და მსხვილფეხა საქონლის ბაგურ კვებაზე და გამოზრდაზე. თანამოგვარეები და ნათესავეები ერთმანეთს ეხმარებოდნენ ჭირსა და ღბინში. “სისხლის” (ვერგელდის) გადახდაში მონაწილეობდნენ დამნაშავეის ნათესავეებიც. ის დამნაშავე ვინც მისთვის მისჯილ სისხლისსამართლებრივ ჯარიმას – ვერგელდს ვერ გადაიხდიდა სიღარიბის გამო, თორმეტი მოფიცრის მეშვეობით ხალხს – თემს უდასტურებდა თავის სიღატაკეს, შემდეგ მოიწვევდა თავის ახლო ნათესავეებს დედის და მამის მხრიდან (სამ-სამს თითოეული მხრიდან), შეასრულებდა მხრებიდან ერთ მუჭა მიწის გადასროლის სამარცხეინო პროცედურას და ფეხშიშველი გადაახტებოდა ღობეს და ა.შ. ამის შემდეგ ნათესავეები მას შეუგროვებდნენ ვერგელდის ნახევარს, ხოლო მეორე ნახევრის გადახდიდან მას გაათავისუფლებდნენ. თანამოგვარეთა ურთიერთთავდებობის მოვალეობა ბევრს სამძიმოდ მიაჩნდა. გვარის რიგებიდან გასვლის პროცედურაც არსებობდა. ფრანკი გამოცხადდებოდა სასამართლოში და ტუნგინის (მამასახლისის) წინაშე თავზე გადაიმტვრევდა სამ ჯოხს და მის ნამტვრევებს ოთხივე მხარეზე გადააგდებდა. ამის შემდეგ ხსენებული პირი თავისუფალი იყო თანამოფიცრების მოვალეობისაგან, ის არც თანამოგვარეთა ქონების შემკვიდრედ ითვლებოდა და არც თანამოგვარეთა კუთვნილ ვერგელდში ერგებოდა წილი. მისი ქონება უმემკვიდრობის შემთხვევაში ხაზინას ერგებოდა და არა თანამოგვარეებს.

როდესაც ქვრივი ქალი ხელმეორედ გათხოვდებოდა, მისი ახალი ქმარი იხდიდა განსაკუთრებულ გამოსაღებს “რეიპუსს” რომელსაც ქალის ნათესავეები ღებულბოდნენ რიგითობის წესით შეექვსე მუხლამდე. რეიპუსის მიღების უფლება გააჩნდა ქვრივი ქალის დის ვაჟიშვილს, ამ ვაჟიშვილის უფროს ვაჟიშვილს, დედის ძმას და ა.შ.

სალიკური სამართლის მიხედვით სასამართლო ხელისუფლება გააჩნია გრაფს, რაზინბურგს, საცებარონს, ტუნგინსა და ცენტენარიუსს. V-VI საუკუნეების ფრანკთა სახელმწიფოში ადგილობრივი მმართველობის თანამდებობის პირთა შორის უმაღლესნი იყვნენ ჰერცოგები (დუკები), რაც თავდაპირველად არა სამოქალაქო, არამედ სამხედრო თანამდებობა იყო. ჰერცოგები მხედართმთავრები იყვნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი რამდენიმე საგრაფოს აერთიანებენ ერთ პროვინციაში და

პროვინციის მმართველები ხდებიან. მართალია, პერცოგები სამეფო კარზეც ეწეოდნენ სამსახურს, მაგრამ მათი თანამდებობა აქ მუდმივად არ ითვლებოდა. პერცოგებს მეფეები საჭიროების მიხედვით ნიშნავდნენ. მაგრამ ისეც ხდებოდა, რომ მთელი რიგი საგრაფოები გარკვეული უფლებებით სარგებლობდნენ თვით-მმართველობის სფეროში და უშუალოდ მეფეს ექვემდებარებოდნენ. ფრანკების სახელმწიფოში ძირითადი ტერიტორიული ერთეული საგრაფო იყო, რომლის სათავეშიც გრაფი იდგა (კომეს, გრაფი).

გრაფი ითვლებოდა მეფის თანაშემწედ ადგილზე. ის მეფეზე იყო დამოკიდებული და ინიშნებოდა მეფის მიერ. თავდაპირველად გრაფი ინიშნებოდა ერთი ან ორი წლით, მაგრამ დროთა განმავლობაში – VII-VIII საუკუნეებში ბენეფიციუმში ღუნად. სამემკვიდრეო სკუთრებად იქცა. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ გრაფის თანამდებობაც მემკვიდრეობითობისაკენ იხრება და ბოლოს ის მემკვიდრეობით ხასიათს იძენს. გრაფი იყო ადმინისტრაციული და სამხედრო მოხელე, რომელიც მართლმსაჯულების ფუნქციასაც ითავსებდა. გრაფი თავმჯდომარეობდა სასამართლო სხდომებზე. ასე, რომ გრაფის ხელისუფლება თითქმის შეუსაბამო იყო. არსებობს ცნობები იმის შესახებაც, რომ გრაფი პირადად ესწრებოდა და ხელმძღვანელობდა კიდეც დამნაშავეთა სიკვდილით დასჯას.

გრაფს თავისი მოხელეების შესანახად მნიშვნელოვანი სახსრები ჰირდებოდა. შემოსავლის გარკვეულ ნაწილს ის ღებულობდა მეფის დომენიდან. გარდა ამისა, მას ერგებოდა მის სამართავ ადმინისტრაციულ ოლქში სასამართლო განაჩენით დაწესებული ჯარიმების მესამედი, რაც, როგორც ირკვევა, შეადგენდა მისი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს.

ადგილობრივი მოხელე იყო აგრეთვე ტრიბუნიც (ტრიბუნუსი), რომელსაც საპოლიციო ფუნქციებიც გააჩნდა. მას საპრობილევზე ზედამხედველობა ევალებოდა. მასვე ჰქონდა დაკისრებული განაჩენის სისრულეში მოყვანაც, რისთვისაც მკირე რაზმიც გააჩნდა.

ცენტენარიუსის (ასისტავის) მოვალეობას შეადგენდა დამნაშავეთა ღენა, სასამართლო სხდომების მოწვევა და წესრიგის დაცვა.

სამეფო მამულებს (დომენს) განაგებდა დომესტიკი. ის ინიშნებოდა მეფის მიერ და სამეფო ინტერესებს იცავდა დომენის მართვა-გამგებლობის სფეროში.

ფრანკთა სახელმწიფოში დიდი გავლენით სარგებლობდა ეკლესია. მას გააჩნდა საეპისკოპოსო ოლქები – დიოცეზები, რომლის სათავეშიც იდგა ეპისკოპოსი. ეს უკანასკნელი დიდი გავლენით სარგებლობდა. ზოგი ისტორიკოსი მის უფლებებს გრაფებისა და ჰერცოგების უფლებებსაც კი ადარებდა. მეფეების მიერ გაცემული შეუვალობის (იმუნიტეტის) სიგელების თანახმად გრაფებს საეკლესიო მამულებში შესვლაც კი ეკრძალებოდათ.

ცხადია, სალიკურ სამართალში სათანადოდ აისახა სასამართლო წყობილება და პროცესიც. სასამართლო ხელისუფლება გააჩნდა გრაფს, რახინბურგს, საცეპარონს, ტუნგინს და ცენტენარიუსს. მეტად ვრცელი ჩანს გრაფის სასამართლო იურისდიქცია. მის უფლებამოსილებაში შედიოდა როგორც მძიმე სისხლის სამართლის საქმეების, ასევე სამოქალაქო საქმეების გარჩევა.

საცეპარონი მეფის სამსახურში მყოფი პირია. ის ვიცე-გრაფია, გრაფის მოადგილეა. ის სახელმწიფოსა და საზოგადოებაში მნიშვნელოვანი პირია. მისი სისხლი შეფასებულია სამას სოლიდად.

სალიკური სამართლის მიხედვით არსებობდა რახინბურგების სასამართლოც. თუ რახინბურგების სასამართლოზე მოპასუხე სარჩელის საფუძვლიანობას უარყოფდა, რახინბურგებს უფლება ჰქონდათ მიემართათ ორდალისათვის და ის გამოეყენებინათ მტკიცებულებად. ასეთი ორდალი ანუ რელიგიური მტკიცებულება ყოფილა მდულარე წყლით გამოცდა.

“სალიკური სამართლის” მკვლევარების აზრით სიტყვა რახინბურგი არ ნიშნავდა განსაზღვრულ თანამდებობას ან პროფესიას, არამედ გამოხატავდა ამ პირის, როგორც დროებითი მსაჯულის, უფლებრივ მდგომარეობას.

ხსენებული სამართლის წიგნის 50-ე ტიტულის თანახმად, თუ ვინმე დროზე არ გადაიხდიდა ვალს, კრედიტორი მოპასუხეს გამოიწვევდა გრაფის სასამართლოში. “სალიკური კანონის თანახმად” გრაფი სასამართლოში მოიწვევდა შვიდ უფლებაუნარიან პირს და მოპასუხეს განუცხადებდა: “აი, შენ ახლა შენი ნება-სურვილით გადაუხადე ამ კაცს ვალდებულების მიხედვით და აირჩიე ორი რომელიმე რახინბურგი, რომლებიც განსაზღვრავენ შენი შემოსავლის ღირებულებას და წყაროებს, და სამართლიანი შეფასების თანახმად გადაიხადე კუთვნილი”. თუ მოპასუხე (დებიტორი) ამაზე დათანხმდებოდა, მაშინ რახინ-

ბურგები თვითონ წაიღებდნენ მისი ქონებიდან იმდენს, რამდენიც შეეფერებოდა ვალის ოდენობას.

მეროვინგების ეპოქაში რახინბურგების სასამართლო შედგებოდა შვიდი არჩეული რახინბურგისაგან, რომლებიც პერიოდულად იკრიბებოდნენ. სასამართლოს თავმჯდომარეობდა არჩევითი თანამდებობის პირი – ტუნგინი. რახინბურგებად ირჩევდნენ შეძლებულ და ხალხში გავლენის მქონე პირებს, წყაროებში ისინი იხსენიებიან როგორც “ბონი ჰომინესს სენიორეს”. რახინბურგების სასამართლო ასეულის (თემის) ორგანო იყო და ყოველი თავისუფალი მეთემე ვალდებული იყო მის სხდომებს დასწრებოდა. მაგრამ თანდათან რახინბურგების როლი ეცემა და იზრდება მეფისა და მისი მოხელეების სამოსამართლო ფუნქციები. სასამართლო ამიერიდან მუშაობს მეფის სახელით და ხორციელდება მეფის მოხელეების მიერ. თანდათან მეფის სასამართლო აღწევს იმას, რომ არჩეული მსაჯულები საერთოდ არ მონაწილეობდნენ მართლმსაჯულებაში.

კარლოს დიდის (768-814) ხანაში ჩატარდა სასამართლო რეფორმა ფრანკთა სახელმწიფოში. ამიერიდან თავისუფალ ფრანკებს არ ეკრძალებათ სასამართლო სხდომებზე დასწრება. არჩეული რახინბურგების ნაცვლად გაჩნდნენ დანიშნული სკაბინები, მეფის წარგზავნილები (“მისსი”) ადგილობრივი მოსახლეობიდან შეარჩევდნენ და ნიშნავდნენ სასამართლო წევრებს – სკაბინებს. სასამართლო სხდომებს კი გრაფი თავმჯდომარეობდა.

დაარსებულ იქნა აგრეთვე საეკლესიო სასამართლოებიც.

საერო სასამართლოებში სასამართლო პროცესი ბრალდებით ხასიათს ატარებდა და კერძო ბრალდების საწყისებს ემყარებოდა. დაზარალებული მხარე აგროვებდა მტკიცებულებებს და მათ წარუდგენდა სასამართლოს, რომელიც მხოლოდ თვალყურს ადევნებდა სასამართლო პროცესის მსვლელობას და დაადგენდა პროცესში გამართლებულ ან დამარცხებულ მხარეს. თვით მოპასუხის სასამართლოებში გამოცხადების უზრუნველყოფა დაკისრებული ჰქონდა დაზარალებულს. თუ მოპასუხე სასამართლოში მოწვევას სამგზის უგულვებელყოფდა, ის ჩაითვლებოდა “მშვიდობის დამრღვევად” და მას ასეთად მეფის სასამართლო გამოაცხადებდა.

მტკიცებულებათა სისტემაში დიდ როლს თამაშობდა თანამოფიცართა ინსტიტუტი. თითქოს ისინი იმის თავდებად

გამოდიდნენ, რომ ბრალდებული პატიოსანი კაცია, რომ მისი სიტყვა სანდოა, ის კარგი სახელით სარგებლობს ხალხში. თანამოფიცრები იმის თავმდებად გამოდიდნენ, რომ მათი ღრმა რწმენით წარმოუდგენელია, ბრალდებული ბოროტმოქმედი იყოს. თანამოფიცრების რიცხვი სხვადასხვა იყო - ექვსი, თორმეტი და ზოგჯერ მეტიც.

სალიკური სამართლით მნიშვნელოვან მტკიცებულებად ითვლებოდა მოწმის ჩვენებაც. სამართლის მიხედვით მოწმეები, რომლებიც მოსარჩლესთან ერთად მიდიან სასამართლოში, ვალდებული არიან ფიცის ქვეშ აჩვენონ ის, რაც იციან. სალიკური სამართლის 46-ე ტიტულის მიხედვით მოწმეებმა თავისი ჩვენება ფიცით უნდა დაადასტურონ. თანაც კანონის ტექსტიდან ჩანს, რომ სამი მოწმის ფიცით განმტკიცებული ჩვენება სრულ მტკიცებულებად ითვლებოდა.

სალიკური სამართლის მიხედვით, თუ ვინმე თავს დაესხა სხვის სახლ-კარს და ქონებაც გაიტაცა, მაგრამ ეს ჯეროვნად არ არის დამტკიცებული, ბრალდებულს ფიცით თავის მართლების საშუალება ეძლეოდა, მაგრამ ბრალდებულის ფიცი საკმარისი არ იყო. ბრალდებულს უნდა დაეფიცა ორივე მხარის მიერ არჩეული ოცდახუთი თანამოფიცრის მეშვეობით. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული ასეთ თანამოფიცრებს ვერ იშოვნიდა, ის ისჯებოდა ქონებრივად. მას მთლიანად ანაზღაურებინებდნენ მიყენებულ ზიანს და, გარდა ამისა, გადაახდევინებდნენ სასამართლო ჯარიმას 63 სოლიდის ოდენობით. მტკიცების ანალოგიური ხერხები ცნობილი იყო ფეოდალურ საქართველოშიაც.

სალიკური კანონის მიხედვით, თუ ვინმეს სხვისი ბელისათვის ცეცხლის წაქიდებაში ედებოდა ბრალი, მას ფიცით თავის მართლების საშუალებას აძლევდნენ. მაგრამ ბრალდებულს ოცი თანამოფიცრის დახმარებით უნდა განეწმინდა თავი ეჭვებისაგან. თუ ბრალდებული თანამოფიცრებს ვერ იშოვნიდა და ვერც სხვა მტკიცებულების მეშვეობით იმართლებდა თავს, მაშინ მას მდულარის მეშვეობით გამოცდიდნენ. ორდალის ერთ-ერთი სახეობა - ეჭვმიტანილის მდულარე წყლით გამოცდა აღებული იყო ძველი გერმანელი ტომების იურიდიული ჩვეულებების არსენალიდან. გერმანული ჩვეულებითი სამართალი იცნობდა სხვა ორდალსაც. მაგალითად სასამართლო დუელს (ორთაბრძოლას), წყლით გამოცდას, შანთს, ხატის წინაშე გამოცდას.

გერმანული სამართლის ისტორიის მკვლევარებს მართუ-
ბულად აქვთ აღნიშნული, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ვინმეს
მდულარე წყლით გამოცდა მიესჯებოდა, მსაჯურდებულს შეეძლო
დაეხსნა თავი თანომოფიცართა წარმოდგენის გზით ან განსაზღვ-
რული კომპოზიციის გადახდით. თუ ბრალდებული არც კომპო-
ზიციის გადახდას მოისურვებდა და არც მდულარე წყლით
გამოცდაზე დათანხმდებოდა, მაშინ მას მეფის წინაშე წარად-
გენდნენ გასასამართლებლად. სასამართლო ორდალიები
გერმანულ ტომებში ფართოდ იყო გავრცელებული. თუ სალიკური
სამართალი არ იცნობდა მდულარე წყლით გამოცდის გარდა
სხვა ორდალს, მოგვიანებით VIII-IX საუკუნეებში სხვა
ორდალებიც ჩნდებიან. განვითარებული რომის სამართალი
უარყოფდა ორდალების გამოყენებას, არ ცნობდა მათ, მაგრამ
იმპერიის ფარგლებში გერმანელი და სხვა ბარბაროსების
დამკვიდრების შემდეგ ადგილი აქვს კულტურის დაცემას და
განვითარებული მტკიცებულებების ნაცვლად შედარებით
პრიმიტიული დამამტკიცებელი საბუთების გამოყენება სასა-
მართლოებში ჩვეულებრივი მოვლენა ხდება.

საყურადღებოა სალიკური სამართლის მიხედვით სასჯე-
ლების გაგებაც. სისხლის აღების ნაცვლად აქ ვხვდებით
კომპოზიციების სისტემას. აქა-იქ ტალიონის პრინციპის გამო-
ყენების შემთხვევებთანაც გვაქვს საქმე. სალიელი ფრანკები
იცნობდნენ კოდექტიური პასუხისმგებლობის ინსტიტუტსაც.
მკვლელთან ერთად პასუხისმგებლობა ეკისრებოდა დამნაშავის
უახლოეს ნათესავებსაც როგორც ქონებრივად, ისე პირადადაც.
სალიკური სამართლის მიხედვით სასჯელების სახეები იყო:
დამნაშავის კანონგარეშე გამოცხადება, გაძევება, სიკვდილით
დასჯა, გამათრახება, კომპოზიციის გადახდა, დასაჭურისება,
ქონების კონფისკაცია, დამნაშავის გადაცემა დაზარალებული
მხარისათვის.

რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ ძველ გერმანულ ოჯახზეც.
ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში გერმანულ ტომებში,
როგორც ეს ბარბაროსული სამართლის წიგნების მიხედვით
შეიძლება დავასკვნათ, გავრცელებული იყო ე.წ. დიდი, მრავალ-
წევრიანი ოჯახები, რომლებიც დაახლოებით სამ-სამი თაობისაგან
მანც შედგებოდა. ოჯახებში ერთად ცხოვრობდნენ სამი თაობის
მამაკაცები თავიანთი ცოლ-შვილით. თემი სწორედ ასეთი
ოჯახების ორგანულ ერთობას წარმოადგენდა. თემს ეკუთვნოდა

უმადლეხი საკუთრება თემის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის სახნავე მიწებზეც. მეთემეებს მხოლოდ ადგილ-მამშულით სარგებლობის უფლება ჰქონდათ და არა მათი განკარგვისა. სალიკური სამართლის მიხედვით მოძრავი ქონების მემკვიდრეობით გადაცემა შეიძლებოდა როგორც მამაკაცების, ასევე ქალების ხაზით. თანაც მემკვიდრეთა წრეში თავსდებიან როგორც აღმავალი, ასევე დაღმავალი ხაზის ნათესავეებიც. მაგრამ ადგილ-მამშულის, უძრავი ქონების გადაცემა მემკვიდრეობით შეიძლებოდა მხოლოდ დაღმავალი ხაზით და ისიც მხოლოდ მემკვიდრე მამაკაცისათვის. ქალები ვერ იქნებოდნენ ადგილ-მამშულების მემკვიდრეებიც, ალბათ, იმიტომ, რომ საოჯახო მეურნეობის ეკონომიკური საფუძველი – ადგილ-მამშული სხვა გვარში და სხვა მეურნეობის განკარგულებაში არ გადასულიყო ქალიშვილის გათხოვების შემთხვევაში.¹

სალიკურ სამართალში დაფიქსირდა ალლოდის წარმოშობის პროცესი, კერძო საკუთრება უკვე არსებობდა მოძრავ ქონებაზე და მისი წარმოშობის პროცესი მიმდინარეობდა უძრავ ქონებაზეც. გაივლის არც თუ მცირე დრო და ალლოდი გახდება მცირე ინდივიდუალური ოჯახის თავისუფლად გასხვისების საგანი, მისი საკუთრება. ალლოდმა გაიარა განვითარების რთული გზა, დიდი ოჯახის სარგებლობის საგნიდან ინდივიდუალური ოჯახის საკუთრებამდე, როდესაც თემი და დიდი ოჯახი დაიშალა, მცირე – ინდივიდუალური განმტკიცდა, თანდათან გარდაცვლილი ოჯახის თავის ქალიშვილმაც უძრავი ქონების მემკვიდრეობით მიღების უფლება მიიღო ისევე, როგორც მამკვიდრებლის უახლესმა გვერდითი ხაზის ნათესავემაც. მართებულად აღნიშნავდა პროფ. ა.ი. ნეუსიხინი, რომ ალლოდის ევოლუცია არ შემოიფარგლებოდა მემკვიდრეობის რიგში მომხდარი ცვლილებებით, რა რადიკალურიც არ უნდა ყოფილიყო ეს ღონისძიება. ამასთან ერთად და მის პარალელურად ალლოდი სხვა მხრივაც ვითარდებოდა: ალლოდი დიდი ოჯახის სარგებლობის საგნიდან გადაიქცა მცირე ინდივიდუალური ოჯახის ისეთ საკუთრებად, რომლის გადაცემაც მემკვიდრეობით შესაძლებელი იყო, რასაც თან მოჰყვა ალლოდის

¹ ა.ი. ნეუსიხინი, დამოკიდებული გლეხობის, როგორც ადრევეო-დალური საზოგადოების კლასის წარმოშობა დასავლეთ ევროპაში VI-VIII საუკუნეებში. მოსკოვი. 1956, გვ. 12-13. (რუს).

გასხვისების შესაძლებლობაც. ქალმაც უფლება მოიპოვა მიწაზე, ეს მოასწავებდა მისი გასხვისების შესაძლებლობის დასაწყისსაც. გათხოვილ ქალს თავისი ქონება – ალლოდი უკვე სხვა ოჯახში შექმლო გაეტანა ან გაეყიდა ან მემკვიდრეობით გადაეცა თავისი შვილებისათვის. როდესაც ქალმა თავისი ადგილ-მამული ქმრის ოჯახის ქონებას მექანიკურად შეუერთა, აქედან ერთი ნაბიჯი იყო მიწის, ადგილ-მამულის ანდერძით გასხვისების შესაძლებლობამდე.

ფრანკული თემის ორმაგი, წინააღმდეგობრივი ხასიათი საშუალებას იძლეოდა ფეოდალიზმისა და მიწაზე კერძო საკუთრების განვითარებისათვის. მაშინდელი დასავლეთ ევროპის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მოვლენა V-X საუკუნეებში სწორედ ფეოდალიზმის წარმოშობა და განვითარება იყო. რომის იმპერიის განადგურებასა და დასავლეთ ევროპის სოციალურ-ეკონომიკურ განახლებაში დიდი როლი შეასრულეს გერმანელმა ბარბაროსებმა სწორედ თავისი ბარბაროსობით და ისეთი ხელისუფლებით, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაეკარგა კავშირი ხალხთან, თავისი ადრეკლასობრივი დონით და ხალასი ხალხურობით. თვით ფრანკებში V საუკუნეში ჯერ კიდევ არ არსებობდა ისეთ პრივილეგირებული არისტოკრატია, რომელიც ხალხს დაუპირისპირდებოდა. ყველა თავისუფალი ფრანკის სისხლი 200 სოლიდად იყო შეფასებული. 200 სოლიდი, როგორც სისხლისსასამართლებრივი ჯარიმა, ძნელი გადასახდელი იყო. ძროხა ღირდა ორი სოლიდი, ხოლო კარგი ხარი – სამი სოლიდი. ფული სალიელი ფრანკების საზოგადოებაში ძალიან ცოტა იყო. ანგარიშსწორება ძირითადად ძროხების და ხარების მეშვეობით ხდებოდა. მოსახლეობის კლასობრივ დიფერენციაციას ადგილი ჰქონდა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ შორს არ იყო წასული. თავისუფალ ფრანკსა და მონას შორის იდგა დამოკიდებული გლეხი. მაგრამ ქორწინება თავისუფალ ადამიანებსა და ლიტებს შორის იკრძალებოდა. თუ ლიტი თავისუფალ ფრანკს მოჰკლავდა, ის მოკლულის ნათესავეებს გადაეცემოდა ვერგელდის საფასურის ნახევარში, ხოლო მეორე ნახევარი ლიტის ბატონს უნდა გადაეხადა. არც თუ უსაფუძვლოდ თვლიან, რომ ლიტები იყვნენ გვიანდელი ყმა გლეხის წინამორბედები.

როდესაც ფრანკებმა დაიკავეს დღევანდელი საფრანგეთის ტერიტორია, მათ ადგილობრივი რომაული და გალური წარმოშობის მოსახლეობა დაიმორჩილეს და, რა თქმა უნდა, მათ

უფრო დაბალი მდგომარეობა განუწყესეს, ვიდრე თავისუფალ ადამიანებს. გადასახადის ამომღები რომაელის – ტრიბუტარის მკვლევლობისათვის სისხლის სამართლებრივი ჯარიმის ანუ ვერგელდის სახით დაწესებული იყო 63 სოლიდის გადახდა, რაც მონის მოკვლისათვის დაწესებული კომპოზიცია-ვერგელდს ორჯერ აღემატებოდა. ვინ უნდა ყოფილიყვნენ თავისი წარმოშობით ტრიბუტარები? ფიქრობენ, რომ ისინი იყვნენ რომის იმპერიაში წარმოშობილი წინარეყმების – კოლონების შთამომავლები.

სახელმწიფო ძალაუფლებას იმდენი მნიშვნელობა ეძლეოდა, რომ მარტო მეფესთან დაახლოება აღაზეუვებდა ადამიანს. სამეფო გვარდიის მებრძოლის სისხლი (ვერგელდი) სამჯერ მეტად ფასობდა, ვიდრე თავისუფალი ფრანკისა (ექესასი სოლიდი). მეფის თანამეინახე რომაელსაც კი უფრო მეტი სისხლი სდოდა, ვიდრე თავისუფალ ფრანკს.

ფეოდალური სახელმწიფო და სამართალი საფრანგეთში XI – XV საუკუნეებში

დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის საერთოდ და განსაკუთრებით კი საფრანგეთისათვის XI – XV საუკუნეები მათი ისტორიის აუცილებელი და მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. ამ ხანებში აქ ყალიბდებოდა განვითარებული ფეოდალური საზოგადოება, რომელიც აღწევს უნივერსალურ ბატონობას. ამ ხანებშივე ადგილი აქვს ქალაქების გამოყოფას სოფლებისაგან და მათ გადაქცევას ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრებად. აგრეთვე მუშა ხელის მიგრაციას ქალაქებში. საფრანგეთში ყველა პირობა არსებობდა ფეოდალიზმის სწრაფი განვითარებისათვის (ბუნებრივი მდგომარეობა, ბუნებრივი სიმდიდრეები, აგრო-კულტურული და კულტურული მემკვიდრეობა).

ახლა გავისხსენოთ ცოტა ადრეული ისტორიაც. ცნობილია, რომ კაროლინგების დინასტიის ყველაზე სახელგანთმეული მეფე კარლოს დიდი (768-814) სახელმწიფოს მართავდა 46 წლის განმავლობაში. იგი გარდაიცვალა 814 წელს, 72 წლის ასაკში. კარლოს დიდის იმპერიაში, რომელიც წარმოადგენდა ადრე-ფეოდალურ მონარქიას, მისი შემქმნელის გარდაცვალების შემდეგ დიდხანს ვერ იარსება. უკვე კარლოსის შვილის – ლუი ღვთის მოშიშის გარდაცვალების შემდეგ მისმა უფროსმა შვილმა

ლოტარმა მიიღო იმპერატორის ტიტული, მაგრამ მის წინააღმდეგ გაილაშქრეს ძმებმა – ლუი გერმანელმა და კარლოს მელოტმა. 841 წელს ლოტარი დამარცხდა. დაზავების შემდეგ მებრძოლმა მხარეებმა დადეს ე.წ. სტრასბურგის ფიცი, რომელიც ორ ენაზე იყო წარმოთქმული – რომანულ და გერმანული ენებზე. “რომანული ენა” იყო ფრანკების მიერ ვულგარიზებული, გერმანელი ტომების მიერ შეთვისებული ლათინური ენა. როგორც ჩანს, ამ დროს კაროლინგების იმპერიაში მიმდინარეობდა ეროვნებათა წარმოშობის პროცესი.

843 წელს ვერდენში კარლოს დიდის სამმა შვილიშვილმა პაპის შექმნილი იმპერია სამ ნაწილად გაჰყო. ლუი გერმანელის უფროსმა შვილმა ლოტარმა, ვერდენის ხელშეკრულების თანახმად, შეინარჩუნა იმპერატორის ტიტული, მაგრამ მისი ძმები დამოუკიდებელ მეფეებად იქნენ აღიარებულნი. ამრიგად, წარმოიშვა სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო. მდინარე რაინის (რეინის) დასავლეთით მდებარე ქვეყანამ – დასავლეთ ფრანკების მხარემ შემდეგში საფრანგეთის სახელწოდება მიიღო, ხოლო რაინის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანამ – გერმანიისა. ხოლო ტერიტორია მდინარე რაინიდან მდინარე რონის შესართავამდე იტალიითურთ ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. მაშასადამე, ვერდენის ხელშეკრულებით ზოგად ხაზებში მომავალი ევროპის სამ მსხვილ სახელმწიფოს – საფრანგეთს, გერმანიასა და იტალიას მიეცა დასაბამი.

რას წარმოადგენდა საფრანგეთი მეცხრე-მეთერთმეტე საუკუნეებში? – ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მსხვილი საფეოდალოების – საგრაფოებისა და საჰერცოგოებისაგან შემდგარ ქვეყანას, რომლებიც მეფის ხელისუფლებას დიდ ანგარიშს არ უწევდნენ. კაროლინგების დინასტიის უკანასკნელი მეფეები ცდილობდნენ ურინი ფეოდალების დამორჩილებას, მაგრამ ამაოდ.

987 წელს კაროლინგების დინასტიის ზეობა შეწყდა. მეფედ აირჩიეს ერთ-ერთი ფეოდალი ჰუგო კაპეტი, რომელმაც საფუძველი დაუდო ე.წ. კაპეტინგების დინასტიას.

მეათე საუკუნის ბოლოსათვის საფრანგეთის სახეს განსაზღვრავდნენ ფეოდალური სენიორები. ზოგიერთი სენიორი, მართალია, ფორმალურად აღიარებდა საფრანგეთის მეფის უმაღლესობას, მაგრამ ფაქტობრივად ძლიერი ფეოდალების უმრავლესობა ისე იქცეოდა, თითქოს სამეფო ხელისუფლება

საერთოდ არ არსებობდა. საფრანგეთში მეთაუ-მეთერთმეტე საუკუნეებში თითქმის არ იგროვებოდა ეროვნული ერთიანობის იდეა. ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინდელ საფრანგეთში არც ენობრივი ერთიანობა იყო ჩამოყალიბებული. ისტორიკოსების აზრით ფრანგი ერი, როგორც ასეთი, მხოლოდ მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებში ჩამოყალიბდა. ფრანგი ერის ჩამოყალიბება საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიული პროცესი იყო. ამ პროცესის სუბიექტები იყვნენ ძირითადად გერმანულ-რომანული წარმოშობის ეროვნებები და ტომები: ფრანკები, გალები, რომაელები და სხვები.

რაც შეეხება სახელმწიფო წესწყობილებას, უნდა ითქვას, რომ მასზე დიდი გავლენა მოახდინა ე. წ. ფეოდალიზმმა. შეიძლება ითქვას, რომ ფეოდალიზმის განვითარების ესა თუ ის საფეხური მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო სახელმწიფო წყობილების რეალური ყოფიერებისა. საწარმოო ძალების განვითარებამ და თვით წარმოებით ურთიერთობაში მომხდარმა ცვლილებებმა, ქლაქებისა და სასაქონლო-ფულადურთიერთობათა განვითარებამ როგორც საფრანგეთში, ასევე მის მეზობელ ქვეყნებში ხელი შეუწყო პოლიტიკურ ცენტრალიზმს. ამ უკანასკნელს ხელს უმართავდა აგრეთვე ქრისტიანული ეკლესიაც, რომელსაც აღმოაჩნდა უნარი სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებისა. მოუწესრიგებელი და სუსტი ფეოდალური მონარქია, სადაც მეფე მხოლოდ "თანასწორთა შორის პირველად ითვლებოდა", უკვე აღარ წარმოადგენდა ისტორიულ აუცილებლობას და საზოგადოებისა და სახელმწიფოს საერთო ინტერესების შესატყვისს მოვლენას. ფეოდალური დაქუცმაცებულობა და უწესრიგობა წესად იქცა. ასეთ ვითარებაში სამეფო ხელისუფლება იყო, როგორც ერთი მკვლევარი წერდა, წესრიგის წარმომადგენელი უწესრიგობაში.

საფრანგეთი შეიძლება ჩავთვალოთ ფეოდალიზმის კლასიკურ ქვეყანად ევროპაში. დასავლეთ ევროპული ფეოდალიზმის ეს სანიმუშო ქვეყანა ხასიათდებოდა რიგი თავისებურებებით.

მეცხრე საუკუნის დასაწყისიდან ფრანგული სოფელი ძირითადად მაინც ფეოდალიზირებული იყო. საფრანგეთში ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობა განვითარდა უფრო ადრე, ვიდრე ინგლისში, მაგრამ მან აქ (საფრანგეთში) უფრო მეტ ხანს გაძლო, ვიდრე ბრიტანეთის კუნძულებზე. თანაც, საფრანგეთის ცალკეულ ოლქებს შორის შეიმჩნეოდა ფეოდალიზმის დამკვიდ-

რება-ჩამოყალიბების ტემპებში მკვეთრი განსხვავებები. საფრანგეთის იმ კუთხეებში, სადაც ფრანკები შეადგენდნენ მოსახლეობის დიდ უმრავლესობას, გლეხობის დაქმნევა მეცხრე საუკუნეში თითქმის დასრულებული იყო, მაშინ როდესაც ზოგიერთ პროვინციაში თავისუფალი გლეხობის როგორც სოციალური ფენის ნაშთები მეთექვრთმეტე საუკუნეებშიაც კი იყო შენარჩუნებული.

მართალია, რომაული კოლონი იყო შუა საუკუნეების ყმა-გლეხობის წინამორბედი, მაგრამ ეს ძირითადად რომანიზებულ პროვინციებში იყო. საფრანგეთში ზოგიერთ ოლქში თავისუფალი გლეხობის ნაწილი საუკუნეების განმავლობაში თანაარსებობდა ყმა-გლეხობასთან. საერთოდ აღებული კი სწორი ჩანს მოსაზრება, რომ დასავლეთ ევროპაში რომაელ კოლონებსა და ახალ ყმებს შუა თავისუფალი ფრანკი გლეხი იდგა.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები ფეოდალურ საფრანგეთში ისე ვითარდებოდა, რომ სოფელსა და ქალაქს შორის წინააღმდეგობა, მათ შორის მკვეთრი სხვაობა დიდხანს იყო შენარჩუნებული. საფრანგეთში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი ძირითადად ქალაქებში ვითარდებოდა და სოფელი თითქმის ხელუხლებელი ნატურალური მეურნეობის წიაღში სუფევდა, მაშინ, როდესაც ინგლისში როგორც ქალაქი, ისე სოფელი სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების სფეროში იყო მოქცეული. ამასთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქ ფეოდალიზმი თავისი განვითარების საფეხურებს უფრო ნელი ტემპით გადიოდა, ვიდრე ინგლისში.

თვით საფრანგეთის ცალკეულ კუთხეებს შორის ეკონომიკური კავშირები მეტად სუსტი იყო. განსაკუთრებით დიდი განსხვავება შეიმჩნეოდა ჩრდილოეთ და სამხრეთ საფრანგეთს შორის. მეთორმეტე საუკუნის დასასრულიდან, როდესაც საფრანგეთში ინტენსიურად დაიწყო განვითარება ქალაქებმა და სასაქონლო-ფულადმა ურთიერთობებმა, მეფის ხელისუფლებამ შეძლო ქალაქებთან კავშირის შეკერა, წვრილი აზნაურობის მიმხრობა და ფეოდალების წინააღმდეგ შეტევის დაწყება. მოსახლეობის საშუალო ფენები თანდათანობით მეფის ხელისუფლების მხარეზე გადადიოდა. ფრანგი მეფეებისა და სამეფო კარის მცდელობით ყალიბდებოდა ძლიერი ცენტრალიზებული მონარქია, მოქნილი და დახვეწილი ცენტრალური აპარატიურთ. წარმოიშვა წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია. ამას წინ

უძლვდა წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოს – გენერალური შტატების წარმოშობა.

საერთოდ ევროპულ ფეოდალურ საზოგადოებას და მათ შორის ფრანგულსაც შუა საუკუნეებში ახასიათებდა რთული სოციალური სტრუქტურა. წოდებები და კლასები, საზოგადოების წოდებრივი და კლასობრივი დაყოფა ერთმანეთთან იყო გადაჯაჭვული და ერთმანეთში იყო ჩაწნული.

საინტერესოა, რომ საზოგადოების დაყოფის სამწვეროვანი სქემა თვით ფეოდალური საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზე – მეთერთმეტე საუკუნეში იყო წამოყენებული, გამოთქმული. ეპისკოპოსმა ჟერარ კამბრეზიელმა და ადალბერ ლანელმა მთელი მაშინდელი საზოგადოება სამ წოდებად წარმოადგინეს: პირველი იყო სასულიერო წოდება ანუ წოდება მლოცველებისა (“ორატორეს”), მეორე – მეომრებისა (“ბელლატორეს”) და მესამე მშრომელებისა (“ლაბორატორეს”). ეს წოდებები ერთიანი საზოგადოებრივი სხეულის ნაწილებია და თითოეული მათგანის მართებული სამსახური აუცილებელია სამეფოსათვის, ქვეყნისათვის, დანარჩენი წოდებების მიზანმიმართული სამსახურისათვის.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად მათში იცვლებოდა “მშრომელთა” წოდების შინაარსი და შემადგენლობა. თავდაპირველად მათში სერვები იგულისხმებოდნენ. ლათინურიდან შემოსული ტერმინი “სერვი” სიტყვასიტყვით მონებს ნიშნავდა, მაგრამ შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში საერთოდ და კერძოდ კი საფრანგეთში მას უფრო ფართო მნიშვნელობა გააჩნდა. “სერვებში” ძირითადად იგულისხმებოდა ადამიანების ორი კატეგორია: 1. რომაელი მონების მსგავსად სავსებით უუფლებო მშრომელებისა და 2. ისეთი არათავისუფალი მშრომელებისა, რომლებსაც რაღაც უფლებები კი გააჩნდათ, მაგრამ თავისი მდგომარეობით გერმანული პატრიარქალური მონების კატეგორიას უახლოვდებოდნენ. თანდათანობით სერვები გადაიქცნენ ემაგლებებად ძლიერ შეზღუდული სამოქალაქო უფლებებით.

თანდათანობით მშრომელთა წოდებას ემატებიან ხელოსნები, სასამართლო მოხელეები და ექიმები, ბოლოს ვაჭრები და, საერთოდ, ფეოდალურ წიაღში წარმოშობილი ქონებით და სიმდიდრით აღზევებული პირები – ბურჟუაზიის წარმომადგენლები.

ყველა წოდებას თავისი იურიდიული სტატუსი გააჩნდა, მაგრამ ეს კანონში დაფიქსირებული წოდებრივი მდგომარეობა

უცვლელი არ იყო. წოდება ან ინარჩუნებდა, ან ზრდიდა, ანდა კარგავდა თავის უფლებრივ პრივილეგიებს. საფრანგეთის საზოგადოების წოდებრივ დაყოფაში აისახა საკუთრების კორპორაციული ხასიათიც. ფეოდალური საკუთრება განუყრელად იყო დაკავშირებული პოლიტიკურ ძალაუფლებასთანაც. ფეოდალურ საფრანგეთში, ისევე როგორც ფეოდალურ საქართველოში, ცალკეული ფეოდალის საკუთრების უფლება მიწაზე, თეორიულად მაინც, არ ატარებდა აბსოლუტურ ხასიათს. თანაც, რეალურ ცხოვრებაშიც ის რიგ შეზღუდვებს ექვემდებარებოდა. XII-XIII საუკუნეებში საფრანგეთში გამოცემული ორდონანსები ამის ნათელი დადასტურებაა. კანონმდებელი ზღუდავდა სენიორების სამემკვიდრეო უფლებებს. ადგენდა სენიორიის დაუქუცმაცებლობის პრინციპს, არაიშვიათად ქალებს გამორიცხავდა მემკვიდრეთა წრიდან. დასავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში არსებობდა მაიორატული მემკვიდრეობის პრინციპი: ღენი მემკვიდრეობით უნდა მიეღო მამკვიდრებლის უფროს ვაჟიშვილს, მაგრამ ამ პრინციპის გატარებას დიდი წინააღმდეგობა ხვდებოდა ფეოდალურ წრეში. ზოგან საქმე იქამდე მივიდა, რომ მამკვიდრებლის უფროსი ვაჟიშვილი ხდებოდა ღენის ორი მესამედის მემკვიდრე, ხოლო დარჩენილი ერთი მესამედი ნაწილდებოდა სხვა ძმებს შორის.

ფეოდალური საფრანგეთის საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის პრინციპები განპირობებული იყო მაშინდელი საზოგადოების ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური წყობილებით, მაშინდელი სულიერი კულტურის დონით. ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობა, წარმოებით ურთიერთობათა ფეოდალური ტიპი არა მარტო შუა საუკუნეების საზოგადოების საწარმოო ძალების დონით იყო განსაზღვრული. მასზე დიდ ზემოქმედებას ახდენდა ანტიკური მემკვიდრეობა, ქრისტიანული ეკლესია და ა.შ. მკვლევარები ფეოდალური საზოგადოების ელემენტების აღმოცენების პროცესს ამჩნევენ უკვე გვიანდელი ხანის რომის იმპერიის სამეურნეო წყობილების წიაღში, აგრეთვე ახ. წ. II-III საუკუნეების გერმანელი ტომების საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში. V-VI საუკუნეების დასავლეთ ევროპაში ადრეფეოდალურ, ადრეკლასობრივ საზოგადოებებს ემჩნევათ სწრაფვა განვითარების უფრო მაღალი საფეხურისაკენ. თუ კულტურული თვალსაზრისით ფეოდალური საზოგადოების პირველი პერიოდი ვერ შეედრება ძველი რომის ისტორიის

საუკეთესო ხანას, სამაგიეროდ უშუალო მწარმოებლების საზოგადოებრივი მდგომარეობის მიხედვით უთუოდ პროგრესი შეიმჩნევა. გლეხის მდგომარეობა ანტიკური ხანის მონის მდგომარეობასთან შედარებით, უკეთესია. გლეხს გააჩნია სახლკარი, ოჯახი, წარმოების ზოგიერთი საშუალებანიც. ძველ რომში მონას არ გააჩნდა ქორწინების და მამასადამე, ოჯახის შექმნის უფლებაც. თავისი იურიდიული მდგომარეობით ყმა-გლეხს საშუალო ადგილი უჭირავს ანტიკურ მონასა და თავისუფალ ადამიანს შორის.

XI-XV საუკუნეების საფრანგეთში საზოგადოების ძირითად უჯრედს წარმოადგენდა ფეოდალური სენიორია, რომელიც ეკონომიკურად და ზოგჯერ პოლიტიკურადაც თვითკმარ ერთეულს წარმოადგენდა და მამასადამე, მეტ-ნაკლებად მამულ-სახელმწიფოსაც.

ფეოდალური საზოგადოების საფუძველი იყო ფეოდალის საკუთრება მიწა-ალაგზე, ადგილ-მამულზე და ამასთან დაკავშირებული არაეკონომიკური იძულების საშუალებები, ტრადიციები და ჩვეულებები.

ფეოდალურ საფრანგეთშიც, ისევე, როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში, ჩვენ ვხედავთ ეკონომიკური და გარეშე ეკონომიკური (არაეკონომიკური) იძულების შეერთებას.

მემამულე-ფეოდალს რომ არ ჰქონოდა პირდაპირი ძალაუფლება გლეხის მიმართ, მას გაუჭირდებოდა მის სასარგებლოდ ემუშავებინა ადამიანი, რომელსაც მიწა უკვე თავის საკუთრებად მიუჩნევია და საკუთარ მეურნეობასაც ეწევა. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყმა-გლეხი, როგორც წესი, იურიდიულად არ ითვლებოდა იმ მიწის მესაკუთრედ, რომელსაც იგი ამუშავებდა.

შუა საუკუნეების საფრანგეთის საზოგადოების თუნდაც მხოლოდ ორი ძირითადი კლასის – ფეოდალებისა და ყმა-გლეხობის უფლებათა დადგენა არც ისე მარტივი საქმეა. იგი საკმაოდ რთული საკითხების წინასწარ გაანალიზებას მოითხოვს. უნდა გაირკვეს ფეოდალის საკუთრების უფლება მიწაზე და მისი, ე.წ. არასრული საკუთრება ყმაზე და თვით ყმის საკუთრების უფლება წარმოებისა და მოხმარების საშუალებებზე, აგრეთვე მისივე უფლება მის სარგებლობასა და მფლობელობაში მყოფ

მიწის ნაკვეთზე.¹ საფრანგეთის მთელი მიწის ფონდის უდიდესი ნაწილი მემამულე-ფეოდალების მონოპოლისტურ მფლობელობაში იმყოფებოდა და, ამა თუ იმ სახით, იურიდიულად მათზე იყო გაფორმებული. მსხვილი ფოდალური მიწის საკუთრების სუბიექტი თავადაზნაურობა იყო. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთში ფეოდალური საკუთრება წოდებრივი საკუთრება იყო. ევროპულ ფეოდალიზმს ახასიათებდა საკუთრებისა და უმაღლესი ხელისუფლების (სუვერენიტეტის) ცნებათა ერთმანეთში შერწყმა. მიწის საკუთრება დაკავშირებული იყო პოლიტიკურ ხელისუფლებასთან. მიწათმფლობელს ეკუთვნოდა მთლიანად ან ნაწილობრივ იმ უფლებათა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს სუვერენიტეტის შინაარსს.

სახელმწიფოს ტერიტორია დაყოფილი იყო ცალკეულ სამფლობელოებად, რომლის სათავეში მყოფ ფეოდალს ემორჩილებოდა საფეოდალოს მიწაზე “მსხდომი პირები”. საფეოდალოს მოსახლეობა ფეოდალის მიმართ ბეგარავალდებული და სამხედროვალდებულია. თან ის იხდის რენტას ფეოდალის სასარგებლოდ.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ფეოდალიზმს, რიგი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ნიშნები ახასიათებდა. ცალკეული ქვეყნის ისტორიული განვითარების თავისებურებათა გამო ფეოდალიზმსაც გარკვეული თავისებურებანი ახასიათებდა თითქმის ყველა ქვეყანაში. ამასთან დაკავშირებით, 1895 წელს მართებულად წერდა ერთი ავტორი: “განა ფეოდალიზმი ოდესმე თავის ცნებას შეესატყვისებოდა? დასავლეთ ფრანკონიის სამეფოში წარმოშობილი, ნორმანდიაში ნორვეგიელი დამპყრობლების მიერ შემდგომ განვითარებული, ინგლისსა და სამხრეთ იტალიაში ფრანგი ნორმანების მიერ სრულქმნილი – იგი თავის ცნებას ყველაზე უფრო მეტად დაუახლოვდა იერუსალიმის ერთდღიან სამეფოში, რომელმაც “იერუსალიმის ასიზეში” ფეოდალური წყობილების ყველაზე უფრო კლასიკური გამოსახულება დატოვა. ნუთუ ეს წყობილება ფიქცია იყო იმის გამო, რომ მხოლოდ პალესტინაში მიაღწია მან სავსებით კლასიკურ გამოსახულებას მოკლე ხნით და ისიც მეტწილად ქაღალდზე”.

¹ იხ. ა. ვ. ვენედიქტოვი. სახელმწიფო სოციალისტური საკუთრება, მოსკოვი-ლენინგრადი. 1948, გვ. 94 (რუს.).

რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ მოინახოს ფეოდალური საზოგადოებისა და ფეოდალური საკუთრების ძირითადი ნიშნები. ამ მიმართულებით კარგი სამსახურის გაწევა შეუძლია XI-XV საუკუნეების ფრანგულ ფეოდალიზმს, რომელიც ფეოდალიზმის კლასიკურ ქვეყნად შეიძლება ჩითვალოს.

გავიხსენოთ, რომ საფრანგეთში ცალკეული წოდებების პოლიტიკურ ავტონომიას, როგორც ამის შესახებ საფრანგეთის ისტორიის მკვლევარებიც აღნიშნავენ, გააჩნდა სახელ-შეკრულებო იურიდიული საფუძველი და გულისხმობდა მათ უფლებას მონარქთან და მონარქიასთან დიალოგსა და შეთან-ხმებაზე, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავდა მეფის ხელისუფლებას.

ვინაიდან საფრანგეთს არ გააჩნდა მუდმივი არმია, მყარი საგადასახადო სისტემა, არ გააჩნდა საკმარისი სახელმწიფო ფინანსები და აღმასრულებელი ორგანოების ძლიერი აპარატი, ამიტომაც წოდებებისა და წოდებათა წარმომადგენლების დახმარების გარეშე ქვეყანა უძლური იქნებოდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაეტარებინა ქვეყნის შიგნით და მით უფრო ქვეყნის გარეთ, თუ საქმე სხვა სახელმწიფოებთან ომს შეეხებოდა.

ამიტომ, მეფეები იძულებულნი იყვნენ ეთანამშრომლათ წოდებრივ-წარმომადგენლობით ორგანოებთან – გენერალურ შტატებთან. ხსენებულ ორგანოს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთის ისტორიაში. მათ ინსტიტუციურად ჩამოაყალიბეს წოდებები და ხელი გაუმართეს მათ ამაღლებულიყვნენ საერთო სახელმწიფო ინტერესების შეგნებაში.

თავდაპირველად, გენერალური შტატები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ პროგრესს ხელს უწყობდა. მაგრამ თანდათან ის ჩამორჩა დროს და ქვეყნის განვითარების ინტერესებს ფეხდაფეხ ვერ მისდევდა. ბურჟუაზიისა და სამღვდელეობას შორის უთანხმოებამ, აგრეთვე საფრანგეთის ცალკეულ ოლქებს შორის სუსტმა კავშირმა და წინააღმდეგობამ წოდებრივი წარმომადგენლობა – გენერალური შტატები მიიყვანა დაცემაში. “გენერალურმა შტატებმა” თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საფრანგეთში, მაგრამ საფრანგეთის გაერთიანების შემდგომ თანდათან დგება დაკნინების ხანა.

ისარგებლა რა ფეოდალებს, ბურჟუაზიისა და სამღვდელეობას შორის არსებული წინააღმდეგობით და, საერთოდ, ქვეყანაში შექმნილი ვითარებით, მეფის ხელისუფლებამ ყველაფერი

გააკეთა თავისი შეუზღუდველი ძალაუფლების დამყარებისათვის. საფრანგეთში თანდათან მყარდება აბსოლუტიზმი. ამ უკანასკნელის ჩამოყალიბებას წინ უძღოდა მთელი რიგი რეფორმებისა. მოვიგონოთ ზოგიერთი მათგანი: ლუი მეცხრემ (1226-1270) სცადა სამხედრო რეფორმების გატარება. ფეოდალური ლაშქარი შეიცვალა დაქირავებული არმიით და მეფის მოკავშირე ქალაქების მოსახლეობაში შეკრებილი მილიციით. კარლოს მეშვიდის დროს (1422-1461) სამეფო ხელისუფლება ახალ გამარჯვებებს ზეიმობს. მეფემ იმას მიაღწია, რომ გენერალური შტატები დაითანხმა, რომ დაწესებულიყო ყოველწლიური მუდმივი გადასახადი, რამაც მას შესაძლებლობა მისცა შეექმნა მუდმივი არმია და სათანადოდ შეენახა ის. საფრანგეთის სახელმწიფო და მისი მეფის ძალაუფლება ძლიერდება ლუი მეთერთმეტის (1461-1483) ზეობის წლებშიც. მან გაანადგურა მოწინააღმდეგე ფეოდალები და მათ შორის მისთვის ყველაზე საშიში — ბურგუნდიის ჰერცოგი კარლოს მამაცი.

XV საუკუნის ბოლოსათვის კი საფრანგეთში ყველა პირობა არსებობდა აბსოლუტური მონარქიის წარმოშობისათვის. ქვეყანა გაერთიანდა ერთ სახელმწიფოდ. თავისი მოსახლეობის ოდენობის მიხედვით საფრანგეთი ამ დროს ევროპის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოა. მისი მოსახლეობა ამ დროს 15 მლნ-ს აღწევდა. ფეოდალური საზოგადოების წიაღში კი თანდათან განვითარებას იწყებდა კაპიტალისტური წარმოების წესი. მეთექვსმეტე საუკუნის საფრანგეთში უკვე იყვნენ მსხვილი კაპიტალისტებიც. თანდათანობით ძირი ეთხრებოდა ბატონყმობას, ვითარდებოდა ქალაქები და საქალაქო ცხოვრება.

სამეფო ხელისუფლებამ მოხერხებულად გამოიყენა თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიას შორის არსებული წინააღმდეგობა, გამოიყენა ქალაქის მოსახლეობის მხარდაჭერაც და შეძლო აბსოლუტუტი მონარქიის სახით ჩამოყალიბება. მართალი იყო ფრანგი იტორიკოსი ოგიუსტენ ტიერრი, როდესაც აბსოლუტური მონარქიის გამარჯვებაში დიდ როლს აკისრებდა სამეფო ხელისუფლების კავშირს ბურჟუაზიასთან. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არსებობს სხვა შეხედულებაც, რომლის მიხედვითაც საფრანგეთის თავადაზნაურობამ შეასრულა უპირველესი როლი, აბსოლუტური მონარქიის სახით სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში და გვიანფეოდალური საზოგადოების ფორმირებაში. უფრო მართებული იქნება ვთქვათ, ქმედითი ბიუროკრატიული

სახელმწიფო აპარატის შექმნაში უთუოდ დიდი იყო აზნაურობის როლი, მაგრამ მაინც ქალაქებმა და ბურჟუაზიამ უფრო მეტი როლი ითამაშეს აბსოლუტური მონარქიის წარმოშობა-განვითარების საქმეში.

როგორც ვიცით, წოდებრივ-წარმომადგენლობით მონარქიას საფრანგეთში ცვლის აბსოლუტური მონარქია. მაგრამ ისინი უბრალოდ ერთი მეორის მომდევნო სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები როდია, თუმცა ერთიდან მეორეში ზოგი რამ მემკვიდრეობითაც გადავიდა, ერთმა შეამზადა მეორე. წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია როგორც სახელმწიფოებრიობის ფორმა, შეესატყვისებოდა სახელმწიფო სტრუქტურების ცენტრალიზაციის ადრინდელ ფორმას, როგორც ბსოლუტიზმისათვის წინამორბედს. ხოლო აბსოლუტიზმის ხანაში ცენტრალიზაციის დონე ფეოდალურ პირობებში შესაძლებლის მაქსიმუმს აღწევს.¹ წოდებრივ-წარმომადგენლობით მონარქიასთან შედარებით აბსოლუტურ მონარქიას, როგორც სახელმწიფოებრიობის უფრო მაღალი დონის პოლიტიკურ წარმონაქმნს, რიგი უპირატესობანი გააჩნდა. საფრანგეთში მან უთუოდ შეასრულა პროგრესული როლი. ვრცელ ქვეყანაში - დიდ სახელმწიფოში მეფის ადმინისტრაცია ახორციელებდა სრულ კონტროლს ყველა პროვინციაზე. აბსოლუტური მონარქები გამოსცემდნენ სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე აუცილებლად შესასრულებელ კანონებსა და ბრძანებულებებს. მეფის მიერ გამოცემული კანონების მიხედვით წესრიგდებოდა საფინანსო ურთიერთობები, განისაზღვრებოდა საფინანსო პოლიტიკა, სამხედრო ხარჯების ოდენობა. აბსოლუტიზმის ხანაში იკვეცება ან საერთოდ ისპობა სენიორულ (ფეოდალური) იუსტიცია, ასევე, ქალაქების ავტონომია და თავისუფლება. აბსოლუტური მონარქიის ხანაში მეფეები ამცირებენ გენერალური შტატების როლს ან საერთოდ არ იწვევენ მათ. სახელმწიფო იმორჩილებს ეკლესიასაც

¹ იხ. ნ. ხაჩატურიანი. წოდებრივი მონარქია საფრანგეთში XIII-XV საუკუნეებში. მოსკოვი, 1989 (რუს.), გამოცე. "ვისშიაი შკოლა". გვ. 247.

მისივე - გენერალური შტატების წარმოშობა. მოსკოვი. 1976.

მ. ბლოკი. ფრანგული აგრარული ისტორიის ძირითადი ნიშნები, მოსკოვი, 1957. (რუს.).

გლეხობის ისტორია ევროპაში. ფეოდალიზმის ეპოქა. მოსკოვი. 1985-1986.

და თვით მნიშვნელოვან საეკლესიო თანამდებობაზე მეფის უკითხავად არავენ ინიშნება.

ფრანსუა პირველის მეფობის ხანგრძლივი პერიოდი (1515-1547) ითვლება ფრანგული აბსოლუტიზმის დიდი გამარჯვების წლებად. მეფემ მტკიცედ დაიმორჩილა ეკლესიაც კი. ფრანსუა პირველსა და რომის პაპ ლეო მეათეს შორის დადებულ ბოლონიის კონკორდატის თანახმად საფრანგეთის მეფეს უფლება ეძლეოდა დაენიშნა ეპისკოპოსები. გარდა ამისა, საფრანგეთის ეკლესიის შემოსავლის უმეტესი ნაწილი არა რომის პაპის, არამედ საფრანგეთის მეფის ხელში გადადიოდა.

ფრანსუა პირველმა შეწყვიტა გენერალური შტატების მოწვევა და ურყევად იცავდა იმ აზრს, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს არა გენერალურ შტატებს, არამედ მეფეს. მეფის იურისტები ამტკიცებენ, რომ მეფე კანონებზე მაღლა დგას და არც ერთ კანონს არ შეუძლია მისი უფლებების შეზღუდვა. საფრანგეთის პარლამენტს (სასამართლო უწყებას) უფლება ჰქონდა რეგისტრაციაში გაეტარებინა მეფის მიერ გამოცემული კანონები (ედიქტები). ფრანსუა პირველმა პარლამენტს აუკრძალა სახელმწიფო საქმეებში ჩარევა.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში მეფე ლუი მეცამეტის (1610-1643) ზეობის წლებში 1624 წლიდან ქვეყნის მართვა-გამგებლობის სადავეები თავს იყრის კარდინალ რიშელიეს ხელში. ამ ხანებში ცენტრიდან დანიშნული პირების უფლებამოსილება ვრცელდება ყველა მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეზე. პარიზიდან ჩამოსული ინტენდანტები განაგებდნენ როგორც ადგილობრივ სამხედრო ძალებს, ასევე გადასახადების აკრეფის საქმეს სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ და არმიაში ხალხის გაწვევასაც კი. პარიზიდან ჩამოსული პოლიციის, იუსტიციის და საფინანსო საქმეთა ინტენდანტების ხელში იყო მთელი ძალაუფლება ადგილებზეც კი. ცენტრიდან მივლინებული მოხელე განაგებდა ადგილობრივ პოლიციასაც.

მეფის ერთ-ერთი პირველი მინისტრი მარკიზი დე არჟანსონი თავმომწონედ წერდა კიდევაც, რომ საფრანგეთის სამეფოს მართავს ოცდაათი ინტენდანტი, რომ საფრანგეთში არ არსებობს არც პარლამენტი, არც გენერალური შტატები, არც გუბერნატორები, და იმ ოცდაათ ინტენდანტზე, რომლებიც პროვინციების სათავეში დგანან, დამოკიდებულია საფრანგეთის ბედნიერება და უბედურებაო.

მეფის ხელისუფლების გაძლიერებამ, ფეოდალთა გაუ-
თავებელი ომების აღკვეთამ, სახელმწიფო წესრიგის დამყარებამ,
იმ დადებითი ფუნქციების შეგნებამ, რაც აბსოლუტურ მონარქიას
მოცემულ ხანაში გააჩნდა, გამოიწვია სათანადო სამეცნიერო-
ლიტერატურის წარმოშობა. ამ მხრივ აღსანიშნავია ჟან ბოდენის
(1530-1596) თხზულება “სახელმწიფო”. ეს წიგნი 1576 წელს
დაიბეჭდა. ჟან ბოდენი ღრმა მკვლევარი იყო და ცხადია ის
გონების თვალთ ხედავდა, რომ ფრანგული აბსოლუტიზმი
ისტორიული აუცილებლობის პროდუქტი იყო და ამ აუცილე-
ბლობას ემსახურებოდა. ის მკაცრად აკრიტიკებდა ე. წ.
“მონარქომახებს”, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების
წარმოშობას მეფესა და ხალხს შორის დადებული ხელშეკ-
რულებით ხსნიდნენ. ბოდენის აზრით მეფე თვითონ არის წყარო
ყოველგვარი ხელისუფლებისა და სამართლისა, მეფეს აქვს
უფლება დაითხოვოს გენერალური შტატებიც კი. ჟან ბოდენი
მმართველობის საუკეთესო ფორმად მონარქიას თვლიდა. მისი
აზრით მეფის ხელისუფლება, მიუხედავად მისი ოპტიმალურობისა,
ღვთაებრივი წარმოშობის არ არის. ბოდენი იხრება ისეთი
მონარქიის სასარგებლოდ, როდესაც მეფეს მტკიცე ხელისუფლება
ექნება ხელთ, მაგრამ ტირანი არ იქნება. ამიტომ ზოგიერთები
მას კონსტიტუციურ მონარქადაც კი თვლიან. სახელმწიფოს
უმთავრეს ნიშნად ის თვლის სუვერენიტეტს და იცავს სახელმწიფო
სუვერენიტეტის განუყოფლობის პრინციპს. ჟან ბოდენი
წინააღმდეგი იყო ხელისუფლების დანაწილებისა. პოლიტიკური
რევოლუციების მთავარ მიზეზად მას მიაჩნდა მოქალაქეთა
ქონებრივი უთანასწორობა, მის კალამს ეკუთვნის 1593 წელს
დაწერილი ნაშრომი “შვიდი ადამიანის დიალოგი”, სადაც ის
იცავს სარწმუნოების თავისუფლების იდეას და ე.წ. “ბუნებრივი
რელიგიის” მომხრედ მოჩანს. ე. ბოდენი იყო ე.წ. მესამე წოდების
დეპუტატი ქ. ბლუას გენერალურ შტატებში და არც არის
გასაკვირი, რომ ვაჭრობის თავისუფლების აუცილებლობას
ქადაგებდა (“პასუხი მ. მოლესტრუს პარადოქსებზე”). ჟან ბოდენი
კარგად იცნობდა არისტოტელეს ნაშრომებს, პატივს სცემდა მათ,
მაგრამ ამავე დროს გამოთქვამდა ანტიკური ეპოქის ამ ერთ-
ერთი უდიდესი ფილოსოფოსისაგან განსხვავებულ შეხე-
დულებებსაც. მისი იდეალი იყო საერო მიმართულების ეროვნულ-
ცენტრალიზებული სახელმწიფო. მართალია, ზოგჯერ ე. ბოდენი
სახელმწიფოს განმარტავდა როგორც ოჯახების ერთობლიობას,

მაგრამ ამავე დროს ესმოდა სახელმწიფოს არსებითი განსხვავება ოჯახისაგან. ეს განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოს ცნება განუყრელად დაკავშირებულია სუვერენიტეტის ცნებასთან. სუვერენიტეტის იდეის რაღაც მსგავსი ცნობილი იყო ანტიკურ სამყაროში და საშუალო საუკუნეებში, მაგრამ სახელმწიფო სუვერენიტეტის ბურჟუაზიული იდეა, ახლებურად გაგებული იდეა ეკუთვნის ჟან ბოდენს.

ბოდენის აზრით სუვერენიტეტი არის სახელმწიფოს ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი სხვა პოლიტიკური წარმონაქმნებისაგან. სუვერენიტეტი არის სახელმწიფოს აბსოლუტური და მუდმივი ხელისუფლება. სუვერენიტეტის აბსოლუტურობა ნიშნავს იმას, რომ სუვერენული ძალაუფლება შეუზღუდველია. ის არაფრით არ არის შეპირობებული და თანაც სუვერენიტეტის ატრიბუტები დანაწილებას არ ექვემდებარება.

ბოდენის მიხედვით სუვერენიტეტის ნიშნებია:

1. ძალაუფლება სახელმწიფოში კანონების დაწესებისა და ცალკეულის მიმართ;
2. ომის დაწყებისა და ზავის შეკერის ძალაუფლება;
3. თანამდებობის პირების დანიშვნის უფლება;
4. უკანასკნელი ინსტანციის მართლმსაჯულების უფლება;
5. შეწყალების უფლება.

ჟან ბოდენის თანახმად, როგორც სხვადასხვა ბგერები წარმოქმნიან ჰარმონიას, ასევე სიღარიბე, სიმდიდრე, სიბრძნე და ბოროტება ჰქმნის ჰარმონიას სახელმწიფოში.

ამ საკმაოდ ვრცელი მიმოხილვის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია მიმოვიხილოთ შუა საუკუნეების ფრანგული სამართლის წყაროებიც. პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ფეოდალური საზოგადოება მეთექვსმეტე საუკუნეებში განვითარების უნარიანი აღმოჩნდა, რის შედეგადაც სამართლის ის წყაროები, რომლებიც მეექვსე-მეცხრე საუკუნეებში საზოგადოებრივ ურთიერთობებს აწესრიგებდა, თანდათან მივიწყებას მიეცა. ძალადაკარგული აღმოჩნდა ბარბაროსული სამართლის წიგნები და მეფეების მიერ გამოცემული კაპიტულარები. თანდათან ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის ნორმები იძენენ დიდ მნიშვნელობას ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საფრანგეთის ტერიტორიაზე მეთექვსმეტე საუკუნემდე არსებობდა სამართლებრივი ნორმების მოქმედების პიროვნული პრინციპი, ადამიანი რომელ ტომსაც ეკუთვნოდა, მისი სამართლებრივი ნორმებით ცხოვრობდა. მაგრამ მეთექვსმეტე საუკუნიდან მოყოლებული

ხსენებული პრინციპი თანდათან უარყვეს და შემოიღეს სამართლებრივი ნორმების მოქმედების ტერიტორიული პრინციპი.

სოფლის მოსახლეობა, რომელიც გარკვეული საფეოდალოს ფარგლებში ცხოვრობდა, ამავე საფეოდალოში მოქმედი ჩვეულებითი სამართლის ნორმების მეშვეობით აწესრიგებდა ურთიერთშორის დამოკიდებულებას, სამოქალაქო და სხვა ხასიათის დავებს. ჩვეულებითი სამართლის ნორმების ასეთ სისტემატურ კრებადობას – კუტიუმებს ერთმანეთისაგან განსხვავებული ნორმებიც გააჩნდათ, მაგრამ მათ შორის მრავალი რამ საერთოც იყო, რაც გამომდინარეობდა წარმოებით ურთიერთობათა ფეოდალური ტიპის ფრანგული ვარიანტის თავისებურებებისაგან. შუა საუკუნეების საფრანგეთში ასეულობით ასეთი კუტიუმი მოქმედებდა. ზოგიერთი კუთხის ჩვეულებითი სამართლის ნორმებში შენარჩუნებული იყო ძველ, აღრეფეოდალურ ხანაში მოქმედი ნორმების მცირე ნაწილიც.

თვით ფეოდალური საფრანგეთის შიგნით აშკარად გამოიკვეთა განსხვავება ჩრდილოეთ და სამხრეთ საფრანგეთს შორის. ჩრდილოეთ საფრანგეთში უფრო მეტად იგრძნობოდა გერმანელი ტომების ჩვეულებითი სამართლის ნორმების მოქმედება. სამხრეთ საფრანგეთში კი გარკვევით იგრძნობოდა ძველი რომის სამართლისა და რომაული ტრადიციების ზეგავლენა. ჩრდილოეთ და სამხრეთ საფრანგეთის მიახლოებით საზღვრად ითვლებოდა მდინარე ლუარა. ჩრდილოეთ საფრანგეთს შუა საუკუნეებში თვლიდნენ ჩვეულებითი სამართლის ნორმების მოქმედების რეგიონად. ხოლო, რაც შეეხება სამხრეთ საფრანგეთს, მას დაუმკვიდრდა წერილობითი სამართლის ქვეყნის სახელი. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, მართალია, სამხრეთ საფრანგეთში ძირითადად მოქმედებდნენ რომის სამართალი, მაგრამ ამასთან ერთად აქ სუბსიდარულად, ცხოვრების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით იყენებდნენ საერთო ხასიათის ჩვეულებითი სამართლის ნორმებსაც.

საფრანგეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე სამართლის გერმანული და რომანული საწყისები ერთმანეთს შეხვდნენ და ერთმანეთი გაამდიდრეს, რასაც თან მოჰყვა სამართლის იდეის აღორძინება. მართებულად აღნიშნავს რენე დავიდი: “რომანულ – გერმანული სამართლებრივი ოჯახი უკავშირდება აღორძინებას, რომელიც XII და XIII საუკუნეებში მოხდა ევროპის დასავლეთში. აღორძინება ყველა მიმართულებით გამოვლინდა; ერთ-ერთი

მნიშვნელოვანი ასპექტი იურიდიული იყო, ახალმა საზოგადოებამ კვლავ შეიგნო სამართლის აუცილებლობა. იგი თანდათან რწმუნდებოდა, რომ მხოლოდ სამართალს შეუძლია უზრუნველყოს წესრიგი და უშიშროება, რასაც ღვთიური ჩანაფიქრი გულისხმობს და რაც აუცილებელია პროგრესისათვის”.¹

ჩვეულებითი სამართლის ნორმებში მკვეთრად არ იყო გამიჯნული მორალი და სამართალი, ხოლო ეკლესია XIII საუკუნისათვის, როგორც ამის შესახებ რენე დავიდიც აღნიშნავდა, მკვეთრად მიჯნავდა მორწმუნეთა რელიგიურ ერთობას და საერო საზოგადოებას, სინდისის სამართალს და მართლმსაჯულებას და ამ ეპოქაში კანონიკური კერძო სამართალი შეიმუშავა. XIII საუკუნის საფრანგეთში უკვე რელიგიასა და მორალს აღარ ურევდნენ სამოქალაქო წესრიგსა და სამართალში “სამართალმა კვლავ აღიდგინა თავისი როლი და ავტონომია, რაც ამიერიდან დასავლეთის ცივილიზაციის და აზროვნების წესრიგის დამახასიათებელი ხდება. იდეა, რომ საზოგადოება გონების ნორმებს დაემორჩილოს და უნდა სამართლის საშუალებით იმართებოდეს, ახალი არ იყო. იგი აღიარებული იყო რომაელების მიერ კერძო პირებს შორის ურთიერთობებში. მაგრამ ამ იდეებისკენ მობრუნება XII საუკუნეში რევოლუციური ნაბიჯია. ფილოსოფოსები და იურისტები მოითხოვდნენ, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობები სამართალზე დაფუძნებულიყო და საუკუნეების განმავლობაში გამეფებულ ანარქიას და თვითნებობას ბოლო მოეღებოდა”.²

ახლა ისევ დაუზრუნდეთ საფრანგეთში არსებულ ვითარებას XIII-XIV საუკუნეებში.

ჩრდილოეთ საფრანგეთში მოსამართლეებს უნდა ეხელმძღვანელათ დაუწერელი ჩვეულებითი სამართლის ნორმებით. როგორც წესი, საკმაოდ ძნელი იყო თვით ამ სამართლის ნორმების დადგენა. რიგ შემთხვევებში ეს დაუწერელი ხალხური სამართლის ნორმები მოსახლეობის სხვადასხვა ფენას, სხვადასხვა პიროვნებებსაც კი სხვადასხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი. საჭირო

¹ რენე დავიდი. თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები. გამომც. განათლება. თბილისი, 1993, გვ. 44-45.

² იქვე. გვ. 45.

იყო მოქმედი ჩვეულებითი სამართლის ნორმების შინაარსის დადგენა, მასში გარკვევა. ამ მიზნით ხდებოდა “ბრბოს გამოკითხვა”. ადგილებზე ხალხის გამოკითხვა ხდებოდა ფიცის ქვეშ. გამოკითხული პირი ფიცულობდა, რომ მხოლოდ ჭეშმარიტებას მოახსენებდა სასამართლოს და შემდეგ წერილობით მოუთხრობდა მას, თუ რა იყო მისთვის ცნობილი მოცემული ჩვეულების არსებობის შესახებ. ბრბოს ანუ ხალხის გამოკითხვის დროს. “ხალხად” ჩაითვლებოდა ათი “მოწმე” მაგრამ გამოკითხვისას ათი კაცისაგან (“მოწმისაგან”) მიღებული ინფორმაცია განხილულია, როგორც ერთი მოწმის ჩვენება და რადგანაც ძველი ტრადიციის თანახმად ერთი მოწმის ჩვენება სანდო მტკიცებულებად არ ჩაითვლებოდა, ამიტომაც მოცემული ჩვეულების არსებობის დასადასტურებლად საჭირო იყო მეორე ათი კაცის გამოკითხვა “ხალხიდან” ზემოხსენებული წესით. რა თქმა უნდა, დაუწერელი – ჩვეულებითი სამართლის ნორმები უფრო ძნელი იყო გამოსაყენებლად. თავისი გაურკვეველობისა და წინააღმდეგობრიობის გამო, ვიდრე ჩაწერილი და ფიქსირებული ჩვეულებითი სამართლის ნორმები, ამიტომაც XIII საუკუნიდან ცდილობდნენ წერილობით დაეფიქსირებინათ იურიდიული ჩვეულებები. 1255 წლის ახლო ხანებში შედგენილ იქნა “ნორმანდიის ჩვეულებების დიდი კრებული”, რომელსაც სასამართლო პრაქტიკაშიც იყენებდნენ.

1273 წელს შეკრიბეს ორლეანის, ანჟუსა და ოვერნის კუტიუმები ერთ წიგნად, რომელსაც საფრანგეთში ზოგჯერ წმ. ლუის განწესებას ეძახდნენ. მასში მოთავსებული იყო ნაწყვეტები რომის სამართლის წყაროებიდან, კანონიკური სამართალი, აგრეთვე თვით ლუი (ლუდოვიკო) მეცხრის (1226-1270) ორდონანსებიც. ლუი მეცხრის მიერ გატარებული სასამართლო რეფორმის მიზანი იყო ფეოდალური იუსტიციის როლის დამცირება და მეფის სასამართლოების როლის ამაღლება. ფეოდალური სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრება შეიძლებოდა სამეფო სასამართლოში. 1282 წელს ფრანგმა იურისტმა ბომანუარმა შეადგინა “ბოვეზის კუტიუმები”, რომელმაც სახელი გაუთქვა მის შემდგენელს. ბომანუარი ითვლება ფრანგული სამართლის პირველ ყველაზე გამოჩენილ თეორეტიკოსად.

ბომანუარის “ბოვეზის კუტიუმებში” მითითებული იყო (1457), რომ ბოვეზის წეს-ჩვეულებები უფრო ჰუმანურია ყმების მიმართ,

ვიდრე სხვაგან საფრანგეთში. ბევრ სხვა ოლქსა და მხარეში სენიორებს შეუძლიათ თავიანთი ყმების სიცოცხლის და სიკვდილის გამგებლობა ისე, როგორც მათ სურთ. საფრანგეთის რიგ მხარეებში ფეოდალ მებატონეებს შეეძლოთ ყმები აეძულებინათ მუდმივად ეცხოვრათ თავიანთ მიწებზე, ბოვეზში კი მათ უფრო ადამიანურად ეპყრობოდნენ. თუ ყმა-გლეხი წეს-ჩვეულებით დაწესებულ რენტასა და სულადობრივ გადასახადს გადაიხდიდა, მას შეეძლო სამუშაოდ და საცხოვრებლად წასულიყო სენიორიის გარეთ, მაგრამ მას არ შეეძლო უარი ეთქვა სენიორიისათვის კუთვნილი საქორწილოს გადახდაზე. თუ ყმა თავისუფალ ქალაქში იცხოვრებდა, მაშინ ის ამ გადასახადისგანაც თავისუფალი იქნებოდა ჩვეულების ძალით.

ბომანუარის თხზულებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ მკვეთრად განსხვავდებოდნენ საფრანგეთის სხვადასხვა პროვინციების წეს-ჩვეულებები ერთმანეთისაგან. მაგრამ ბოვეზში, ჩრდილოეთ საფრანგეთის ერთ-ერთ მოწინავე კუთხეში გავრცელებული შედარებით ჰუმანური წეს-ჩვეულებებისათვის მხარდაჭერა სამეფო ხელისუფლების მხრივ უთუოდ პროგრესული მოვლენა იყო საფრანგეთის ისტორიაში.

ბოვეზის კუტიუმების მიხედვით ვასაღს არ შეეძლო სასამართლო ორთაბრძოლაში გამოეწვია თავისი სენიორი მანამდე, ვიდრე უარს არ იტყოდა ყმაზე და იმაზე, რაც მისგან ეჭირა.¹

1453 წლიდან უკვე სამეფო ხელისუფლების ბრძანებით ხდებოდა თითოეული პროვინციის კუტიუმების წერილობითი ფიქსირება, მათი ჩაწერა, მეთექვსმეტე საუკუნეში სამეფო ხელისუფლებას უკვე ხელთ ჰქონდა კუტიუმების კრებულები. ყველაზე მეტად ცნობილი გახდა პარიზის მიდამოებში მოქმედი კუტიუმები, მაგრამ ხელისუფლებას არც მათთვის არ ჰქონდა მიცემული ოფიციალური სტატუსი.

კუტიუმებს გარკვეულ კონკურენციას უწევდა მეფის ორდონანსები. მეფის ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად თანდათან იზრდებოდა ორდონანსების როლი. ე. ი. ისეთი საკანონმდებლო აქტების როლი, რომლებსაც სავალდებულოდ

¹ იხ. შუა საუკუნეების სამართალი. ტ. II, განვითარებული ფეოდალიზმის ხანა (XI-XV სს.). თბილისი, 1962, გვ. 127. შეადგინა და კომენტარები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ.

შესასრულებელი კანონების ძალა გააჩნდათ მთელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეფის ორდონანსების გვერდით მოქმედებდნენ მსხვილი სენიორების მიერ გამოცემული პრიზები. მეფის ორდონანსებს ზოგჯერ პრეტენზია ჰქონდათ ქვეშევრდომთა კერძო ცხოვრების სფეროს მოწესრიგებისა. მაშინდელ კანონმდებელს ეგონა, რომ სახელმწიფოს უფლება აქვს აქტიურად ჩაერიოს ქვეშევრდომთა კერძო ცხოვრებაში. ის ამას სავსებით ბუნებრივად მიიჩნევდა.

ჩვენამდე მოღწეული 1294 წ. ორდონანსი ფუფუნების წინააღმდეგ, სადაც ვკითხულობთ: 1. არც ერთ ბურჟუა ქალს არ უნდა ჰყავდეს ეტილი; 2. არც ბურჟუა მამაკაცი, არც ბურჟუა ქალი არ უნდა ატარებდეს არც ციყვის, არც ყარაყუმის ბეწვეულს და არა აქვთ უფლება ატარონ არც ოქრო, არც ძვირფასი თვლები, არც ოქროს გვირგვინები, არც ვერცხლი “ჰერცოგს, გრაფს, ბარონს, რომლებსაც აქვთ ექვსი ათასი ლივრის მიწა და მეტი, შეუძლიათ შეიკერონ არა უმეტეს ოთხ-ოთხი ტანსაცმლისა წელიწადში”.

“რაინდს, რომელსაც ექნება სამი ათასი ლივრის მიწა და მეტი, ასევე აზნაურებს, შეუძლიათ შეიკერონ არა უმეტეს სამი წყვილი ტანსაცმლისა წელიწადში, და ამ სამიდან ერთი იქნება საზაფხულო”.

“არავის არ უნდა ექნეს სადილად ორ თავ საჭმელზე მეტი და შეჭამანდი ღორის ქონით, ხოლო სამხრისათვის ერთი თავი და ერთიც მსუბუქი კერძი და თუ იგი მარხულობს, მას შეუძლია ექნეს ორი შეჭამანდი ქაშაყით და ორი თავი საჭმელი ან სამი თავი საჭმელი და ერთი შეჭამანდი”.¹

ხსენებული ორდონანსები მეფის ბრძანებით უნდა შეესრულებინათ ჰერცოგებს, გრაფებს, ბარონებს, პრელატებს, კლინიკოსებს “და სახელმწიფოს ყოველ ადამიანს”, რომელთაც ერთგულების ფიცი დადეს. ვინც ამ ორდონანსის მოთხოვნებს არ შეასრულებდა, მას ჯარიმის სახით უნდა გადაეხადა ასი ტურული ლივრი.

სავსებით მართებულია თავის დროზე მკვლევარ მ. ვ. ზიმლევის

¹ იხ. შუა საუკუნეების სამართალი. ტ. II, განვითარებული ფეოდალიზმის ხანა (XI-XV სს.). თბილისი, 1962, გვ. 130-131.

მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ძირითადი გარეგანი ფაქტორი, რასაც საფრანგეთის ჭრელ ფეოდალურ სამართალში ერთიანობა და მთლიანობა შეჰქონდა, იყო რომის სამართალი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო სამხრეთ საფრანგეთში, არამედ ზოგჯერ ჩრდილოეთშიაც, ჩვეულებითი სამართლის მოქმედების რეგიონში. რომის სამართალი თითქოს ავსებდა ჩვეულებითი სამართლის ნორმებში არსებულ ხარვეზებს.

არსებობდა სამართლის ისეთი დარგიც, რომელიც თითქმის არ იყო მოწესრიგებული ჩვეულებითი სამართლის ნორმებით და რომელიც მხოლოდ რომის სამართლის პრინციპების საფუძველზე წესრიგდებოდა. ეს იყო ვალდებულებითი სამართალი.

ჯერ კიდევ XII-XIII საუკუნეებში რომის სამართლის შესწავლას დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ მონპელიეს, ორლეანისა და რიგი სხვა ქალაქების უნივერსიტეტებში. კათოლიკური ეკლესიის მესვეურების მოწინავე, პროგრესული ნაწილი კარგად გრძნობდა, რომ რომის სამართალი თავისი განვითარების დონით მაღლა იდგა ე.წ. “ბარბაროსული სამართლის წიგნებთან” შედარებით და მის მიმართ დიდ ინტერესს იჩენდა. მაგრამ ეკლესიის გამოჩენილ მეთაურთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც რომის სამართალში მხოლოდ მტრულ ძალას, მტრულ იდეოლოგიას ხედავდნენ. მაგალითად, 1219 წელს პარიზის უნივერსიტეტში რომის სამართლის შესწავლა აიკრძალა პაპის განკარგულებით (ბუდით). მაგრამ, მიუხედავად ამისა, რომის სამართლის იდეები ჩვეულებითი სამართლის კრებულებშიაც აღწევდნენ იქამდე, რომ მათში დიგესტებიდან მოტანილ ციტატებსაც ვხვდებით.

რომის სამართლის გავლენა თვით კანონიკურ სამართალზეც იგრძნობოდა, მიუხედავად იმისა, რომ კანონიკური სამართლის მთელი რიგი სამართლებრივი პრინციპები ეწინააღმდეგებოდნენ ანტიკურ სამართლებრივ იდეებს. მაგალითად, ეკლესია ჰუმანიზმის და ზნეობის პოზიციებიდან უარყოფითად აფასებდა სასესხო პროცენტის აღებას საერთოდ და განსაკუთრებით კი დიდი ოდენობით პროცენტის აღებას. ეს კი, თავის მხრივ, სავაჭრო კაპიტალის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. რომის სამართალმა თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე მიაღწია განქორწინების თავისუფლებას, კათოლიკური ეკლესია კი განქორწინებას კრძალავდა.

ფრანგული სამართლის ძირითადი წყაროები X-XV საუ-

კუნეებში იყო ჩვეულებები (კუტიუმები), რომის სამართალი, კანონიკური სამართალი და XIII საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული საფრანგეთის მეფეების გამოცემული კანონები (ორდონანსები).

საფრანგეთი ევროპული ფეოდალიზმის კლასიკური ქვეყანა იყო და ცხადია, ამიტომაც წარმოებით ურთიერთობა ფეოდალური ტიპის ფრანგული ვარიანტი - ფრანგული ფეოდალური წეს-წყობილება სერიოზულ, მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენდა სამოქალაქო სამართლის განვითარებაზე. ასეც მოხდა: ძველი, რომის სამართლის კონცეფცია საკუთრებაზე როგორც ნივთზე სრულ ბატონობაზე ("დომინიუმ") უკვე არ შეესატყვისებოდა რეალურ სოციალურ პრაქტიკაში არსებულ ვითარებას. ამიტომ შეიცვალა შეხედულება საკუთრებაზეც. შუა საუკუნეების ფრანგული სამოქალაქო სამართლის მიხედვით ერთსა და იმავე ნივთს შეიძლება ჰქავდეს რამდენიმე მესაკუთრე, რომელთაც ამ ნივთზე სხვადასხვა მოცულობით გააჩნიათ საკუთრების უფლება.

სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად ისმის საკითხი: შეიძლება თუ არა ადრინდელი, განვითარებული და გვიანი ფეოდალიზმის ეპოქის საკუთრების უფლების რამდენადმე შინაარსიანი გასაზღვრა ერთი ფორმულის ქვეშ? რა თქმა უნდა, VIII-IX საუკუნეების დასავლეთ ევროპელი ვასალის მხრივ ბენეფიციუმის სიცოცხლისეული (სამისდღეშიო) სარგებლობის უფლება არ არის იგივე, რაც იმავე ვასალის უფლება X-XIII საუკუნეებში მემკვიდრეობით ღენზე. ბენეფიციუმში ჯერ კიდევ არ არის ღენი, არამედ მხოლოდ მისი ჩანასახია, მომავალში მისი განვითარების შესაძლებლობაა.

ფეოდალური იერარქია და ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდის ვასალური ურთიერთობა, რასაკვირველია, ძალიან ცოტათი ჰგავს აბსოლუტური მონარქიის პერიოდის აზნაურთა ურთიერთობას ძლიერი მეფე-მონარქით სათავეში. სავალდებულო სამხედრო და სამოქალაქო სამსახურისაგან თავადაზნაურობის გამოთავისუფლებამ კი საცხებით შეცვალა თავადაზნაურული მამულის "სახე", როგორც ზემოხსენებულ სამსახურთან დაკავშირებული მიწათმფლობელობისა.

განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში მიწათმფლობე-

ლობის პირობითობას სულ სხვა გარკვეულობა აქვს, ვიდრე გვიანნი ფეოდალიზმის ხანაში.¹

ეს გარემოება, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ხელი ავიღოთ ზოგადი ცნებების სარგებლობაზე, შემოვისას ღვრით მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებში ფეოდალურ ურთიერთობათა კვლევით. მართალია, ცალკეულ ქვეყნებში სხვადასხვა საუკუნეებში და ერთსადაიმავე დროს ერთი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში ფეოდალიზმი რიგ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ნიშნებს ამჟღავნებს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მათ საერთო ტიპური ნიშნები არ ახასიათებთ. ისტორიკოსს, ეკონომისტსა თუ იურისტს შეუძლია, რიგ შემთხვევაში ყურადღება არ მიაპყროს ცალკეული ქვეყნის ისეთ თავისებურებებს, რომლებიც განვითარების საერთო ხაზისათვის დამახასიათებელი არ არის, და ისინი საერთო ტიპის ქვეშ მოაქციოს. საკითხი ბენეფიციუმის შესახებ მისი წმინდა, კლასიკური ფორმით, რომელიც, რასაკვირველია, გარდამავალი იყო და ყველგან ერთდროულად არ მიმდინარეობდა, კარგად უნდა იქნეს გამოკვლეული. მაგრამ ეკონომიკური ურთიერთობების ასეთი ისტორიული ფორმები შეიძლება გავიგოთ მაშინ, როცა ვაკვირდებოდით მას მხოლოდ მისი წმინდა გამოვლინების დროს. გერმანელი მკვლევარის, ისტორიკოს როტის ერთ-ერთი მთავარი დამსახურება, სახელდობრ, იმაში მდგომარეობს, რომ მან გაწმინდა ბენეფიციუმის ეს კლასიკური ფორმა მისი დამჩრდილველი ჩენჩოსაგან.

მართალია არიან ის მეცნიერი იურისტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ განსასხვავრული საზოგადოებრივი ურთიერთობების ისტორიული ფორმების შესწავლა საჭიროა მისი "წმინდა კლასიკური ფორმით", ანუ, რაც იგივეა, მისი ყველაზე უფრო ტიპური ფორმით. აი ის გზა, რომლითაც უნდა მიდიოდეს იურისტი-ისტორიკოსი ფეოდალური საკუთრების კვლევის დროს. აუცილებელია შევისწავლოთ და გავაანალიზოთ ფეოდალური სამართლის ინსტიტუტები მის ყველაზე უფრო წმინდა, ტიპური ფორმით, მისი ყველაზე უფრო განვითარებული სახით. ეს რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ მკვლევარის მხედველობის არის გარეშე დარჩეს მისი შესასწავლი ინსტიტუტის განვითარების

¹ იხ. ა. ვენედიქტოვი, ლიტ. თხზ. გვ. 99-100.

საწყისი და საბოლოო სტადიები. მხოლოდ შევისწავლით რა ფეოდალური საკუთრების უფლებას მის მოძრაობაში, მის აღმოცენებასა და გაქრობაში, შეიძლება მივიღოთ სწორი წარმოდგენა ამ ინსტიტუტის არსის შესახებ მისი “წმინდა, კლასიკური ფორმით”.

ვასალური ურთიერთობის განვითარების საწყის სტადიაში ბენეფიციუმის სახით ვასალისათვის სამისდღეშიო სარგებლობაში მიწის მწყალობელი სენიორი, თავისთვის იტოვებდა ნაწყალობევი მიწის საკუთრების უფლებას, არ იყოფდა რა მას ვასალთან ერთად. როდესაც ბენეფიციუმი გადაიქცა მემკვიდრეობით ლენად – მისი “წმინდა, კლასიკური ფორმით”, მათი ურთიერთობა მიწასთან მიმართებით იქნეს განვითარებული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი დანაწევრებული საკუთრების ტიპურ ფორმას, ხოლო გვიანი ფეოდალიზმის ეპოქაში საკუთრების უფლება, ხელახლა კონსოლიდირდება, მაგრამ, როგორც წესი, უკვე ვასალის პიროვნებაში¹. საკუთრების უფლება, ასე თუ ისე, კეთილშობილებასთან იყო დაკავშირებული. ფრანგული წეს-ჩვეულებების მიხედვით კეთილშობილება შეიძლებოდა შეეძინა ადამიანს კეთილშობილის მიწის შეძენით. თუ კაცი ასეთ მიწას შეიძენდა, ის აზნაური ხდებოდა. ხოლო, თუ ვინმე თავისუფალი პირი, ყმა-გლეხის ადგილ-მამულს შეიძენდა, თავისუფლებას კარგავდა და ყმად იქცეოდა.

საადგილმამულო ურთიერთობაში დიდ როლს თამაშობდა იურიდიული პრეზუმფცია – ფორმულა, რომ არ არის მიწა სენიორის გარეშე, რომ არ არსებობს ადგილ-მამული ფეოდალის ქვემდებარეობის გარეშე, რომ ყოველი მიწა-ალაგი ვილაციის იურისდიქციის ქვეშ უნდა იყოს, მაგრამ XII–XIII საუკუნეებში ამ იურიდიულ ფორმულაში ფეოდალებმა ახალი შიანარსი ჩადეს, მას ახლებური ახსნა-განმარტება მისცეს. ყველა მიწისმფლობელი რომელიმე სენიორისაგან უნდა იყოს დამოკიდებული. დიდი ბრძოლა გაჩაღდა წესის “არ არის მიწა სენიორის გარეშე” გაგების გარშემო მეთექვსმეტე საუკუნეში, როდესაც კუტიუმების ოფიციალური რედაქციები მზადდებოდა. ფეოდალებს უნდოდათ, რომ ალლოდები, რომლებიც მიახლოებით მაინც თავისუფალ

1 იხ. მ. ბარგი. გამოკვლევები ინგლისური ფეოდალიზმის ისტორიიდან XI-XIII სს. მოსკოვი, 1962, გვ. 106-137 (რუს. ენაზე).

პირთა კერძო საკუთრებას წარმოადგენდა და ზოგან ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო, გადაეციათ ფეოდალების სამფლობელოებად.

ცნობილია, რომ ალლოდები უფრო გავრცელებული იყო სამხრეთ საფრანგეთში, რომის სამართლის ნორმების მოქმედების მხარეში. და სწორედ აქ ჩნდება ახალი სამართლებრივი ფორმულა “არ არსებობს სენიორი ტიტულის გარეშე”. ეს იმას ნიშნავდა, რომ თუ სენიორი თავისი მესაკუთრული პრეტენზიის დასაბუთებას სანდო მტკიცებულებით ვერ დაადასტურებდა, ის ადგილ-მამულს ვერ დაეუფლებოდა. ფეოდალს სათანადო ტიტულის წარმოდგენა მოეთხოვებოდა, მტკიცების ტვირთი მას ეკისრებოდა. ეს გარემოება კი იმის საწინდარი იყო, რომ ფეოდალური წესწყობილების ძირითადი პრინციპი – დამოკიდებული მიწათმფლობელობის პრინციპი – არ იყო საყოველთაოდ აღიარებული.

ფეოდალური მიწათმფლობელობის ძირითადი ფორმა იყო ფეოდი. სენიორი თავის ადგილ-მამულის ნაწილს უთმობდა მის ვასალს, რომელიც ფეოდალური ხელშეკრულების ძალით კისრულობდა ერთგულების ვალდებულებას. ხელშეკრულების სენიორისადმი გარკვეული სამსახურის გაწევასაც გულისხმობდა, მაგრამ ვასალი სენიორის მიერ მისთვის დათმობილი მიწის სრული მესაკუთრე არ იყო. თუ სენიორი ვასალისათვის გადაცემულ მიწაზე თავის უფლებებს გაასხვისებდა, აუცილებელი იყო სენიორის ნებართვა. თუ ვასალი უშვილოდ გადაეგებოდა, საერთო წესის თანახმად, ბეითაღმანი ფეოდი სენიორს უნდა დაბრუნებოდა. ეს წესი მოქმედებდა საფრანგეთში. გავისხსენოთ, რომ იგივე წესი ცნობილი იყო საქართველოშიც.

ვასალებს ფეოდის მიმართ გააჩნდათ მფლობელისა და სარგებლობის უფლება. ფეოდი გადაადიოდა მემკვიდრეობის სამართლის საფუძველზე ვასალის მემკვიდრეზე. ეს უკანასკნელი კი ვალდებული იყო სპეციალური გადასახადი – “რელიეფი” გადაეხადა სენიორისათვის მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებით. ეს ბაუი, ანუ გადასახადელი გადაფორმებისათვის დაახლოებით ფეოდის წლიური შემოსავლით განისაზღვრებოდა.¹

საფრანგეთში XIII საუკუნიდან ახალი სიო იგრძნობოდა. საზოგადოება უფრო დინამიური ხდება. ვასალების უფლებაც

¹ იხ. მ. ვ. ზიმელევა. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. ნაწ. II, 1947, მოსკოვი (რუს.). თავი VI.

ფართოვდება ფეოდის მიმართ. ამ დროიდან ვასალებს მიეცათ შესაძლებლობა ფეოდი სხვა პირისათვის გადაეცათ სენიორის ნებართვის გარეშე, რა თქმა უნდა, სენიორისათვის გარკვეული საზღაურის გადახდის პირობით. თუ ვასალი თავისუფლად წესისამებრ და ხელშეკრულებისამებრ სარგებლობდა ფეოდით, მის ხელთ იყო ფეოდის მფლობელობისა და სარგებლობის უფლება. მაგრამ როდესაც დადგებოდა ფეოდის განკარგვის საკითხი, მაშინვე თავს იჩენდა სენიორის შესაკუთრულ-საგანკარგულებო უფლებები.

პირადად თავისუფალ გლეხებს საფრანგეთში “ვილლანებს” და “როტიურიებს” ეძახდნენ. ისინი ადგილ-მამულზე იხდნენ ცენზივის, სხვანაირად ვილლანაუის წესით. ალლოდის ან ფეოდის მფლობელი გლეხს - ცენზიტორს უთმობდა მიწის მემკვიდრეობით სარგებლობის უფლებას, რისთვისაც გლეხს დროის გარკვეულ შუალედში, პერიოდულად უნდა გადაეხადა სათანადო გადასახდელი. ვილლანი პიროვნულად თავისუფალი იყო და მას სამხედრო სამსახურიც კი არ ევალებოდა. ვილლანი მიწით სარგებლობისათვის იხდიდა “ცენზს”, რომელსაც მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა თუ ჰქონდა. მაგრამ სოციალურ პრაქტიკაში თანდათან დამკვიდრდა “ზეცენზი”, ანუ ცენზის ზევით ფულადი გადასახდელი ფეოდალის ადგილ-მამულის სარგებლობისათვის და სწორედ ეს უკანასკნელი იყო ფეოდალთა შემოსავლის ძირითადი წყარო.

ცენზივის სახეობა იყო აგრეთვე “შამპარი”, ანუ მონაწილეობა. ამ შემთხვევაში მიწის მესაკუთრე მიიღებდა მოსავლის წინასწარ დადგენილ წილს რენტის სახით მიწათმოქმედისაგან. მოზიარეობა, იგივე მოღალეობა-მოწილეობა ეკონომიკის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ხელს უმართავდ საზოგადოების და სახელმწიფოს განვითარებას.

საფრანგეთში მიწის პირობის, ანუ ადგილ-მამულის ჭერის პირობები, ფეოდი იჩნებოდა ის, ცენზივა თუ სხვა რამ, მეტისმეტად მრავალფეროვანი იყო. აქ მიწის მპყრობელი ახორციელებდა მისი მფლობელობისა და სარგებლობის უფლებამოსილებას მეტ-ნაკლებად დაუბრკოლებლად გარკვეული პირობების დაცვით და გარკვეულ საუკუნეებში მას შეეძლო მისი გასხვისებაც კი.

ის გარემოება, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში სენიორებს ჰქონდათ მიწის რენტის მიღების უფლება და ფაქტობრივად სარგებლობდნენ ამ უფლებით, იმაზე მიგვიითითებს, რომ მიწის მეპატრონეები სენიორები იყვნენ.

დროის გარკვეულ მონაკვეთზე ისეთი ურთიერთობა ყალიბდება, რომ ფეოდალური ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე - ფეოდალი, ვასალი თუ ცენზიტორი, გვევლინებიან როგორც მესაკუთრეები, თუმცა სხვადასხვა სახით.

“ასეთი ვითარების დასასაბუთებლად შუა საუკუნეების იურისტებმა შექმნეს და განავითარეს თეორია ე. წ. დანაწევრებული ან გაორებული საკუთრების შესახებ. ეს მოძღვრება პირველად წამოაყენა გლოსატორების იტალიურმა სკოლამ მემკვიდრეობითი არენდის (იჯარის) რომაული ინსტიტუტის იგივე ემფიტევზისის მიმართ და გაავრცელა ის ფეოდალურ საკუთრებაზე. 1258 წელს სწავლული იურისტის აკკურსის გლოსაში ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო ე. წ. პირდაპირი საკუთრება (“დომინიუმ დირექტუმ”) და პრაქტიკული საკუთრება (“დომინიუმ უტილე”). პირველი ეკუთვნოდა ფეოდალ მებატონეს, ხოლო მეორე - მიწის მფლობელს, მიწათმოქმედს.

თეორია დანაწევრებული საკუთრების შესახებ საფრანგეთში მკვიდრდება მეცამეტე საუკუნეში. ცხადია, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა საუკუნეში იცვლებოდა საკუთრების შემადგენელი ელემენტების ბალანსიც და ის ხან ფეოდალის ხელში, ხან კი მიწის მპყრობელის ხელში გროვდებოდა. მაგრამ იყო ასეთი კანონზომიერებაც: რაც უფრო დრო გადიოდა, მიწის ფაქტობრივი მფლობელის ხელში იყრიდა თავს საკუთრების ელემენტების ბალანსი. საფრანგეთში კი თანდათან ყალიბდებოდა “რენტეგრანდეს” იდეა, რომელიც გულისხმობდა ფაქტობრივად ჩამოყალიბებული ურთიერთობის დაცვას.

საფრანგეთში ფეოდალური საკუთრების სამართლის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კანონიკური სამართლის იდეებმა და საეკლესიო სასამართლო პრაქტიკამ.

ფრანგული ფეოდალური სამართლისათვის, რომელიც ძირითადად ჩვეულებითი სამართლის ნორმებით საზრდოობდა, გირავნობის სამართალი, როგორც კრედიტორსა და დებიტორს შორის სამართლებრივ ურთიერთობათა მომწვესრიგებელი ნორმების სისტემური ერთობლიობა, როგორც საშუალება გასესხებულის პროცენტით ამოღებისა დებიტორის დაგირავებული ქონების გაყიდვის საშუალებით, თითქმის უცნობი იყო. კრედიტორის უზრუნველსაყოფად დებიტორს ადგილ-მამული ჩამოერთმეოდა და გადაეცემოდა კრედიტორს. ეს უკანასკნელი ვალდებული იყო ადგილ-მამული ჩაებარებინა დებიტორისათვის,

თუ ის ვალს დაფარავდა. ასეთ ვითარებაში, როდესაც კრედიტორის ხელში გადადიოდა ადგილ-მამული, დებიტორის ქონება თითქოს კედებოდა, ამიტომ მას მკვდარი ერქვა. კრედიტორი დებიტორის ადგილ-მამულის შემოსავალს ღებულობდა, როგორც მის მიერ გადაცემული სესხისათვის კუთვნილ პროცენტს. მაგრამ კანონიკური სამართალი პროცენტის აღებას კრძალავდა. ამიტომ სესხის დაფარვის ზემოხსენებული ფორმა კანონიკური სამართლის დანაწესისათვის გვერდის აელის საშუალება იყო. ჩქარა რომის პაპმა აკრძალა ე. წ. "მკვდარი გირაო". ეს მოხდა მეთორმეტე საუკუნეში.

მაგრამ მკვდარი წინდის გვერდით განჩნდა ცოცხალი წინდის (გირაოს) პრაქტიკაც. "ცოცხალი" გირაოს შემთხვევაში, კრედიტორისათვის გადაცემული დებიტორის ადგილ-მამულიდან ხდებოდა სესხის ძირითადი თანხის (თაენის) დაფარვა.

საფრანგეთის სახელმწიფო და სამართალი აბსოლუტიზმის ხანაში (XVI-XVIII საუკუნეები)

არ იქნება შეცდომა, თუ ვიტყვით, რომ ე.წ. აბსოლუტიზმის პერიოდი საფრანგეთში მისი წინარე ეპოქის განვითარების ტენდენციების ლოგიკურ-ისტორიული შედეგი იყო. ადრე-ფეოდალური მონარქიის წიაღში წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის განვითარებამ, მასში მოცემულ შესაძლებლობათა გამოვლინებისას, თანდათან ხელი შეუწყო აბსოლუტიზმის განვითარებას. ცხადია, აბსოლუტიზმი ისტორიული აუცილებლობის პროდუქტიც იყო.

აბსოლუტური მონარქია არსებობდა როგორც საფრანგეთში, ასევე ესპანეთსა და იტალიაში, არსებობდა ის გერმანულ სამყაროშიც, მაგრამ "განათლებული აბსოლუტიზმის სახით".

1902 წელს რუსულ ენაზე დაიბეჭდა მკვლევარ-ისტორიკოსის პ. ნ. არდაშევის წიგნი - "აბსოლუტური მონარქია დასავლეთში. ხსენებული ნაშრომის შესავალში ავტორი აღნიშნავდა, რომ აბსოლუტიზმი წარმოადგენს XVI-XVIII საუკუნეებისათვის ისეთსავე გაბატონებულ პოლიტიკურ ფიზიონომიას, როგორსაც წარმოადგენდა ფეოდალიზმი მეცხრე-მეცამეტე საუკუნეებისათვის და წოდებრივი მონარქია XIV-XV საუკუნეებისათვის (გვ. 1).

აქ ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ

გარემოებას, რომ პ. ნ. არდაშევი, ისევე როგორც მრავალი მისი თანამედროვე, მიიჩნევდა რომ ფეოდალიზმი სხვა ქრონოლოგიურ ჩარჩოებში არსებობდა საფრანგეთში, ვიდრე ეს ბოლო წლების სამეცნიერო ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებში იყო მიღებული. მეოცე საუკუნის დასაწყისის რუსი მეცნიერებისათვის ფეოდალიზმი მხოლოდ მეცხრე-მეცამეტე საუკუნეების საფრანგეთში არსებობდა. ფეოდალიზმის ასეთი გაგება თავის დროზე უარყო საბჭოთა ისტორიოგრაფიამ, მაგრამ არც თუ საფუძვლიანად. მომავალში საჭირო იქნება თანდათან გავთავისუფლდეთ პოლიტიკურ-იდეოლოგიური მოსაზრებებით თავს მოხვეული სქემებისაგან და მხოლოდ მეცნიერულად შემოწმებული ფაქტებისა და სქემების გათვალისწინებით ვაწარმოთ კვლევა-ძიება. მარქსიზმს უფრო ფართოდ ესმის ფეოდალიზმი, ვიდრე ეს ესმოდათ პ. არდაშევს, ნ. ადონცს, ი. ჯავახიშვილსა და სხვა მკვლევარებს. მაგრამ მარქსისტული კონცეფცია კრიტიკულად უნდა იქნეს განხილული და თუ რაიმე ფასეულია მარქსისტი მკვლევარების ნაშრომებში, მხედველობაში იქნეს მიღებული. ახალ კი ისევ დაუბრუნდეთ აბსოლუტური მონარქიის პრობლემას საფრანგეთში და სხვა დასავლეთ ევროპულ ქვეყნებში.

ცხადია, აბსოლუტური მონარქია ერთგვაროვნულად არ იყო გაბატონებული მთელ დასავლეთ ევროპაში და ის ყოველთვის არ თავსდებოდა მეთექვსმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების ქრონოლოგიურ ქარგაში. ის ზოგან ადრე, ზოგან მოგვიანებით იჩენდა თავს, მაგრამ როგორც ზემოხსენებული მკვლევარი აღნიშნვდა, იქ სადაც ჩვენ ვერ ვპოულობთ აბსოლუტიზმს ფაქტებში, ჩვენ ვხვდებით მას პრეტენზიებში, მისწრაფებებში, იდეებში.

იბადება ისტორიული აუცილებლობა აბსოლუტური მონარქის წარმოშობისა, იბადება მოთხოვნილება აბსოლუტიზმზე და სახელმწიფოს ასეთი ფორმაც ჩნდება.

მეცნიერები საერთოდ და განსაკუთრებით მედიევისტი ისტორიკოსები სვამენ კითხვას: საიდან გაჩნდა ახალი დროის ზღურბლზე “პოლიტიკური აბსოლუტიზმი”, ასე უცხო განვითარების შუა საუკუნეებრივი საფეხურისათვის? და როგორ მოასწრო სახელმწიფო წყობილების ამ ახალმა ფორმამ შეევიწროებინა განვითარების წინარეხანაში შექმნილი სახელმწიფოებრიობის ფორმები ისე, რომ მიეღწია უპირატესი როლისათვის დასავლეთ ევროპაში მთელი სამი საუკუნის

განმავლობაში? მეთექვსმეტე საუკუნის დასაველეთ ევროპაში ჩამოყალიბებული ფაქტობრივი ურთიერთობები უკვე თავისთავად გულისხმობდა წოდებრივ-წარმომადგენლობითი ხასიათის მონარქიის საფუძვლების მორყევას, პოლიტიკური ფეოდალიზმის საბოლოო დამარცხებას.

გერმანელი ტომებისათვის უცხო იყო ისეთი სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც დამყარებული იყო უმაღლესი შეუზღუდველი ხელისუფლების ისეთ ერთიანობაზე, რომელიც არ იყო დამოკიდებული რომელიმე კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებზე. გერმანელების მიერ დაპყრობილი რომის იმპერიის ტერიტორიაზე წარმოშობილი ფეოდალური წესწყობილება წარმოადგენდა განვითარებული და რთული რომაული სახელმწიფოებრიობის სრულ ანტითეზას, მართებულად აქვს აღნიშნული პ. ნ. არდაშევს.

დასაველეთ ევროპის ფეოდალურ საზოგადოებაში, ფეოდალურ სახელმწიფოში ერთმანეთში იყო შერწყმული სამართლის ორი დარგი - კერძო და საჯარო (სახელმწიფო) სამართალი. მეცნიერი ისტორიკოსების გამოკვლევებიდან ირკვევა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების, როგორც განსაკუთრებული სახის ხელისუფლების ცნება, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა მიწის მფლობელობასთან და არსებითად დამოუკიდებელი იყო ყოველგვარი კერძო-სამართლებრივი ურთიერთობისგან, საერთოდ უცხო იყო ფეოდალური ეპოქისათვის. ეს მოდათ რა ფეოდალიზმი როგორც პოლიტიკური სისტემა, მედიევისტი ისტორიკოსები იქამდეც კი მიდიოდნენ, რომ ამბობდნენ, ფეოდალიზმის ხანაში საკუთრივ სახელმწიფოშიც კი აღარ არსებობდა სენიორიების რაღაც სისტემა - მამულ-სახელმწიფოები.

შუა საუკუნეების ისტორიის სპეციალისტებს არაერთხელ აღუნიშნავეთ, რომ ფეოდალური სენიორი, ეს სანახევროდ ხელმწიფეა და სანახევროდ ქვეშევრდომი. ის არ არის ხელმწიფე ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით იმიტომ, რომ მისი ხელისუფლების საფუძველია ადგილ-მამულების მფლობელობა, ე. ი. კერძო სამართლებრივი აქტი. გარდა ამისა, უმრავლეს შემთხვევაში მაინც სენიორი თვითონვე იყო ვასალურ დამოკიდებულებაში მასზე უფრო მაღლა მდგომ სენიორთან, რომელიც ამ შემთხვევაში მის სიუზენერად ითვლებოდა. სენიორი არ იყო თვითმპყრობელი ხელმწიფე ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაგრამ ის არ იყო არც ქვეშევრდომი თავისი სიუზენენის მიმართ.

ის მხოლოდ მისი ვასალია, ესე იგი ადამიანი, დაკავშირებული თავის სიუზერენთან გარკვეული დამოკიდებულებით. ეს დამოკიდებულება კი დაფუძნებულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ორმხრივ ვალდებულებაზე, რომლის დარღვევაც გარკვეულ ვითარებაში შესაძლებელი იყო. “ფეოდალური ეპოქის მეფე” უპირველეს ყოვლისა მსხვილი სენიორია. მაგრამ ის არ არის ხელმწიფე ამ სიტყვის ზუსტი გაგებით, ხოლო მისი სამეფო არ არის სახელმწიფო, არამედ რომელიღაც სისტემა სენიორებისა. მეფეს გააჩნია საკუთარი სენიორია, ე.ი. ადგილ-მამული, რომელსაც ფლობს იმავე საფუძველზე, რა საფუძველზეც თავის სენიორიას ფლობდა ყოველი მისი ვასალი ან ქვე-ვასალი. თავის საკუთარ სენიორიაში მეფე ნამდვილად წარმოადგენდა რაღაც მეფის-მაგვარს, მაგრამ ეს მხოლოდ იმ აზრით, რომ თითოეული მისი ვასალთაგანი იყო მეფე თავის საკუთარ სენიორიაში. მეფის ქვეშევდრდომებად შეიძლებოდა გველიარებინა მხოლოდ მისი სენიორიის მკვიდრი მცხოვრებნი და ისინიც არა ყველა, მაგრამ კვლავ ზუსტად იმავე საფუძველზე, რა საფუძველზედაც თითოეული ვასალური სენიორიის მკვიდრი მცხოვრები იყო თავის სენიორის ქვეშევდროში. მეფის ვასალების ქვეშევდრომები არ ითვლებოდნენ მეფის ვასალებად. თავისი “დომენის” საზღვრებს გარეთ მას არ ჰყავდა ქვეშევდრომები სამეფოში, ჰყავდა მხოლოდ ვასალები”¹

რომის ძლევამოსილ სახელმწიფოსთან შედარებით ფეოდალური წვრილი სახელმწიფოები შეიძლება მოგვეჩვენოს ჯუჯა სახელმწიფოდ, კვაზი-სამეფოდ. თანდათან, საუკუნეების მანძილზე სახელმწიფოებრიობის იდეა იჭედებოდა, მტკიცდებოდა, ხორცს ისხამდა. მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში შეიმჩნევა ფეოდალური საზოგადოების და სახელმწიფოებრიობის ქმედითუნარიანობის გაზრდა მეცხრე-მეათე საუკუნეებთან შედარებით. საფუძველი ეყრება სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის იმ ფორმას, რომელსაც წოდებრივ-წარმომადგენლებით მონარქიას ეძახიან ისტორიულ ლიტერატურაში. მეთორმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეებში შეიმჩნევა წოდებრივი მონარქიის გარკვეული “მოძალევა” დასავლეთ ევროპაში. წოდებრივ-წარმომადგენლებით ორგანოს საფრანგეთში ეძახდნენ გენერალურ შტატებს,

¹ პ.ნ. არდაშევი. დასახ. ნაშრომი. გვ. 4.

გერმანიაში - ლანდტაგს, ესპანეთში კირტესებს და ინგლისში კი - პარლამენტს.

დასავლეთ ევროპელ ისტორიკოსებს არა ერთხელ აქვთ აღნიშნული, რომ წოდებრივ-წარმომადგენლებითი მონარქია იყო წინ გადადგმული ნაბიჯი მტკიცე სახელმწიფოებრიობის წარმოშობის გზაზე. ის იყო აუცილებელი და პროგრესული ეტაპი ამ მიმართულებით, ზოგიერთ ისტორიკოსს მიაჩნია კიდევ, რომ სახელმწიფო წოდებრივ-წარმომადგენლებითი მონარქიის ხანაში თანდათან ემსგავსებოდა რომის სახელმწიფოს. რა თქმა უნდა, ის იყო ხიდი აბსოლუტური მონარქიისაკენ, მაგრამ გვიანფეოდალურ ხანაში წარმოშობილი ფრანგული აბსოლუტიზმი მრავალი რამით, მრავალი ნიშნით განსხვავდებოდა ძველ რომში არსებული ე. წ. აბსოლუტური მონარქიისაგან.

წოდებრივი მონარქია სიუზერენიტეტზე დამყარებული ნახევრად სახელმწიფოებრივი კავშირების ნაცვლად ევროპის ისტორიის არენაზე გამოვიდა, როგორც მთელი ხალხის, მისი ყველა წოდების ერთობლივი, საერთო ინტერესების გამომხატველი სახელმწიფო. წოდებრივ-წარმომადგენლებითი ორგანო - გენერალური შტატები იყო სახელმწიფოს ყველა წოდების და კლასის, მისი ყველა მცხოვრების, ყველა საფეოდალოს და ყველა კუთხის გამაერთიანებელი.

ეს იყო პოლიტიკური ფეოდალიზმის, პოლიტიკური დაქუცმაცებულობის დაძლევის პირველი საფეხური. მეფის ხელისუფლების წმინდა ფეოდალურ, ვასალურ-სიუზერენიტეტულ ხასიათს ემატებოდა ახალი, წმინდა სახელმწიფოებრივი ელემენტი, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ მეცნიერ ისტორიკოსები, ეს იყო წინ გადადგმული ნაბიჯი ფეოდალური სიუზერენიტეტიდან ხელმწიფის მდგომარეობამდე.

თუ XII საუკუნეში (დაახლ. 1154 წ.) ანჟუს გრაფის ჰენრიხ პლანტაგენეტის სამფლობელოები საფრანგეთის მეფის დომენს ექვესჯერ მაინც აღემატებოდა, XVII საუკუნეში საფრანგეთი მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რომ არაფერი ვთქვათ ევროპაზე, ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოა და "პოლიტიკური აბსოლუტიზმის" სანიშნო ქვეყანაა. აბსოლუტურმა მონარქიამ ან როგორც რევოლუციამდელი მედიევისტები იტყოდნენ "პოლიტიკურმა აბსოლუტიზმმა ყველაზე უფრო შთამბეჭდავად თავი გამოავლინა საფრანგეთში, განსაკუთრებით კი XVII-XVIII საუკუნეებში". 1337-1453 წლებში წარმოებული "ასწლიანი" ომის

შემდეგ საფრანგეთი თანდათან წამოდგა ფეხზე. 1328 წელს შეწყდა კაპეტინგების დინასტია. საფრანგეთის ტახტზე ფეოდალებმა აიყვანეს ფილიპე ვალუა – კაპეტინგების ნათესავი. XV საუკუნის დასასრულისათვის საფრანგეთი ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაერთიანებული იყო. XV საუკუნის ბოლოსათვის საფრანგეთში ჩამოყალიბება დაიწყო ეროვნულმა სახელმწიფომ.

მართალია, მეტწილ პოპულარულ წიგნებში საფრანგეთში აბსოლუტური მონარქიის დამყარება კარდინალ რიშელიესა და ლუი მეოთხემეტის სახელს უკავშირდება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აბსოლუტური მონარქიის შემქმნელებად მაინც არ შეიძლება ჩავთვალოთ კარდინალი რიშელიე და ლუი მეოთხემეტე. მრავალი თაობის მიერ საუკუნეების განმავლობაში ნაშენები აბსოლუტური მონარქიის ტაძარი მათ მხოლოდ მოაგუშმათეს.

XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის გაერთიანებული სახელმწიფოს ტერიტორია ცოტა ნაკლები თუ იქნებოდა მის დღევანდელ ტერიტორიაზე, მაგრამ თავისი 15 მილიონიანი მოსახლეობის მხედველობაში მიღებით ის იყო მაშინდელი ევროპის უდიდესი სახელმწიფო. საფრანგეთში ვითარდებოდა ვაჭრობა და მრეწველობა, მაგრამ განვითარების დონით ის რამდენადმე ჩამორჩებოდა ინგლისს. საფრანგეთის მოსახლეობის ცხრა მეათედი ჯერ კიდევ სოფლად ცხოვრობდა. ლუი XI-ის მეფობის დროს (1461-1483) ძირითადად დასრულდა საფრანგეთის მიწების გაერთიანება. XVII ს. პირველი ათწლეულიდან იწყება აბსოლუტური მონარქიის ჩამოყალიბება. საფრანგეთში რელიგიური ომების დამთავრების შემდეგ აბსოლუტური მონარქია საგრძნობლად განმტკიცდა და გაძლიერდა. 1598 წელს ანრი IV-მ, ბურბონების დინასტიის ფუძემდებელმა (მეფე საფრანგეთისა 1598 წლიდან), გამოსცა ნანტის ედიქტი, რითაც ბოლო მოეღო რელიგიურ ომებს. მართალია, სახელმწიფო კანონის თანახმად, კათოლიკობა ქალაქებში გაბატონებულ რელიგიად გამოცხადდა, მაგრამ ჰუგენოტებს ეძლეოდათ დვთისმსახურების სარწმუნოებრივი თავისუფლება ქალაქებში (პარიზისა და რამდენიმე სხვა ქალაქის გარდა), აგრეთვე რიგ სოფლებსა და ციხეებში. ამავე დროს ჰუგენოტებს მიეცათ უფლება დაეკავებინათ თანამდებობები სასამართლო და ადმინისტრაციულ უწყებებში. მათ არც სამხედრო თანამდებობების დაკავება ეკრძალებოდათ. ნანტის ედიქტის საიდუმლო მუხლების თანახმად ჰუგენოტების განკარგულებაში აღმოჩნდა ასამდე ციხე-სიმაგრე

გარნიზონებითურთ. ჰუგენოტებთან ომის (1621-1629) დამთავრების შემდეგ - 1629 წელს ნანტის ედიქტის ხსენებული საიდუმლო მუხლები გაუქმდა. გაძლიერებულმა აბსოლუტურმა მონარქიამ ლუი XIV-ის დროს საერთოდ ვერ მოითმინა ნანტის ედიქტი და 1685 წელს ის საერთოდ გაუქმდა. ამრიგად, 1685 წელს საფრანგეთში აბსოლუტურმა მონარქმა და მისმა სახელმწიფო აპარატმა კალვინისტური უმცირესობა დაჩაგრა. ნაწილი კალვინისტებისა გაკათოლიკდა, სხვა ნაწილი კი სახელმწიფოდან განდევნილ იქნა.

“საფრანგეთი - წერდა ლუი XIV - მონარქიაა და მეფე (მონარქი) მასში მთელ ერს განასახიერებს და მეფის წინაშე თითოეული მხოლოდ ცალკე პიროვნებაა. ამიტომაც მთელი ძალაუფლება, მთელი ძალა თავმოყრილია მეფის ხელში და სამეფოში არ შეიძლება არსებობდეს სხვა ძალაუფლება, გარდა იმისა, რომელიც მეფის მიერ არის დადგენილი”.

სიმპტომატურია ის გარემოება, რომ ლუი XIV-ის ეპოქაში საფრანგეთში იწვერება პოლიტიკური მოაზროვნის ბოსსიუეს (1627-1694) ტრაქტატი - “საღვთო წერილიდან ამოკრეფილი პოლიტიკური მოძღვრება”, რომელშიც ის ამტკიცებდა, რომ მეფის ხელისუფლება ღვთაებრივი წარმოშობისაა. მეფე ღვთის მოადგილეა დედამიწაზე და მისი ხელისუფლება შეუზღუდავია თავისი ბუნებით. ამიტომაც მეფის ერთგული ქვეშევდრდომობა ყოველი ადამიანის მოვალეობაა.

ლუი XIV-ს “მეფე-მზეს” ეძახდნენ. ის იყო სახელმწიფოს მართვის ცენტრი და მის, როგორც “მზის” გარშემო უნდა ეტრიალათ სახელმწიფო უწყებებს და მათ მესვეურებს. მეფემ 1661 წელს სახელმწიფოს პირველი მინისტრის თანამდებობაც კი გააუქმა და როგორც “მეფე-მზე” იოხუნჯა, თვითონვე გახდა საკუთარი თავის პირველი მინისტრი. როგორც ჩანს, ლუი XIV-ს ის გარემოება აწუხებდა, რომ ლუი XIII-ის დროს მეფის სახელი დაჩრდილა კარდინალმა რიშელიემ - მისმა პირველმა მინისტრმა, ჭკვიანმა და უნერგიულმა კარდინალმა მაშინ ფაქტობრივად ხელთ იგდო სახელმწიფოს მართვა.

ლუი XIV-ის დროს სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე, რომლის ხელშიც იყო თავმოყრილი სახელმწიფო ხელისუფლება. უმაღლესი ორგანო, რომელიც საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებს განიხილავდა და მეფეს სათანადო მოსაზრებებს და დასკვნებს წარუდგენდა, იყო სახელმწიფო საბჭო. ცხადია, არსებობდა საფინანსო უწყებაც საანგარიშო პალატის სახელ-

წოდებით. ხსენებული პალატის ხელში იყო საფინანსო კონტროლი. აბსოლუტური მონარქიისათვის დამახასიათებელი იყო “ბიუროკრატიული ცენტრალიზმი”, რომელიც გარკვეულ ხანებში, ასე თუ ისე, აუცილებელიც იყო და პროგრესულიც, მაგრამ დროთა ვითარებაში უარყოფით მოვლენად გადაიქცა. ბიუროკრატიული ცენტრალიზმის ნაკლი საფრანგეთში იმ გარემოებაშიაც გამოვლინდა, რომ ნათლად არ იყო გამოიჭნული ადგილობრივი და ცენტრალური ორგანოების ფუნქციები.

მინისტრების ფუნქციების მქონე პირებს – სტატს-მდივნებს დიდი გავლენა ჰქონდათ მმართველობის ცენტრალურ აპარატში. არსებობდა ოთხი სტატს-მდივანი (საგარეო საქმეების, სამხედრო, საზღვაო და სასახლის საქმეებისა).

მეფის ხელისუფლების განმტკიცებას საფრანგეთში თან ახლდა ისტორიული პროგრესი – საფრანგეთის, როგორც სახელმწიფოს და ქვეყნის, ტერიტორიული და ეროვნული გაერთიანებისა.

საფრანგეთის ცალკეული მხარეების შეკრება “სამეფო დომენიდან” იწყება. ეს შედარებით მცირე რეგიონი – “საფრანგეთის კუნძული” – ილ-დე-ფრანსი იყო ის ბირთვი, რომლის ირგვლივაც იკრიბებიან მომავალი საფრანგეთის შემქმნელი სენიორიები.

მეფე კანონის ძალით ეუფლებოდა ბეითალმან საფეოდალოებს, საქორწინო კავშირებისა და სხვადასხვა გარემოებების მეშვეობით აფართოებდა თავის სამფლობელოებს. ამას ემატებოდა დამნაშავე ფეოდალებისათვის ადგილ-მამულების ჩამორთმევა-კონფისკაცია, ურჩი საფეოდალოების დაპყრობა და ა.შ. “ასწლიანი ომის” შემდეგ (1337-1353) სამეფოს ტერიტორიას ოდესღაც ინგლისელების მიერ დაპყრობილი და ახლა მათგან გათავისუფლებული ტერიტორიაც მიემატა. როგორც წინათაც გვაქვს აღნიშნული, ლუი XI-მ (1461-1483) სახელმწიფოს მრავალი საფეოდალო შესძინა. საფრანგეთის ტერიტორიული და ტომობრივ-ეროვნულ გაერთიანებას უთუოდ პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა ევროპული და ფრანგული კულტურისათვის. მთელი საფრანგეთი თითქოს ერთ დომენად ქცეულიყო. ფრანგი ხალხის მთელი ადგილ-მამული გაერთიანდა “მეფე-სენიორის” სამფლობელოში.

ერთი მხრივ, საფრანგეთის სამეფო ხელისუფლება იბრძოდა ქვეყნის გაერთიანებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, გაერთიანებული

საფრანგეთი ხელს უმართავდა სამეფო ხელისუფლების გაძლიერებას. თანდათან ხდებოდა სამეფო ხელისუფლების "დეფეოდალიზაცია" და მისი სახელმწიფო-სამართლებრივ საწყისებზე დაფუძნება. სამეფო ხელისუფლების სახელმწიფო-სამართლებრივ საწყისებზე დამკვიდრების პროცესი მიმდინარეობდა მისი ტერიტორიული კონსოლიდაციის პარალელურად და მასთან მჭიდრო კავშირში.

საფრანგეთში აბსოლუტური მონარქიის წარმოშობას ხელს უმართავდა რომის სამართლის, განსაკუთრებით რომაული სახელმწიფოსამართლებრივი იდეები. ძველი რომის სახელმწიფო სამართლის თანახმად იმპერატორი აბსოლუტური ძალაუფლებით სარგებლობდა. ის არაფრით არ იყო შეზღუდული; იმპერატორი ცოცხალ კანონად და კანონმდებლად ითვლებოდა.

მეფის ხელისუფლების გაძლიერებას საფრანგეთში თან ახლდა სახელმწიფო ხელისუფლების შეუზღუდველობის, ერთიანობის და მუდმივობის იდეების დამკვიდრება. ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო ძალაუფლება XVI საუკუნის საფრანგეთში სოციალური სინამდვილე იყო და არა სოციალური იდეალი. და, რაც XII-XIII საუკუნეებში პოლიტიკური აზრისათვის სოციალური იდეალი იყო, XIV საუკუნის საფრანგეთში სოციალურ სინამდვილედ ქცეულიყო. მეფის ხელისუფლება ისე გაძლიერდა, რომ მეფეების არჩევითობის იდეა დაჯაბნა სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობითობის იდეამ.

დიდი იყო კოლბერის დამსახურება საფრანგეთის ისტორიაში. ჟან ბატისტ კოლბერის (1619-1683), ლეი XIV-ის მინისტრის და სახელმწიფო მოღვაწის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფრანგული აბსოლუტიზმის ისტორიაში. ფრანგ ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ კოლბერის მოღვაწეობის ხანაში დასრულდა აბსოლუტიზმის ბიურო-კრატული სისტემის ჩამოყალიბება.

კოლბერის დროს შეიკვეცა პარლამენტის (სასამართლო პალატის) უფლებები და ქალაქებს ჩამოერთვა თვითმმართველობა. ამავე დროს კოლბერის ინიციატივით გაუქმდა მრავალი საბაჟო. ამასთან ერთად 1667 წელს მაღალი საბაჟო ტარიფები დაწესდა უცხოურ საქონელზე. კოლბერი უარყოფითად აფასებდა ქვეყნიდან ნედლეულის გატანას და კრძალავდა კიდევ მას.

კოლბერი ცდილობდა გაეზარდა სახელმწიფოს შემოსავალი აქტიური სავაჭრო ბალანსის მეშვეობით. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით საფრანგეთში შეიქმნა მსხვილი სავაჭრო კომპანიები, მათ შორის ოსტინდოეთის, ვესტინდოეთის, ლევიანტისა

და ა.შ. საფრანგეთი აქტიურობდა აფრიკაშიც, სადაც სენეგალის კომპანია მოღვაწეობდა.

საფრანგეთში კოლბერის ინიციატივით დაარსდა “მეცნიერებათა სამეფო აკადემია” (1666 წელს). უფრო ადრე – 1663 წელს შეიქმნა ე. წ. “მცირე აკადემია”. კოლბერიზმი ხელს უწყობდა კაპიტალიზმის განვითარებას საფრანგეთში, მაგრამ საფრანგეთში კაპიტალიზმის განვითარებას მრავალი ფაქტორი უშლიდა ხელს, პოლანდიაში და ინგლისში უფრო ადრე ჩამოყალიბდა ფეოდალისმთან შედარებით თავისუფალი და მოწინავე საზოგადოება – ბურჟუაზიული საზოგადოება.

აბსოლუტიზმი და ბიუროკრატიული მოხელეობა სოციალური წინსვლის ხელისშემშლელად იქცა. უკვე ლუი XV-ის მეფობის წლებში (1715-774) შეიმჩნეოდა აბსოლუტიზმის სტაგნაციისა და დაცემის აშკარა ნიშნები. ევროპასა და მსოფლიოში პირველობა ინგლისის ხელში გადადიოდა. საფრანგეთის მეფეს – აბსოლუტურ მონარქს უამრავი მოხელე სჭირდებოდა, ხოლო ახალგაშობილი ფრანგ ბურჟუებს სახელმწიფო მოხელეობისაკენ მიუწვევდათ გულები. საფრანგეთის მთავრობა ყიდდა თანამდებობებს, ხოლო ამ თანამდებობებს ქონებით აღზევებული მოქალაქეები ყიდულობდნენ, რომლებიც ვაჭრისა და მრეწველის მდგომარეობას და წოდებას ადვილად ცვლიდნენ ფეოდალი მოხელის კარიერაზე. ამრიგად, სოციალური მიმიკრია რეაქციული წარსულისაკენ იყო ორიენტირებული.

სამეფო ხელისუფლების განმტკიცებასთან ერთად, მოხელეთა რიცხვის ზრდასთან ერთად, ცხადია, იზრდებოდა სახელმწიფო გადასახადებიც. მთავრობამ დაიწყო ამ მოსაკრები გადასახადების იჯარით გაცემა, მათი ფაქტობრივად გაყიდვა. გადასახადების მოკრების უფლების მიღება შემოსავლიანი საქმე იყო საფრანგეთის ბურჟუაზიისათვის, ხშირად მთავრობა ფრანგი და უცხოელი კაპიტალისტებისაგან ფულს სესხულობდა და შემდეგ მათ უხდიდა მაღალ სასესხო პროცენტს. თუ ინგლისის ბურჟუაზია დიდ თაოსნობას და სამრეწველო ენერგიას ავლენდა, ფრანგი ბურჟუები ყიდულობდნენ თანამდებობებსა და გადასახადების მოკრების უფლებას, მევახშეობდნენ და ამით აფერხებდნენ სოციალურ პროგრესს. ინგლისის აზნაურობისაგან განსხვავებით ფრანგი აზნაურები თაკილობდნენ მეცხოველეობასა და სოფლის მეურნეობაში მოსაქმეობას და მხოლოდ გლეხობის ექსპლოატაციით კმაყოფილდებოდნენ. ინგლისელი ლორდები წარმოების

ორგანიზატორების, მრეწველის და ვაჭრის პროფესიას არ იწუნებდნენ და ქვეყანას სამრეწველო გადატრიალების მიმართულებით ხელს უმართავდნენ. ამ დროს საფრანგეთის მთავრობა ისეთ სპეციფიკურ თანამდებობასაც კი, როგორც მოსამართლეობაა, ყიდვა-გაყიდვის საგნად აქცევდა. პოლიტიკური რეჟიმის დრომოჭმულობაზე მიუთითებდა ის გარემოებაც, რომ მთავრობა განგებ, ანგარების მიზნით იგონებდა ახალ თანამდებობებს, რათა შემდეგ ისინი გაეყიდა და ამ გზით მიეღო მისთვის საჭირო თანხა.

ფრანგული სამართალი აბსოლუტიზმის ხანაში

სამართლის წყაროები. XVI-XVII საუკუნეების საფრანგეთისათვის დამახასიათებელია სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული პროგრესი. სამართალგანვითარების თვალსაზრისითაც მნიშვნელოვან ცვლილებებს ჰქონდა ადგილი XVI-XVII საუკუნეებში. რამდენადაც XVI საუკუნეში კუტიუმების ოფიციალური რედაქციის შედგენა დამთავრებული იყო, ხალხური ჩვეულებების და ჩვეულებითი სამართლის არაოფიციალური ნორმებისადმი ინტერესი მნიშვნელოვანწილად დაკარგული იყო, მეფის მიერ მოწონებული კუტიუმების კრებულები კანონის ძალით სარგებლობდნენ. მათში ცვლილების შეტანა დასაშვები იყო, მაგრამ მხოლოდ მეფის მიერ გამოცემული ბრძანებულებების სახით. ხალხის - "ბრბოს" გამოკითხვა, რაც წინათ წარმოებდა ამა თუ იმ ჩვეულების ზუსტი შინაარსის დასადგენად, არათუ შეწყდა, არამედ ლუი XIV-ის განკარგულებით საერთოდ აიკრძალა კიდევ.

კუტიუმების ჩაწერა-დაზუსტებამ საფრანგეთში საბოლოოდ მაინც ვერ აღმოფხვრა სამართლის წყაროების შეუთანხმებლობა და მრავალფეროვნება-სიმრავლე. საფრანგეთის სხვადასხვა პროვინციების ჩვეულებებში, უკვე ჩაწერილსა და ჩამოყალიბებულშიც კი მაინც არ იყო სრული თანხმობა. მართალია, პარიზის კუტიუმების ავტორიტეტი საკმაოდ მაღალი იყო, მაგრამ არც მათ ჰქონდათ მთელი საფრანგეთისათვის საერთო ჩვეულებითი სამართლის ძალა და მნიშვნელობა.

სამართლებრივი ნორმების კუთხურობა და დაქუცმაცმბულობა აირეკლა ფრანგულ სამოქალაქო სამართალშიც, მაგრამ

სამოქალაქო სამართლის ნორმებზე დიდი ზეგავლენა მოახდინეს ძველი რომის მაღალგანვითარებული სამართლის ნორმებმა და ტრადიციებმა. გავლენის ეს შედეგი კი ერთგვაროვანს ხდიდა საფრანგეთის სამოქალაქო სამართალს. გვიანფეოდალურ საფრანგეთში ნელა, მაგრამ მაინც განუხრელად ვითარდებოდა სასაქონლო-ფუძლადი ურთიერთობა და ამ ურთიერთობის მოწესრიგება სისტემაზე უფრო კარგად ამ ურთიერთობას შეეძლო. ბუნებრივია, რომ რომის სამართლის რეცეპციამ საფრანგეთში ინტენსიური ხასიათი მიიღო.

რომის სამართლის აღორძინებას საფრანგეთში ხელს უწყობდნენ მეფეებიც. სახელმწიფოს მეთაურებს, მონარქებს ძალიან მოსწონდათ ის გარემოება, რომ რომის სახელმწიფო სამართლის თანახმად იმპერატორის ძალაუფლება შეუზღუდველად იყო აღიარებული. ამ თეორიული არსენალის გამოყენება არ გაჭირვებია საფრანგეთში საერო ხელისუფლებას. ანტიკურ რომში გავრცელებული თეორიის მომარჯვებით ებრძოდა საფრანგეთის მეფის ხელისუფლება ეკლესიას და ეკლესიაში მოკალათებულ ანტიაბსოლუტურ ძალებს და ფეოდალურ სენიორებს.

რომის იმპერატორების ძალაუფლება კანონით შეუზღუდველად ითვლებოდა, ასევე აბსოლუტურ მონარქიებში, გვიანფეოდალურ ევროპაში, მსგავსად რომის იმპერატორთა ძალაუფლებისა, მონარქთა ხელისუფლებასაც შეუზღუდველად თვლიდნენ.

საერთოდ, ამ ხანაში – XIV –XVII საუკუნეებში დიდი ინტერესით ეკიდებოდნენ ანტიკურ მემკვიდრეობას, მათ შორის, რომის სამართალსაც.

XVI საუკუნის საფრანგეთის უმაღლეს სასაწავლებლებში რომის სამართლის სწავლება საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. ფრანგული ენის მცოდნე სტუდენტებისათვის საკმაოდ ადვილი იყო ლათინური ენის შესწავლა და რომის სამართლის წყაროების ტექსტებზე მუშაობა. ისტორიულ მეცნიერებათა საფუძვლებს დაუფლებული სწავლულები საკმაოდ წარმატებებს აღწევდნენ რომის სამართლის ცალკეული ინსტიტუტების შესწავლის საქმეში, ასე შეიქმნა ე. წ. “ისტორიული სკოლა”.

ცნობილია, რომ გლოსოტორებისა და კომენტატორების იტალიური სკოლა უპირატესად იმით იყო გატაცებული, რომ რომაული სამართლის უდიდესი ძეგლის, ცივილური სამართლის

კორპუსის (“კორპუს იურის ცივილის”) მათთვის საინტერესო ადგილების სქოლასტურ კომენტარებს აკეთებდა. ფრანგების დამსახურება კი იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი რომის სამართლის ცალკეულ ინსტიტუტებს რომის ისტორიის, განსაკუთრებით კი რომის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის კონტექსტში იხილავდნენ. თვით ე. წ. “ისტორიული სკოლის” დამაარსებელი იყო არა ფრანგი, არამედ იტალიელი სწავლული ალციატი, რომელიც საფრანგეთის რამოდენიმე უმაღლეს სასწავლებელში და მათ შორის ბურჟეს სასწავლებელში მოღვაწეობდა.

მართალია, სრულიად საფრანგეთში ძველი რომის სამართლის ავტორიტეტი დიდი იყო, მაგრამ განსაკუთრებით ძლიერი იყო ეს ზეგავლენა სამხრეთ საფრანგეთში. სამხრეთ საფრანგეთში რომის სამართალი და მისი მთავარი ძეგლი – “კორპუს იურის ცივილის” უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობდა და ითვლებოდა ქვეყნის ჩვეულებების საერთო წერილობით გადმოცემად – “დაწერილ სამართლად”. ჩრდილოეთ საფრანგეთში კი რომის სამართალს ადგილობრივი ხალხური ჩვეულებითი სამართლის ნორმებზე მაღლა არ აყენებდნენ. პირველ ყოვლისა აქ მოქმედებდა ჩვეულებითი სამართლის ნორმები და მხოლოდ სუბსიდარულად – რომის სამართალი.

თანდათანობით, სამეფო ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად, იზრდებოდა მეფის ბრძანებულებებისა და განკარგულებების როლი ქვეყნის ცხოვრებაში. სამართლის წყაროთა შორის პირველ ადგილზე თანდათან გამოდიოდა მეფის სახელით გამოცემული ორდონანსები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საფრანგეთის კანონმდებლობის განვითარებაში მეფის ხელისუფლების როლი. სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის განვითარება სწორედ სამეფო კანონმდებლობის დამსახურება იყო.

სამართალგანვითარების ნაყოფიერებით გამოიჩინოდა ლუი XIV-ის მეფობის წლები. 1673 წელს გამოიცა ორდონანსი ვაჭრობის შესახებ, ანუ ე. წ. სავარის კოდექსი. ხსენებულ საკანონმდებლო ძეგლის შექმნაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კოლბერიმ ამ უკანასკნელმა შეკრიბა გამოჩენილი ვაჭრები და მათ დაავალა შეემუშავებინათ ვაჭრობის მომწესრიგებელი ოპტიმალური ნორმების პროექტი. როგორც ვიცით, ჟან ბატისტ კოლბერი (1619-1683) იყო გამოჩენილი ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე და მინისტრი,

ფინანსთა გენერალური კონტროლიორი, მერკანტელიზმის ერთ-ერთი ფრანგული ვარიანტისა და კოლბერტიზმის როგორც მიმდინარეობის შემქმნელი. მას უთუოდ კარგად ესმოდა ვაჭრობის მნიშვნელობა საფრანგეთის ეკონომიკისათვის.

სავაჭრო კოდექსის საბოლოო რედაქცია დაევალა ჟაკ სავარის.

ამ კოდექსში ჯერ კიდევ შემონახულია წოდებრივი საზოგადოების ზეგავლენა. 1673 წლის სავაჭრო კოდექსი ჩვენს წინაშე წარმოდგება, როგორც ვაჭართა ცხოვრების, მათი მოღვაწეობის მომწესრიგებელი ნორმების სისტემატიური კრებული.

კოდექსი იცნობს ისეთ ცნებებს, როგორებიცაა სავაჭრო ამხანაგობები, ვექსილი, ვალაუვალობა, ავზრახული ვალაუვალობა და ა.შ. მოგვიანებით ხსენებული სავაჭრო კოდექსი საფუძვლად დაედო საფრანგეთის 1807 წლის სავაჭრო კოდექსს. სავარის კოდექსი თავისი დროისათვის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საფრანგეთის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ჟან ბატისტ კოლბერის ინიციატივითვე დამუშავდა აგრეთვე ე.წ. “საზღვაო ორდონანსი”, რომელიც 1681 წელს გამოიცა. საფრანგეთი ამ დროისათვის ევროპული რანგის საზღვაო სახელმწიფო იყო და მისი საზღვაო ნავსადგურების ადმინისტრაცია კარგად გრძნობდა, რომ საზღვაო ნაოსნობისა და საზღვაო ვაჭრობის საკითხები სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვდნენ. საფრანგეთს აღმოაჩნდა უნარი მსოფლიო ზღვაოსნობის ეს საჭირობოროტო საკითხი თავისი მეზღვაურებისა და მეცნიერების გამოცდილების გამოყენებით სათანადოდ მოეწესრიგებინა.

1681 წლის საზღვაო ორდონანს მაღალ შეფასებას აძლევენ მკვლევარი ისტორიკოსები. 1681 წლის საზღვაო ორდონანსით მოწესრიგებული იყო როგორც საზღვაო ნაოსნობის, ასევე საზღვაო ვაჭრობის საკითხებიც. ორდონანსი ყურადღებით ეკიდებოდა ე.წ. “საზღვაო პრიზების” ე.ი. სამხედრო ნადავლის საკითხებსაც ზღვებზე. ამით ის აწესრიგებდა საერთაშორისო სამართლის დონის პრობლემებსაც.

ისტორიული ფაქტია, რომ 1681 წლის ორდონანსის დებულებები აითვისეს არა მხოლოდ საფრანგეთის მომდევნო ხანის საკანონმდებლო ძეგლებმა (მაგ. საფრანგეთის 1807 წლის სავაჭრო კოდექსმა), არამედ მრავალი სხვა ქვეყნის კანონმდებლობამაც.

სამართალგანვითარების პროცესი საფრანგეთში კოლბერის

გარდაცვალების შემდეგაც არ შეჩერებულა. მეფე ლუი XV-ის მეფობაც (1715-1774) აღინიშნა სამოქალაქო კანონმდებლობის გარკვეული განვითარებით. ამ მხრივ საყურადღებოა 1731 წლის ორდონანსი ნაჩუქრობის შესახებ და 1735 წლის ორდონანსი ანდერძის შესახებ.

ამიერიდან განკარგულება ჩუქებისა და ანდერძის შესახებ არა მარტო წერილობით უნდა გაფორმებულიყო, არამედ ნოტარიუსის მიერაც უნდა ყოფილიყო დადასტურებული.

საფრანგეთში XVI-XVII საუკუნეებში დაიწერა მნიშვნელოვანი ნაშრომები, რომლებიც ეხებოდა ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტების ახსნა-განმარტებისა და გადმოცემის პრობლემებს (გიუი, კოკილი, ლუაზელი). ფრანგული სამართლის ისტორიის მკვლევარები მართებულად აღნიშნავენ, რომ გიუი, კოკილი, ლუაზელის ნაშრომებში მოკლედ და მკაფიო ფორმით იყო გამოხატული სამართლის ზოგადი პრინციპები, რომლებიც შემდეგ პრაქტიკაში მკვიდრდებიან და რომლითაც შემდეგ ნაწილობრივ ისარგებლეს 1804 წლის სამოქალაქო კოდექსის შემდგენლებმა. მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთში იურიდიული აზროვნების ცახე კაშკაშა ვარსკვლავად ბრწყინავდა თავისი ნაშრომებით ცნობილი იურისტი პოტიე. მან მრავალი ნაშრომი მიუძღვნა საფრანგეთის ჩვეულებითი სამართლის საფუძვლების გააზრებასა და გადმოცემას. სამოქალაქო კანონმდებლობის სისტემის აგებისა და მისი შინაარსის წვდომის საკითხებში ძლიერმა პოტიემ დიდი გავლენა იქონია მსოფლიოში სახელგანთქმული საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის შემდგენლებზე და, ცხადია, თვით კოდექსზეც.

საფრანგეთში არაერთხელ ცდილან, რომ სისტემაში მოეყვანათ და კოდექსად ჩამოეყალიბებინათ ამა თუ იმ მეფის ორდონანსები და თუმცა XVI საუკუნიდან მოყოლებული ამ ცდებს განხორციელება არ ეწერა, მან მაინც იმპულსი მისცა სათანადო იურიდიული ლიტერატურის შექმნას და იურიდიული აზროვნების განვითარებას.

ორდონანსებისა და ჩვეულებითი სამართლის ნორმების გააზრებამ ხელი შეუწყო სამართალგანვითარების პროცესს. XIX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში განხორციელებული კოდიფიკაციები ცარიელ ადგილზე არ განხორციელებულა. ისინი შემზადებული იყვნენ აბსოლუტიზმის ხანის ფრანგი იურისტების ნაშრომებითა და ღვაწლით, მაგრამ რამდენადაც დიდი არ უნდა

ყოფილიყო ღუაზელის, დემუღენის, პოტიეს და სხვა ცნობილი იურისტების დეაწლი ფრანგული სამართლის დოქტრინების დამუშავებაში, საბოლოოდ მაინც იმ ისტორიულმა მოვლენებმა განსაზღვრეს საფრანგეთის სამოქალაქო, სისხლის და სავაჭრო კოდექსების შექმნა, რომელსაც ადგილი ჰქონდა XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში. აიკრძალა კუტიუმების გამოყენება სასამართლოებში. თვით საფრანგეთი კი ერთიან და განუყოფელ ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ იქცა.

რევოლუციამდე სამართალში დანაშაულობანი სამ კატეგორიად იყოფოდა: 1. დანაშაულობანი რელიგიის წინააღმდეგ (ღვთის გმობა, ათეიზმი, ერესი და ა.შ.); 2. დანაშაულობანი მეფისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ (მეფისა და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლის ხელყოფა, სახელმწიფოს უშიშროების ხელყოფა და ა.შ.); 3. დანაშაულობანი კერძო პირების წინააღმდეგ.

თუმცა ბრალის ცნებას იცნობდა ფრანგული სასამართლო პრაქტიკა, მაგრამ აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგი იურისტები სისხლის სამართლის სფეროში იყენებდნენ რომაელი იურისტების მიერ სამოქალაქო სამართლის სფეროში გამოყენებულ ცნებებს: განზრახვას და გაუფრთხილებლობას. ამის შედეგად გარკვეული გაუგებრობის ატმოსფერო სუფევდა სასამართლოების საქმიანობაში. მართალია, სამართალი აღიარებდა პირადი პასუხისმგებლობის პრინციპს, მაგრამ არა გამონაკლისების გარეშე. 1670 წელს გამოცემული ორდონანსის თანახმად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა შეიძლებოდა დაეკისრებინათ თემებისა და კორპორაციებისათვის იმ შემთხვევაში, თუ კი ამა თუ იმ უკანონო მოქმედების საფუძველი იყო თემის ან კორპორაციის დადგენილება თუ მითითება. მეფის სიცოცხლის ხელყოფელთან ერთად უნდა დასჯილიყენენ მისი ოჯახის წევრებიც. მართალია, ფრანგული იურიდიული აზრი ვითარდებოდა, მაგრამ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამომუშავებული ის საფუძვლები, რომელზეც უნდა აგებულიყო პრინციპი დანაშაულის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებებისა. ჯერონად არ იყო დამუშავებული თანამონაწილეობისა და რეციდივის ცნებები.

ფრანგული სისხლის სამართლის გარკვეულ ბარბაროსულ ჩამორჩენილობაზე მიგვითითებს ის გარემოებაც, რომ ჯერონად არ იყო დამუშავებული შერაცხადობის ცნება. რის შედეგადაც სჯიდნენ როგორც შემლიღებს, ასევე ბავშვებსაც.

თვით სასჯელები ოთხ ძირითად კატეგორიად იყოფოდა: 1. მძიმე სასჯელები; 2. სხეულებრივი სასჯელები; 3. გამაწბილებელი სასჯელები; 4. გაწბილებასთან დაუკავშირებელი სასჯელები.

ყველაზე მძიმე სასჯელებად ითვლებოდნენ სიკვდილით დასჯა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაღებულზე საკატორლო მუშაობა. მეორე კატეგორიის, შედარებით ნაკლებად მძიმე სასჯელებს განეკუთვნებოდნენ სხეულებრივი და გამაწბილებელი სასჯელები, ისეთები, როგორიცაა: ვადიანი საკატორლო სამუშაოები, ენის ან ტუჩის მოჭრა, გაროზგვა და ა.შ. სპეციალურ გამაწბილებელ სასჯელებს მიეკუთვნებოდნენ: ჯარიმა, საყვედურის გამოცხადება და ა.შ. ხოლო გაწბილებასთან დაუკავშირებელ სასჯელებს მიეკუთვნებოდა გაკიცხვა და საურავის გადახდევინება.

სასჯელის შეფარდებაზე ზეგავლენას ახდენდა დამნაშავეს და დაზარალებული მხარის წოდებრივი მდგომარეობა.

შემჩნეულია, რომ აბსოლუტიზმის ხანის საფრანგეთში კარგა ხნის განმავლობაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ სასჯელთა ორ სახეობას: ორდინარულს და ექსტრაორდინარულს. ორდინარული, ანუ ჩვეულებრივი სასჯელები გათვალისწინებული იყო კუტიუმებით და ორდონანსებით, ხოლო, რაც შეეხება ექტრაორდინარულ სასჯელებს, მათი გამოყენება მოსამართლეთა შეხედულებაზე იყო დამოკიდებული.

დასჯის პოლიტიკა გაჟღერებული იყო შურისძიების მოტივებით. შესაძლოა, ადგილი ჰქონდა ბიბლიური, ძველებრავლი სამართლებრივი იდეების გავლენასაც, რის შედეგადაც საფრანგეთში იმართებოდა პროცესები გვამების, ცხოველების და უსულო საგნების მიმართაც კი.

სიკვდილით ისჯებოდნენ აჯანყების მოწყობისათვის, მეფის შეურაცხყოფისათვის, ღვთისგმობისათვის, მკვლელობისათვის, ყაღბი მონეტების დამზადებისათვის, ჯადოქრობისათვის, სისხლის აღრვევისათვის, კვალიფიციური ქურდობისათვის.

ერთ ხანს სიკვდილით სჯიდნენ იმასაც, ვინც ღუელში მონაწილეობას ღებულობდა. აბსოლუტიზმის ხანაში საფრანგეთში სამეფო სასამართლოები ავიწროებენ მათთან კონკურენციაში მყოფ იურისდიქციებს: ფეოდალურს, საეკლესიოს და საქალაქოს.

1788 წელს გამოცემული ედიქტის თანახმად სისხლის სამართლის სფეროში სენიორთა სასამართლოებს მხოლოდ

მოკლევების ფუნქციები შეუნარჩუნეს. მხარეებს შეეძლოთ უშუალოდ მიემართათ სამეფო სასამართლოებისათვის.

ასევე თანდათან იზღუდებოდა საქალაქო და საეკლესიო იურისდიქცია. მეფეს შეეძლო ნებისმიერი საქმე ამოეღო ჩვეულებრივი სასამართლოს იურისდიქციიდან და გადაეცა ის სამეფო საბჭოებისათვის განსახილველად (ევოკაცია).

ინგლისის სახელმწიფო და სამართალი XVII საუკუნეში

დიდი ხნის განმავლობაში ბრიტანეთის კუნძულები თითქოს მსოფლიო ისტორიის მთავარი შარაგზის მიღმა იმყოფებოდა.¹ შედარებით გვიან გახდნენ ბრიტანელები რომის მსოფლიო სახელმწიფოს ინტერესის საგანი.

ახ.წ. III საუკუნის მეორე ნახევრიდან ბრიტანეთი ხდება გერმანელი ტომების შემოსევის ასპარეზად. მეხუთე საუკუნის დასაწყისში ბრიტანეთის კუნძულებიდან რომაელთა გარნიზონები გამოიყვანეს. ისინი ამ დროისათვის თვით იტალიაში იყვნენ საჭირო, რამდენადაც რომის სახელმწიფოს ნომერ პირველ მტრებად გერმანელი ბარბაროსები მოეველინენ. ბრიტანეთის კუნძულებიდან რომაელთა გარნიზონების გასვლამ კიდევ უფრო გააძლიერა გერმანელების ინტერესი ხსენებული ქვეყნისადმი. ადგილობრივი კელტური მოსახლეობა ნაწილობრივ დაიღუპა გერმანელ ტომებთან ბრძოლაში და ნაწილობრივ გადაიხვეწა კუნძულის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილში. ბრიტები შეადგენდნენ ბრიტანეთის ძირითად მოსახლეობას ძვ. წ. VIII - ახ. წ. V საუკუნეებში. ისინი თემურ-გვაროვნული წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ. მოგვიანებითაც კელტური წარმოშობის ტომებმა რიგი ორიგინალური წეს-ჩვეულებები შეინარჩუნეს.

ბრიტების ნაწილი, რომლებიც რომაელებთან და გერმანულ ტომებთან ბრძოლას გადაურჩა, მონებად და ყმებად აქციეს, ხოლო სხვა ნაწილი უელსში, შოტლანდიასა და შრეტანში პოულობს თავშესაფარს. დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე მცხოვრები ბრიტები შეერწყნენ ანგლებს, საქსებს, ნორმანებს და ინგლისური ეროვნების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად იქცნენ. დღევანდელ დიდ ბრიტანეთში უელსის ნახევარკუნძულზე ცხოვრობენ უელსელი (ვალიელები). მათი რიცხვია დაახლოებით ერთი მილიონი. უელსელებს შენარჩუნებული აქვთ საკუთარი ენა -

¹ ინგლისელი მეცნიერების ჯ. ჰოკინსის და ჯ. უაიტის აზრით ქრისტეს შობამდე 1900-1600 წ. დიდი ბრიტანეთის მცხოვრებლებს სტოუნჰენჯში გაანდათ ქვის ასტრონომიული ობსერვატორია და შეეძლოთ მზისა და მთვარის დაბნელების წინასწარმეტყველება. მოსახრება სადაოა.

უელსური, აგრეთვე მატერიალური და სამართლებრივი კულტურის თვითმყოფი ნიშნები.

დიდი ბრიტანეთის კუნძულების სახელწოდებაში დღემდე შემორჩენილია ბრიტების სახელი. უელსის მთავარი ქალაქია კარდიფი. 1301 წელს უელსი, როგორც ლენი, სამფლობელოდ გადაეცა ინგლისის მეფის ძეს – ტახტის მემკვიდრეს. ამის შემდეგ დღემდე ინგლისის ტახტის მემკვიდრის ტიტულია – “უელსის პრინცი”.

VI საუკუნეში რამდენიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი აღმოცენდა ბრიტანეთის კუნძულებზე. მერვე საუკუნის მიმწუხრზე ინგლისს შემოესევინან დანიელები და ნორვეგიელები. მეცხრე საუკუნის უკანასკნელ მესამედში დანიელებმა დაიპყრეს თითქმის მთელი ინგლისის ტერიტორია. მაგრამ დასავლეთ საქსებმა მეფე ალფრედ დიდის (871-901) მოთავეობით შესძლეს მათი დამარცხება და შევიწროება. დანიელები მხოლოდ კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ინარჩუნებენ შედარებით მცირე ტერიტორიას. მაგრამ XI საუკუნის პირველ ნახევარში ინგლისს კვლავ შემოესევინან დანიელები. მეფე კნუტ დიდის (1017-1035) ზეობის წლებში დანიელები მართავენ ინგლისს. კვლავ იძალეს საქსონელებმა და 1052 წელს ინგლისი კვლავ გადადის ანგლო-საქსების ხელში ედუარდ აღმსარებლის მოთავეობით.

დასასრულ, 1066 წელს ნორმანდიის ჰერცოგი ვილჰელმი ამარცხებს ანგლო-საქსებს და ხდება ინგლისის მეფე. ამით ინგლისის ისტორიის ანგლო-საქსების პერიოდის დასასრული დადგა.

ბრიტანეთის დაპყრობის ხანაში ანგლები და საქსები უკვე მწარმოებლურ მეურნეობას ეწეოდნენ და ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდნენ. მიწის სათემო საკუთრების წიადში (ვალკეულ ოჯახებს სარგებლობაში ეძლეოდათ საკომლო მიწები. თანდათანობით ეს მიწები კერძო საკუთრებად გადაიქცევიან. როგორც ჩანს, ანგლებისა და საქსების ხელში მწარმოებლური მეურნეობა ჯერ კიდევ ინტენსიურობის მაღალ დონეზე არ იდგა. ამიტომაც საკომლოდ საკმაოდ ვრცელი ადგილ-მამული იყო გათვალისწინებული. საკომლო ნაკვეთების საშუალო ზომა იყო ას ოცი აკრი ანუ 50 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა. ამ მიწინილი ადგილ-მამულის, ანუ მიწის ნაღელის გარდა ოჯახს მცირე ზომის საკარმიდამო და სახლ-კარიც გააჩნდა. ხოლო ტყეები და საძოვრები თემის საერთო საკუთრებაში რჩებოდა.

ანგლოსაქსების ბრიტანეთში დამკვიდრების ხანაში იქ ძირითადად მხოლოდ ჩვეულებითი ხალხური სამართლის ნორმებით წესრიგდებოდა საზოგადოებრივი ურთიერთობები.

VI საუკუნიდან ბრიტანეთში კონტინენტზე მოქმედი ბარბაროსული სამართლის წიგნების რაღაც მსგავსი ჩნდება. პირველად ასეთი სამართლის წესები და განგებულებები ჩნდება კელტი მეფის - ადელბერტის დროს 596 წელს. თანდათან, საქონელთა შორისაც ჩნდება სამართლის წიგნები, რომელთაგან ყველაზე მეტად ცნობილია მეფე ალფრედის (IX ს.) და მეფე კნუტის (XI ს.) სამართლის წიგნები. ისინი წარმოადგენენ გერმანული იურიდიული ჩვეულებების ჩანაწერს. მათში არც რომის და არც კელტური სამართლის კვალი არა ჩანს. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ მათში რომის სამართლის სუსტი ზეგავლენა მაინც შეიმჩნევა. ერთადერთი, რაც აშკარად ჩანს, ესაა საეკლესიო სამართლის გავლენა მათზე. პირველ ყოვლისა, საეკლესიო სამართალმა კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა ბრალის საკითხის დამუშავებაზე და სამოქალაქო სამართლის ზოგიერთი ინსტიტუტის განვითარებაზე (მაგ. ანდერძით მემკვიდრეობაზე). სისხლის აღება, შურისძიების წეს-ჩვეულება თანდათან გზას უთმობდა კომპოზიციების სისტემას.

თუ სალიკური სამართალი და სხვა, რიგი ბარბაროსული სამართლის წიგნები ევროპის კონტინენტზე რომ მოქმედებდნენ, ლათინურ ენაზე იყო შედგენილი, ანგლო-საქსონური სამართლის ძეგლები მშობლიურ ენაზე იწერებოდა.

სამართლის წიგნებიდან დგინდება, რომ ანგლო-საქსების წარმოდგენით ქორწინების დროს ხდებოდა ქალის მშობლების ან მეურვეების მხრივ ქალზე სამეურვეო უფლებების ("მუნდ") გადაცემა სასიძოს (ქმრის) ხელში.

ამ უფლებების სასიძოსათვის გადაცემის სანაცვლოდ ქალის მშობლები იღებდნენ სათანადო ანაზღაურებას. ჩვეულების თანახმად ქორწინების დღის მომდევნო დილას ქმარი თავის მეუღლეს მიართმევდა ე. წ. "დილის სწაჩუქარს".

ქრისტიანულმა ეკლესიამ დიდი გავლენა იქონია ოდესღაც წარმართ ანგლოსაქსების საოჯახო ყოფაზე. დამკვიდრდა საეკლესიო წესით ქორწინების ჩვეულება, როდესაც ქორწინება მღვდლის ღოცვა-კურთხევით ხდებოდა. მეფე კნუტის კანონების მიხედვით აიკრძალა ქალის საფასურად გასამრჯელოს გადახდა. სამაგიეროდ ქმარს ავალდებულებდნენ გარკვეული საფასური

გაეღო იმის საწინდრად, რომ ის თავის ცოლს კარგად მოეპყრობოდა. ფიქრობდნენ, რომ ეს იყო ქმრის მომავალი ზნეკეთილობის გარკვეული საწინდარი.

განქორწინება დაიშვებოდა იმ შემთხვევაში, თუ ცოლი უღალატებდა ქმარს. ამასთან ერთად, ძველი გერმანელების ჩვეულებების შესაბამისად მხარეთა სრული თანხმობითაც დაიშვებოდა განქორწინება.

გათხოვილი ქალი სარგებლობდა ქონებრივი უფლებაუნარიანობით, ქმრის ვალებისათვის ცოლი პასუხს არ აგებდა და პირიქით, მაგრამ სოციალურ სინამდვილეში ქალის ქონების გასხვისებაში ქმრის მონაწილეობაც აუცილებელი იყო.

სამართალი წოდებრივ საწყისებზე იყო აგებული და მაღალი წრეების ურთიერთობებს სამართლის განსაკუთრებული ნორმები აწესრიგებდნენ. თუ წარჩინებული წრის ქალს ქმარი მოუკვდებოდა და ის ერთი წლის განმავლობაში გათხოვდებოდა, ქმრის ქონებიდან კუთვნილ წილს ეერ მიიღებდა.

ინგლისურ სამართალზე დიდი გავლენა მოახდინა XI საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარმა მოვლენებმა. 1066 წელს ინგლისის დაპყრობა შეძლო ნორმანდიის ჰერცოგმა ვილჰელმმა, შემდეგ ვილჰელმ დამპყრობელად წოდებულმა. მან ადგილმამულები ჩამოართვა ანგლო-საქს ფეოდალებს და ისინი ნორმანდიელ და ფრანგ ფეოდალებს შორის გაანაწილა. არც ინგლისის თავი-სუფალი გლეხობა დაინდეს და მრავალი მათგანი ყმად აქციეს, ხოლო ყმა-გლეხობის მდგომარეობა კი დაამძიმეს ახალი გადასახადებით და ბეგარით. 1066 წლის ამბების შემდეგ ინგლისში დამყარდა ძლიერი სამეფო ხელისუფლება. სახელმწიფოს გაძლიერება-განმტკიცებას ხელს უწყობდა მეფის საკუთრებაში ახალ-ახალი ადგილ-მამულების გადასვლა.

დაპყრობილი ქვეყნის მამულების დაახლოებით ერთი მეშვიდედი მეფემ თვითონ დაისაკუთრა. ვილჰელმ დამპყრობელმა ფეოდალების თვითნებობა მტკიცედ აღკვეთა და მათ ერთმანეთთან ომების საშუალებას არ აძლევდა, აიძულებდა რა მათ, პირველ ყოვლისა, მეფისა და სახელმწიფოს სამსახური შეესრულებინათ. ამრიგად, ინგლისი უფრო ადრე გაერთიანდა ერთი მეფის ძლიერი ძალაუფლების ქვეშ, ვიდრე საფრანგეთი. ინგლისის მეფის პოლიტიკას, მიმართულს ანარქიის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირა ქალაქებმა, რაინდებმა, მოსახლეობის საშუალო ფენებმა და თვით ეკლესიამაც სასულიერო პირების სახით.

ნორმანების მიერ ბრიტანეთის დაპყრობამ ხელისუფლების ცენტრალიზაციას შეუწყო ხელი. თუ ევროპის კონტინენტზე, მაგ. საფრანგეთსა და გერმანიაში, მეფის ვასალის ვასალი მეფის ვასალი არ იყო, ინგლისში მეფეს ემორჩილებოდა როგორც მეფის უშუალო ვასალი, აგრეთვე ის პირებიც, რომლებიც მეფის ვასალის ვასალები იყვნენ. ფეოდალებს ინგლისში არ გააჩნდათ ის უფლებები, რაც ევროპის კონტინენტზე, სადაც ისინი უმაღლესი იუსტიციის მესვეურები იყვნენ. ინგლისში ფეოდალს არ გააჩნდა ემა-გლეხის სიკვდილით დასჯის უფლება.

ფეოდალური მამული ინგლისში იმ ზომის და ხარისხის დამოუკიდებლობით ვერ სარგებლობდა, როგორითაც საფეოდალოები ევროპის კონტინენტზე. ფეოდალებს არ გააჩნდათ უფლება ერთმანეთს შორის კერძო ომების წარმოებისა.

ფეოდალური წყობილების საწყისები ინგლისში ისე ინტენსიურად არ განვითარებულა, როგორც საფრანგეთში. ერთი ავტორის მართებული შენიშვნით “კაპიტალიზმის განვითარება ინგლისში დაიწყო იმ დროს, როდესაც ფეოდალიზმი საბოლოოდ არ ყოფილა ჩამოყალიბებული. ფეოდალიზმი ირღვეოდა უფრო ადრე, ვიდრე თავის დასრულებას მიაღწევდა. კაპიტალიზმი ინგლისში ვითარდებოდა არა მარტო ქალაქებში, არამედ მან ადრე მოიცვა სოფლის მეურნეობაც”.

ქვეყნის საგარეო ვითარება ხელს უმართავდა ინგლისის პროგრესის გზით განვითარებას. 1066 წელს ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობას თან ახლდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები. ვილჰელმ დამპყრობელმა მთელი ინგლისის ადგილმამულების “კონფისკაცია” მოახდინა და ისინი სამეფო საკუთრებად გამოაცხადა. შეიქმნა სამეფო სატყეო ნაკრძალები, სადაც მეფის ნებართვის გარეშე ვერავინ შედგამდა ფეხს. ვილჰელმ დამპყრობელმა თავისი თანამოსაგრეები დააჯილდოვა ადგილმამულებით, მაგრამ ყოფილი მიწათმფლობელების ნაწილსაც შეუნარჩუნა მამულები. მეფემ აიძულა ყველა, როგორც თავისი ვასალები, ასევე თავისი ვასალების ვასალები, რომ მისთვის ფიცით ერთგულება გამოეცხადებინათ.

ვილჰელმ დამპყრობელმა მოინდომა გაეგო თავისი ვასალების ქონებრივი მდგომარეობა და ბრძანა თავისი ქვეყნის აღწერა, რომლის მიზანიც იყო სამეფოს შესაძლო შემოსავლის განსაზღვრა და საფინანსო ვითარების გაგება. ხსენებული აღწერის მასალები

“საშინელი სამსჯავროს წიგნის” სახელით არის ცნობილი. იგი წარმოადგენდა საადგილმამულო დაეთარს, სადაც აისახა ინგლისის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ხაზინის შემოსავლის წყაროები. აღწერა თითქმის ოცი წლის განმავლობაში გრძელდებოდა, ის საკმაოდ დეტალურად ეხებოდა ყველა შემოსავლის წყაროს. მეფეს, როგორც ღმერთს, არაფერი დაემალებოდა.

ასე რომ, ვილჰელმმა მშვენივრად უწყობდა სამართავი ქვეყნის ეკონომიკური ვითარება. მან ძლიერი სახელმწიფო დაუტოვა მემკვიდრეებს.

1154 წელს ინგლისის ტახტი გადადის გრაფ ჰენრი მეორე პლანტაგენტიის ხელში. მას ეკუთვნოდა აგრეთვე მთელი დასავლეთი საფრანგეთი (ანჟუ, აკვიტანია და ნორმანდია). ჰენრი მეორე იყო, პირველ ყოვლისა, მოქმედების ადამიანი. ის ატარებდა ცენტრალიზებული ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბება-განმტკიცების პოლიტიკას. მანვე ჩაატარა მნიშვნელოვანი სასამართლო რეფორმა, რომელიც მიმართული იყო სამეფო სასამართლოების როლისა და კომპეტენციის გაფართოებისაკენ. მეფემ რაინდებსა და თავისუფალ გლეხობას მიანიჭა უფლება, რომ მათი საქმე განხილულიყო არა ფეოდალის (სენიორის) სასამართლოში, არამედ სამეფო სასამართლოში. ამ უკანასკნელებმა – სამეფო სასამართლოებმა უარყვეს ორდალები, როგორც დამამტკიცებელი საბუთი. აიკრძალა სასამართლო დუელების გამოყენება, მდუღარე წყლით ან ცხელი რკინით ბრალდებულთა გამოცდა.

სამეფო სასამართლოებში ყოველი საქმე განიხილებოდა ე. წ. ნაფიცო მსაჯულების მონაწილეობით. ხსენებულ მსაჯულებს მოსახლეობა ირჩევდა თავისი წრიდან. მსაჯულებად ირჩევდნენ ისეთებს, რომლებიც ცნობილი იყვნენ თავისი პატიოსნებითა და უმწიკვლო ყოფაქცევით, რომელთა ფიცსაც ხალხი ენდობოდა.

არჩეული მსაჯულები ფიცს დებდნენ, რომ მხოლოდ სიმართლეს მოახსენებდნენ სასამართლოს განსახილველ საქმესთან დაკავშირებით. როგორც ირჩევა, ხალხი ენდობოდა ნაფიცო მსაჯულთა სასამართლოს.

სასამართლო რეფორმის შედეგებით პირველ ყოვლისა კმაყოფილები დარჩნენ თავისუფალი გლეხები და წვრილი რაინდები, მოსახლეობის საშუალო ფენები. ჰენრი მეორე აშკარად ებრძოდა მსხვილ ფეოდალებს. მეფემ დაანგრეინა სამასზე მეტი

ციხე-სიმაგრე, რომლებიც ურნ ფეოდალებს ეკუთვნოდა. დანარჩენი ციხე-სიმაგრეები სამეფო გარნიზონებმა დაიკავეს.

მეფის ნება-სურვილი იმაში მდგომარეობდა, რომ სამეფო სასამართლოებს ძლიერი ფეოდალების მხრივ შევიწროებისაგან დაეცვათ სახელმწიფოს მოსახლეობა. მაგრამ, რამდენადაც ინგლისის მოსახლეობის დიდ ნაწილს – ყმა-გლეხებს (ვილლანებს) ფეოდალური მართლმსაჯულების მსახვრალი დამოკლეს მახვილი ემუქრებოდა, მეფემ ამის შესახებაც იფიქრა. ფეოდალისა და მისი მოურავის სასამართლოს დაუპირისპირა მეფის “გამსვლელი სასამართლო”, რომელიც დადიოდა მთელ სახელმწიფოში და მეფის სახელით განიხილავდა ადგილებზე სასამართლო სადავო საქმეებს.

ჰენრი მეორე ცდილობდა აგრეთვე საეკლესიო სასამართლოების დაქვემდებარებასაც. 1164 წელს ჰენრი მეორემ გამოსცა კლარენდონის ასიზა “არქიეპისკოპოსის, ეპისკოპოსის, აბატების, გრაფების ბარონების, მთელი ინგლისის თანხმობით”. კლარენდონის ასიზით შეიზღუდა საეკლესიო სასამართლოების იურისდიქცია. ხსენებული ასიზა 22 მუხლისაგან შედგებოდა და მრავალ საკითხს ეხებოდა.

ფეოდალური ლაშქრით უკმაყოფილო მეფემ ჩაატარა სამხედრო რეფორმები და რაინდული სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ დააწესა საკმაოდ მძიმე ფულადი ე. წ. “ფარის ფულის” გადასახადის გამოღება. ამიერიდან უდისციპლინო ფეოდალური ლაშქარი შეცვალა კარგად გაწვრთნილმა არმიამ. მეფემ დაიქირავა თავისუფალი გლეხობა და უცხოელები და შექმნა ქმედობაუნარიანი სამხედრო შენაერთები. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ინგლისელმა მოისრებმა, რომელთაც ბადალი არ ჰყავდათ მთელ ევროპაში.

ჰენრი მეორე გარდაიცვალა 1189 წელს. ტახტზე ადის მისი ვაჟიშვილი რიჩარდ I (ლომგული). 1199 წელს რიჩარდი ომში დაიღუპა და ტახტი დაიკავა რიჩარდის ძმამ ჯონ (იოანე) უმიწაწყლომ. ამ უკანასკნელმა თავისი წარუმატებელი ომებისა და ანტიხალხური პოლიტიკის შედეგად მოსახლეობის ის ფენებიც მოიმდურა (რაინდობა და მოქალაქეები) წინათ რომ მუდამ მეფის ხელისუფლებას უჭერდნენ მხარს ფეოდალების წინააღმდეგ.

1215 წელს მეფე იძულებული გახდა აჯანყებულების ის მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა, რომლებიც მათ მიერ წარმოდგენილ ქარტიაში იყო ფიქსირებული. მოგვიანებით ამ

დოკუმენტმა თავისუფლების დიდი ქარტიის სახელწოდება მიიღო. მეფესა და ბარონებს შორის უთანხმოებას იწვევდა გადასახადების ოდენობა.

თავის დროზე, XI საუკუნის დამლევს, შედგენილ ე. წ. "საშინელი სამსჯავროს წიგნში" აღნიშნული იყო: "აქ ჩაწერილია მიწების გამოკვლევა, როგორც ის გამოიკვლიეს მეფის ბარონებმა, სახელდობრ საგრაფოს შერიფის, მთელი ასეულის, ყველა ბარონისა და მათი თავისუფლადშობილისა და თითოეული სოფლის მღვდლის, მამასახლისისა და ექვსი ვილანის ფიცით. სახელდობრ რა ეწოდება ადგილ-მამულს, ვის ეჭირა იგი ედუარდ მეფის დროს, ვის უჭირავს იგი ახლა, რამდენი ჰაიდიია მასში, რამდენი გუთანია საბატონე მიწაზე, რამდენი კაციია, რამდენი ვილანი, რამდენი კოტარი (ყმა-გლეხი), რამდენი მონა, რამდენი თავისუფალი კაცი, რამდენი სომენი (თავისუფალთა ერთი კატეგორია), რამდენი ტყეა, რამდენი მდელო, რამდენი წისქვილია, რამდენი თევზსატყეო, რამდენი მოემბატა ან რამდენი მოაკლდა, რამდენს იძლეოდა ყველაფერი ერთად და რამდენს იძლევა ახლა, რამდენი ჰქონდა ან აქვს თითოეულ თავისუფალ კაცს ან სოკმენს. ყველაფერი ეს სამგზის, სახელდობრ ედუარდ მეფის დროს, და როცა უილიამ მეფემ უბოძა და როგორაა ახლა, და შეუძლია თუ არა მეტის მოცემა, ვიდრე იძლევა ამჟამად".¹

როგორც მოტანილი საბუთიდან ჩანს, მეფის ხელისუფლების საგადასახადო-საფინანსო კლანჭები უკვე XI საუკუნეში იმდენად ძლიერი იყო, რომ მას ვერავინ დაუსხლტებოდა ხელიდან. რა გასაკვირია, რომ გადასახადებისაგან ისედაც შეწუხებული ბარონები და საერთოდ მეფის ქვეშევრდომები ჯონ უმიწაწყლოს ახალი გადასახადების შემოღებას არ აპატიებდნენ.

ინგლისელ ბარონებს მიაჩნდათ, რომ მეფე ჯონის ხელისუფლება ზომაზე მეტად ძლიერდებოდა და ცდილობდნენ მის შეზღუდვას. რამდენადაც მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკს მიემხრნენ ქალაქები და წვრილი მიწათმფლობელები, სახელმწიფო სამოქალაქო ომის საშიშროების წინაშე იდგა. თანდათან მეფის ხელისუფლება დასუსტდა. ჰენრი მეორის ვაჟიშვილების – რიჩარდ

¹ იხ. შუა საუკუნეების სამართალი. ტ. II, განვითარებული ფეოდალიზმის ხანა (XI-XIV). თბ., 1962, გვ. 168, წიგნი შეადგინა და კომენტარები დაურთო ი. დოლიძემ.

ლომგულის (1189-1199) და ჯონის მეფობის წლებში (1199-1216) ინგლისის სახელმწიფო და საზოგადოება ახალი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. ინგლისმა დაკარგა ნორმანდია და ანჟუ. გარდა ამისა, მეფე ჯონი კენტერბერის არქიეპისკოპოსის არჩევაში ჩაერია და ამით დაუპირისპირდა პაპ ინოკენტი მესამეს. პაპთან შეჯახება მეფის დამარცხებით დამთავრდა. რომის პაპმა მეფე ჯონი ეკლესიისაგან განკვეთა და 1208 წელს მთელ ინგლისში ღვთისმსახურებაც კი აკრძალა. მეფე იძულებული გახდა პაპის ვასალად ეცნო თავი და ვალდებულებაც ეკისრა, რომ პაპის ხაზინაში ყოველწლიურად ხარკის სახით შეეტანა ათასი გირვანქა სტერლინგი. და როდესაც 1215 წელს ბარონები აუჯანყდნენ მეფეს, ეს უკანასკნელი ტყვედაც ჩაუვარდა მათ. მეფეს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და 1215 წლის 15 ივნისს იძულებული გახდა ხელი მოეწერა ე. წ. თავისუფლების დიდი ქარტიისათვის.

ეს ქარტია ლათინურ ენაზე იყო დაწერილი. ის შედგებოდა 63 მუხლისაგან. ბარონებმა და რაინდებმა, ქალაქელებმა და სასულიერო წოდების წარმომადგენლებმა, ყველამ, ვინც გაერთიანებული იყო მეფის დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო მიზნებით, სცადა თავისი ინტერესების დასაცავი მუხლების ან მუხლის შეტანა ქარტიაში და მეტ-ნაკლებად შეძლო კიდევ ეს. მაგრამ “თავისუფლების დიდი ქარტია” უპირატესად ბარონების ბრძოლის პროდუქტი იყო და მათ ინტერესებს იცავდა. ინგლისის ეკლესიამ მონაწილეობა მიიღო ბარონების აჯანყებაში მეფის წინააღმდეგ. მეფე იძულებული გახდა ელიარებიანა ინგლისის ეკლესიის უფლებებისა და თავისუფლების ხელშეუვალობა. სამეფო ხელისუფლება არ უნდა ჩარეულიყო საეკლესიო თანამდებობის პირთა არჩევის საქმეებში.

ქარტიამ, ცხადია, უყურადღებოდ არ დატოვა წერილი, საშუალო და მსხვილი ფეოდალების ინტერესებიც. ის ფეოდალები, რომლებსაც უშუალოდ მეფისაგან ეჭირათ ადგილ-მამული, დაინტერესებულნი იყვნენ იმით, რომ მეფეს თვითნებურად არ გაედიდებინა გადასახადები და გამოსადებები. მეფეს ჰქონდა უფლება ობოლი და არასრულწლოვანი ფეოდალებისათვის გაეწია მეურვეობა. როგორც ჩანს, ზოგჯერ მეფეები ბოროტად იყენებდნენ ამ უფლებას. ქარტიამ მეფის ეს უფლებებიც გარკვეულ ფარგლებში მოაქცია.

ფეოდალთა სასამართლოები დაცულ იქნენ მეფის ხელი-სუფლების უხეში ჩარევისაგან. ფეოდალებისათვის გადასახადების

გადახდევინების უფლება, რომელიც მეფეს გააჩნდა, მკაცრად იქნა შეზღუდული. ბარონები კი თავის მხრივ პირობას იძლეოდნენ, რომ თავიანთ ვასალებს არ აიძულებდნენ გადაეხადათ იმაზე მეტი, რაც ჩვეულებით იყო გათვალისწინებული. ქარტიამ არც ქალაქები დაივიწყა და ლონდონს და სხვა ქალაქებს დაუმტკიცა ძველი თავისუფლებები. ქარტიაში ვაჭრობის განვითარების ინტერესებისათვის დადგენილი იყო, რომ შემოედოთ ერთიანი ზომის და წონის ერთეულები.

ქარტიის 41-ე მუხლში ჩაწერილი იყო: “ყველა ვაჭარს უფლება ჰქონდეს თავისუფლად და უშიშრად გავიდეს ინგლისიდან და შემოვიდეს ინგლისში და იმყოფებოდეს და იმგზავროს ინგლისში როგორც ხმელეთით, ისე წყლით, რათა იყიდოს და გაყიდოს უკანონო ბაჟის გადახდის გარეშე და გადაიხადოს მხოლოდ ძველებური და სამართლიანი წესჩვეულებით დადგენილი ბაჟები, გარდა ომიანობის დროისა, თუ ისინი იქნებიან ჩვენ წინააღმდეგ მეომარი ქვეყნიდან. თუ ასეთები აღმოჩნდებიან ჩვენს ქვეყანაში ომის დასაწყისში, ისინი უნდა შეიპყრონ მათი სხეულისა და ქონებისათვის ზიანის მიუყენებლად, ვიდრე ჩვენ ან ჩვენი უმაღლესი იუსტიციარი არ შევიტყობთ, თუ როგორ ეპყრობიან ჩვენი ქვეყნის ვაჭრებს, რომლებიც მაშინ იმყოფებიან ჩვენს წინააღმდეგ მეომარ ქვეყანაში. და თუ ჩვენები იქ უშიშრად არიან, ისინიც უშიშრად უნდა იყვნენ ჩვენს ქვეყანაში”.

“თავისუფლების დიდ ქარტიაში” განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ოცდამეცხრამეტე და მეორმოცე მუხლები.

39-ე მუხლის მიხედვით, “არც ერთი თავისუფალი კაცი არ იქნება დაპატიმრებული ან სამფლობელოწართმეული, ან კანონგარეშე გამოცხადებული, ან გაძევებული, ან სხვა რაიმე გზით გაუბედურებული, და ჩვენ არ წავაღთ და არც სხვას გავზავნით მის წინააღმდეგ სხვანაირად, თუ არ თავისი პერების კანონიერი განაჩენით და ქვეყნის კანონით”. ქარტიის მეორმოცე მუხლის თანახმად მეფე პირობას იძლეოდა: “არავის მივყიდით უფლებას და სამართლიანობას, არავის ვეტყვით მათზე უარს და არ ღავაყოვნებთ მათ”.

მართალია, თავდაპირველად “თავისუფალ კაცში” მხოლოდ ფეოდალს გულისხმობდნენ, მაგრამ მოგვიანებით ხსენებული ცნების შინაარსი მოიცავდა ინგლისში მცხოვრებ ყველა თავისუფალ ადამიანს.

ქარტიის 39-ე მუხლი შეიცავდა კანონის უზენაესობის იდეას

და, ამდენად, სოციალური პროგრესის პრინციპსაც. ბუნებრივია, რომ ხსენებული მუხლი გახდა ინგლისური სამართლის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი. და გასაკვირი არაა, რომ ინგლისური სამართლის ისეთი სახელგანთქმული ძეგლები, როგორცაა 1628 წელს გამოცემული პეტიცია (ბილი) უფლებების შესახებ და 1679 წელს მიღებული “ჰაბეას კორპუს აქტი”, “თავისუფლების დიდი ქარტიის” 39-ე მუხლიდან იღებენ სათავეს.

ქარტიის შესრულების უზრუნველყოფა დავალებული ჰქონდა ოცდახუთი ბარონისაგან ე. ი. სენიორისაგან შემდგარ საბჭოს. ქარტიის 61-ე მუხლში ვკითხულობთ:

“მას შემდეგ, რაც ჩვენ ღვთის გულისათვის და ჩვენი სამეფოს გასაუმჯობესებლად და ჩვენსა და ჩვენს ბარონებს შორის წარმოშობილი უთანხმოების წარმატებით მოსაგვარებლად, ყოველივე ზემოაღნიშნული ვუბოძეთ, რაკი გვსურს, რომ ისინი ამით სამუდამოდ სარგებლობდნენ მტკიცედ და ურღვევად, ვქმნით და ვუბოძებთ მათ ქვემოთ აწერილ უზრუნველყოფას, სახელდობრ: რომ ბარონებმა აირჩიონ ოცდახუთი ბარონი სამეფოდან, ვისაც მოისურვებენ, რომლებმაც მთელი თავისი ძალდონით უნდა დაიცვან და შეინარჩუნონ და აიძულონ მშვიდობა და თავისუფლებანი (“პაკემ ეტ ლიბერტატუს”), რაც ჩვენ მათ ვუბოძეთ და ამ ჩვენი ქარტიით დაუუდასტურეთ, სწორედ იმგვარად, რომ უკეთუ ჩვენ ან ჩვენი იუსტიციარი, ან ჩვენი ბეილიფები, ან ვინმე ჩვენი მსახურთაგანი რაიმეში ვინმეს წინააღმდეგ შევცოდავთ ან მშვიდობის თუ უზრუნველყოფის რომელიმე მუხლს დავარღვევთ და სამართალდარღვევა მიეთითება ოთხ ბარონს ზემოაღნიშნულ ოცდახუთ ბარონთაგან, ეს ოთხი ბარონი გამოცხადდება ჩვენთან ან ჩვენს იუსტიციართან, თუ ჩვენ სამეფოს საზღვრებს გარეთ ვიქნებით, მიგვითითებენ დარღვევას და მოითხოვენ, რომ ეს დარღვევა დაუყოვნებლივ გამოვასწოროთ”.

“და უკეთუ ჩვენ არ გამოვასწორებთ დარღვევას ან თუ ჩვენ სამეფოს საზღვრებს გარეთ ვიქნებით და ჩვენი იუსტიციარი არ გამოასწორებს ორმოცი დღის განმავლობაში იმ დროიდან, როცა ეს დარღვევა მიგვეთითა ჩვენ ან ჩვენს იუსტიციარს, თუ ჩვენ სამეფოს საზღვრებს გარეთ ვიქნებით, მაშინ ზემოხსენებული ოთხი ბარონი მთელი ქვეყნის თემთან ფრიად გვაიძულებენ და შეგვაავიწროვებენ ყველა საშუალებით, რითაც კი შეუძლიათ, ვიდრე დარღვევა არ იქნება გამოსწორებული მათი გადაწყვეტილების თანახმად. ამასთან ხელუხლებელი რჩება ჩვენი პიროვნება და

ჩვენი დედოფლის და ჩვენი შვილების პიროვნება, ხოლო როცა გამოსწორება განხორციელდება, ისინი კვლავ დაგვემორჩილებიან ჩვენ, როგორც წინათ. და ვინც ქვეყანაში მოისურვებს, დადებს ფიცს, რომ ყოველივე ზემოხსენებული შესასრულებლად დაემორჩილება ზემოხსენებული ოცდახუთი ბარონის ბრძანებებს და თავის ძაღლისსამებრ შეგვაფიწროვებს ჩვენ მათთან ერთად, და ჩვენ აშკარად და თავისუფლად ვაძლევთ ნებართვას თითოეულს დადოს ფიცი, ვინც მოისურვებს ფიცის დადებას და არავის და არასოდეს არ შეეუშლით ხელს დადოს ფიცი”.

როგორც ვხედავთ, მეფის ხელისუფლება ბარონებმა ძალიან შეზღუდეს.

“თავისუფლების დიდი ქარტიის” ხელნაწერმა ტექსტმა ჩვენამდე ოთხ ცალად მოაღწია, რომელსაც თან ახლდა შენიშვნა: “შეთანხმება მეფე ჯონსა და ბარონებს შორის თავისუფლებათა მინიჭების შესახებ ეკლესიისა და ინგლისის სამეფოსათვის”. ტექსტი თავდაპირველად მუხლებად არ ყოფილა დაყოფილი. სახელწოდებაც გვიანდელია. თავისუფლების ქარტიები წინათაც არსებულა, მაგრამ ასეთი დიდი მოცულობისა – არა. აქედანაა სახელწოდება – “დიდი”.

“თავისუფლების დიდი ქარტია” ჯონ უმიწაწყლოს შთამომავლებმა არაერთხელ დაამტკიცეს და მასში ზოგიერთი ცვლილებაც კი შეიტანეს.

ქარტიას ადარებენ პირობითად “ფეოდალურ კონსტიტუციებად” აღიარებულ, თითებზე ჩამოსათვლელ, რიგ ძეგლებს.

აქ კვლავ უნდა გავისხენოთ, რომ 1066 წლის მომდევნო ხანებში ინგლისის მეფეების ხელისუფლება გაძლიერდა. მეფესთან არსებობდა სამეფო საბჭო, ე. წ. სამეფო კურია, რომელშიც საერო და სასულიერო დიდებულები შედიოდნენ. თავდაპირველად სამეფო კურიაში განიხილებოდა ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებაში შედიოდა. სამეფო კურია ახორციელებდა მართლმსაჯულებასაც. სამეფო კურიის იურისდიქციაში შედიოდა მსხვილი სისხლისა და სამოქალაქო საქმეების გარჩევა.

ნორმანების შემოსევის შემდეგ დაწესდა იუსტიციარის თანამდებობა. თუ მეფე არ იყო ინგლისში, იუსტიციარს ხელეწიფებოდა მისი მოადგილის როლის შესრულება. მაგრამ თანდათან იუსტიციარის ხელში გადადის ადმინისტრაციული და სასა-

მართლო საქმეების გამგებლობა; მომდევნო დიდმოხელე ინგლისში იყო კანცლერი, რომელსაც თავდაპირველად სასულიერო წოდების წარმომადგენლებიდან ნიშნავდნენ. კანცლერის მაღალ თანამდებობაზე მიგვითითებს ის გარემოებაც, რომ მას ებარა სახელმწიფო ბეჭედი. ამასთან ერთად, კანცლერის ხელში გადადიოდა ყველა სახელმწიფო დოკუმენტი.

შემდეგი დიდმოხელე ინგლისის სახელმწიფოში იყო ხაზინადარი, რომელიც სახელმწიფო ხაზინას განაგებდა. სამხედრო უწყებას ხელმძღვანელობდნენ კონსტებლი და მარშალი. სასამართლო წყობილებამაც მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა ინგლისში. სამეფო მერხის სასამართლოს, საერთო დაევების სასამართლოს და სახაზინო სასამართლოს ფუნქციები თანდათან ცვლილებებს განიცდიდა.

პარლამენტის წარმოშობა და მისი კომპეტენციების ზრდა ინგლისის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ჟენრი მესამის (1216-1272) ზეობის წლებში კვლავ გართულდა ურთიერთობა მეფესა და ბარონებს შორის. ედუარდ პირველის მეფობის დროს, 1295 წელს მეფემ დაუთმო ბარონებს და მოიწვია ე. წ. “სანიმუშო პარლამენტი”, რომლის მუშაობაშიც ფეოდალებთან ერთად მონაწილეობდნენ ქალაქების, დაბალი რანგის სამღვდელოებისა და საგრაფოების წარმომადგენლებიც.

XIII საუკუნის მიწურულისათვის ინგლისში უკვე არსებობდა მონარქია, რომელსაც წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო ზღუდავდა. მეფეს პარლამენტის თანხმობის გარეშე არ შეეძლო მოსახლეობისათვის ახალი გადასახადების შეწერა. კანონების გამოცემაც მეფეს პარლამენტის თანხმობის გარეშე არ შეეძლო, მაგრამ მეფეს შეეძლო კანონში არსებული ხარვეზების შეცვლა. მართვის ასეთი ფორმა ინგლისელ სამართალმცოდნე ფორტესკიუს XV ს. მეორე ნახევარში მიაჩნდა რესპუბლიკური და მონარქიული წესწყობილების ერთმანეთთან შეხამებად, მათ შერწყმად (ტრაქტატი “ინგლისური კანონების ქება”).

წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო ევროპის კონტინენტზეც იყო, მაგრამ ინგლისის პარლამენტისაგან განსხვავდებოდა. მაგალითად, საფრანგეთში ყველა სამი წოდება ცალცალკე იკრიბებოდა. ინგლისის პარლამენტში კი ყველა წოდება ერთობლივ იყო წარმოდგენილი. მხოლოდ XIV საუკუნის მეორე ნახევარში წოდებები ორ პალატად დაიყოფიან: ლორდთა პალატად და თემთა პალატად. ლორდთა პალატაში ისხდნენ დიდებული

აზნაურობის და უმაღლესი სამღვდელთა წარმომადგენლები, ხოლო თემთა პალატაში ქალაქელები და წვრილი მიწათმფლობელები.

ახლა, ვფიქრობთ, რომ უფლება გვაქვს შევჩერდეთ ინგლისური სამართლის თავისებურებებზეც. აღვნიშნოთ ინგლისური სამართლის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ე. წ. საერთო სამართლის ოჯახში. მართებულად აღნიშნავს რენე დავიდი, რომ "საერთო სამართლის სისტემა ინგლისში შეიქმნა ნორმანდიელთაგან ქვეყნის დაპყრობის შემდეგ, ძირითადად, სამეფო სასამართლოების საქმიანობის პროცესში. გარდა ინგლისური სამართლისა, რომელიც ამ სისტემის საფუძველია, საერთო სამართლის ოჯახი ყველა ინგლისურენოვან ქვეყანას მოიცავს, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ გამონაკლისს. საკუთარი ტრადიციების, ინსტიტუტებისა და კონცეფციების შენარჩუნება ამ ქვეყნებმა მრავალ სფეროში შეძლეს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი იურისტების აზროვნებაზე ინგლისურმა გავლენამ მაინც ღრმა კვალი დატოვა, თუნდაც იმ ფაქტის გამო, რომ, ერთი მხრივ, ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოები და, მეორე მხრივ, სასამართლო პროცესის მტკიცებულებათა სისტემა აგებული იყო და წესრიგდებოდა ინგლისური სამართლის მოდელით".

ინგლისური სამართალი, ჩამოყალიბებული XI საუკუნის უკანასკნელი ათეულიდან მოყოლებული, თავისი ქვეყნის რთული ისტორიის ღვიძლი შვილი იყო. როდესაც ინგლისი დაიპყრო ნორმანებმა, აქ ერთიანი სასამართლო წყობილება და სამართლის წყაროს ცნება არ არსებობდა. ერთიანი ინგლისური სამართალი ე. წ. "საერთო სამართალი" (Common law) XII საუკუნიდან ჩნდება. საერთო სამართლის წარმოშობაში დიდი როლი შეასრულეს საგრაფოების, ასეულებისა და ფეოდალების სასამართლოებმა.

სამეფო სასამართლოები თავიანთი მოდერნიზაციების პროცესში ხელმძღვანელობდნენ ქვეყნის ჩვეულებითი სამართლით. ითვლებოდა, რომ სასამართლოს წევრები არიან სწორედ ის ადამიანები, რომელთაც სწორად ესმოდათ მრავალი ხარკეზის შემცველი ჩვეულებითი სამართლის ნორმების ძირითადი აზრი, არსი და მისი მასაზრდოეული პრინციპები. ამ პროფესიონალი მოსამართლეების გადაწყვეტილებანი ითვლებოდა თავის მხრივ სხვა მოსამართლეებისათვის სახელმძღვანელოდ. ვინც მეფეს მიმართავდა სასამართლო დაცვისათვის, ის მისგან ღებულობდა

ბრძანებულებებს (“რით”). ეს “რით” კი გაიცემოდა მხოლოდ გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ, შერიფის სახელზე. შერიფი მეფის ადგილობრივი მოხელე იყო. შერიფი ვალდებული იყო მოშივანის თუ მოსარჩლის პრეტენზია გულდასმით განეხილა და თუ ის სამართლიანი იყო, დაექმყოფილებინა, აქძულებინა მოპასუხე დამორჩილებოდა სამართალს. თუ მოპასუხე უარს იტყოდა მოსარჩლის პრეტენზიების დაკმაყოფილებაზე, მაშინ ის უნდა გამოცხადებულიყო მეფის სასამართლოში და იქ უნდა გაემართლებინა თავი.

მოგვიანებით ეს ბრძანებულებები (“რით”) გაიცემოდა იმისათვის, რომ მოპასუხე გამოცხადებულიყო სამეფო სასამართლოში. ეს ბრძანებულება – განკარგულება იწერებოდა გარკვეული წესით, სადაც მეორდებოდა სხვადასხვა ფორმულები და კლაუზულები, ყალიბდებოდა ამა თუ იმ ტიპის სამართლებრივი ურთიერთობების ძირითადი თვისებები.

ბრძანებულება-განკარგულებათა (“რით”-ების) გარკვეული ლოგიკურ-სისტემური აგებულება, მათში გარკვეული სამართლებრივი პრინციპებით ხელმძღვანელობა ხელს უწყობდა იურიდიული აზრის განვითარებას. თუ ვინმეს ჰქონდა პრეტენზია, რომ დაებრუნებინა საკუთარი ქონება, მას ეძლეოდა ბრძანებულება უფლების შესახებ, ხოლო ვალის გადახდევინების სარჩელთან დაკავშირებულ ბრძანებულებას ერქვა “ბრძანებულება ვალის შესახებ”. ეს (right of debt) სულ უფრო ხშირად გვხვდება გვიანფოდალური ინგლისის სასამართლო პრაქტიკაში. მეფე პენრი მეორემ მეფის სათანადო ბრძანებულება-განკარგულების გარეშე ადგილ-მამულების დაკლების განხილვაც კი აუკრძალა ფოდალურ სასამართლოებს. ასე, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა მეფის სასამართლოების მნიშვნელობა. უკვე XIII საუკუნის დასაწყისში “ბრძანებულების” რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ მათი საძიებლის შედგენაც კი გახდა საჭირო.

XV საუკუნეში უკვე აღარ იწერებოდა ბრძანებულება თითოეულ საქმეზე. სარჩელს მოსარჩელე წარმოადგენდა წერილობით, ხოლო კანცლერი მას სახელმწიფო ბეჭდით ამოწმებდა. ინგლისური “საერთო სამართალი” ეს იყო სასამართლო ოქმებში ფიქსირებული სამეფო სასამართლოების პრაქტიკა.

ინგლისური სამართლის მნიშვნელოვანი წყარო იყო სტატუსები. მას სხვადასხვა დროს ეძახდნენ ქარტიას, ასიზს, კონსტიტუციას, პროვიზიას და ა.შ.

XV საუკუნიდან უკვე პარლამენტი აიძულებდა სტატუსს. სტატუსების გარდა ინგლისური სამართლის მნიშვნელოვანი წყარო იყო ე.წ. “სამართლიანობა” ანუ სამართლიანობის სამართალი. რაში მდგომარეობდა სამართლიანობის სამართალი ანუ “სამართლიანობის სისტემა (equity).

თუ რაიმე ფორმალური მიზეზის გამო ქვეშევრდომის თხოვნა არ შეიძლებოდა დაექმაცოფილებინათ, მეფე მოიღებდა მოწყალებას, დაეხმარებოდა მოსარჩლეს და, არაიშვიათად, საქმეს გადასცემდა კანცლერს გასარჩევად. ეს უკანასკნელი კი საქმეს “სამართლიანობის” და “სინიღისის” კარნახით განიხილავდა. კანცლერი საქმის განხილვისას ხელმძღვანელობდა ბუნებითი სამართლით და ნაწილობრივ კი რომის სამართლის ისეთი ნორმებით, რომლებიც ინგლისის სამეფოში არსებული ვითარებისათვის ადვილად შესაფარდებელი იყო. ინგლისური სამართლის ცნობილი მკვლევარი ედუარდ ჯენკსი აღნიშნავს, რომ სამართლიანობის სამართალი იყო საერთო სამართლის დანამატი. ეს მართლაც ასე იყო გვიანფოდალურ ბრიტანეთში. ის ხარვეზები, რაც “საერთო სამართალს” გააჩნდა, სამართლიანობის სამართალს უნდა შეეკვსო. იმ ზღვა დიტერატურაში, რაც ფილოსოფოსებმა და სხვა დარგის სწავლულებმა სამართლიანობას, და სხვა ეთიკურ კატეგორიებს უძღვნეს, ძნელია რაიმე დამაჯერებელი განმარტება მოინახოს იმისა, თუ რა არის სამართლიანობა იურიდიული თვალსაზრისით.

რა თქმა უნდა, ინგლისის სახელმწიფოს მესვეურებს ესმოდათ, რომ სამართალი და სამართლიანობა ერთი და იგივე არ არის და სურდათ ხიდის გადება მათ შორის. სამართალი გულისხმობს უკვე არსებულ მართლწესრიგს, ხოლო სამართლიანობა აღიარებს არა ყოველთვის არსებულს, არამედ უპირატესად სასურველს, უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ სასურველს. სამართალი რეალური ყოფიერებაა, სამართლიანობა კი, როგორც წესი, სოციალური იდეალია. ის, რაც დღეს სამართლიანობად ითვლება და მხოლოდ იდეალს წარმოადგენს, ხვალ შეიძლება სამართლად გადაიქცეს. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ითქვა, რომ სამართლიანობისა და სამართლის დაპირისპირება არის ის ფორმა, რაშიაც ვლინდება იურიდიული იდეების ბრძოლა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არსებობენ ზნეობისა და სამართლიანობის უბრალო ნორმები. ის გარემოება, რომ საშუალო საუკუნეების ინგლისში ცდილობდნენ სამართლის დაახლოებას თუ საერთო

საკაცობრიო მორალთან არა, საერთო ინგლისურ მორალთან და სამართლიანობასთან, უთუოდ პროგრესულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ინგლისური სამართლის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ პრეცედენტი და არა კანონი შეადგენს მის ძირითად წყაროს. რიგი ინგლისელი ნიჭიერი მკვლევარები გულწრფელად ფიქრობდნენ, რომ პრეცედენტების სისტემა და საერთო სამართალი შეადგენენ მათი ქვეყნისა და მათივე სამართლის უპირატესობის მანიფესტაციას. ედუარდ ჯენკსის აზრით, ინგლისური სასამართლო სამართალს კი არ ქმნის, არამედ მხოლოდ არსებული ნორმის ახსნა-განმარტებას იძლევა.

ინგლისური სამართლისა და ინგლისური სასამართლო სისტემის კრიტიკას ეხვდებით იერემია ბენტამის ნაშრომებში. ბენტამის აზრით პრეცედენტების ბრიტანული სისტემა არის იურისტების შეთქმულება ხალხის წინააღმდეგ, მოსამართლეები და ადვოკატები პირდაპირ დაინტერესებულნი არიან იმით, რომ სამართალი იყოს რაც შეიძლება არარაციონალური. ცხადია, ბენტამის მეტისმეტი კრიტიციზმი მართებული არ არის, მაგრამ მას არსებობის უფლება მაინც აქვს იმდენად, რამდენადაც ის ინგლისური სამართლის გაუმჯობესება-განახლებისაკენ არის მიმართული. ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი გულდჰარტი ამის შესახებ წერდა, რომ სამართალწარმოების ბრიტანული სისტემა გამორიცხავს არაიურისტების ზეგავლენას მასზე, რომ ამ სისტემას ახასიათებს კონსერვატიული აზროვნება და ფორმალურობა, ფორმით მეტისმეტი გატაცება. იმავე გულდჰარტის აზრით სასამართლო პრეცედენტების სისტემის მეშვეობით ინგლისელი მოსამართლე წარსულის მონა და მომავლის დესპოტი ხდება. ის შეზღუდულ-შეზღუდილია თავისი წინაპრების გადაწყვეტილებებით და ა.შ.

ინგლისურ სასამართლო სისტემას ნაკლოვანებები გააჩნდა და გააჩნია, მაგრამ მას იმის უნარიც აღმოაჩნდა, რომ ეს ნაკლოვანებები თანდათან თავიდან მოეშორებინა. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი შეასრულა ინგლისური მართლმსაჯულების ისტორიაში კანცლერის სასამართლომ.

კანცლერის სასამართლომ მიითვისა განსაკუთრებული იურისდიქცია მინდობილი საკუთრების – “ტრასტის” საქმეების განხილვასთან დაკავშირებით.

“ტრასტ” იყო ისეთი ქონება, რომელსაც მართავდა არა მესაკუთრე, არამედ ნდობით აღჭურვილი პირი “კეთილ-სინდისიერად” სხვა პირის ან პირების ინტერესებისათვის.

სამართლის ეს მნიშვნელოვანი დარგი წარმოიშვა “სამართლიანობის სამართლის” წილში. მაშასადამე, მომავლის მქონე მრავალი ინსტიტუტი დაიბადა საერთო სამართლის ფარგლებს გარეთ.

“სამართლიანობის სასამართლო” უფრო ახლოს იდგა ხალხის მართლშეგნებასთან. ედუარდ ჯენკსს მოაქვს ასეთი მაგალითი: ერთმა პიროვნებამ მეორესთან დადო გარიგება, რომ მიწის ნაკვეთს მიყიდდა ათას მარკად, მაგრამ ამის შემდეგ აღმოაჩინა პირი, რომელიც იმავე მიწა-აღაგისათვის ათას ორას მარკას იძლეოდა და დაარღვია ხელშეკრულება.

“საერთო სამართლის” სასამართლო მიწის თავდაპირველად ყიდვის მსურველს აუნახლავრებდა პირგასამტეხლოს გამყიდველის დაჯარიმების მეშვეობით. მაგრამ მიწის თავდაპირველად ყიდვის მსურველს ხელს აძლევს არა პირგასამტეხლოს აღება, არამედ ათას მარკად მიწის ნაკვეთის დასაკუთრება. ამიტომ ის დაეყრდნობა რა “სამართლიანობის სამართალს”, კერძოდ, პეტიციას სამართლიანობის შესახებ (bill of equity), კანცლერის მეშვეობით დაისაკუთრებს მიწას ათას მარკად, ხოლო მიწის გამყიდველს უარის შემთხვევაში დაემუქრება დაპატიმრებით.¹

“სამართლიანობის სამართლის” კანცლერის სასამართლომ საერთო სამართლის სასამართლოებთან შედარებით შეძლო უფრო მოქნილი და გონიერული სასამართლო პროცესის ჩამოყალიბება.

ინგლისურ სამართალს სასამართლო პროცესის ურთიერთობების და საკუთრების სამართლის სფეროებშიც გააჩნდა გარკვეული თავისებურებანი.

ვილჰელმ დამპყრობელმა ინგლისის ტერიტორიის ერთი მეშვიდედი თავისად გამოაცხადა და თავის ერთგულ ხალხს გადასცა სამსახურის პირობით. ოფიციალურ ხელისუფლებას მიაჩნდა, რომ ინგლისის სამეფოს მთელი მიწების უმაღლესი მესაკუთრე იყო მეფე. ლორდებს უშუალოდ მეფის ხელიდან ჰქონდათ მიღებული ადგილ-მამული და ისინი ითვლებოდნენ მიწის მთავარ მპყრობელებად. ლორდი, თავის მხრივ, ადგილ-მამულს გადასცემდა ქვედა საფეხურის მფლობელებს, რომლებიც შუაღობით “საშუალო” ლორდებად და ბარონებად იწოდებოდნენ. XV საუკუნიდან მოყოლებული სამართლიანობის სამართლის სასამართლოები იურიდიულ დაცვას ავრცელებდნენ ვილანების

¹ ე. ჯენკსი. ინგლისური სამართალი, 1947, გვ. 39.

ქონებაზე, მათ ადგილ-მამულებზე.

რაინდი, როგორც მიწის თავისუფალი მფლობელი, ვალდებული იყო წელიწადში ორმოცი დღის განმავლობაში გაეწია სამსახური.

გვიანფეოდალურ ინგლისში საკუთრების უფლების ელემენტმა თავი მოიყარა თავისუფალი მიწათმფლობელების ხელში. მიწის პურობის ერთი სახეობა, რომელსაც “ფი-სიმპლ” (fee simple) ერქვა, ძალიან ახლოს იდგა სრულ საკუთრებასთან.

სანივთო სამართალი ინგლისში საკმაოდ განვითარებული სახით გვევლინება ადრეფეოდალურ და ფეოდალურ ხანაში. ინგლისის სანივთო სამართალმა შედარებით სწორად ასახა ქვეყანაში არსებული საკუთრებითი ურთიერთობები.

ინგლისური სამართლის შესწავლაში მთელი მსოფლიოს მოწინავე მედიევისტები მონაწილეობდნენ. საშუალო საუკუნეების ინგლისის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესწავლაში დიდ დახმარებას გვიწევს უილიამ ეშლის “ინგლისის ეკონომიური ისტორიის და თეორიის შესავალი” და ტოროლდ როჯერსის (1823-1890) რვა ტომიანი ნაშრომი “ინგლისის სოფლის მეურნეობისა და ფასების შესახებ XIII-XVII საუკუნეებში”.

ფრედერიკ სიბომმა (1833-1912) თავისი “ინგლისური სასოფლო თემით” და სხვა მნიშვნელოვანი ნაშრომებით ხელი შეუწყო ინგლისური სამართლის შესწავლას. ისტორიულ-სამართლებრივი მიმართულების გერმანელმა მკვლევარებმა გ. ლ. მაურერმა, გ. ვაიცმა, პ. როტმა, ო. გირკემ. რ. გნეისტმა დიდი წვლილი შეიტანეს ინგლისური სამართლის რიგი ინსტიტუტების კვლევაში.

აქვე უნდა დავასახელოთ ისტორიკოსების პ. ვინოგრადოვას, მ. კოვალევსკის, ე. კოსმინსკის, მ.ა. ბარგის, ე. ვ. გუტნოვისა და სხვების ღვაწლი. პავლე ვინოგრადოვის როლი მაინც განსაკუთრებული იყო. მისი ტალანტი იმაშიც გამოვლინდა, რომ მან შეძლო მაღალხარისხიანი ნაშრომების შექმნა სამოქალაქო ისტორიასა და სამართლის ისტორიაშიც.

პ. ვინოგრადოვის და სხვა მკვლევარების ნაშრომებით დადგინდა, რომ უკვე ანგლოსაქსების ეპოქაში ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ “ფოლკლანდს” და “ბოკლანდს”. ფოლკლანდად იწოდებოდა ისეთ ადგილ-მამულებს, რომელსაც პირი ფლობდა ადგილობრივი ჩვეულებების შესატყვისად და ამ ჩვეულებების ძალით. ფოლკლანდი, ჩვეულებრივ, დიდი ოჯახის მფლობელობაში იმყოფებოდა. ხოლო, რაც შეეხება “ბოკლანდს”, ეს იყო ადგილ-

მაშული, რომელსაც პირი ფლობდა მეფის სიგელის ძალით, მეფის წყალობის საფუძველზე. “ბოკლანდი”, როგორც საკუთრების სახეობა, თანდათან ვითარდებოდა კერძო საკუთრების მიმართულებით და როცა საკუთრების ეს სახეობა თანდათან ჩამოყალიბდა, მისი განუქება, გაყიდვა, ანდერძით გასხვისება დასაშვებად ჩაითვალა. რაც შეეხება ფოლკლანდს, მისი გასხვისება გარკვეულ შეზღუდვებთან იყო დაკავშირებული. სხვა შეზღუდვებთან ერთად ფოლკლანდის გასხვისებისათვის ნათესავების თანხმობაც იყო საჭირო. სიმპტომატურია, რომ “ფოლკლანდი” მემკვიდრეობის კანონის ძალით მხოლოდ კანონიერ მემკვიდრეებზე გადადიოდა. ხოლო “ბოკლანდის” გასხვისება ანდერძითაც შეიძლებოდა. ერთ შემთხვევაში მოქმედებდა მემკვიდრეობის ადიაფეტური წესი, ხოლო მეორეში – ამ წესის ფარგლები დარღვეული იყო, მაგრამ დროთა ვითარებაში განსხვავება “ფოლკლანდსა” და “ბოკლანდს” შორის წაიშალა.

რაც შეეხება მოძრავი ქონების სამართლებრივ რეჟიმს, ანგლოსაქსების ხანაში ის იმ თავისებურებით ხასიათდებოდა, რომ მისთვის უცნობი იყო ე.წ. ვინდიკაციის რომაული გაგება. მხოლოდ ნივთის ბოლო მფლობელს შეეძლო მისი გათხოვა ნივთის დაკარგვის შემთხვევაში.

ანგლოსაქსების სამართალში განვითარების ადრეულ საფეხურზე სახელშეკრულებო ურთიერთობების ამსახველი ნორმები პრიმიტიულობით გამოირჩეოდა. თვით ხელშეკრულების ცნებაც ჩამოყალიბების პროცესში იყო. მაშინდელი მართლშეგნების მიხედვით მხარეთა ვალდებულებები გამომდინარეობდა არა ხელშეკრულებიდან, არამედ თვით ნივთის ერთი პირის ხელიდან მეორის ხელში გადასვლის ფაქტიდან. ასე მაგ., თვით ყიდვა-გაყიდვისას მყიდველის ვალდებულება გადაეხადა ნაყიდი ნივთის ფასი, წარმოიშობოდა არა იმიტომ, რომ მხარეებმა იკისრეს ურთიერთვალდებულება გადაეცათ ნივთი და გადაეხადათ ფასი, არამედ იმიტომ, რომ ერთი პირის ნივთი გადავიდა მეორის ხელში. ის თანხა, რასაც მყიდველი ნაყიდი ნივთის საფასურად იხდიდა, განიხილებოდა როგორც ნივთი, რომელზედაც გამყიდველს საკუთრების უფლება გააჩნდა.

¹ იხ. მ. ვ. ზიმელევა. “ანგლოსაქსები” წიგნში სახელმწიფოს და სამართლის ზოგადი ისტორია, ნაწ. II, მოსკოვი, 1947, გვ. 40.

ინგლისში მიწის მესაკუთრეები ინარჩუნებდნენ საკუთრების უფლებას წიაღისეულზე ინგლისური სამართლისათვის დამახასიათებელია საკუთრების ორი სახეობის აღიარება: რეალურისა და პერსონალურის. თანაც რეალური და პერსონალური საკუთრების ცნებები არ ემთხვევა უძრავი და მოძრავი საკუთრებისას.

ინგლისური საადგილმამულო ურთიერთობებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეორე და მესამე უესტმინსტერის სტატუტს.

უესტმინსტერის მეორე სტატუტით (1285) ფართო საფუძველი მიეცა მემკვიდრეობითობის მაიორატულ სისტემას. ეს სისტემა ადრეც არსებობდა ინგლისში (მაგ. XII საუკუნეში). კანონმდებელი ცდილობდა მემკვიდრეობითი სამართლის ნორმების მეშვეობით შეეწერებინა მსხვილი ადგილ-მამულების დაქუცმაცება ინგლისში.

უესტმინსტერის მესამე სტატუტით, რომელიც 1290 წელს გამოვიდა, თუ ვინმე თავისი მიწების თუ სამფლობელოების ნაწილს გაყიდდა, “მაშინ იმას, ვინც მას ფეოდალ მიიღებდა” – “უნდა ეჭიროს ისინი უშუალოდ სიუზერენისაგან” და მას მაშინვე დაედებოდა “იმ სამსახურის ტვირთი, რამდენიც ეკუთვნის ან უნდა ეკუთვნოდეს ამ სიუზერენს ამ ნაწილისათვის გაყიდული მიწის ან სამფლობელოს ოდენობის შესაბამისად და ამნაირად, ამ შემთხვევაში სიუზერენს უნდა ერგოს თვით ის ნაწილი სამსახურისა, რომელიც ფეოდალს მიმდებმა უნდა მიიღოს, რის გამოც ფეოდალს მიმდებმა პასუხი უნდა უგოს სიუზერენს მისგან კუთვნილი სამსახურის ამ ნაწილისათვის გაყიდული მიწის ან სამფლობელოს ოდენობის შესაბამისად”.

თუ პირს დასაგირავებელი ნივთი არ გააჩნდა და კრედიტორი კი გირაოს მოითხოვდა ვაღის უზრუნველსაყოფად, მაშინ თვით დებიტორის პიროვნება ითვლებოდა დაგირავებულად. ფიქრობენ, რომ, თუ ასეთი პირი ვაღს ვერ გადაიხდიდა, მას კრედიტორის მსახურად ყოფნა მოელოდა. საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში დიდ როლს ასრულებდა პატიოსანი სიტყვა და სინდისიერი საქციელი (“ფიდეს პაქტა”). საზოგადოებრივ და სამართლებრივ ურთიერთობათა არც თუ მცირე წრე წესრიგდებოდა პატიოსანი სიტყვის მეშვეობით. პირი, რომელმაც იკისრა რაღაც კონკრეტული ვალდებულება, რიგ შემთხვევებში, მის შესრულებას უზრუნველყოფდა პატიოსანი სიტყვის მიცემით, რომელსაც თან ახლდა სიმბოლური მნიშვნელობის რომელიმე ნივთის გადაცემა (წიქელი, ჯოხი, ხელთათმანი ან სხვა რამ).

ამ შემთხვევაში, ვაღდებულების წარმოშობის საფუძველი იყო არა რომელიმე ფასეულობის გადასვლა კრედიტორიდან დებიტორის ხელში, არამედ თვით საკრალური წეს-ჩვეულებების შესრულების ფაქტი. ასეთი რამ სხვა ხალხის ისტორიიდანაც არის ცნობილი.

მემკვიდრეობა ანგლოსაქსურ ხანაში პირველ რიგში დაღმავალი ხაზის სისხლით ნათესავეებს ერგებოდათ. მამაკაცების უფლებები სამკვიდრო ქონებაზე უფრო მტკიცე იყო, ვიდრე ქალებისა, ვაჟების უპირატესობა სამკვიდროს დაუფლებაში თავისთავად იგულისხმებოდა. ზოგან უფროს ვაჟებს, ხოლო ზოგანაც უმცროსებს ეძლეოდათ უპირატესობა დაუფლებოდნენ მამის უძრავ ქონებას.

ძველი ინგლისური სისხლის სამართალი აშკარად ატარებდა ბარბაროსული ურთიერთობების კვალს. ჩანს სისხლის აღების კვალი. სახელმწიფო ხელისუფლება ცდილობდა შეეკავა შურისძიების ჩვეულება და შეეცვალა ის სისხლის საფასურის გადახდით. თავდაპირველად დაზარალებულ მხარეს შეეძლო მიეღო ან არ მიეღო გამოსასყიდი თანხა ანუ “სისხლის” საფასური, მაგრამ სახელმწიფო ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად დადგენილ იქნა, რომ დაზარალებულ მხარეს უარი ეთქვა შურისძიებაზე და დაავალდებულეს მიეღო ვერგელი. სახელმწიფო ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად ვერგელდიდან (კომპოზიციიდან) წილი ერგებოდა სახელმწიფო ხელისუფლებასაც (ლორდს, მეფეს). თანდათან სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინება მეტ ადგილს იჭერს დელიქტიდან გამომდინარე ვაღდებულებებში.

პრიმიტიული მართლშეგნების პროდუქტი იყო ის გარემოება, რომ ნივთი, რომლის გამოყენებითაც მოხდა დანაშაულის ჩადენა, უნდა გადასცემოდა დაზარალებულ მხარეს. თუ ასეთი ნივთის მფლობელი უარს იტყოდა მის გადაცემაზე, ის ამისათვის პასუხს აგებდა. თავდაპირველად ინგლისურ სამართალში ბატონობდა ობიექტური შერაცხვის ანუ ობიექტური პასუხისმგებლობის პრინციპი. ასეთ ვითარებაში მნიშვნელობა არ აქონდა დანაშაულის ჩადენის მოტივებს, არც იმას, აუცილებელი მოგერიების გადაშეტებასთან თუ შემთხვევასთან გვექონდა საქმე. ეკლესია ებრძოდა ასეთ შეხედულებას. დროთა ვითარებაში ობიექტური შერაცხვის იდეა თანდათან ადგილს უთმობდა ბრალის მიხედვით პასუხისმგებლობის იდეას.

ანგლოსაქსური სამართალი ანსხვავებდა რელიგიის,

პიროვნების და ქონების (საკუთრების) წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობებს.

რელიგიურ დანაშაულობებს განეკუთვნებოდა წარმართული ღმერთებისადმი თაყვანისცემა და ჯადოქრობა, აგრეთვე “ეშმაკისადმი მსხვერპლის შეწირვა”.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობებს სჯიდნენ ჯარიმით, სხეულებრივი სასჯელებით, სიკედილით.

ანგლო-საქსურ სამართალში უძველესი ხანიდან ცოცხლობდა იდეა, რომ ზოგიერთი დანაშაულის და გარდამავლობითი მოქმედებისათვის მთელმა საზოგადოებამ უნდა იძიოს შური და არა მარტო დაზარალებულმა მხარემ. თანდათან, დროთა ვითარებაში, სამეფო ხელისუფლების გაძლიერებას და სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ პროგრესთან ერთად ჩნდება და ვითარდება იდეა, რომ ყველა დანაშაული საჯარო-სამართლებრივი ინტერესების ხელყოფაა.

უდაბლეს სასამართლო ინსტანციას წარმოადგენდა ასეულის სასამართლო. ეს იყო არსებითად თემის სასამართლო. შედარებით უფრო მაღალ ინსტანციას წარმოადგენდა საგრაფოს სასამართლო, ხოლო უზენაეს სასამართლო ინსტანციად ითვლებოდა მეფის სასამართლო.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისისათვის დამახასიათებელი იყო სასამართლო პროცესის პრევალირებული მნიშვნელობა. რენე დავიდი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ სამართალი იმ სახით, როგორც სავესტმინსტერო სასამართლოების მიერ გამოიყენებოდა შუა საუკუნეებში, მჭიდროდ დამოკიდებულებაში იყო სარჩელის ფორმებთან და პროცედურასთან.

ფ. მეტლენდის – ინგლისური სამართლის ისტორიის გამოჩენილი სპეციალისტის აზრით სამეფო სასამართლოებმა იმას მიადწიეს, რომ სრული იურისდიქციის მქონე სასამართლოებად ითვლებოდნენ. მათ უნდა განეხორციელებინათ მართლმსაჯულება ყველა მნიშვნელოვან საქმეზე, მაგრამ ეს უნდა ეკეთებინათ შეზღუდულ პროცესულურ ფორმათა ჩარჩოებში, რომლებიც თანდათან ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც საბარონო და საეკლესიო იურისდიქცია სერიოზული კონკურენტები იყო სამეფო იურისდიქციისა.

“თუ გვინდა ინგლისური სამართალი გავიგოთ, არასდროს უნდა დავივიწყოთ მატერიალური სამართლის მიმართ პროცესის

პირველადი მნიშვნელობა. მატერიალურ სამართალს და პროცესს შორის არსებული კავშირი ინგლისში გამოხატულია ცნობილი ანდაზით: “უფლებებს წინ პროცესუალური ფორმები უძღვის” (რენე დავიდი). სწორედ პროცესუალური ნორმების საკმაოდ ოპტიმალურ ჩარჩოებში იქმნებოდა და ვითარდებოდა ინგლისური სამართალი. როგორც ჩანს, საპროცესო ჩარჩოები დიდად არ უშლიდა ხელს ინგლისური სამართლის განვითარებას. ინგლისური სამართალში დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა სამეფო ბრძანებულებებს – “რით”-ებს, რომელთა მეშვეობითაც შეიძლებოდა საუესტმინსტერო სასამართლოებისადმი მიმართვა.

გვიანფეოდალურ ინგლისში 1290-1536 წლებში “წელიწადეულის” სახით დგებოდა ქრონიკები ფრანგულ ენაზე, რომლებშიც, როგორც სარკეში, აისახებოდა სამართალგანვითარების პროცესის დადებითი და უარყოფითი მხარეები ინგლისში.

ინგლისის სახელმწიფო და სამართალი XVII-XIX საუკუნეებში

ისტორიულმა მოვლენებმა, რომლებიც გვიანფეოდალურ ევროპასა და მთელ მსოფლიოში ხდებოდა, კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა ინგლისის სახელმწიფოსა და სამართლის განვითარებაზე. ცნობილია, რომ ინგლისში 1086 წლიდან მტერს არ დაუდგამს ფეხი. თვით ქვეყნის შიგნით კი ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს, უკვე მეცამეტე საუკუნეში ქალაქების რიცხვი თითქმის ორჯერ მეტი იყო, ვიდრე წინა – მეთორმეტეში.

თანდათან, ფეოდალური საზოგადოების წიაღში ჩაისახა და განვითარდა ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობის საწყისები. გვიანფეოდალურ ხანაში შესაძლებელი გახდა ხანგრძლივი ზავი და კავშირი ბურჟუაზიისა და მსხვილი მიწათმფლობელების მნიშვნელოვან ნაწილს შორის.

მეთექვსმეტე საუკუნის სამოციან წლებამდე, ერთი საუკუნის განმავლობაში ინგლისში თოთხმეტჯერ გაიზარდა ქვანახშირის მოპოვება, ხოლო რკინის მადნისა – სამგზის. განვითარდა გამთმშენებლობა და მანუდის წარმოება. ბევრი იყო ისეთი ქარხანა და ფაბრიკა, სადაც ერთ ჭერქვეშ ასობით კაცი მუშაობდა.

ინგლისის ისტორიის მკვლევარების დასკვნით უკვე მეჩვიდმეტე საუკუნის ინგლისში ადგილ-მამულები შეადგენდნენ არა ფეოდალურ, არამედ ბურჟუაზიულ საკუთრებას. მიწის მესაკუთრეები ხელს უმართავდნენ საწარმოო ძალების განვითარებას და ამასთან ერთად შრომის მწარმოებლურობის გადიდებაც, რასაც თან სდევდა გლეხობის ნაწილის მიწებიდან აყრა და ქალაქებში გადასახლება. ქალაქებში ჩასული გლეხობა ებმებოდა მანუფაქტურულ წარმოებაში. თვით სასოფლო სამეურნეო წარმოება ესადაგებოდა სამრეწველო სახელმწიფოს დიდებას. მასთან დაკავშირებით ერთი ავტორი წერდა: “ინგლისი მსოფლიო სახელოსნოდ უნდა გადაქცეულიყო, მთელი დანარჩენი ქვეყნები ინგლისისათვის იგივე უნდა გამხდარიყო, რაც უკვე იყო ირლანდია, ე. ი. მის სამრეწველო ნაწარმთა გამსაღებელი ბაზარი და მისთვის ნედლი მასალებისა და სურსათის მიმწოდებელი. ინგლისი – მიწათმოქმედი მსოფლიოს დიდი სამრეწველო ცენტრი, მრეწველობის მზე, რომლის გარშემო ბრუნავს ხორბლისა და ბამბეულის მწარმოებელი პლანეტები, რომელთა რიცხვი თანდათან იზრდება. რა დიდებული სანახაობაა!”

ინგლისის 1640-1660 წლების რევოლუციას თან სდევდა სათანადო საკანონმდებლო ხასიათის ცვლილებები.

1649 წელს მეფე დასაჯეს სიკვდილით. გამოცხადდა რესპუბლიკური მმართველობა, ხოლო 1653 წლიდან – პროტექტორატი. 1649 წლის 17 ივლისს მიღებული კანონით სახელმწიფოს ღალატად ითვლებოდა რესპუბლიკური ფორმის მართვა-გამგეობაზე ხელის ამართვა. სახელმწიფოს ღალატად ითვლებოდა აგრეთვე “მეფისა და ლორდთა პალატის გარეშე არსებული თავისუფალი სახელმწიფოს ხელყოფა” და თემთა პალატის, როგორც “ინგლისის ხალხის უმაღლესი ხელისუფლების”, წინააღმდეგ აჯანყება.

ამ მშფოთვარე, “რევოლუციით ფეხმძიმე” ეპოქაში სახელმწიფო ღალატის ცნება ხშირად იცვლებოდა.

1659 წლის 19 იანვარს გამოვიდა ლორდ-პროტექტორის ოლივერ კრომველის ორდონანსი, რომლის მიხედვითაც უკვე სახელმწიფო ღალატად ჩაითვლებოდა ლორდ-პროტექტორის პიროვნებაზე და უფლებებზე ხელის აღმართვა და თავდასხმა. თვით ლორდი პროტექტორი კი აღიარებული იყო როგორც ინგლისის სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფალი.

იცვლებოდა რელიგიურ დანაშუულობათა ცნებაც. “სანგრძლივმა” პარლამენტმა 1649 და 1650 წლების კანონებით

სასჯელები შემოიღო კვირა დღის დაუცველობისათვის, ქრისტიანული რელიგიის უარყოფელთათვის. რელიგიური პოლიტიკის ცვლილება აისახა 1657 წლის 16 ივნისის აქტში, რომლის მიხედვითაც კათოლიკური რელიგია იდევნებოდა. იკრძალებოდა აზარტული თამაშები, მაწანწალობა. ამავე დროს შეამსუბუქეს იმ პირთა ხვედრი, რომლებიც ციხეებში იყვნენ გამოძევდებულნი ვაღის გადაუხდელობისათვის.

1650 წელს ინგლისში “ხანგრძლივი” პარლამენტის აქტით სასტიკად აიკრძალა სისხლის აღრევა, მეუღლური ერთგულების დარღვევა. სისხლის აღრევა და ცოლ-ქმრული ღალატი სიკვდილით ისჯებოდა, ხოლო ქორწინების გარეშე სქესობრივი ურთიერთობები – პატიმრობით. მკაცრად ისჯებოდა საროსკიპოს გახსნაც, მაგრამ ამ კანონებს ხანგრძლივად არ უარსებია, იგი გაუქმდა 1660 წელს სტიუარტების რესტავრაციის შემდეგ.

XVII-XVIII საუკუნეების ინგლისურ კანონმდებლობაში ხშირად იცვლებოდა სახელმწიფო დანაშაულობათა ცნების შინაარსი სახელმწიფოს პოლიტიკის კონიუნქტურული ინტერესების შესატყვისად.

1691 წელს მიღებული კანონის თანახმად ინგლისიდან საფრანგეთში იარაღის გატანა, აგრეთვე უნებართვოდ საფრანგეთში გამგზავრება და იქიდან დაბრუნება სახელმწიფო ღალატად ითვლებოდა. ასევე ღალატის ცნებაში შედიოდა ფულის გაყალბების ზოგიერთი სახეობაც.

ინგლისური სამართლის ერთ-ერთი ნაკლი ის იყო, რომ დიდი ნდობით ეკიდებოდა დამნაშავის მხრივ დანაშაულის აღიარებას. თუ სახელმწიფო ღალატში ბრალდებული პირი არ აღიარებდა დანაშაულს, მაშინ კანონის მიხედვით სრულყოფილ მტკიცებულებად ჩაითვლებოდა ორი სანდო მოწმის ჩვენება.

XIV საუკუნის ინგლისში კანონმდებელი სასჯელის მუქარით აიძულებდა სახელმწიფოს ქვეშევრდომებს ემუშავათ ქვეყნის სასარგებლოდ. სამუშაოზე უარის თქმა ისჯებოდა. 1348-1349 წლებში შავი ჭირის ეპიდემიამ ინგლისში მრავალი ადამიანი, მრავალი მუშახელი შეიწირა, რამაც გამოიწვია ხელფასების გადიდება. 1349 წელს გამოიცა ორდონანსი, რომელიც 60 წლის ასაკამდე ღარიბებს, რომელთაც თავისი მეურნეობა არ გააჩნდათ, აიძულებდა ემუშავათ ღორდის მეურნეობაში ეპიდემიამდელი ჯამაგირის საფასურად.

1361 წლის კანონი კანონგარეშე აცხადებდა იმ მოჯამაგირებს, რომელნიც უარს იტყოდნენ სამუშაო ბეგარის მოხდაზე. 1381 წელს უოტ ტაილერის აჯანყების¹ შემდეგ ინგლისური სისხლის სამართლის კანონმდებლობა ერთ-ერთი ყველაზე უფრო მკაცრი იყო ევროპაში. ის თავისი სიმკაცრით არ ჩამოუვარდებოდა ცნობილ გერმანულ სისხლისსამართლებრივ სჯულდებას – კაროლინას (1532 წ.).

ინგლისური კანონმდებლობით სასტიკად ისჯებოდა სხვისი საკუთრების ხელყოფა.

ცნობილი ინგლისელი იურისტი ბლეკსტონი, ინგლისური კანონების ცნობილი კომენტატორი, თავის ერთ-ერთ მთავარ თხზულებაში (1705 წ.) აღნიშნავდა, რომ ისეთ ქმედებათა შორის, რომელთაც ადამიანები ყოველდღიურად სჩადიან, არანაკლებ ას სამოციასა, დანაშაულობათა ისეთ კატეგორიას განეკუთვნებიან, რომელთა ჩამდენთათვის კანონი სიკვდილით დასჯას მოითხოვსო.

სასჯელის შერჩევასას ინგლისელი მოსამართლე დიდი თავისუფლებით სარგებლობდა. ინგლისური სასამართლოების საქმიანობის დადებითი მხარე იმაში მდგომარეობდა, რომ ევროპის კონტინენტზე მდებარე ქვეყნების სასამართლოებისაგან განსხვავებით ისინი იშვიათად თუ მიმართავდნენ სიკვდილით დასასჯელის წინასწარ წამებას და სიკვდილით დასჯის კვალიფიციურ სახეებს.

მხოლოდ სახელმწიფოს მოღალატის მიმართ შეიძლებოდა ოთხად გაკვეთის გამოყენება. ცნობილია, რომ როდესაც 1610 წელს საფრანგეთში ჰენრიხ მეთოხის მკვლელი, სულით ავადმყოფი რავალიაკი სიკვდილით დასაჯეს, მას არ აკმარეს უბრალოდ ოთხ ნაწილად გაკვეთა, არამედ წინასწარ აწამეს კიდევც: გავარვარებული რკინის მაშებით აგლეჯდნენ ხორცს და ჭრილობაში გამდნარ კალას, ადულებულ ზეთსა და ფისს ასხამდნენ.

როდესაც ინგლისმა კოლონიები გაიჩინა, დადგა საკითხი კოლონისტების წახალისებისა. რადგანაც ასეთმა წახალისებამ ნაკლებად იმოქმედა, გაჩნდა სასჯელის ისეთი სახეობა, როგორიც იყო კოლონიაში გადასახლება.

ინგლისის რევოლუციის ხანაში (1640-1660) გააუქმეს განსაკუთრებული დანიშნულების სასამართლოები, მაგალითად, ე. წ.

¹ რ. ჰილტონი და გ. ფაგანი. ინგლისელი ხალხის აჯანყება 1381 წელს, 1952, მოსკოვი (რუს.). გვ. 173-174.

“ვარსკვლავთა პალატა”, მაღალი კომისია. შეიზღუდა საიდუმლო საბჭოს იურისდიქცია.

ინგლისის პარლამენტმა 1679 წელს მიიღო ე. წ. “შაბეას კორპუს აქტი”. ეს ითვლება დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან, შეიძლება ითქვას, ძირითად კონსტიტუციურ აქტადაც კი. ხსენებული კანონით სასამართლოს უფლება ეძლეოდა შეემოწმებინა რამდენად კანონიერად იყო დაპატიმრებული ესა თუ ის ეჭვმიტანილი პირი. თვით თავისუფლებადკვეთილ ადამიანს, თუ მას უკანონოდ მიაჩნდა დაპატიმრება, უფლება ჰქონდა სასამართლოსათვის მიემართა ამასთან დაკავშირებით. მოსამართლეს ერთპიროვნულად უნდა განეხილა საქმე დაპატიმრებულის თანდასწრებით. თუ მოსამართლე დარწმუნდებოდა, რომ პირი უსამართლოდ იყო დაპატიმრებული, მას უფლება ჰქონდა გაეთავისუფლებინა იგი უპირობოდ ან საწინდრით. თუ პირი კანონიერად იქნებოდა დაპატიმრებული, მოსამართლე მას საპატიმროში დააბრუნებდა.

ხსენებულმა აქტმა გავლენა იქონია აშშ კონსტიტუციაზე, რომლის თანახმადაც ამ გარანტიის შეჩერება შეუძლია მხოლოდ კონგრესს და, სახელმწიფო უშიშროების ინტერესების გათვალისწინებით, პრეზიდენტსაც.

მთელი მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში ინგლისური სამართლისათვის დამახასიათებელი იყო პარლამენტის მნიშვნელობის ზრდა, პარლამენტის უმაღლესობის დამკვიდრებამ თავისი გამოხატულება პოვა დიდი ინგლისელი იურისტის ბლეკსტონის ცნობილ თხზულებაში “ინგლისის კანონების კომენტარები” (1765 წ.). ბლეკსტონის აზრით ინგლისის პარლამენტს ყველაფერი შეუძლია, რისი გაკეთებაც კი ფიზიკურად შეიძლება. ის ყოველს შემძლეა. პარლამენტს უფლება ჰქონდა დაედგინა ტახტის მემკვიდრეობის წესი, შეეცვალა სახელმწიფოში გაბატონებული რელიგია ახლით, შეეცვალა სახელმწიფო წყობილება. ბლეკსტონის აზრით ქვეყნის სუვერენიტეტს პარლამენტი განასახიერებს, მაგრამ მისებური გაგებით პარლამენტის ცნებაში იგულისხმებოდა მეფე, ლორდები, თემები და ა.შ. პარლამენტის ძალაუფლება ბლეკსტონის აზრით განუსაზღვრელი და უპირობოა. პარლამენტი არავის წინაშე არ აგებს პასუხს. ¹

1. იხ. სახელმწიფო და სამართლის ზოგადი ისტორია. ნაწ. III. მოსკოვი, 1947 (რუს.). გვ. 20.

ასე, საუკუნეების განმავლობაში, კლასობრივი და შინაკლასობრივი ტაქტიკური ბრძოლის, ზოგჯერ აშკარა ბრძოლის, უმეტესად კი გონივრული კომპრომისების ვითარებაში ჩამოყალიბდა ინგლისის პოლიტიკური სისტემა.

მეწვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების ინგლისური საზოგადოების დიდი "შვილები იყვნენ ვიგები და ტორები. ეს ორი პარტია დიდხანს განაპირობებდა ინგლისის პოლიტიკურ სახეს. ტორების უმრავლესობა არისტოკრატიულ წრებთან იყო დაკავშირებული. ტორები არისტოკრატიული მოწინააღმდეგეები იყვნენ მრეწველი კაპიტალისტებისა. როდესაც ტორები იძულებულნი ხდებოდნენ დაეთმოთ რაიმე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით, ისინი ყოველთვის ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი კონსერვატიული და ისტორიულ-ტრადიციული, სიძველის ელფერის- მქონე ინსტიტუტების შენარჩუნებას. ერთი ინგლისური გამოთქმისა არ იყო, რაც უფრო მეტად იცვლებოდნენ ტორები, მით უფრო ძველებური რჩებოდნენ. ინგლისის "სახელოვანმა" რევოლუციამ ხელისუფლების სათავეში ვიგები დასვა. მეთვრამეტე საუკუნის ნახევრამდე ვიგებმა შეინარჩუნეს ძალაუფლება. 1783 წელს თემთა პალატაში ტორები აღმოჩნდნენ უმრავლესობაში და ძალა-უფლებასაც დაუფლნენ. ენერგიულ ტორებს გარკვეული სამსახური გაუწია საფრანგეთის რევოლუციის ზოგიერთმა მკვეთრმა ღონისძიებებმა და შეცდომებმა. ინგლისის ბურჟუაზიას შეეშინდა, რომ ფრანგების გიჟურ რევოლუციას ინგლისში მიმდევრები არ აღმოჩნოდა და მან დაკარგა ხალისი ტორებისათვის წინააღმდეგობის გაწევისა, რითაც კარგად ისარგებლეს ტორებმა. 1830 წლამდე ინგლისში კონსერვატორები იდგნენ სახელმწიფოს საჭესთან.

მიუხედავად კონსერვატორების ენერგიული მცდელობისა, მათ მაინც ვერ შეძლეს პარლამენტის დასუსტება და მეფის ხელისუფლების გაძლიერება. 1760 წლიდან 1820 წლამდე მთელი სამოცი წლის განმავლობაში ინგლისის სამეფო ტახტზე იჯდა გიორგი მესამე, არც თუ მთლად მეფობის ღირსი პიროვნება, რომელზეც ტორებს დიდი გავლენა ჰქონდათ, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. როგორც პროფ. გ. ს. გურვიჩი აღნიშნავდა "მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის მონარქია ინგლისში აშკარად მოკლებული იყო რეალურ შინაარსს. მეფე წინანდებურად ითვლებოდა არა მარტო სახელმწიფოს მეთაურად, არამედ მთელი სამთავრობო ხელისუფლების ცენტრად. ის წარმოადგენდა ქვეყანას საერთაშორისო ურთიერთობებში. აცხადებდა ომს, დებდა ზავს,

ნიშნავდა და უკანვე იწვევდა ელჩებს, ხელმძღვანელობდა შეიარაღებულ ძალებს. მონარქი წარმოადგენდა სამთავრობო სისტემის ცენტრს, რომელიც შედგებოდა თვით მისგან, მისი საბჭოსა და პარლამენტისაგან. თვით საიდუმლო საბჭოც და პარლამენტიც მისი სახელით მოქმედებდა. საბჭო მას ესმარებოდა მართვაში, ისევე როგორც პარლამენტი — საკანონმდებლო მოღვაწეობაში. ის ნიშნავდა და ათავისუფლებდა მინისტრებს თავისი ნება-სურვილის მიხედვით. პარლამენტის არც ერთი გადაწყვეტილება ძალაში არ შედიოდა მონარქის გადაწყვეტილების გარეშე. მას შეეძლო ვადაზე ადრე დაეთხოვა თემთა პალატა. იგივე შეეძლო გაემეორებინა კვლავ ახლად არჩეულ თემთა პალატის მიმართაც და ასე დაუსრულებლად. მას შეეძლო ღორდთა პალატაშიაც იმდენი ახალი წევრი დაენიშნა, რამდენიც მოესურვებოდა”.¹

მაგრამ ყველაფერი ეს ინგლისის მონარქის მოჩვენებითი უფლებები იყო. პრაქტიკულად კი სულ სხვა ვითარებასთან გვექონდა საქმე.

თითქმის არც ერთი თავისი მრავალრიცხოვანი პრეროგატივიდან მეფეს არ შეეძლო განეხორციელებინა საკუთარი ინიციატივით და თაოსნობით. ყველაფერი ამისათვის საჭირო იყო სხვა პირის, კერძოდ, მინისტრის თანხმობა, რომლის ხელმოწერის შემდეგაც მეფის აქტი შედიოდა ძალაში და იღებდა კანონის სახეს. მეფე პასუხს არ აგებდა უვარგისი და წარუმატებელი მართვა-გამგეობისათვის. ინგლისური პოლიტიკური გამოთქმის თანახმად მეფეს არ შეიძლებოდა რაიმე შეშლოდა. თუ საქმე გაფუჭდებოდა, პასუხს მეფის მრჩეველი აგებდა. მეფის მრჩეველები იყვნენ პასუხისმგებლები პარლამენტის წინაშე მეფის მოქმედების შედეგებისათვის.

შეეძლო თუ არა მეფეს რაიმე ისეთი სახელმწიფო ღონისძიება გაეტარებინა, რომელსაც კაბინეტის მეთაური, პრემიერ-მინისტრი ეწინააღმდეგებოდა? რა თქმა უნდა, არა. თვით კაბინეტის მეთაურის, პრემიერ-მინისტრის თანამდებობა საკანონმდებლო აქტით არც ყოფილა გათვალისწინებული. სოციალურმა პრაქტიკამ ინგლისის პოლიტიკური ცხოვრების მესვეურები იმ

¹ იხ. სახელმწიფო და სამართლის ზოგადი ისტორია. ნაწ. III, მოსკოვი, 1947 (რუს.). გვ. 21. დამოწმებული ციტატა ეკუთვნის პროფ. გურეისს.

დასკვნამდე მიიყვანა, რომ მინისტრებმა სოლიდარულად, კოლექტიურად უნდა აგონ პასუხი პარლამენტის წინაშე და არა ცალ-ცალკე. მეფეს, რა თქმა უნდა, XVI საუკუნეში სხვა მოცულობის და რიგის უფლებამოსილებანი გააჩნდა, ვიდრე XIX საუკუნეში, მაგრამ პარლამენტის ძალაუფლების ზრდას თან სდევდა მეფის ისედაც სუსტი ხელისუფლების დაკნინება. რადგანაც პარლამენტს, როგორც ორგანოს, არ შეეძლო თავისი აგებულების შესაბამისად მართვა-გამგებლობის, მინისტრთა კაბინეტის დეტალებში წვდომა, ამიტომაც მას არ სურდა ცალკეულ მინისტრებთან ჰქონოდა საქმე. რადგანაც პარლამენტში ყოველთვის ორი დაჯგუფებიდან ერთი ბატონობდა, ამ გარემოებამ შესაძლებლობა მისცა მინისტრებს შეექმნათ თანამოაზრეთა ვიწრო კაბინეტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა პირველი მინისტრი როგორც ლიდერი. კონსერვატორები პრემიერ-მინისტრში ხედავდნენ მეფის მეტოქეს, ხოლო რადიკალები – პარლამენტისათვის საშიშ ძალას.

თვით “მინისტრთა კაბინეტი” არაოფიციალური სახელწოდება იყო. კანონისათვის უცნობი იყო როგორც სახელწოდება პრემიერ-მინისტრი, ასევე კაბინეტიც.

მინისტრთა კაბინეტი წარმოიშვა თანდათანობით. ის ჩაისახა საიდუმლო საბჭოს წიაღში და მასვე ნელ-ნელა გამოეყო. მის შემადგენლობას მეფე არჩევდა. საიდუმლო საბჭოს წინაშე რომელიმე წევრს ავალებდნენ ეხელმძღვანელა ამა თუ იმ უწყებისათვის, მართვის ამა თუ იმ ობიექტისათვის. ასეთი “მინისტრების” ნაკრებისაგან თანდათან ყალიბდებოდა “კაბინეტი”. ღიფხანს კაბინეტის სხდომები საიდუმლო ვითარებაში წარმოებდა. არავინ უწყობდა, თუ სად მოღვაწეობდა იგი. მხოლოდ XIX საუკუნის დასასრულისათვის კაბინეტი მკვიდრდება ლონდონში, დაუნინგსტრიტის ერთ-ერთ სახლში.

მართალია, ფორმალურად მინისტრებს მეფე ნიშნავდა, მაგრამ მათ ის ნიშნავდა პარლამენტში გამარჯვებული დაჯგუფებისათვის მისაღები პირების რიგებიდან. ინგლისელთა აზრით ცხოვრებამ თავისი სოციალური პრაქტიკით დაადასტურა, რომ მეფეს არ შეუძლია ქვეყანა მართოს პარლამენტის გარეშე. თუ მეფეს თქმთა პალატა გაუწყვედა წინააღმდეგობა, ის ბიუჯეტის დამტკიცებას ვერ შეძლებდა.

მოკლედ შევჩერდეთ ინგლისური აბსოლუტიზმის თავისებურებებზე. ინგლისური აბსოლუტიზმის განვითარება დაემთხვა

ტიუდორების დინასტიის მეფობის წლებს (1485-1603 წწ.). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აბსოლუტიზმს ინგლისში არასოდეს არ მიუღია დასრულებული ხასიათი, რაც იმაშიაც პოულობს გამოხატულებას, რომ პარლამენტს აქ თავისი საქმიანობა არასოდეს შეუწყვეტია, თუმცა მისი მნიშვნელობა და როლი საკმაოდ დაკნინებულია. ისიც აღნიშვნის ღირსია, რომ ინგლისში ყოველთვის იყო შენარჩუნებული ადგილობრივი თვითმმართველობა. ინგლისური აბსოლუტიზმის ისტორიაში ცალკე გამოყოფენ ელისაბედ ტიუდორის (1558-1603 წწ.) მეფობის წლებს.

ტიუდორების დინასტიამ შეხლუდა და ზოგან გაანადგურა კიდევაც მსხვილი ფეოდალები და თავისი პოლიტიკით ხელი შეუწყო კაპიტალის პირვანდელ დაგროვებას. ტიუდორები ხელს უმართავდნენ საზოგადოების კაპიტალისტურ ფენებს, ე. წ. “ახალ აზნაურობას” და აღმავალი ბურჟუაზიული კლასის სხვა წარმომადგენლებს. პარლამენტის მაშინდელ შემადგენლობას კი ასეთი პოლიტიკა ხელს აძლევდა. მაშასადამე, ერთმანეთს დაემთხვა მონარქის, “ახალი აზნაურობის” და ბურჟუაზიული მიმართულების სხვა ფენების ინტერესები, რამაც შესაძლებელი გახადა პარლამენტის შენარჩუნება.¹

აქვე უნდა აღვნიშნოთ ტიუდორების დინასტიის საეკლესიო პოლიტიკის შესახებაც.

ჰენრი მერემ (1509-1547) ურთიერთობა გაწვევითა კათოლიკურ ეკლესიასთან. 1534 წელს ხსენებულმა მონარქმა თავი გამოაცხადა ინგლისის ეკლესიის მეთაურად. ამის შემდეგ მეფემ ეკლესიას სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოართვა მნიშვნელოვანი ქონება. გაძლიერებული სახელმწიფო ხელისუფლება მეფის საიდუმლო საბჭოს იყენებდა ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის. საიდუმლო საბჭო კი თავის მხრივ მეფის კურიის გამოცდილებას იყენებდა რა კომპეტენცია გააჩნია საიდუმლო საბჭოს?

მის უფლებამოსილებაში შედიოდა საგარეო პოლიტიკა, საკოლონიო პოლიტიკა, მნიშვნელოვანი საქმეების განხილვა.

საიდუმლო საბჭოში შედიოდნენ: ლორდ-კანცლერი, ლორდხაზინადარი და სხვა დიდკაცები.

¹ პ. გალანზა. ფეოდალური სახელმწიფო და სამართალი ინგლისში, “სახელმწიფოს და სამართლის ისტორია”, ტ.1, 1949, მოსკოვი, (რუს.) გვ. 355.

თვით საიდუმლო საბჭოს შემადგენლობა არ იყო მუდმივი. საიდუმლო საბჭოში დიდ როლს თამაშობდა მდივანი. საიდუმლო საბჭოს წიაღიდან წარმოიშვა ე. წ. “ვარსკვლავთა პალატა”, ანუ საგანგებო სამეფო სასამართლო. ხსენებული სამსჯავრო იხილავდა ისეთ მნიშვნელოვან საქმეებს, როგორცაა აჯანყება, უკანონო თავყრილობის მოწვევა და სხვა ანტისახელმწიფოებრივი აქციები. “ვარსკვლავთა პალატაში” მეფე იყო მთავარმსაჯული. მოსამართლეებს აქ მხოლოდ სათათბირო ხმები ჰქონდათ. სამართალწარმოების პროცესში იყენებდნენ ინკვიზიციის მეთოდებს და, ცხადია, წამებასაც მიმართავდნენ. განაჩენის გამოტანისას არ იყო აუცილებელი მიეთითებინათ, თუ რომელი კანონის საფუძველზე იყო ის გამოტანილი. კანონს აქ ცვლიდა სახელმწიფო. ამ ორგანოს მესვეურთა სამართლიანობა, განაჩენის გამოტანის შესედეულება. ვარსკვლავთა პალატას საქმე ჰქონდა უპირატესად პოლიტიკურ დანაშაულობებთან და რამდენადაც აქ ძირითადში პოლიტიკურ დამნაშავეებს სჯიდნენ, თვით სასჯელებიც იმდენად იყვნენ “სამართლიანნი”, რამდენადაც სამართლიანი იყო მთავარი მოსამართლის სინდისი.

რომის პაპთან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ ინგლისში აღიარებულ იქნა ანგლიკანური აღმსარებლობა, რომელიც თავდაპირველად მაინც, დიდად არ განსხვავდებოდა კათოლიკური რელიგიისაგან. ინგლისის მეფე ნიშნავდა ეპისკოპოსებს და ის ითვლებოდა უზენაეს მსაჯულად საეკლესიო საქმეების გარჩევის დროს.

ჰენრი მერვის ქალიშვილმა მარია სისხლიანმა (1553-1558) ვერ შეძლო ინგლისში კათოლიციზმის აღდგენა და უკვე ელისაბედის მეფობის დროს საბოლოოდ მკვიდრდება ანგლიკანური სარწმუნოება (აღმსრულებლობა). დედოფალი ელისაბედი აღიარებულ იქნა არა ეკლესიის მეთაურად, არამედ მის მმართველად. მიღებულ იქნა საკანონმდებლო აქტი სუპრამაციისა და ერთგვაროვნობის შესახებ და პროტესტანტული რელიგია გამოაცხადა სახელმწიფოს ძირითადი კანონების თანახმად მიღებულად და აღიარებულად. სახელმწიფოს მთელი მოსახლეობა დაავალდებულეს ეღიარებინათ ახალშემოდებული სარწმუნოებრივი აღმსარებლობა. თითოეული სასულიერო პირი და ქვეშევრდომი, როდესაც ის თანამდებობას ღებულობდა, ვალდებული იყო დაეფიცა, რომ ის აღიარებს სამეფო ხელისუფლების უზენაესობას საეკლესიო საქმეებში. 1571 წელს პარლამენტის მეშვეობით მიღებულ იქნა ახალი ანგლიკანური

სიმბოლო სარწმუნოებისა, რომელიც ოცდაათი მუხლისაგან შედგებოდა. როგორც ჩანს, ეს იყო გარკვეული კომპრომისი პროტესტანტიზმისა კათოლიკობასთან.

ეკლესიის მართვისათვის ჯერ კიდევ ჰენრი VIII-მ შექმნა ე. წ. კომისია, რომელმაც ელისაბედის მეფობაში კოლეჯის სახელწოდება მიიღო. ხსენებულ კოლეჯიას დაევალა ყოველგვარი ერესის გამოვლინება და მასთან ბრძოლა, საეკლესიო წესების შესრულებისათვის თვალყურის დევნება. კოლეჯიას უფლება ჰქონდა დამნაშავეთა დაჯარიმებისა და დაპატიმრებისაც კი. დანაშაულად ეკლესიაში წირვა-ლოცვაზე გამოუცხადებლობაც ითვლებოდა.

მოკლედ შევხერდეთ XVII-XIX საუკუნეების ინგლისურ სამართალზე.

ჯერ კიდევ XII საუკუნეში კლარენდონის (1161) და ნორტჰემპტონის ასიზებმა დანაშაულთა ორი ძირითადი სახეობა განასხვავე ერთმანეთისაგან: 1) სახელმწიფოს (ტახტის) წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობანი და 2) დანაშაულობანი ჩადენილნი კერძო პირების წინააღმდეგ. გასაგებია, რომ სამეფო ხელისუფლების ხელმყოფი დანაშაულობანი სასტიკად ისჯებოდა. მძიმე დანაშაულობათა კატეგორიას განეკუთვნებოდა აგრეთვე დანაშაულობანი, რომელნიც ეკლესიას, პიროვნებასა და საკუთრებას ხელყოფდა.

ინგლისურ სამართალში ადრე ჩაისახა ტენდენცია განზრახ და გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულობების განსხვავებისა. ცხადია, უფრო სასტიკად სჯიდნენ განზრახ დანაშაულობათა ჩამდენთ. XII საუკუნეში იწყება “ფელონიის” ცნების შემუშავება. თავდაპირველად “ფელონია” ღორდისათვის ღალატს ნიშნავდა, რასაც ვასალისათვის ადგილ-მამულის (ლენის) დაკარგვა მოჰყვებოდა. თანდათან ფელონიის ცნებაში მოექცა მკვლელობა, ყაჩაღობა, ქურდობა, გაუპატიურება. “ფელონიის” ჩამდენნი უმეტესად სიკვდილითა და ქონების კონფისკაციით ისჯებოდნენ.

XVI საუკუნე ინგლისში სამართალგანვითარების თვალსაზრისით საინტერესო ეპოქაა, ამ დროს აქ ჩამოყალიბდება დანაშაულობათა დაყოფა სამ სახეობად, რომელიც დღემდე შემორჩა. სახელმწიფოს წინააღმდეგ ღალატი ცალკეა გამოყოფილი და მას ეწოდება “ტრიზნ”, მძიმე სისხლისსამართლებრივ დანაშაულობებს ეძახიან “ფელონიას” და შედარებით მსუბუქს კი - “მისდომინორს”.

როგორც ვხედავთ, ინგლისურმა სამართალმა “ფელონიდან” ცალკე გამოყო დალატი, როგორც უმძიმესი სახელმწიფო დანაშაული. შემდეგ მას მოსდევდა “ფელონია”, რომელშიც მძიმე სისხლისსამართლებრივი დანაშაული იგულისხმებოდა. დასასრულს, ცალკე გამოჰყვეს მსუბუქი სისხლისსამართლებრივი დარღვევები (“მისდომინორ”).

მართალია არიან ის ისტორიკოსები, რომელნიც მიუთითებენ, რომ ინგლისური სამართლის სტრუქტურა მისი ისტორიით აიხსნება.

ინგლისის ისტორიის დვიძლი შეიღია ინგლისური სამოქალაქო სამართალიც.

სამოქალაქო სამართალშიც გამოვლინდა ფეოდალებსა და ბურჟუებს შორის გონივრული კომპრომისის შედეგები.

მინდობილი საკუთრება ინგლისურ-ამერიკული სამართლისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რუსულად მას ხშირ შემთხვევაში “დოვერიტელნია სობსტვენოსტ”-ს ეძახიან, მაგრამ თანდათან შემოდის პირდაპირ ინგლისური ენიდან ნასესხები “ტრასტ”. ინგლისში მინდობილი საკუთრება ე. წ. “სამართლიანობის სამართლის” წიაღში განვითარდა. ლათინურად ნდობას “ფიდეს” ჰქვია და ამიტომაც მინდობილ საკუთრებას ლათინური ზეგავლენით ფიდიციურ საკუთრებას ეძახიან. მინდობილი საკუთრება გულისხმობს ფიდეციურ ურთიერთობას. ნდობით აღჭურვილ მესაკუთრეს (ტრუსტეე) მინდობილი საკუთრების დამფუძნებლის მიერ გადაცემული აქვს ქონება საგამგებლოდ.

მინდობილი საკუთრების გამგებელი მესამე პირების მიმართ გამოდის, როგორც მინდობილი საკუთრების, ანუ საგამგებლო ქონების მესაკუთრე.

ამასთან ერთად, ტრასტის, ანუ მინდობილი საკუთრების გამგებელი ანგარიშვალდებულია ტრასტის ბენეფიციარის წინაშე, ე. ი. იმ პირის წინაშე, ვისი ინტერესებისთვისაც არის ტრასტი დაფუძნებული.

ტრასტის დამფუძნებლად თვით ქონების მესაკუთრეც შეიძლება იყოს. მას უფლება აქვს თავისი თავი დანიშნოს ბენეფიციარად, ანუ დააარსოს ტრასტი თავისი ინტერესებისათვის.

ტრასტი გადადის ნდობით აღჭურვილი მესაკუთრის (ტრუსტეე) ხელში.

მინდობილი მესაკუთრის ხელქვეშეთი ქონება არსებითად მისი საკუთრება არაა. ის ამ ქონებას გამგებლობს და განაგებს.

“ბენეფიციანტეს”, როგორც ამ ქონებიდან სარგებლობის მიმღების ინტერესებით. თავის მხრივ ბენეფიციანტმა შეიძლება მოისურვოს და გარკვეული ვადით მინდობილი ანუ რწმუნებითი საკუთრებიდან შემოსავალი მესამე პირს დაუთმოს.

თითქოს, მინდობილი საკუთრება ე. წ. დანაწევრებულ საკუთრებას მოგვაგონებს. მას ერთი მართავს და განკარგავს, ხოლო მეორეს ეკუთვნის ნივთისაგან მიღებული შემოსავალი, ნაყოფი.

ტრასტის, ანუ მინდობილი საკუთრების ინსტიტუტი საშუალებას იძლევა გაფართოვდეს სამოქალაქო ბრუნვის არეალი, უფრო ოპტიმალური გახდეს საქმიან ურთიერთობათა ამპლიტუდა.

მინდობილი საკუთრების (ტრასტის) როლს ინგლისურ-ამერიკულ სამართალში იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მკვლევარები, რომ მას თვლიან ინგლისურ-ამერიკული სამართლის ერთ-ერთ ცენტრალურ ინსტიტუტად.

მინდობილი საკუთრების ინსტიტუტის მოქმედების არეალი თანდათან სცილდება თვით საკუთრივ ინგლისისა და საერთოდ ანგლოსაქსური ქვეყნების ფარგლებს.

საინტერესოა მინდობილი საკუთრების წარმოშობის ისტორიაც, ჩვეულებრივ მისი ჩასახვის თარიღად, მკვლევარები XII-XIII საუკუნეებს მიიჩნევენ. თავდაპირველად საერთო სამართლის სასამართლოები დიდი ყურადღებით არ ეკიდებოდნენ მინდობილი საკუთრების ინსტიტუტის დაცვას და ცხადია, არც სარფის მიმღების ინტერესთა დაცვას. და არაიშვიათად უგულვებელყოფდნენ კიდევ მათ. მაგრამ მინდობილი საკუთრების ფართოდ გავრცელების შემდეგ უკვე XV საუკუნის დამდეგისათვის ვითარება შეიცვალა. “სამართლიანობის სასამართლოები” უკვე იცავდნენ მინდობილი საკუთრების ურთიერთობების სუბიექტებს.

თანდათან მინდობილი საკუთრების არეალი გაფართოვდა და ამ ინსტიტუტის ძირითადი საწყისებით შევსებულ იქნა საერთო სამართალში შემჩნეული ხარვეზებიც. დაბოლოს, მან შეადწინა როგორც მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობაში, ასევე სხვადასხვა საწარმოების საორგანიზაციო ურთიერთობებში.

ნდობით აღჭურვილი მესაკუთრე ვალდებულია იზრუნოს მინდობილი საკუთრების დაფუძნების აქტში სარფის მიმღების ინტერესებისათვის.

ზრუნავს თუ არა მინდობილ საკუთრებაზე სათანადოდ ნდობით აღჭურვილი მესაკუთრე, მოწმდება სასამართლოს მიერ.

ეს ყოველივე, კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლო განხილვის საგანია.

ნდობით აღჭურვილ მესაკუთრეს, ანუ “ტრასტი“-ს არა აქვს უფლება გაყიდოს მინდობილი საკუთრება, თუ კი ასეთი უფლება მას არა აქვს ბოძებული კანონით ან მინდობილი საკუთრების დაფუძნების აქტით. ცოცხალი იურიდიული პრაქტიკის მიხედვით ნდობით აღჭურვილი მესაკუთრე არაიშვიათად არის უფლება-მოსილი გაასხვისოს მინდობილი საკუთრება. ნდობით აღჭურვილი მესაკუთრე ანგარიშვალდებულია სარფის მიმღების წინაშე, აგრეთვე ანგარიშვალდებულია ბენეფიციანტს გადასცეს ყველა შემოსავალი, მიღებული მინდობილი საკუთრების მართვა-გამგებლობის დროს ხსენებული საკუთრების მეშვეობით.

ინგლისური სამართლის მიხედვით, ნდობით აღჭურვილ მესაკუთრეს გასამრჯელოს მიღების უფლება არა აქვს საკუთარი გარჯის საფასურად, იგი მხოლოდ გაწეული ხარჯის ანაზღაურების უფლებით სარგებლობს. ამერიკული სამართალი კი ნდობით აღჭურვილი მესაკუთრისათვის კანონიერ გასამრჯელოს მიღების უფლებას აღიარებს. თვით ინგლისური სასამართლო პრაქტიკაც კი ნდობის უფლების დამკვიდრებას ცდილობს. ასეთი პრაქტიკა ხელს უმარტავს იმ ბანკებს და კორპორაციებს, რომლებიც ერთდროულად მრავალი პირის ქონებას განაგებენ, როგორც მინდობილი მესაკუთრეები.

იმ შემთხვევაში, როდესაც ნდობით აღჭურვილი მესაკუთრე არ ასრულებს თავის მოვალეობას ე. ი. არღვევს ნაკისრ ვალდებულებებს, მას აიძულებენ აუნაზღაუროს ბენეფიციანტს მიყენებული ზიანი.

თუ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ისე მნიშვნელოვანი იქნება, რომ ის დაშაულად შეერაცხება ნდობით აღჭურვილ მესაკუთრეს, შესაძლებელია, რომ მას პატიმრობაც კი მიუსაჯონ. საერთო წესის თანახმად ნდობით აღჭურვილ მესაკუთრეს არა აქვს უფლება, ვთქვათ, ბენეფიციანტის ქონება თავის საკუთართან შეაერთოს. თუ საქმე ფულად თანხას ეხება, არ შეიძლება მინდობილი საკუთრების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა ბანკში პირად სახსრებთან ერთად, ერთ ანგარიშზე იქნეს მოთავსებული. თუ ასეთი რამ მაინც მოხდა და თანხის ნაწილიც დახარჯულ იქნა, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ დარჩენილი თანხა მთლიანად ბენეფიციანტს ეკუთვნის.

როგორც ვნახეთ, მინდობილი საკუთრება გულისხმობს იმას,

რომ ესა თუ ის პირი, რომელიც თავისთვის ინარჩუნებს საკუთრების უფლებას, ქონებას (საკუთრებას) გადასცემდა სხვა პირის გამგებლობაში თითქოსდა “ოპერატიული მართვისათვის”. მინდობილი მესაკუთრე მოიპოვებს არა მესაკუთრის წარმომადგენლის, არამედ მესამე პირების მიმართ მესაკუთრის მდგომარეობას. ის მართავს მინდობილ საკუთრებას თავისი სახელით და მესამე პირის წინაშე თავისი მოქმედებისათვის მთელი სისრულით აგებს პასუხს. ქონების მესაკუთრეს კი მხოლოდ რწმუნებულის – მინდობილი მესაკუთრის მიმართ აქვს უფლება მოსთხოვოს სარფი, სარგებელი.

ინგლისური სამოქალაქო სამართალი თავისი ძირითადი დამახასიათებელი თვისებებით ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ XVII–XVIII საუკუნეებში და გარკვეულად ატარებდა ინგლისური სოციალური პრაქტიკის ნიშნებს. ცხადია, ინგლისურ სამოქალაქო სამართლის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა ინგლისის “სახელოვანმა” რევოლუციამ. ამ რევოლუციამ ინგლისი დააყენა მემამულე-აზნაურებისა და ბურჟუაზიას შორის მიღწეული კომპრომისის, როგორც მომხდარი ფაქტის, წინაშე. ცხადია, ყოველივე ზემოთქმულის გამო, არავის გაუუქმებია რევოლუციამდე არსებული ინგლისური სამართალი. ამიტომაც ინგლისური სამოქალაქო სამართლის დამახასიათებელი თვისებაა რევოლუციამდელი სამოქალაქო სამართლის იდეებისა და ნორმების გარკვეული შეღწევა რევოლუციის შემდეგდროინდელ სამართალში. როგორც ერთი მკვლევარი აღნიშნავდა, ინგლისში მემკვიდრეობითმა კავშირმა რევოლუციამდელ და რევოლუციის შემდეგდროინდელ დაწესებულებებს შორის და კომპრომისმა მსხვილ მიწათმფლობელებსა და კაპიტალისტებს შორის თავისი გამოხატულება პოვა როგორც სასამართლო პრეცედენტების მემკვიდრეობაში, ასევე ფეოდალური ფორმების მოწიწებით შენარჩუნებაში.

ცხადია, ვერც ინგლისურმა სამართალმა საერთოდ და განსაკუთრებით კი სამოქალაქო სამართალმა ვერ შეინარჩუნა XVII საუკუნის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ თავისი ფეოდალური შინაარსი. ვაჭრობა-მრეწველობის სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია ბურჟუაზიული სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტების წარმოშობა და განვითარება. ინგლისური სამოქალაქო სამართალი მრავალი მონაცემებით წინა უსწრებდა ევროპის კონტინენტური ქვეყნების სამართალს. მაგალითად, ისეთი

რთული სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტის დამუშავებაში, როგორც არის საავტორო და საგამომგონებლო საქმე, ინგლისურმა სამართალმა პირველგამკვალავის როლი შეასრულა (1632 წლის კანონი გამოგონების შესახებ, 1709 წლის კანონი საავტორო სამართლის შესახებ).

მკვლევარები, რომლებიც კარგად იცნობდნენ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ინგლისში არსებულ ვითარებას, აღნიშნავენ, რომ ინგლისში მისი ეროვნული განვითარების თავისებურებების შესაბამისად, შესაძლებელი გახდა ძველი ფეოდალური სამართლის ფორმების უდიდესი ნაწილის შენარჩუნება. ისე, რომ მათში ჩადებული იყო ბურჟუაზიული შინაარსი და პირდაპირ იყო მინიჭებული ფეოდალური ფორმისათვის ბურჟუაზიული შინაარსი. ფეოდალური ეპოქის ინგლისურ სამართალში იყო მრავალი ისეთი დანაწესი, რომლის გამოყენებაც თავისუფლად შეიძლებოდა მომავალში. ისევე, როგორც რომის სამართალის ზოგიერთი ნორმა თვით რომის დაღუპვის შემდეგაც, მრავალი საუკუნის განმავლობაში, ადვილად გამოსაყენებელი გამოდგა. ასევე, ინგლისურ სამართალში განჭვრეტილი აღმოჩნდა მომავალი საზოგადოებრივი ურთიერთობებიც.

თანამედროვე ინგლისური სამართლის ფესვები ფეოდალური საზოგადოების წიაღშია საძებნი.

თანდათან ფეოდალური სამართლის ტრადიციული ფორმები ახალი, ბურჟუაზიული სამართლისათვის დამახასიათებელი შინაარსით ივსებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ინგლისური ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტები. ინგლისურ სახელშეკრულებო სამართალში ადრე წარმოჩინდა ისეთი პრინციპები, როგორიცაა მხარეთა ფორმალური თანასწორობა, მეწარმეობის თავისუფლება, ხელშეკრულების თავისუფლება, ხელშეკრულების შინაარსის დადგენაში შეუზღუდველობა. მიუხედავად ფეოდალური ტრადიციებისათვის დიდი დათმობის გამოჩენისა, ისტორიკოსები მაინც იმ მომენტს მიაქცევენ ყურადღებას, რომ ინგლისური სამართალი უფრო თანმიმდევრულად და სრულყოფილად გამოხატავდა კაპიტალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს და მოთხოვნებს, ვიდრე გერმანული.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ინგლისური სამართალი მნიშვნელოვანწილად დამოუკიდებლად ვითარდებოდა. ინგლისის გეოგრაფიულმა მდებარეობამ და ინგლისელთა ისტორიამ, ინგლისში მრეწველობის და ვაჭრობის შედარებით ადრეულმა

განვითარებამ, რომის სამართლის შედარებით სუსტმა ზემოქმედებამ და მეზობელი ქვეყნების – საფრანგეთისა და გერმანიის სამართალგანვითარებისაგან შედარებითმა დამოუკიდებლობამ, გარკვეული კვალი დააჩნია ინგლისურ სამართალს. კონტინენტურ იურიდიულ დოქტრინებს, კერძოდ, პანდექტურს, მეტად სუსტი ზეგავლენა ჰქონდა ინგლისურ სინამდვილეზე.

ბურჟუაზიული ეპოქის ინგლისური სამოქალაქო სამართალი, ცხადია, აღიარებდა შეუზღუდველ კერძო საკუთრებას, ადამიანების ფორმალურ თანასწორობას, ხელშეკრულებათა თავისუფლებას და ა.შ. ინგლისური სამოქალაქო სამართლისათვის დამახასიათებელია, როგორც ერთი მეცნიერ იურისტი აღნიშნავდა, განსაკუთრებული იურიდიული სისტემატიკა, განსაკუთრებული ტერმინოლოგია, რიგი ისეთი ორიგინალური ინსტიტუტების არსებობა, რომელთაც სხვა ქვეყნებში ვერც შეხვდებით. თვალში საცემია ის გარემოებაც, რომ ინგლისური სამართლის განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს მოსამართლეებმა და საერთოდ სწავლულმა იურისტებმა. პროფ. ი. ს. პერესტერსკის მართებული შენიშვნისა არ იყოს, ინგლისური სამართლის ინსტიტუტები მნიშვნელოვანწილად ფორმულირდებოდა არა კანონის, არამედ სასამართლოს გადაწყვეტილებების და მოსამართლეთა მოსაზრებების ზეგავლენით. მოსამართლენი იყვნენ ინგლისური სამართლის ძირითადი თეორეტიკოსები. ინგლისელი მოსამართლეები, პრაქტიკოსი იურისტები თავიანთ თავს თვლიდნენ ჩვეულებითი სამართლის იდეების ერთადერთ მცოდნედ და გამომხატველად. ფაქტია, რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში სასამართლო პრაქტიკა არ თამაშობდა და არც თამაშობს ისეთ როლს, როგორსაც ინგლისში. ეს გარემოება ინგლისურ სამართალს ანიჭებდა განსაკუთრებულ მოქნილობას და მოთხოვნილებასთან შეგუების უნარს.

ინგლისურმა სამართალმა არ იცის უძრავი და მოძრავი ნივთების ცნება, როგორც ეს ევროპის კონტინენტის განვითარებული ქვეყნების სამართალს ახასიათებს. ორიგინალური იურიდიული კატეგორიების შემოქმედი ინგლისური სამართალი აქაც თავისებურებას ამჟღავნებს. ინგლისური სამართალი იცნობს ნივთიერი, რეალური საკუთრების ცნებას, და პირად – პერსონალურ საკუთრებას.

სანივთო (რეალური) საკუთრება გულსინხმობს უფლებებს

მიწის ნაკვეთებზე, ადგილ-მამულებზე და აგრეთვე იმ საბუთებს, რომლებიც ადასტურებენ უფლებებს მიწებზე. რეალური საკუთრების უფლების საგანია აგრეთვე მიწასთან დაკავშირებული საგნებიც.

პერსონალური საკუთრების უფლებების ობიექტებია: სხვის მფლობელობაში მყოფი ნივთები – სხეულებრივი ნივთები, ე.ი. მოძრავი ქონება; აგრეთვე “სარჩელები” (). ამ “სარჩელებს არ გააჩნიათ სხეულებრივი სუბსტრატი. ამ ცნების ქვეშ იგულისხმება საავტორო უფლება, საპატენტო უფლებები, ხელშეკრულებიდან წარმოშობილი უფლებები, წილი ამხანაგობაში და სხვა.

ახასიათებდა რა ინგლისურ სამოქალაქო სამართალს, პროფ. ი. ს. პერეტერსკი აღნიშნავდა, რომ ინგლისში “უფლებები მიწაზე, ერთი მხრივ, და პირადი საკუთრება, მეორე მხრივ, წესრიგდება არსებითად სხვადასხვა წესებით. მიწის ნაკვეთების იურიდიული მდგომარეობა დიდი ხნის განმავლობაში გამომდინარეობდა ფეოდალური წარმოდგენიდან, რომ მიწაზე საკუთრების უფლება მეფეს ეკუთვნის, ხოლო ცალკეულ პირებს მიწაზე მხოლოდ ლენური უფლება გააჩნიათ, მაგრამ პრაქტიკულად კერძო პირების ეს უფლება თავისი შინაარსით არაფრით არ განსხვავდებოდა საკუთრების უფლებისაგან. ის უვადო იყო და გულისხმობდა მიწის ნაკვეთის სარგებლობისა და გასხვისების უფლებას ყოველგვარი ნებართვის გარეშე. მიწის ნაკვეთზე უფლების გადაცემა მოითხოვდა რთული ფორმალობის დაცვას. ამასთან ერთად, მიწის ნაკვეთზე მემკვიდრეობა არსებითად სხვა წესებით განისაზღვრებოდა, ვიდრე პირადი საკუთრების მემკვიდრეობა”.

რაც შეეხება მოძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოცულობას, ამ მხრივ ინგლისური სამართალი დიდად არ განსხვავდებოდა კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართლისაგან.

კაპიტალისტური ბრუნვის მოთხოვნილებამ ხელი გაუმართა სახელშეკრულებო სამართლის შემდგომ განვითარებას. საჭირო გახდა მხარეთა უფლებების და მოვალეობების ნათელი და ზუსტი განსაზღვრა. ინგლისურ სახელშეკრულებო სამართალს ახასიათებს დებიტორის (მოვალის) უფლებებისა და ვალდებულებების ზუსტი და დეტალური წარმოჩენა. კრედიტორმა უნდა მიიღოს დებიტორის მხრივ შესრულება და ვალის გადახდას ხელი არ უნდა შეუშალოს. თუ კრედიტორმა ხელი შეუშალა დებიტორის

მხრივ ვალდებულების შესრულებას, მაშინ დებიტორს უფლება ეძლევა ხელშეკრულებას გადაუხვიოს.

აქვე უნდა აღინიშნოს ინგლისური სამართლის ერთი დამახასიათებელი თვისებაც: ინგლისური სამართალი საკმაოდ ფართოდ, ვიდრე კონტინენტური ევროპის განვითარებული ქვეყნების სამართალი, აღიარებს არაქონებრივი ზიანის, მორალური ზიანის ანაზღაურების პრინციპს. ინგლისური სამოქალაქო სამართალი ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც პირმა პასუხი უნდა აგოს ბრალის გარეშე ჩადენილი არამართლზომიერი ქმედებისათვის.

როგორც ინგლისური სამართლის გამოჩენილი მკვლევარი ედუარდ ჯენკსი¹ აღნიშნავდა, ნორმანებმა ინგლისის დაპყრობის შემდეგ მონინდომეს წესრიგის დამყარება ქვეყანაში და ამასთან დაკავშირებით გამოიჩინეს მეთოდურობაც. ნორმანებს უყვარდათ დოკუმენტები და აქტები იმ ზომით, რა ზომითაც სძულდათ ინგლისელებსო. ისტორიული განვითარების შედეგად მოხდა კომპრომისი და წერილობითი და ხეპირი ხელშეკრულება დიდხანს ერთმანეთის გვერდით განაგრძობდა არსებობას.

გვიანფეოდალური ხანის ინგლისური სამართლის მიხედვით ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები წერილობითი ფორმით უნდა ყოფილიყო. ასეთ, აუცილებლად წერილობითი ფორმით დასადავებ ხელშეკრულებათა რიცხვს განეკუთვნებოდნენ ისეთები, რომლებიც უძრავ ქონებაზე უფლებას აწესრიგებდნენ.

ჩვეულებრივი ხელშეკრულების დადებისას ინგლისური სამართალი მოითხოვდა არა მხოლოდ მხარეების შეთანხმებას, არამედ იმასაც, რომ ხელშეკრულებაში ნათლად ყოფილიყო გამოკვეთილი მისი საფუძველი (), რის შედეგადაც პირი თავს ივალდებულებდა. ეს “კონსიდერეიშენ” ნასყიდობის შემთხვევაში იქნებოდა გაყიდული ნივთის საფასურის მიღება გამყიდველის მხრივ. ამიტომ, ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელსაც ფასის გადახდა არ აგვირგვინებს, მაგრამ არის შეპირება, რომ მას გადაუხდინან, ბათილად ჩაითვლება.

ინგლისში გავრცელებული იყო მიწის იჯარა. საიჯარო ხელშეკრულებების სახეები იყო: იჯარა ერთი წლით, იჯარა

¹ ედ. ჯენკსი, ინგლისური სამართალი, 1947, რუსული თარგმანი, გვ. 18.

წლიდან წლამდე და იჯარა მესაკუთრის შეხედულების მიხედვით. იჯარა წლიდან წლამდე გულისხმობდა ყოველი წლის დასასრულს ახალი საიჯარო ხელშეკრულების დადებას.

გერმანიის სახელმწიფო და სამართალი

მეცხრე საუკუნის ბოლოს კარლოს დიდის იმპერიის წიაღიდან იშვა გერმანია როგორც ფეოდალური სახელმწიფო. ცნობილი ვერდენის ხელშეკრულების შესახებ, რომელიც 843 წელს დაიდო, ჩვენ ერთხელ უკვე გვქონდა საუბარი. ახლა შეიძლება გავიხსენოთ, რომ კარლოს დიდის შვილიშვილს ლუდვიგ გერმანელს ერგო მიწები მდინარე რაინის (რეინის) აღმოსავლეთით და თვით მდინარისპირეთი (ვორმსი, მაინცი, შპეიერი).

გერმანიაში შედიოდა საქსონიის, ბავარიის, ფრანკონიის და შვაბიის საჰერცოგოები. მათე საუკუნის პირველ ნახევარში მათ შეუერთეს ლოტარინგიაც.

საშუალო საუკუნეებში გერმანიის პოლიტიკური განვითარების თავისებურება იმაშია, რომ გერმანიამ ცალკეულ სამთავროებად დაქუცმაცებული სახით მეცხრამეტე საუკუნემდე იარსება.

გერმანიის ისტორიის მკვლევარები ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცებულობის მიზეზებს პოულობენ იმაში, რომ თვით გერმანიის ცალკეული კუთხეების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების დონე ერთნაირი არ იყო. ცალკეული რეგიონების ინტერესები, როგორც წესი, ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. გერმანიის ცალკეულ კუთხეებს შორის კავშირი სუსტად იყო განვითარებული. ისტორიკოსებს არც ის გარემოება გამორჩენიათ ყურადღებიდან, რომ მათე საუკუნის მეორე ნახევრიდან გერმანელი მეფეები იტალიის დაპყრობას ცდილობდნენ, რაც იწვევდა თვით გერმანიაში მათი საკუთარი ხელისუფლების დასუსტებას. მეფე იძულებული ხდებოდა თვალთ დაეხეჭა ფეოდალების თვითნებობაზე, იმაზე, რომ ისინი ნაკლებად უწყვედნენ ანგარიშს სამეფო ხელისუფლებას, ოღონდ მათ მეფის მხრივ საგარეო აგრესიისათვის დაეჭირათ მხარი.

გერმანიაში კაროლინგების სამეფო დინასტია წყდება მათე საუკუნის დასაწყისში - 911 წელს. ჩქარა ამის შემდეგ სამეფო ტახტი არჩევით დაიჭირა ძლიერმა საქსონიის ჰერცოგმა ჰენრიხმა, ზედმეტსახელად ფრინველთმჭერმა.

ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ გერმანიის მეფეებმა მათე საუკუნის მეორე ნახევრიდან მიიღეს რა რომის იმპერატორის ტიტული, დაიწყეს ბრძოლა იმ ხანებში ძლიერ რომის პაპებთან, რამაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო შეუწყო ხელი გერმანიის დაქუცმაცებულობას და გერმანელი მეფეების ხელისუფლების დასუსტებას.

რომის კათოლიკური ეკლესია კი თავის დროზე წარმოადგენდა მაშინდელი მსოფლიოს, ანუ მთელი ფეოდალური სისტემის დიდ ინტერნაციონალურ ცენტრს. “მიუხედავად ყოველგვარი შინაური ომებისა, ეს ეკლესია მთელ დასავლეთ ევროპას აერთიანებდა ერთ უზარმაზარ პოლიტიკურ მთელად, რომელიც წინააღმდეგობაში იმყოფებოდა როგორც ბერძნულ სქიზმატურ, ისე მაჰმადიანურ ქვეყნებთან” – სამართლიანად წერდა ერთი ავტორი. არ არის მართებული რომის კათოლიკური ეკლესიის მიმართ ბრალდება იმის შესახებ, რომ თითქოს მან ფეოდალური წყობილება “ღვთაებრივი მადლის წმინდა შარავანდედით შემოსა, ხოლო საკუთარი იერარქია მან მოაწყო ფეოდალური იერარქიის მსგავსად”, რომის კათოლიკურ ეკლესიას ფეოდალური წყობილება არ შეუმოსია ღვთაებრივი მადლის წმინდა შარავანდედით და არც თავისი იერარქია მოუწყვია ფეოდალური იერარქიის მსგავსად. მისი დამოკიდებულება ფეოდალური წყობილების მიმართ არ ყოფილა აპოლიტიკური, კათოლიკური ეკლესია უფრო კარგად ორგანიზებული იყო, ვიდრე ფეოდალური სახელმწიფო.

კათოლიკური ეკლესია გარკვეულ საუკუნეებში მაინც უდიდეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალას წარმოადგენდა დასავლეთ ევროპაში. კათოლიკურ ეკლესიას ეკუთვნოდა უზარმაზარი ადგილ-მამულები, დაახლოებით მთელი ფეოდალური მიწათმფლობელობის ერთი მესამედი. გერმანელ იმპერატორებს ამიტომაც ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავდათ რომის პაპების სახით.

იმპერატორის ხელისუფლებას არ აღმოაჩნდა უნარი საერთო ენა მოენახა ქალაქების მოსახლეობასთან და ისინი თავის მოკავშირეებად გაეხადა. მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დასუსტებას ხელს უშართავდა იმპერატორის არჩევითობის პრაქტიკაც.

სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური განვითარების დონით, ფეოდალიზმის ისტორიული სიმაღლით გერმანია უკვე მათე საუკუნეშივე ჩამორჩებოდა საფრანგეთს. საწარმოო ძალები გერმანიაში ამ ხანებში უფრო ნელი ტემპით მიიწევდა წინ, ვიდრე

საფრანგეთში. ამის ერთ-ერთი მიზეზი უთუოდ ის იყო, რომ მეთექვსმეტე საუკუნის გერმანიაში ჯერ კიდევ ძლიერი იყო სასოფლო თემი (მარკა), რომელიც ანელებდა სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის პროცესს სოფლად. მაგრამ თანდათან “მარკამ” დაიწყო რღვევა. გერმანიის საზოგადოება ორ ძირითად წოდებად – სამხედრო წოდებად (რაინდებად) და გლეხებად, გადასახადის გადამხდელ წოდებად დაიყო.

საქსონიის დინასტიის მეფემ – ჰენრიხ ფრინველთმჭერმა (919-936) გაატარა რეფორმები, რომლის ძალითაც ჩამოყალიბდა მხედარმეომართა წოდება, რომლის რიგებშიაც მსხვილ და საშუალო მიწათმფლობელების გვერდით შედარებით წვრილ მემამულეებს და მდიდარ გლეხებსაც კი ვხვდებით.

საქსონურ დინასტიას ჰერცოგების დასამორჩილებლად ბრძოლაში ხელს უმართავდნენ წვრილი ფეოდალები და სასულიერო წოდების წარმომადგენლები.

ჰენრიხ პირველის შვილი და მემკვიდრე იყო ოტტონ I (936-973). მასაც დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდა ჰერცოგებთან. ოტტონი ცდილობდა სასულიერო პირების გადაბირებას და მათ ყოველმხრივ უწყობდა ხელს. გერმანიაში მთავარი სავაჭრო გზები თავმოყრილი იყო მდ. რაინის და მისი შენაკადების მიდამოებში. რაინის სანაპიროებზე და მის ახლომახლო მდებარე გზების გასწვრივ მრავლად იყო საეკლესიო მამული, მონასტერი და ა.შ. მდინარე რაინისპირა გზების ქსელს გერმანელები მღვდლების გზას ეძახდნენ. აქვე მდებარეობდა კელნის, მაინცის და ტრირის არქიეპისკოპოსების სამფლობელოები. 962 წელს ოტტონმა მიიღო იმპერატორის ტიტული. ის გახდა რომის საღვთო იმპერიის იმპერატორი. მაგრამ სინამდვილეში გერმანელი თუ იტალიელი ფეოდალები ოტტონს ნაკლებად ემორჩილებოდნენ. 1024 წელს შეწყდა საქსონური დინასტიის არსებობა. იმპერატორის ტახტი ფრანკონელთა დინასტიის ხელში გადავიდა. ხსენებული დინასტიის წარმომადგენელი ჰენრიხ მესამე საკმაოდ გაძლიერდა და იმასაც კი მიაღწია, რომ რომის პაპს მისი სურვილის მიხედვით ირჩევდნენ, ცხადია, გერმანელი ეპისკოპოსების რიგიდან. მაგრამ XI საუკუნის მეორე ნახევარში რომის კათოლიკური ეკლესიის მესვეურები ისე გაძლიერდნენ, რომ უკვე შეეძლოთ იმპერატორისათვის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა. რომის პაპების ძალაუფლების განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულა ჰილდებრანდმა, რომელიც ორი პაპის ზეობის წლებში

თითქმის ერთპიროვნულად განაგებდა რომის ეკლესიის საქმეებს. ეს ტანად პატარა, შეუხედავი, გარეგნულად ნაკლებად შთაბეჭდავი პიროვნება განხორციელებული ენერგია იყო. თავისი ამოუწურავი შრომისმოყვარეობა მან შეაღწია პაპების ავტორიტეტის განმტკიცებისათვის ზრუნვას. ის დაუფარავად აცხადებდა, რომ არავის არა აქვს უფლება პაპის ძალაუფლებას წინ აღუდგეს. რომის პაპი არ შეიძლება ცდებოდეს და მისი გასამართლებაც შეუძლებელია. მისი აზრით, რომის პაპს უფლება აქვს ჩამოაგდოს იმპერატორი ტახტიდან და მისი ქვეშევრდომი გაათავისუფლოს იმპერატორის წინაშე დადებული ფიცის შესრულებისაგან. “ყველა ხალხი ვალდებულია რომის პაპს ფეხებზე ეამბოროს”. ჰილდებრანდის მცდელობით დაადგინეს, რომ რომის პაპის არჩევა ამიერიდან უნდა ყოფილიყო არა იმპერატორების ან რომელიმე წარჩინებულების საქმე, არამედ კარდინალებისა.

1073 წელს ჰილდებრანდი აირჩიეს რომის პაპად გრიგოლ VII-ის სახელით.

პაპმა რომის კათოლიკური ეკლესიის წიაღში თეთრ სამღვდულოებას ქორწინება აუკრძალა.

გრიგოლ VII-მ იმპერატორი ჰენრიხ მეოთხე აიძულა მას ხლებოდა და მისთვის პატიება ეთხოვნა.

1085 წელს გრიგოლ VII გარდაიცვალა. კიდევ დიდხანს გაგრძელდა ბრძოლა პაპებსა და იმპერატორებს შორის.

ფრიდრიხ მეორემ (1215-1250) სასულიერო მიწათმფლობელებს პრივილეგიები მიანიჭა. ისინი თითქმის დამოუკიდებელი ხელმწიფეები ხდებოდნენ. სასულიერო ფეოდალთა სამფლობელოში არ შეიძლებოდა მათი ნებართვის გარეშე საბაჟოების მოწყობა, ქალაქების გაშენება და ა.შ.

საერო ფეოდალებს, რომლებმაც უშუალოდ იმპერატორის ხელიდან მიიღეს ღვნები, მიენიჭათ უფლება მოეჭრათ მონეტები და ცხადია, ისინი მიღებულ იქნენ სამეფო იურისდიქციიდან.

ჰოფენშტაუფენების დინასტია დაიღუპა რომის ძლიერ ხელისუფლებასთან ბრძოლაში. ერთ ხანს გერმანიაში უმეფობის ხანა იყო. შემდეგ მკვიდრდება არჩევითი მონარქია.

1356 წელს იმპერატორმა კარლოს IV გამოსცა ე.წ. “ოქროს ბულა”. ამიერიდან რომის პაპები ვერ მიიღებდნენ მონაწილეობას იმპერატორების არჩევნებში. თვით იმპერატორების არჩევა კურფიურსტების საქმედ გამოცხადდა.

კურფიურსტების ღირსება მიენიჭა სამ სასულიერო (მაინცის, კელნის, ტრირის) და ოთხ საერო (ბოჰემიის, პფალცის, ვიტენბერგის და ბრანდერბურგის) მხარეებს ("ლანდებს"). არწევების შედეგები ხმათა უმრავლესობის მიხედვით წყდებოდა. ამასთან ერთად, "ოქროს ბულით" აღიარებული იყო კურფიურსტების სრული ან თითქმის სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა. კურფიურსტებსავე მიენიჭათ რეგალია, ე. ი. ძვირფასი მეტალების მოპოვების უცილობელი და განსაკუთრებული უფლება.

მართალია, "ოქროს ბულამ" აკრძალა ვასალების ომი სენიორების წინააღმდეგ, მაგრამ კერძო ომები კანონიერად მიიჩნია. ამასთან ერთად "ოქროს ბულა" კრძალავდა ქალაქების მხრივ ერთმანეთთან კავშირის შეკვრას.

ეს პოლიტიკური დაქუცმაცებულობა გერმანიაში მომდევნო საუკუნეებშიც გაგრძელდა და ე.წ. "გერმანული აბსოლუტიზმი" ჩამოყალიბდა არა საერთო სახელმწიფოებრივ და სრულიად გერმანულ, არამედ რეგიონალურ, სამხარეო-საოლქო მთავრების დონეზე.

1525 წლის გლეხთა ომმა გერმანიაში და 1618-1648 წლების ოცდაათწლიანმა ომმა გერმანული აბსოლუტიზმის ხსენებული თავისებურება გაახანგრძლივა.

თუ ინგლისისა და საფრანგეთის მაგალითზე აბსოლუტიზმმა ხელი შეუწყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროგრესს, ქვეყნის გაერთიანებას და ერის წარმოქმნას, გერმანულმა აბსოლუტიზმმა ეს ვერ შეძლო. პირიქით, მან გერმანიის ბურჟუაზიული გზით განვითარება დაამუხრუჭა.

გერმანიის ტერიტორიაზე სამასამდე სახელმწიფო არსებობდა, რომელთა შორის თანდათან ყველაზე დიდი მნიშვნელობა მოიპოვა ავსტრიამ და პრუსიამ.

ფეოდალურ გერმანიაში ქვეყნის მოსახლეობა წარჩინებულობის ხარისხის და ქონებრივი შექცეულობის გათვალისწინებით შვიდ თანრიგად იყოფოდა. თითოეულ თანრიგს მისივე წოდებრივი რანგის შესაფერისი მდგომარეობა ეკავა სახელმწიფოში.

პირველ ადგილს, ცხადია, მეფე ან იმპერატორი იკავებდა სახელმწიფოში. მეორე ადგილი ღირსებისამებრ ეკუთვნოდათ იმ პირებს, რომლებიც იმპერატორის პირდაპირი ვასალები იყვნენ და რომლებსაც ღენები სკიპტრით ეპყრათ. ესენი იყვნენ არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, აბატები.

მესამე თანრიგს განეკუთვნებოდნენ იმპერატორის საერო ვასალები და მთავრები - "ლენების დროშებით მკურობელნი" (ჰერცოგები, პვალცგრაფები, ლანდგრაფები, მარკგრაფები და გრაფები).

მეოთხე რანგის სოციალურ ფენას განეკუთვნებოდნენ - მთავრების ვასალები - უბრალოდ გრაფები.

მეხუთე თანრიგის ქვეშევრდომებს მიაკუთვნებდნენ ე.წ. "ღიბერი ბარონესს". ესენი იყვნენ გრაფების ისეთი ვასალები, რომელთაც რაინდის წოდება დამსახურებით ჰქონდათ მოპოვებული. თავის მხრივ მეექვსე რანგს მიეკუთვნებოდნენ ხსენებული "თავისუფალი ბატონების" ვასალები.

დასასრულ, მეშვიდე რანგში ირიცხებოდნენ ხსენებული მეექვსე რანგის ფეოდალის ვასალები, რომელთაც ცალფარიანი რაინდები ეწოდებოდათ. აქვე შეიძლება შედარებისათვის გავიხსენოთ ქართული სინამდვილის ე.წ. "ცალმოგვი" აზნაურები.

მეშვიდე რანგის პირები თავადვე მსახურობდნენ და უფლებაც გააჩნდათ საკუთარი ვასალების ყოლისა.

სოციალური კიბის უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ ქალაქელები (ბიურგერები) და თავისუფალი გლეხები. სოციალური იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურზე ვხედავთ ყმა-გლეხებს და მონებს.

ახლა დროა მოკლედ შევჩერდეთ ფეოდალური გერმანიის სამართლის ძირითად თვისებებზე. შუა საუკუნეების გერმანიაში სამართლის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა წესჩვეულებები ანუ ჩვეულებითი სამართალი. მაგრამ ეს ჩვეულებითი სამართლის ნორმები თავდაპირველად არ იყო სისტემაში მოყვანილი ან ჩაწერილი. ეს ნორმები თაობიდან თაობას გადაეცემოდა ზეპირი სახით და ამ გადაცემის პროცესში ის მეტ-ნაკლებად იცვლებოდა კიდევაც. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში სხვადასხვანაირად ესმოდათ ჩვეულებითი სამართლის ნორმების შინაარსი. სათემო კრებებს და სასამართლოებში ხდებოდა ამ ჩვეულებითი სამართლის ნორმების დაზუსტება, მათი შინაარსის გარკვევა და აღდგენა, რასაც მითითებებს ეძახდნენ

შეფენების სასამართლოს განაჩენებში გამოხატულებას პოულობდა "სამართლიანობასა" და "სინდისზე" დამყარებული მართლმსაჯულება.

დაახლოებით 1225 წელს რაინდმა და მოსამართლემ ეიკმ

ფონ რეპროფმა შეადგინა კრებული, რომელშიც შევიდა ძირითადად საქსონიის აღმოსავლეთ ნაწილის (ნაწილობრივ სხვა კუთხეებისა) ჩვეულებითი სამართლის ნორმები.

ხსენებული კრებული თავდაპირველად ლათინურად დაიწერა და მხოლოდ შემდეგ ითარგმა გერმანულად. “საქსონიის სარკეში” აისახა არა მხოლოდ საქსონიაში, არამედ გერმანიის სხვა მხარეებში მოქმედი სამართლის ნორმებიც. საქსონიის სარკე შედგება ორი ნაწილისაგან: პირველ ნაწილს შეადგენს თვით საქსონიის, როგორც მხარის (“ლანდ“-ის), სამართალი, სამართლის წიგნის ამ ნაწილს ერქვა “ლანდრეხტ”. ძველ გერმანულ ლანდს შეესატყვისება ქართული “ქვეყანა” – მხარის, კუთხის მნიშვნელობით.

“საქსონიის სარკის” ხსენებული ნაწილი შეიცავდა სახელმწიფო სამართლის, აგრეთვე სისხლის და სამოქალაქო საქმეთა და სასამართლო წარმოების მომწესრიგებულ სამართლებრივ ნორმებს.

“საქსონიის სარკის” მეორე ნაწილში მოცემული იყო ლენური საადგილ-მამულო სამართლის მომწესრიგებელი ნორმები. სამართლის წიგნის ამ განყოფილებაში ჩაწერილი იყო ნორმები, რომლებიც ძირითადად ეხებოდნენ სენიორულ-ვასალურ ურთიერთობებს.

“საქსონიის სარკე” მეფის ხელისუფლების გაძლიერებისა და სასულიერო პირთა ძალაუფლების შესღუდვის იდეას ავითარებდა. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა საშუალო საუკუნეების გერმანიაში. როგორც ირკვევა, “საქსონიის სარკე” საფუძვლად დადებია “მაგდებურგის სამართალს”. თიურინგიაში კი “საქსონიის სარკეს” მეცხრამეტე საუკუნემდე იყენებდნენ (ზოგიერთი ცნობით კი მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდეც).

რა თქმა უნდა, ფორმალურად, საიმპერატორო ხელისუფლება საკანონმდებლო საქმიანობასაც ეწეოდა, მაგრამ ფაქტობრივად, დაქუცმაცებულ გერმანიაში ამ კანონმდებლობის გავლენა თითქმის არც იგძნობოდა. თანაც, “საიმპერიო სამართალი” აწესრიგებდა ურთიერთობებს ფეოდალებს შორის, ცალკეული პირებისათვის პრივილეგიების მინიჭების წესს და ა.შ. ამავე დროს საიმპერიო კანონმდებლობა დიდ ყურადღებას არ უთმობდა უშუალო მწარმოებლის ურთიერთობებს ფეოდალებთან.

საზოგადოების წოდებრივმა აგებულებამ გავლენა მოახდინა სამართალზეც. ფეოდალთა შორის ურთიერთობების მოსაწესრიგებლად ჩამოყალიბდა “ლენური სამართალი” და ლენური სასამართლო”. ე.წ. ლენური სამართალი იყო ძირითადად ჩვეულებითი სამართალი. ყმა-გლეხებს ასევე ჩვეულებითი სამართლის ნორმების მიხედვით ასამართლებდნენ ფეოდალები. გერმანიის იმ მხარეებში, სადაც ცენტრალურ ხელისუფლებას გავლენა ჰქონდა მამულ-სახელმწიფოზე, სამართლის წყაროს როლს ადგილობრივი წეს-ჩვეულებებისა და ჩვეულებითი სამართლის ნორმების გვერდით, დამატებით თამაშობდა საიმპერატორო კანონები და ბრძანებულებები. “ლანდრეხტში” შედიოდა როგორც თვით ფეოდალთა შორის ურთიერთობების, ასევე მთელი მოსახლეობის მასშტაბით საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი ნორმებიც.

ცხადია, გერმანიაში მოქმედებდა ქრისტიანული წარმოშობის კანონიკური სამართალი, რომლითაც ხელმძღვანელობდა სასულიერო წოდება და რომელსაც იყენებდნენ საოჯახო ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად.

როგორც გერმანული სამართლის ისტორიის მკვლევარები აღნიშნავენ, შუა საუკუნეების გერმანიაში XI-XV საუკუნეებში არ არსებობდა საერთო სამართლებრივი სისტემა. ამ ეპოქის წერილობითი სამართლის ძეგლებიც კი უმრავლეს შემთხვევაში წარმოადგენდა არა სამართლის ოფიციალურ წყაროს, არამედ ადგილობრივი ჩვეულებების ჩანაწერს.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან გერმანიაში, ერთი მხრივ, “საქსონიის სარკის” ზეგავლენისა და, მეორე მხრივ, სამართლებრივ ნორმებზე მოთხოვნების წარმოშობის შედეგად ჩნდება ე. წ. “გერმანელი ადამიანების სარკე”, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა, რომ წარმოადგენდა სრულიად გერმანიის სამართლის ჩანაწერს. სინამდვილეში კი ეს იყო ოდნავ განვრცობილი “საქსონიის სარკე”. ხსენებულ კრებულს XVIII საუკუნეში უწოდეს “შვაბიის სარკე”.

გერმანული სამოქალაქო სამართალი ფეოდალურ ხანაში იმავე საფუძველზე იყო აღმოცენებული, რომელზეც ფრანგული ან ინგლისური.

გერმანულმა ფეოდალიზმმა წარმოშვა საკუთარი შეხე-

დუღებაც საკუთრებასა და მფლობელობაზე. სამეცნიერო ლიტერატურაში¹ მართებულად არის აღნიშნული, რომ რომის სამართლისაგან განსხვავებით, გერმანული თვალსაზრისით მფლობელი (“გევერე”) კანონით უნდა ყოფილიყო დაცული იმის მიუხედავად, სურდა თუ არა მფლობელს ნივთზე ბატონობა, განიხილავდა თუ არა მფლობელი ნივთს თავის ქონებად და პქონდა თუ არა განზრახვა, რომ ნივთი ჩაეთვალა საკუთარ ქონებად.

გერმანული სამართლის მიხედვით ნივთის მფლობელად უნდა გველიარებიან ნივთის უბრალოდ მპყრობელიც კი. ეს უკანასკნელი იმავე ზომით სარგებლობდა მფლობელობის დაცვით, როგორაც ის პირი, რომელსაც სურდა ნივთზე ბატონობის განხორციელება. კიდევ მეტი, გერმანული სამართლის იდეის თანახმად, თუ ნივთი ვინმეს გირაოს სახით გადაეცემოდა, იგულისხმებოდა, რომ გირაოს მიმღებზე (კრედიტორზე) უკვე გადავიდა საკუთრების უფლება. დამგირავებელს რჩებოდა უფლება მხოლოდ დაგირავებული ნივთის უკანვე გამოსყიდვისა.

როგორც სხვა, მეზობელ ფეოდალურ ქვეყნებში, გერმანიაშიც არსებობდა დანაწევრებული საკუთრება მიწაზე. ლენის გაყიდვა გერმანიაში დამკვიდრებული წესის მიხედვით არ შეიძლებოდა. ფეოდალს ლენის გადაცემა შეეძლო მხოლოდ თავისი საკუთარი ვასალისათვის. თავისებური შეხედულება იყო გატარებული გერმანულ სამართალში ჩუქებასთან დაკავშირებითაც.

გერმანული სამართლის იდეის თანახმად დასაჩუქრებული პირი ნაჩუქარი ნივთის მხოლოდ შეზღუდულ მესაკუთრედ თუ ჩაითვლებოდა. ამიტომაც ადრეფეოდალური გერმანული სამართლის თანახმად ნაჩუქარი ნივთის გაყიდვა-გასხვისება ეკრძალებოდა დასაჩუქრებულს, ხოლო ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ ის უნდა დაბრუნებოდა გამჩუქებელს. მოგვიანებით ხსენებული წესი შეინარჩუნეს მხოლოდ გამონაკლისის სახით (საქორწინო საჩუქარი, საჩუქარი შვილებს).

გერმანული სინამდვილისათვის ცნობილი იყო აგრეთვე მიწის განკარგვის თავისებური წესიც.

¹ იხ. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. ნაწ. II, მოსკოვი, 1947 წ. გვ. 185, პარაგრაფი გერმანული სამართლის შესახებ ეკუთვნის მ. ვ. ზიმლევას.

მიწა გადაეცემოდა ამა თუ იმ პირს სრულ საკუთრებაში, მაგრამ მიწის გამსხვისებელი თავისთვის იტოვებდა უფლებას მიწის შემოსავლის გარკვეული ნაწილის მიღებისა. მაგალითად, მოსავლის ერთი მეთოთხედის ნაწილისა. თუ ეს პირობა არ შესრულდებოდა, მიწა მის წინანდელ მესაკუთრეს უბრუნდებოდა.

მიწის ნაკვეთის, საერთოდ ადგილ-მამულის გასხვივება თავისუფლად შეიძლებოდა, მაგრამ ის სხვადასხვა ვალდებულებებით და სარჩელებით დატვირთული გადადიოდა ახალი მესაკუთრის ხელში.

აკეთი სახის მიწის რენტა ფართო გავრცელებას პოულობს გვიანფოდალურ გერმანიაში.

ცხადია, შედარებით მარტივად წყდებოდა მოძრავი ნივთების გასხვივების საკითხი, მაგრამ აქაც იდგა პრობლემა კეთილსინდისიერი შემძენის უფლებების დაცვისა. როგორც ფრანგული, ასევე გერმანული სამართალი ამ საკითხს ყურადღებით ეკიდებოდა. კაცმა შეიძლება არამესაკუთრისაგან იყიდოს ნივთი და დარწმუნებული იყოს, რომ მან ის კანონიერი მესაკუთრისაგან შეიძინა. ნივთის ნამდვილი, ტიტულოვანი მესაკუთრე, რომელმაც სხვას – გამყიდველს მიანდო მისი გაყიდვა, ზემოხსენებულ შემთხვევაში უფლებას კარგავდა უკან მოეთხოვა ის მყიდველისაგან. ეს წესი გამოთქმული იყო იურიდიული ფორმულით – “ჰანდ მუს ჰანდ ვარენ” – ხელი ხელს უნდა აფრთხილებდეს. მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ ნივთი მესაკუთრეს მოპარეს და ქურდმა კი გაყიდა, ნივთის მესაკუთრეს შეეძლო გამოეთხოვა თავისი ნივთი, თუნდაც მისი კეთილსინდისიერი შემძენისაგან. და მაინც გერმანულ სამართალში რომის სამართალთან შედარებით ვინდიკაციის უფლება შეზღუდული იყო.

ფოდალურ გერმანულ სამართალში საერთოდ, განსაკუთრებით კი საოჯახო სამართალში დიდ როლს ასრულებდა მეურვეობის იდეა. უფრო ადრეულ, წინაფოდალურ ხანაში, ეტყობა გერმანული სინამდვილისათვის უცხო არ იყო საცოლის ყიდვის ინსტიტუტი, მაგრამ შუა საუკუნეებში იყიდებოდა არა ქალი, არა საცოლე, არამედ მასზე მეურვეობის უფლება.¹

¹ იხ. ი. გრიმი. გერმანული სამართლებრივი სიძველეები. ტ. I, და ტ. II, გვ. 723. ბერლინი, 1956, მეცნ. აკად. გამოცემა (გერმ. ენაზე).

ნასყიდობის ("გაყიდული საქონლის") ფასს ღებულობდა ქალის მამა და ბოლოს და ბოლოს მას თვითონ თავის ქალიშვილს გადასცემდა, როგორც ქონებრივი უზრუნველყოფის საშუალებას დაქვრივების შემთხვევაში. თანდათან საოჯახო ურთიერთობებზე გავრცელდა კანონიკური სამართლის ნორმები. მოხდა გარკვეული შერწყმა გერმანული და კანონიკური სამართლის ნორმებისა, ქმარი აღიარებულ იქნა ცოლის მეურვედ. ოჯახის მთელ ქონებას, ცოლის ავლა-დიდების ჩათვლით, ქმარი განაგებდა. მეათე საუკუნიდან თანდათან ქონების მართვის ერთობის იდეას ცვლის ქონებრივი ერთობის იდეა, მაგრამ "საქსონიის სარკემ" და მაგდებურგის სამართალმა ისევ ქონების საერთო მართვის იდეა აღიარეს. ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში ცოლის ქონებად ჩაითვლებოდა ოჯახის სასურსათო მარაგის ნახევარი და "ვიტტუმი" საქვრივო წილის სახით. "ვიტტუმი" შესაძლოა ყოფილიყო მიწის მთელი სიციცხლის განმავლობაში სარგებლობის უფლება ან, გამონაკლისის შემთხვევაში, ადგილ-მამული კერძო საკუთრების უფლებით.

მამა არა მარტო გამგებელი იყო შვილების ქონებისა, არამედ პასუხს აგებდა კიდევაც შვილების მიერ ჩადენილი სამართალ-დარღვევისათვის.

"საქსონიის სარკე" თვლიდა, რომ 12 წლის ასაკში პირი "სრულწლოვანია", თუ ბავშვს მამა არ ჰყავდა. ის ამ ასაკში მეურვეობიდან გამოდიოდა, მაგრამ სანამ 21 წელი შეუსრულდებოდა, ახალგაზრდას შეეძლო მოეთხოვა "წარმომადგენლის" დანიშვნა. "წარმომადგენლად" კი შეეძლო დაენიშნათ მხოლოდ სამოც წელს მიღწეული კაცი.

გერმანული სამემკვიდრეო სამართალი თავდაპირველად იცნობდა მხოლოდ კანონით მემკვიდრეობის ინსტიტუტს. პირველი რიგის მემკვიდრეებად ითვლებოდნენ ოჯახის უფროსის დაღმავალი ხაზის უახლოესი ნათესავები – შვილები და შვილიშვილები.

გერმანიაში ერთ დროს ქალებს უძრავ ქონებაზე საერთოდ არ გააჩნდათ მემკვიდრეობის უფლებები, მაგრამ თანდათან ვითარება იცვლებოდა და ქალების სამემკვიდრეო უფლებებიც ფართოვდებოდა. გერმანიის ზოგიერთ მხარეში თუ ოჯახს ვაუიშვილი არ ჰყავდა, ქალიშვილი ღებულობდა მოძრავი სახის სამკვიდრო ქონების ნახევარს, ზოგან მთელ სამკვიდროსაც კი. გერმანულ ქალაქებში ქალები სამემკვიდრეო უფლებებში ჩქარა გაუთანაბრდნენ მამაკაცებს, ხოლო ლენური და საგლეხო

სამართლის მიხედვით ქალების სამემკვიდრო უფლებები კვლავ შეზღუდული რჩებოდა.

ფეოდალურ გერმანიაში ოჯახის თავის უახლოესი ნათესავები, პირველ ყოვლისა მისი ვაჟიშვილები, მამის სიცოცხლეშივე ითვლებოდნენ მომავალ მემკვიდრეებად, იმ პირებად, რომლებიც კანონიერად მოელიან მემკვიდრეობის მიღებას. მათ გააჩნდათ მემკვიდრეობის “მოლოდინის უფლება”. ცხადია, უფლების არსებობა ოჯახის უფროსს ხელს უშლიდა თვითნებურად განეკარგა საოჯახო ქონება ისე, რომ მხედველობაში არ მიეღო მომავალ მემკვიდრეთა ინტერესები. ოჯახის თავს შეეძლო თავისუფლად გაესხვისებინა მხოლოდ თავისი “თავისუფალი” წილი. თანდათან “მოლოდინის უფლება” ჩამოშორდა მოძრავ ქონებას და შერჩა მხოლოდ უძრავს. მამკვიდრებელს (სამკვიდროს დამტოვებელს) მოძრავი ქონების გასხვისება თავისუფლად შეეძლო, “მოლოდინის უფლების” გავლენით უძრავი ქონების გასხვისებისათვის მემკვიდრეების თანხმობა იყო საჭირო.

ამ აკრძალვების გამოძახილი ამ მისი შემსუბუქების ცდა უნდა იყოს უპირატესი შესყიდვის უფლება და გაყიდული უძრავი ქონების უკანვე გამოსყიდვის უფლება. როგორც ვთქვით, მოძრავი ქონების თავისუფლად განკარგვა შეეძლო მამკვიდრებელს, მაგრამ ის მძიმე ავადმყოფი არ უნდა ყოფილიყო. სასიკვდილო სარეკელზე მყოფს ეკრძალებოდა ქონების გასხვისება. ამის შესახებ სპეციალური მუხლი იყო მოთავსებული “საქსონიის სარკეში”. იმდენად უარყოფითად შეხვდა ამ სამართლებრივ ნორმას რომის პაპი, რომ “საქსონიის სარკის” ხსენებული მუხლი დაგმობილ იქნა მის მიერ (XIV საუკუნეში).

“მოლოდინის უფლება”, როგორც ქონებრივი უფლების დამოუკიდებელი სახე, დიდხანს არსებობდა გერმანულ სინამდვილეში, ხოლო ანდერძი გერმანიაში რომის სამართლის რეცეპციის შემდეგ პოულობს აღიარებას.

ანდერძის ინსტიტუტის დამკვიდრებას წინ უძღოდა სიკვდილის შემთხვევაში ქონების ჩუქების პრაქტიკის მართლზომიერად აღიარება, აგრეთვე სამემკვიდრო ხელშეკრულების შემოსვლა სოციალურ პრაქტიკაში.

რაც შეეხება სისხლის სამართალს, უნდა აღინიშნოს, რომ კარლოს დიდის იმპერიის დაშლის შემდეგ ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებას თან სდევდა სახელმწიფო სასჯელების როლისა და მნიშვნელობის დაკნინება და კერძო სასჯელების არეალის გაფართოება.

გერმანული სისხლის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სჯულდება იყო “კაროლინა”, რომელიც გამოიცა 1532 წელს. ის მოქმედი ძველი იყო ყველა გერმანულ და ნაწილობრივ, გერმანულ სახელმწიფოებზე დამოკიდებულ ევროპის სახელმწიფოებში მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებამდე. ესაა გვიანფეოდალური ხანის გერმანული სამართლის იმდენად მნიშვნელოვანი და ავტორიტეტული ძეგლი, რომ გავლენაც კი მოახდინა პეტრე პირველის დროის კანონმდებლობაზე.

“კაროლინა” იყო გერმანელი ხალხის “რომის საღვთო იმპერიის” იმპერატორის – კარლოს მეხუთის დროს მიღებული სჯულდგება და სამასზე მეტი წლის განმავლობაში ის იყო ერთადერთი საერთო იმპერიული კანონი გერმანიისა.¹

“კაროლინა”-ს დადებითი მხარე იყო ის, რომ მან ბრალის გარეშე ქმედობისათვის პასუხისმგებლობა გააუქმა. “კაზუსისთვის” – “შემოსევებისთვის კაცს აღარ სჯიდნენ. “კაროლინაში” შემოიღო სამედიცინო ექსპერტიზა; შემოიტანა პრინციპი სახელმწიფოში ერთგვაროვანი ნორმების მოქმედებისა; შეზღუდა სასამართლოთა თვითნებობა; სასამართლოებს მხოლოდ ის სასჯელები უნდა გამოეყენებინათ, რომლებიც მითითებული იყო სასამართლო წიგნის სათანადო მუხლში.

XVII საუკუნეში, 1650 წელს ფრანკონიის კრეისტაგმა ომებისაგან სისხლდაცლილ მხარეში შემოიღო კანონი, რომლის მიხედვითაც ათი წლის განმავლობაში მამაკაცებს აუკრძალა ბერად შედგომა, თუ ბერობის მსურველი 60 წელს არ იქნებოდა გადაცილებული.

ამასთანავე, კრეისტაგმა ყველა მამაკაცს საზეიმოდ მისცა ორ-ორი ცოლის შერთვის უფლება.

“კაროლინას” უშუალო წინამორბედად ითვლებიან 1507 წლის ბამბერგის სჯულდება და 1516 წლის ბრანდერბურგის დებულება.

გერმანიაში ადგილი ჰქონდა რომის სამართლის რეცეპციას, მაგრამ როგორც ჩანს, არა უშუალოდ იუსტინიანეს კოდექსიდან, არამედ იტალიელი სწავლული იურისტების მიერ გადაამუშავებული რომის სამართლის წყაროებიდან.

¹ იხ. “კაროლინა”, გერმანულიდან რუსულად თარგმა ს. ბულატოვმა. “ნაუკა”, აღმა-ათა, 1967.

გლოსატორებმა და პოსტგლოსატორებმა ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ სამართალგანვითარების დონე გერმანიაში აემადლებინათ. ფრანც ლისტის აზრით ისინი უპირატესად შეუგნებლად ხელს უწყობდნენ რომის სამართლის გადასხვაფერებას და მისი გერმანული სინამდვილისათვის შესამებას, თავისი დროის საერთო სასამართლო ჩვეულებებისათვის “გენერლის კონსუეტუდო“-სთან შეთანაწყობას. გერმანელი სამთავროების სამართლებრივი ჩვეულებები, პაპებისა და იმპერატორების კანონმდებლობა, სასამართლო პრაქტიკის შედეგად განვითარებული ნორმები ერთმანეთს ერწყმოდნენ. გლოსატორები და პოსტგლოსატორები გადმოსცემდნენ არა წმინდა სახის რომის სამართალს, არამედ იტალიურ სამართალს. ამ წილში თანდათან საფუძველი ჩაეყარა სისხლის სამართლის ისეთი ძირითადი ცნებების დამუშავებას, როგორცაა ბრალი, განზრახვა, გაუფრთხილებლობა, შემთხვევა, აუცილებელი მოგერიება და ა. შ. ¹

ფიქრობენ, რომ “ბამბერგის სჯულდება” მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში შეადგინა იოჰან შეარცენბერგმა, გერმანიის დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ, მაგრამ რადგანაც მან არ იცოდა არც ლათინური და არც იტალიური ენები, სავარაუდოა, რომ მას ეხმარებოდა ვიღაც ამ ენების მცოდნე იურისტი.

ისმის კითხვა, საერთო-საიმპერიო სჯულდება “კაროლინა” რა მიმართებაში იყო სხვადასხვა ადგილობრივ კოდექსებთან, ვთქვათ ბრანდერბურგის 1528 წლის კოდექსთან, მოქმედებდა იგი ყოველთვის თუ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივ კანონებში ხარვეზი იყო. საკითხი მთლად გარკვეული არ არის. წყაროებში მინიშნებულია იმის შესახებაც, რომ ადგილობრივ კანონებს ეძლეოდათ უპირატესობა საერთო საიმპერიო კანონებთან შედარებით.

ფიქრობენ, რომ ამიტომაც კარლოს მეხუთის “სისხლის სამართლებრივი კონსტიტუციის” ახალ გამოცემებს არ იყენებდნენ. მაგრამ არც ის არის დასამალი, რომ “კაროლინას” მატერიალური

¹ ფრანც ლისტი, სისხლის სამართლის სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, მოსკოვი, 1903, გვ. 20 (რუს.).

ვ. ენგელმანი. პოსტგლოსატორების მოძღვრება ბრალის შესახებ და მისი შემდგომი განვითარება. ლაიპციგი, 1895, გვ. 19, 37 (გერმანულად).

და პროცესუალური ნორმები შეესატყვისება მთავრებისა და ქალაქების დიდკაცობის ინტერესებს.

ლაბარი თავის წიგნში – “გერმანული სისხლის სამართლის სახელმძღვანელო”, რომელიც 1882 წელს გამოიცა ბერლინში მართებულად მიუთითებდა, რომ თანამედროვე შეხედულებისაგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც კანონის ხარვეზები, ბუნდოვანი აღვილები და კონტრხარვეზები უნდა განიმარტოს თვით კანონისა და მისი სისტემის საფუძველზე, კანონის საერთო პრინციპების ან კონკრეტული ნორმის ანალოგის მიხედვით, “კაროლინის” სამოქმედო ხანაში სადავო შემთხვევებში კანონის განმარტებას კი არ მიმართავდნენ, არამედ, “მცოდნე ადამიანების” კონსულტაციით წყვეტდნენ საკითხს, “ამ მცოდნე ადამიანებში” კი იტალიელი იურისტები იგულისხმებოდნენ.

იგივე ავტორი არც თუ უსაფუძვლოდ იმის შესახებაც აღნიშნავდა, რომ “კაროლინას” იმდენად კოდექსის ხასიათი კი არ ჰქონდა, რამდენადაც პრაქტიკული დანიშნულების სახელმძღვანელოსი. უპირატესად, სისხლის სამართლის წარმოების საკითხების შესახებ და ნაწილობრივ კი სისხლის სამართლის მიმართაც. რ. ზომი “კაროლინას” თვლიდა იტალიური სისხლის სამართლის გერმანულ სახელმძღვანელოდ.

“კაროლინა შედგებოდა 219 მუხლისაგან. ამ მხრივ იგი თავისი დროისათვის საკმაოდ ვრცელი საკანონმდებლო ძეგლია.

სასჯელთა სისტემა “კაროლინაში” საკმაოდ მკაცრია, მაგრამ იმ სასჯელებთან შედარებით, რასაც XVI საუკუნის დასაწყისში იყენებდნენ სამხრეთ გერმანიაში, ის შედარებით მსუბუქად მოჩანს; ხოლო თუ “კაროლინას” სასჯელებს ჩრდილოეთ გერმანიაში დამკვიდრებულ სასჯელთა სისტემას შევადარებთ, ეს სასჯელები შედარებით მკაცრად მოგვეჩვენება.

“კაროლინაში” მატერიალური და პროცესუალური ნორმები ერთმანეთში იყო გადაწნული და თვით მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები გადმოცემული იყო როგორც პროცესუალური ფორმულები. მაგალითად, “კაროლინაში” სასჯელის აღწერა მოცემულია განაჩენის დასკვნითი ნაწილის ფორმულის სახით.¹

“კაროლინაში” მრავალი მუხლი იყო მიძღვნილი სასამართლო მტკიცებულებებისადმი (თვრამეტიდან ორმოცდამეოთხე

¹ “კაროლინა” 1967 წელი, რუსული გამოცემა, გვ. 27.

მუხლების ჩათვლით. კანონმდებელი გულდაჯერებით აღიარებდა წამების მეშვეობით მიღებული ჩვენებების სანდოობას. მხოლოდ ეს კია, რომ ექვმიტანილის წამება შეიძლებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახეზე იქნებოდა სანდო პირების ჩვენება, რომ ის დამნაშავეა.

ერთი სანდო მოწმის ჩვენება ნახევარმტკიცებულებად ითვლებოდა. ორი სანდო მოწმის ჩვენებას ნდობის ღირსად თვლიდნენ. ფასეულ და სანდო მტკიცებულებად ითვლებოდა ბრალდებულის აღიარება.

მნიშვნელოვან მტკიცებულებად ითვლებოდა ფიციც. თუ ვინმე აფთიაქში იყიდდა შხამს და ამის შემდეგ უარყოფდა, რომ შხამი შეიძინა, წამლის გამყიდველის ფიცით დგინდებოდა სადავო ფაქტი.

თუ ვინმეს ხალხი ავი თვალთ უყურებდა და მასზე ფიქრობდა, რომ ის ჯადოქარია ან ვინმე ჯადოქრის ცუდი სახელით სარგებლობდა მოსახლეობაში, ეს საკმარისი იყო ჯადოქრობაში ექვმიტანილის წამებისათვის.

გერმანელი ერისა და რომის საღვთო იმპერიის ათასწლოვან ისტორიას ბოლო მოუღო საფრანგეთის დიდმა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ და ნაპოლეონ პირველის ომებმა. რამდენიმე ასეული გერმანული სახელმწიფოდან დარჩა მხოლოდ რამდენიმე ათეული. გერმანიის რაინისპირა პროვინციები უშუალოდ საფრანგეთის მმართველობაში მოექცა. აქ მოისპო ფეოდალური პრივილეგიები, გაუქმდა ბატონყმობა და სამოქმედოდ შემოიღეს საფრანგეთის 1804 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსი.

1814 წელს პარიზის ტრაქტატით შეიქმნა ე. წ. გერმანული კავშირი 34 გერმანული სახელმწიფოს შემადგენლობით, სადაც მეთაურობა ავსტრიას ეკუთვნოდა.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის ზეგავლენა გერმანიაზე გერმანულ ხალხში ერთგვაროვან შეფასებას ვერ პოულობდა. თვით გერმანული ინტელიგენციის უთვალსაზიროესი წარმომადგენლები ყოყმანობდნენ "მიეღოთ თუ არა" საფრანგეთის რევოლუცია. ცხადია, საფრანგეთის 1789-1793 წლების რევოლუციის თანხლები უარყოფითი მოვლენები, იაკობინელთა ტერორი და დიქტატურა მიუღებელი იყო წესრიგის მოყვარული გერმანული ბურჟუეზისათვის.

სამართლის ისტორიულ სკოლას გერმანიაში სურდა შეექმნა გერმანული სამართლის დამოუკიდებელი სისტემა, რომელიც

დაუპირისპირდებოდა რომაულს. ეს სურვილი განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ იდეა სამართლის სპონტანური განვითარების შესახებ უთუოდ პროგრესული იყო. გერმანიაში XIX საუკუნის მიწურულში მართლაც შეიქმნა სამოქალაქო სამართლის წიგნი – მსოფლიო მნიშვნელობის სჯულდება, რომელიც თავის თავში აერთიანებდა ყოველივე საუკეთესოს, რაც კაცობრიობას შეექმნა სამოქალაქო სამართლის სფეროში.

ბიზანტიის სახელმწიფო და სამართალი

I. ბიზანტიის სახელმწიფო

ახალი წელთაღრიცხვით 395 წელს მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი და უძლიერესი სახელმწიფო გაიყო ორ დიდ ნაწილად – დასავლეთ და აღმოსავლეთ იმპერიებად. როგორც ცნობილია, რომის დასავლეთში იმპერიამ ვერ გაუძლო მრავალრიცხოვანი მტრების შემოტევებს და V საუკუნის მეორე ნახევარში დაეცა.

რომის აღმოსავლეთში იმპერიამ კი კიდევ დიდხანს იარსება. ბიზანტიის იმპერია თავის თავს რომის (რომეების) იმპერიას ეძახდა.

აღმოსავლეთ რომის იმპერიის არსებობის პირველ ეტაპზე მის სახელმწიფო ენად ლათინური ითვლებოდა, თუმცა უკვე მოსახლეობის დიდი ნაწილი ბერძნულ ენაზე მეტყველებდა.

ამ იმპერიის სატახტო ქალაქს – ბიზანტიას კონსტანტინე დიდმა 330 წელს სახელი გამოუცვალა. მას კონსტანტინეპოლი უწოდეს. ისტორიკოსთა მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ეს წელი მიაჩნდა ბიზანტიის იმპერიის საწყის თარიღად, საწყისის დღედ. მაგრამ ისტორიკოსების უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ბიზანტიის იმპერიის საწყის თარიღად უნდა მივიჩნიოთ 395 წელი, როდესაც იმპერატორ თეოდოსი პირველის გარდაცვალების შემდეგ მისმა ორმა ვაჟიშვილმა იმპერია ორ ნაწილად გაჰყო. განსვენებული იმპერატორის უფროს ვაჟიშვილს – არკადის ერგო იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი, რომლის დედაქალაქიც იყო კონსტანტინეპოლი. არკადის სამფლობელო საკმაოდ ვრცელი იყო. მასში შედიოდა, ჯერ ერთი, ბალკანეთის ნახევარკუნძული და ეგეოსის ზღვის მრავალრიცხოვანი კუნძული, რომელიც თავისთავად დიდ ტერიტორიულ რეგიონს წარმოადგენდა, მაგრამ გარდა ამისა, ბიზანტიის იმპერიაში შედიოდა სირია, პალესტინა, ეგვიპტე, მესოპოტამიისა და კავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ყირიმის სამხრეთი სანაპირო.

ერთმა ავტორმა კონსტანტინეპოლს “მარადიული ქალაქი”, “აღმოსავლეთის რომი”¹ უწოდა. მართლაც ის, ათასზე მეტი წლის განმავლობაში ცდილობდა ეთამაშა აღმოსავლეთის რომის როლი და თავისი სახელმწიფო ინსტიტუტებით და დაწესებულებებით, აგრეთვე განვითარებული სამართლებრივი სისტემით კეთილისმყოფელ ზეგავლენას ახდენდა მეზობელ ქვეყნებზე.

რაც შეეხება რომის დასავლეთ იმპერიას, მან თავისი როლი შეძლებისამებრ შეასრულა და არსებობაც შეწყვიტა. ახ. წ. V საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, ხოლო ბიზანტიის იმპერიამ XV საუკუნის შუა წლებამდე იარსება.

ბიზანტიის იმპერიის ასეთ გამძლეობას თავისი სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიული მიზეზები გააჩნდა. ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში ისეთი განვითარებული ქვეყნები იყო გაერთიანებული, როგორც იყო სირია, ეგვიპტე, მცირე აზიის რეგიონი, საბერძნეთი და ა.შ. ხსენებული ქვეყნები ისტორიული სიმაღლით დიდად განსხვავდებოდნენ დასავლეთის ბარბაროსული ტომების მიერ შექმნილი “ნახევარსახელმწიფოების” და სახელმწიფოებისაგან. ისინი გაცხოველებულ სავაჭრო ურთიერთობაში იყვნენ ისეთ ქვეყნებთან, როგორც იყო ჩინეთი, ინდოეთი, სპარსეთი, არაბეთი. მათვე გაცხოველებული ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდათ ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებთან.

მონათმფლობელური წესწყობილება და მონათმფლობელური მეურნეობა აღმოსავლეთ რომის იმპერიაში მეტ სიმყარეს და მდგრადობის უნარს ამჟღავნებდა, ვიდრე იმპერიის დასავლეთ რეგიონებში. აღმოსავლეთ რომის იმპერიის პროვინციებში საოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციები ფეოდალიზმის მიმართულებით ვითარდებოდა, რომელიც, სხვას რომ თავი დაჟანებოთ, უშუალო მწარმოებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას გულისხმობდა. ხოლო თვით ფეოდალიზაციის

¹ “კონსტანტინეპოლი, ეს არის მარადიული ქალაქი, აღმოსავლეთის რომი, აღმოსავლეთის ცივილიზაცია და აღმოსავლეთის ბარბაროსობა საბერძნეთის იმპერატორების დროს, აღმოსავლეთის ბარბაროსობა და დასავლეთის ცივილიზაცია თურქეთის ბატონობის დროს ისე მჭიდროდ გადაეჭდო ერთმანეთს, რომ ეს ცენტრი თეოკრატიული იმპერიისა ევროპული პროგრესის გავრცელებისათვის ნამდვილი ზღუდე შეიქმნა”. იხ. მარქსი და ენგელსი ანტიკურობის შესახებ, ს. ი. კოვალისკის შედგენილი, თარგმანი რუსულიდან, თსუ. გამ. 1937, გვ. 44.

პროცესი ბიზანტიის იმპერიაში სწრაფად არ მიმდინარეობდა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აღმოსავლეთ რომის იმპერიაში ისეთი მსხვილი ლატიფუნდიები არ არსებობდა, როგორც რომის დასავლეთ იმპერიაში. აქ სოფლის მეურნეობის სფეროში შედარებით მცირე მოცულობის საწარმოო ერთეულები თამაშობდნენ მნიშვნელოვან როლს, ვიდრე ლათინურ დასავლეთში. წვრილი გლეხური მეურნეობის გამძლეობა, მათი ეკონომიკური ფექტურობაც კი აქ ნათლად ჩანდა. რაც შეეხება ხელოსნობას, ამ სფეროში ძირითად მწარმოებლებლად თავისუფალი ხელოსნები იყვნენ და არა მონები.

თავის დროზე ისტორიკოსებს თავზე ახვეედნენ მარქსისა და ენგელსის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს რომის იმპერიის ისტორიის ცალკეული საკითხების შესახებ. მარქსის და ენგელსის აზრით მიწათმოქმედება ძველ მსოფლიოში წარმოების გადამწყვეტი დარგი იყო. ¹ ყოველ შემთხვევაში ძველ საბერძნეთში, კერძოდ ათენში, ეს ასე არ იყო. აქ ხელოსნობა უფრო მეტ როლს თამაშობდა სახალხო მეურნეობაში, ვიდრე მიწათმოქმედება.

ამიტომ აზრი იმის შესახებ, რომ მიწათმოქმედება ძველ მსოფლიოში გადამწყვეტი წარმოების დარგი იყო, დაზუსტებასა და შესწორებას საჭიროებს რიგი რევიონების მიმართ. მაგრამ მაინც შეიძლება ზოგადად შეგვენიშნა, რომ რომის იმპერიის მიმწუხრზე სოფლის მეურნეობა წარმოების გადამწყვეტი დარგი იყო დაძაბუნებულ სახელმწიფოში. ძველი რომის ისტორიის უფრო ადრეულ ხანაში - რესპუბლიკის უკანასკნელ პერიოდში იტალიის მთელი ტერიტორია მსხვილი ადგილ-მამულების კომპლექსებით, ე.წ. ლატიფუნდიებით იყო დაფარული. ასეთი მსხვილი ადგილ-მამულების ერთი ნაწილი გამოიყენებოდა საძოვრებად, ხოლო მეორე ნაწილი - ვიღლებად. ამ უკანასკნელში ეწეოდნენ მებაღეობას მონური შრომის საფუძველზე, მიღებული პროდუქცია ნაწილობრივ ქალაქების ბაზრებზეც ვაჭრონდათ. დიდი საძოვრები გადარჩა და ზოგან გაფართოვდა კიდევაც. რაც შეეხება ვიღლებს, ისინი მეპატრონეთა გადატაკებასთან ერთად გაპარტახდნენ. ეცემოდნენ ქალაქებიც. მონათა შრომაზე დაფუძნებული ლატიფუნდიები ეკონომიკურად არაეფექტური გამოდგა და

¹ იხ. მარქსი და ენგელსი ანტიკურობის შესახებ. თბ. გამ. 1937, გვ. 189-190.

შემოსავალს აღარ იძლეოდა. მაშინდელ პირობებში მსხვილი მიწათმფლობელობის ერთადერთი შესაძლებელი ფორმა მისი ლატიფუნდიური სახეობა იყო და რადგანაც ამ ფორმამ ვერ გაამართლა, ბუნებრივად წინ წამოიწია წვრილმა მეურნეობამ როგორც მეურნეობის ერთადერთმა შესაძლებელმა ფორმამ. მსხვილი მეურნეობები შედარებით მცირე ადგილ-მამულებად დაიყო და მოიჯარეებს გადაეცა მექვიდრეობით მფლობელობაში. გაჩნდა მოწილეობაც, მოწილე უფრო მამულის მოურავს მოგვაგონებდა. ის მამულს ამუშავებდა და ღებულობდა მოსავლის დაახლოებით ერთ მეექვსედს, ზოგან მხოლოდ ერთ მეცხრედს. თანდათან საქმე ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის მიმართულებით მიდიოდა.

როგორც ბიზანტიაში, ასევე ყოფილი რომის დასავლეთი იმპერიის პროვინციებში სავსებით აშკარა ხდებოდა, რომ ანტიკურმა მონობამ თავისი თავი ამოწურა. მონობა უკვე ისტორიული პროგრესის გზაზე დაბრკოლებას წარმოადგენდა. ესა თუ ის საზოგადოებრივი მოვლენა გონივრულია იმდენად, რამდენადაც იგი აუცილებელია. არაგონივრულია ის საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელიც გაძარცვულია ყოველი აუცილებლობისაგან. ადამიანთა საზოგადოების დაუსრულებელი განვითარების პროცესში მისი ყოველი საფეხური აუცილებელია და მაშასადამე, გონივრულიც იმ დროსა და პირობებში, რომლის ნაყოფსაც იგი წარმოადგენს. ანტიკური მონობა აუცილებელი და გონივრული იყო მოცემულ დროსა და პირობებში. მსოფლიო ისტორია, მცირე გამონაკლისების გარდა, არის პროგრესი თავისუფლების განვითარებისა, თავისუფლების თანდათანობით და განუხრელი განხორციელება. ანტიკური მონობა და ანტიკური ცივილიზაცია ეს იყო დიდი ცივილიზაციის მნიშვნელოვანი და აუცილებელი ეტაპი. ანტიკური სახელმწიფო და სამართალი, რომელიც გარკვეული დროის მონაკვეთზე აუცილებელი და პროგრესული იყო, თანდათან განვითარების მუხრუჭად იქცა.

ეკონომიკურად ვერ გაამართლა ვერც მსხვილმა მეურნეობამ სოფლად, ვერც მანუფაქტურამ ქალაქად. წვრილი მეურნეობა ასე თუ ისე შედარებით ეფექტური იყო, მაგრამ იქ მონებისათვის ადგილი არ იყო. თანაც, საერთოდ, მონობა სარგებლობას არ იძლეოდა. დიდ სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს აღრმავებდა შეხედულება, რომ მწარმოებლური, ფიზიკური შრომა არ ეკადრება თავისუფალ ადამიანს. ეს შხამით გაჯერებული საზოგადოებრივი

აზრი ძნელი დასაძლევია იყო. თავისუფალმა წვრილმა გლეხობამ თავისი სიყვარულით მიწისადმი და სამიწათმოქმედო შრომისადმი ხელი შეუწყო ზემოხსენებული მანე საზოგადოებრივი აზრის დაძლევას. ამავე მიმართულებით კეთილისმყოფელი გავლენა უნდა მოეხდინა ქრისტიანულ რელიგიას, ქრისტიანული ეკლესიის მესვეური საეკლესიო მამების შეხედულებებს მწარმოებლურ შრომაზე და, საერთოდ, სამეურნეო მოღვაწეობაზე. მონასტრებიც ხომ მწარმოებლური შრომის გარეშე ვერ იარსებებდნენ. პავლე მოციქულიც, ამ მხრივ, დასამახსოვრებელ მაგალითს იძლეოდა. ეს დიდი ერუდიციის მქონე პიროვნება, რომელიც დაუფლებული იყო ელინური და ებრაულ-აღმოსავლური კულტურის მიღწევებს, არ თაკილობდა ფიზიკური, მწარმოებლური შრომით ერჩინა თავი. პავლე მოციქული ასწავლიდა, რომ ვინც არ მუშაობს, ის არ უნდა ჭამდესო.

მონობა პირველი, ანტიკური ფორმა იყო საზოგადოების ეკონომიკური მოწყობისა. მაგრამ ასევე პირველ ფორმად საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოწყობისა, ზოგიერთ რეგიონში უნდა ყოფილიყო მონობასთან შედარებით შერბილებული ურთიერთობის მატარებელი ბატონყმობა, წარმოშობილი ე.წ. "ფეოდალური" საზოგადოების წიაღში. ისტორიის ფილოსოფიის საქმეა გარკვევა იმისა, თუ საზოგადოების და სახელმწიფო ორგანიზაციის რომელ ფორმას რა სფეროში ჰქონდა უპირატესობა და სად უფრო იყო მოცემული პოტენცია პროგრესის პრინციპისა, მაგრამ დავუბრუნდეთ ბიზანტიის ისტორიის ფაქტებს.

ბიზანტიის იმპერიამ დიდ ძლიერებას მიაღწია იმპერატორ იუსტინიანე პირველის (527-565) დროს, მეექვსე საუკუნეში. იუსტინიანეს ეპოქაში ბიზანტიის იმპერიამ ყოფილი რომის მსოფლიო სახელმწიფოს ტერიტორიის უმთავრესი ნაწილი კვლავ იგდო ხელში, მაგრამ ამ იმპერატორის გარდაცვალების შემდეგ იმპერიაში კვლავ საგრძნობი გახდა კრიზისული მოვლენები. სახელმწიფოს ძლიერება შეირყა, იმპერატორ იუსტინიანეს ზეობის წლებში შემომტკიცებული ტერიტორიები თანდათან ხელიდან მიდიოდა. 568 წელს ლანგობარდებმა, გერმანული მოდგმის ხალხმა, დაიპყრეს იტალიის მნიშვნელოვანი ნაწილი. კერძოდ, ჩრდილოეთ იტალია და იტალიის ცენტრალური ოლქებიც. ჩრდილოეთ იტალიაში ლანგობარდებმა შექმნეს თავიანთი სამეფო. 751 წელს ლანგობარდებმა დაიპყრეს ბიზანტიელთა ბატონობის ქვეშ მყოფი რავენაც.

ისტორიის არენაზე გერმანული ტომების გვერდით გამოჩნდნენ სლავებიც, რომლებმაც ბიზანტიის სახელმწიფოს ახალი პრობლემები გაუჩინეს. VII საუკუნიდან მოყოლებული ბიზანტიის იმპერია არაბთა ორგანიზებული შემოტევების საგნად იქცა. არაბებმა შეძლეს გადამწყვეტ ბრძოლაში სპარსელთა არმიის დამარცხება და ჩქარა ხელთ იგდეს ეგვიპტე, სირია და მცირე აზიის ნაწილი. VIII საუკუნე ახალი გამარჯვებებით აღინიშნა ბიზანტიის ამ სასტიკი მტრის ისტორიაში. არაბების ხელში აღმოჩნდა მთელი ჩრდილოეთ აფრიკა. თვით ბიზანტიის იმპერიის ტერიტორია კი მნიშვნელოვნად შემცირდა. ამ ხანებში ოდესღაც მეტად ვრცელი სახელმწიფოს ფარგლებში მხოლოდ ბალკანეთის ნახევარკუნძული და მცირე აზიის ნაწილი შედიოდა. არაბებისა და სხვა მტრებისაგან შევიწროებულ ბიზანტიას უტევდნენ სლავებიც და სხვა, განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომი ტომები და ხალხები. ისინი სახლდებოდნენ და მკვიდრდებოდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ეს ე.წ. “ეთნოგრაფიული რევოლუცია” დიდ ცვლილებებს იწვევდა ბიზანტიის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. იმპერიის ტერიტორიაზე სათემო მიწათმფლობელობა და თემური ურთიერთობანი შეეჯახა მაღალ-განვითარებულ სოციალურ სტრუქტურებს.¹

გამოთქმულია მოსაზრება, რომ სლავებმა ისევე შეუწყვეს ხელი ფეოდალიზმის განვითარებას ბიზანტიაში, როგორც გერმანელებმა – რომის იმპერიის დასავლეთ პროვინციებში (ლ. ვ. მიშულინი). უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა, რომ სლავური ტომების გავლენით ბიზანტიის იმპერიის რიგ რეგიონებში მკვიდრდებოდა პატრიარქალურ-თემური ურთიერთობანი და ე.წ. ბარბაროსული ფეოდალიზმის საწყისები. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ რომის აღმოსავლეთ იმპერიის მეურნეობაში, განსაკუთრებით მიწათმოქმედებაში, მონები უკვე შედარებით უმნიშვნელო როლს ასრულებდნენ.

ისავრიელი იმპერატორების (717-802) ხანაში ბიზანტია ცდილობდა კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლას და ძველი დიდების დაბრუნებას. მაგრამ თავდაპირველად ბიზანტიას ძალიან

¹ იხ. “ბიზანტიური სამიწათმოქმედო კანონი”, ე. ე. ლიპშიცის, ი. პ. მედევევის და ე. კ. პიოტროვსკის გამოცემა. “ნაუკა”, 1984, ი. პ. მედევევის რედაქციით (რუს.).

გაუჭირდა არაბებთან ბრძოლა. არაბები გამოჩნდნენ მცირე აზიაში, ხელთ იგდეს კვიპროსი და როდოსი. 717-718 წლებში ალყაში პყავდათ მოქცეული კონსტანტინეპოლი, მაგრამ ბიზანტიელებმა შეძლეს მტრის მოგერიება ე. წ. “ბერძნული ცეცხლის” გამოყენებით, რომელსაც ნავთობის, გოგირდის, გვარჯილის და სხვადასხვა ფისის კომბინაციით ამზადებდნენ. არაბების ფლოტი განადგურებულ იქნა. ბრძოლებში თავი იჩინა ლეონ მესამე ისავრიელმა, არჩეულმა იმპერატორმა.

რაკი არაბების მიერ ბიზანტიის დაპყრობის საფრთხე მოიხსნა, ისავრიელი იმპერატორები შეუდგნენ რეფორმების გატარებას. ლეონ მესამემ (717-740) გაატარა სამხედრო რეფორმები. დაიწყო სახსრების ძებნა სახელმწიფოს განსამტკიცებლად. ეკლესიას ჩამოართვეს ადგილ-მამულთა მნიშვნელოვანი ნაწილი. ისავრიელი იმპერატორები გამოდიოდნენ ხატთაყვანისმცემლების წინააღმდეგ და ამიტომაც მათ შეარქვეს ხატების წინააღმდეგ მებრძოლი იმპერატორები. მსხვილი მონასტრებისათვის ჩამორთმეული მიწები განაწილდა სამხედრო-მოლაშქრე პირებს შორის, როგორც ბენეფიციუმები, რომელთაც ხარისტილებს ეძახდნენ (ბერძნული “ხარისტესთონ” – სამადლობელო საჩუქარი, “ხარისტიკის” – უხვი).

ისავრიელთა დინასტიის იმპერატორებისათვის ხატის თაყვანისცემა კერპთაყვანისმცემლობად ითვლებოდა, რაც აისახა კიდევაც კანონმდებლობაში. ხატმებრძოლობის სულით არის გაჟღენთილი ისავრიელი იმპერატორების კანონმდებლობა.

ისავრიელი იმპერატორების ხანაში იმპერიამ დაიბრუნა სიცილია, სამხრეთ იტალია, საბერძნეთი, მაკედონია, კუნძული კრეტა. მეთვ საუკუნეში იმპერიამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. ამ დროისათვის ბიზანტიის იმპერიის ნომერ პირველი მტერი – არაბთა სახალიფო უკვე დაუძღურდა. ბიზანტიელებმა არაბებს გამოსტაცეს სირიის ნაწილი და დაკარგული კუნძულების უმრავლესობა ხმელთაშუა ზღვაში, ხოლო მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში დაიპყრეს ბულგარეთიც. მაგრამ XI-XII საუკუნეების ბიზანტიაში ფეოდალური დაქუცმაცებულობის და დეცენტრალიზაციის ტენდენციებმაც იჩინა თავი. ამავე დროს ახალი მტრებიც გამოუჩნდნენ იმპერიას ჩრდილოეთიდან – პაჭანიკების, თურქული წარმოშობის ხალხის, ხოლო დასავლეთიდან ნორმანების სახით. მაგრამ დრომ აჩვენა, რომ მთავარი საფრთხე იმპერიას აღმოსავლეთიდან ემუქრებოდა თურქ-სელჩუკების მხრივ,

რომელთაც ბაღდადიც აიღეს და თანდათან ეგეოსის ზღვის მიდამოებამდე განავრცეს თავისი სამფლობელოები.

1204 წელს კი ჯვაროსნებმა აიღეს კონსტანტინეპოლი. ბიზანტიის იმპერია რამდენიმე სახელმწიფოდ დაიშალა. 1261 წელს პალეოლოგოსების დინასტიამ ძლიერძლივობით შეძლო ბიზანტიის იმპერიის აღდგენა, მაგრამ ცხადია, შემცირებულ ფარგლებში. ბოლოს და ბოლოს, ხსენებული დინასტია უკანასკნელი გამოდგა. 1453 წელს თურქეთის სულთანის მეკმედ მეორის არმიამ აიღო კონსტანტინეპოლი, რომელსაც სახელი გამოუცვალეს, სტამბოლი დაარქვეს და თურქეთის იმპერიის დედაქალაქად აქციეს.

2. ბიზანტიური სამართალი

სამართალი, როგორც სოციალური მოწესრიგების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება, განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ჯერ რომის იმპერიაში და შემდეგ ბიზანტიაშიც. შეიძლება ეს იმასთანაც იყოს დაკავშირებული, რომ ხსენებულ ქვეყნებში მოხერხდა კერძო და საჯარო სამართლის ოპტიმალური შეხამება ისე, რომ კერძო სამართალს ყოველთვის ჰქონდა შესაძლებლობა, ყოფილიყო სოციალური პროგრესის მძლავრი ფაქტორი.

რ. ზომი მართებულად აღნიშნავდა: ყოველთვის როდი არსებობდა კერძო საკუთრება დღევანდელი გაგებით. “საზოგადოების განვითარების საწყის საფეხურზე ბატონობდა გულუბრყვილო კომუნიზმი, რომელიც ეროვნულ სიმდიდრეს განიხილავედა როგორც საზოგადოებრივი კავშირის წევრთა (მეომართა) საერთო ავლადიდებას და მას მათ შორის საჯარო-სამართლებრივი საშუალებებით ანაწილებდა. ძველად ცხოვრობდა მხოლოდ ხალხი, მასა. საჯარო სამართალი იყო ყველაფერი. მხოლოდ თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ ფეხს აიდგამს სამოქალაქო სამართალი და მასთან ერთად კერძო საკუთრებაც, რომ ინდივიდისათვის უზრუნველყო მისი განსაკუთრებული ბატონობის სფერო. სამოქალაქო სამართალი მოასწავებდა ინდივიდის გამოცხადებას, ინდივიდუალური ცხოვრების გამოცალკევებას ჯოგურისაგან. ხალხის გეკრდით ამიერიდან არენაზე გამოდის ისტორიის მეორე მამოძრავებელი ძალა – საკუთარი თავის თვითშემშენებელი პიროვნება. ის ხელთ იღებს ხალხის

განვითარების ინიციატივას; ის ცეცხლს გამოსტაცებს ღმერთებს, რათა კაშკაშა ჩირაღდნით გზა გაუნათოს მთელ ერს”¹.

სამოქალაქო სამართლის განვითარებაში ძალზე მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი რომაელებს, ბერძნებს, ებრაელებს და სხვა ხალხებს. სამართალგანვითარებას ხელი გაუმართა ისეთმა ისტორიულმა მოვლენამაც, როგორც იყო ე.წ. ელინიზმი. ბიზანტიის ისტორიის მკვლევარებს შენიშნული აქვთ, რომ ელინისტური კულტურა იყო შედეგი ბერძენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კავშირურთიერთობისა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხებთან. თავის მხრივ, ეს კულტურა იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ბიზანტიის სახელმწიფოსა და საზოგადოების გარკვეული სტაბილურობისა.

სიმპტომატურია ის გარემოებაც, რომ განსხვავებით ანტიკური ეპოქის ბერძნულსაგან, გეიანელინისტური ბერძნული თავის თავში შეიცავდა მრავალ ისეთ ელემენტს, რომლებიც აღმოსავლეთის სხვადასხვა ხალხების ენების ლექსიკიდან იყო აღებული.

მნიშვნელოვანი იყო, რა თქმა უნდა, ძველი ბერძნული კულტურიდან მიღებული მემკვიდრეობაც. ბიზანტიაში არსებობდა თავისებური საქალაქო წყობილება, რომელიც თავისი ფესვებით უკავშირდებოდა ძველ ელინურ პოლისს, აღმოსავლური ქრისტიანული კულტი, რომელშიც კონკრეტულად აისახა ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა ხალხის ადგილობრივი სარწმუნოებები, ძველისძველი სავაჭრო კავშირები – ყველაფერი ეს მჭიდროდ აკავშირებდა ერთმანეთთან ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობას და ქმნიდა საფუძვლებს განსაკუთრებული ბერძენ-ბიზანტიელთა ეროვნების წარმოშობისათვის.²

425 წელს იმპერატორ თეოდოსის მეფობის დროს დაარსებულ იქნა უმაღლესი სასწავლებელი კონსტანტინოპოლში. უკვე V საუკუნის დასაწყისში ბიზანტიაში იგრძნობა ბერძნული ენის მოძალეობა. ბიზანტიის მთავრობა გრძნობდა, რომ “საჭირო იყო სახელმწიფოს სტრუქტურა შეფარდებოდა ხალხის ცხოვრების აგებულებას, რომელიც ძირფესვიანად ბერძნული იყო და ამ

¹ რ. ზომი. სისტემატური სამართალმცოდნეობა.

² ვ. სემიონოვი. “შუა საუკუნეების ისტორია”, ტომი II, მოსკოვი, 1975, გვ. 92.

მხრივ საჭირო იყო ხალხისათვის გაუგებარ ლათინურს ხალხის კუთვნილი ბერძნულისათვის დაეთმო ადგილი” (ს. ყაუხჩიშვილი). თანდათან იმარჯვებდა ქრისტიანული იდეოლოგია და კულტურა.

წარმართული მიმართულების ათენის უმაღლესი სკოლის დახურვამ 529 წელს შედარებით უმტკივნეულოდ ჩაიარა, რადგანაც უკვე არსებობდა ქრისტიანული მიმართულების კონსტანტინოპოლის უმაღლესი სასწავლებელი, თანაც ბერძნული ელფერით, მაგრამ ლათინთა კულტურული მემკვიდრეობითაც აღჭურვილი.

კონსტანტინოპოლის უმაღლესმა სკოლამ დიდი როლი შეასრულა ბიზანტიის ისტორიაში. აქ შეიძლება კარგი განათლების მიღება. თვით იმპერატორ იუსტინიანესაც იქ ჰქონდა მიღებული იურიდიული განათლება.

ბიზანტიური კულტურა V-VII საუკუნეებში დუდილის პროცესში იყო. ანტიკური, ელინისტური და ქრისტიანული აქ ერთმანეთს ერწყმოდა.

რიგი მეცნიერებისა ბიზანტიური კულტურის საწყისებს მხოლოდ ანტიკურ კულტურაში ხედავდა, იმ დროს. როდესაც “ბიზანტიის საზოგადოებრივი წყობის თავისებურება სწორედ იმით არის შეპირობებული, რაც ბიზანტიას შესძინეს აღმოსავლეთის ხალხებმა, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ბიზანტიური კულტურის შექმნაში”. აკად. სიმონ ყაუხჩიშვილი აღნიშნავდა, რომ ბიზანტიის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობას ქართველებიც ღებულობდნენ. ასე რომ, ქართველებსაც აქვთ წვლილი შეტანილი ბიზანტიის საზოგადოებრივი წყობილების შექმნაში.

რომის სახელმწიფო წესწყობილების, მართვა-გამგეობის რომაულ გამოცდილებას და განსაკუთრებით კი რომის სამოქალაქო სამართალს მსოფლიო ისტორიულ მოვლენად თვლიან სამართლის ისტორიკოსები და არც თუ უსაფუძვლოდ.

თვალი გადავაგვლოთ სამართალგანვითარების პროცესს ჯერ გვიანი ხანის რომის იმპერიისა და შემდეგ ბიზანტიის იმპერიის სინამდვილეში.

რომის იმპერიის უკანასკნელ საუკუნეებში მთელმა საკანონმდებლო ხელისუფლებამ თავი მოიყარა იმპერატორის ხელში. იმპერატორის მიერ გამოცემულმა “კონსტიტუციებმა” – კანონებმა მიიღეს “ღეგეს“-ის სახელწოდება. სენატის მნიშვნელობა

თანდათან დაეცა. იმპერატორის მიერ გამოცემულ კანონებს უკვე აღარ სჭირდებოდა სენატის დამტკიცება. თვითონ იმპერატორის მიერ გამოცემულ “კონსტიტუციებს” სხვადასხვა ფორმა გააჩნდათ – “მანდატა”, “რესკრიპტა” და “დეკრეტა”. რესკრიპტებს და დეკრეტებს მხოლოდ იმ კონკრეტული საქმის მიმართ გააჩნდათ სავალდებულო ძალა, რომელთა ნ დაკავშირებითაც იყვნენ მიღებული. ამიტომაც მათ “კონსტიტუციონალეს პერსონალეს” ერქვათ. იმპერატორის ბრძანებულებას, “კონსტიტუციო გენერალისს” მხოლოდ ედიქტების ფორმით ეძლეოდათ საერთო სახელმწიფო ძალა და მნიშვნელობა.

მიუღ მანამდელ სამართალს, შექმნილს კანონმდებლობისა და კლასიკური რომაული იუსრისპრუდენციის მეშვეობით, უწოდეს “იუს ვეტუს” და “იუს ანტიკუუმ”.

მართალია, ახალი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნიდან თანდათან შეიჩნევა იურისპრუდენციის დაკნინების პროცესი, მაგრამ ძველი ტრადიციის ძალით იურიდიული განათლების მნიშვნელოვანი ცენტრები კვლავ განაგრძობენ არსებობას კონსტანტინეპოლში, ბეირუთში, ალექსანდრიასა და ცეზარიაში. იურიდიული ლიტერატურა, ისეთი დიდი ტალანტებით არ იყო წარმოდგენილი, როგორც წინა ხანებში, მაგრამ ის მაინც არ იყო გაყინული ერთ ადგილზე.

IV-V საუკუნეებში ადგენენ კომპილაციებს პაულიუსის, პაპინიანუსის, ულპიანე დომიციუსის თხზულებებიდან. ბეირუთის უმაღლესი იურიდიული სასწავლებელი წამოაყენებს შემდეგში ცნობილ იურისტ მეცნიერებს დემოსთენეს, პატრიკიოსს, კირილეს, დომინის და ა.შ.

V საუკუნეშია შედგენილი ორიგინალური კომპილაცია, რომლის დანიშნულებაც რომის სამართლისა და ძველი ებრაული სამართლის (მოსეს კანონების) ერთმანეთთან შეთანხმებაში მდგომარეობდა.

აქვე უნდა აღინიშნოს სირიულ-რომაული სამართლის წიგნი, რომელიც შედგენილი იყო იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში დაახლოებით 476 წელს და რომელიც, შესაძლოა, შეადგინა სასულიერო წოდების განათლებულმა წარმომადგენელმა ადგილობრივ სასამართლოებში გამოსაყენებლად. სირიულ-რომაული სამართლის წიგნის ძირითადი წყარო იყო უკვე აღმოსავლეთ რომის იმპერატორთა კანონმდებლობა და მხოლოდ სუბსიდარულად კლასიკური ხანის იურისტების ნაშრომები. შეინიშნება, რომ სირიულ-რომაული სამართლის წიგნის ზოგიერთი

მუხლი (მაგ. მემკვიდრეობასთან დაკავშირებით) ვერ ეტევა რომის სამართლის დებულებათა ჩარჩოებში. როგორც ჩანს, სირიული და ბერძნული ჩვეულებითი სამართლის ნორმები გავლენას ახდენდნენ ბიზანტიურ სამართალწარმოებაზე. ამასთან, როგორც ჩანს, თვით იმპერატორ იუსტინიანეს საკანონმდებლო რეფორმებისა და მისივე სჯულებების გამოცემის შემდეგაც ეგვიპტეში, საბერძნეთში, სომხეთსა და საქართველოში კვლავ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სირიულ-რომაული და იგივე რომაულ-სირიული სამართლის წიგნი.

426 წელს გამოვიდა თეოდორ მეორისა და ვალენტინიან მესამის კანონი იმის შესახებ, რომ ხუთი იურისტის თხზულებებს ეძლეოდა სავალდებულო ძალა, კანონის მნიშვნელობა. ეს იურისტები იყვნენ პაპინიანე იგივე პაპინიანუს ემელიუსი (დაახლ. 150-212), პაულიუს იულიუსი (ახ. წ. II ს.), ულპიანე დომიციუსი (დაახლ. 170-228), მოდესტინუს პერენიუსი (III ს.) და გაიუსი (ახ. წ. II ს.). რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ და რა საზომით იყენებდნენ დანარჩენი იურისტების ნაშრომებს, მათ მემკვიდრეობას, ეს ასე წყდებოდა: პირველ ყოვლისა, იმ იურისტების ნაშრომებს მიმართავდნენ, რომლებსაც ზემოხსენებული ხუთი იურისტი იყენებდა თავის რომელიმე ნაშრომში და რომელთა ტექსტებიც რამდენიმე ხელნაწერით მაინც იქნებოდა დადასტურებული. თანდათან მივიწყებას ეძლეოდა სხვა იურისტების ნაშრომები და, ბოლოს და ბოლოს, მათ მხოლოდ იმდენად იყენებდნენ, რამდენადაც მათ ხუთი ზემოხსენებული იურისტი იყენებდა. თუ “კანონიზირებულ” ხუთი იურისტის მოსაზრებებს შორის წინააღმდეგობა იქნებოდა, უპირატესობა ეძლეოდა უმრავლესობის მოსაზრებას. თუ ორი იურისტი ერთი აზრისა იყო, სხვა ორი სხვა აზრისა, მაშინ იმ მხარის მოსაზრებას ეძლეოდა უპირატესობა, რომელზეც პაპინიანუსი აღმოჩნდებოდა და თუ ხსენებულ საკითხზე პაპინიანუსის მოსაზრება არ იქნებოდა ფიქსირებული, მაშინ მოსამართლის რწმენისა და მიხედულობის თანახმად გადაწყდებოდა საქმე. წყაროების მონაცემებიდან ჩანს, რომ ერთ დროს პაულიუს იულიუსის (ახ. წ. III ს.) “სენტენციებს” აძლევდნენ უპირატესობას სხვა იურისტების მოსაზრებებთან შედარებით. როგორც ვხედავთ, რომის იმპერიის ბიუროკრატიაში კანონის მეცნიერული ახსნა-განმარტების საქმე მართებულად ვერ გადაწყვიტა და მეცნიერულ დავაში შემოიტანა ფორმალური პრინციპი, პრინციპი უმრავლესობის, რაც მაშინდელი იურის-

პრუდენციის, იურიდიული აზრის უმწეობის შესახებაც მიგვი-
თითებს. ხსენებული პრინციპი V საუკუნეში არ წარმოშობილა,
ის გაცილებით ადრე გამოიყენებოდა პრაქტიკაში.

პრაქტიკოსი იურისტების წინაშე დიდ სიძნელეს წარმო-
ადგენდა იმპერატორების “კონსტიტუციებით” სარგებლობის
საკითხი. ეს “კონსტიტუციები”, ანუ კანონმდებლობები ყველა-
სათვის ხელმისაწვდომი არ იყო. არ არსებობდა ისეთი
ცენტრალური ორგანო, რომელიც ყველა დაინტერესებული
პირისათვის იმპერატორთა “კონსტიტუციებით” სარგებლობის
საქმეს გააადვილებდა. ამავე დროს მათი რიცხვი წლიდან წლამდე
იზრდებოდა. თანაც ყოველ ახალ კანონს რაღაც სიახლე
შემოჰქონდა და მოძველებულ წინა კანონში ცვლილებები
შეჰქონდა. ამიტომაც მათი ერთად თავმოყრისა და სისტე-
მატიზაციის საჭიროებაც წარმოიშვა. ასე გაჩნდა ჯერ კიდევ
წარმართი იმპერატორების დროს კერძოდ, არაოფიციალურად
შედგენილი კანონთა კრებულები, მაგ. “კოდექს გრეგორიანუს”,
რომელშიაც თავმოყრილი იყო იმპერატორთა კანონმდებლობა
196 წლიდან ვიდრე 295 წლამდე. მოგვიანებით, დაახლოებით 314
წელს გაჩნდა ე.წ. ჰერმოგენიანუსის კოდექსი. ამ კერძო პირთა
მიერ შედგენილმა კოდექსებმა მთავრობას უკარნახა აზრი იმის
შესახებ, რომ შეედგინათ “კონსტიტუციების” ოფიციალური
კრებული და იმპერატორმა თეოდოსი მეორემ 428 წელს რვა
კაცისაგან შემდგარ კომისიას დაავალა შეეგროვებინათ ყველა
გამოცემული კანონი იმპერატორ კონსტანტინეს ზეობის წლებიდან
მოყოლებული ვიდრე თეოდოსის დრომდე. კომისიამ თავი ვერ
გაართვა საქმეს და 435 წელს შეადგინეს ახალი კომისია უკვე 16
კაცისაგან შემდგარი. 438 წელს გამოქვეყნდა კიდევ 16 წიგნისაგან
შემდგარი თეოდოსის კოდექსი (“კოდექს თეოდოსიანუს”). მას
იყენებდნენ პრაქტიკოსი იურისტებიც და იყენებდნენ უმაღლეს
იურიდიულ სასწავლებლებშიც პედაგოგიური მიზნებისათვის.

იმპერატორმა იუსტინიანემ თავისი მეფობის პირველსავე
წლებში განიზრახა ერთად მოეყარა თავი რომის იმპერატორების
მიერ ადრე გამოცემული კანონებისათვის და განეხორციელებინა
საკანონმდებლო რეფორმაც, იმპერატორმა შეკრიბა ყველაზე
გამორჩენილი სწავლული იურისტები და მათგან შექმნა ორი
კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუყენა ტრიბონიანოსი
(ტრიბონიანი). იმპერატორის მიერ შედგენილ პირველ კომისიაში
შედიოდა ათი კაცი, მათ შორის იყვნენ ცნობილი სამართალ-

მცოდნეები, უმაღლესი სკოლის პროფესორები, მაგალითად, თეოფილიუსიც (თეოფილე). ამ წლებში ყველაზე მეტად თავი ისახელა ტრიბონიანოსმა. 529 წელს პირველმა კომისიამ შეადგინა ე.წ. "იუსტინიანეს კოდექსი" და ის 529 წელს იმპერატორმა თავისი სახელით გამოსცა. ცხადია, ძველი თეოდოსის კოდექსი საფუძვლიანად გადამუშავდა და ყველა მოძველებული კანონი უარყვეს და ახალ კოდექსში არ შეიტანეს.

530 წელს მეორე კომისიამ დაიწყო მუშაობა ძველი რომაელი იურისტების ნაშრომების შეკრების მიზნით. ამ კომისიაში 16 კაცი მუშაობდა. მათ უზარმაზარი, აუარებელი მასალა ხელახლა შეისწავლეს და გადაამუშავეს. მათ ხელში გაიარა რომაელი იურისტების დაახლოებით ორი ათასმა წიგნმა (სამი მილიონი მუხლი). ამ იურიდიული ოკეანედან ამოკრიბეს მხოლოდ 150 ათასი მუხლი. ამ მასალის შერჩევაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ტრიბონიანოსმა და 533 წელს გამოქვეყნდა დიგესტები, ანუ პანდექტები, რომელიც 50 წიგნისაგან შედგებოდა. დიგესტებმა შემოგვინახეს დიდი რომაელი იურისტების ნაშრომებიდან ამოკრეფილი ადგილები, როგორც ანტიკური ცივილიზაციის დიდი საგანძურიდან ჩვენამდე მოღწეული ხელიხელ საგოგმანები მარგალიტები.

სამეცნიერო ლიტერატურაში შეიძლება შევხვდეთ ბრალდებას ტრიბონიანოსის წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც თითქოს შეიტანა დიდი რომაელი იურისტების - ულპიანე დომიციუსის (170-228), პაულიუს იულიუსის (ახ. წ. III ს.), პაპინიანუს ემელიუსის (დაახლ. 150-212), გაიუსის (II ს.) და რიგი სხვა სამართალმცოდნეების ნაწერების მოსპობისა. ცხადია, რომ ტრიბონიანოსი აქ არაფერ შუაშია. დიგესტები რომ არ შეედგინათ, არ არის გამორიცხული, ისიც არ გვეცოდინებოდა რომაელი იურისტების ნაშრომების შესახებ, რაც დღეს ვიცით. ზოგი ისტორიკოსი კი, პირიქით, თვლის, რომ ტრიბონიანოსის წყალობით ჩვენამდე მოაღწია ნაწყვეტებმა ცნობილი რომაელი იურისტების ნაწერებიდან. ს. ყაუხნიშვილი თავის ლექციებში ბიზანტიის ისტორიიდან (თბ. 1948, გვ. 99) აღნიშნავდა: "შეიძლება სწორედ იმის გამო არ არის დაცული ამ იურისტების დიდი ნაშრომები, რომ საზოგადოება ექსცერპტებით კმაყოფილდებოდა და მთლიანი ნაწარმოებები იურისტებისა კი მიივიწყა. მართებული შენიშვნაა.

შეიძლება სამეცნიერო ლიტერატურაში შეგვხვდეს საკითხის ასეთნაირად დასმაც, თუ რატომ, რა მიზნით შერყვნა იუსტინიანემ

კლასიკური სამართალი, რატომ შეამოკლა და შეავსო ეს ტექსტები. ცხადია, ეს უმიზეზოდ არ მომხდარა. ბიზანტიის ისტორიის ავტორიტეტული ავტორის კულაკოვის აზრით ეს გამოიწვია დროებამ, რომ ელინიზმმა და ქრისტიანობამ თავისი აღმოსავლურობით მოახდინეს გავლენა.

დაახლოებით 528-534 წლებში შეიქმნა უდიდესი მნიშვნელობის სამართლებრივი ძეგლი – “კორპუს იურის ცივილის” – ცივილური სამართლის კრებული (კორპუსი). ზოგჯერ სამეცნიერო ლიტერატურაში მას იმპერატორ იუსტინიანეს სჯულდებასაც ეძახიან. ხსენებული ცივილური სამართლის კორპუსს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს სამართლის ისტორიაში. სახელწოდება “კორპუს იურის ცივილის” მას ეწოდა მოგვიანებით – XII საუკუნეში.

იუსტინიანეს სჯულდებაში შეჯამებული იყო რომის იმპერიის კანონმდებლობის მიღწევები. გავიხსენოთ, რომ მას, თუმცა გვიან, “ცივილური სამართლის კორპუსი” დაარქვეს. სამოქალაქო ანუ ცივილური სამართალი აქ უფრო ფართო მნიშვნელობისაა, ვიდრე ეს დღეს ვგვისმის. ამიტომაც იმპერატორ იუსტინიანეს განკარგულებით შედგენილ კრებულში ჩვენ ვხვდებით არა მარტო სამოქალაქო სამართლის, არამედ სახელმწიფო, სისხლის სამართლის და სამართლის სხვა დარგების მომცველ სამართლის ნორმებს.

იუსტინიანეს სჯულდება, ანუ გვიანდელი “კორპუს იურის ცივილის” შედგება ოთხი ნაწილისაგან. მის პირველ ნაწილს შეადგენს ე. წ. იუსტინიანეს კოდექსი, სადაც თავმოყრილია რომის იმპერატორთა კანონები თორმეტ ტომად. კრებულის, ანუ კორპუსის მეორე ნაწილის ე. წ. “დიგესტები” – ორმოცდაათ წიგნად, რომელიც შეიცავდა შერჩეულ ნაწყვეტებს რომის ცნობილი იურისტების თხზულებებიდან. ამ ფრაგმენტებში იყო ძირითადად მოცემული რომის სამართლის კომენტარები. კრებულის მესამე ნაწილს წარმოადგენს ინსტიტუციები – მოკლე დამხმარე სახელმძღვანელო იურიდიული განყოფილებების სტუდენტებისათვის.

მოგვიანებით ხსენებულ კრებულს დაემატა ე. წ. “ნოველები”, ე. ი. იმპერატორ იუსტინიანეს მიერ 529 წლიდან, ვიდრე გარდაცვალებამდე – 565 წლამდე გამოქვეყნებული ახალი კანონები.

ბიზანტიური სამართლის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ ითვლებოდა იუსტინიანეს კოდიფიკაციის შემდეგ გამოცემული იმპერატორის ბრძანებულებები (ნოველები). მასში გამოხატულება

პოვა ფორმირების პროცესში მყოფი ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელმა ტენდენციებმა. ამასთან ერთად ნოველებში აშკარად იგრძნობოდა ქრისტიანული იდეების გავლენა საერთოდ და ზოგ შემთხვევაში მათი მოძალეობაც კი. თანდათან ქრისტიანული მოძღვრება გადაიქცევა სამართლის თეორიულ საფუძვლადაც კი. იმპერატორ იუსტინიანეს გრანდიოზულმა საკოდიფიკაციო მოღვაწეობამ უკვალოდ როდი ჩაიარა. იმპერატორ იუსტინიანეს საკანონმდებლო რეფორმების დროისათვის დასრულდა ერთიანი საკუთრების ინსტიტუტი. პირველ ყოვლისა, დაძლეულ იქნა დუალიზმი ცივილურ და ბონიტარულ (პრეტორულ) საკუთრებას შორის.

531 წელს გამოცემული კანონით იმპ. იუსტინიანემ გააუქმა ე. წ. “ნუდუმ იუს კვირიციუმ” და დააწესა ყველა სახის მესაკუთრეების იურიდიული თანასწორობა მიუხედავად იმისა, რა ნივთი იქნებოდა საკუთრების ობიექტი (იუსტ. კოდექსი, VII, 25.1). ადრეულ ხანებში თუ ერთმანეთს დაუპირისპირდებოდა კვირიტული და ბონიტარული მესაკუთრე, ამ უკანასკნელს ეძლეოდა უპირატესობა და კვირიტული საკუთრება ჩაითვლებოდა “ნუდუმ იუს კვირიციუმ”-ად (შიშველ კვირიტულ უფლებად). ბონიტარულ (პრეტორულ) მესაკუთრეს შეეძლო კვირიტული მესაკუთრის პარალიზება სხვადასხვა ექსცეპციებით, რომლითაც მას პრეტორი ადჭურავდა.

მიუხედავად იმისა, რომ VI საუკუნეშიაც კი მონები ხშირად ჩანდნენ საკუთრების საგნად, მონობის დღე უკვე დათვლილი იყო. გაუქმდა ნივთების დაყოფა “რეს მანციპიდ” და “რეს ნექ მანციპიდ”. გავიხსენოთ, რომ “რეს მანციპიდ” ითვლებოდნენ მიწები იტალიაში, შინაური ცხოველები, რომლებსაც უღელში აბამდნენ ან რომლებსაც უნაგირს ადგამდნენ, აგრეთვე, მონები და სასოფლო პრედიალური სერვიტუტები. გამარტივდა და უნიფიკაცია მოხდა საკუთრების გადაცემის ფორმებისა.

იუსტინიანეს სჯულდება ასზე მეტი წლის განმავლობაში ხელს უმართავდა ბიზანტიის იმპერიის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას. მაგრამ იმპერიაში მიმდინარე სოციალურმა პროცესებმა მოყოლებულმა მეშვიდე საუკუნიდან, ვიდრე მეცხრე საუკუნის პირველ ნახევრამდე, გამოიწვია სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დაჩიხულობა, სტაგნაცია და დაცემაც კი. დაცემა-დაკნინებას განიცდიდა არა მარტო იმპერატორისმიერი სამართალ შემოქმედება

და, საერთოდ, კანონმდებლობა, არამედ იურისპრუდენციაც.¹ VI საუკუნის შუა წლებიდან თანდათან იურიდიული განათლების სადავეები გადადის სქოლასტიკოს ადვოკატების ხელში. შემოქმედი პროფესორები გაქრნენ.

VII საუკუნის სამართლებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ტრულლის მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევა 691-692 წლებში და კანონიკური სამართლის კრებულის მიღება. ამასთან, შეიმჩნეოდა გარკვეული შიში ფართო საკანონმდებლო განახლების წინაშეც. ასეთ ვითარებაში, 726 თუ 741 წელს, ბიზანტიაში იუსტინიანეს ცივილური სამართლის კორპუსის შედგენის შემდეგ პირველად იწერება მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ძეგლი - ეკლოგა. მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორ იუსტინიანეს სჯულდებას და მასში მოთავსებულ მაღალი დონის კანონმდებლობას დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მთელ მაშინდელ ბერძნულ-რომაულ სამყაროში, ცხოვრებამ ახალ კოდექსზე მოთხოვნილება მაინც დააყენა და ხატების წინააღმდეგ მებრძოლმა იმპერატორებმა ითავეს კიდევაც ეს საქმე. ჩქარა გამოიცა ეკლოგა, რომელიც ბერძნულად შერჩევას ნიშნავს. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ძველმა რომაულმა სამართალმა ძირეული ცვლილებები განიცადა თვით იმპერატორ იუსტინიანეს ეპოქაშიც² უკვე შეექმნა საუკუნეში ძველმა რომაულმა სამართალმა დაკარგა თავისი პირვანდელი სახე.

იმპერატორ იუსტინიანეს 118-ე ნოველაში, რომელიც გამოიცა 543 წელს და რომელსაც შემდეგ 547 წელს დაემატა ახალი 127-ე ნოველა, გადმოცემულია მემკვიდრეობითი სამართლის ახალი ძირითადი დებულებები. ამიერიდან, კანონით მემკვიდრეობის მთავარ საფუძვლად მტკიცედ და ურყევად იქნა აღიარებული სისხლით ნათესაობა, ანუ კოგნატობა. იმპერატორ იუსტინიანეს დროში მიღებული მემკვიდრეობითი სამართლის ძირითადი დამახასიათებელი თვისებები შემდეგში მდგომარეობდა:

¹ იხ. "ბიზანტიის კულტურა", VII საუკუნის II ნახევარი - XII ს. გამ. "ნაუკა", 1989, გვ. 216.

² იხ. შარლ დილი. იუსტინიანე და ბიზანტიური ცივილიზაცია, სპბ. 1908 (რუს.).

რ. ტაუბენშლაგი. ბერძნულ-რომაული სამართალი ეგვიპტეში პაპიროლოგიის შუქზე. (იგლ.) ვარშავა, 1955. გვ. 184-185.

გ. ხადარეიშვილი. "ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან", თბ. 1965, გვ. 20, 112, 157-158.

1. უარყოფილი იყო პირველ შობილობის უფლება;

2. ვინც სისხლით უფრო ახლოს იყო მამკვიდრებულთან, ის უფრო ახლო იყო მემკვიდრეობასთან.

3. მემკვიდრეების საკითხებში მამრობით სქესს არ ჰქონდა არაერთი უპირატესობა მემკვიდრეობითობის წინაშე;

4. არ იყო განსხვავებული უძრავი და მოძრავი ქონების მემკვიდრეების რეჟიმი;

5. გვერდითი შტოს ნათესავებს მემკვიდრეობის უფლება ენიჭებოდათ იმდენად, რამდენადაც მათი მშობელი ახლო იდგა სისხლით გარდაცვლილ ნათესავთან. გვერდითი შტოს ნათესავებშიც არ არის განსხვავება მამაკაცებსა და ქაღს შორის მემკვიდრეობითობის საკითხებში.

როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, იუსტინიანეს კოდიფიკაციის შემდეგ დგება საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი, როდესაც სამართალგანვითარების პროცესი შენედა და გარკვეულ მონაკვეთზე შეჩერდა კიდევ. ამასთან დაკავშირებით ბიზანტიის ისტორიის სპეციალისტებს შენიშნული აქვთ, რომ VII საუკუნის მეორე ნახევრიდან თითქოს სამართალმა დაკარგა თავისი უნივერსალურობის ნიშნები და ადგილობრივი თავისებურებების გამოხატველი რელიგიური თუ კონიუნქტურული ინტერესების დამცველი გახდა. თანდათან ბიზანტიის იმპერიაში დამკვიდრდნენ სლავების და სხვა, განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხების წარმომადგენლები, რომლებმაც თან მოჰქონდათ თავიანთი პრიმიტიული სამართალი და წეს-ჩვეულებები, რომლებმაც წერილობით საკანონმდებლო ძეგლებშიც პოვეს გამოხატულება.

გარკვეული ცვლილებები მოხდა სანივთო სამართლის სფეროშიც რომის სამართალი ანსხვავებდა კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ მფლობელს, ხოლო ხალხური სამართლის ნორმებში ასეთი დიფერენციაცია მფლობელებისა, არ იყო გათვალისწინებული. იუსტინიანეს კოდექსში გათვალისწინებული იყო საქალაქო სერვიტუტები. საერთოდ, რომის სამართალში სერვიტუტების შესახებ განვითარებულ ნორმებს ვხვდებით, მაშინ, როდესაც ჩვეულებითი სამართლისათვის ეს არ იყო დამახასიათებელი. ბიზანტიურ სამართალში შენარჩუნებული იყო რომის სამართლის საგირაენო ნორმების მნიშვნელოვანი ნაწილი. ადგილ-მამულის დაგირაევა შეიძლებოდა ორი ხერხით – მისი გადაცემით კრედიტორისათვის და მისი დატოვებით მესაკუთრე დამგირაეებლის ხელში (ჰიპოთეკა).

ცნებები მოგირავენ, დამგირავენ, დაგირავენული ნივთი, დაგირავენული ქონება და ა.შ. ხშირად ფიგურირებდა ბიზანტიურ სამართალში.

ბიზანტიური სამართალი იცნობდა აგრეთვე ემპითევისის - მემკვიდრეობითი იჯარის ცნებას. უკვე აღრეფეოდალურ ხანაში ბიზანტიაში ადგილი აქვს საკუთრების იდეის ევოლუციას. უწოდებო მონათმფლობელური საკუთრების იდეას თანდათან ცვლის ახალი სამართლებრივი თვალსაზრისი დანაწევრებული, ფეოდალური საკუთრების შესახებ.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი ბიზანტიური სამართლის განვითარებაში, როგორც ვთქვით იყო VIII საუკუნე, როდესაც იმპერატორ ლეონ მესამის დროს გამოიცა ორი კოდექსი - ე.წ. საადგილმამულო კანონები "ნომოს გეორგიკოს" და "ეკლოგა". ერთიც და მეორეც თარგმნილია რუსულ ენაზე.

შევხვრდეთ პირველ ყოვლისა "ეკლოგაზე". მან არსებითი ცვლილებები შეიტანა ბიზანტიელთა საოჯახო და საქორწინო ურთიერთობების სფეროში. "ეკლოგამ" ახალი ნორმებით მოაწესრიგა ოჯახში მამის სამართლებრივი მდგომარეობა, ხოლო მეურვეობის და მემკვიდრეობის საკითხებში ახალი საწყისები შემოიღო. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი იმ სახით, რა სახითაც ის გამოიკვეთა იმპერატორ იუსტინიანეს ნოველებში, ასე თუ ისე გამოხატავდა საშუალო და გაბატონებული ფენების მოთხოვნებს. მაგრამ, როგორც მოსალოდნელიც იყო, გარკვეული ხარვეზებით.

მაგრამ თანდათანობით ცხოვრება წინ მიდიოდა. საზოგადოებრივი ურთიერთობები რთულდებოდა და მაშინდელი მსოფლიოს ყველაზე განვითარებული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი პროგრესული ცვლილებები თავის საკანონმდებლო ასახვას მოითხოვდა.

მართალია, ქრისტიანულმა მოძღვრებამ იმპერატორ იუსტინიანეს კანონმდებლობაზე სერიოზული გავლენა მოახდინა და მის თეორიულ საფუძველსაც წარმოადგენდა, მაგრამ იუსტინიანეს დროინდელ კანონმდებლობას არ შეეძლო ცხოვრების ყველა კუნტული ახალი რელიგიის საწყისების თანახმად მოეწესრიგებინა. ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით ქორწინება იყო ერთადერთი ნებადართული კავშირი მამაკაცსა და ქალს შორის. "დიგესტებში" მოთავსებული იყო ქორწინების მოდესტინუსისეული განმარტება *Nuptiae sunt coniunctio maris et feminae, et consortium omnis vitae divina et*

himani juris cummunicatio ე. ი. ქორწინება არის მამაკაცისა და დედაკაცის სამისდღეშიო კავშირი და შეერთება, რომელიც მათ საერო და სასულიერო უფლება-მოვალეობათა ერთობაში ვლინდება.

ქორწინების მოდესტინუსისეული განმარტება დიგესტებიდან გადმოვიდა ბერძნულ დიდ სჯულკანონში და აქედან ქართულშიც, რომელიც ბერძნულიდან ითარგმნა. მაგრამ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ის ქართული დიდი სჯულკანონის ყველა ხელნაწერში არ არის მოთავსებული, მხოლოდ ზოგიერთმა ხელნაწერმა შემოგვინახა იგი.

ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: “და სამოქალაქოიცა სჯული იტყვის, რომელი უფროის განმსაზღვრელობის ქორწინლისათა, დიგესტონი პირველი მეორისა ნაწილისა ოცდამესამისა წიგნისა, ვითარმედ ქორწინება არის თანაყოფა მამაკაცისა დედაკაცისა და თანამონაწილეობა ყოველისა ცხოვრებისა მათისა, საღმრთოისა და კაცობრივისა მართლითა. ზიარებითა და ამის საზღვრისამებრ ჯერ არს ქორწინებითა შეერთებულთა თანამკუთვნელ ყოფად”.¹

ქორწინების მოდესტინუსისეული განსაზღვრა სახელმძღვანელოდ იქნა მიღებული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ. ქრისტიანულმა ეკლესიამ იმიტომ მიიღო ქორწინების მოდესტინუსისეული განსაზღვრა, რომ ეს უკანასკნელი არ ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანული ეკლესიის და რელიგიის ჰუმანურ პრინციპებს. ამიტომაც აღიარებული იყო დაქორწინებულთა ღვთაებრივ-რელიგიური ერთიანობაც.

ქორწინების რელიგიურ საიდუმლოებად გამოცხადებას, ცხადია, არ მოყოლია ქორწინების სამართლებრივი არსის მიჩქმალვა. რიგ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც კანონმდებელი ქორწინებას განიხილავდა, როგორც ერთსა და იმავე დროს ხელშეკრულებას და რელიგიურ საიდუმლოებას, როგორც საერო, ასევე სასულიერო მოვლენას.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ლ. მ. და ლ. ა. ვასილევსკების ნაშრომი “აბორტი, როგორც სოციალური მოვლენა”, რომელიც რუსულ ენაზე დაიბეჭდა.

¹ დიდი სჯულის კანონი გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქაძემ, გ. ნინუამ. “მეცნიერება”, თბილისი, 1975, გვ. 200.

მეშვიდე საუკუნემდე ქრისტიანული საეკლესიო კრებები, რა თქმა უნდა, აბორტებს დანაშაულად თვლიდნენ, მაგრამ დამნაშავეს მხოლოდ საეკლესიო სასჯელს უფარდებდნენ. მალე აბორტისათვის სასჯელი გაამკაცრეს. 629 წელს კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრებამ აბორტის გამკეთებელს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა სასჯელად. ასე გაგრძელდა მეცხრე საუკუნის შუა წლებამდე. მაგრამ საეკლესიო კრებამ უარი თქვა აბორტისათვის სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენებაზე. კარგა ხანს ქრისტიანული ეკლესიის მესვეურები მერყეობდნენ მუცლის მოშლის დასჯადობის საკითხის ირგვლივ და მხოლოდ 1200 წელს რომის პაპმა ინოკენტი მეორემ გადაწყვიტა ერთმანეთისაგან განეხსნავებინა ცოცხალი ნაყოფი არაცოცხალისაგან, ქალის ორსულობის ოვეების მხედველობაში მიღებით.

სასულიერო პირთა დიდ ნაწილს აბორტი იმიტომ მიაჩნდათ დანაშაულად, რომ ნაყოფი, ნათლობის სიკეთეს მოკლებული, ვერ ეღირსებოდა ქრისტიანული წესით დაკრძალვას. სასულიერო პირებს მიაჩნდათ, რომ დედის საშოში ნაყოფს უკვე სულიც გააჩნდა. თუ ორსული ქალი გარდაიცვლებოდა, დედის მუცელში მყოფი ნაყოფის ნათლობის რიტუალიც უნდა შეესრულებინათ.

სახელმწიფოების ნაწილი ქორწინების უტილიტარული გაგების საფუძველზე, ხელს უმართავდა მრავალშვილიან ოჯახებს, აჯილდოებდა კიდევ მათ. აბორტის გაკეთებისათვის, მუცლის მოშლისათვის შემოღებულ იქნა ჯარიმა. თანაც, ზოგიერთ კანონმდებლობაში ქალიშვილის (ბავშვის) მოცილება უფრო სასტიკად ისჯებოდა, ვიდრე ვაჟიშვილისა. ფიქრობდნენ, რომ ქალიშვილები უფრო ფასეულები იყვნენ სახელმწიფოსათვის, როგორც ჯარისკაცთა დედები.

ბიზანტიური კანონმდებლობა მემკვიდრე იყო ძველი რომის კანონმდებლობისა და მას, ცხადია, გაუჭირდებოდა ძველ მემკვიდრეობაზე ხელის აღება.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, VI საუკუნის ბიზანტიურ კანონმდებლობაზე ჯერ კიდევ იგრძნობა რომის სამართლის გავლენა იმ ფაქტში, რომ კონკუბინატი, ქორწინების გარეშე ურთიერთობა, ჯერ კიდევ კანონიერი, ნებადართული კატეგორიების წრეშია მოქცეული. აქედანვე გამომდინარეობდა მემკვიდრეობის უფლებების მინიჭება ქორწინების გარეშე წარმოშობილი ბავშვებისათვის.

ეკლოგა,¹ რომელიც იმპერატორ ლეონ ისაერიელის დროს, დაახლოებით 741 წელს გამოიცა, წარმოადგენდა იმპერატორ იუსტინიანეს კოდიფიკაციის ისეთ გადამუშავებას, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მისი შეხამება და შეფარდება ფო-დალური საზოგადოებისა და ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრებასთან ისე, რომ კანონმდებლობას აესახა საზოგადოების კულტურული პროგრესი და სოციალურ-ეკონომიკურ ყოფაში მომხდარი ცვლილებები. ეკლოგამ კონკუბინატი აკრძალა. პირი ან უნდა დაქორწინებულიყო კონკუბინზე, ან უნდა გაშორებოდა მას. აქედან გამომდინარეობდა ე. წ. უკანონოდ შობილთა სამემკვიდრეო უფლებების შეზღუდვა.

ეკლოგას მიხედვით, თუ პირი ანდერძს არ დატოვებდა, როდესაც მას პირდაპირი მემკვიდრეები არ გააჩნდა, მაშინ სამკვიდროს დაუფლება შეეძლო მხოლოდ გარდაცვლილის მამას ან დედას. წინათ ეს საკითხი სხვანაირად წყდებოდა. აღძვალე ხაზის ნათესავეებთან ერთად გვერდითი შტოს ნათესაობასაც ჰქონდა უფლება მიეღო სამკვიდრო. სამემკვიდრეო ურთიერთობის თვალსაზრისით საუურადღებოა ეკლოგის დებულება, რომლის მიხედვითაც მზითევი და ე.წ. წინა საქორწინო საჩუქარი მეუღლური ცხოვრების განმავლობაში ქალის საკუთრებად რჩება და მხოლოდ ქმრის განმგებლობასა და სარგებლობა-მფლობელობაშია. თუ გათხოვილი ქალი უშვილოდ გადაეგებოდა, ქმარი ვალდებული იყო ცოლის ნათესავეებისათვის დაებრუნებინა მისი ქონება, ამ უკანასკნელისათვის საკუთარი სამკვიდრო წილის გამოკლებით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ქმარი ცოლზე ადრე გამოესაღმებოდა წუთისოფელს ისე, რომ შეიღები არ დარჩებოდა, მზითევი და საქორწინო საჩუქარი ცოლის განკარგულებაში გადადიოდა და, გარდა ამისა, მას ქმრის ქონების ერთი მეოთხედი ერგებოდა სამკვიდრო წილის სახით. ეკლოგამ ქერივ ქალს მისცა ბავშვებზე მეურვეობის უფლება. ქერივი დედა რჩებოდა ხსენებული ქონების

¹ იხ. "ეკლოგა" - VIII საუკუნის ბიზანტიური საკანონმდებლო კრებული. ვ. ე. ლიპსიციის შესავალი წერილით, თარგმ. და კომენტარებით. "ნაუკა", მოსკოვი, 1965 (რუს.).

ვასილევსკი. ხატისმებრძოლი იმპერატორების კანონმდებლობა. იხ. ურხაღ "მინისტერსტვა ნაროდნოგო პროსვეშჩენია", 1878 წლის ოქტომბერი, №10.

გამგებლად შვილების გაყრამდე, როცა ის ღებულობდა ერთი შვილის წილს.

მკვლევართა ნაწილს მიაჩნდა, რომ ეკლოგაში შეიძლებოდა გვეპოვნა ის იდეები, რომელიც დაახლოებით ათასი წლის შემდეგ წამოაყენა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ (პაპარიგოპულო, ვასილევსკი და სხვა). ცხადია, ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა ეკლოგის იდეების პროგრესულობის დონის შესახებ. მაგ., პროფ. ე. ლიპშიცის აზრით არავითარ ძირეულ ცვლილებებს, რომელიც საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძვლებს რომ ეხებოდეს და გაბედულად ამსხვრევდეს, ეკლოგაში ვერ ვხვდებით. ხსენებული ავტორი თვით სასამართლო წყობილებაშიც ვერ ხედავს რევოლუციურ ცვლილებებს. რაც ახალი და პროგრესული იყო ეკლოგაში.. ნაკარნახევი იყო ცხოვრების მოთხოვნილებით და წარმოადგენდა წინათ დადგენილი ფორმების შემდგომ განვითარებას. ეს გარემოება აისახა მემკვიდრეების სამართალშიც.

ეკლოგამ მემკვიდრეთა წრე შვიდ კლას-კატეგორიად დაყო:

1. პირველი რიგის მემკვიდრეებად ეკლოგა, ისევე როგორც იუსტინიანეს “სჯულდება”, დადმაავალი ხაზის ნათესავებს აღიარებდა.

2. მეორე რიგის მემკვიდრეებად ითვლებოდნენ აღმაავალი ხაზის ნათესავები (გარდაცვლილის დედა და მამა).

3. მესამე რიგის მემკვიდრეებად თვლიდნენ გარდაცვლილის დას ან ძმას.

4. მეოთხე რიგის მემკვიდრეებად ითვლებოდნენ გარდაცვლილის ნახევარი და და ნახევარი ძმა.

5. მეხუთე რიგის მემკვიდრეებად ითვლებოდნენ სხვა დანარჩენი სისხლით ნათესავები უახლოესი ხარისხისა.

6. მეექვსე რიგის მემკვიდრედ კანონი თვლიდა გარდაცვლილის ცოლს, როდესაც ქმრის სხვა ნათესავები არ იყვნენ სახეზე. მაგრამ ცოლი ღებულობდა სამკვიდროს ნახევარს, სამკვიდროს მეორე ნახევარი სახელმწიფოს მიჰქონდა.

7. როდესაც გარდაცვლილს არ დარჩებოდა არც ნათესავი და არც მეუღლე, მაშინ მემკვიდრეობა ფისკს გადაეცემოდა.¹

¹ იხ. კარლ ედუარდ ცახარიე ფონ ლინგენტალი, ბერძნულ-რომაული სამართლის ისტორია. მესამე გამოცემა. ბერლინი, 1892, გვ. 137-138 (გერმანულად).

ეკლოგამ გააგრძელა იუსტინიანეს კანონმდებლობის ხაზი მტკიცებულებით სამართალში. სასამართლოს მიხედველობაში უნდა მიეღო მოწმის წოდება, პროფესია, შეძლებულობა, ზნეობრივი სახე და კეთილსინდისიერება. ეკლოგაში იგძნობა ზოგიერთი განვითარებული სამართლებრივი სისტემისათვის დამახასიათებელი მეტისმეტი მიდრეკილება წერილობითი მტკიცებულებებისადმი.

ეკლოგის შესავლის დანაწესის თანახმად ერთი სიახლე შემოდიოდა ბიზანტიურ მართლმსაჯულებაში. საკანონმდებლო ძეგლის მიხედვით მართლმსაჯულების მსახურთა ანგარებითი გადაცდომის აღსაკვეთად დაწესდა, რომ სასამართლო მოხელეები გასამრჯელოს, ხელფასს ხაზინიდან მიიღებდნენ, ხოლო მოდავე მხარეები სასამართლო გამოსადებებისაგან თავისუფლდებოდნენ.

ბერძენმა ისტორიკოსმა ს. ტროიანოსმა მართებულად შენიშნა, რომ ეკლოგისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ დამნაშავეს სხეულის სწორედ იმ ნაწილს მოკვეთდნენ, რომლის მეშვეობითაც მან ჩაიდინა დანაშაული. სასჯელები ეკლოგაში საკმაოდ მკაცრია. საჯარო-სახელმწიფო საწყისები ძლიერი იყო ბიზანტიურ სამართალში. მაგრამ გარკვეული ტენდენცია მაინც შეინიშნება სასჯელთა სისტემის ჰუმანიზაციის მიმართულებით.

სიკვდილით დასჯის შემოხვევებში ეკლოგაში უფრო ნაკლებად იხსენიება, ვიდრე VI საუკუნის ბიზანტიურ საკანონმდებლო ძეგლებში. ეკლოგამ შეამცირა იმ დანაშაულთა რიცხვი, რომლისათვისაც წინათ სიკვდილით სჯიდნენ, მაგრამ სხეულებრივი, ასოთდამაზიანებელი სასჯელების რიცხვი გაიზარდა. ამასთან ერთად, როგორც პიელერი აღნიშნავს, საკანონმდებლო ძეგლში შეიმჩნევა ტენდენცია კერძო სამართლებრივი დელიქტების “კრიმინალიზაციისა”.

ეკლოგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო, როგორც ჩანს, ხალხური, ჩვეულებითი სამართალი იყო და ამიტომ ის უფრო გასაგები იქნებოდა ხალხისათვის, ვიდრე VI საუკუნის რომაულ-ბერძნული კანონმდებლობა. გარდა ამისა, ეკლოგას ახასიათებდა მოკლე, ნათლად და სხარტად გადმოცემა კანონმდებლის აზრისა და მოთხოვნისა.

ეკლოგა არ მოიცავდა, არ ეხებოდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყველა სფეროს, რომელიც განვითარებულ ბიზანტიურ კანონმდებლობას უნდა მოეწესრიგებინა. ეკლოგა

საერთოდ არ ეხება აგრარულ ურთიერთობებს. ეკლოგაში აგრარული კანონმდებლობა არა გვაქვს. მაგრამ ცნობილია, რომ ამავე ხანებში ბიზანტიაში გამოდის “ნომოს გეორგიკოს” – საადგილ-მამულო (სამიწათმოქმედო) კანონი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ურთიერთობებს აწესრიგებდა. “ნომოს გეორგიკოსის” წყარო იყო სლავების ჩვეულებითი სამართალი, რომელიც დროთა ვითარებაში შეეთვისა ბიზანტიურ სამართალს. ხსენებულ საადგილ-მამულო კანონში მოწესრიგებული იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები. კანონში საუბარი იყო მიწათმოქმედებასა და მიწათმოქმედებზე, ქურდებზე, მეჯოგეებზე, ცხოველების მიერ ძიყენებულ ზიანზე, ზიანის ანაზღაურებაზე, ცხოველების სიკვდილზე. ხეხილის ნერგებზე, ხანძარზე, მონებზე, ახალ მშენებლობებზე. აღნიშნის ღირსია ის გარემოება, რომ ეკლოგამ და “ნომოს გეორგიკოსმა” კანონიერად აღიარეს საგლეხო თემი და სპეციალური ნორმების შემუშავების გზით სცადეს თავისუფალი მეთემეების წინააღმდეგ ბრძოლა. “ნომოს გეორგიკოს” საკუთრებას იცავს, როგორც ქონებრივი, ასევე მძიმე სახელმწიფო სასჯელების მეშვეობით. ვინც სხვის ფორანს მოიპარა, მას ნივთის ღირებულებას ორმაგად გადაახდევინებდნენ, ვინც სხვის თივის ზვინს ან კალოს განგებ, შურისძიების საფუძველზე წაუკიდებდა ცეცხლს, მას ცეცხლშივე აგდებდნენ (§§63-64).

ბიზანტიაში ცალკე იყო გამოცემული აგრეთვე საზღვაო კანონმდებლობაც. ფიქრობენ, რომ საზღვაო კანონი წარმოადგენდა ჩვეულებითი საზღვაო სამართლის ნორმების კერძო ჩანაწერს, რომელსაც სახელმწიფო აღიარებდა. ბიზანტიაში საზღვაო სამართლის მნიშვნელოვან ნორმებს ეპოულობთ ხსენებულ ძეგლში. მერვე საუკუნის შუა წლებში არსებობდა აგრეთვე სამხედრო კანონებიც. “სტრატეგიკონი” ითვალისწინებდა სამხედრო პირების მიერ ჩადენილ დანაშაულებებს და გადაცდომებს და სასჯელებს მათ ჩამდენტათვის.

ამავე ხანებში ბიზანტიაში ჩნდება, ე. წ. “მოსეს კანონები”,¹ რომელსაც ვრქვა: “ამონარიდი ღმერთის მიერ მოსეს მეშვეობით

¹ იხ. ი. პ. მუდვედვი. ე. წ. მოსეს კანონების ახალი გამოცემის შესახებ, “ვიზანტ. ერემენ”. ტ. 43, 1982 წ.

ისრაელისათვის ბოძებული კანონებიდან". ნორმები, რომლებიც აქ იყო მოთავსებული, მართლაც მოსეს "სჯულიდან" იყო აღებული. თანაც სამოცდაათორდე ექსცერპტში ცნობილ ათ მცნებასაც ეკავა მნიშვნელოვანი ადგილი.

მეცხრე საუკუნის შუა წლებში ხატების წინააღმდეგ მებრძოლი იმპერატორების კანონმდებლობა გააუქმეს და შეძლებისდაგვარად აღადგინეს იმპერატორ იუსტინიანეს დროინდელი სამართალი. "უკან იუსტინიანესკენ", — ასეთი იყო ამ დროისათვის მიმართულება. მაგრამ ეკლოგის ამ ოფიციალურმა აკრძალვამ ვერ შეძლო მისი ნორმების მოქმედების შენერება. ე. ლიპშიცის არ იყოს, შეიძლება კიდევ მხედველობაში იყოს მისაღები იმ მკვლევარების მოსაზრება, რომლებიც ფიქრობენ, რომ თვით ეკლოგის გამოცემის ხანაში იმპერატორ იუსტინიანეს კანონებს იყენებდნენ როგორც საქმეთა გადასაწყვეტად, ასევე კანონების ახსნა-განმარტებისათვის.¹

ასევე, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ კვლავ განაგრძობდა მოქმედებას სამხედრო კანონმდებლობაც, სადაც როგორც ვთქვით, გათვალისწინებული იყო სამხედრო მოსამსახურეების პასუხისმგებლობა სამხედრო დანაშაულობათა ჩადენისათვის. საზღვაო სამართლის ნორმების თანახმად წესრიგდებოდა გემებზე დისციპლინის დაცვის, გემის ეკიპაჟის შრომის ანაზღაურების და გემის მესაკუთრეების პასუხისმგებლობის საკითხი.

მაკედონიის დინასტიის (867-956) იმპერატორები ცდილობდნენ ისავრიელი იმპერატორების დროინდელი კანონების აკრძალვას. მოიპოვება ცნობები იმის შესახებაც, რომ თითქოს ბასილი პირველმა (867-886) აკრძალა კიდევაც ეკლოგა.

879 წელს გამოიცა ახალი საკანონმდებლო ძეგლი — პროხირონი, რომელიც შეიცავდა ნორმებს სისხლის, სამოქალაქო, საეკლესიო სამართლის სფეროდან, აგრეთვე სამართალწარმოებისა და სასამართლო წყობილების მომწესრიგებელ მუხლებს.

პროხირონში ყველაფერი, რისი აღებაც შეიძლებოდა იუსტინიანეს კანონმდებლობიდან და რაც არ იყო მოძველებული, აღებული იყო. ამასთან ერთად, ის არ შეიცავდა რიგ ახალ

¹ ე. ლიპშიცი. სამართალი და სასამართლო ბიზანტიაში IV-VIII საუკუნეებში, ლენინგრადი, 1976, გვ. 197 (რუს.).

ნორმებსაც, რომელსაც ვერ შეეხვდებით იმპერატორ იუსტინიანეს გრანდიოზულ “კორპუს იურის ცივლის”-ში. პროხირონი უხვად შეიცავდა საეკლესიო სამართლის ნორმებსაც.

884-886 წლებში გამოიცა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ძეგლი ე.წ. “ეპანაგოგა”. ეს სახელწოდება გაუგებრობის ნიადაგზეა წარმოშობილი მეცნიერებაში. სინამდვილეში მას ერქვა ისაგოგა, ე.ი. შესავალი. ის გამოქვეყნდა მეფეების (ბასილევსების): ვასილის, ლეონის და ალექსანდრეს სახელით. ისაგოგა იმდენად იმეორებდა პროხირონს, რომ ზოგიერთი მკვლევარი მას პროხირონის მეორე გამოცემადაც კი თვლიდა.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ბერძნულ-ბიზანტიური სამართლის ისტორიაში დიდი როლი შეასრულა ფოტიოსმა (დაახ. 820-891 წლები). ის იყო კონსტანტინეპოლის პატრიარქი პირველად 856-876 წლებში და ხელმეორედ 878-886 წლებში. ფოტიოსი იყო განათლებული და ნებისყოფიანი მებრძოლი, კონსტანტინეპოლის ეკლესიის უფლებების თავდადებული დამცველი. ამ ნიადაგზე მას მოუხდა დაპირისპირება რომის პაპთან და “ლათინურ” დასავლეთთან. რომის პაპის მცდელობით 876 წელს ფოტიოსი გადააყენეს პატრიარქობიდან და მის ნაცვლად რომის ორიენტაციის ახალი პატრიარქი ივნატი დაინიშნა, მაგრამ ფოტიოსმა შეძლო კვლავ პატრიარქად გახდომა და 878 წელს ბიზანტიელებმა რომის საეკლესიო ბატონობას ბოლო მოუღეს. ფოტიოსის საეკლესიო პოლიტიკურმა მოღვაწეობამ შეამზადა საფუძველი აღმოსავლეთის და დასავლეთის ქრისტიანულ ეკლესიათა გათიშვისათვის ორი საუკუნის შემდეგ.

ფოტიოსი იყო 324 სხვადასხვა ნაშრომის ავტორი, თეორეტიკოსი და ღვთისმეტყველი, თუმცა თავის თანამედროვე თეოლოგებთან – მაქსიმე აღმსარებელთან, იოანე დამასკელთან და ანასტასია სინელთან შედარებით მას უფრო დაბლა აყენებენ.¹ ფოტიოსის სახელს უკავშირდება შუა საუკუნეების ბიზანტიურ-მართლმადიდებლური კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლი – საეკლესიო სამართლის მთავარი კოდექსი, რომელიც 14 ტიტულოვანი ნომოკანონის 883 წლის რედაქციითაა ცნობილი. ხსენებული ძეგლი XI ს. დასასრულსა და XII ს. დასაწყისში

¹ იხ. ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია, ტომი I, 1993 წ., გამომც. “ქველი”, გვ. 127.

ქართულადაც ითარგმნა არსენ იყალთოელის მიერ. ხსენებული ნომოკანონი იქცა ზოგადქრისტიანულ კანონიკურ ძეგლად.

დაახლოებით 886 წელს საკანონმდებლო კომისიამ, რომელსაც პატრიარქი ფოტიოსი ხელმძღვანელობდა, შეიმუშავა საკანონმდებლო წიგნი ისაგოგა. ხსენებულ ძეგლში, როგორც საკანონმდებლო კრებულში, თავდაპირველად საუბარია ძირითად უფლებებზე და მართლმსაჯულებაზე, შემდეგ მას მოსდევს სწავლება იმპერატორზე, პატრიარქზე, ქალაქის ეპარქოსზე, კვესტორზე და ა.შ. ისაგოგაში ლაპარაკია აგრეთვე ეპისკოპოსების ხელდასმის შესახებაც.

საკანონმდებლო ძეგლი ყურადღებას არ აკლავს მტკიცებულებებსაც, საუბრობს მოწმეებსა და წერილობით დამამტკიცებელ საბუთებზეც. ისაგოგაში გადმოცემულია საოჯახო-საქორწინო ურთიერთობათა მომწესრიგებელი ნორმები. აქვეა კანონები გარიგებათა ტიპების შესახებ სისხლისსამართლებრივ დანაშაულობათა და სასჯელთა შესახებაც.

ისაგოგა გამოირჩევა სამართლის წიგნებიდან იმით, რომ მასში მოთავსებული იყო სპეციალური ტიტული მეფის (ბასილევსი) შესახებ. სამართლის წიგნი მეფეს განმარტავს როგორც კანონიერ ხელისუფლებას, ყველა ქვეშევრდომის სასიკეთოდ მოწოდებულს. მეფე ქვეშევრდომს არ უნდა სჯიდეს პირადი ანტიპატიის საფუძველზე და არც სიკეთეს მიაგებდეს პირადი სიმპატიის ნიადაგზე. სამეფო ხელისუფლების მიზნად გამოცხადებულია სიკეთის ქმნა. მეფემ უნდა დაიცვას საღვთო სჯულისა და შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ დაწესებული დოგმატები, “რომაული” კანონები. მეფე უნდა გამოირჩეოდეს მართლმადიდებლობით, ღვთისმოსაობით და სხვა ქრისტიანული სათნოებებით. მეფეს ხელეწიფება კანონების ახსნა-განმარტება და მოძველებული სამართლებრივი ნორმების უკუგდება.

ისაგოგა ცალკე ტიტულს უძღვნის პატრიარქს და განმარტავს როგორც ქრისტეს ცოცხალ ხატებას, თავისი სიტყვით და საქმით ჭეშმარიტების მქადაგებელს (ტიტული II). ისაგოგაში ნათქვამია იმის შესახებაც, რომ მხოლოდ პატრიარქს აქვს უფლება ახსნას და განმარტოს ძველების მიერ მიღებული კანონები, საეკლესიო მამათა სწავლებანი და წესები. ისაგოგა შეფარვით ცდილობს შეზღუდოს მეფის ხელისუფლება ისე, რომ ბასილევსს არ შეეძლოს ეკლესიის დაკნინება. ამ მიზნითაც კანონი განმარტებულია, როგორც სახელმწიფოს ქვეშევრდომთა (მოქალაქეთა) საერთო შეთანხმება.

ბიზანტიაში 888 და 889 წლებში გამოიცა “ბასილიკები” – სამეფო კანონები. ისინი გამოაკვეყნა ვასილ პირველის ვაჟიშვილმა – ლეონ ბრძენმა.

ლეონ ბრძენი ფიქრობდა, რომ იმპერატორ იუსტინიანეს “კორპუს იურის ცივილის” -ში ერთი და იგივე სამართლის ნორმა ერთსა და იმავე საკითხზე მოთავსებულია ჯერ ინსტიტუციებში, შემდეგ დიკესტებში, კოდექსში და ზოგჯერ ნოველებშიც.

ლეონ ბრძენმა მიზნად დაისახა ოთხივე ხსენებული ძეგლისათვის თავი მოეყარა ერთ საკანონმდებლო ძეგლში. ამიერიდან ერთ საკითხზე მხოლოდ ერთ მუხლში უდა ყოფილიყო საუბარი.

“ბასილიკები” სამოცი წიგნისაგან შედგებოდა და თითოეული წიგნი იწყებოდა გარკვეული კაზუსის შესახებ სათანადო ადგილზე მითითებით დიკესტებიდან, ინსტიტუციებიდან, კოდექსიდან, ნოველებიდან თუ პროხირონიდან. ასე რომ ყველა ძირითადი ნორმა გარკვეული საგნის შესახებ ბასილიკებში თავმოყრილი იყო ერთ ადგილას და არ იყო გაბნეული ოთხ ადგილას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა იმპერატორ იუსტინიანეს “კორპუს იურის ცივილისში”. ბასილიკებში განგებ არ შეიტანეს იუსტინიანეს კრებულის მოძველებული ნორმები.

ერთი რამ აშკარად შეიმჩნევა. თუ ეკლოგა და “ნომოს გეორგიკოს” იცავდნენ თემსა და თავისუფალ მეთემეებს, პროხირონი, ისაგოგა და ბასილიკები ხელს უმართავდნენ თავისუფალი მეთემეების დაყმევებას და თემების დაშლას.

ბასილიკები იყო უკანასკნელი კოდეფიკაცია ბიზანტიელი იმპერატორებისა.

მაგრამ X –XI საუკუნეების ბიზანტიაში გამოდიოდა აგრეთვე ცალკეული სამართლებრივი ძეგლები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სამართლის მსოფლიო ისტორიისათვის. აღსანიშნავია X-XI საუკუნის ძეგლი – “საგადასახადო წესდება”. ხსენებული წესდებულება რუსულად თარგმნა ე. ე. ლიპციძმა, ხოლო საფუძვლიანად გამოიკვლიეს ფრანც დელგერმა და გ.ოსტროგორსკიმ.

X საუკუნეშივე გამოიცა აგრეთვე ე. წ. საეპარქიო წიგნი, რომელიც აწესრიგებდა ხელოსანთა და ვაჭართა კორპორაციის ცხოვრებას. წიგნი თარგმნილია რუსულადაც.

ბიზანტიის კანონმდებლობის უკანასკნელი ძეგლი იყო იურიდიული კრებული, რომელიც 1345 წელს შეადგინა თესალო-

ნიკელმა იურისტმა და მოსამართლემ არმენოპულომ და რომელსაც “ექესწიგნეული” ერქვა. ხსენებულ ძეგლს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული ბიზანტიის იმპერიაში, ხოლო ბიზანტიის დაცემის შემდეგ მოქმედ სამართლად იქცა საბერძნეთში, მოლდავეთსა და ვლასეთში (ვალახიაში). ხსენებული “ექესწიგნეული” 1812 წლის შემდეგ, როდესაც ბესარაბია რუსეთმა შეიერთა, მოქმედი კოდექსი იყო ბესარაბიაში ოქტომბრის რევოლუციამდე.

ბერძნულ-ბიზანტიურ და რომის სამართალს გარკვეული ზეგავლენა ჰქონდა ქართულ სინამდვილეზეც, მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ბიზანტიური სამართალი ესაა ბიზანტიის იმპერიის სამართალი VI-XV საუკუნეებისა, ბიზანტიის საზოგადოების მოთხოვნილებათა შესაბამისად გადაამუშავებული რომის სამართალი და თვით ბიზანტიაში შექმნილ ორიგინალურ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც ხასიათდებოდა საეკლესიო და საერო სამართლის ნორმების პარალელური მოქმედებით.

ბიზანტიაში, ისევე როგორც სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, მაგ., საქართველოში, ქრისტიანული მოძღვრება გადაიქცა ფაქტობრივად სამართლისა და მორალის თეორიულ საფუძვლად. ამ გარემოებამ უთუოდ დადებითი როლი ითამაშა. ქრისტიანობა ინტერნაციონალური, თავისი არსით მსოფლიო რელიგია იყო. ეს ხელს უმართავდა ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვასაც. ქრისტიანულ სახელმწიფოსა და საზოგადოებაში დიდი მნიშვნელობა არ ეძლეოდა ეროვნულ წარმომავლობას, წოდებრივ კუთვნილებას, კანის ფერს, და ა.შ. ქრისტიანობის წიაღში “არ არის არც ბერძენი, არც იუდეველი, არც წინადაცვეთა, არც წინადაუცვეთელობა, არ არის ბარბაროსი, სკვითი, მონა და თავისუფალი, არამედ ქრისტია “ყოველივე და ყოველივეში” (იხ. კოლასელთა მიმართ III, 11).

რამდენადაც ღმერთის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია, მით უფრო თანასწორი უნდა იყოს ყველა ადამიანი მიწისა და ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე, სახელმწიფოსა და საზოგადოების და ადამიანური მართლმსაჯულების მახვილის წინაშეც.

ამ კუთიღმა ქრისტიანულმა თესლმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანამედროვე ცივილიზაციის ჩამოყალიბების საქმეში.

არაბების სახალიფო და მუსლიმანური სამართალი

სემიტური მოდგმის ხალხი – არაბები V-VI საუკუნეებში ცხოვრობდნენ არაბეთის ნახევარკუნძულზე, რომლის ტერიტორიაც ვეროპის კონტინენტის ერთ მეოთხედს უტოლდება. ეს ვრცელი ქვეყანა შედგებოდა შედარებით უნაყოფო უწყლო ველებისა და ზეგნებისაგან, აგრეთვე უდაბნოებისაგან და მხოლოდ ამ ნახევარკუნძულის სამხრეთში არსებობდა მიწათმოქმედების განვითარებისათვის საკმაოდ ნორმალური პირობები. აქ მრავალწლიანი სასოფლო სამეურნეო კულტურებიც გვხვდებოდა. მოიპოვებოდა ოქროც. წითელი ზღვის გასწვრივ გადიოდა დიდი საქარავნო გზა. ბიზანტიიდან სამხრეთ არაბეთისაკენ – იემენისაკენ, ტროპიკული მცენარეულობით მდიდარი მხარისაკენ. შემდეგ საქარავნო გზა გრძელდებოდა აბისინიისა და ინდოეთის მიმართულებით. იემენის ჩრდილოეთით წითელი ზღვის სანაპიროსთან მდებარეობდა შედარებით განვითარებული მხარე პიჯაზი, სადაც მდებარეობდა მნიშვნელოვანი სავაჭრო და კულტურული ცენტრი მექა, ხოლო მისგან ჩრდილოეთით ქალაქი მედინა, განვითარებული ხელოსნობისა და მიწათმოქმედების მხარე. არაბეთის ნახევარკუნძულზე უმთავრესად მომთაბარე ბედუინები ცხოვრობდნენ. მათი მთავარი მოსაქმეობა იყო მესაქონლეობა. ბედუინებს მრავლად ჰყავდათ აქლემები, ცხვრები, ცხენები. მაშინდელ მსოფლიოში არაბულ ცხენს მეტოქე არ ჰყავდა ცხენების ბაზარზე. აქა-იქ ნაყოფიერ ადგილებში ცხოვრობდა ბინადარი მოსახლეობა და თავ-თავიანთ ჯოგებთან ერთად მოძრაობდა ერთი საძოვრიდან მეორემდე. ბედუინების საზოგადოება ჯერ კიდევ გვაროვნულ-ტომობრივი საზოგადოების უკანასკნელ და უმაღლეს საფეხურზე ცხოვრობდა. ტომის შემადგენლობაში შემავალი გვარები ერთად მომთაბარეობდნენ. ტომის წევრებს ერთმანეთი ნათესავებად მიაჩნდათ. არაბები თანატომიელებს ძმებს ეძახდნენ. მშვიდობიანობის დროს გვარებს უხუცესები (მამასახლისები) მართავდნენ, ხოლო ომის შემთხვევაში ირჩევდნენ სამხედრო ბელადს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გვარის წევრთა შორის ქონებრივი თანასწორობა დარღვეული იყო და მაშასადამე, სახეზე იყო ქონებით აღზევებული საგვარეულო არისტოკრატია. ირდევოდა გვარებსა და ტომებს შორის თანაბარუფლებიანობის პრინციპიც. შედარებით მდიდარი ტომები იწყებდნენ სუსტი და ღარიბი ტომების ჩაგვრას. არაბებისათვის

ცნობილი იყო პატრიარქალური მონობაც. თვით არაბებს შორის გარკვეული წინააღმდეგობა არსებობდა ბინადარ და მომთაბარე მოსახლეობას შორის, მაგრამ მათ საერთო ინტერესებიც გააჩნდათ. ბინადარ მოსახლეობას და მომთაბარეთა შეხვედრის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი იყო ქალაქი მექა, ხელოსნობისა და ვაჭრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი.

არაბები დღეს ძირითადად ცხოვრობენ დასავლეთ აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში და შეადგენენ ხსენებული რეგიონების ხალხთა ჯგუფს. მათი საკუთარი სახელწოდებაა "ალ-არაბ". დღეს არაბები შეადგენენ ეგვიპტის, სირიის, ლიბანის, ერაყის, იორდანის, საუდის არაბეთის, იემენის, ომანის, არაბთა გაერთიანებული საამიროების, ტუნისის, ალჟირის, მაროკოს, მავრიტანიის, სუდანისა და ზოგ სხვა სახელმწიფოს მოსახლეობის უმრავლესობას. 1967 წლისათვის არაბების საერთო რიცხვი დაახლოებით ას მილიონს შეადგენდა.

არაბული ენა, ანუ ჩრდილო-არაბული სემიტურ ენათა ოჯახს განეკუთვნება. ძველ სემიტურ ტომებს, რომელთა წიაღშიც თანდათან ჩამოყალიბდა არაბი ხალხი, უკვე ძვ. წ. მეორე ათასწლეულში ეკავათ არაბეთის ნახევარკუნძულის ტერიტორია.

უკვე ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში არსებობდა პირველი არაბული სახელმწიფოებრივი გაერთიანებები: პალმირა (თადმორი), ნაბატეა და სხვა. V-VI საუკუნეებში არაბეთში ჩამოყალიბებულა არაბული სახელმწიფოები პასანი, ლახმი და ქინდა. დაახლოებით ამავე ხანებში იწყება ერთიანი არაბი ხალხის ჩამოყალიბების პროცესი. ბინადარი ტომები, ცხადია, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იდგნენ, ვიდრე მომთაბარე და ნახევრადბინადარი ტომები.

მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე ტომებმა XX საუკუნის მეორე ნახევრამდე და არსებითად დღემდეც შეინარჩუნეს პირველყოფილი გვაროვნული საზოგადოების ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა სისხლის აღება და აუენკულატი - დედის ძმისა და დისწულების განსაკუთრებით მჭიდრო ნათესაური კავშირი (ლათინურად "აუენკულუს" ნიშნავს ბიძას, დედის ძმას). მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე არაბთა შორის გავრცელებული იყო აგრეთვე ორთოკუზენური ქორწინება, ისეთი ფორმა ქორწინებისა, რომელიც გავრცელებული იყო პირველყოფილ თემურ-გვაროვნულ და ადრეკლასობრივ საზოგადოებებში ორთოკუზენური ანუ პარალელურ კუზენური ქორწინების წესის თანახმად ქორწინ-

ნდებოდნენ მამისძმის ქალიშვილთან (ბიძაშვილთან) ან დედისდის ქალიშვილთან (დეიდაშვილთან). არაბთა შორის განსაკუთრებით გავრცელებული იყო მამის ძმის ქალიშვილთან ქორწინება, ალბათ იმიტომ, რომ უზრუნველყოთ ქონების შენარჩუნება ახლო ნათესაური ჯგუფის ფარგლებში.

ქრისტეს აქეთ V-VI საუკუნეებში არაბი ტომები არაბეთის ნახევარკუნძულის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ. VII საუკუნის პირველ ნახევარში ამ რეგიონში მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა მოხდა – წარმოიშვა ისლამი, შემდგომში ერთ-ერთი მსოფლიო რელიგია, რელიგია მონოთეისტური, დამყარებული მწიგნობრულ ტრადიციებზე.

არაბეთის ნახევარკუნძულზე ისლამის წარმოშობას ემთხვევა არაბთა დაპყრობითი ომები, რის შედეგადაც შეიქმნა არაბთა სახალიფო. არაბთა დიდი დაპყრობითი კოლონიზაციური მოძრაობა აზიაში, აფრიკასა და ევროპაში იწყება VII საუკუნის ოცდაათიან წლებში და ძირითადად დასრულდა ასი წლის შემდეგ – VIII საუკუნის ოცდაათიან წლებში.

არაბთა სახალიფომ დასავლეთით მიაღწია ატლანტის ოკეანეს. მეორე მხრივ მისი საზღვრები აღწევდა ჩინეთამდე და ინდოეთამდე. თავისი სამფლობელოების მოცულობით მან გადააჭარბა ალექსანდრე მაკედონელის მონარქიას და ავგუსტუსის და ტრიანეს ეპოქის რომის იმპერიასაც კი.

არაბული დამწერლობა, როგორც ცნობილია, დამწერლობის დამოუკიდებელ სისტემას წარმოადგენდა. ის აღმოცენდა და განვითარდა არაბული დამწერლობის იმ სახეობიდან, რომელიც ცნობილია ნაბატეური და ნეოსინურის სახელწოდებით. არაბული დამწერლობის უძველეს ქვებზე ითვლება ან-ნამარას ნაბატეური წარწერა (328); ქალაბის მახლობლად ნაპოვნია ბერძნულ-რომაულ-არაბული ტრილინგვა (512 წ.) და აგრეთვე ჰარანის წარწერა, დათარიღებული 568 წლით. მუსლიმანური პერიოდის არაბული დამწერლობის უძველეს ნიმუშად ითვლება 641 და 653 წლების წარწერები მონეტებზე.

ისტორიულად უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად ითვლება არაბული კულტურა. არაბული კულტურის ცნების ქვეშ იგულისხმება შუა საუკუნეებში შექმნილი ბრწყინვალე კულტურა, რომელიც ჩამოყალიბდა არაბთა სახალიფოში უპირატესად VII-X საუკუნეებში არაბი და არაბების მიერ დაპყრობილი (ახლო და შუა აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ აფრიკის და სამხრეთ და

დასავლეთ ევროპის) ხალხების კულტურული ურთიერთ-ზემოქმედების პროცესში. სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი “არაბული კულტურა” იხმარება, როგორც საკუთრივ არაბი, ისე სახალიფოს შემადგენლობაში შემაჯავალი სხვა ხალხების შუა საუკუნეების არაბულენოვანი კულტურის აღსანიშნავად.¹

მეოთხე-მეექვსე საუკუნეებში არაბული კულტურა განიცდიდა სირიულ-ელბინისტური, ებრაული და სპარსული (ირანული) კულტურების გავლენას. საკუთრივ, ვიწრო გაგებით არაბულ კულტურაში გულისხმობენ მეშვიდე და მომდევნო საუკუნეებში ისლამის აღმოცენება-გამარჯვების შემდეგ არაბთა სახალიფოში შექმნილ კულტურას. არაბული კულტურის მკვლევარების აზრით, ხსენებული ფენომენის კომპონენტებიდან საკუთრივ არაბთაგან მომდინარეობს ისლამი, არაბული ენა და ძველ ბედუინური პოეზიის ტრადიციები. არაბისტი მეცნიერების ნაშრომებიდან ირკვევა, რომ არაბული კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გამუსლიმანებულმა, არაარაბული წარმოშობის ხალხთა წარმომადგენლებმა, აგრეთვე სირიელმა ქრისტიანებმა, იუდეველებმა, სპარსმა ზოროასტრელებმა. IX-X საუკუნეებში არაბულმა კულტურამ განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია და თავის მხრივ გაამდიდრა ევროპულ ხალხთა კულტურა და, ცხადია, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურის ისტორიაში.

ფეოდალიზაციის პროცესმა არაბეთში მეექვსე საუკუნისათვის მოიცვა ქალაქ-სახელმწიფოები და მათ შორის მექაც. თანდათან წარმოიშვა სხვადასხვა თეოლოგიურ-იურიდიული სკოლები. არაბეთში, ისევე როგორც სხვაგან აღმოსავლეთში, პოლიტიკური მოძრაობა რელიგიურ სამოსელში ეხვეოდა. ჰანიფიტების მოძრაობა არსებითად მიმართული იყო გვაროვნული არისტოკრატის წინააღმდეგ. ამ მოძრაობამ მოიცვა მექაც, სადაც მისი ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო მუჰამედი – იგივე მუჰამედი – ისლამის დამაარსებელი არაბეთში, ახალი რელიგიის მქადაგებელი და პოლიტიკური მოღვაწე (დაახლ. 570-632).

¹ იხ. სტატიები გ. წერეთლისა, “არაბული ენა” მისივე “არაბული დამწერლობა”, ქსე. ტ. I. 1975, აგრეთვე სტატია “არაბული კულტურა”, იქვე.

ჰანიფიტი მაჰმადი ქადაგებდა უარი ეთქვათ მრავალ-
ღმერთიანობაზე და დაეწესებინათ ერთი ღმერთის – ალლაჰის
კულტი. მუჰამედის მოძღვრებას მტრულად შეხედნენ მექაში
გვაროვნულ-ტომური არისტოკრატიის მესვეურები და 622 წელს
მაჰმადი იძულებული გახდა მექადან იატრიბში (მედინაში)
გაქცეულიყო. აქედან იწყება მუსლიმანური წელთაღრიცხვა.
იატრიბს კი წინასწარმეტყველ მუჰამედის საპატივცემულოდ
დაარქვეს “მედინა ალ ნაში” – წინასწარმეტყველის ქალაქი.
იატრიბში მაჰმადის მოძღვრებას სათანადოდ მომზადებული
ნიადაგი დახვდა. მუჰამედის მოძღვრებამ აქ გაიმარჯვა. თანდათან
მუჰამედმა თავისი რელიგიური მოძღვრება მკვეთრად გამიჯნა
იუდაიზმისა და ქრისტიანობისაგან. შეიქმნა და ჩამოყალიბდა
ისლამის რელიგია. ისლამი არაბულად ნიშნავს ღმერთის – ალლაჰის
ნებისადმი მორჩილებას.

შექმნა რა ახალი რელიგია, მუჰამედმა (მაჰმადმა) განიზრახა
ძლიერი, ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფოს შექმნა.
მან თავის მხარეზე გადაიბირა მონები, რომლებსაც მდგომარეობის
გაუმჯობესებას შეპირდა. მასვე მიემხრო მედინას მოსახლეობის
უმრავლესობა, რომლებსაც ისლამის რელიგიას იარაღის მეშვე-
ობით ახვევდნენ თავს.

მუჰამედის მემკვიდრეებმა – ხალიფებმა ჯერ არაბეთი
გააერთიანეს ისლამის დროშის ქვეშ, ხოლო შემდეგ ირანსა და
ბიზანტიაშიც ილაშქრეს. თანდათან ხალიფებმა შექმნეს ვრცელი,
ცენტრალიზებული სახელმწიფო. ბაღდადის სახალიფო ჩქარა
ძლიერ იმპერიად გადაიქცა. მაგრამ ფეოდალურ-ცენტრიდანული
ძალების ზეგავლენით და აგრეთვე სხვა ფაქტორთა ზემოქმედების
შედეგად ბაღდადის სახალიფო დაიშალა. ესპანეთში წარმოიშვა
კორდოვას სახალიფო, ეგვიპტეში – ფატიმიდების ხალიფატი.
ბაღდადის სახალიფოში დაქირავებული თურქული ლაშქარი
თანდათან ძალაუფლებას ჩაიგდებს ხელში. XI საუკუნეში თურქმა
სელჩუკებმა აიღეს ბაღდადი, ხალიფას ჩამოაცილეს საერო
ძალაუფლება და დაუტოვეს მხოლოდ სასულიერო ხელისუფლების
ფუნქციები. მუჰამედის შთამომავლები დღესაც პატივისცემით
სარგებლობენ მუსლიმანურ ქვეყნებში. ითვლებოდა, რომ აწ
განსვენებული იორდანის მესვე ჰუსეინი წინასწარმეტყველ
მუჰამედის შთამომავალი იყო. მათ შორის სისხლითი ნათესაობა
იგულისხმებოდა 39-ე თაობის დონეზე.

ისტორიკოსები არაბთა სახალიფოს ისტორიას სამ პერიოდად
ყოფენ:

1. მექა-მედინას პერიოდი – წინარემუსლიმანურ არაბეთში ისლამის წარმოშობის ხანა (VI –VII სს.);

2. არაბეთის სახალიფოს დამასკური (სირიული) პერიოდი – ომეიდების დინასტიის ზეობის ხანა (661-750);

3. ბაღდადური (ირანულ-მესოპოტამიური) პერიოდი, აბისიდების დინასტიის მმართველობის ხანა (750-1055).

მეორე, და განსაკუთრებით კი მესამე პერიოდი ითვლება არაბული ფეოდალიზმის კლასიკურ ხანად.

არაბთა სახალიფოებში, თუ მთლიანად არა, ალაგ-ალაგ სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების დონე საკმაოდ მაღალი იყო.

არაბთა სახალიფოებში საზოგადოებრივი წესწყობილების თავისებურებებს ის გარემოება წარმოადგენდა, რომ იქ წოდებრივი სტრუქტურა, მსგავსი დასავლეთ ევროპულისა, არ ჩამოყალიბებულა. მხოლოდ მუჰამედის შთამომავლობა და ახლო ნათესაობა სარგებლობდა მკვირეოდენი მემკვიდრეობითი პრივილეგიებით. ყველაზე წარჩინებულ გვარებს ჰქონდათ უფლება ეტარებინათ მწვანე ჩაღმა.

მუსლიმანური ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი იყო მუსლიმანების და არამუსლიმანების უფლებრივი უთანასწორობა. სახალიფოში იუდაისტური რელიგიის მიმდევართ და ქრისტიანებს ზიმიებს ეძახდნენ და კანონი მათ ანსხვავებდა როგორც მუსლიმანებისაგან, ასევე წარმართებისაგან. არამუსლიმანებს, თუ ისინი დანაშაულს ჩაიდენდნენ, შარიათის კანონით აგებინებდნენ პასუხს. “შარიათს” უწოდებდნენ ისლამის რელიგიურ-ეთიკური და სამართლებრივი ნორმების კრებულს, დაფუძნებულს მუსლიმანთა საღვთო წიგნზე – ყურანზე, სუნასა და ფიკჰზე.¹ შარიათის შემუშავება რთული პროცესი იყო და ის დიდხანს გრძელდებოდა (VII-XII სს.). შარიათი წმინდა რელიგიურ-ეთიკური ნორმების გარდა მოიცავდა სამოქალაქო, საქორწინო-საოჯახო, სისხლისა და საპროცესო სამართლის ნორმებს, ნაწილობრივ შარიათი სახელმწიფო სამართლის

¹ იხ. ქსე. ტ. 10, გვ. 690, აგრეთვე ი. პ. პეტრუშევსკი, “ისლამი ირანში VII-XV-საუკუნეებში” (ლექციების კურსი) ლენინგრადი, 1966 (რუს. ენაზე).

ნორმებსაც კი შეიცავდა. არაბულად “შარიათ” ჭეშმარიტ გზას, მართებულ ქცევის წესს ნიშნავდა. არაბთა სახალიფოში შარიათის საფუძველზე წესრიგდებოდა სახელშეკრულებო ურთიერთობები მუსლიმანებისა არამუსლიმანებთან. ზიმიებს ეკრძალებოდათ მუსლიმანი მონების ყოლა, მუსლიმან ქალზე ქორწინება. ამასთან ერთად, ზიმიებს უნდა ეტარებინათ მუსლიმანებისაგან განსხვავებული ტანსაცმელი მათ ამცირებდნენ კანონით, მათ ეკრძალებოდათ ცხენზე ამხედრება, ზიმიებს მხოლოდ ჯორებისა და ვირების გამოყენება შეეძლოთ სატრანსპორტო საშუალებად.

თავდაპირველად, როდესაც სახალიფო წარმოიშვა, ის წარმოადგენდა ფეოდალურ-თეოკრატიულ სახელმწიფოს, რომლის სათავეშიც იდგა ხალიფა-წინასწარმეტყველ მუჰამედის მემკვიდრე. თვით მუჰამედი კი აღლაჰის – დემეტის მოადგილედ ითვლებოდა დედამიწაზე: როგორც ვ. ვ. ბართოლდი აღნიშნავდა, პირველი ხალიფების დროს უმაღლესი ხელისუფლება ინარჩუნებდა წმინდა თეოკრატიულ ხასიათს იმ ზომით, რომ ხელმწიფის საკუთრებას “დემეტის ქონებად” – მალ აღლაჰად იხსენიებდნენ. მიუხედავად ამისა, ხალიფებს დაპყრობილ ქვეყნებში უხდებოდათ უცხო დაწესებულებებსა და იდეებისათვის ანგარიშის გაწევა.¹

არაბებს სირიაში დახვდათ სხვა, განსხვავებული შეხედულებები სახელმწიფოზე და მონარქიაზე, ვიდრე თვითონ გააჩნდათ. სულთან – სულტან სირიული წარმოშობის ტერმინია და თავდაპირველად ერთპიროვნულ ხელისუფალს კი არ ნიშნავდა, არამედ სამთავრობო ხელისუფლების კოლექტიურ იდეას. ბიზანტიისა და სპარსეთის იმ პროვინციებში, რომლებსაც არაბები იპყრობდნენ, არსებობდა სახელმწიფოს მართვის საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული სისტემა და სამართალწარმოების ტრადიციები. არაბები იძულებულნი იყვნენ მხედველობაში მიეღოთ ისინი. ამიტომაც არაბეთში წარმოშობილ მუსლიმანური რელიგიისა და მუსლიმანური სამართლის იდეებს შეგუება უხდებოდათ დაპყრობილი ხალხების პროგრესულ ტრადიციებთან. არაიშვიათად, დაპყრობილების კულტურა უფრო მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე დამპყრობლებისა. თანდათან საფუძველი ეყრებოდა

1. იხ. ვ. ვ. ბართოლდი. თეოკრატიული იდეა და ხაერო ხელისუფლება მუსლიმანურ სახელმწიფოებში, თხზულებანი, ტ. VI, მოსკოვი, 1966, გვ. 305 (რუს).

კულტურულ სინთეზს, რომელიც ჯერ კიდევ VII საუკუნეში დაიწყო.

ახლა გავიხსენოთ ზოგი რამ არაბთა სახალიფოს პოლიტიკური ისტორიიდან. ხალიფა ოსმანი (644-565) სარგებლობდა მექის არიტოკრატიისა და სირიელი არაბების მხარდაჭერით. მოხუცი და უნებისყოფო ოსმანი შეთქმულებმა მოკლეს. მისი ადგილი დაიკავა ალიმ – წინასწარმეტყველი მუჰამედის სიძემ, მისი ქალიშვილის – ფატიმას მეუღლემ. ალი ეყრდობოდა შედარებით დემოკრატიულ ელემენტებს მედინაში და არაბთა სამხედრო კოლონიას მესოპოტამიაში. მაგრამ სირიის არაბთა წარჩინებული წრეების მხარდაჭერით 661 წელს ხალიფა ალი სიცოცხლეს გამოასალმა ერთმა ხარიჯიტმა – მუსლიმანური სექტის წარმომადგენელმა, რომელიც მხარს უჭერდა სამხედრო თემის მიერ ხალიფის არჩევის იდეას. ხოლო ახალი ხალიფა მუავია საცხოვრებლად არ წავიდა არც მექასა და არც მედინაში, იგი დამასკოში დარჩა.

ომეიადების ხანაში (661-750) მუსლიმური სამეარო ორ ნაწილად გაიყო. მართლმორწმუნეთა ერთი ნაწილი არაბული სამართლის კოდექსის საფუძველად თვლიდა ყურანს და მის დანამატებს, ე. წ. სუნნებს, აქედან – სუნიტები. მაგრამ მუსლიმანი არაბების ნაწილი არ ცნობდა სუნნას. ისინი შეადგენდნენ ცალკე ფრაქციას, ცალკე მიმართულებას ისლამში. მათ შიიტებს ეძახდნენ. სუნიტების თვალში შიიტები გამთიშველები იყვნენ. შიიტებს მფარველობდნენ მოკლული ხალიფის – ალის ნათესავები. ცალკე არსებობდა ხარიჯიტების სექტაც, რომლებიც არც სუნიტებს – და არც შიიტებს არ ცნობდნენ ჭეშმარიტ მუსლიმანებად. ისინი მოითხოვდნენ მიწის თანაბარ ნაკვეთებად გადანაწილებას მუსლიმანთა შორის.

ახლა ვნახოთ, როგორ იმართებოდა სახალიფო. ადამ მეცი, ცნობილი წიგნის “მუსლიმანური რენესანსის” ავტორი, აღნიშნავს, რომ არაბი ხალიფების სახელმწიფოში სხვადასხვა პროვინციები თანაარსებობდნენ მეტ-ნაკლებად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. დაახლოებით ისე, როგორც ფეოდალური მხარეები ან შტატები.¹

¹ იხ. ადამ მეცი, მუსლიმანური რენესანსი, მეორე გამოცემა, მოსკოვი, 1973, გვ. 71 (რუს.).

სახალიფოში ცენტრალური ხელისუფლება პროვინციებთან ურთიერთობას ამყარებდა არა დარგობრივი სამინისტროების, ანუ დარგობრივი მართვის ცენტრალური ორგანოების მეშვეობით, არამედ პირუკუ, თითოეულ ოლქს, თითოეულ პროვინციას ბაღდადში, სახალიფოს ცენტრში გააჩნდა თავისი სამინისტრო (დივანი, რომელიც იქ განაგებდა მის საქმეებს. თითოეულ დივანში (სამინისტროში) ორი მთავარი განყოფილება არსებობდა: 1) ძირითად საქმეთა განყოფილება (“ასლი”) 2) საფინანსო უწყება (განყოფილება) რომელსაც ზიმამს ეძახდნენ.

დივანის პირველი, ანუ “ძირითად” განყოფილებას ევალებოდა გადასახადების განაწილება და მათი ამოღება მოსახლეობიდან. ამ განყოფილებასვე ევალებოდა ზრუნვა გადასახადების გადამხდელ მოსახლეობაზე. ე.ი. ხსენებული განყოფილება ადმინისტრაციულ მოღვაწეობას ეწეოდა.

IX საუკუნეში ნიჰიერმა ხალიფამ ალ-მუტადიდმა (892-902) პირველად გააერთიანა პროვინციების უწყება და “სახალიფოს უწყება” სამ ქვეგანყოფილებასთან: აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროსთან (დივან ალ-მაშრიყ), დასავლეთის საქმეთა სამინისტროსთან (დივან ალ-მადრიბ) და ბაბილონის საქმეთა დივანთან (დივან ალ-სავად, დივან ალ-ხარაჯ). ამავე დროს სამივე დივანის საფინანსო განყოფილებები გააერთიანეს ერთი ხელმძღვანელის ხელში.

912 წელს დივანების ძირითადი განყოფილებებიც გააერთიანეს ერთი მოხელის გამგებლობაში. მეთუ საუკუნეში კი არაბების სახალიფომ, როგორც იმპერიამ, ახალი ნაბიჯები გადადგას სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული წინსვლის მიმართულებით. ამ ხანებში სახელმწიფოს ადმინისტრაციული აპარატი შედგებოდა ორი დარგობრივი დივანისაგან: შინაგან საქმეთა დივანისა და ფინანსების დივანისაგან. ამ ორი სამინისტროს, ანუ დივანის ირგვლივ იყო თავმოყრილი სხვა მრავალი უწყებაც, რომლებიც ზოგჯერ თავის თავს “დივანს” უწოდებდნენ (მაგალითად პროვინციებში).

არაბთა სახალიფოში მმართველობის ორგანოებს შორის ფუნქციების ზუსტი გამოიჯნვა არასოდეს ყოფილა მიღწეული, თუმცა არაერთხელ ცდილან. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სახალიფოში ინფორმაციის მოპოვებისა და შორ მანძილზე გადაცემის დიდი გამოცდილება გააჩნდათ. სახელმწიფო კანცლერი – ვეზირი ყოველკვირეულად ღებულობდა ინფორმაციას ქვეყანაში

არსებული საფინანსო ვითარების შესახებ. სახელმწიფო ხაზინა (დივან ბაიტი ალ მალ) თავისებურ საკონტროლო ინსტანციის როლს ასრულებდა სახელმწიფოს სახარჯო უწყებასა და შინაგან საქმეთა დივანს შორის – ყველა სახის სახელმწიფო სახარჯავი თანხები ხაზინის ვიზით გაიცემოდა.

ომეიადების ხანაში (661-750) ჩამოყალიბებული საფინანსო სისტემის თანახმად გადასახადებს იხდიდნენ არა მარტო “ურწმუნოები” ე. ი. არამუსლიმანები, არამედ მუსლიმანებიც. მაგრამ, ცხადია არამუსლიმანებს მეტად აწვა გადასახადების ტვირთი. ხსენებული გადასახადებიდან სამი იყო მთავარი: 1) ხარაჯა, საადგილმამულო გადასახადი, 2) ჯიზია – სულადი გადასახადი და 3) ზიაკიატი – სავალდებულო მეთაფდი, რომელიც უშუალოდ ხალიფას განკარგულებაში გადადიოდა.

ხალიფატში მეთემე გლეხების უმრავლესობა ხალიფას მიწაზე საქმიანობდა, ცხოვრობდა და რენტას უხდიდა უშუალოდ სახელმწიფოს.

მსხვილი ადგილ-მამულების მემკვიდრეობითობის პრინციპი სახალიფოში უფრო სუსტად იყო უზრუნველყოფილი, ვიდრე შუა საუკუნეების ევროპაში. მდიდარი მემამულის მემკვიდრეს ან მემკვიდრეებს უშუალოდ ხალიფას ნებით თუ შეუქლოთ სამკვიდრო ადგილ-მამულის მიღება. როგორც არაბისტები აღნიშნავდნენ, არც ხალიფას და არც მისი კარის წარჩინებულებს, როგორც წესი, არ გააჩნდათ საბატონო ადგილ-მამული, სადაც უშუალო მწარმოებლები – გლეხები შრომით ბეგარას იხდიდნენ. ე.ი. შრომითი რენტა ხალიფატში არ იყო გავრცელებული. გლეხები მხოლოდ პროდუქტს და ფულად რენტას გაიღებდნენ მიწის მესაკუთრის სასარგებლოდ.

ახლა შევხვით საკითხს საკუთრების ფორმების შესახებ სახალიფოში. იქტა, როგორც საკუთრების სახეობა, შეესატყვისებოდა დასავლეთ ევროპულ ბენეფიციუმს, ხოლო მულქი იყო ნაწყვლობევი ადგილ-მამული, რომელიც თანდათან გადაიქცა მემკვიდრეობით მფლობელობად. ხასი, ანუ სახასო მიწები გათავისუფლებულნი იყვნენ სახელმწიფო გადასახადებისაგან და კერძო საკუთრების მიმართულებით ვითარდებოდნენ.

ვაკფი იყო რელიგიური ორგანიზაციების საკუთრება. ცხადია, საკუთრების ეს სახეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სახალიფოში. დროთა ვითარებაში სახალიფოში სახელმწიფო საკუთრების შემცირების ხარჯზე ვითარდებოდა მიწებზე კერძო

საკუთრება, რომელმაც შეიმდგომში ხელი შეუწყო ამ ვრცელი იმპერიის დეცენტრალიზაციას.

საკუთრების ფორმების გაელენა სახელმწიფო წესწყობილებაზე ასე თუ ისე შესამჩნევია ყველა ქვეყანაში, მაგრამ არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ გარედან მომდინარე იმპულსები. სახალიფოს სახელმწიფო წესწყობილებაზე სპარსეთის და ბიზანტიის გაელენა შეიმჩნეოდა. შედარებით მაღალ დონეზე იყო დაყენებული სახალიფოში საფოსტო სამსახური. საფოსტო უწყების მეთაური ითვლებოდა სახელმწიფოს თვალად, მთავრობისათვის საჭირო ინფორმაციის მომწოდებლად (საჰიბ- ალ-ხაბარ). მას ყავდა მსტოვრები, რომელთა მეშვეობითაც ის აგროვებდა საჭირო ცნობებს. როგორც ადამ მეცი¹ აღნიშნავდა, აქ საქმე გვაქვს ბიზანტიურ მეშვეობით. რომის იმპერიაში ფოსტა ასრულებდა საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურს.

როგორც ჩანს, არაბთა სახალიფოც ვერ ასცდა სახელმწიფო მოხელეების მხრივ თავიანთი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მაშინ ფართოდ გავრცელებულ მოვლენას. წყაროებიდან ჩანს, რომ ამ მოხელეების შესახებ ხალხს ცუდი, მეტად უარყოფითი შეხედულება გააჩნდა. ერთი არაბი პოეტის თქმით სახელმწიფო მოხელე ესაა, “მუცელგამობერილი ღვარძლიანი ნაბატეველი, მაშინ როდესაც ხალხი წელებზე ფეხს იდგამს”²

აქვე შეიძლება მოვიგონოთ ისიც, რომ ახალი აღთქმის მიხედვითაც, მეზვერე (მებაჟე) ცოდვილად იგულისხმებოდა.

ახლა შევეხოთ მუსლიმანური სამართლის ძირითად ნიშნებს. მუსლიმანური სამართალი, როგორც სამართლებრივი სისტემა, ჩამოყალიბდა არაბთა სახალიფოში VII-X საუკუნეებში. რამდენადაც არაბთა სახალიფოს ძალაუფლება დედამიწის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა, მუსლიმანური სამართლის არეალიც საკმაოდ ვრცელი იყო. თურქეთში მუსლიმანური სამართალი 1926 წლამდე მოქმედებდა, ლიბანში - 1932 წლამდე, ერაყში - 1951 წლამდე.

რიგ მუსლიმანურ აღმსარებლობის ქვეყნებში მას დღემდე არ დაუკარგავს მოქმედი სამართლის ძალა.

¹ ადამ მეცი, ციტ. თხზ. გვ. 73.

² ეკუთვნის იბნ ალ მუტაზს, გარდაიცვალა 908 წელს.

მუსლიმანური სამართლის წყაროდ ითვლება ყურანი (არაბულად ნიშნავს კითხვას, წაკითხვას). მუსლიმანთა წმინდა, საღვთო წიგნი ყურანი¹ შეიცავს რელიგიურ, სამართლებრივ, მორალურ ნორმებს. ყურანშივე ვპოულობთ საყოფაცხოვრებო შეგონებებს და თანაცხოვრების განაწესსაც.

მუსლიმანებს სწამთ ერთი ღმერთი - ალაჰი. მათი რწმენით არ არსებობს სხვა ღმერთი ერთი ღმერთის - ალაჰის გარდა და მუჰამედი (მაჰმადი) არის მისი მოციქული. ყველა ადამიანი მოვალეა ღმერთის - ალაჰის ნება შეასრულოს. ადამიანის ბედი ალაჰს წინასწარ აქვს განსაზღვრული. როგორც ერთი ავტორი წერდა, ფატალიზმი წარმოადგენს მუსლიმანობის ღერძს.

მუსლიმანი ვალდებულია დაიცვას ხუთი მოთხოვნა:

1. უნდა იწამოს ერთი ღმერთი - ალაჰი და მუჰამედი აღიაროს მის მოციქულად. ალაჰის ერთადერთ ღმერთად აღიარებას უკავშირდება მეორედ მოსვლის და საბოლოო ცხოვრების რწმენა.

2. მუსლიმანი ვალდებულია დღეში ხუთჯერ ილოცოს (ნამაზი). თანაც თითოეულ ნამაზს წინ უნდა უძღოდეს რიტუალური განბანვა.

3. ყველა მორწმუნემ უნდა გადაიხადოს გარკვეული გადასახადი (ზაკატი). ეს შეადგენს დაახლოებით შემოსავლის ერთ მეათედს, რომელიც თავდაპირველად განკუთვნილი იყო ღარიბთა დასახმარებლად.

4. მუსლიმანმა უნდა დაიცვას მარხვა (ურაზა), მოვარის კალენდრის მეცხრე თვეში მუსლიმანს უფლება არა აქვს შხის ამოსულიდან მზის ჩასვლამდე რაიმე ჭამოს ან სვას.

ხსენებულ მარხვას, თურქულენოვანი მოსახლეობა ურაზას ეძახის, სპარსელები მას რუხეს, ხოლო არაბები საუმს ეძახიან. მუსლიმანების ეს ოცდაათდღიანი მარხვა უნდა მოხდეს რამადანის თვეში.

საფიქრებელია, რომ ურაზა მომდინარეობს ძველი ისლამამდელი არაბული რელიგიების წიაღიდან. მარხვის პირობების შესახებ საუბარია თვით ყურანში (მეორე სურა) განთიადიდან

¹ ყურანი თარგმნილია მრავალ ენაზე, მათ შორის ქართულზეც. რუსულად ყურანის პირველი თარგმანი 1716 წელს გამოქვეყნდა. საუკეთესოა აკად. კრასკოვსკის მიერ უშუალოდ არაბულიდან შესრულებული რუსული თარგმანი, რომელიც უკანასკნელად გამოიცა 1991 წელს.

დაღამებამდე მართლმორწმუნე მუსლიმანს თავი უნდა შეეკავებინა როგორც საჭმელ-სასმელისაგან, ასევე სანახაობებისაგან და თამაშებისაგან. მარხვისაგან თავისუფლდებოდნენ ბავშვები 7 წლის ასაკამდე, ფეხმძიმე ქალები, მძიმე ავადმყოფები, მოგზაურები, ფსიქიკურად დაავადებულები. ავადმყოფს განაცდური მარხვა შეეძლო დაეცვა სხვა დროს. რამდენადაც მუსლიმანური წელი მთვარის წელიწადია, რამადანი და ურაზა ყოველ წელიწადს სხვადასხვა დროს მოდის. სხვადასხვა დროს უკავშირდება. მუსლიმანმა სამართალმცოდნეებმა სპეციალური ახსნა-განმარტებების შემუშავების მეშვეობით შეძლეს ურაზის დაცვის მკაცრი პირობების შემსუბუქება.

5. სასურველია, რომ ყველა მუსლიმანმა შეასრულოს ჰაჯი. ე. ი. წავიდეს მექაში და მოილოცოს წმინდა ადგილები. მოგვიანებით დაწესდა, რომ შიიტებისათვის წმინდა ადგილი სხვაც შეიძლებოდა ყოფილიყო. ის პირი, ვინც მოილოცა მუსლიმანთა სალოცავები, დიდი პატივით სარგებლობს მორწმუნეებში.

ყურანთან ერთად და ყურანის გვერდით მუსლიმური სამართლის წყაროს ძალა აქვს მინიჭებული ყურანის დამატებებს, წინასწარმეტყველ მუჰამედის, როგორც მუსლიმთა კანონმდებლის შეგონებებს, ასევე “შარიას” შეგონებებს და გადაწყვეტილებებს. მუსლიმანური სამართლის არაოფიციალური წყარო იყო ადათი, რომელსაც კანონში არსებული ხარვეზების შესავსებად იყენებდნენ. მუსლიმანური სამართლისათვის დამახასიათებელია რელიგიური და სამართლებრივი ნორმების შერწყმა. ამასთან ერთად, აქ არც თუ ისე მაღალია სამოქალაქო სამართლის განვითარების დონე. მუსლიმანური სამართლის შედარებით ჩამორჩენილობა აისახა სისხლის სამართლის იმ ნორმებშიაც, სადაც დაკნინებულია სისხლის აღება – შურისძიება. მუსლიმანური სამართლისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ქალის სამართლებრივი მდგომარეობის დაბალი დონე.¹

¹ ლ.რ. სიუკიიანი. მუსლიმანური სამართალი. თეორიის და პრაქტიკის საკითხები. “ნაუკა”, 1986 (რუს.).

მ.ი. სადაგდარ. მუსლიმანური სამართლის საფუძვლები, მოსკოვი, 1968 (რუს.).

რ. შარლი. მუსლიმანური სამართალი (ფრანგულიდან რუსულად თარგმნილი). მოსკოვი, 1959.

თავისი კლასიკური სახით მუსლიმანური სამართალი აღიარებს მრავალცოლიანობას. ყოველ მუსლიმან მამაკაცს, რომელმაც გარკვეულ ასაკს მიაღწია და ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი იყო, ოთხი ცოლის შერთვის უფლება ჰქონდა.

მუსლიმანური სამართალი არ ცნობდა საკასაციო ინსტანციას. განაჩენი მაშინვე მოყავდათ სისრულეში.

მუსლიმანური სამართალი, მართალია გაქვავებული დოგმების არტახებში იყო მოქცეული, მაგრამ მუსლიმანმა მოაზროვნებმა და იურისტებმა შეძლეს ადამიანის აზრისა და ნებისყოფის დამთრგუნველ ამ წყვედიადში რაღაც შუქის შეტანა. მიაღწიეს იმას, რომ შესაძლებელი გახდა სხვადასხვა პოზიციებზე მდგომ სამართლებრივ სკოლებს შორის პაექრობა. მუსლიმანური სამართალი ძირითადად სწორედ სამართალმცოდნეთა კომენტარების მეშვეობით ვითარდებოდა.

თანამედროვე ეპოქაში ისლამი სერიოზულ ცვლილებს განიცდის. ისლამურ სამყაროში მუსლიმან მოდერნიზტებს განზრახული აქვთ ხელი შეუწყონ ისლამის მიმდევართა ყოფაცხოვრების სფეროში პროგრესული ნოვაციების შემოსვლას. თავის მხრივ კონსერვატულად განწყობილი მორწმუნეები ცდილობენ საოჯახო-საქორწინო ურთიერთობებში არ დაუშვან დროით ნაკარნახევი სიახლეების შემოსვლა. ცნობილია არა ერთი შემთხვევა, როდესაც თვითონ მუსლიმანი ქალები გვევლინებიან ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის იდეის მოწინააღმდეგებად. ისლამის, როგორც მსოფლიო რელიგიის, პოზიციები ჯერ კიდევ ძლიერია. მუსლიმანები ცხოვრობენ მსოფლიოს ას ოც ქვეყანაში, ხოლო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ისინი შეადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას. ამდენად, მუსლიმანური ქვეყნები შეადგენენ მსოფლიო ისტორიული პროცესის მნიშვნელოვან ფაქტორს. იმისდა მიხედვით, თუ რა გზას დაადგებიან ეს ქვეყნები, მსოფლიო ისტორიული ჩარხი ან წინ იტრიალებს სრული შესაძლებლობით, ან შეანელებს თავის წინსვლას, ანდა, უარეს შემთხვევაში, გამოიწვევს გლობალურ სტაგნაციას.

როგორც ვთქვით, მუსლიმანური სამართალი ძირითადად სამართალმცოდნეების მეშვეობით ვითარდებოდა. ეს იყო და არის პროგრესული ტრადიცია. შეიძლებოდა ყურანის ცალკეული ნორმების და თავების კომენტარი და ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა აზრის გამოთქმა.

ცნობილი კანონმცოდნეები იყვნენ აბუ ჰანიფა, მალიქ იბნ

ანარი, ალ შაფიი და აჰმად ჰანბალი, რომლებიც მუსლიმანური სამართალის მთავარი სკოლების ფუძემდებლად ითვლებიან. ასე რომ, ისტორიულად მუსლიმანური სამყარო იცნობდა ჰანიფიტების, მალიქიტების, შაფიიტების და ჰანბალისტების სკოლათა მოძღვრებას. პროგრესულად მოაზროვნე სამართალმცოდნეები ცდილობენ ამ გზით დაძლიონ მუსლიმანური სამართალის ზოგიერთი, დღეს მიუღებელი დებულება.

მაგ., ყურანის მიხედვით სასესხო პროცენტის აღება იკრძალება. როდესაც ვსაუბრობთ მუსლიმანური სამართლის შესახებ, უნდა გვახსოვდეს, რომ მუსლიმანურ სამართალს, როგორც რთულ სოციალურ მოვლენას, წარმოშობა-განვითარებისა და წინააღმდეგობათა დაძლევის გზით ჩამოყალიბების საკმაოდ ხანგრძლივი გზა აქვს გამოვლილი.

მუსლიმანური სამართალი, როგორც იურიდიული ნორმების სისტემა, უცებ არ წარმოშობილა. პირველ ხანებში, ისლამის განვითარების დასაწყის პერიოდში, როდესაც კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფო ჯერ კიდევ განვითარების საფეხურზე იდგა, ერთიან მუსლიმანურ რეგულაციურ კომპლექსში იურიდიული და ქცევის სხვა წესები, როგორც ერთი მკვლევარი წერდა “პრაქტიკულად არ იყო განსხვავებული”. როგორც ლ. რ. სიუკიიანიენ მიუთითებს, შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ ამ დროს მუსლიმანური დოგმატიკა (ღვთისმეტყველება) და სამართალმცოდნეობა მჭიდროდ იყო ერთმანეთში ჩაწნული.

ასეთი ვითარება გრძელდება მეათე საუკუნის შუა წლებამდე, როდესაც სამართალმცოდნეობა გაემიჯნა მუსლიმანურ დოგმატიკურ თეოლოგიას, ამავე ხანებში იწყებს ჩამოყალიბებას მუსლიმანური სამართლებრივი სკოლები. მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში ფეოდალური მუსლიმანური სახელმწიფოს და სამართლის წარმოშობა ფაქტობრივად უკვე დამთავრებული იყო. ამავე ხანებში მოხდა მუსლიმანური სამართალის, როგორც ქცევის იურიდიულ ნორმათა სისტემის ჩამოყალიბება. ადამ მეცის მართებული მოსაზრებით ადრეულ ისლამში თეოლოგია და სამართალი გამიჯნული არ იყო და მხოლოდ მეათე საუკუნეში მუსლიმანური ღვთისმეტყველება გამოეყო სამართალს.

ვფიქრობთ, მართებულად წერდა ერთი მკვლევარი, რომ მართალია, მუსლიმანური სამართალი მტკიცედ არის დაკავშირებული ისლამის რელიგიასთან, მაგრამ მას შინც არ ერწყმის. ამიტომ მუსლიმანური სამართალი შეიძლება განვიხილოთ

როგორც სამართლებრივი და არა რელიგიური სისტემა (მუსლიმანური სამართალი ვიწრო გაგებით).

მუსლიმანური სამართლის სპეციალისტები, მისი მკვლევარები იმის შესახებაც მიანიშნებენ, რომ მუსლიმანური სამართლის ძირითადი განსხვავება ქცევის რელიგიურ წესებისაგან იმაში მდგომარეობს, რომ მისი შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებით. “ამასთან ერთად, მუსლიმანური სამართალი მჭიდროდ თანამოქმედებს რელიგიურ და მორალურ ნორმებთან”, აგრეთვე ჩვეულებებთან სოციალურ-ნორმატიული რეგულირების სისტემაში, რომელსაც შეიძლება ვეწოდოთ მუსლიმანური სამართალი ფართო გაგებით.¹

მუსლიმანური სამართალი დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემაა და ამიტომ მის შესწავლას არა მარტო ისტორიული, არამედ თეორიული მნიშვნელობაც აქვს. სამართლის თეორიის ზოგიერთი დებულების ჩასწორება-დაზუსტებაც კი შეიძლება გახდეს საჭირო მუსლიმანური სამართალის თავისებურებების გათვალისწინებით. კერძოდ, მუსლიმანური სამართლის სპეციალისტები მიუთითებენ, რომ ნორმების უმრავლესობათა ფორმირებაში სახელმწიფო უშუალოდ არ მონაწილეობდა. ის თავის სამართალშეგნებით როლს ახორციელებდა ირიბად, არაპირდაპირ, აძლევდა რა სანქციას მაზხაბების – მუსლიმანური სამართლის ცალკეული სკოლების მოძღვრებათა მიხედვით შედგენილ დასკვნებს. მუსლიმანურ-სამართლებრივი მოძღვრებები კი ერთმანეთს პირველობაში ეცილებოდნენ.

ცნობილია, რომ მუსლიმანური სამართლის ძირითად წყაროდ, იურიდიული თვალსაზრისითაც კი, ითვლებოდა დოქტრინა, ხოლო სახელმწიფო ოფიციალურ სანქციას აძლევდა დოქტრინის ძირითადი საწყისებიდან გამომდინარე დასკვნებს, მაგრამ ამას აკეთებდა საკმაოდ თავისებურად და მოხერხებულად.

სახელმწიფოს მესვეური ნიშნავდა მოსამართლეს, მას

¹ ლ. რ. სიუკიიანენ. მუსლიმანური სამართალი. თეორიისა და პრაქტიკის საკითხები “ნაუკა”. 1986. (რუს.).

მ. ი. სადაგდარ. მუსლიმანური სამართლის საფუძვლები. მოსკოვი. 1968 (რუს.).

რ. შარლი. მუსლიმანური სამართალი (ფრანგულიდან რუსულად თარგმნილი), მოსკოვი. 1959.

ველებოდა საქმეები გადაეწევიტა გარკვეული მუსლიმანურ-სამართლებრივი მოქდერების მიხედვით. ყურანი ასეთ ვითარებაში უნდა განვიხილოთ, როგორც მუსლიმანური სამართლის ზოგადი იდეოლოგიური საფუძველი, რამდენადაც მხოლოდ ყურანის ძალიან მცირე ნაწილს შეიძლება ჰქონდეს კავშირი სამართალთან. ნორმათა შედარებით მცირე რაოდენობა ღებულბდა სათავეს ყურანიდან და ითვლებოდა ალაჰის შთაგონებულად. ნაწილობრივ ღუთაებრივ გამოცხადებად იყო მიჩნეული გადმოცემები წინასწარ-მეტყველის - “ალაჰის მოციქულის” მუჰამედის ცხოვრებიდან.

მუსლიმანური სამართალის მოქმედების მექანიზმის თავისებურება იმაშიც მდგომარეობდა, რომ ის უპირატესად კაზუალურ, შექოსვევით ხასიათს ატარებდა და მათ განზოგადებას ან ვერ ახერხებდნენ ანდა საერთოდ ეს შეუძლებელიც კი იყო. ამიტომაც სასამართლოების და მოსამართლეების მოღვაწეობა ვლინდებოდა როგორც ინდივიდუალურ-სამართლებრივი გადაწყვეტილება და მსჯავრი.

ამიტომ არც არის გასაკვირი, როდესაც მუსლიმანური სამართლის სპეციალისტები მას ახასიათებენ, როგორც სამართლის ისეთ სისტემას, რომელიც წინააღმდეგობებით სავსე ნორმებს შეიცავდა. ნორმათა შორის ასეთ წინააღმდეგობათა დროს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მოსამართლის პიროვნებას, მის მორალურ სახეს, მის მსოფლმხედველობას და პატიოსნებას.

მუსლიმანური სამართლის ნორმის ცნება, მართებულად აღნიშნავდა ერთი მკვლევარი, მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ წარმოდგენებისაგან, რაც ამ საკითხზე გააჩნიათ სამართლის სისტემების მცოდნეთ. მუსლიმანური სამართლის სამომ-წესრიგებლო საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ქცევის კონკრეტულ წესს, ფიქსირებულს სამართლის ნორმაში, არამედ სამართალმცოდნეთა მიერ ფორმირებულ ზოგად პრინციპებსაც. მუსლიმანური სამართლის მოქმედების მექანიზმის თავისებურებათა გათვალისწინების დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ მისი ცალკეული დარგების ნორმები თანაბრად როდი მოქმედებდა ცოცხალ იურიდიულ პრაქტიკაში. ზოგი ავტორი მართებულად ლაპარაკობს კიდევც მუსლიმანური სამართლის არსებით ნაკლზე. მისი დარგების თუ ინსტიტუტების ე. წ. “ვარდნილობაზე”, მათ კიბურ-ჩანსქერულ ხასიათზე, ცალკეული დარგების რეალიზაციის სხვადასხვა დონეზე. მისი მრავალი დანაწესი საერთოდ არ

ხორციელდებოდა ცხოვრებაში, რჩებოდა რა მუსლიმანურ-სამართლებრივი იდეოლოგიის მოქმენტი და არა მოქმედი სამართლის სისტემის ნორმად.

პროფ. ი. პ. პეტრუშევსკი მართებულად აღნიშნავდა, რომ კავკასიაში, კერძოდ, აზერბაიჯანში მუსლიმანური სამართალი ვერ ასახავდა რეალურ ცხოვრებაში არსებულ ვითარებას.

საერთოდ ფაქტობრივად არსებულმა ფეოდალურმა ურთიერთობებმა ვერ პოვეს სათანადო გაფორმება მუსლიმანურ სამართალში და ეს ფაქტობრივი ურთიერთობები მხოლოდ ადგილობრივ ჩვეულებებში იყო ასახული.

კავკასიის მუსლიმანურ სახანოებში ფეოდალური ურთიერთობები იმით განსხვავდებოდა ქართული ბატონყმობისაგან, ე. წ. “ბატონყმობის რიგისაგან”, რომ მუსლიმანურ სახანოებში არსებულმა ფეოდალურმა ურთიერთობებმა ასახვა ვერ პოვეს კანონმდებლობაში, ხოლო ქართული ბატონყმობა სათანადოდ აისახა სამცხის ათაბაგების – ბექასა და ადბუღას კანონებში – XIV – XV საუკუნეებში, ვახტანგის სამართლის წიგნში – მეთვრამეტე საუკუნეში და გვიანფეოდალური ქართული სამართლის სხვა ძეგლებში. როგორც ი. პ. პეტრუშევსკი ასკვნის “ქართულ სამართალთან შედარებით მუსლიმანური სამართალი აღმოჩნდა გაცილებით კონსერვატიული და უძრავი (დამყაყებელი), ნაკლებად მოქნილი და ნაკლებად უნარიანი სრული სახით აესახა ცოცხალ სინამდვილეში არსებული ურთიერთობები”¹.

მუსლიმანური სამართლის სისტემა შინაგანად შეიცავდა რიგ ისეთ ინსტიტუტებსა და დარგებს, რომლებიც სამართლის სხვა სისტემებში ან საერთოდ არ გვხვდება ან მხოლოდ ნაწილობრივ წარმოჩინდება. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ მუსლიმანური სამართალი მოიცავს და შეიცავს საერთაშორისო სამართალსაც. ამასთან ერთად, მუსლიმანური სამართალი გამოირჩევა იმითაც, რომ ის წარმოგვიდგება და წარმოჩინდება, როგორც განუსაზღვრელი რაღაც, რამდენადმე დაბლანდული და წინააღმდეგობათა შემცველი. მუსლიმანური სამართალის ამ თვისებას მნიშვნელოვანწილად იმითაც ხსნიან,

¹ ი. პ. პეტრუშევსკი. ნარკვევები ფეოდალურ ურთიერთობათა ისტორიიდან აზერბაიჯანსა და სომხეთში მეთექვსმეტე საუკუნიდან მეცხრამეტე სუკუნის დასაწყისამდე”, ლენინგრადი, 1949, გვ. 263 (რუს).

რომ თვორიულად მან არ იცის სასამართლო პრეცედენტის პრინციპი. ამის გამოისობით ის დროთა ვითარებაში გადაიქცა უამრავ ერთმა-ნეთისაგან განსხვავებულ და ერთმანეთთან შეუთანხმებელი ნორმების კრებულად, რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებშია წარმოშობილი.

მუსლიმანური სამართალი მუსულმანისგან მოითხოვს, რომ რომელ ქვეყანაშიც არ უნდა ცხოვრობდეს, მან მხოლოდ მუსლიმანური სამართალით უნდა იხელმძღვანელოს.

უფლებაუნარიანობისა და ქმედითუნარიანობის მოცულობა, შარიათის მიხედვით კონფესიონალური მომენტებით განისაზღვრებოდა. თვით უღარიბეს და უმდაბლეს მუსლიმანსაც კი ეპირატესობა გააჩნდა თავისუფალი არამუსლიმანების წინაშე. ამასთან ერთად, საერთო წესის თანახმად სამართალი მამაკაცებს აძლევდა ეპირატესობას ქალებთან შედარებით. არა თუ არამუსლიმან ქალებს, არამედ თვით მუსლიმან ქალებსაც კი მუსლიმანური სამართალი მამაკაცებთან ვერ გაათანაბრებდა უფლებრივად. ამ მხრივ მუსლიმანურ სამართალს პატრიარქალურ-ფეოდალური სასოგადოების ბეჭედი აჩნდა. ამასთან დაკავშირებით მეოცე საუკუნის მიმწეუხრზეც კი აქტუალურია არაბი ადვოკატისა და მწერლის ყასიმ ამინის სიტყვები: “არ შეიძლება თავისუფალი იყოს ერი, თუ ის ქალებს ჩაგრავს”.

ყურანმა აკრძალა სისხლის აღრევის ჩვეულება ახლო ნათესავთა შორის, ჩვეულება ახალდაბადებული გოგონების მკვლელობისა (სურა 16, აიათი 60-61), “ნუ დახოცავთ თქვენს შვილებს სიღარიბის მიზეზით”, ნათქვამია ყურანის მე-6 სურაში.

ყურანმა უსაზღვრო მრავალცოლიანობის პრაქტიკა შეზღუდა ოთხი ცოლის ყოლის უფლებით და ამით მან მეტ-ნაკლებად დადებითი როლი შეასრულა არაბი ხალხის ცხოვრებაში. ისლამამდელ ვითარებასთან შედარებით გადაიდგა ნაბიჯი პროგრესის მიმართულებით.

ისლამის ისტორიის სპეციალისტების ნაწილის აზრით, პოლიგამიის დაწესებამ მუსლიმანურ სამყაროში შესაძლებელი გახადა, რომ ყველა ქალს ჰყოლოდა მეუღლე და, ასე თუ ისე, მიეღწია უზრუნველყოფილი ცხოვრებისათვის, ისლამი აიძულებდა ყველა მამაკაცს ცოლი შეერთო. ცხადია, ეს საკითხის გაუზრალოებაა. ყურანში ნათქვამია: დაქორწინდით იმ ქალებზე, რომლებიც თქვენ მოგწონთ” (სურა მე-4). ი. გოლდციერისა არ

იყოს, აქედან სრულებით არ გამომდინარეობს, რომ ყველა მუსლიმანის რელიგიური მოვალეობა იყო ქორწინება.¹

მუსლიმან ქალს შეეძლო გათხოვება მხოლოდ მუსლიმან მამაკაცზე, მაშინ როდესაც მუსლიმან კაცს შეეძლო ნებისმიერი სარწმუნოების ქალზე დაქორწინება (წარმართის გამოკლებით).

საერთოდ, მუსლიმანური სამართლის სისტემის საკითხი კამათს იწვევს.

ყად აბუ შუჯის მიერ გადმოცემული მუსლიმანური სამართლის სისტემა ასე გამოიყურება:

1. ადამიანის მოვალეობა ალლაჰის წინაშე;
2. სამოქალაქო მოქმედება;
3. მემკვიდრეობის სამართალი;
4. საქორწინო სამართალი;
5. მკვლელობისა და ჭრილობის შესახებ;
6. სასჯელების შესახებ;
7. ურწმუნოთა წინააღმდეგ ომის შესახებ (ჯიჰადი);
8. ნადირობის შესახებ;
9. ფიზიკური ვარჯიშობისათვის პრისების დაწესების შესახებ;
10. ფიცისა და აღთქმის შესახებ;
11. პროცესისა და მოწმეების შესახებ;
12. მონების გათავისუფლების შესახებ;

როგორც ვხედავთ მუსლიმანური სამართლის სისტემა პირველ ადგილზე აყენებდა ადამიანის მოვალეობას ალლაჰის (ღმერთის) წინაშე და ამავე დროს მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა სამოქალაქო, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის საკითხებს, აგრეთვე სისხლის სამართლისა და პროცესის საკითხებსაც. მუსლიმანური სამართალი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მემკვიდრეობითი სამართლის საკითხებს.

მუსლიმანური სამართალის მიხედვით, თუ კაცს რამდენიმე შვილი ჰყავდა, მას არ შეეძლო თავის მემკვიდრედ მხოლოდ ერთადერთი აერჩია. ყველა მემკვიდრე კანონიერად თავის წილს მიიღებდა.

შარიათი ცნობდა მემკვიდრეთა სამ კატეგორიას: პირველი

¹ ი. გოლდციერ. ლექციები ისლამზე (გერმანულიდან რუსულად ნათარგმნი) სანკტ-პეტერბურგი, 1912, გვ. 60

ჯგუფის მემკვიდრეებად ითვლებოდნენ გარდაცვლილის მშობლები და შვილები; მეორე ჯგუფის მემკვიდრეებად ითვლებოდნენ პაპა, დეიდა და მამკვიდრებლის და-ძმა, თუ მამკვიდრებელს და ან ძმა უკვე გარდაცვლილი ჰყავდა, მათ ნაცვლად მემკვიდრეობას მიიღებდნენ დის შვილები და ძმის შვილები; მემკვიდრეთა მესამე ჯგუფს შეადგენდნენ მამკვიდრებლის (სამკვიდროს დამტოვებლის) ბიძები დედის და მამის მხრივ და დეიდები და მამიდები. თუ პირველი ჯგუფის მემკვიდრეები იყვნენ სახეზე, მაშინ მეორე და მესამე ჯგუფის მემკვიდრეები ვერაფერს მიიღებდნენ სამკვიდროდან. ხოლო, თუ პირველი ჯგუფის მემკვიდრეები არ იყვნენ სახეზე, მემკვიდრეობას მიიღებდა მეორე ჯგუფის მემკვიდრეები. თუ მეორე ჯგუფის მემკვიდრეებიდან არავინ ჰყავდა ცოცხალი მამკვიდრებელს, სამკვიდროს მიიღებდნენ მესამე ჯგუფის მემკვიდრეები.

თუ სამკვიდროს დამტოვებელს ქალ-ვაჟი დარჩებოდა, მემკვიდრეობის ორი წილი ერგებოდა ვაჟს, ერთი წილი ქალიშვილს. საერთო წესის თანახმად ვაჟიშვილის სამკვიდრო წილი ქალიშვილებისას ორგზის ჭარბობდა. თუ გარდაცვლილ მამკვიდრებელს დარჩებოდა ერთი ძმა და ორი და, ორივე დის სამკვიდრო წილი იმდენს შეადგენდა, რამდენსაც ძმის. ასე რომ, სამკვიდრო ქონება ორ ნაწილად გაიყოფოდა.

მუსლიმანური სამართალი მკაცრად იცავდა საკუთრებას. იმას, ვინც პირველად ჩაიდენდა ქურდობას, მარჯვენა ხელის ოთხ თითს მოკვეთდნენ. მეორეჯერ ქურდობის შემთხვევაში ქურდს სამუდამო პატიმრობას უსჯიდნენ.

მუსლიმანურ სამყაროში საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა საოჯახო სამართლის ნორმების ჩამოყალიბება და მათი მოდერნიზაცია. ეგვიპტეში ხანიფიტური მიმართულებების მუსლიმანმა სწაველულებმა საოჯახო სამართლის საკითხები მოაქციეს “პიროვნული სტატუსის სამართალში”. მომზადდა კიდევ საოჯახო ურთიერთობის მომწესრიგებელი დოგმატური კოდექსის ვარიანტი მუჰამად კადრი ფაშის მიერ. მას ეწოდება “შარიათის ნორმები პირადი სტატუსის შესახებ”. ხსენებული ძეგლი ოფიციალურად არ მიუღიათ, მაგრამ ის მაინც გარკვეულად აწესრიგებდა სასოგადოებრივ ურთიერთობათა ხსენებულ სფეროს. მუჰამად კადრი ფაშა გარდაიცვალა 1888 წელს.

1917 წელს ოსმალეთმა მიიღო საოჯახო კანონი. ის შედგებოდა 157 მუხლისაგან. თუ კანონში ხარვეზი არ აღმოჩნდებოდა,

მოსამართლეს უფლება ჰქონდა ხანიფიტური მიმართულებების სწავლულთა პრინციპების მოშველიებით შეევესო კანონი. სირიასა და იორდანიაში ქორწინების აქტის ნამდვილობის დასადასტურებლად საჭირო იყო ორი მამაკაცის ან ერთი მამაკაცისა და ორი ქალისა მოწმეობა და მონაწილეობა. რიგი არაბული ქვეყნების კანონებით საქორწინო ხელშეკრულება წერილობით უნდა დაიდოს. ერაყის №21 (1978წ.) კანონით დაქორწინება სასამართლოში უნდა მოხდეს. ვინც ამ წესს დაარღვევს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით 6 თვიდან ერთ წლამდე ან 300-დან ათას დინარამდე ჯარიმით.

მუსლიმანური სამართალი ნათლად ვერ ანსხვავებდა სანიეთო და ვალდებულებით სამართალს, ე.წ. "სამოქალაქო მოქმედებები" მოიცავდა ორივე მათგანს.

ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკების მუსლიმანურ მოსახლეობაში გავრცელებული იყო ჰანიფიტების და შაფიიტების მოძღვრებები.

ხსენებული სამართლებრივი სკოლების მოძღვრებათა თანახმად გირავნობა ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტია და არა სანიეთო სამართლისა. მუსლიმანური სამართლის მიხედვით ნაყოფით სარგებლობის უფლება მყარდებოდა სამუდამოდ, ჩუქების სახით, მაშინ, როდესაც ევროპული სამართლის მიხედვით ის სასყიდლიანი გარიგებაა. საადგილ-მამულო სერვიტუტები ემყარებოდა არა ხელშეკრულებებს, არამედ კანონს. ე. ი. მიწის საკუთრების უფლების შეზღუდვას. სხვისი ნივთით სარგებლობის უფლება ვალდებულებითი სამართლის ურთიერთობად ითვლებოდა და არა სანიეთო სამართლისა.

შუა საუკუნეების ფეოდალური აღმოსავლეთის საზოგადოებრივ ურთიერთობათა თავისებურება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრული იყო მიწათმფლობელობის სპეციალური ფორმით. აქ მიწის დამმუშავებელს, გლეხს უპირისპირდებოდა არა მიწის კერძო მესაკუთრე, როგორც ეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და საქართველოში იყო, არამედ სახელმწიფო, რომელიც მიწის მესაკუთრეცაა და სუვერენიც.

თავის დროზე კარლ მარქსმაც გამოთქვა აზრი ამასთან დაკავშირებით: "სახელმწიფო აქ მიწის უზენაესი მესაკუთრეა. სუვერენიტეტი აქ ნაციონალური მასშტაბით კონცენტრირებული მიწის საკუთრებაა. მაგრამ სამაგიეროდ ამ შემთხვევაში არ არსებობს არავითარი მიწის საკუთრება, თუმცა არსებობს როგორც

კერძო, ისე თემური მფლობელობა და სარგებლობა მიწისა” (“კაპიტალი” ტ. III, ნაწ. II, 1935, გვ. 310).

როგორც ჩანს, ის ინფორმაცია, რაც კარლ მარქსს გააჩნდა აღმოსავლეთში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა შესახებ, ზუსტი არ იყო. აქ მიწაზე კერძო საკუთრებაც არსებობდა, თუმცა შედარებით შეზღუდული მასშტაბით.

ცალკე მსჯელობის საგანია სახელმწიფოს მუსლიმანური კონცეფცია და აღმოსავლეთის ხალხების სახელმწიფო სამართალი. ჩვენს ლექციაში ამჟამად მათ შესახებ არ ვისაუბრებთ.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო და სამართალი

ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენამდე (1492წ). რაიმე სახელმწიფო, როგორც ერთი ძალაუფლების უზენაესობის ქვეშ პოლიტიკურად ორგანიზებული ქვეყანა, არ არსებულა. ადგილობრივი მცხოვრებლები – ინდიელები და ესკიმოსები პირველყოფილი წინარესახელმწიფოებრივი წყობილების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებოდნენ.

ესპანელებმა, ფრანგებმა, ინგლისელებმა, ირლანდიელებმა, შოტლანდიელებმა და სხვებმა ამერიკაში თან ჩამოიტანეს თავიანთი ქვეყნების კულტურა, საწარმოო და პოლიტიკური გამოცდილება. ცხადია, ევროპელის გამოჩენამდე დღევანდელი ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორია დაუსახლებელი არ იყო. XV საუკუნის დასასრულისათვის თანამედროვე აშშ-სა და კანადის ტერიტორიაზე ცხოვრობდა დაახლოებით ერთი მილიონი ინდიელი. ისინი დაყოფილნი იყვნენ ტომებად. ისტორიკოსთა გაანგარიშებით ამ დროს ხსენებულ ტერიტორიაზე ექვსასი ტომი მაინც უნდა ყოფილიყო. თუ განვითარების დონის კრიტერიუმად მატერიალურ კულტურას ავიღებთ, ისინი ნეოლითის სტადიაზე იმყოფებოდნენ და რკინის იარაღს და რკინის ნაკეთობებს საერთოდ არ იცნობდნენ. ფიქრობენ, რომ ჩრდილო ამერიკელი ინდიელები არც ბრინჯაოს იცნობდნენ და ქვის იარაღებით კმაყოფილდებოდნენ.

იროკეზების, ჩიროკების და ზოგიერთი სხვა მონათესავე ტომების შესახებ ვიცით, რომ ისინი მწარმოებლური მეურნეობის საფეხურზე იმყოფებოდნენ. მოჰყავდათ სიმინდის, გოგრის, თამბაქოს, პარკოსანთა მოსავალი. ცხოველთა ტყაუებისაგან და

ხის ქერქისაგან ამზადებდნენ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს (მოკასინებს) და ა.შ. ცდილობდნენ ხატოვანი დამწერლობის შექმნას. ათვისებული ჰქონდათ მეთუნეობაც. მაგრამ, ცხადია, ევროპელ კოლონისტებს მაინც აშკარად ჩამორჩებოდნენ.

კოლონიზაცია კი ნელ-ნელა ძალებს იკრებდა.

ჯერ კიდევ XVII საუკუნის მოგზაურებსა და დამკვირვებლებს მიაჩნდათ, რომ ევროპელები ვერასოდეს შეძლებდნენ ამ უზარმაზარი ქვეყნის ათვისებას და მასზე ინტენსიური მეურნეობის შექმნას. რაც შეეხება ალიასკას, აქ რუსები მხოლოდ XVIII საუკუნეში გამოჩნდნენ.

ამერიკაში გადმოსახლებულების უმრავლესობას ინგლისელები შეადგენდნენ, რამაც განაპირობა ინგლისური ენის გაბატონება კოლონისტთა შორის. ინგლისში კი, როგორც ცნობილია, კაპიტალიზმი XVII საუკუნეში დამკვიდრდა და ცხადია, ინგლისელებმა ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე თან მიიტანეს ამ სწრაფად განვითარებადი საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების საწყისები. ინტენსიური მეურნეობის შექმნის ნუკეები, ევროპული ტექნიკა, ანგლო-საქსური თავისუფლების ტრადიციები. მარქსიზმის ერთ-ერთი კლასიკოსი ფრ. ენგელსიც კი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ინგლისური სამართალი ერთადერთია, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში დაუმახინჯებლად შეინარჩუნა და ამერიკასა და კოლონიებში გადაიტანა საუკეთესო ნაწილი იმ პირადი თავისუფლებისა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და უზრუნველყოფისა ყოველგვარი უცხო ჩარევისაგან, გარდა სასამართლოსი. ერთი სიტყვით, გერმანული თავისუფლებანი, რომლებიც კონტინენტზე აბსოლუტური მონარქიების ბატონობის დროს სრულად გაქრნენ და დღემდე არსად არ არიან სავსებით ხელახლა იქნენ მოპოვებული.

მაგრამ ინგლისური სამართალი განაგრძობდა კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიკურ ურთიერთობათა ბარბაროსულ-ფეოდალური ენით გამოხატვას, რომელიც ფრ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, იმდენადვე შეესაბამება გამოსახატავ საგანს, რამდენადაც ინგლისური ორთოგრაფია ინგლისურ გამოთქმას – იწერება ლონდონი, ხოლო გამოითქმის კონსტანტინოპოლი.¹

¹ იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1950, გვ. 118-119.

ინგლისური სამართალი, თავისი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე გადატანილი, საერთო ჯამში მაინც დადებითი ფაქტორი იყო სოციალური პროგრესისა.

ინგლისური მუდმივი დასახლებები დღევანდელი ვირჯინიის შტატის ტერიტორიაზე 1607 წელს შეიქმნა. აქედან იწყება ჩრდილოეთ ამერიკის ისტორიის კოლონიური პერიოდი, რომელიც 1775 წლამდე გაგრძელდა. კოლონიური პერიოდის დასასრულისათვის ინგლისელებმა ძირითადად დაიპყრეს ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორია.

XVII-XVIII საუკუნეებში (1607-1773 წწ.) ჩრდილოეთ ამერიკის ატლანტიკის სანაპიროზე ჩამოყალიბდა 13 კოლონია: ვირჯინია, მასაჩუსეტსი, ჩრდილოეთ კაროლინა, სამხრეთ კაროლინა, მერილენდი, როდ-აილენდი, კონექტიკუტი, ნიუ-ჯერსი, ნიუ-გემპშირი, ნიუ-იორკი, დელავერი, პენსილვანია და ჯორჯია.

ამ კოლონიებს არასრული, შეზღუდული ავტონომიური უფლებები გააჩნდათ. ხსენებული კოლონიების წარმომადგენლები 1776 წლის 4 ივლისს შეიკრიბნენ ფილადელფიის კონგრესზე. გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ იმ ძალებს, რომლებმაც არ მოისურვეს დეკლარაციაში მონობის გაუქმების მუხლის შეტანა.

შვიდი წლის განმავლობაში კოლონიები იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის. დასასრულ, 1783 წლის 9 სექტემბერს ინგლისმა სცნო ამერიკის შეერთებული შტატების 13 კოლონიის დამოუკიდებლობა.

1776 წლის სექტემბერში კონგრესმა მიზანშეწონილად ცნო შედგომოდა კონსტიტუციის შემუშავებას.

1777 წლის 15 ოქტომბერს შტატების წარმომადგენლებს უკვე მზად ჰქონდათ შეერთებული შტატების კონფედერაციის მუხლების პროექტი, რომელიც მოიწონეს კიდევაც, მაგრამ, რომლებიც საბოლოოდ 1781 წლის მარტამდე არ ამოქმედებულა.

დამოუკიდებლობის მიღებამდე ამერიკის კოლონიებში აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა ინგლისის (ბრიტანეთის) მეფეს.

შეერთებული შტატების კონგრესში თითოეულ შტატს თითო ხმა გააჩნდა.

მნიშვნელოვანი საქმეების გადასაწყვეტად მინიმუმ ცხრა შტატის წარმომადგენელთა თანხმობა მაინც იყო საჭირო. თუ შტატებს შორის სერიოზული წინააღმდეგობა წარმოიშობოდა, კონგრესს უნდა მოერიგებინა ისინი.

1787 წელს ფილადელფიის კონვენტმა დაიწყო ახალი კონსტიტუციის შემუშავება.

კონსტიტუცია ძალაში შევიდა 1788 წლის 26 ივლისს, მაგრამ ორი შტატი - ჩრდილოეთ კაროლინა და როდ-აილენდი კონსტიტუციას შეუერთდნენ მხოლოდ 1791 წლის 3 ნოემბერს.

ამერიკელები კონსტიტუციის მიღების ოფიციალურ თარიღად თვლიან 1787 წლის 17 სექტემბერს, როდესაც ის დაამტკიცა დამფუძნებელმა კონგრესმა.

ამერიკის შეერთებული შტატების 1787 წლის კონსტიტუცია იმით განსხვავდებოდა ე.წ. კონფედერაციის მუხლებისაგან, რომ ის სახელმწიფოთა საერთაშორისო კავშირს კი არ აფუძნებდა, არამედ ერთიან საკავშირო სახელმწიფოს უყრიდა საფუძველს და ეს სახელმწიფო იყო ამერიკის შეერთებული შტატები.¹ თუმცა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე ამერიკის შეერთებული შტატები ცალკეული დამოუკიდებელი შტატების კონფედერაციულ კავშირად რჩებოდა.

1791 წელს ძალაში შევიდა ამერიკის კონსტიტუციის ათი დამატებითი მუხლი მოქალაქეთა უფლებების შესახებ. მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში მიიღეს მეცამეტე, მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე დამატებითი მუხლები მონობის გაუქმების შესახებ. ამასთან ერთად, ფერადკანიან ამერიკელებს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ებოძათ.

დამოუკიდებლობის დეკლარაციასა და ამერიკის კონსტიტუციაზე გარკვეული, კეთილისმყოფელი ზეგავლენა მოახდინა ქრისტიანული რელიგიის პრინციპებმა იმის შესახებ, რომ ღმერთის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია და, თუ ღმერთის წინაშე ყველა ადამიანი, განურჩევლად ეროვნებისა და სოციალური მდგომარეობისა, თანასწორია, რატომ არ უნდა იყვნენ ისინი თანასწორნი მეფისა და სახელმწიფოს წინაშე? აკი პავლე მოციქული კოლასელთა მიმართ წერილში აღნიშნავდა, რომ "არ არის არც ბერძენი, არც იუდეველი, არც წინადაცვეთა არც წინადაუცველობა, არ არის არც ბარბაროსი, სკვითი, მონა, და თავისუფალი, არამედ ქრისტია ყოველივე და ყოველივეში" (III, 11). მონობა, როგორც ცნობილია, არსებობდა ამერიკის სამხრეთ

¹ იხ. ბურუაზიული ქვეყნების კონსტიტუციები და საკანონმდებლო აქტები. XVIII-XIX საუკუნეები დოკუმენტების კრებული პროფ. პ. ნ. გალანხას რედაქციით (რუს.), მოსკოვი.

შტატებში და მონასა და თავისუფალს შორის ურთიერთობა ამერიკისათვის აქტუალური საკითხი იყო.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პროგრესული პრინციპი იყო ხელისუფლების მკაცრი განაწილება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებს შორის. თავის დროზე ინგლისელ ფილოსოფოსს ჯონ ლოკს ჰქონდა წამოყენებული მოთხოვნა სახელმწიფოში ხელისუფლების დანაწილების შესახებ.

ამერიკის კონსტიტუცია დიდ ყურადღებას აქცევდა ფედერალური სახელმწიფოს უფლებამოსილებისა და ცალკეული შტატების უფლებამოსილებათა გამიჯვნას.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კონსტიტუციის შესავალში ხაზგასმულ სახალხო სუვერენიტეტს, “ჩვენ შეერთებული შტატების ხალხი, ხაზგასმულად საზეიმოდ იყო ნათქვამი კონსტიტუციაში, ვაქვეყნებთ და ვაფუძნებთ ამ კონსტიტუციას შეერთებული შტატებისათვის, იმ მიზნით, რომ შევქმნათ უფრო სრულყოფილი კავშირი, დავამკვიდროთ მართლმსაჯულება, უზრუნველყოთ შინაგანი მშვიდობა, ვიზრუნოთ ერთობლივ დაცვაზე, სელი გავუმართოთ საყოველთაო კეთილდღეობას და უზრუნველყოთ საკუთრივ ჩვენთვის და ჩვენი შთამომავლობისათვის თავისუფლების სიკეთენი”.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციამ საკანონმდებლო ხელისუფლება კონგრესს მიაკუთვნა. თავის მხრივ კონგრესი ორი პალატისაგან შედგებოდა – სენატისა და წარმომადგენელთა პალატისაგან. ამ უკანასკნელს ხალხი ირჩევდა, ხოლო სენატი აირჩეოდა ცალკეული შტატების პარლამენტარების მიერ. ეს წესი მოგვიანებით (1913 წელს) შეცვლილ იქნა.

სენატი, როგორც ორგანო, ამერიკის კონსტიტუციის შემოქმედთ თუ არა, ამერიკელ სახელმწიფო მოღვაწეთა მნიშვნელოვან ნაწილს მაინც ესახებოდათ როგორც ისეთი დაწესებულება, რომელიც აუცილებელი იყო წარმომადგენელთა პალატის ასალაგმავად თუ გამოსაფხიზებლად. სენატი უნდა ყოფილიყო ზომიერი და გონივრული კონსერვატიზმის, ანუ სახელმწიფო სიბრძნის მატარებელი ორგანო.

ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის შედგენის დროისათვის, ცალკეულ შტატებში მოსახლეობის რიცხვი მკვეთრად არათანაბარი იყო.

მცირე მოსახლეობიან შტატებს გარკვეული შიში ჰქონდათ, რომ მათი ინტერესები ნაკლებად იქნებოდა დაცული, თუ საკანონმდებლო ორგანოში არ შეიქმნებოდა ისეთი სპეციალური დაწესებულება, სადაც ყველა შტატი სენატორთა თანაბარი ოდენობით იქნებოდა წარმოდგენილი.

ორპალატიან საკანონმდებლო ორგანოს ერთმანეთთან უნდა მიენახა საერთო ენა და წარმოდგენილი კანონპროექტი უნდა მიეღო, რაც, რა თქმა უნდა, არ იყო ადვილი საქმე. მაგრამ კონგრესის ორივე პალატის მიერ მიღებული კანონპროექტი საჭიროებდა პრეზიდენტის ხელმოწერას. მხოლოდ ასეთი აქციის შემდეგ ხდებოდა ის კანონად და თუ პრეზიდენტი კონგრესის მიერ მიღებულ კანონპროექტს ხელს არ აწერდა, ის ხელახლა უბრუნდებოდა კონგრესის ორივე პალატას განსახილველად. თუ კანონპროექტს კონგრესის ორივე პალატა მეორედ განხილვისას თავის შემადგენლობის კვალიფიციური უმრავლესობით, ხმების ორი მესამედით მიიღებდა, მაშინ ის პრეზიდენტის ხელმოწერას არ საჭიროებდა და უკვე კანონი იყო. ამერიკის კონსტიტუციის პირველი მუხლი, რომელიც კონგრესს შეეხებოდა, თავის მხრივ ათ განყოფილებად იყო დაყოფილი. პირველი მუხლის მეორე განყოფილება აწესებდა, რომ წარმომადგენელთა პალატა უნდა არჩეულიყო სხვადასხვა შტატების მცხოვრებთა მიერ. ხალხის წარმომადგენელი მინიმუმ 25 წლისა უნდა ყოფილიყო ასაკით და მინიმუმ შვიდი წელი მაინც ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობა მოეთხოვებოდა.

კონსტიტუციის პირველი მუხლის მე-8 პუნქტის (განყოფილების) თანახმად ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს მიეცა უფლება მიეღო სათანადო ზომები ქვეყნის თავდაცვისა და სახელმწიფოს საერთო კეთილდღეობის განმტკიცების მიზნით. კონგრესი უფლებამოსილი იყო შემოეღო გადასახადები, მოსაკრებლები, აქციზები და ა.შ. კონგრესს უნდა მოეწესრიგებინა უცხო სახელმწიფოებთან ვაჭრობის საქმე, აგრეთვე ცალკეულ შტატებს შორის და ამერიკულ ინდიელთა შორის სავაჭრო ურთიერთობის საკითხები.

კონგრესის კომპეტენციაში შედიოდა მონეტების მოჭრის და სახელმწიფოში ერთიანი ზომა-წონის ერთეულების შემოღება. მასვე ევალებოდა საფოსტო გზებისა და საფოსტო კანტორების წესრიგში მოყვანა. კონგრესსავე ევალებოდა მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარება, ავტორებისა და გამომგონებლებისათვის

განსაკუთრებული უფლებების მინიჭება, რათა მათ ესარგებლათ თავიანთი ქმნილებებითა და აღმოჩენებით. კონგრესს უფლება ჰქონდა ისეთი სასამართლოების შექმნისა, რომლებიც უმაღლეს სასამართლოზე უფრო დაბალი რანგისანი იქნებოდნენ.

კონგრესის კომპეტენციაში შედიოდა იმის დადგენაც, თუ რა უნდა ჩათვლილიყო საზღვაო ყაჩაღობად, მეკობრეობად, საერთაშორისო სამართლის დარღვევად და ხსენებულ ქმედებათათვის სასჯელის დაწესებაც. კონგრესის უფლებამოსილებაში შედიოდა ომის გამოცხადება, არმიის ფორმირება და შენახვა, მაგრამ ამ მიზნით თანხების გამოყოფა მხოლოდ ორი წლის განმავლობაში იყო ნებადართული.

კონგრესის განკარგულებით შეიძლებოდა საზღვაო ფლოტისა და მილიციის ფორმირება. მილიციის ძალების გამოყენება შეიძლებოდა ამერიკის შეერთებული შტატების კანონების განსახორციელებლად, აჯანყების ჩასაქრობად.

კონგრესს ეკრძალებოდა ისეთი კანონის მიღება, რომელსაც უკუქცევითი ძალა ექნებოდა.

შეერთებულ შტატებს არ გააჩნდა უფლება ვინმესთვის ებოძებინა აზნაურის ტიტული. თუ ვინმეს ამერიკის შეერთებული შტატების სამსახურში მყოფს, ასეთი ტიტული გააჩნდა, მას ეკრძალებოდა კონგრესის ნებართვის გარეშე რომელიმე მეფისაგან, პრინცისაგან ან უცხო სახელმწიფოსაგან საჩუქრის, ჯამაგირის, თანამდებობის ან ტიტულის მიღება.

კონსტიტუციის მეორე მუხლის მიხედვით ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა პრეზიდენტს, რომელსაც, ისევე როგორც ვიცე-პრეზიდენტს, ირჩევდნენ ოთხი წლით. აშშ კონსტიტუციის მიხედვით პრეზიდენტის თანამდებობაზე მხოლოდ ისეთი პირის არჩევა შეიძლებოდა, ვინც დაბადებული იყო შეერთებული შტატების მოქალაქედ ან, ყოველ შემთხვევაში, მისი მოქალაქე იყო კონსტიტუციის დამტკიცების დროს. პრეზიდენტად შეიძლებოდა აერჩიათ პირი, რომელმაც მიაღწია 35 წლის ასაკს და რომელიც 14 წლის განმავლობაში მაინც ცხოვრობდა მუდმივად შეერთებულ შტატებში.

კონგრესის წევრებს შორის დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია პრეზიდენტის არჩევის წესმა. კონგრესმენების მნიშვნელოვან ნაწილს სურდა, რომ პრეზიდენტი აერჩია კონგრესს. ამ აზრის მოწინააღმდეგეებს მიაჩნდათ, რომ ხალხი უშუალოდ

უნდა ირჩევდეს პრეზიდენტს, მით უფრო, რომ ზოგიერთ შტატში ხალხი ირჩევდა გუბერნატორს. საბოლოოდ დადგინდა, რომ პრეზიდენტს აირჩევდა ცალკეული შტატების წარმომადგენლები — ამომრჩევნი სათანადო ბიულეტენებით ხმის მიცემით.

დიდი დავის საგანი იყო აგრეთვე პრეზიდენტის თანამდებობის ხანგრძლივობის საკითხიც. საბოლოოდ გადაწყდა, რომ პრეზიდენტს აირჩევდნენ ოთხი წლით, მაგრამ მისი ხელახალი არჩევა არ იყო აკრძალული.

ამერიკის პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა ჯორჯ ვაშინგტონი, რომელიც ამერიკელთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და მას არც მეორეჯერ გასჭირვებია პრეზიდენტის არჩევნებში გამარჯვება. ასე შეიქმნა პრეცედენტი, რომ ერთი და იგივე პირი, თუ ის კარგი ორგანიზატორი აღმოჩნდებოდა, მხოლოდ ორჯერ შეიძლებოდა ყოფილიყო ამერიკის პრეზიდენტი. მესამეჯერ მისი პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩევა იკრძალებოდა. ამ წესს ამერიკელები იცავდნენ 130-ზე მეტი წლის განმავლობაში.

ამერიკის კონსტიტუციის მეორე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად პრეზიდენტი არა მარტო სახელმწიფოს მეთაური და მთავრობის მოთავეა, არამედ შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალიცაა. ამ მხრივ პრეზიდენტის ძალაუფლება არ არის მცირე. მაგრამ რიგი საკითხების გადაწყვეტა პრეზიდენტს კონგრესთან შეთანხმების გარეშე არ შეეძლო, რაც ევროპულ პუბლიცისტთა და სახელმწიფო მოღვაწეთა თვალში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს სათანადო ძალაუფლებას მოკლებულად წარმოსახავდა. ასე ფიქრობდა, მაგალითად, მწერალი ბერნარდ შოუ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, გამომდინარე ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან, კონგრესის თანადგომისა და ერთნებობის გამოხატვის გარეშე არ შეეძლო რიგი საკითხების გადაწყვეტა. მაგალითად, მნიშვნელოვან თანამდებობაზე პირის დანიშვნა.

პრეზიდენტს არ ჰქონდა უფლება მზა კანონპროექტი წარედგინა წარმომადგენელთა პალატაში ან სენატში.

თვით ამერიკელ ისტორიკოსებსაც შემჩნეული ჰქონდათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის უფლებამოსილებათა ფორმულირებისას კონსტიტუციის შემდგენლებს მხედველობაში ჰყავდათ მაშინდელი ინგლისის მეფე და მისი უფლებები, მაგრამ ორი შეზღუდვაც საჭიროდ იქნა მიჩნეული:

1. უმთავრესი თანამდებობის პირთა დანიშვნა პრეზიდენტს სენატის სათანადო თანხმობის გარეშე არ შეეძლო.

2. პრეზიდენტს საერთაშორისო ხელშეკრულების დადება იხე არ შეეძლო, თუ სენატორები არ დაუჭერდნენ მხარს ასეთი ხელშეკრულების დადებას. ამასთან, ხელშეკრულების დადებისათვის სმა უნდა მიეცა დამსწრე სენატორთა არანაკლებ ორ მესამედს.

ამავე დროს, შეიძლებოდა პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხის დასმაც. ეს შეეძლო წარმომადგენელთა პალატას. პრეზიდენტი პასუხს აგებდა სენატის წინაშე.¹

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მესამე მუხლის მიხედვით მართლმსაჯულებას ახორციელებდნენ უმაღლესი სასამართლო და აგრეთვე ადგილობრივი სასამართლოები.

მიუხედავად იმისა, რომ შტატებს გაუძნელდათ დაეთმოთ ცენტრისათვის სასამართლო უზენაესობა, მაინც მტკიცედ იქნა დადგენილი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო იქნება ზემდგომი ცალკეული შტატების სასამართლოს მიმართ. შტატების დავას ერთმანეთს შორის პირველი ინსტანციის წესით განიხილავდა ფედერალური სასამართლო.

ამით, ცხადია, ფედერალური სასამართლოს როლი და მნიშვნელობა იზრდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრებაში.

ამერიკის შეერთებული შტატების სინამდვილეში დიდ როლს თამაშობდა და თამაშობს აშშ უმაღლესი სასამართლო, რომლის სახელსაც უკავშირდება ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგის მხარდაჭერა და ხელისუფლების დანაწილების დოქტრინის დაცვა. უმაღლესი სასამართლო ყოველთვის იცავდა იდეას ამერიკაში “ღია საზოგადოების” არსებობისა და ადმინისტრაციის ქმედების კანონით შებოჭვის აუცილებლობის შესახებ. საკონსტიტუციო ნორმების ახსნა-განმარტება ითვლება უმაღლესი სასამართლოს პრეროგატივად. უმაღლესმა სასამართლომ კონსტიტუციის მე-14 შესწორებას მისცა “ცენტრალისტური” ახსნა-განმარტება. ცალკეულ შტატს, უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, არა აქვს უფლება დაუწესოს ბრუნვის გადასახადი კომპანიებს.

¹ იხ. გ. ი. ნიკეროვი. აშშ-ის ადმინისტრაციული სამართალი (რუს.), გამომც. “ნაუკა”, მოსკოვი, 1977, გვ. 93-95.

შეერთებულ შტატებში კონსტიტუციამ საფუძველი ჩაუყარა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის ვრცელი არეალის დათმობას.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ამერიკის კონსტიტუციის მიერ სახელმწიფო დალატის, ანუ ამერიკის შეერთებული შტატებისადმი დალატის ცნების ფორმულირება. დალატად ითვლებოდა ომის გამოწვევა ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ. სახელმწიფო დალატად ჩაითვლებოდა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მტრებთან შეერთება და კაპშარი, მათთვის დახმარების გაწევა და მხარდაჭერა.

ამერიკის კონსტიტუციის თანახმად “სასამართლოს ხელისუფლება” ვრცელდება ყველა იმ საქმეზე, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს საერთო სამართლის ან სამართალიანობის სამართლის საფუძველზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშაოს ამერიკის კონსტიტუციის, ამერიკის კანონების და ხელშეკრულებების საფუძველზე.

ამერიკის ისტორიული განვითარების თავისებურებამ განსაზღვრა სასამართლოს უფლებამოსილებათა გარკვეული ნაწილის გადაცემა ადმინისტრაციული დაწესებულებებისათვის, რასაც იმ სასამართლო ორგანოების მხრივ რაიმე სერიოზული წინააღმდეგობაც კი არ მოჰყოლია, რომელთა ევალეობდათ საკონსტიტუციო ზედამხედველობა.

ადმინისტრაციული დაწესებულებებისათვის სასამართლო ფუნქციების გადაცემა გამოიწვია სახელმწიფოს ფუნქციების გაფართოებამ და გარღმავებამ და სახელმწიფო მოხელეთა სპეციალური ცოდნის მაღალმა დონემ. ამერიკელი მკვლევარი მ. დ. ფორკოში ამაში დიდ დარღვევასა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ხელყოფას ვერ ხედავს, ვინაიდან ადმინისტრაციის გადაწყვეტილება საბოლოო არ არის და მისი გადახინჯვა სასამართლო წესით შეიძლება.¹

ადმინისტრაციულ დაწესებულებებს აქვთ მერად მნიშვნელოვანი ფუნქცია – საკუთარი ინიციატივით დაიწყონ სამართალდამრღვევის დევნა.

არსებობს მონაცემები, რომლებიც იმის შესახებ მტკიცე-

¹ იხ. გ. ი. ნიკეროვი. აშშ-ის ადმინისტრაციული სამართალი (რუს.), გამომც. “ნაუკა”, მოსკოვი. 1977. გვ. 46.

ლებენ, რომ ადმინისტრაციული დაწესებულებები უფრო მეტ დაჯებს წყვეტენ, ვიდრე სასამართლოები.

ამგვარად, მიმდინარე საუკუნის სამოციან წლებში სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის ადმინისტრაციამ ოცჯერ მეტი საქმე განიხილა, ვიდრე ერთად აღებულმა ყველა საოლქო ფედერალურმა სასამართლომ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გაკოტრების საქმეებს, რომელთაც მხოლოდ სასამართლოები იხილავენ.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია ხელისუფლების დანაწილება. პროფ. ჯონ მარტი წერდა: “თუ ყველა გზას რომში მივყავართ, ასევე, ამერიკელი მმართველობის ყველა საკითხი ადრე თუ გვიან დაიფანება ხელისუფლებათა დანაწილებაზე”.

თავდაპირველად აშშ კონსტიტუციის შემდგენლებს არ მქონიათ განზრახვა პრეზიდენტისა და ადმინისტრაციული დაწესებულებებისათვის მიეცათ უფლება ნორმატიული აქტების გამოცემისა. ეს უფლება დროთა ვითარებაში კონგრესიდან მიიღეს პრეზიდენტმა, აღმასრულებელმა დეპარტამენტებმა და ზოგიერთმა სხვა ორგანოებმაც.

XX საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან – XX საუკუნის მიწურულამდე იზრდება სახელმწიფოს როლი საზოგადოების განვითარებაში. 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წლებში სახელმწიფომ თავის თავზე აიღო კრედიტისა და ფულის მინიჭების მოწესრიგება და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია აშშ-ის საბანკო სისტემის კრახისაგან გადარჩენის საქმეში.

ცხადია, სახელმწიფოში გარკვეული გავლენით სარგებლობდნენ მსხვილი კაპიტალისტები. მკვლევარები მიუთითებენ კიდევ იმ გარემოებაზე, რომ 1956 წელს სახელმწიფო აპარატის 272 პასუხისმგებელი მუშაკიდან ნახევარზე მეტი (150) ბიზნესმენი იყო.

მიუხედავად სახელმწიფოს როლის გარკვეული გაძლიერების ტენდენციისა, ამერიკაში სახელმწიფო არასოდეს არ გაბატონებულა საზოგადოებაზე და სახელმწიფოს არ შთაუნთქავს პიროვნება. “ამერიკული ოცნება”, ამერიკული იდეა, ამერიკული პრიორიტეტი ყოველთვის ინდივიდს, პიროვნებას აძლევდა უპირატესობას სახელმწიფოსთან შედარებით.

მართებულად მიგვანინია ვ. ლ. გურვიჩის მოსაზრება იმის

შესახებ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში საერთო ეროვნული იდეა დამთხვა პიროვნების იდეას და სახელმწიფოებრიობას ცნება შეივსო რეალური შემოქმედებითი შინაარსით.

სახელმწიფო პიროვნების დაუძინებელი მტერი კი არაა, არამედ მეგობარია. ის ეყრდნობა პიროვნების თაოსნობას, მის ინიციატივას, მის თავისუფლებას და პიროვნების თავისუფლების რეალიზაცია ხდება სოციალურ პროგრესში, სოციალურ ნოვაციებში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში პროტესტანტულმა, კათოლიკურმა და სხვა კონფესიებმა იმდენი დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს, რომ ხალხის თვალში სახელმწიფოს მონა-მორჩილის და ყურმოჭრილი ყმის სახელი არ დაემსახურებინათ.

საერო ხელისუფლებას არ შეეძლო და არც დაუმონებია სასულიერო ხელისუფლება.

თვით სახელმწიფოს მეთაურს, პრეზიდენტს, თუ ის კანონს ხელყოფდა და პიროვნების უფლებებს დაარღვევდა, ხალხი უნდობლობას გამოუცხადებდა, გააკიცხავდა. ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში არც ისე დიდი იშვიათობაა პრეზიდენტისადმი "იმპიჩმენტის" გამოცხადება. 1976 წლამდე თორმეტჯერ აღიძრა იმპიჩმენტის პროცესი და ოთხი დამთავრდა პრეზიდენტის გააკიცხვითა და გადაყენებით.

უნდა მოიძებნოს ინგლისური "იმპიჩმენტის" შესატყვისი ქართული ტერმინიც (უნდობლობა, გააკიცხვა, ბრადღება თუ პასუხისგებაში მიცემა).

იმპიჩმენტის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ უკანასკნელ ხანს გამოჩნდა კიდევაც პირველი დისერტაცია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხადია, საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს ხსენებულ საკითხზე. ინგლისურ სამართალში იმპიჩმენტი ითვლებოდა სახელმწიფო ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისაგან ხალხის დაცვის მთავარ ინსტიტუტად. ხოლო ამერიკელ მკვლევართა აზრით ხსენებული ინსტიტუტი იყო "ხელისუფლების განაწილების ნერვული ცენტრი".

1995 წელს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციას შემოაქვს იმპიჩმენტის ინსტიტუტი. საქართველოს კონსტიტუციამ მიიღო ხელისუფლების განაწილების ამერიკული მოდელი. ამიტომ გასაკვირი არ არის ის გარემოებაც, რომ იმპიჩმენტის შესახებ ქართულ ენაზე დაწერილ ნაშრომში მითითებულია, რომ იმპიჩმენტის მიზანი იგივეა, რაც ხელისუფლების განაწილება.

რადგან ხელისუფლების განაწილების სისტემა შექმნილია იმისათვის, რომ ხელისუფლების არც ერთ განშტოებას არ შეეძლოს ზედმეტი ძალუფლების მოპოვება ან პიროვნულ თავისუფლებათა ხელყოფა.

ამერიკელ კანონმდებელთა სოციალური იდეალია ხელისუფლების ცალკეულ განშტოებათა პარმონიზაცია იმ დონეზე, რომ საკანონმდებლო ხელისუფლებამ შეძლოს სასამართლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა გაკონტროლება. მაგრამ, ცხადია, ერთია სოციალური იდეალი, ხოლო სულ სხვაა სოციალური სინამდვილე. მაგრამ აქ სოციალურ იდეალსა და სინამდვილეს შორის გადაულახავი უფსკრული არ არის და ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში სოციალური იდეალი არაერთხელ გადაქცეულა სოციალურ სინამდვილედ.

ეს წელსვე მეტია, რაც ამერიკის შეერთებული შტატები ითვლება მსოფლიოს უდიდეს სამრეწველო ქვეყნად, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მახახვიათებლების მიხედვით – უდიდეს სახელმწიფოდ. ამერიკელთა ასეთი წარმატების ერთ-ერთი მიზეზი, მის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების დემოკრატიულ ხასიათში უნდა ვეძებოთ.

დამატიებითი წყაროები და ლიტერატურა

1. ყურანი მუჰამადისა, თბ. 1906.
2. Коран. Перевод с арабского языка. Саблукова С. Казань, 1907.
3. Коран. Перевод и комментарии И.Ю.Крачковского. М. 1963.
4. Массе А. Ислам. М. 1963.
5. Мюллер А. «История ислама с основания до нового времени. т. 2. СПб. 1895.
6. Мец А. «Мусульманский ренессанс». М. 1973.
7. Керимов Г.М. «Шариат и его социальная сущность». М. 1978.
8. Мусульманское право (структура и основные институты). М. 1984. Сборник работ, редактор М. В.Гольцева.
9. Anderson N/Law reform in the Muslim World. London, 1976.
10. Садагдар М.И. Основы мусульманского права
11. Кремер А. Мусульманское право. Пер. с немецк. 1888.
12. Шарль Р. Мусульманское право. М. 1959.
13. Костин А. А. Правовое регулирование торговых товариществ в странах арабского востока. «Правоведение». 1982. №1.
14. Проблемы государства и права стран Африки, Азии и латинской Америки – Труды университета Дружбы народов им. П. Лумумбы. т. 34. вып. 2, М. 1971.
15. Дж. Хокинс. Дж. Уайт. Разгадка тайны Стоунхенджа. Москва. “Мир”. 1984 г.

ლიტერატურა და წყაროები ძველი აღმოსავლეთის სამართლის ისტორიის საკითხებზე

ქართულ ენაზე

1. ს. ფ. კენჭიანი. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია. ნაწ. I, ნაკვეთი I, თბილისი, 1946. (თარგმნილია რუსულიდან).
2. ი. დოლიძე. ძველი აღმოსავლეთის სამართალი. 1960. თბილისი.

3. ვ. აბაშმაძე. საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკითხები. 1990, თბილისი.

4. სამურაბის კანონები, თარგმნილი ზ. კიკნაძის მიერ, თბ. 1988.

5. გ. ნადარეიშვილი. ნარკვევები სამართლის ისტორიიდან. თბილისი. 1986.

6. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია. თბ. 1990. გრ. გიორგაძის რედ.

7. ჯ. ნადარეიშვილი. სახელმწიფოს და სამართლის ისტორია. დეკლარაციის კურსი. წიგნი პირველი. ძველი აღმოსავლეთი და ძველი საბერძნეთი. თბილისი 1996 წ.

ლიტერატურა და წყაროები ძველი ბერძნული სამართლის ისტორიის საკითხებზე

ძართულ ენაზე

1. ს. ფ. კეჩეკიანი. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია. ნაწ. I, ნაკვეთი I, ძველი აღმოსავლეთი და ძველი საბერძნეთი. თბილისი, 1946.

2. აღ. წერეთელი. ძველი საბერძნეთი. ტ. I. თბ. "ცოდნა", 1958.

3. გრ. წერეთელი. ბერძნული ლიტერატურის ისტორია. ტ II, თბილისი, 1935, გვ. 105-108.

4. გ. ნადარეიშვილი. ნარკვევები სამართლის ისტორიიდან. თბილისი, 1986.

5. დ. იოსელიანი. გორტინის კანონები. თბილისი, 1966.

6. მ. ცაჯანაშვილი. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია.

7. არისტოტელე. ათენელთა სახელმწიფო წყობილება. თარგმნილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ქუთაისი. 1935.

რუსულ ენაზე

1. История государства и права. Т.1. 1959.

2. Лурье Я. И. «Язык и культура Микенской Греции». М. 1957

3. Бузескул В. «Международный третейский суд в древнегреческом

мире». Вестник Европы. 1907. кн. 4-6.

4. Андреев В. М. «Структура частного богатства в Афинах в V-VI вв. до н.э. «Вестник древней истории». №3. 1981.

5. «История древней Греции», под ред. В. И. Авдиева и др. М. 1972.

6. Мишулин А.В. Идеи права в междуэллинских отношениях. ВДИ. №2(16). 1946.

7. Глускина. О специфике греческого полиса. ВДИ. №2. 1973.

8. Ярхо В. М. Религиозно-нравственная проблематика в поэмах Гесиода. ВДИ. №3. 1965.

9. Ярхо В. М. Вина и ответственность в древнегреческой традиции. «Проблемы античной культуры». Тбилиси. 1975.

10. Кессиди Б. Х. От мифа к логосу. М. 1972.

11. Утченко Л. Дьяконов И.М. «Социальная стратификация древнего общества». М. 1970.

ლიტერატურა და წყაროები ფეოდალური სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებზე

ძართულ ენაზე

1. ი. დოლიძე, ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები. თბ. 1950.

2. შუა საუკუნეების სამართალი. ტ. II (XI-XIV სს.) შეადგინა და კომენტარები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1962.

3. გ. ნადარეიშივილი. ნარკვევები სამართლის ისტორიიდან. თბილისი, 1986.

4. გ. ნადარეიშივილი. სსრ კავშირის ხალხების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. ლექციების კურსი. თბილისი, 1977 წ. (მეორე გამოცემა, 1986).

5. ზ. შ. ჩერნილოვსკი. სამართლის მსოფლიო ისტორია. 1991.

6. გ. შ. კიდურაძე. საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან. წ. I, თბ. 1970.

7. გ. შ. კიდურაძე. XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია, წ. I (1603-1642). თბ. 1979

8. მ. ცაცანაშვილი. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია. ნაწ. I. თბ. 1995.

რუსულ ენაზე

1. Хрестоматия памятников феодального государства и права. Под ред. В. М. Корецкого.
2. Э. Дженкс. Английское право. М. 1947.
3. Всеобщая история государства и права. ч. 1-4. Москва.
4. История государства и права. ч. 1. М. 1949.
5. Черниловский З. М. Всеобщая история государства и права. М. 1983.
6. Ключков С. И. К вопросу вавилонской Этики. Вестник древней истории. №3. 1975.
7. Меликишвили Г.А. К вопросу о характере древних закавказских и средневековых горских северокавказских классовых обществ. История СССР. №6. 1975.

ბიზანტიის სახელმწიფო და სამართალი იორითადი ლიტერატურა და წყაროები

1. Перетерский И.С. Дигести Юстиниана. М. 1956.
2. Дигести Юстиниана. Избранные фрагменты. Перевод Перетерского.
3. Покровский И.А. История римского права. Пгр. 1918
4. Сюзюмов. О правовом положении рабов в Византии. Свердловск, 1955.
5. Удальцова З.В. Законодательные реформы Юстиниана. «Византийский временник.» 1965, т. 26, 1967, т. 27.
6. Эклога. Византийский Законодательный свод VIII века, Пер. Е. Э. Липшиц. М., 1965.
7. Е. Э. Липшиц. Право и суд в Византии в IV-VIII вв. «Наука»Л., 1976.
8. Е. Э. Липшиц. Законодательство и юриспруденция в Византии в IX-XI вв. 1981. Ленинград.
9. Василевский В.Г. Труды. т.III, Пгр. 1915, т.IV, 1930.

10. Византийская книга Эпарха. М. 1962.
11. Успецкий Ф.И., Бенешевич В.Н. Вазелонские акты. Л., 1927.
12. Ecloga. Das Gesetzbuch Leons III und Konstantinos V. Herausgegeben von Ludvig Burgmann. Frankfurt am Main, 1983.
13. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი პირველი. გამომცემლობა "მერიდიანი". თბილისი 2000. მთარგმნელი პროფ. ნ. სურგულაძე

ავტორისაგან

ლექციების კურსი უკვე დაბეჭდილი იყო, როდესაც გაგვიჩნდა უკმარისობას გრძნობა და ზოგიერთი საკითხის შესახებ, რაც ამ კურსში ვერ მოხვდა, აქ უნდა მოვახსენო მკითხველებს.

1. ქართველი მეცნიერები ძველი ეგვიპტური სამართლის მკვლევარები არ ყოფილან. გამონაკლისი იყო პროფესორი იროდიონ სურგულაძე, რომელმაც საგვარეულო წყობილების ორგანოების აღმნიშვნელი ტერმინების შესახებ ძველ ეგვიპტურ ენაში გამოაქვეყნა სამი სამეცნიერო სტატია (იხ. საქართველოს მეცნ. აკადემიის მოამბის ტომი I, ნაკვეთი 8, გვ. 629-636 და ნაკვ. 10 (გვ. 771-778), ტომი N3, 1941, გვ. 286-292). ავტორს განზრახული ჰქონდა, ვარდა ამისა დაეწერა ნაშრომი ძველი ეგვიპტური საზოგადოების პოლიტიკური ფორმირების პირველადი პროცესების შესახებ, მაგრამ ეს განზრახვა შეუსრულებელი დარჩა. ირ. სურგულაძე 51 წლის ასაკში უღრთოდ გარდაიცვალა 1945 წელს.

თავის შემოხსენებულ გამოქვეყნებულ სამეცნიერო წერილებში პროფ. ირ. სურგულაძემ ერთმანეთისგან გამოიჯნა ძველი ეგვიპტური იურიდიული ტერმინები, რომლებიც წარმოიშვნენ საგვარეულო წყობილების წიაღში. იმ ტერმინებისაგან, რომლებიც საგვარეულოდ წარმოშობილი არიან უკვე ჩამოყალიბებულა თეოკრატიულ-დესპოტური სახელმწიფოს წიაღში.

ირ. სურგულაძის მოსაზრებით, ისტორიული პროცესის ცალკე ეტაპები ამა თუ იმ ფორმით აისახა სოციალური ფუნქციის თუ თანამედრობრივი მდგომარეობის აღმნიშვნელ ცნებებში, რომელნიც ნაწილობრივ წინა კლასობრივი პერიოდიდან არიან შემონახული, ნაწილობრივ - კი პირველადი კლასობრივი საზოგადოების წიაღში აღმოცენდნენ.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ტომის ბელადი ჩვეულებრივი რელიგიური კულტის მეთაურიც იყო. ძველ ეგვიპტურ საზოგადოებაშიც პოპულარს დადასტურებას. ნომარქები ატარებდნენ ტიტულს - "ნომის ღვთაების მთავარი ქურუმი."

ეგვიპტის სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულს ბერძენი ისტორიკოსები ნომის სახელწოდებით მოიხსენიებენ. მაგრამ ეგვიპტურ წყაროებში მათი სახელწოდება მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ ნომის მმართველები მოიხსენებიან შემდეგი ტიტულებით: "მეფის შემდეგ პირველი," "ერთადერთი მეგობარი მეფისა", "მეფის მიერ დანიშნული მმართველი" და ა.შ.

ზოგიერთი ნომის მმართველის ტიტულატურაში ჩანს ეგვიპტის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებამდელი ვითარება, როდესაც გვაროვნული

წყობილების რღვევის პროცესი ახალ დაწყებული იყო. აქ ნომის მმართველის ტიტულატურაში ჩანს ნათესაური ნიშნით გაერთიანებული ტომის უხუცესი, ბრძენი, რომელიც მთელ ქვეყანას ამშვიდებს”.

პროფ ირ. სურგულაძის ნაშრომის გაცნობა სასარგებლო იქნება სტუდენტ ახალგაზრდობისათვის.

2. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ დღემდე გამოცემულ სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის სახელმძღვანელოებში, ასევე სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის პროგრამებში ყურადღების გარეშეა დატოვებული ენათა ნათესაობის საკითხები. და რამდენადაც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები არ სწავლობენ არც ზოგად ენათმეცნიერებას და არც სხვა ისეთ საგნებს, სადაც ენათა და ხალხთა ნათესაობის საკითხებს სათანადო ადგილი დაეთმობოდა. ამიტომ თვით სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკითხების გადმოცემა შედარებით მკრთალდება.

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა უნდა იცოდეს, მაგალითად, რომ ინდოევროპული ოჯახის ენები ერთმანეთს ენათესავენბიან... რომ ეს ნათესაობა უფრო ახლოა ინდოევროპული ოჯახის ცალკეულ ქვეოჯახის ენათა შორის.

რამოდენიმე ათასი წლის წინათ არსებობდა ინდოევროპული ენა. მეცნიერებმა შეძლეს ამ ენის ძირითადი ლექსიკის აღდგენა. მეტად საინტერესოა პროზის და ვენტრისის ინფორმაცია აღმოჩენების შესახებ. აკად. თ. გამყრელიძის და ივანოვის ნაშრომის შესახებ.

ახლო მონათესავე ხალხებს ოდესღაც აერთიანებდათ საერთო ენა და საერთო წეს-ჩვეულება, საერთო წინარეპოლიტიკური კულტურა და ზოგჯერ პოლიტიკური კულტურაც.

ნიუ მარი იტყოდა: ენა ისტორიის უძველესი მოწმეაო. ცხადია, ისტორიაში სამართლის ისტორიაც იგულისხმება. მონათესავე ენების მქონე ხალხებს ოდესღაც საერთო ენა და წეს-ჩვეულება აერთიანებდათ. ამ წეს-ჩვეულებებიდან დროთა ვითარებაში წარმოიშვა ჩვეულებითი სამართალი, წინარე სამართალი და თვით სამართალი. ენობრივად მონათესავე ხალხებთან, მაგალითად სპარსელებთან და ტაჯიკებთან არ უნდა გაგვაოცოს სამართლებრივ ნორმათა ანალოგიურობამ, მტკიცე-ბულებათა მსგავსმა სახეებმა და ა.შ.

სიტყვა “პანკუ”, “პანკუს” სახალხო კრების მნიშვნელობით იხმარებოდა ძველ ხეთურ წყაროებში. იგივე სიტყვა თითქმის ანალოგიური მნიშვნელობით გვხვდება ძველ გერმანულში. ეს მეტად საინტერესო ფაქტია. მაშასადამე ინდოევროპული წარმოშობის ხეთებს, რომელთაც ქრისტეს შობამდე მეორე ათასწლეულში მნიშვნელოვანი სამართლის ძეგლები შეუქმნიათ, ოდესღაც

ძველ გერმანელებთან საერთო წეს-ჩვეულებებით უცხოვრიათ.

შეიძლება სოციალური, იურიდიული ტერმინები ერთმა ხალხმა მეორისაგან ისესხოს. სვანურ ენაში ლათინურიდან (ბერძნულის მეშვეობით?) შემოსულა "ფაშლი" - შინა ყმის, შინამოსამსახურის, ლაქიის მნიშვნელობით.

დიდი ცივილისტი, სამართლის ისტორიის საფუძვლიანი მკოდნე პროფ. ი.ა. პოკროვსკი მართებულად წერდა, რომ რომაელები იწყებენ თავის ისტორიას გარკვეულ და თანაც საკმაოდ მნიშვნელოვანი კულტურული და სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით. ეს სამართლებრივი და კულტურული საფუძვლები მათ გამოიტანეს თავიანთი არიული წინარესამშობლოდან. ეს წინარესამართლებრივი თუ სამართლებრივი ნორმები მათ სხვადასხვა რეგიონში მომთაბარეობისას დროთა ვითარებაში შეცვალეს. განავითარეს და გააუმჯობესეს.

უახლესი წიადი თუ ფესვები, საიდანაც განვითარდა რომის სამართალი, იყო საერთო ლათინური სამართალი და წეს-ჩვეულებები. სავარაუდოა, რომ რომაელები წარმოადგენდნენ ერთ-ერთ ჩვეულებრივ ლათინურ ტომს - "ნომენ ლატინუმ"-ის ჩვეულებრივ წევრს.

გამოვეო რა საერთო ლათინურ ერთობას, რომი ვითარდებოდა, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი და სახელმწიფოებრივი ერთეული.

სამართლის უპირველესი წყარო რომაელებისთვის იყო წინაპართა ჩვეულებები, ე.წ. "მორეს მაიორუმ".

წინაპართა ჩვეულებები VIII-VII საუკუნეებში (ძვ. წ.) რელიგიურ და ზნეობრივ ნორმებსაც მოიცავდა.

მაგრამ თანდათან შესაძლებელი გახდა რელიგიისა და სამართლის ერთმანეთისგან გამიჯნვა. რელიგიურ ნორმას ერქვა "ფას", ხოლო საერო, სამართლებრივს - "იუს".

უკვე რესპუბლიკის დასაწყისისათვის ეს გამიჯნვა მოხდა.

თავდაპირველად ლათინური "რელიგიო" სინდისს ნიშნავდა. მაგრამ სინდისის ცნებას გამოხატავდა აგრეთვე "კონსციენცია" და "პიუს".

"პიუს" ნიშნავდა ღვთისმოშაშს, ღვთისმოსავს, სინდისიანს, კეთილს.

ასევე კონსციენცია ნიშნავდა ცოდნას, შეგნებას, სინდისს.

სემიტური ოჯახის ორი ენა ძველბაბილონური(აქადურ-ბაბილონური) და ებრაული ოდესღაც არსებული საერთო სემიტურიდან გამოცალკევდნენ სემიტური ერთობის ხანაში მათ ერთიანი წესჩვეულებები გააჩნდათ. ამ წესჩვეულებების ბაზაზე ქრისტეს შობამდე მეთვრამეტე საუკუნეში ბაბილონში შეიქმნა სახელგანთქმული ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონები. მოგვიანებით ებრაელებმაც შექმნეს საკუთარი სამართლებრივი ნორმები. გაჩნდა ძველებრაული სამართალი.

ორივე ხალხის - ბაბილონელების და ებრაელების სამართლებრივი ნორმები. ერთმანეთთან მნიშვნელოვან მსგავსებას ავლენენ. ამ გარემოებამ ცნობილ მეცნიერს ბ.ა. ტურაევს ათქმევინა, რომ ძველი ებრაული პატრიარქები ხამურაბის კანონების ნორმების თანახმად ცხოვრობდნენ. უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა, რომ ორი სემიტური მოდემის ხალხს აერთიანებდა სემიტური ენობრივი ერთობის წიაღიდან მომდინარე წესჩვეულებები და სამართლებრივი ნორმები.

მკვლევარი ბ. უორფი თავის ნაშრომში - "ენა, აზროვნება და რეალობა", წერს:

ენა უბრალო ინსტიტუტი კი არ არის, რომელშიც განხორციელებიან ჩვენი იდეები, არამედ ენა თვითონ მონაწილეობს ჩვენი იდეების ფორმირებაში, ადამიანთა სამოქმედო გეგმების შედგენაში." ეს მოსაზრება არსებითად მართებულია. ენა იდეოლოგიის მატარებელიცაა და რელიგიური იდეოლოგიის უძველესი მოწმეცაა. ქართული სიტყვა "გარდაცვალება" მიგვითითებს იმის შესახებ, რომ ძველად ქართველს წეთისოფელთან გამოსაღმება სიკვდილად კი არ მიაჩნდა, სხვა ცხოვრებაში. სხვა საწყაროში გადასვლად.

3. სასურველია, რომ იურიდიული ფაქულტეტების სტუდენტებმა მიიღონ ინფორმაცია ენათა და ხალხთა ნათესაობის შესახებ.

ივარაუდება, რომ ქრისტეს შობამდე რამდენიმე ათასი წლის წინათ არსებობდა ე.წ. ინდოევროპული ენა, რომელზედაც მეტყველებდნენ დღეს უკვე ერთმანეთს დაშორებულ ხალხთა წინაპრები. დროთა ვითარებაში ამ ენაზე მოსაუბრე ტომები ერთმანეთს დაშორდნენ. ჩამოყალიბდნენ მონათესავე ენები და ხალხები.

გამორჩევა, რომ ზოგიერთი ინდოევროპული წარმოშობის ხალხს(მაგ. ხეთებს) უკვე ქრისტეს შობამდე XVIII საუკუნეში გააჩნდა დამწერლობა. ინდოევროპული ენებიდან ხეთური, ლუვიური, ლივიური და ლიდური დღეს უკვე მკვდარი ენებია.

ძველი ინდური ენაც ინდოევროპულ ენათა ოჯახს განეკუთვნებოდა. სხენებული ძველი ინდური ენებიდან ვედური სანსკრიტი, რომელიც ფუნქციონირებდა ქრისტეს შობამდე მეორე ათასწლეულის დასასრულსა და პირველი ათასწლეულის დასაწყისს, დღეს უკვე მკვდარი ენაა.

ახალი ინდური ენებია: პინდი, ურდუ, ბენგალური, გუჯარათული, პენჯაბური, სინდჰური და სხვა. ინდოევროპულ ენათა ირანულ ჯგუფს აკუთვნებენ ძველ სპარსულს, სამუალო სპარსულს, სოლდურს, პართულს, ხორვზმულს და ზოგიერთ სხვა ენებს.

ინდოევროპულ ენათა ოჯახს განეკუთვნებიან თანამედროვე სპარსული, ტაჯიკური, ოსური, ქურთული, ავღანური (პუშტუ) და სხვა ენები.

ინდოევროპული ოჯახის ენებად ითვლებიან სომხური და ბერძნული ენები, აგრეთვე აწ გამჭრალი თრაკიული და ილირიული ენები. ზოგიერთი ვარაუდით ალბანური ენა უნდა იყოს წარმოშობილი თრაკიულიდან ან ილირიულიდან.

იტალიკურ ენებად ითვლებიან ლათინური და მისგან წარმოშობილი ე.წ. რომანული ქვეოჯახის ენები. ეს ენებია: თანამედროვე იტალიური, ფრანგული, ესპანური, პორტუგალიური, პროვანსული, სარდინიული, რეტორომანული, რუმინული, მოლდავური და ა.შ.

ენათა ინდოევროპულ ოჯახს მიეკუთვნებიან აგრეთვე ველტური ენები: ბერძნული, უელსური, ირლანდიური, შოტლანდიური, გალური, კორნუელური, გელური და ა.შ.

ინდოევროპული ენების ცალკე ჯგუფს განეკუთვნებიან გერმანიული ენები: გუთური, გერმანული, შვედური, დანიური, ნორვეგიული, ისლანდიური, ფარერული, ძველი საქსონური, ძველი ზემოგერმანული, ძველი ქვემო-გრანკული, ძველი ინგლისური, ფლამანდიური, ფრიზიული, ნიდერლანდური. მეოთხე საუკუნეში გუთურ ენაზე არსებობდა ბიბლიის თარგმანი. გერმანიკული ენათა ქვეოჯახს მიეკუთვნებენ აგრეთვე ბურების ენას - აფრიკაანს და იდიშს - აღმოსავლეთ ევროპის ებრაელთა ენას. ინდოევროპულ ენათა ოჯახს მიეკუთვნებენ აგრეთვე ლატვიურ, ლიტვიურ და ძველ პრუსიულ ენას.

ინდოევროპულ ენათა ოჯახს განეკუთვნებიან სლავური ენები, რუსული, უკრაინული, ბელიორუსული, პოლონური, ჩეხური, სლოვაკური, სერბულ-ხორვატული, ბულგარული, სლავური.

სემიტური ენების ოჯახს მიეკუთვნებიან არაბული, ებრაული, ასირიული. სემიტური ენების ფიქსირებული ისტორია 60 საუკუნეზე მეტს მოიცავს. ძველი აღმოსავლეთის კანონმდებლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლი - ზამურაბის კანონები დაიწერა აქადურ-ბაბილონურ ენაზე ქრისტეშობამდე მეთვრამეტე საუკუნეში. სემიტური ოჯახის ენად ითვლება ფინიკიური, არამული, უგარითული, მოაბური. სამეცნიერო ლიტერატურაში ფრანგმა ენათმეცნიერმა მარსელ ვონმა შემოიტანა ტერმინი სემიტურ-ქამიტური ენები. მანვე დამტკიცებულად ჩათვალა ამ ენების ნათესაობა. ძველი ეგვიპტელების ენა იგულისხმება ამ ოჯახის ენად.

უნგრულ-ფინური ენათა ოჯახის შემადგენლობაში შედიან:

ფინური ენა, ესტონური ენა, უნგრული ენა, მორდოველი ენა (ამ ენაზე ლაპარაკობენ მორდოვეთში, ცენტრია ქ. სარანსკი). ჩერემისული ენა (მარიული ენა). ამ ენაზე მეტყველებენ ქ. იოშკარ-ოლაში. უნგრო-ფინურ ოჯახის ენად ითვლება აგრეთვე ვოტიაკური ანუ უღმურტული ენა (ლაპარაკობენ უღმურტეთში (ცენტრი ქ. იუევსკი). ამავე ოჯახის ენად

ითვლება ზირიანული ანუ კომი ენა (ცენტრი ქ. სიქტივკარი) და რიგი სხვა ენები.

აკად. არნ. ჩიქობავას უნგრულ-ფინურ ენათა ოჯახის ენებად არ მიაჩნდა ალათაური (თურანულ-მონღოლური) ენები და მათ ცალკე გამოყოფდა.

ალათაურ ენათა ოჯახის ენებია:

1. აზერბაიჯანული
2. თურქმენული
3. უზბეკური
4. ყაზახური
5. ყირგიზული
6. ბაშკირული
7. ჩუვაშური
8. თათრული
9. იაკუტური
10. ოსმალურ-თურქული და სხვა ენები.

ენათა ალათაურ ოჯახს მიაკუთვნებენ აგრეთვე მონღოლურ ენასაც. ხსენებული ოჯახის ენების უძველესი დამწერლობა დაფიქსირებულია ორხონის წარწერებში (VII-VIII სს).

ჩინურ-ტიბეტურ ენათა ოჯახს მიაკუთვნებენ ჩინურ ენას, ტაი ენას იგივე სიამურ ენას, ვიეტნამურ ენას, ტიბეტურ ენას, აგრეთვე ბირმულ ენას და ა.შ.

ჩინურ დამწერლობას თითქმის ორმოც საუკუნოვანი ისტორია აქვს. ასევე ჩინურ სამართალსა და სახელმწიფოსაც.

რამდენიმე წინადადებით შევეხოთ იბერიულ-კავკასიურ ენებსაც.

არნოლდ ჩიქობავას იბერიულ-კავკასიური ენები დაყოფილი აქვს ოთხ ჯგუფად: 1. ქართველური ანუ იბერიული. 2. აფხაზურ-ადიღური. 3. ქისტურ-ბაცბური და დაღესტნური.

ქართველური ენებია: ქართული, ზანური და სვანური.

იბერიულ-კავკასიურ ენებში მხოლოდ ქართულს გააჩნია ძველი დამწერლობა. ახალი დამწერლობის ენებია: ადიღური, აფხაზური (აფხაზურითურთ), ყაბარდოული, ხუნძური, ლაკური, ლეზგური, ტაბასარანული.

სასურველია, რომ უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა გაითავისონ ზემოთ მოტანილი ინფორმაცია.

ენათა კლასიფიკაციის შესახებ ვისარგებლეთ არნ. ჩიქობავას წიგნით “ენათმეცნიერების შესავალი”.

პატივცემული მკითხველო!

იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“ დაარსების დღიდან სისტემატურად გამოსცემს ახალ წიგნებს სამართლის სხვადასხვა დარგში. ჩვენი ძალისხმევით არაერთმა საინტერესო გამოკვლევამ იხილა მზის სინათლე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „ბონა კაუზა“ იქცა იურისტის ბიბლიოთეკის გამდიდრების საუკეთესო საშუალებად.

ქართული სამართლებრივი აზროვნების შემდგომი განვითარებისა და ნიჭიერ მეცნიერთა წახალისების მიზნით „ბონა კაუზა“ სამართლის მკვლევარებს გთავაზობთ ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას.

• „ბონა კაუზა“ უზრუნველყოფს იურისპრუდენციამოთქვენი სამეცნიერო ნაშრომების გამოცემას.

• წიგნები დაიბეჭდება ფირმის ფინანსური მხარდაჭერით. ავტორებს გადაეცემათ ჰონორარი.

მზად ვართ, განვიხილოთ აგრეთვე თქვენი წინადადებები თანამშრომლობის სხვა ფორმატთან დაკავშირებით.

• „ბონა კაუზა“ გთავაზობთ წიგნების ოპერატიულ გამოცემას მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შედაკათიანი, ხელმისაწვდომი პირობებით.

დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე: ქ. თბილისი, რ. თაბუკაშვილის ქ. N12.

☎ (032) 299 00 71 ; მობილური 5(99) 78 61 77

ელ. ფოსტა: bonacausa@yahoo.com



www.facebook.com/LTD.BonaCausa

ქალაქი ოფსეტური, ბეჭდვა რიზოგრაფზე

ქალაქის ზომა 70X84 1\32

ფასი სახელშეკრულებო



000000 038728